

644 /
1972 / 4




სენეტი

პივნულაგებით საქართველოს ლენინური
კომპარტიის XXIX ყრილობას!



1972



სესია

12214

177

გამოცემის მეთექვსმეტე წელი

3

მ ა რ ზ ი

1972

თბილისი



საბ. ბა. ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და სასოციალური-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ბიბლიოთეკის კონსერვაციის განყოფილებაში დაცულია



ეთერ სამხარაძე-ჯღაპაძე

ნადეჟდა პურიანოს

სად მიგაფრენდა მტერი ვერაგი,
სად მიგელოდა მზის სხივს ბნელეთი...
ვერ დასთმე მათა ლურჯი პერანგი
და საბჭოეთის ცა და ხმელეთი.
დაეცი მკაცრი ქარიშხლის ფრთებზე
ფერმიხდილი და ღონემიხდილი,
იქ, ჯოჯოხეთის ცისქვეშ სიცოცხლეს
არჩიე ნათელ მზის ქვეშ სიკვდილი.
შენ ახლა ლამაზ პალმის ქვეშ გძინავს,
სადაც მთებს ადგას შუქი მარადი,
სოხუმში დაგრჩა პაწია ბინა
და შორეული სატრფოს ბარათი...
ოქროსფერ თმაში ყვავილიწნული
დღეს მილიონთა გულებში ცხოვრობ.
ასე ზღაპარში ჩნდება ქალწული,
ასე ზღაპარში კვდებიან მხოლოდ.
ვერვინ აღუდგეს წინ ხალხის სურვილს.
მიგაცილებენ ქებით და ტაშით,
რომ შენი მხნე და გამირული სული
ლეგენდარულად ფრინავდეს ცაში.



გომონა იოს დაფუძსლულ ჟიგნეჟი მინაჟი

აქ ცხოვრობს,
იო,
შენი წიქარა,
დიდიხანია
დათმო გომური...
თვალეში უდგას
კამკამა ზეცა, —
შემოდგომური...
შიგ ილანდება
ის წმინდა ცრემლი,
უხილავ სივრცეს
რომ ერთვის წყნარი...

მწუხრის სალამურს
მოჰყვება შენსკენ,
ბავშვობის ქარი...
ამ დროს
ქართლის ზვრებს,
თაფლივით მჭვირვალს,
უკანასკნელი პეპლები რთავენ,
და როცა სტირი,
წიქარას ფერდზე,
თბილ ფერდზე გიდევს
მტკივანი თავი...

ამ სამუღამოდ

აქ სამუღამოდ
დამტოვეს მარტო.
მე შემხვდა სწორედ
კენჭი ამ მხარის,
სადაც თავმდაბალ
ხელმწიფეს — სევდას,
დააქვს ნიდაგ
ჩემთვის სამხარი

და გატეხილი ღამის ამქარი, —
შავი ნახშირი, —
შავი ფანქარი,
ხანდისხან
მაღალ სიმღერას ბედავს
მადლობა ყველას,
ვინც გამიმეტა!

ვ ა რ ა მ ი

ტოტზე ქანაობს
კასრის სალტე,
მხუთავი რკალი...
ვზივარ ჭიშკართან
და ბავშვივით
ქვიშას ხელს ვურევ...
როგორ უყვარდათ
ვაშლის ბაღი
ამ სახლის მდგმურებს!
მიყურებულა ღობემძვარა,
ლელეჩი ბინდი...
ზედ დაჰკვდომია

მოწყურებულ მიწას
ნაყოფი.
ასწრაფებულნი,
უპატრონო,
ჭიანი ხილი...
მშვიდად მუშაკობს
გულისგულში
თამამი მღილი,
რა სიწყნარა!
დრო დამდგარა
და აღარ მიდის...

მოდგა ზამთარი,
მშვენიერი,
გულგრილი ქმარი
და გულმოდგინედ
აშიფიცრა მაღალი შინა...
არავინ იცის,
რად სჭირდება
ყინულის ფარი,
ერთგულებისთვის
საპყრობილე
არ იყო წინათ...
სასაცილოა
უგუნური
განზრახვა მისი,
ის კი არ იცის,
მარტოობის უფლებით
ნეტარს,

რომ უყვარს ფიქრი
აკრძალული,
უსაზღვრო ღვთისით
და ნება-ნება
გაულსობელ ყინულის კენჭა...
ასე მისდევენ
გზას თოვლიანს
დღეები სრული...
და ერთხელ,
როცა შეწითლდება
ზეცის ნაფლეთი,
ასცდება სარკმელს
ამოგმანულს
მსუბუქი სული
და გაფრინდება,
გაფრინდება აღმოსავლეთით...

ყვითელი აკვარელი

„იყო დილა — ღამეც მოვა“
ი. ტუვიში

იყო,
დილა იყო.
სალამო უკვე.
მონაშუქი მწუხრის
წყნარად ანთებს კედელს.
გული, —
შავი გრდემლი
მჭედელს უმტრობს ერთხელ.
წყნარად მტკივა მკლავი...
შორი საუბარი
რა მკაფიოდ ისმის...
ეკლესიის თბილ გუმბათზე
შემოდგომა ჰყვავის.



ჩემს სიახლოვეს ვილაცა დადის,
ვილაცა ძალზე ნაცნობი ჩემთვის
და ღრუბელივით ლამაზი დარდი
ძველ მოგონებებს ლანდივით ერთვის.
ნელა ღამდება და ხეებს იქით
მუდარით სავსე ხმები რიალებს
და სასთუმალთან დამფრთხალი ძილი
კვლავ ჩემს ოცნებებს მიაფრიალებს.

როცა მგონია — გათავდა უკვე,
რალაცა წამით ამცდა მიზანი,
შენ მასსენდები და როგორც წინათ
მე რომ ვნატრობდი, იმ ფიქრს მიგზავნი.
ურთმლისოდაც დღის გათენება
ვეღარ მომცემდა სიხარულს იმდენს..
გაცივდებოდა ეს თბილი ცრემლიც,
ამდენი წელი ჩუმად რომ ვზიდე.



ფიქრები უვილზე

ნეტავ ვის შორის მოუხდება ცხოვრება ამას,
 ის სხვას რას მოსთხოვს, ანდა სხვანი მას რას მოსთხოვენ,
 დაემსგავსება დედას თუ მამას,
 ვის რას შეასმევს — შხამსა თუ წამალს,
 რა გზას აირჩევს, მართალს და თამანს,
 სხვა წაიყვანს თუ წაყვება სხვა მას,
 სულის საუანედ სად და რას ჰპოვებს,
 დაემსგავსება დედას თუ მამას,
 ნეტავ ვის შორის მოუხდება ცხოვრება ამას.

ეს მხოლოდ შვილის მერე მოხდება

ეს მხოლოდ შვილის მერე მოხდება,
 ქვეყანას დედად მოეკიდები,
 სხვა ვერაფერი ვეღარ მოგწვდება,
 სხვას ვეღარაფერს მოეჭიდები.
 შენგან არავინ აღარ დარჩება,
 დედა განდევნის ქალსა და სატრფოს,
 ვერ შეძლებ რამის სხვაგვარ გარჩევას,
 დედა იქნები ამქვეყნად მარტო.

მე რომ არ ვიყო

მე რომ არ ვიყო, მთაკლდება ამ ქუჩებს რამე,
 თუ არაფერი არ მოხდება, მე რომ არ ვიყო?
 ეზოებს ისევ მოედება ხასხასა მწვანე?
 ალვის ხეებთან კიდევ მოვა ღამაში ღამე?
 არ შეეწყობა ურემობა ამქვეყნად რამეს?
 და არაფერი არ მოხდება, მე რომ არ ვიყო?



მე იმ ქალწულის მოლოდინით მინდა აღვივსო,
 მე რომ ვიყავი ხუთი წლის წინათ,
 იმ მშვენიერმა მოლოდინმა სად მიიძინა,
 იმ ოცნებებმა, იმ სინაზემ სად მიიძინა,
 რაღაც დაჩლუნგდა, უსაშველოდ დაჩლუნგდა ჩემში.
 რაღაც უზომოს და მშვენიერს ვერ მივეც ბინა,
 და იმ ქალწულის მოლოდინით ვით აღვივსები,
 მე რომ ვიყავი ხუთი წლის წინათ.

დგას ცისფერ ქოხთან თეთრი ჩვენება,
მთვარის ბილიკი მიიჩქარის შეხვედრად
მისკენ...

უცნაურია,
ჩემს თვალეში შენი მშვენიება,
როგორ იზრდება და ინთება
სიკეთელ მზისებრ.

დავდივარ უკვე
ფოთოლცვენის სიზმრით დამთვრალი,
გულს დაეტყობა უშენობა
ალბათ ძალიან...
საოცარია,
მოგვდგომია უცებ ზამთარი,
ძვირფასო, მართლა საოცარია!

შენ რა, ბუერავ, გამინაწყენდი,
შენი ფოთოლი თავს რომ მებურა?
ზედ არ მიყურებ,
მხრები აწურე,
გარინდებულხარ რაღაც მეფურად.
როგორ გაავდრდა...
მთლად გავილუმპე...
ბებური ცაცხვი ორად გაიყო...
ფოთოლს მისტირი, მე რომ წავიდე?
თუ გაგაჯავრა ვინმემ, რა იყო?!

რომ შემხვედროდი...

რომ შემხვედროდი დიდი ხნის წინათ,
მე გაჩუქებდი აპრილების გარდუვალობას,
დაგადგამდი კისფერ გვირგვინს,
ჩემ სულს წილად,
და გული ჩემი —
გულსა შენსა დაივანებდა.
რომ შემხვედროდი დიდი ხნის წინათ,
მე გაგიყოფდი პურსა და ღვინოს,
დავიმძიმებდი ჩემს სხეულს შენით,
არ შევამღვრევდი უწმინდეს მირონს.
ო, რა ერთგული ვიქნებოდი
მაგ ჭკვიან თვალთა —
არავინ უწყის...
რა იქნებოდა,
შემხვედროდი დიდი ხნის წინათ
ყველაზე უწინ...

ო ტ ო ბ ა ი ა *

ოქროს მატყლიან ფარას მწყემსავს ოტობაია
 და თითქოს ველზე
 უხილავი ფერი ფერს ეძებს,
 ჩანგის ხმა ისმის.
 თითს არ ჩამოჰკრავს სიმებს ჭაბუკი,
 ჩანგს მხოლოდ სუნთქვა
 შეარხვეს მისი.
 და სუნთქვას ძალუძს
 ფრთა შეასხას კლდეს და მდინარეს,
 ჰანგად აქციოს ფიქრი და აზრი.
 მზის სახსოვარი სიმებიცა გაბმული ჩანგზე.
 — ჰე, ვინ ხარ, რა ხარ.
 მე ვარ სიკვდილის მბრძანებელი,
 ღმერთი ანთარი!
 — მე კი მეჩანგე, ძე, ხორციელი,
 შენს უაღრესი, შენზე ძლიერი.
 (და აპყვენენ მთები ანთარის ხარხარს)
 — მე ქვებად ვაქცევ ენგურის ტალღებს
 — მე კი სიმღერად...
 — მზეს ვაქცევ ნაცრად,
 ყინულად კაცთა!
 — მე კი სიმღერად! მე კი სიმღერად!
 გაეკრა ელვად ენგურს ანთარი
 და წამოვიდა ქვების ქაოსი,
 ჩანგმა აკრიფა ქვები სიმღერად,
 ენგურს ჩააცვა სიავ-სამოსი.
 მზეს შავი ფრთები გაჰკრა ანთარმა
 და დაბლა კენესა აღმოხდა მიწას.
 აელერდა ჩანგი
 და შავი ფრთები სიმღერად იქცა.
 გაწყრა ანთარი
 და დააწყდა უმალ სიმები
 ჩანგს მზის ალავი
 ისევ გაება სიმები სხვივთა,
 იქცა სიმღერად ცის სივალალე.
 და განიბანა სიმღერაში ქვა და ღრუბელი.
 ზეცა, მზის ველი,
 მაგრამ ცხვრის ფარა არსაით ჩანდა!
 ...გულს დარჩა კენესა,
 სულს — სიმარტოვე,

და თვალს — სისველე.
 ...და მარტოობამ იტვირთა ღამე,
 რომელიც მწყემსმა შეიცნო ახლა:
 ენგურს შეეძლო ძალისხმევით დინება აღმა.
 დაეძებს ფარას ოტობაია,
 ზეცას და მიწას შეეკენესება,
 დაეძებს ფარას ოტობაია,
 ყვავილში,
 მზეში,
 და ხის ფესვებში.
 და უღერა სიმთა სულ არა ჰგავს სევდას
 ფარაზე
 ეს არის მხოლოდ სიმღერა მისთვის,
 დიდი, ღამაზი.
 ...იზრდება ჰანგი
 და იცრცება ღამე სულბნელი.
 უფრო მძაფრია აყვავებულ ცაცხვების სუნი,
 უფრო მსუბუქი — შავი ღრუბელი,
 იზრდება ჰანგი და იბურდება ბურ-ნისლი
 ქარით,
 რომ წყარო წყაროს ხედავდეს უკეთ.
 იყოს ღამაზი სიზმრები მიწდვრის,
 გადაფერილი მნათობთა შუქით,
 იზრდება ჰანგი.
 დაეძებს ტკივილს
 და მის ხმაშია ქვების კივილი,
 თუ განკურნება მისი არ ძალუძს
 ის თითქოს ეძებს მუხის ნაკვერცხლებს,
 რომ მოაცილოს ნავლი, ნაცარი.
 ...შეუღებს კარებს. მარტოეულს, შეეხიზნება
 და ებრძვის აჩრდილს
 მთელ ქვეყანას რომ ესიზმრება,
 იზრდება ჰანგი,
 რომ გვაჩვენოს სიდიდე ქვეყნის,
 უბოლოობა და სიმოკლე ყოველი წამის,
 ნიადაგობა დღისა და ღამის
 და სიმჭვირვალე წყაროს სათავის.
 იზრდება ჰანგი
 და ღრო ძლეული არის ანთარი.

* მითითური მეჩანგე, მგოსანი, სიკვდილის მბრძანებელს შეებრძოლა.

მამის სავლავთან

მე არ ვხარშავდი არასოდეს
კორკოტს და წანდილს,
და არასოდეს არავის სულს
ვისხენიებდი.

ტყე-ტყე, მინდორში დავდიოდი
ფიწლით და წალდით
და მხოლოდ შენთვის დაკრეფილი
მქონდა იები.

შენ ბროლის ჭიქა გავივარდა
თითქოს ხელიდან
და დაიხედე... ნამსხვრევები
ბრწყინავდა ბროლის...

შენ მართო იყავ, ველარავინ
ვერ გიშველიდა,
თვალს მიეფარე დაქანცული,
მოღლილი ბრძოლით.

მე არ ვხარშავდი არასოდეს
კორკოტს და წანდილს
და არასოდეს არავის სულს
ვისხენიებდი...

ტყე-ტყე, — მინდვრებში კვლავ დავდივარ
ფიწლით და წალდით
და მხოლოდ შენთვის დაკრეფილი
მომაქვს იები.



მზეო, თვალეში ჩამესვენე,
რომ დამწვას შენმა სიკეთის სხივმა.
მზეო, სინათლედ ჩამიდექ სულში,
მომეცი ძალა შეცნობისა, ჩუმი თმენისა.
მზეო, მარჯე სინედლე ტოტის,
მაქციე სავეს საწყაოდ და ჩამომარიგე.

ქ ი ე ბ ა

აი, ყიჟინით მევსება სული
და როკვას ვიწყებ მზის გარშემო,
მუხის გარშემო.
ტაშა ვცემ ყოველ განთიადზე
და ხოხობს ვიჭერ დედალს და მამალს,
და ვუშვებ მზისკენ ზვარაკად მზისა.
ისევ მევსება წითელი სისხლით წითელი ტანი
და როცა მაძლარს ჩამთვლენს წამით,
მომეჩვენება, რომ ხელთ მიპყრია სიკეთე ცისა,
ხელებს მწვავს მისი ცხოველი ტანი.
გამოვიღვიძებ და ბალღივით დავიწყებ ტირილს,
დავსტირი ჩემს შინს დაუოკებელს და
უძლურებას,
ისევ მევსება წითელი სისხლით წითელი ტანი.
ისევ თაყვანს ვცემ და ვუგზავნი ნაპატივარ
დედალს და მამალს,
ისევ ვინთები და ისევ ვქრები.

შემოდგომის სურათი

მაძლარი ძროხა სავსე ცურით და ზანტი ცოხნით
მოპყვება შარას და გზაზე მხედება,
როგორც სული ამ შემოდგომის,
ფერდებავსილი და ზაფხულის თაკარა
მზისგან ბალანდამწვარი.
დასრულებიით ტანი ატმებსაც
და ქარგინფერი გულაბი მსხალი
ჩამოღვენთილა, როგორც წვეთი
თაფლის სანთლისა.
ბუტბუტებს ქვეერი და სიცოცხლის
სიმღერას მღერის
ქედკურთხეული დედანიწა.

ა ღ ზ ე ვ ე ბ ა

გადამავიწყდა ზამთრის სიკვდილი
და ქვეყნად ყველა წყნას ვივიწყებ,
მოდის აპრილი და დამიამებს
ან გამიახლებს წარსულ ტკივილებს.
შემომანათეს ფურისულებმა,
ნუშის და ტყემლის თეთრმა ფთილებმა...
გავიჭრები და ვივლი ველებზე
რა ვუყოთ, თუკი მვაპრილება!

ავალ იმ მთაზეც, ცას რომ ეხლება,
ავალ და ზეცას ხელით შევწვდები...
ძლიერ მწადია ეს ამალღება —
სხვა ამბავია, თუ ვერ შევძელი.
შემომანათეს ფურისულებმა,
ნუშის და ტყემლის თეთრმა ფთილებმა...
გავიჭრები და ვივლი ველებზე,
რა ვუყოთ, თუკი მვაპრილება!

ახლა მოვიდეს!

სულ ერთი არის,
ვინც უნდა იყოს,
ოღონდ მოვიდეს
ვიღაცა ახლა...
ახლა მეწვიოს
მოკეთე ჩემი,
როდესაც მძიმე
ფიქრები მახლავს!
მოვიდეს ვინმე,

აახმაუროს
დუმილი,
გარს რომ მარტყია
გუნდად...
ვინც უნდა იყოს,
მოვიდეს ოღონდ
და იმავ წუთში
დამტოვოს თუნდა!



ბიბინებს მინდორი...
მინდორი მწვანეა...
ბიჭი ცხვარს მიერეკება...
ახლა სიკვდილზე
ფიქრი მწარეა —
ეალერსება დედას ბეკება.

იმ თეთრ ღაგაში

სულ ყველაფერი იყო ზღაპრული
და ყველაფერი იყო ზღაპარი...
იმ თეთრ ღაგაში იასამნისფრად
ჩანდა ისაკის დიდი ტაძარი.

ის თეთრი ღამე ენთო, ვით ზეცის
ჩაუჭრობელი, დიდი ღამპარი...
სულ ყველაფერი იყო ზღაპრული
და არაფერი იყო ზღაპარი.



დ ა ლ ი

ცეცხლმოდებული შინდის გიზგიზი
და კიბორჩხები კუნელის ალი,
ყრემლი, ზღაპრები, ჭრელი სიზმრები —
ჩვენი ბავშვობა, ხომ გახსოვს, დალი!
ო, ის დღეები მწვანედ ფოფინა
და ცისარტყელა — იმედის პწკალი, —
გახსოვს? —
ცხოვრება სულ სხვა ყოფილა,
ძნელი ყოფილა ცხოვრება, დალი!
მუდამ თუ არა,
ზოგჯერ ხომ ხდება —
ერთგვარად ფასობს სისხლი და წყალი!

ეჭვიც ყოფილა, შურიც ყოფილა,
ძნელი ყოფილა ცხოვრება, დალი!

სითბო და შუქი როდი ყოფილა
მხოლოდ და მხოლოდ
გული და თვალი! —
ეჰ, ის დღეები მზეზე ფოფინა
და ცისარტყელა —
იმედის პწკალი...
ხედავ? —
ცხოვრება სულ სხვა ყოფილა,
ვიდრე მე და შენ გვეგონა, დალი!

ს ვ ა ნ ე თ ი

კლდეზე ქანაობს დალის დალალი —
ვერცხლის ზარივით წკრიალა მაჩხაფ,
ღვას კლდე —
სამრეკლო ცამდე მალალი,
სცემს თეთრ გუმბათზე მუქმწვანე ფარჩა.
შზის ფორებით და ოქროს ნაყშებით —
დაბლა დაღაღებს თეთრი ლაშხური,
ქარი დალის თმებს ეთამაშება
და მხრებზე ღმერთის ცრემლებს მასხურებს.
თავზე მადგანან მალალი მთები —
ქორა-მახვშები ბებერ მურყვამთა
და იმ ქარაფთა მადლით ვივსები,
ოქროსთმებიან დალს რომ უყვარდა!

მალალო მთებო,
მე მკერა თქვენი
და ბობოქარი თქვენი ლაშხურის,
თქვენი უზადო სიმაღლე მშვენის,
თქვენი უმწიკვლო ლეჩაქი მხურავს...
არა, არა ვარ მოკვდავი სულაც,
ლილეოსავით მივიწვევ შზისკენ
და ღმერთქალივით ამაყს და გულადს
ბევრი ბეთქილის მხნე გული მისმენს.
ბევრი ბეთქილის თვალები მიმზერს
და მინდა მეტი მზე და მწვერვალი,
მე ფრთაგაშლილი ვდგავარ კლდის ქიმზე,
რომ ვერ მიმასწროს მზესთან ვერავინ!

1 ჩანჩქერი (სვან).



რა მცირე გზაა

დღემდის ჩვენ ფასი არ ვიცით რაა,
ამ ოქროს ხანის, თოვლის წლებამდე,
ისიც არ ვიცით, რა დიდი გზაა
დავიწყებიდან — მოგონებამდე.

და მე დღეს ვხვდები, რომ მართლაც სხვაა,
ეს დღევანდელი, მშვიდი კვირადღე,
პირველად ვიგრძენ, რა მცირე გზაა,
სიყვარულიდან — სიძულვილამდე!



დათა თუთაშხია

რომანი

წიგნობის გამომცემი

— ტერორისტულ აქტს ამზადებდა ვილაცაზე ჩვენი ხალხი, ფული იყო საჭირო. სადმე სამი ათასი მანეთი იშოვნეო, მიიხრეს. ფული ვიციოდი, სადაც იყო, მაგრამ სანდო კაცი მჭიროდა, ამფერ საქმეებში რომ გამოდგებოდა, ისეთი. ავედი სამურზაყანოში, დათა თუთაშხია ვიკითხე ერთ კაცთან. ახალი დაბრუნებული იყო დათა მაშინ. ის კაცი ჩვენი კაცი იყო იქ, სამურზაყანოში. და დათას ამბავიც იცოდა. ჭალებში არის ახლა თავშეფარებული მეჭოგეებთანო. ასე, შეიდი-რვა წლის გაფორლებული იყო მაშინ დათა თუთაშხია.

კაცი იმისთვის მჭიროდა, რომ ფოთში მევახშე იყო ერთი — კაჯა ბულაფა. მისგან უნდა მომეხდინა იმ სამი ათასი მანეთის ექსპროპრიაცია, მაგრამ, მარტო კაცი ჭამაშიაც ცოლ-ვააო, და, ესეც არ იყოს, მოხარულს მიცნობდა მევახშე, თვითონ ვერ გავაყე-

თებდი ამ საქმეს. პოლიტიკა ისეთი რამეა, უბრალოზე არ უნდა ჩაჯდე კაცი. შენ თუ ჩაჯექი და კატორღაში ბორკილი ათროკიალე, იდეისთვის ობიექტელმა იბრძოლოს, თუ? დათას პოლიტიკა და პარტიები არ წამდა, არ ესმოდა, პოლიტიკურად უსწავლელი და ბნელი კაცი იყო, მაგრამ მეფეს და ჟანდარმებს რომ ყველაფერი ჯობდა, ეს იცოდა კარგად. მმანდაფიცი იყო ჩემი დათა თუთაშხია და უარს არ მეტყოდა, დარწმუნებული ვიყავი.

მივაგენი, ჯოჯუბებში ელარჯს ჭამდა, არაყს შეეჭეცეოდა და იყო ასე. მოვეუყევი, რისთვისაც მოვინახე. რამდენია საჭიროო, მკითხა. სამი ათასი-მეოთხი. ამდენი ფული სად უნდა ვიშოვნოთო. გაუკვირდა. მევახშის ამბავი ეუთხარი. მაგას ის ჯობია, ფოსტას დავეცეთო. ფოსტასთან და მის კაზაკებთან საქმის დაჭერა რაში მჭირდებოდა, მევახშე ავერ არ იყო?! დაივინა, ფოსტის გაძარცვა აჯობებსო. დიდი ავტიაცია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2.



მომიხდა, სანამ კარგად გავაგებინე მე-
ვახშის ამბავი, — წურბელა, ობობა,
მასწრობელა გველი და ყველაფერი
ერთად რომ არის. გავებით — გაიგო,
მაგრამ მაინც ფოსტაო! სხვა გზა არ
იყო, ძმობა დავაფიცე, მჭირდები და
ზურგი არ მიჩვენო-მეთქი, ნამუსზე
შევაგდე.

ჩაიქნია ხელი, კაიო. ეგებ მე არ
მესმის და მართლა რამე ეშველოს ამ
გაჭირვებულ და დაბეჩავებულ ხალხ-
სო, მითხრა. წამოვიდა.

ბუნავი კაჯა ბულავას ფოთის განა-
პირა უბანში ქონდა. ბუნავი იყო, აბა
რა?! ნალია შელესა შიგნიდან და გა-
რედან, შუაში ჭინჭი ჩამოკიდა. ჭინჭის
იქით ექვსი შვილი და ცოლი ყავდა,
ჭინჭის აქეთ — თვითონ და მისი ფუ-
ლები. ფული შინ რომ ქონდა, ამას არ
უნდოდა ლაპარაკი. ისეთმა კაცმა მო-
მცა ის საქმე, — ტყელით არ იქნებოდა
არაფრის დიდებით, მაგრამ სად და რო-
მელ კუთხეში იყო დამალული, ამის
გამოცნობა ეშმაკს გაუჭირდებოდა. შე-
შინება იყო საჭირო. შეშინდებოდა და
იტყოდა, აბა რა!

იმდენი ძუნწი იყო მევახშე, ძალლიც
არ ყავდა. გადავედით ღობეზე. მთვა-
რე ანათებდა. მსხლის ძირში ღორი
ება და ღრუტუნებდა თავისთვის. ამო-
ვიღეთ მაუზრები, მივეპარეთ კაჯაია
ბულავას ნალიას. ერთადერთი სარკმე-
ლი ქონდა, ღია იყო და იქიდან ისეთი
სიმყრალე გამოდიოდა, კინალამ წაგვაქ-
ცია ორივე. მივაყურეთ. ბავშვები ჭინ-
ჭის იქით სხვადასხვანაირ ხმაზე ფშვი-
ნავდნენ. თვითონ კაჯა ჭინჭის გადმოლ-
მა იყო, ჭრაქს მიჩერებოდა, ნეკი თითი
ცხვირში ქონდა და ფიქრობდა. რაზე
იფიქრებდა, წუბაკი მამაძალი — სეს-
ხზე სამჯერ უძვირესი ნივთი, ალბათ,
გირაოდ წაართვა ვინმეს და იმას თუ
ნატრობდა, ერთ დღეს მაინც გადააცი-
ლებდეს მევაღე სარგებლის მოტანა-
სო.

წავიხვიე პირზე ყაბალახი, გადავყა-
ვი სარკმელში მაუზერი. ადექი, კარი
გაიღე-მეთქი. კაი სანახავი იყო. მარ-

თალი უნდა თქვას კაცმა: ასე განაბული
მწყერზე წამდგარი ძალლი არ მგონია
თითი ისევე ნესტოში ქონდა შეკვეთე-
ბული და იყურებოდა ლულაში. გავა-
ჩხაკუნე იარაღი. იცოცხლე, იმან წამო-
ხტომა და კარის გაღება იკადრა. შევი-
და დათა, ისევე ჯორკოზე დასვა კაჯაია
ბულავა. მოიხადა ნაბადი, მიაყულა
კუთხეში, ამოიღო მეორე მაუზერი,
ორივე წინ დაიღო მაგიდაზე და მიაჩე-
რდა მევახშეს. სანამდე ასე ღომის კა-
კალივით დაბნეული და გამოსტერე-
ბული იყო კაჯაია ბულავა, მანამდე
უნდოდა დაჭირება, თორემ გონს რომ
მოვიდოდა, მერმე ვის რას მიცემდა!
არ დაადგა საშველი დათას, არ ამოი-
ლო ხმა; დაიწყო კედლების თვალიერე-
ბა, ჭერის თვალიერება და, რა ვიცი მე...
მივაშვირე მევახშეს მაუზერი და,
ამოალაგე ფულები-მეთქი, დავუსისი-
ნე! მოიხელა კაჯა ბულავამ, გაიცინა,
სად მაქვს, მე უბედურს, ფულებიო.
ფულები მქონდეს, ნალიაში რა მინდაო
და სხვა მისთანები. მივხვდი, გონს მო-
ვიდა მევახშე და აწი უარესად უნდა
მივწოლოდი. ამოალაგე ფულები, თვა-
რა, გავისტუმრებ საიქიოს, შე წურ-
ბელა-მეთქი, მივაყვირე, სასროლი და-
ეუმიხნე და ფეხს დავაწეკი. არ მომკ-
ლაო, დაიჩურჩულა, დიდი ზანდუკი
იღვა, ახადა თავი იმას. დაიწყო უნაგი-
რების, ჩოხების, ჩაქურების, ხმლების,
ქალამნების, ხანჯლების ამოლაგება —
მთა დააყენა! ჩამოჯდა ჯორკოზე, ეს
არის ჩემი ქონებაო, თქვა და გაინაბა.
ადექი, ზანდუკში ჩაიხედე-მეთქი, ვა-
ნიშნე დათას. ადგა დათა, ჩაიხელა ზან-
დუკში, დიდი დავთარი ამოიღო იქი-
დან, ისევე მაგიდას მიუჯდა და გადაშა-
ლა. ქვეყნის თამასუქებით და საბუ-
თებით იყო დავთარი საესე. ავერ მო-
მეცი-მეთქი. დახურა დათამ დავთარი
და გამომიწოდა.

იყვირა მევახშემ:

— გოჯაბა, ცაბუ, ბიკი, კიკუ, ცუცუ,
დომენტი!.. წაიღეს ჩენი თამასუქები
ყაჩაღებმა, ვააა-ვა, შვილებო! ვააა-ვა!
გამოწოდებული ხელი ჰაერში გაუ-



შეშდა დათას. მართალი თქვას კაცმა, მეც არ მოველოდი იმხელა ყვირილს. დავიბენი, პაწა. ვადაიწია ჭინჭი, გამოხსნდნენ ბავშვები შაშვას ბარტყებივით, ავივლდნენ—გაძლვატყავებულები, ყვირთლები. იქ ამბავი დატრიალდა — გატრეტელი მთვრალი სურებლები რომ ხასანბეგურას იტყვიან — ისეთი!.. დანახა კაჯა ბულავამ, გაფუქტით კაძახები. დაწვა იატაკზე, დაიწყო ფეხების ღრიღინი და „ვააა-ვას“ ყვირილი უარესად, ეშმაკის ფეხმა. ამასობაში, პატარა ჭიშკარი ქონდა ეზოს, იმის ჭრიალი გავიგონე. მივხვდი, კაჯაიას ყვავა ბრუნდებოდა პორტიდან. იმხელა ფულის პატრონი, ცოლს, ექვსი შვილის დედას, საღლაც, კანტორაში იატაკებს ახეხიებდა კიდევ. ქალთან, ექსპროპრიაციისას, მტერმა და ოხერმა დაიჭირა საქმე. მისი კივილი და გაწევ-გამოწევა აკლდა იქაურობას?! გავიქეცი ჭიშკარისკენ, ღორი რომ იყო დაბმული, იმ მსხლის ძირში შევყვარე ქალს. მივაშვირე მაუზერი. ჩაუვარდა დედაკაცს ენა. ნალიაშიც მიჩუმდა ყველაფერი. გამიკვირდა ძალიან — რა ქნა და რა უთხრა დათამ იმისთანა იმ აწრიალებულ ხალხს, აქამდე არ ვიცი! რა მექნა აწი ამ ამარი დედაკაცისთვის? საქნელი დროზე უნდა მექნა, თვარა, გონს მოვიდოდა და ისეთ დღეს დააწევდა, გასაქცევად შეგვექნებოდა საქმე. ხილაბანდებით ქონდა თავი წაკრული, მოვხადე. ერთი დავკუჭე და პირში ჩავტენე. მეორეთი ტუჩები წაფუკარი. ახლა? შემოვიხსენი ქამარი, ხელები ზურგზე გავუკოჭე და მსხლის ძირში მივაგდე. ღორი რომ იყო დაბმული, ავუშვი ის ღორი, — გამხდარი, ძვალი და ტყავი ღორი იყო, — ის ჯაჭვი ხელებზე დავადე ქალს. დაწეკი-მეთქი! დაწვა. ღრუტუნის, არ ვავიგონო, თვარა, მაგ ღორის ნეხზე დავაკლავ-მეთქი, ვუთხარი და წამოვედი ჩემი სარკმლისკენ. ჩუმად მივეპარე სარკმელს, ბნელში გავჩერდი, ვიფიქრე, ბავშვებმა არ დამინახონ, თვარა, ისევ კრიმანკულს დაცხებენ-მეთქი. მივაყურე. კა-

ჯაია ბულავა და დათა თუთაშხია, სწორედის მერმე ქალები ორღობეს რაფა მოუყვებიან და ჭორაობენ, ისე მუსაიფობენ, სწორედ:

— ავერ, მარტო ამ თამასუქებში ასი ათასი დავითვალე უკვე. დამპალ ნალიაში რომ გიზის ეს შენი სისხლი და ხორცი...

— დათა-ბატონო, მეც ავერ არ ვარ, ამ ნალიაში? — მოუჭრა მევახშემ.

— მაგას ვამბობ სწორედ. ფული რად გინდა, აბა!.. წამოდექი, ახლა, დაჯექი ავერ და ნუ იყვირებ ტყუილად, შენი ყვირილის კაცს არ ეშინია!

იცოდა მევახშემ, არკაცს რომ არ ეშინოდა, მაგრამ დათა ვერ მიხვდა: თავის შესაცოდებლად იყო, რომ ყვიროდა.

აღა მევახშე, მიუჭდა მაგიდას.


დათამ ხანდისხან ისეთი ლაპარაკი იცოდა, რაშიც გინდა იმაში დაჯარწმუნებდა. ელაპარაკოს, ვიფიქრე, პატარა ხანს, ეგებ გახდეს რამეს და უღადარაბოდ მოგვცეს ფული მევახშემ

— მითხარი, ახლა, რომ გვეითხები, — აუხირდა დათა. — ამ სოროში თუ გამოახრჩობ შვილებს, ფული რაღად გინდა მაშინ?

მოაწვა ნალიას, მე რომ მსხლიდან ღორი ავუშვი, ის ღორი, შემოალო კარი და უღლიანად შემოვიდა შიგ. კაცს ხმა არ დაუძრავს მისთვის. დატრიალდა ღრუტუნ-ღრუტუნით, რაღაცის თლაფვა დაიწყო ძირიდან.

— ასი ათასი რა ფულია, დათა-ბატონო!.. ავერ, პორტში რომ სიღოროპულო-ბერძენია, გეცოდინებათ, ალბათ... — კაჯაიას უფროსი გოგო ღორს გაუჭავრდა. მიუბრუნდა გოგოს მამამისი: — იყოს აქ. ნახავს რამეს, ნამცეცი იქნება, შეჭამს... დათა-ბატონო, სიღოროპულო-ბერძენი გეცოდინებათ, ალბათ. იმ ბერძენს ერთი მილიონი ასრულებული აქვს უკვე და მეორე

ვახუშა აშირაჯიანი
დათა თუთაშხია



დაიწყო კაი ხანია. ფულმა ფული უნდა მოიგოს.

კაჯაია ბულავა კიდევ რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ დათას მისთვის ყური აღარ დაუგვია, ფიქრობდა. მერმე, როცა მევახშე გაჩუმდა, მიამტერდა თვალებში და ჩაილაპარაკა:

— დაუღუპიხარ ფულს, კაჯაია-უბედურო! — კიდევ ჩუმად იყო დათა, პატარა ხანს, და დაუმატა: — ნავთი თუ გაქვს?

— ნავთი? ნავთი სად მაქვს, დათა-ბატონო, ნავთი მდიდარი კაცის საქმეა...

— კაი. მითხარი, აბა: რომ გაჩნდეს ცეცხლი შენს ნალიაში და რომ დაიწვას ყველაფერი — ეს უნავიგობები და ჩოხაჩაქურები, ეს ქამარ-ხანჯლები, ეს თამასუქების დავთარი და ის ფულებიც რომ დაიწვას, სადღაც აქ შენახული უემპეველად რომ გაქვს, მითხარი, თუ კაცი ხარ, რას იზამ მერე?

კაჯა-მამაძალს ფერი წაუვიდა, დედას ვფიცავარ, სიბინდის ნაჭურვივით გათეთრდა და კინადამ გადაიარა ჯორკოდან.

— ფუ ეშმაკს! — თქვა და კაი წმიდანით პირჯვარი გადაიწერა. — სადღაა ჯანი, დათა-ბატონო, რაც მე ამ ფულისთვის გავიტანაჯე, მეორედ ვეღარ ავიტან იმდენს!..

— თვიდან დაიწყებ ფულის გროვებას? — გაუკვირდა დათას.

— ნავთი რომ მკითხე... ბოროტს ნუ ჩაიდებ გულში, დათა-ბატონო, შეილებს ნუ დამიმშვე!

იმ ბავშვებს თუ შიმშილი აკლდა და, რა ვიცი მე.

— არ ყოფილა შენი საშველი, საწვავლებლად მოსულხარ ამ ქვეყანას. კაი, ახლა, კაჯაია-უბედურო, ფული გვპირია. რომ წაგართვა, მოკვდები და კაცის ცოდვა არ მინდა დავიდო. მასესხე სამი ათასი. დაგიბრუნებ, თუ კაცი ვარ.

მევახშემ, მასესხეო, რომ გაიგონა, ისე გაუხარდა, ვითომ იქით ჩუქნიდა ფულს დათა თუთაშხია.

— მქონდეს, დათა-ბატონო, სესხება

რა საკადრისია, ისე მოგართმევი დიო. თქვენისთანა ადამიანს სივფუფუფაშიც კარგებოდა, თუ?!

— დათა თუთაშხია, — გადაველაპარაკე სარკმლიდან, — გირაო დაუტოვე, გირაო და თამასუქის მიცემა არ დაგავიწყდეს, თუ კაცი ხარ!

ვერ მიხვდა დათა ჩემს ნათქვამს, გაუკვირდა, დაყვლიბა თვალები, შემოაშტერდა სარკმელს.

— შე გლახაკო, — მაგის ფასის გირაო მქონოდა, თავს ამ სოროში გამოვახრილობინებდი, სწორედ! — მითხრა დათამ და კაჯაიას მიუბრუნდა ისევე.

მომბეზრდა ეს გაუთავებელი მუსაიფი და არც დათა ჩანდა იქიდან ფულის გამომტანი. შემოვუარე ნალიას, შევეარდი შიგ და დავაყარე კაჯაია-მევახშეს ფეხებში ტყვი:

— ამოიღე ფულები, თორემ დავაცივე მიწაზე, შე წუბაკო მამაძალლო, შენ!

ბავშვები მამამისის ტახტზე რწყილებივით შეხტნენ და მორთეს კივილი. ღორი კარს ეტაკა, გაარღვია, მაგრამ უღლიანად ვერ გაეტია ნარღვევში, გაეკვეტა. ჰერში ქათმები აკაკანდნენ. დაიწყო ნალიამ ზანზარი და ქანაობა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, ახლა დამემხობა თავზე და დამიტანს-მეთქი, მაგრამ სად იყო ფიქრის დრო... ვწყვიტე და ვწყვიტე მევახშეს მუშერის ტარი ფერდებში და ღრანქებში. იკადრა ადგილიდან დაძვრა, გადმოწია ცარიელი ზანდუკი, რაღაც ახლა იატაკს და ჰურის სარეცხავად გადაყუდებული კაცი რომ მინახავს, ისე დაიკარგა წელს ზევით.

— ჩქარა, ჩქარა, კაჯაია-მევახშე! — მივაყვირე და სახალისოდ წიხლიც დავაყოლე ერთი-ორი.

შევეხე დათას, — კაჯაიას მკივან ბავშვებს მიშტერებოდა აბდალივით, კაცის ფერი აღარ ქონდა. ბავშვები მგლის ლეკვებივით წამომსხდარიყვნენ ტახტზე და კაი რომ ჩენი იარალი აყავებდათ, თვარა ნაჰერ-ნაჰერ შეგვჭამდნენ ორივეს.

წავალე წვივში ხელი მევახშეს:

— აეთრიე, ამოიღე, ახლა, თორემ გაგხვებ მოხარშული ქათამივით!

ადგა. არც მკედარი იყო, არც ცოცხალი. კაი მოზრდილი ქისა ეკავა. წავგლიჯე ხელიდან.

— ჩემი ყვავყვა ყოფილიყო აქ — რაღაცას წაიღებდით, დავინახავდი იმას! — ამოიოხრა მევახშემ.

— შენი ყვავყვა მსხლის ძირში, აგერ, ამ ღორის მაგიერ მყავს დაბმული! — ვუთხარი მე.

— უჰ! — დაიძახა დათამ, ეს რომ გაიგონა. წამოხტა, დაავლო ხელი ნაბადს, ეცა კარს, მაგრამ ღორი რომ იყო გაჭედილი, ვერ გადაიარა კარი. აქეთ ეცა დათა, იქით ეცა — ღორს საშველი ვერ დააწია. მაშინ წაკრა კარს წიხლი, გაამტვრია, გავარდა ღორი და მიყვა დათა.

— რამდენია ამ ქისაში? — ვკითხე მევახშეს.

— ხუთასი თუმანი... თქვენ, სამასი არ თქვით?

გამეცინა.

ნუ გაიცინებ, თუ კაცი ხარ!..

გამოვკარი ქისა, ჩავიდე უბეში და ამ დროს იკივლა მსხლის ძირში ჩემმა დაბმულმა კაჯაიას ყვავყვამ. კაჯაია ტიროდა. ბავშვებმა ყვავყვას კივილი რომ გაიგონეს, მთლად გადაირივნენ.

მსხალთან რომ მივირბინე, კაჯაიამევახშის ყვავყვა კიოდა, — ცა ძირს ჩამოქონდა! დათა ღორის ჯაჭვს ექაჩებოდა, ვერ გახსნა, ალბათ თვითონ ყვავყვა არ აცლიდა ახსნას და მოგლეჯას ცდილობდა დათა. მთვარის სინათლეზე, ღობის გაღმა, აქა-იქ ვილაღვიდაცები დავინახე. არ მომეწონა ეს...

— წამოდი აწი! მოინახება მაგის ამშვები! — ვუთხარი დათას, მარა არ დაანება თავი.

— ვაა-ვა! წაიღეს ყაჩაღებმა ჩემი სარჩო-საბადებელი! — ყვიროდა ნალიასთან კაჯა ბულავა. — დაიჭირეთ, მოკალით! მაგი დათა თუთაშხიაა, დათა თუთაშხია! ვინც მაგის თავს მთავრობას

მიუტანს, იმაზე ხუთი ათასი მანეთი ვაა-ვა!..

ეს რომ დაიძახა მევახშემ, ღობის იქით თითო-ორიოლა ხალხი რომ იყო, ისინიც საღდაც მიიმალნენ.

მოქაჩა დათამ ჯაჭვს კიდევ და კიდევ, მოვლიჯა, როგორც იყო.

გავიქეციტ გზა-გზა. ვინ დავანება თავი! გამოგვეკიდა კაჯაიას ყვავყვა, ზურგზე ჩემი ქამრით ხელეზგაკოჭილი, რიყეზე ღორის ჯაჭვს მოახოკიალებდა და კიოდა.

მივბრუნდი, ვისროლე ჰაერში ორი ტყვია. დავანება თავი, მაგრამ კივილით, უარესად აკივლდა.

— დათა თუთაშხია! მაგ ფული გასესხე მე, გასესხე! — ყვიროდა კაჯა ბულავა. — მთხოვე და გასესხე! უნდა დამიბრუნო, თუ სინდისი გაქვს! გასესხე!

— კაია, ქე მაინც სარგებელს რომ არ გთხოვს, — ვთქვი მე.

გავედიტ სამშვიდობოს, შევეჯექით ცხენებზე და დათა თუთაშხია მელაპარაკება:

— გითხარი მე შენ, ფოსტაზე დაცემა აჯობებდა!

არა, ისე, არ მოვიქეცი სწორად, თვითონ რომ შევედი ნალიაში, მაგრამ არ გამოდგა დათა თუთაშხია და რა მექნა, აბა?!

ორი წლის მერმე ჩემნი ხალხი ჩავარდა სხვა საქმეზე და ვასამართლეს ექვსი კაცი. ჟანდარმერია მეძებდა მაშინ, პროცესზე ფეხს რა დამადგმევიანებდა, მაგრამ სხვებისგან გვიგე ყველაფერი. სასამართლოზე თურმე ისიც გამოირკვა, რომ ის ტერორისტული აქტი, მე და დათამ რისთვისაც წავართვით ფულეები კაჯაია ბულავას, არ შემდგარა. ჩემი მიტანილი ფული პარტიას ემიგრაციაში მყოფი ხალხისათვის გაუგზავნია და მეფის სატრაპებმა სასამართლოზე ისე დახატეს საქმე, ვითომ,

ვაახუა აპირაქიზი
დათა თუთაშხია



ემიგრანტებს ის ფულები ქალებში დაუხარჯათ და კარტში წაუგიათ. მეც მომცხეს ჩირქი, ბულავასგან წაღებულ ხუთასი თუმნიდან, პარტიას ოთხასი ჩააბარა და ასი თუმანი მიითვისაო. ანარქისტებმა სამასის შოვნა დამავალეს, ოთხასი მიეიტანე და გაქცეული, დევნილი ტერორისტი კაცი ას თუმანს ღავიტოვებდი, აბა რა იქნებოდა! ხომ უნდა მეჭამა, ჩამეცვა და დამეხურა რამე.

დათა თუთაშხიამ ის თუ არ იცოდა, ქანდარმერია და პოლიცია რომ განგებ ცხებეს პოლიტიკურ მოღვაწეებს ჩირქს და ტყუილებს უგონებს ხალხში სახელის წასახდენად, ის მაინც უნდა ცოდნოდა, არალეგალურ ცხოვრებას რომ

დიდი ხარჯი აქვს. შემხვდა ჩემი პირველის მერე და რაცხა ცალი ყბით მომცა სალაში. ეკითხე, ხომ არაფერი მიწყენინებია-მეთქი? არაო, ვაჩუმდა ჯერ და რომ ჩავაცივდი, მაშინ მითხრა: არ ყოფილან თქვენი კაცები კაი კაცები და არც შენ ვარგებულხარო. ას დამიჯერა არაფერი.

რას იქმს კაცი. პოლიტიკურად მოუშვადებელი აღდამიანი იყო. წიგნი და კითხვა უყვარდა, მაგრამ სულ ისეთს კითხულობდა, ტვინს რომ ამახინჯებს და ანაგვიანებს. ბრძოლას თავისი დანაკარგები აქვს, — დავკარგეთ დათა თუთაშხია, არც ერთ პარტიას აღარ გაკარებია, მერე, თავისთვის იყო მარტოდ ბოლომდე.

ზგაზი სხვალი

„...თვით მოხელე და მისი ერთი სამსახურიდან მეორეში ვადასვლა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არც ერთი დიდი თანამდებობის პირის ყურადღება არ მიუბყრია, მაგრამ სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ მუშნი ზარანდიას სახელმა ლალუმივით იფეთქა და, აი, როგორ:

ზარანდიას, როგორც ქანდარმერიის უმცროს მოხელეს, გამოსაძიებლად ჩააბარეს ერთი კონტრაბანდისტის საქმე. ზარანდია მარტო ამას როდი დასჯერდა. მან ქუთაისის საგუბერნიო ქანდარმერიას წარუდგინა ხუთი ტომი, რომელიც შეიცავდა გასაოცარი სიზუსტით დამუშავებულ მასალებს ბათუმიდან ტუპასმდე მოქმედი კონტრაბანდისტული ბანდების საქმიანობაზე და ამ ბანდებთან დანაშაულებრივ ურთიერთობაში მყოფ სახელმწიფო მოხელეებზე. საქმე არა მარტო ფაქტებით ამხილებდა ორმოცდაათამდე კაცს, არამედ ყოველი მათგანის დანაშაულზე წასწრების საშუალებას და ამ ბანდების ერთი დარტყმით შეპყრობის შესაძლებლობას იძლეოდა. გამოსაძიებელი, თითქმის, აღარაფერი რჩებოდა.

თამამად შეიძლებოდა ორმოცდაათივე დამნაშავის პირდაპირ სასამართლოში მიყვანა. ზარანდიამ გაითვალისწინა ზოგიერთი დამნაშავის პირადი, თუ ნათესაობრივი ურთიერთობები თბილისში მყოფ გავლენიან პირებთან და ასეთებს ოსტატურად აუარა გვერდი. ამით მან იმას მიაღწია, რომ მცირედი ყოყმანის შემდეგ საქმემ მსვლელობა მიიღო და ოპერაციის ჩატარება თვით მუშნი ზარანდიას მიენდო. ორი კვირის შემდეგ ფოთის, ბათუმისა და ქუთაისის სატუსალოებში გვეყავდა დანაშაულში მხილებული ყველა პირი უკლებლივ და კიდევ სამი კაცი, რომლებიც შეეცადნენ ზარანდიას მოსყიდვას ათი ათას მანეთად ოქროთი. ესენი ზარანდიამ თვითონვე დააპატიმრა.

ამისთვის ზარანდიამ უფროსი გამოძიებლის თანამდებობა მიიღო, ხოლო კავკასიის მთავარმართებელმა პეტერბურგის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ჩინისა და ორდენის გამო. სანამ პეტერბურგიდან წარდგინების პასუხი მივიღეთ, მუშნი ზარანდიამ გაცილებით რთული და მნიშვნელოვანი ოპერაცია ენახორციელა და ისეთივე წარმატე-

ბით, როგორც წინა შემთხვევაში. ამჯერად მან გამოიკვლია და ზუსტად დაადგინა გზები, რომლებითაც უცხოეთიდან კავკასიაში არალეგალური ლიტერატურა შემოდის, დააპატიმრა შემომტანები და უვნებელპყო რამდენიმე არალეგალური ჯგუფი კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში. ყოველივე ეს ზარანდიამ ფანტასტიკური სისწრაფით შესარულა და მსხვილგონიერი ბრიკებისა და სამძებრო საქმეში ახალი მეთოდების დამწერგავის სახელი დიმიკვიდრა. ამჯერად ზარანდიას დაწინაურება-დაჯილდოებაზე პეტერბურგმა თვითონ იზრუნა.

ათას რეაას ოთხმოცდათხუთმეტ წელს, ანუ თუთაშხიას აბრაგობის ათი

წლის და მუშნი ზარანდიას სამძებრო საგამომძიებლო სამსახურში ყოფნის ხუთი წლისთაზე, ჟანდარმერიის მართველობის ანონიმური წერილის მეშვეობით ცნობილი შეიქნა, რომ მუშნელთებელი აბრაგი და აღზევებული ჟანდარმი მამიდაშვილ-ბიძაშვილები იყვნენ. ამ ცნობამ ერთგვარი შემოფოთება გამოიწვია და მესამე განყოფილებამ საგანგებო დავალება მიიღო, მუშნი ზარანდიას მოღვაწეობაზე მოკვლევა ჩაეტარებინა. მოკვლევამ ცხადყო, რომ მუშნი ზარანდია, დღიდან აქციზის მოხელედ სამსახურისა, თავის აბრაგ ბიძაშვილთან რაიმე ურთიერთობაში შემჩნეული არ ყოფილა...

მოსა ზამთარაჲ

— ერთხელ კეტებთ გაგვლახეს ეს ორი სახელიანი აბრაგი. ნამეტანი დაბეგვილები დავრჩით. მე ფეხი მქონდა მოტეხილი, დათა თუთაშხიას — კისერი გაშეშებული და იარაც გაუმიზნულა მკლავზე. ათ დღეს ცხენებზე ვერ შევჭეპით ვერც ერთი. გასული კაცი ექიმთან მიხვალ თუ საავადმყოფოში დაწვევები. ან სად იყო იქ და იმ დროში საავადმყოფოები.

მისი ბრალი იყო, რომ გაგვლახეს. კაცი თვითონ არის დამნაშავე თუ მოუვა რამე. ამაზე ანდაზაც არის ერთი, ეეე... ვადამიხტა გონებიდან. ის ანდაზა ვითომ სულელ კაცებზეა ნათქვამი, მარა ჭკვიან კაცებს უფრო ემართებათ იგი. ზოგჯერ მოეწყობა საქმე — არ ჩაერიო — არ შეიძლება. ჩაერევი და გაილახები და გვერდში ვინც გყავს, ისიც გაილახება.

ფირალი კაცისთვის ზამთარია ძნელი. საირმის ტყეებში მასპინძელი მყავდა, მასთან ვაპირებდი გამოზამთრებას. დათა თუთაშხია წავიყვანე თან, საირმეზე არ ვყოფილვარო. ავედით. დავმალეთ ჩვენი იარალი შორიხსლოს, თითო რეკოლვერი დავიტოვეთ მარ-

ტო. მივედით მასპინძლისას, სეთური იყო გვარად. მარტო ცხოვრობდა. ოჯახი ქუთაისში ყავდა. ერთგვარი მიწა იყო იმ ადგილებში, — მუშებს ათხრევენება იმ მიწას. არჩევდნენ, რეცხდნენ, აშრობდნენ და ქუთაისში ჩაქონდათ საპალნეებით და ურმებით. ინგლისელები ყიდულობდნენ იქ. ნავთის, წყლის და მისთანების ამოღებაში ყოფილა გამოსადეგი. კაი გვარიან ფულს აკეთებდა. აღრე მასთან ერთი ზამთარი მქონდა ვატარებულნი. მაშინ სამი მუშა ყავდა, მეოთხე თვითონ იყო. თვითონაც თხრიდა იმ მიწას. რომ მოვლილი, მითხრა სეთურმა, კიდევ მესტუმრეთ. დიდი ყაჩაღობა იყო იმ ხანებში, სახელისთვის ჭირდებოდა ჩემი სტუმრობა, სხვები აღარ დამეცემიანო, თვარა, სხვაფრივი? ქონდა ალბათ, დასაცემი და გასაძარცვი.

დათას ვინაობა არ გამიმხელია, სხვა გვარით გავაცანი, თვითონ დათამ ინდლომა ასე:

— ქვაზე მაგარი კაცი, თუ არ იცის

ზაზუა აშირეჯიანი
დათა თუთაშხია

საიდუმლო. ვაიგებენ სეთურისას უზამთრია თუთაშხიასო. დაცხებენ სეთურს, ათქმევიანებენ, კიო, კიო, და ჩააგდებენ საპყრობილეში! ფორიად და ჩაჩავად თუ ვეცოდინები, დააქინდება თავისას, ფორია იყო, თუთაშხიასი არ ვიცი არაფერიო, და დააჯერებს მათაც. ამოკრავენ პანდურს, გააგდებენ.

ფორიად გავაცანი სეთურს დათა. შეგვიპატიეთა. იქ თაბაგარი დაგვხვდა ერთი, ჩემი მარჯვენა ხელიაო. მეღავითნედ ყოფილა წმიდა კვირიკეში. წაიკოჭლებდა პატარას და, ბოღიში ამ სიტყვისთვის, მისთანა ცინგლიანი და გაუშრობელი ცხვირი მეორე არ მინახავს არსად. მის შემაცქერალს საჭმელზე არ მიმივიდა გული. პირველად რომ სეთურისას ზამთარი ვიზამთრე, ეს თაბაგარი არ ყავდა მაშინ. მერე მოუყვანია.

გააწყო თაბაგარმა სუფრა, მოიტანა ყველაფერი და ფეხზე იდგა, სანამ სეთურმა არ უთხრა, დაჯექი ახლაო. რა ხმაზე ლაპარაკობდა ის მარჯვენა ხელი. ვერ გავიგონეთ კაი ხანს, კრინტი არ დაუძრავს იმ ღამეს. ცოტა ხანი გავიდა და სეთურმა გვითხრა, თაბაგარს კაკო ქვიოა და სახელები თუა რამე ქვეყანაზე, ქალის იქნება თუ კაცის, ღმერთის სამსახურში აქვს ნასწავლი, ყველა იცის და ისიც იცის, რომელი საიდან წარმოდგებაო. ამაზე ოჯახში რომ მიხვალ სტუმრად და ბავშვს რომ ეტყვი, რამისილამაზე ხარ, შენ დაურჩი დედაშენსო, და ბავშვი რომ დაირცხვენს, თაბაგარმა სწორედ ისე ქნა: დაბერა ტუჩები, ჩაღუნა თავი, დაირცხვინა და დაიწყო თითების ერთმანეთში ხლართვა. ასე მოკრძალებულად და მორცხვად იყო სულ. ერთი კია, სუფრას ქორივით დასტრიალებდა, ჩიტის რძეს არ გვაკლებდა. კოჭლი იყო, ტანმორჩილი, უზომოდ მსუქანი და მაინც ძალიანი მარდად აუღიოდა ყველაფერს.

მოვრჩით ვახშამს. ოთახი მოგვიჩინა სეთურმა, იყავით, სანამდე მოგებურ-

დებათო, შეგვიპირდა, დედაბერს მარჯვენებთ, გემსახურებათო.

დაწვექით, გვეძინა ერთხანსა ვერც კიამე იყო კიდევ და ეზოში ზარს დაუწყეს რეკვა. მისთანა ალიაქოთი ატეხეს, კაცს ეგონებოდა, იწვის იქაურობა, აპა, ჰე, თავს უშველეთ როგორმეო! გამოგვეღვიძა და ველარ დავიძინეთ. ისაა აღვომას ვაპირებთ, გავიგოთ ერთი, რა მოხდაო, — მოაკაქუნა ვილაცამ. შემოვიხმეთ. ვაილო კარი, დაკონკილი დედაბერი შემოვიდა. წელკავი ქონდა თუ სიბერით იყო მოხრილი, არ ვიცი, მარა მეტი მოკუზვა ნამდვილად აღარ შეიძლებოდა. მაინც ყოჩაღად შემოვიდა, ნამეტანი ყოჩაღად. იმას რა გამართავდა და გაიმართა წელში, რამდენიც შეძლო. წაიღო გაშლილი ხელისგული შუბლისკენ. კარგად გაწვრთნილი სალდათივით მოგვესალმა, მოგვახსენა რაღაც. ნახევარიც ვერ გავიგეთ მისი ნათქვამი. არც ერთი კბილი არ ქონდა, საცოდავს. გაათავა ჩიფჩიფი, ჩამოიღო ხელი, დადგა სმენაზე.

კაი ხანს ვერ დავძარიტ ენა ვერც მე და ვერც დათამ.

— საჭმელიო, მგონია, და კიდევ, ხელ-პირის დაბანას ამბობს, — გადაველაპარაკე დათას.

ისევ დააპირა დედაბერმა მოხსენება. გააჩერა დათამ, ჩავიცმევთ და მერე მობრძანდიო, უთხრა.

წავიდა. გადავხედეთ ერთიმეორეს და დავიწყეთ ჩაცმა.

— ვინ იყო და რა იყო ეს ქალი, მოსე-ჩემო, რას იტყვი შენ? — მკითხა დათამ.

— ვინ იყო და, დედაბერს მოგიყენებთ და გემსახურებათო, სეთურმა რომ გვითხრა, ის დედაბერია, ალბათ. სხვა ვინ იქნება?.. კი, მარა მაინცდამაინც გადარეული რომ მოგიყენა, რაო, ვითომ!

— არაა ეგ ქალი გადარეული. გიყვების ამბავი ვიცი მე.

— გიყვების ამბავი?

— კი ვიცი. გიყვებთან ლაპარაკი მი-



ყვარს მე. ხანდახან ისეთს იტყვიან, იცოდე შენ, ბრძენისაგან ძვირად გაიგონებ მისთანას. არაა მაგ ქალი ვიყი. რაღაც სხვა ამბავია აქ... რა მინდოდა მეთქვა: წუხელის სეთურისას კაი მაგარი მთვრალი იყავი და არ გახსოვდეს, იქნება. ამ ჩვენს მასპინძელს მანამდეც და გუშინაც აბელს უძახდი შენ. აბელია მართლა თუ სხვა ქვია რამე?

— აბელია, შე კაცო, გამოთავყანებულნი კი არ ვარ!

— აბელი თუა, რატომ შემოგაპარა ორჯერ, არქიფო მქვიაო?

— არქიფო მქვიაო?!

მეც გამახსენდა, მართლა შემომაპარა, მარა აბელი და არქიფო ერთი ჭირია-მეთქი, ვიფიქრე. როგორც მოეხასიათებოდა სეთურს, ისე დავარქმევდი და ამის ღარდს არ ავყოლივარ დიდად.

ამ ლაპარაკში ჩაცმა დავასწარი დათას. ფანჯარასთან მივედი, გადავიხედე, ეს ვაიუშველებელი რომ ატეხეს და ქათმებივით უთენია წამოგვყარეს, რისი იყო, მინდოდა გამეგო რამენაირად. პირდაპირ მინაზე მისვლა აბრაგის წესი არ არის, — შორს დავედქვი ფანჯრიდან და ისე გადავიხედე ეზოში. არაფერი, ერთმა კაცმა გადაიარა და მიწურში შეძვრა მგელივით. ბნელოდა, თოვლი რომ არ დებუიყო, ვერც ამას დავინახავდი. ფანჯრის წინ აივანი გვექონდა. ჩვენი ოთახის კარი აივანზე გადიოდა. დედაბერი ამ კარებთან ატუხული დავინახე. მიეჩერებოდა და ვფიქრობ, რომელი გენერლები ჩვენ ვიყავით და რომელი ფელდფებელი მაგი იყო, სალდათურად რომ მოგვესალმამეთქი... ამ დროს, დახრა და დაკუწვა მას არ ჭიროდა და, კარის ჭუჭრუტანას მოუმარჯვა თვალი. არის ასე და ათვალიერებს ჩვენს ოთახს. აფაცურდა რადაცაზე. მივხვდი, მართლ დათას ხედავს და უკვირს, ალბათ, მეორე სად გაქრა, ნეტავიო. ისიც იფიქრა, ეშმაკმა-მამაძალმა, ის მეორე ფანჯარასთან ხომ არ დგას და ხომ არ მხედავს, ჭუ-

ჭრუტანაში რომ ვიყურებო. ერთი ამოხედვა ამოხედა ფანჯარას, მარა ვერ დამინახა, შორს ვიყავი გაჩერებული. ვანიშნე დათას, მივეპარე კარს, ყურთამდე გამოვალე უცბად. ამას აღარ მოელოდა დედაბერი და რანაირადაც იყო წაკუხული ჭუჭრუტანასთან, ისე დარჩა ღია კარში.

— გაიმართე აწი, დედიკო, და შემოდინი შიგ, — უთხრა დათამ.

შემოვიდა, შემოიხურა კარი.

— სხვის ოთახში ჭვრიტინი, სადაური წესია, ბიცოლა! — ვუსაყვედურე მე.

— სადაური წესია და აქაური წესია! უყურე შენ ამ კუდიან დედაბერს, რაფერ გამართულად თქვა ყველაფერი!

— რისთვისაა შემოღებული და ვისი შემოღებულია მაგ წესი, მითხარი, თუ ღმერთი გწამს? — კითხა დათამ.

— ხართ აქ ორი კაძახი და უნდა ვიცოდეთ ჩვენ, რას ფიქრობთ და რას აკეთებთ. აა, როგორ?! მარჩენალმა ყველაფერი უნდა იცოდეს, არ შეიძლება ისე!

— თუ უკაცრავად არ ვიყო და, მაგ შენი მარჩენალი ვინ ოხერია, ნეტავი? — გული მომივიდა ძალიან.

— ვაი შენს პატრონს! — შემომიტია დედაბერმა. — ვისაა, ოხერს რომ უძახი! ოხერიც ხარ და ტილიანიც. სარკეში ჩაგახედა, რას ვავხარ, ნეტავი, შე ღვთის გლახა, შენ!.. — ამ სიტყვებს საკუთრივ მე მეუბნებოდა. — ვინ არის ჩვენი მარჩენალი და არქიფო სეთური არის ჩვენი მარჩენალი, მამა, დედა და ღმერთი. აა!

დედაბერი კიდევ კაი ხანს ილანძლებოდა. დათა ისე უსმენდა, ვითომ სოლომონ წინასწარმეტყველი იდგა მის წინ. მე აქეთ-იქით ვიყურებოდი, სარკეს ვეძებდი, ერთი ჩამახედა, ნეტავი, რას ვგავარ ისეთს, რომ ეს მახინჯი

ზაფხა ავირეჯიბი
დათა თოთაზიბი

დედაბერიც კი შევაწუხებ და შევაზარებ-მეთქი.

— გამაგებინე, დედიკო, აბელი ქვია სეთურს თუ არქიფო? — მოახერხა სიტყვის ჩაყვება დათამ.

— აბელი ერქვა უწინ. ახლა არქიფო ქვია! თვითონ ვადაირქვა. ასეა საჭირო და მიტომ.

სიჩუმე იყო პატარა ხანს და მერე თქვა დათამ:

— კაი, აბა. წავიდეთ ახლა და დავაბანინებ ხელ-პირი.

გავვიყვანა დედაბერმა სახლის უკან, დაგვისხა ტოლიდან წყალი, შეგვაშრალებია ხელ-პირი და ამ დროს ისევ გაისმა ის ზარი და გუგუნე, დილაუთენია რომ წამოგვყარა ლოგინიდან. დასანახავზე გამოვიწვიეთ, გამოვხედეთ იქაურობას.

მე რომ სეთურისას ზამთარი გავატარებ, მაშინ აქ მისი პატარა ქოხი იდგა მარტო. ახლა იმ ქოხის მაგიერ კაი ოლა იყო და მის წინ მოედანს მიწური სახლები ერტყა გარშემო, ბარე თხეთ-მეტე-ოცი. ჯერ ისევ რეკდა ზარი, რომ გამოცვივდა მიწურებიდან კაცი და ქალი, ბებერი და ახალგაზრდა. ყველა სეთურის სახლისკენ წამოვიდა ძუნძულ-ლით. როგორი ფაცაფუცი და პირბენ-მორბენა იყო!.. თხუნულებისთვის გოგირდი რომ შეგებობლებია და ძალთუმრავლესი რომ ამოცვენილა ზოგი სიდან და ზოგი სიდან, — ისეთი სწორედ. ერთ წუთში მიწყდა და მიწყნარდა ყველაფერი, ბუზის გაფრენას გაიგონებდი. მიწყნარდა და მაშინ ვილაყკაცმა დაიწყო ლაპარაკი, მარა როგორი, თუ იცი? როგორი და „პუტი-პუტი-პუტი-პუტი“, — ასეთი. რას ამბობდა და რას ლაპარაკობდა, ჩვენ რომ ვიყავით ამისშორებზე; გელათელი მეღანია ვერ მიხვდებოდა ვერაფერს. რომ გაათავა ამ კაცმა ლაპარაკი, ახლა მიწურებიდან ამომქვარალმა ხალხმა დაიწყო ბუტბუტი. ვერც მათსას გაიგონებდი რამეს, ყველა ერთმანეთის გადასწრებას ცდილობდა.

— წამოდი, მოსე, მივიდეთ ახლოს

და ვნახოთ რასაა, რომ სჩადეს გ. ს. ხ. ლხი, — მითხრა დათამ.

მოედნისკენ გამოვიწვიეთ. ჩერდით და აგერ გეტყვი, რაც ამბავი ენახეთ: ის კოჭლი მედავითნე თაბაგარი, წუხელის რომ გვემსახურებოდა და სეთურმა თავის მარჯვენა ხელად რომ გავგაცნო, საგულდაგულოდ გადახერხლა კუნძზე გასულიყო და გულ-ხელდაკრეფილი იდგა ზედ. მის წინ ორ მწკრივად გამჭრინგული ოცი თუ ოცდახუთი ქალი და კაცი რალაც ლოცვას თუ ლექსს ლაპარაკობდა გაცხარებით. ილაპარაკეს, ილაპარაკეს და გაჩუმდნენ. ისინი რომ გაჩუმდნენ, მაშინ კუნძზე შესკუბებულმა თაბაგარმა ჩაიბუტბუტა:

— ხოლო მომძღვნელმან ჩვენის ბუ-რისა და სარჩოსი, მამამან ჩვენმან უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელ-არს არქიფო, — იცოცხლოს მარად-ქამს!

ნიშანი მისცა თაბაგარმა და დაიწყო ისევ მრევლმა ბუტბუტი.

კაი ხანს იბუტბუტეს, იმსიგრძეს რა დაიხსომებდა, მარა ერთი კია, ყველა ბჭკარი არქიფოთი თავდებოდა და „პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ, პოლიქრონიონით!“ ეს სიტყვა მიტომ დამამახსოვრდა, რომ საჩხერეში იმედაძეს ერქვა ერთს, პოლიქრონიონი, ეს ქართულად მრავალყამიერს ნიშნავს, თურმე.

დამთავრდა ეს ამბავი და თავისუფლად, უბრძანა თაბაგარმა იმ ხალხს.

მოკეცეს ცალი ფეხი მუხლში.

— სპირიდონა სულანჯია, შე მამა-ძაღლო, არ არის შენთვის დღეს სამუშაო! — პუტპუტით გამოაცხადა თაბაგარმა. — პილატე სვანიძემ ჩაცხოს კისერში ერთი და გააგდოს მექედანი.

პილატე სვანიძემ ჩაცხო კისერში სპირიდონა სულანჯიას და მუჭლუგუნით გამოაგდო მწყობრიდან. მსჯავრდადებული კაცი განზე ვავიდა, თოვლზე დაჯდა, მოთქმა დაიწყო, ვაი ჩემს ცოლ-შვილს და ვაი მეო! არავინ მიაქცია ყურადღება სპირიდონა სულანჯიას.

სმენა ბრძანა თაბაგარმა. მერე მარჯ-
ვისსაკენო, მერე ნაბიჯითო, და წავიდა
სადღაც ეშმაკებისკენ ის შემოფხრე-
წილ-შემობლანძული ხალხი.

— საით მიდის ეს ხალხი, დედიკო? —
კითხა დათამ ჩვენს დედაბერს.

— სამუშაოზე.

— ეგერ, ის დაგვალული კაციც სა-
მუშაოზე მიდის, თუ?

— ეგ მიდის, თუ მიდის, თვარა...

— სპირიდონა სულანჯიამ რა დააშა-
ვა?

— მეტი ეკუთვნოდა, მაგ სასიკვდი-
ლეს. არქიფოს უმადლოდეს... — დე-
დაბერმა ენაზე იკბინა და ჯორი შემო-
აბრუნა: — არაა თქვენი საქმე. ჭკუით
იყავით, თვარა, ენახავ თქვენი კულებით
ნასროლ ქვას და ვაი-უბედურებას!

წარმოიდგინე, კრინტი აღარ დაგვიძ-
რავს არც ერთს.

მიყვებოდა გვერდში მდევითენ თა-
ბაგარი თავის ხალხს კოჭლობა-კოჭლო-
ბით და იძახდა:

— ატ, ტვა, ტლი! ატ, ტვა, ტლი!

წავყევით დედაბერს. შეგვიძღვა სე-
თურის სახლში.

მუთაქებით და ჭრელი ბალიშებით
მორთული ტახტი ქონდა სეთურს, იმა-
ზე იყო წამოგდებული. დაგვინახა შე-
სულეები, ადგა, დიდი ამბით ჩამოგვარ-
თვა ხელი. მზამზარეული სუფრა ედგა
წინ. რა გინდა სულო და გულო, ყვე-
ლაფერი იყო ზედ. მიგვიწვია, დაგვსვა
და მერე კითხა დედაბერს:

ხომ კარგად მოუარე სტუმრებს, ასი-
ნეთა?

— უწესო კაცებია ორივე!

მასპინძელმა წარბი შეკრა, დაფიქრ-
და და მიუგო:

— აჰააა!.. კაი, წადი შენ. მე მოვუვ-
ლი ამით.

გაიხურა კარი ასინეთა-კუდიანმა.
გადაგორდა ტახტზე სეთური. იმდენი
იციხა და იხარხარა, მეგონა, ფაშვი ჩა-
წყდებოდა და დასამარხი შეგვექნებო-
და.

იჯერა სიცილით გული, შეიმშრა-
ლა ცრემლები და გვითხრა:

— ასეა, მამა და შვილო, უწესო კა-
ციები ხართ. ხომ გაიგონეთ, რა ეჭმე-
ასინეთამ!

სიმართლე თუ გინდა იცოდე, რაც
იმ დილით ენახე, ისეთ გუნებაზე დაგ-
ვაყენა იმან, მეც და დათაც, ორივე,
რომ იქნებ არაფერი გვეკითხა და ჩუ-
მად გავპარულიყავით, მარა თვითონ
დაიწყო ხუმრობა სეთურმა და შევ-
გულიანდი მაშინ. ვიფიქრე, ვინ რას
გაგვიბედავს ამ ორ სახელიან აბრავს-
მეთქი. მეც იმ ხუმრობის კილოზე ვკი-
თხე ბალიშებში ჩაფლულ მასპინძელს:

— რა იყო, შე კაცო, დამიანა რომ
აგვაყენა მაგ შენმა ასინეთამ!

— ხუთ საათზე ვაყენებ ხალხს. უნ-
და ხედავდეს ხალხი, რომ წესი ერთ-
ნაირია ყველასთვის, თვარა, თვითონაც
შუადღემდე ძილს მომთხოვს და საქმე
დაზარალდება. საქმეს რომ ვამბობ, სა-
მუშაოვარს კი არ ვფიქრობ, — კაცებს
ვფიქრობ, მათი ცხოვრებისთვის და
კეთილდღეობისთვის ვლაპარაკობ...
გრძელი ამბავია ეს, მოსე-ბატონო!..
ერთი სახარება შეგვეწიოს. აგერ, ეს
გადახელილი ნამეტანი უხდება არაყს.

დავილოცეთ, დავლიეთ და კიდევ
ვეუბნები სეთურს:

— სპირიდონა სულანჯიას რომ დაც-
ხეს ამ დილას და კატის ცინდალივით
გამოათრიეს იქედან, ის, რავე, მისი
ცხოვრების და კეთილდღეობის იყო?

— მასეა, აჰა რავე გგონია შენე?!
კაცი შიშს და მოკრძალებას რომ და-
კარგავს, მაშინ გაუბედურდება სწო-
რედ. არ იტყვი, რა აქვს ნათქვამი სპი-
რიდონა სულანჯიას? არქიფო სწორედ
იმდენს გვალევეს, შიმშილით რომ არ
დავწყდეთო! სიმდიდრეს და ფუფუნე-
ბას მოაქვს ყველაფერი გარყვნილება
და უზუნობა. ვთქვათ და მივეცი სპირი-
დონა დოყლაპიას რომ ვაძლევ, იმაზე
მეტი. კიდევ მეტი მოუნდება მაინც და
რომ აღარ ექნება, მაშინ გაუბედურდე-
ბა, — პარვას და შურთანობას მოკი-

ვახუა ამირაჯიზი
დათა თუთაყანი

დებს ხელს. თხა თუ გაძღა, მგელზე ნადირობას მოინდომებს, ხომ გაგიგონა? რა გამოდის აქედან? კაცისთვის კი თუ გინდა, არ უნდა გააძღო და გააღორმუცელო. რატომ თქვა სპირიდონა სულანჯიამ ის, რაც თქვა? გოჭები დაზარდა მაგან. ცხრა იყო, ექვსი მე წამოვიყვანე და სამი მას დაუტოვე. გაყიდა, ფული შეუვიდა ოჯახში და მიტომ. რვა უნდა წამომეყვანა, მისთვის ერთი დამეტოვებინა და არაფერს იტყოდა მაშინ. ასეა ეს. ახლა, ერთ კვირას არ გაიყვანს კაკოია თაბაგარი სამუშაოზე სპირიდონა ყბედს, დააკლდებათ მის შვილებს და ინანებს, რატომ ვთქვიო. სხვისთვისაც მაგალითი იქნება ეს, აღარაეინ იტყვის მისთანას და თვითონ სპირიდონაც სიხარულით ცას ეწევა, ისევე რომ მიცემენ სამუშაოს და საშოვარს. სპირიდონას ნათქვამი დიდი ცოდვია ნამდვილად. თვითონ შეცდა და დაზარალდა, ეს არაფერი კიდევ, მარა სხვასაც რომ წაუჭიკავა და უბიძგა, შენც თქვი და ვაუბედურდიო — ისაა, რაცაა. მე თუ ამ ხალხის პატრონი ვარ, იმაზეც უნდა ვიფიქრო, რომ, რაც ხალხს დააზარალებს და გზიდან გადააცდენს, სანამდე ვაზრდილა და მოლონიერებულა ის, იქამდე უნდა ჩაიქოლოს და ჩაქვავდეს. ხალხზე თუ არ ვიზრუნე და სულ მათ კი ცხოვრებაზე თუ არ ვიფიქრე, ამა რისთვის ვარ მე! მოხვიდე ამ ქვეყანას, ჭამო, სვა, დრო ატარო და ხალხისთვის არაფერი სიკეთე არ ქნა, რა ცხოვრება იქნება ასეთი ცხოვრება?! ორი სახარება შეგვეწიოს! აგერ, ეს დოში მაგ გადახელილზე უკეთესია. ნახეთ, თუ არა.

ნახა ჩვენმა მასპინძელმა, მეც და დათაც გულდასმით რომ ვუვადებდით ყურს, წახალისდა უფრო და განაგრძო:

— ასეა, ჩემო ბატონო! შიში თუ არ აქვს ადამიანს, შიში, — დაიღუპება უეჭველად. მარა მარტო შიშიც არ კმარა. სხვაცაა საჭირო კიდევ. ერთი რომ, კაცი ჩონგურძის სიმით უნ-

და იყოს დაჭიმული სულ. თავის ნებაზე თუ მიუშვი, მოსადგება და დასაბუნდება. დააბუნებული კაცი თავს წაადგება და ვერც ქვეყანას. მერე, რა იცის დააბუნებამ?! ხო, ხო, ხო! ათასი სენი, ავადყოფობა შეუწინდება სხეულს და მიდის კაცი საიქონს. მიდის! რავარც მოაკლებ საზრუნავს და რავარც მოსაყვების და მოდუნების საშუალებას მიცემ, უმოკლდება წუთისოფელი. ასეა ეს. აბა, რატომაა ღამიანად რომ ვაყენებ და სალდათურ ცხოვრებაზე რომ მყავს ვადაყვანილი? აგერ, კუზიანი ასინეთა მასე რომ არ მყავდეს, რა აცოცხლებდა ამდენ ხანს. იცის, სიცოცხლეს რომ ვუგრძელებ და ამიტომაა ჩემი მადლიერი და ერთგული. ახლა, რაა კიდევ, თუ იცით? „გონიერსა მწერთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო“ — კაკოია თაბაგარმა იცის მალმალე ამის თქმა და ნამდვილი ნათქვამია ეს. ადამიანი უგუნურია და მე მათთვის რომ ვარ, ისინი ჩემს წინააღმდეგ და ეშმაკეულის მხარეს არიან. აპაა! სიკეთე თუ გინდა ხალხისთვის, სიყვარული უნდა ჩაუთესო გულში. უგუნური თუა, სიყვარულს რანაირად ჩაუთესავ? მარტო შიშით ვერ ჩაუთესავ. აბა, როგორ? რაფერ და დღედაღამ შენი სახელი უნდა აძახებო და შენი ქება-გაგონო და საკუთარი პირით ათქმევო. თაბაგარი ამისათვის წამოვიყვანე კვირიკედან. დაეაწერინე ლოცვები, — ზოგი ლექსად, ზოგი სიმღერად და ზოგიც ისე. ნამეტანი კარგად და ძვირფასად აკეთებს ამას. უყენია ეს ჩემი ხალხი, ამოვრებიებს დღეში სამჯერ: ერთს — დილით, მეორეს — სამუშაოზე და მესამეს — შინ რომ ბრუნდებიან საღამოთი, მაშინ. დროდადრო გამოცვლა უნდა ლოცვებს. ბერდება ლოცვა და ძალას კარგავს, დიდხანს ერთი და იგივე თუა... დავლით ახლა და მთლად მთავარი რაცაა, გეტყვით იმასაც. სამი სახარება შეგვეწიოს! ზეთისხილს არ ჭამო არც ერთი. არ გიყვართ, ალბათ.

შიატანთ ზეთისხილი, ნამეტანი კაი გემოს დატოვება იცის პირში.

— აბელი რომ გერქვა, არქიფო რატომ დაირქვი? — ლაპარაკის ხასიათზე იყო სეთური და კითხვა თუ იყო, ახლა უნდა მეკითხა.

— რატომ და, აბელი ბერძნულად რას ნიშნავს, თუ იცი? აბელი ნიშნავს... მომამწოდე, ეგერ რომ წიგნი დევს, თუ კაცი ხარ... მასე. აგერ, ა!.. მოფუსფუსე, შეწუხებულ კაცს ნიშნავს და სხვაფერად არარაობას და მოჩვენებას. ბნელი ხალხი იყო ჩემი მშობლები, არ იცოდნენ ეს. ახლა, არქიფო... არქიფო! აგერ, ა. თავლის უფროსს, ცხენთა უფროსს ნიშნავს არქიფო.

— შენმა ხალხმა თუ იცის, ცხენების და თავლის უფროსი რომ დაირქვი?

— იცის, აბა რავა გგონია შენე?! ზალხს თუ უთხარი — ადამიანი ხარო, რას გეტყვის, თუ იცი? ადამიანი თუ ვარ, მაშინ მეც შემძლია შენი მაგიერობა გავწიო და გამოდი მაქედანო. გამოხვალ, დაგდება შენს მაგიერ და გაუბედურდება. ცხენი და სახედარი ხარ-თქვა, უნდა ელაპარაკო! ადვილად იჯერებენ ამას. თვითონაც იციან ასე რომაა, იჯერებენ და წესიერად და პედნეერად არიან. ასეა ეს, მარა პირდაპირ არ უნდა ელაპარაკო, შეპარვით უნდა უთხრა, ქარაგმით!..

ესეც რომ გვასწავლა თავლის უფროსმა, კარს მიაყურა და დაიძახა:

— შე სასიკვდილე ასინეთა, შემოდი ახლავე, ტკიპასავით რომ მოკვირხარ მაგ კარს!

შემოვიდა ასინეთა და ჩვენ რომ მოგვესალმა, ისე მიესალმა სეთურსაც.

— დამითვალე და ჩამიანგარიშე ნათქვამი, ხომ? წადი ახლა და ჩაჯექი ნობახტში შენით!.. ცეცხლის დანთება არ გაბედო, თვარა სამ დღეს არ გაკმარებ, დაგიმატებ კიდევ!

— კი წავალ ნობახტში და ჩავჯდები, მარა შენთვის არ მიგდია ყური მე. ამ კაცებზე ვიყავი მიყურადებული.

— რავა, ამთ ნათქვამს მე ვერ გავიგონებდი, თუ?

— კი გაიგონებდი, მამავ და მარჩენალო, გაიგონებდი, აბა აგერ გაიგონებდი? მარა ორი ადამიანი რომ გაიგებს და მიხვდება ყველაფერს, ერთი კაცი გაიგებს და მიხვდება ისე?

სეთური დაფიქრდა, ხელი ნიკაპზე მიისვ-მოისვა და თქვა:

— კაი. ნობახტში ნუ წახვალ, მიპატიებია. შედი კოკინაშვილისას და მის პელაგიას შეაპარე ლაპარაკში, ამ დილას სპირიდონა სულანჯია მიტომ დასაჯეს, რომ არქიფოზე ულაპარაკია რაღაც და მისი ნალაპარაკევი თაბაგართან კოლზინოვს მიუტანია-თქვა. ვაიმეორე!

დაემხო დედაბერი მუხლებზე და კაკოია მედავითნის შეთხზული ლოცვა — ჩაბულბულების რა მოგახსენო, ენა ღრძილებიდან უვარდებოდა და ყვავის ზახალის ხმაზე ლაპარაკობდა — მარა სხაპასხუპით და ყოჩაღად თქვა. ადგა ზეზე, თავისი მარჩენალის ნათქვამი ვაიმეორა, ისევე სალდათურად გამოემშვიდობა, გაბრუნდა და კარებამდე ნაბიჯი აკლდა, გააჩერა სეთურმა.

— კოკინაშვილის პელაგია თუ არ იქნა შინ, კოლზინოვებისას შედი და მის ტერეზიას შეაპარე ლაპარაკში, სპირიდონა სულანჯიას ნათქვამი თაბაგართან კოკინაშვილმა მიიტანა-თქვა. უკუღმაა ეს, მარა სულერთია. აბა-ჰე!

წავიდა ასინეთა დედაბერი და ისევ ჩვენ მოგვიტრიალდა სეთური:

— ადამიანი სანამდე მარტოა და არავის არ ენდობა, იქამდე ვარგა სხვისთვისაც და თავისთვისაც. პირის შეკვრას რომ ისწავლიან, მერე კაი აღარაფერი გამოვა მათი ხელიდან. მერეა ყველაფერ უბედურ საქმეს რომ ბედავს კაცი. ისე, რომ თქვა ადამიანმა, არ ვქენი ღვთისნიერი საქმე, ასინეთა რომ ენის მისატანად გავაგზავნე.

ვაგაპა ამირაგვიზი
დათა თოთაზხი

ზომ ასე გამოდის, ვითომ? მარა, სინამდვილეში სწორედ ღვთისნიერ საქმეს ვაკეთებ 'შათთვის: ნდობა აღარ ექნებათ ერთმანეთის, მარტო იქნებიან რამდენნიც არიან და ყველა სათითაოდ მოერიდება პირის შეკვრას, ცუდ საქმეს და გაუბედურებას. ბრალი ჩემი, რომ ეშმაკობა მიხდება და განწვალბული ვარ, მარა სხვისთვის კაი საქმის ვაკეთება ძნელია, თვითონ თუ არ დაიჩაგრე და თუ არ დაიტანჯე. დაინანებს თავს კაცი — კეთილ საქმეს ველარ იზამს... სამი სახარება შეგვეწვიოს!

— სამი სახარება იყო უკვე! — შევასხენე სეთურს.

— აჰ! არ ყოფილა სამი სახარება. სამი სახარების მაღლი შეგვეწვიოს... რაცხა, არ ჭამთ არაფერს და მიწუნებთ, მგონია, პურ-მარილს.

არ ღირდა შეტყუება და მეოთხე სახარების მაღლი მესამე სახარებად დავლიეთ. მარა არც მერე აღარ მოგვეშვა სეთური, უზომო დაგვალევიანა კიდევ და რამდენი ჭიკა აწია, იმდენი მექამე სახარება დააჩქვა. არ ჭნა, არ მოუმატა არც ერთი, მამაძალმა. უარის თქმა, სასმელზე იყო თუ საჭმელზე, არ გაგვივიდა არც მე და არც დათას. ისეთები გვიტხრა, ისე შეგვაგლო ნამუსზე, რომ სირცხვილით დავიწვით ორივე. ტიკი არაყი ეთქვა და შამფურზე დატრიალებული დეკეული — ან დავლევდით და შეეჭამდით და ან დავიხოცებოდით.

— წავიდეთ ახლა, თუ გნებავთ და გაჩვენებთ იმ ჩემ სამუშაოს და ჩემი ხალხის საშოვარს, — მოგვთავაზა სეთურმა.

დათამ თავი დამიქიცინა, წავიდეთო. მართალი ვითხრა, სეთურის ლაპარაკის შემდეგ მეც მომიინდა მენახა, სადა რანაირად ირჯებოდა მისი ხალხი.

მალე მივედით და მასპინძელმა ხევს გადაღმა კლდეში გამოქვაბული დაგვანახვა, ისაა მაღარო და იქ მუშაობს ჩემი ხალხი.

— ასე, ორასი საყენი იქნება, მაგ გვირბის სიგრძე. აღმართში თხრიან

და დაღმართში გამოაქვთ ზურგით აქაურობა სულ მასეთი მიწა, მთაც სულ მასეთი მიწაა და მარა ხალხს სარჩო აღვილად თუ აშოვიე, გაფუჭდებიან. ძნელი რომ არიან და იმ სიღრმიდან ზურგით რომ უნდა ატარო — შეგიყვარდება საქმე. სიყვარული რაა, თუ იცით? რაა და, რასაც მეტ შრომას დაახარჯავ და მეტს იზრუნებ და უამაგებ, ის უფრო მეტად გეყვარება. სნეული და ძნელი მოსავლელი ბავშვები რომ უფრო უყვარს დედას, თუ შეგინიშნავთ ეს?.. მარა აქ სხვაც არის კიდევ. აგერ გეტყვით. ხალხის ბედნიერებისთვის რაა საჭირო? შიმშილი — ერთი. ახლა, მთლად შიმშილი კი არა, მარა მთლად სიმამლრეც არაა კაი. მეორე — შიში. სიყვარული იცის შიშმა და ქება-დიდება და ლოცვაც სიყვარულისთვისაა საჭირო, — ორივე ერთად უნდა. კიდევ რაა ხალხის ბედნიერებისთვის საჭირო? ჯანმრთელობა. ჯანმრთელი მაშინ იქნება ეს ჩემი ხალხი, თუ არ მოვადუნე და დაჭიმული თუ მეყოლება მუდამ. დაჭიმული — აუცილებლად. ერთია კიდევ მთავარი და უამისოდ არ გამოვა არაფერი. იმედი! სადაა და შენ უნდა მოვიგონო ხალხის იმედი. მოვიგონე მე ჩემი ხალხისთვის იმედი და ნამეტანი იმედინად მყავს ყველა. იმედი თუ აქვს ხალხს, ზედმეტს არ გაივლებს გულში არაფერს და იქნება ბედნიერად. მოდი, აგერ მომყევით, განახლებთ, როგორი იმედი მოვიგონე ჩემი ხალხისთვის.

გადაუხვია სეთურმა გზიდან, გავიარეთ ცოტა და მივადექით ჭას. ჭის თავზე ბოძი იდგა. ბოძზე კაი მოზრდილი ზარი ეკიდა. ზარის ენაზე წაბმული ბაწარი ჭაში იყო ჩაშვებული. ჭაში კაცი იჯდა და ეჭირა ხელში ბაწრის მეორე ბოლო.

— ეს ის ქონდრისკაცია, დილით თაბაგარმა რომ სამუშაოზე წამოიყვანა. სხვებთან ერთად! — ვიცანი მე.

— კი, ისაა, — დამიდასტურა სეთუ-



რმა. — ხუთ შაურს ვაძლევ დღეში და ყველამ იცის ეს. მუნჯი და ყრუა.

— ზის მასე დილიდან ღამემდე და უჭირავს ხელში მავ ბაწარი? — იკითხა დათამ.

— კი. მანდ ზის და უჭირავს.

— რას აკეთებს ამსიღრმე ჭაში, მავ დალოცვილი? — კაი ღრმა იყო ის ჭა და გამიკვირდა, წყალი რომ არ იდგა შიგ.

— იმედს აკეთებს, მოსე-ჩემო, ე, იმ ხალხის იმედს! — გვითხრა სეთურმა და ხევის გადაღმა მალაროსკენ გაიშვირა ხელი.

— კაცო, ღმერთი ცაშია, მის იმედად ჩემი მტერი დადგეს თუ უნდა, და ამ ჭაში ჩავდებულნი კაცის იმედი ვისაა, რომ აქვს!

— გეტყვით აგერ და გაიგებთ, როგორ მაქვს დაყენებული საქმე. ხალხი გაღმა გამოქვაბულში რომ თხრის, მათი ხერელი აქ მოვა, ამ ჭაში და მის იმედზე არიან.

— მოიცა, არქიფო, თუ კაცი ხარ! — შევაწყვეტინე ლაპარაკი. — შენ თვითონ არ თქვი, ის ხერელი სულ აღმართში მიდის და იქით მიდისო?!

— კი. ვთქვი. რაა მერე?

— რაა და ის შენი ხერელი თუ სულ უფრო ცილდება ამ ჭას და აღმართში იწევს სულ, რანაირად გამოვა გამორღმა და რანაირად გამოიხედავს ჭაში?

— არც გამოღმა გამოვა და არც ჭაში გამოიხედავს. იმ მთას ხომ უყურებ შენ? მავ მთაში იტრიალებს ხერელი და არსად არ წავა იქედან! ასეა ნანანგარიშევი, — თქვა სეთურმა.

— ხალხმა თუ იცის ეგ?

— იცის, ამა რავა, მარა ადვილი საცოდნელი რომ არის, რას ფიქრობს ხალხი თუ იცი? რას ფიქრობს და. ჩვენ რომ ასე ადვილად ვწვდებით ჩვენი უკეთით მავ საქმეს, სხვანაირად არის, ალბათო. ასე მტკნარ ტყუილს სეთური როგორ გვეტყვის და გამოვა ჭაში ეგ ხერელი ამა რას იზამსო.

— ეს ზარი რისთვის კილია აქ და ქონდრისკაცი რატომ ზის ჭაში? — კითხა თუთაშხიამ სეთურს.

— ზებო ქვია მავ ქონდრისკაცი გრძნეულიაო, სახელი აქვს დავარდნილი და ას საყენზე რომ მოაწევს ხერელი, გაიგებს ზებო. გაიგებს თუ არადა, ჩამოკრავს ზარს. რანაირად ელიან ამ ზარის დარეკვას, თუ იცით? აქეთ აქეთ ყურები გამობასრული სულ. ვაბირებ, მოვეუმატო რამე, მარა რანაირად მოწყვება საქმე, იმაზე კილია ყველაფერი. ერთია კიდე: ახალი ფანდის მოგონება ჯობს სარჩოს მომატებას. უფრო საიმედოა ეს, მარა მოგონება არ გინდა?!

დათა თუთაშხიას სიცილი აუვარდა. იკავა თავი, იფარა პირზე ხელი, მასპინძელს არ ეწყინოსო. არ გამოუვიდა არაფერი.

ჩაიხედე ჭაში. ქონდრისკაცი მალმალე კლდეს ადებდა ყურს და ჩურჩულებდა რაღაცას.

— ყრუ არისო, ასე არ თქვი?

— ვთქვი.

— მერე ყრუ თუა, რას გაიგონებს, ეგ უბედური?

— მოსე-ჩემო, ამდენი რომ ვილაპარაკე, ვერაფერს ვერ მიხვედრილხარ შენ და თავიდან ლაპარაკი ძალიან მეზარება ახლა, — გული მოუვიდა სეთურს. — იქნები ამ ზამთარს აქ, მიაცურებ და ნახავ აქაურ ამბებს. გაიგებ, მართალი რომ ვარ, გაზაფხულისთვის. დათამ თვალი მიქნა.

— ნულარ შეწუხდები, არქიფო-ბატონო. მაღლობელი ვარ დიდი. წავალთ აწი ჩვენ, დავისვენებთ პატარას და მერე ვიმუსაიფოთ კიდეც.

— კი, ბატონო, მიბრძანდით. საღამოთი, ვახშობისას, უფრო კარგ ამბებს გეტყვით კიდეც, — დაგვიმელა სეთურმა.

გამოებრუნდით. დათასი არ ვიცი და მე ისე მქონდა თავი, ვითომ ათასი ჭრიჭინა მყავდა შიგ და ყველა ერთად სხვადასხვა ხმაზე ჭრიჭინებდა.

მავთა ამირეჯიბი
დათა თუთაშხიანი

— სადილს ასინეთა მოვართმევთ, იცის მან, — მოგვაძხა სეთურმა.

წამოვედით. ვიარეთ ერთხანს ჩუმად. წყარო იყო გზად. გავისველეოთ პირი და დათა მეუბნება:

— რა ვქნათ აწი, მოსე? ვიყოთ აქ თუ წავიდეოთ სხვაგან?

ასეთ ბედნიერ ადგილს სხვას საღ ვიპოვნიდით ეს ორი აბრაგი! მე შენ გეტყვი და სტრაჟა ამოვიდოდა იმ გადასაკარგავში, ანდა სმა-ჭამას და მოსვენებას მოგვაკლებდა მასპინძელი.

— სხვაგან რატომ უნდა წავიდეოთ, დათა-ბატონო!

— ეს ბოროტი კაცი და მის ხელში ჩავარდნილი ხალხი ძნელი საყურებელია მეტად. ჩემი ხასიათის პატრონი გადავეყრები რამე უბედურებას და სხვასაც უარესს შევამთხვევ, ალბათ. ვიცი მე ეს, პირველი არაა. ახალგაზრდა კაცი ვარ, შედარებით, მაგრამ ქვეყანა მაქვს მოვლილი და ასეთი გველესაპის ნახვა არ მომხდენია არსად. ნახვა რაია, — მსგავსი არ გამიგონია და არც წამიკითხავს არაფერი.

ვთქვი ყველაფერი, რაც სათქმელი მქონდა და მეზადა. გლახას არავინ არაფერს გვიპირებდა და თუ დავგიპირებდა ძლიერიანი აბელა... არქიფო, თუ რაცხა ეშმაკი სეთური რამეს, მის საიქიოში გაშვებას რა დიდი ამბავი უნდოდა?!

— დათა-ბატონო, რა ჩვენი საქმეა, რას უშვრება და რას უპირებს ამ ხალხს სეთური, — ვარწმუნებდი მე, მარა დაიჯერე, თურმე, და დაიკარგე აქედან, სანამ გვიან არ არის. — ბოროტებას სჩადის, მართალია, მარა თუ მაგ ხალხს ღვთის რისხვა მამათ ჩვენო გონია, დამნაშავე სეთურია ვითომ? უარესის ღირსნი არიან მაგ ოხრები და მუღრებები! შედგომიან ყმებად და მონებად დაფეხვილ კაკოია თაბაგარს. უნდათ, ალბათ, ყმობა და მონობა, თვარა, ავერ გზა და ავერ სავალი, — იქერს ვინმე, თუ? ასე ვქნათ ჩვენ: თუ დაგვიშავეს რამე და თუ იმდენი დაგ-

ვიშავეს, წასვლამ რომ არ იკმაყოფილოს, მაშინ ვადავეილოთ კაპზე ხურჩინილით აქეთ სეთური, იქით თაბაგარი და ისე წავიდეოთ.

იფიქრა დათა თუთაშხიამ კაი ხანს და გადაწყვიტა:

— იყოს მასე. ამ შუა ზამთარში არ მიმიწვეს მაინცდამაინც გული სხვაგან.

დავიძარით ისევ.

ვასული კაცისთვის, სიორმეზე იქნება თუ სხვაგან იქნება, გზებზე და ბილიკებზე სიარული არ ვარგა არაფრად. ვასულმა კაცმა ისე უნდა იაროს, რომ გზას და ბილიკს ზემოდან ხედავდეს. ხომ გესმის, რაფრად ველაპარაკებნი? ზემოდან! მოვდივართ ასე, ტყე-ტყე, გზას მოშორებული. გაჩერდა დათა და გაიხედა იქით, ხევის გადაღმა.

— მოსე-ბატონო, ეგერ იმ ბუჩქნარში რა ხდება, თუ მეტყვი?

დავაკვირდი.

— თვალი თუ არ მატყუებს, ბოვშეები გადარბიან და გადმორბიან, თამაშობენ. ომობანა იქნება ან ყაჩაღობანა. ხის ხმლები უკავიათ და მშვილდისარებიც აქეთ, ეგერ, ე!

— კაი ორმოცი, ორმოცდაათი იქნებიან.

— კი, იქნებიან.

— ამ ერთ მუჭა გასაცოდავებულ ხალხს ამდენი შვილები ვინ მიცა, ნეტავი!

— ღმერთმა, დათა-ბატონო. მშვიერ-მწყურვალისთვის ღმერთს ბოვშეები არ ენახება, ქე იცი ეს შენ.

იყო ერთხანს დათა ჩუმად და მიიხარა:

— ბოვაზე ნუ გადავივლით. არც წესია და... რას იტყვი შენ?

არ ვადავსულვართ ბოვაზე. ჩავედით ხევში, მოვიტყვიოთ სული და ავეყვით აღმართს. კაი გრძელი აღმართი იყო და ნამეტანი ძნელი ასავალიც. ბოვიარი ხელმარჯვნივ მოვიტოვეთ, ასე, ორას-სამას ნახიჯზე. ირიბად მივდივართ და სულ უფრო ვცილდებით ბოვას. ნახევარი რომ ავიარეთ, სიმღერა-

მოისმა, ბოგა რომ იყო გადაგდებული, იმ ადგილიდან.

— იქ არიან ისევე, — ვთქვი მე.

— ბოვშევებზე ლაპარაკობ?

— დიახ.

დათა თუთაშხიამ გაიცინა:

— ვაი, თუ არ გამოვიდეს ისე, მე რომ მეგონია და შევრცხვები კაცი. მშვიდობით მიგვიყვანოს ღმერთმა ასინეთასთან და გეტყვი მერე.

კაი, ბატონო, მარა ვერ მოვისვენე, ვერ იქნა. ჭია რომ ფიცარს შეუჩნდება, ისე შემიჩნდა რალაც.

— თუ სასაცილოდ გვაქვს საქმე, მითხარი, შე კაცო, და გავიცინებ მეც! დაინახა დათამ, რომ მეწყინასავით და მითხრა:

— ბოგასთან ორი თუ სამი ბიჭი რომ დატოვეს ბოვშევებმა, იმღერეთო, ჩვენს მოსატყუებლად ჭირიათ ეს. თვითონ აქ არიან სადმე ჩასაფრებული და დაგვეცემიან მალე, ნახავ, თუ არა.

იმის გაფიქრება მოვასწარი მარტო, რასაა ეს კაცი რომ მელაპარაკება-მეთქი და დაიკვილა ვილაცამ, მარა რა დაიკვილა, თუ იცი!.. აქანა რომ დამკრა ქრუანტელმა, ე, იქ ჩაიტანა ყრიალი, ქუსლებში. იმ მამაძალს, ვილაც იყო, არ ქონდა ჯერ ბოლომდე დაკვირვებული, რომ ერთად იღრიალა ორმოცმა თუ ორმოცდაათმა ბოვშევმა და წამოვიდა ქვის, გორახის, ჯოხების, ისრების სეტყვა. შურდულის ზუზუნნი დააყენეს მისთანა, რომე ცას რომ ექუხა და ჩამოქცეულიყო, იმას ვერ გაიგონებდა კაცი. გაგშტერდი და სანამდე ნიკაში არ მომხვდა მუშტისხელა ქვა და ღრანჭი არ მომიქცია, ასე, ა, — ვერ მოვიცვალე ფეხი... იბრუნე დათა თუთაშხიამ პირი და დაეშვა დაბლა. ისეთი თავპირისმეტრევიით და შიშით გაქცეულს თუ როდისმე ვნახავდი დათა თუთაშხიას — არ მეგონა, სწორედ... პირი იბრუნაო! წამოიშალა ის — სად და რანაირად ჩამალულ-ჩასაფრებული ბოვშევები და წამოვიდნენ, მძორზე სვავების გუნდი რომ წამოვა, ისე.

„აწი გჭირია კაცობა, მოსე ზამთა-

რადე!“ — გავფიქრე მე, შევვაპარე უბეში ხელი, ვიშიშვლე რვეოლტორში და ვისროლე. ეს ღომნია, თურმე, და სხვა არაფერი: ზოგი მიბრუნდა და გაიქცა, სხვებმა დაყარეს ქვები და შემომცქეროდნენ პირლია და გაფითრებულიები.

— ფეხი არ გამოადგას ვინმემ, თვარა, დაგხოცავთ სათითაოდ, თქვე გველის წიწილებო და ტურის ლეკვებო, თქვენ! — მაინც ვიყვირე კიდევ.

ქვემოდან დათა თუთაშხიას ხმა მომესმა:

— მოსე, არ შეგცდეს, შიშმა არ ავითანოს და არ დაიდვა ბოვშის ცოდვა, არ გაგწყრეს ღმერთი!.. რას გუუბნებოდი მე შენ, ბოგასთან რომ სამღერად ბიჭები დატოვეს-მეთქი... არ გჯეროდა, ხომ?

— რას გვერჩიან, ეს გასაწყვეტლები, თუ იცი? — ჩავძახე, მარა სიცილით კვდებოდა და არ გამოცა პასუხი.

— ვინ ხართ, თქვენი სინსილა გაწყვი, და რა ვინდათ ჩვენგან! — კვითხე იმ ხალხს.

ხმა არ გაუღია არავის. შეკრეს ტუჩები და იყვნენ გაბუსუნებული.

ამოვიდა დათა თუთაშხია ხრამიდან და მეუბნება:

— ველურები არიან აგენი. უცხო კაცი არ დაუნახავთ, ისე გაიზარდნენ. მატარებელი კი არა და ეტლი რომ დაინახონ, ქვას ესერიან უეჭველად, ბოვშევებთან და დედაკაცებთან ჩემ მტერს ქონდეს საქმე. იარაღს მათთან ვერ იხმარ და რომ შეინახავდე...

— ხომ არ ჯაგრებულხარ, დათა-ბატონო! კინალამ დაგვხოცეს, ამ ძალისშვლიებმა. იარაღს ვერ ვიხმარ კი არა... სამარემდე გზა ქონიათ. დაეწყვეტ ყველას! რავა, ბოშო, ჩემი ხელის შემომყრავი ამ საქართველოში კაცი არ მეგულება და...

დედა, რას გავდენ, აუუ! ჩამოდლეზილები, ჭუჭყიანები, გაუბედურე-

ზაზა აიჩრავიზი
დათა თუთაშხია

ბულები. გალიაში ჩამწყვდეული მე-
ლიები თუ გინახავს, სწორედ ისე აბ-
რიალებდნენ თვალებს.

— არ შეშინდეთ, ბიჭებო! — მოუ-
წოდა თავის ამხანაგებს — ერთი გო-
გო იყო — ჩვენში რომ სამ-სამი შეი-
ლი უკვე ყავთ და მეოთხეზე რომ არიან
ორსულად — მისთანამ, — ბოვშევები
ვართ ჩვენ და არ გვესვრიან მაგენი
ტყვიას.

— რა ვქნათ, აწი? — გადაველაპა-
რაკე დათას.

დათამ მხრები აიჩეჩა, არ თქვა არა-
ფერი.

— კაცო, ვინ ხართ და რა გინდათ
ჩვენგან, არ იტყვიო?

— არქიფოს მტრები ხართ თქვენ!
— დაიყვირა. გოგომ და აილო ისევ
ყველამ თავთავისი ქვა და იარაღი.

— ჩვენ ვართ, გოგო, არქიფოს
მტრები?... არქიფოს სტუმრები ვართ
ჩვენ და ძმასავით ვუყვარვართ ორივე.
ვინ გითხრათ მაგ ამბავი, რავე გეკად-
რება მაგხელა ქალს!

— ასინეთა ბებიათ თქვა და მართა-
ლია ეს!

— შეხედე, კუზიან მამაძალს!.. გაი-
გონე საიდან მოდის ეს ამბავი, დათა-
ბატონო?!

— წადით, ბავშვებო და ითამაშეთ.
აბა, ჰე! — ისე უთხრა დათამ, ვითომ
საკუთარ შვილებს ელაპარაკებოდა.

ჩვენი დაძვრა იყო და დაიძახა ვი-
ლაცამ, არ გაუშვათო! შემოგვიარეს
ყველა მხრიდან, შემოგვარტყეს ალყა...

— მართლა შემომაკვდება, ვინცხა
იქნება! — ვთქვი მე.

— გაჩერდი, მოსე, კარგად იცი ძა-
ლიან, ამ პატარა გოგო-ბიჭებზე იარაღს
ვერ იხმარ და ნუ ლაპარაკობ ტყუი-
ლად.

ასე იყო, მეც მივხვდი, მარა რომ
მოიწვედნენ და რკალი რომ სულ უფ-
რო ვიწროვდებოდა გარშემო, ამას რა
ეშველებოდა, ნეტავი!

იმდენი წლის აბრაგობაში, კატორღა-
ში თუ კატორღის მერე გინდა, რა არ

გადამხდენია — ბოვშევებთან არ მქო-
ნია საქმე არასდროს. გავიხსენებ
ხედე, აგერ, ბიჭი მოიწვესა...
შამფურისხელა ისარს მიმიზნებს...
ეგერ, ე, მთელი გუნდი მოდის, დიდი
ქვეები უჭირავთ ორივე ხელებში და
უბეებში ცალკე აქვთ კიდევ... უკავიაო?
საქმე ისაა, რა ხელს უკავია და რა გუ-
ნებაზეა ის კაცი, ვილაცას უკავია! რა
გუნებაზეა და იმფერი კაცისხორცმო-
შეიბული ბრბო სადმე თუ უნახავს
ძეხორციელს ვინმეს, არ ვიცი მე.

შევხედე დათას, ფერი აღარ ადევს
სახეზე.

— ხმა გაიღეთ, ქე მაინც, თქვე კაი
კაცის შვილებო. არ იტყვიო, რას გვი-
პირებთ? — ვთქვი მე.

— მოსე-ბატონო, სახუმარო საქმე
არ არის ეს საქმე. მასე ვერ გავხდებით
ვერაფერს. მოვიგონოთ რამე, თვარა,
ბავშვის სიკვდილის ცოდვას კისერზე
ვერ ჩამოვიცილებთ და აგენი სამწვადედ
ავქენიან, იცოდე!

დათა თუთაშხია ხელმწიფის ტახტის
ფასად ვერ მოახერხებდა ტყუილს,
ყველამ იცის ეს და ეშმაკობის და სი-
ცრუის ოსტატი, არც მე ვიყავი დიდი
მარა, ნათქვამი რომ არის, გაჭირდება
მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, მარ-
თალია ეს. კაცს რომ გავიჭირდება,
ჰკუა და გონება ხანდახან ისე გიყოჩა-
ლებს და გიმარჯვებს — დრო გაივლის
და გაგიკვირდება, მე ვთქვი და მე გა-
ვაკეთე ესო?!

— რომ ლაპარაკობთ, არქიფოს
მტრები ხართო, ახლა არ ვიყავით ერ-
თად არქიფო, აგერ ბატონი ფორია და
მე ჰაზე?... მტრები თუ ვიქნებოდით,
ჰაზე რა გვინდოდა ერთად? — იმ
ზღარბივით აფაფრულ ჭინკებს და ეშ-
მაკებს ვუთხარი და, წარმოიდგინე შენ,
მოუკლეს ნაბიჯს.

კაი, ბატონო, ვთქვი, ნაბიჯსაც უკ-
ლეს, მარა მთლად კი არ გაჩერებუ-
ლან. მოიწვედნენ და კიდევ უნდა მეთ-
ქვა რამე. რა მეთქვა, აწი? გეტყვი,
რა ვთქვი:

— რა ვნახეთ იქ, თუ იცით? ისეა

საქმე, რომ მამათქვენების ხერგლი სადაცაა უნდა გამოვიდეს ჰაში!

გაქვავდა ყველა და ისეთი თვალებით შემომამტერდნენ, ვითომ ქრისტეს გამოცხადების ამბავი მეთქვას.

— ვინ თქვა ეგ? — ის მკვიანი გოგო რომ იყო, მასაც სანახევროდ ყრონტში გადავარდნოდა ენა.

— ზეზომ! აგერ, ბატონმა ფორიამაც თქვა. ვინაა, თუ იცით, ბატონი ფორია? ბატონი ფორია ხერგლების, გვირაბების და სხვა მისთანა მამაძაღლოების პირველი ოსტატია ამ ქვეყანაზე. ლიხის მთაში რომ გვირაბია გაჭრილი, ვისი გაჭრილია ის? აგერ, ა, ბატონ ფორიას გაჭრილია! სეთურმა სავანგებოდ ამომავანია ქუთაისიდან ბატონი ფორია და ისეა საქმე, რომ ზეზომ აგერ-აგერ უნდა ჩამოკრას ზარს და მერე ნახეთ თქვენ!..

ვთქვი ეს და იღრიალა ყველამ ერთად, დაიწყო მიწამ ზანზარი და ზეცამ ქანობა. უნდა ვთქვა მართალი, კილამ ძირს დამავდო ელდამ: ისევე შეტევაზე გადმოსვლა მეგონა, მარა, თურმე, სიხარულისგან ღრიალებდნენ და მომეშვა გულზე.

— მოიცათ, გაათავეთ ყვირილი! — დაიძახა გოგომ. — გაჩუმდით ახლავე ყველა!

გაჩუმდა ყველა.

— არქიფოს მტრები თუ არა ხართ, რატომ არ გიხარიათ თქვენ! — თქვა გოგომ.

— ჩვენ არ გვიხარია? ჩვენ რომ გვიხარია, ვის უხარია ისე!

— რატომ არ იყვირეთ, თუ გიხარიათ?

— ვყვიროდით, აბა არ ვყვიროდით? — კი ვთქვი, მარა ვერ დავაჭერე ვერავინ.

— ფეხი არ მოიცვალთ არც ერთმა! — გვიბრძანა გოგომ.

ნამეტანი ახლოს მოვიდნენ ის მოსახლობები. გრძელი, წვეტიანი, მარგილივით კეტი ეკავა ერთს. ემძიმებოდა, ალბათ, და მკლავი რომ დაეღალა და

დასვენება რომ იფიქრა, იმ კეტის წვეტი ქამარზე დამანდო.

დედა, რაფრა იყო გამახული! გაიყვანა გოგომ განზე ხამი მოზრდილი ბიჭი. იჩურჩულეს რაღაც და დაბრუნდნენ ისევე.

— ახლა გამოჩნდება, თუ გიხარიათ. იმღერეთ ჩვენთან ერთად!

აწია ერთმა ცხვირმოუხოცელმა ღლაპმა ხელები ლოტბარივით და დაიწყო სიმღერა. შენს მტერს! თაბაგარი დილაობით რომ ლოცვას ალაპარაკებდა იმ ხალხს და ყველა ბწყარი რომ არქიფოთი მთავრდებოდა — ის სიმღერა იყო. დათამ და მე არც სიტყვები ვიცოდით მისი და არც ხმა. მღერიან ისინი, ვდგავართ აწურულები რომ არ ვმღერით, ბრანდებიან თანდათან და გვეცემიან სადაცაა, ალბათ. რა გვექნა და რა გვეღონა, ამის ფიქრში რომ ვარ, მომეწვა მუცელში ის გამახული მარგილი, ჩემს ქამარზე რომ იყო ჩამოსვენებული. ასე სიმღერა-სიმღერაში დაგვხოცავენენ, ლაპარაკი არ უნდოდა ამას.

— არ ვიცით მაგ სიმღერა ჩვენ! — ვიყვირე მე, — კაცო, გვასწავლეთ ჯერ და ერთად ვიმღეროთ მერე.

გაწყვიტეს ხმა. დავექით კი ძმა-კაცებივით და დავიწყეთ სწავლა. არაფერი ძნელი არ იყო, რომ თქვას კაცმა. დაფხვილ თაბაგარს მისი მრევლის ჰკუის კვალობაზე ქონია შეთხზული სიმღერები. ადვილად ვისწავლეთ ორივემ. დათა იყო კარგი სანახავი, — ნამეტანი ცდილობდა, დალოცვილი. რომ ვისწავლეთ, დადგნენ მწყობრში, ჩაგვიყენეს წინ. გამოვარდა ერთი ბზიკივით ბიჭი, სწორედ თაბაგარივით დაიპუტუნა და დავიძარი. დაბამდე სულ სიმღერით და არქიფოს ძახილით ვიარეთ. მერე „პოლიქრონიონი“ გვათქმევინეს სამჯერ და, წარმოიდგინე, შენ, გაგვიშვეს.

შევედით ოთახში, ჩავემხეთ ლოგი-

ზაზუა აშირაჯიბი
დათა თუთაფხია

ნებში. სანამდე სათუოდ გვექონდა საქმე, კი ეშინოდა დათას, მარა მაინც სიცილის გუნებაზე იყო. მოვედით შინ და მოიშალა ჩემი ამხანაგი თანდათან და ახლა დანა რომ დაგეკრა, წვეთი სისხლი არ გადმოუვიდოდა, ისეთ გუნებაზე შეიქნა.

— რას მოვესწარი ამას, დასწყევლოს ზეცა-უფალმა! სალდათობა რომ არ მინდოდა, გააბრაგებამ მიტომ მომიწია და შეხედე, ერთი... ჰა? — ვთქვი მე.

— წავიდეთ აქედან, მოსე-ბატონო, თვარა, ასე ზუმრობა-ხუმრობაში, იმ მიწასაც მოგვათხრევენებენ მაგენი.

ვიწეკით და ვისვენებდით განსაცდელის შემდეგ. არქიფო სეთურის ხალხის სოროებიდან და ბუნაგებიდან სულ სიმღერა და ტაშ-ფანდური ისმოდა. მამის სულს ვფიცავარ, არ გაჩერებულან დამემდეგ.

ასინეთა მობრძანდა, სადილი შემოგვიტანა.

— დღეს ანგელოზია რომელიმე, დღეობაა თუ რაა, ნეტავი, ეს ხალხი რომ მღერის და მხიარულობს? — კითხა დათამ.

— არაფერი დღეობა და ანგელოზი არ არის დღეს.

— აბა, რა დაემართათ?

— რომ არ დაემართიათ და არ აწუხებთ არაფერი, მიტომ მღერიან სწორედ!

შევეკამეთ თითო ლუკმა, მივწეკით ისევ და გვეძინა, სანამ მასპინძელმა ასინეთა-კუდიანი გამოგვიგზავნა, ჩემსას მობრძანდითო.

ნამეტანი უხალისოდ წამოვიდა დათა. არც მე ვიყავი ხასიათზე, მარა წაუსვლელობაც არ ივარგებდა.

შევედით სეთურისას. თავის ბალიშ-მუთაქიან ტანტზე იწვა. გვერდში თაბაგარი ყავდა ჯორკოზე იმ წიგნით ხელში, საიდანაც დილით აბელის და არქიფოს ამბავი გვითხრა. ფურცლავდა წიგნს და ეპუტუნებოდა თაბაგარი თავის პატრონს. სეთურმა გვანიშნა, დაბრძანდით და ჩუმად იყავით პატარა

ხანსო. გვანიშნა, თვარა, არც ვანიშნულა და არც ხმა დაუძრავს. — არ ვიცი გართული იყო, — ნებად არ მიგვიჩნია, — ჩვენსკენ არც კი გამოიხედა. წიგნს ფურცლავდა და პუტუნებდა თავისთვის.

უხერხულად ვივარძენი თავი, მარა რას ვიზამდი. საკმელ-სასმელს არავინ გვთავაზობდა და თაბაგარს მივავურეთ, აბა, რა გვექნა!.. სახელებს კითხულობდა:

— ექვთიმე გულკეთილს ნიშნავს. გამოდგება ეს. ა, მელენტი, — მზრუნველი ყოფილა ბერძნულად. ვუკოლ — ხარების მწყემსი. არ გვინდა ეს. თავლის უფროსი ქე ხარ უკვე და ხარების მწყემსი აღარაა საჭირო. პოლიევქტი... კაია, დიდად სასურველს ნიშნავს. დომენტიც კაია — დამწყნარებელი. აბესალომი — ებრაული სახელი ყოფილა და მშვიდობის მამაა, თურმე. ესეც კაია ნამდვილად — ტიხონ! უპ, ნამეტანი კაია, ბედნიერების მომტანს ნიშნავს და, აგერ ერთი მეგულეობა კიდევ... კალენიკე — ბრწყინვალედ გამარჯვებულია. რამდენია? შვიდი, ხომ? იყოს. გვეყოფა შვიდი: ექვთიმე, მელენტი, პოლიევქტი, დომენტი, აბესალომ, ტიხონ და კალენიკე. დარჩეს ასე?

— მასე დარჩეს.

— სახელებს ხმაზე ვასწავლი ჯერ და ვეტყვი, რასაც ნიშნავს, მარა ერთად ვერ მოგრევიან ყველაფერს და რომელი სახელი რას ნიშნავს, თვითონ სახელებს რომ გაიზეპირებენ, მერე დავასწავლი.

ხელი აუქნია სეთურმა თაბაგარს. წავიდა თაბაგარი და გვეუბნება სეთურა

— ხალხზე ზრუნვას რომ იკისრებს კაცი, არც ძილი უნდა იცოდეს და არც მოსვენება. ცულლუტობა შევატყე ზოგიერთს. არ შეიძლება, აიყოლიებენ სხვებს და ყველა გაუბედურდება. რაა საჭირო ასეთ დროს? რაა და უნდა მოუჭირო! ყველას უნდა მოუჭირო ერთად. დააყენებს ხალხს კაკოია თაბაგარი, ასწავლის, აქ რომ სახელები ვი-

ლაპარაკეთ, ზებირად. სახელებს რომ დაისწავლიან, მერე რომელი რას ნიშნავს, იმას დაასწავლის. შენი კაცის გონებას საქმე შენ თვითონ უნდა გაუჩინო, თვარა, კაცი თვითონ გაუჩენს საქმეს თავისთავს უშენოდ და რა უბედურებას გამოიგონებს, ვინ იცის! შენ რომ გჭირია, ის საფიქრალი უნდა მიცე. მაშინ იქნება მათი საქმე კარვად და ბედნიერად.

— კი, მარა არ კითხავს ის ხალხი თაბაგარს, რად გვიანდა მაგ სახელებს რომ გვასწავლიო? — ვითხე მე.

— აუხსნის ჯერ და აღარ კითხავენ. მაგ ჩემი სახელებია ყველა. აწი ერთი სახელით, არქიფოთი, ვეღარ მასხენებენ. რვა სახელი უნდა ითქვას, ჩემს ხსენებას თუ მოინდომებს ვინმე. აბა, რავა!

— ბოდიშს მოვიხდი თქვენთან, მარა შეუძლოდ ვარ მე. უნდა წავიდე და მოვიხვენო პატარა, — თქვა დათამ, ადგა, დაგვემშვიდობა და წავიდა.

ვერ გავყვევი, მომერიდა, არ იწყინოს სეთურმა-მეთქი. კაი ხანს შევრჩიიქ. ილაპარაკა მასპინძელმა ამ მთის და იმ მთის. მალაპარაკა მეც. რომ წამოვედი იქიდან, შუალამე გადასული იყო შკვი.

შემოვუარე სახლს, მივედი. წამოუხურავს დათა თუთაშხიას ნაბადი, ზის კიბეზე, მიყუდებია მოაჯირს და ასცქერის ზეცას.

შევედით, ჩავწექით ლოგინში. ნაბახურევს ჩამეძინა მალე და არ ვიცი დათამ აღრე დაიძინა თუ გვიან.

უთენია ისევე ატეხეს ზარის რეკვა და აღიაქოთი. ასინეთას მოსვლას აღარ დავლოდებივართ, ჩავიცვით, გამოვედით კარში. გავიდა პატარა ხანი, მოგროვდა ხალხი. დაეწყვნენ. მობრძანდა კაკოია თაბაგარი, შედგა თავის კუნძუე. თქვეს ჯერ ლოცვები. მერე აუხსნა თაბაგარმა, დღეის იქით მარტო არქიფოდ გიხსენებიათ ჩვენი მამა და მარჩენალი, — არქიფომ იცოდეს და თქვენო! ჩამოუთვალა ის შვიდივე სახელი. გაყურდა ხალხი. მერე ვილაცამ თქვა, და-

გვასწავლე, თვარა, დავიღუპეთ და ის არისო. თაბაგარმა, — გასწავლით, რა რავაო.

— „რომელი არს არქიფო“, — აქამდე თქვით და გაჩერდით, აღარ თქვათ მეტი!

— ხოლო მომძღვნელმან ჩვენი სპურისა და სარჩოსი, მამამან ჩვენმან უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელი არს არქიფო...

— მიუმატეთ მაგას: ექვთიმე, მელენტი, პოლიექტი, დომენტი, აბესალომ, ტიხონ და კალენიკე, — და დაუმატეთ კიდევ, ძველად რომ იყო, ისე: იცოცხლოს მარადეამს!

არაფერი არ გამოვიდა აქედან, ვერ დაიხსომეს სახელები. სამჯერ თუ ოთხჯერ ცადა თაბაგარმა, — მაინც ვერ დაიხსომეს. გაწყრა სეთურის მარჯვენა ხელი, ძალიან გაწყრა.

— ასე უცბად, კაკო-ბატონო?! — თქვა ვილაცამ.

— ლაპარაკი! — დაიბუტუნა თაბაგარმა.

გაწყვიტა ხმა ყველამ.

— რას ნიშნავს ეს სახელები, თუ იცით?

— არ ვიცით.

— საიდან უნდა ვიცოდეთ.

— არქიფოიანა რვაა, ხომ? — თქვა თაბაგარმა.

— რვაა, ვითომ?

— რვაა, რვა!

— გეტყვით ახლა რვავეს, რომელი რას ნიშნავს, — დაიბუტუნა თაბაგარმა. — სახელები ამ საღამოსთვის უნდა იცოდეთ ყველამ. მიგდეთ ყური: თავლის უფროსი—ეს ქე იცოდით თქვენ.

— ვიცოდით.

— აბა, არ ვიცოდით?!

— ვიცით ახლაც.

— სმენა იყოს! მე რომ ჩამოვთვალე ის სახელები ნიშნავს: გულკეთილს, მზრუნველს, დიდად სასურველს, დამწყნარებელს, მამას მშვიდობისას, ბე-

ვაჟა ანთროპოვი
დათა თუთაშხია

დნიერების მომტანს და ბრწყინვალედ გამარჯვებულს. გაიგეთ?

— მასე ვისწავლოთ, კაკო-ბატონო. ქართულია ეგ და უფრო გვეხერხება ჩვენ.

— არ გამავონოთ! ლაპარაკი ახლა! ისე უნდა ისწავლოთ, როგორც ვითხარით. არაფერი არ ვიცი მე!

— კიდე გვასწავლე, თვარა...

— ვადა მოგვეცი, კაკო-ბატონო, ასე ერთ დღეში მაგდენ სიბრძნეს რა ისწავლის!

— კი, ვადა კაი იქნებოდა, ნამდვილად!

— ლაპარაკი! არ იქნება ვადა. ქალაღზე დაწერ, მოგიტანთ და სერაპიონამ ქე იცის ასოების გარჩევა, მოგეხმარებათ სერაპიონა.

გაბრუნდა თაბაგარი ქალაღის მოსატანად.

— ახლა დავიღუბეთ ფესვიანად და ცოლშვილიანად. წლებს დაგვწყვეტს სერაპიონა მისი წილი მიწის თრევით!

— ვინ მიცემს მაგის ნებას! იცის ასოები და უნდა მოგეხმაროს უსასყიდლოდ, აბა, რავა!

— კი, აბა! მე წულის შეკერვაც მხერხება. რა ვქნა აწი, წულებიც უსასყიდლოდ გიკეროთ თუ?

იქ ჩოჩქოლი და ვიი-ვიში ატყდა, კაცს ეგონებოდა კლდიდან გადაყრას უპირებს ყველას კაკოია თაბაგარიო.

— რას შვრებით, ხალხო, რას გავხართ, თუ ხედავთ ამას!—დაიძახა დათათუთაშხიამ და გაინაბა ხალხი. — ერთი დღის მოსული კაცები ვართ ჩვენ, უცხო კაცები... ვინ ხართ, თქვე უბედურებო, რა ჩივის ხართ! რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა აბელა სეთურმა, და, აგერ, ამ მოსასპობმა თაბაგარმა, არ ფიქრობთ?! ვერ ხედავთ ამას?!

— რაო, რას ამბობს მაგ კაცი?

— რას ამბობს და, მარჩენალზე — მამაძაღლიო და თაბაგარზე, — მოსასპობიო!

— მამაძაღლი და მოსასპობიო!

— გავვაუბედუროს უნდა, ხომ!

ერთი წამით გაინაბა ხალხი. მერე

იყვირა ვილაცამ, მაგათ, ბიჭებო! ამის დაძახება იყო და ცოფიანი ქაღალდებით გვეტაკა ყველა... დათას უჩინდეს მარგილი ჩაბხეს, დააგდეს ძირს და ამ დროს დამაყარეს მეც.

— დამბაჩები აქვთ მაგენს! — დაიყვირა ვილაცამ.

თვალის დაფანტებაში აგვართვეს იარაღი და გვირტყეს, მარა რა გვირტყეს!.. სანამდე მობეზრდათ, — იქამდე. რომ მობეზრდათ, გამოიყვანეს თავიდან ჩვენი ცხენები, მიგვაბეს კუდელებზე და გადაკრეს მათრახები. ორასი, სამასი ნაბიჯი გვათრიეს დამფრთხალმა ცხენებმა.

კაი ხანს ვეყარეთ მიწაზე. არავინ არ მოგვკარებია. მოვითქვით სული, გავისხენით, რავარც იქნა, ხელ-ფეხი, მარა სიარული არ შეგვეძლო და რაფრად ავფროთხდით ცხენებზე, ახლაც ვერ გამიგია. ავფროთხდით და ჯერ ჩვენი იარაღის სამალავს მივაკითხეთ. დიდი წვალუბა გადაგვხვდა იქაც, სანამდე დაექვეითდებოდით, იარაღს ავისხამდით და ისევ შეგვდებოდით. მერე დავიძარით ამ უბელო ცხენებით, მთაში მეჯოგეების კარები ვიცილი; — ავედით იქ და დავბინავდით.

ზამთარი იდგა. მეჯოგეები ქვემოთ იყვნენ, ჭალებში. კაცი პატრონი არ გვყავდა, არც წყლის მომტანი იყო ვინმე, თვარა, პურის ნატეხს ვინ ჩივის. ქე ვთქვი უკვე, ათ დღეს ვერც ცხენებზე შევვქვით, არც პირში ჭადის ნატეხი გვქონია და რანაირადაც ვიქნებოდით, უნდა ამას ლაპარაკი?

მთლად დაბეგვილ-დალეწილები რომ ვიყავით, — ეს ცალკე იყოს. გული ცალკე მქონდა გასიებული. როდისმე ხომ მოვითქვამდი სულს?! ჩავიღოდი, ჩავჯდებოდი ბუჩქებში და სეთურით და მისი მარჯვენა ხელით დაწყებულნი, ქონდრისკაცით გათავებულნი, — სინილას გავწყვეტდი მათსას, მარა დათა თუთაშხიამ არ დამანება:

— მე რომ ადამიანს და მის ზნეს ვხედავ, მოსე-ბატონო, ყველა კაცი ისე ცხოვრობს და ისე იქცევა, როგორც

თვითონ მოსწონს, და სხვა კაცი მის საქმეში არ უნდა ჩაეროს, არ უნდა შეუშალოს ხელი. შენ გატანჯული გგონია და მას უხარია და მოსწონს, თურმე, თავისი დღე და ხვედრი. ჩემი ბრალია ყველაფერი. იქ რომ მითხარი, უნდა, ალბათ, მაგ ხალხს ყმობა და მონობაო — მასე ყოფილა მართლაც. აგერ შენ, აგერ მე და იქ, მაღლა ღმერთი — ფიცი დამიდგია, აღარ ჩავერევი აღარავის საქმეში, სანამდე არ დავრწმუნდები, ჩარევა ჯობს თუ ჩაუტრევლობა. მგო-

ნია, არც ერთი კაცი არაა მისთანა, სხვისი ჩარევის და ბის ღირსი რომ იყოს.

ფოთს იქით ადგილია ერთი, სახელი აღარ მახსოვს მისი. ფერშალი იყო აქ, სანდო კაცი, და პატარა ლაზარეთი ქონდა საკუთარი. სხვა გზა და გამოსავალი არა გვექონდა, — მე მოტეხილი ფეხი უნდა მემკურნალა და დათა თუ-თაშხიას — გამიზეზებულნი იარა.

შევეჩქით ცხენებზე, როცა შევიქვლით, და დავეშვით საირმის მთიდან.

ბრახი სკვილი


...ისინი ერთსა და იმავე ოჯახში რომ ყოფილან აღზრდილი, ეს ჩემთვის მიგნება, უალრესად საინტერესო აღმოჩენა იყო. სამძებრო-საგამომძიებლო პრაქტიკის სპეციფიკა ისიც არის, რომ ხელმძღვანელობა ზედმიწევნით უნდა სწავლობდეს მოუხელთებელი დამნაშავეის ფსიქიკას, მაშასადამე, მისგან მოსალოდნელ საქციელს, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ამომწურავად უნდა იცნობდეს იმ მოხელეს, თუ მოხელეთა ჯგუფს, რომელსაც მისი გამოძღვანება და შეპყრობა აქვს დავალებული. აქ ივლისსხმება პროფესიული და ბუნებრივი მონაცემების კომპლექსი. ხშირად ხდება, მოუხერხებელი დამნაშავეის მდევარი ამოცანას ვერ სძლევს და მხოლოდ იმიტომ, რომ მისი და დამნაშავეის ღირსებები ურთიერთსაწინააღმდეგოა. მაგალითად, ბუნებით მეტისმეტად ეჭვიანი დეტექტივი გულუბრყვილო, უეშმაკო დამნაშავესთან ვერაფერს ხდება, — ვერ წარმოუდგენია, რომ დევნილი ასე მარტივ ხერხებს მიმართავს, და მაშინ ღირსებათა თანაფარდობის საჭიროება იჩენს თავს, დევნილისა და მდევრის ფსიქიკურ მონაცემთა გაწონასწორების საკითხი დგება.

როდესაც სამძებრო დაწესებულებას საქმე აქვს ტრივიალურ დანაშაულთან (ასეთ შემთხვევაში კი თვით დამნაშა-

ვეც მეტნაკლებად პრიმიტიული პირია), მაშინ მისი ძებნისა და შეპყრობის მთავარი იარაღი განზოგადება და დანაშაულის ხელწერის დადგენაა. ეს საშუალებას იძლევა მივკუთვნოთ მისი ჩამდენი გარკვეულ, საკმაოდ ზუსტად ლოკალიზებულ ფსიქიკურ-კრიმინალურ ჯგუფს დამნაშავეებისა და განვაგრძოთ მისი ძებნა დადგენილი ჯგუფის ფარგლებში. ამის შემდეგ გამორიცხვის ხერხი, ბოლოსდაბოლოს, საძიებელ პირამდე დაგვიყვანს და, რამდენადაც პრაქტიკა ამტკიცებს, ასიდან ოთხმოცდაათჯერ — უცდომლადაც.

გაცილებით რთულია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ დამნაშავეის კრიმინალური აქტივი შეიცავს ბოროტმოქმედების ხერხთა სრულ ოქტავას, ყველა ნოტს დო-დან დო-მდე და, იქნებ, რამდენიმე ოქტავასაც. მაშინ იმის მეტი აღარაფერი გვრჩება, რომ სწორედ ეს ვრცელი დიაპაზონი მივიჩნიოთ დამნაშავეის ხელწერად და ბოროტმოქმედის ფსიქიკის შესწავლაში მხოლოდ და ანალოგიები მოვიშველიოთ. ამ ტიპის ანალოგიები კი, სამწუხაროდ, ძლიერ იშვიათია. ამგვარად, ასეთი დამნაშავეის ფსიქიკურ-კრიმინალური ტიპი ფენომენს წარმოადგენს, ხოლო მის გამომ-

ბაბუა ამირაჯიბი
დათა თუთაშხია



ულავნებას თუ შეპყრობას ისეთივე სიძნელეები ელოდება, როგორსაც ბაქტერიოლოგი აწყდება ხოლმე უცნობი მიკრობის აღმოჩენის გზაზე. ამ სიძნელეთა გადასალახავად კრიმინალისტები სხვადასხვა ხერხს იყენებენ. პირადად მე ხშირად მიემართავდი ხოლმე მოდელის გამოყენების ხერხს, მეთოდს, ანუ ვსწავლობდი თვით საძიებელი პირის (და არა მისი დანაშაულის) მსგავს ადამიანებს — ისეთებს, რომელნიც, წარსული ცნობების თანახმად, ჩემთვის საინტერესო პიროვნებას ხასიათის ნიშნებით ჰგავდნენ. მათზე დაკვირვება, მათი შესწავლა შედარებით იოლია, რადგან პირადი კონტაქტია შესაძლებელი. ამ გზით არაერთხელ გამოიცია პასუხი უპირველესი მნიშვნელობის კითხვაზე, თუ ვინ არის და რას წარმოადგენს დამნაშავე. როცა ეს პასუხი ნაპოვნია, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ საძიებელი პირიც ნაპოვნი და შეპყრობილია.

ზოგი რამ ზემონათქვამი უნდა გავიმეორო. დათა თუთაშხიას დოსიემ, ამ კაცის მრავალი წლის აბრაგობის მანძილზე, დანაშაულთა და ჩადენის ხერხთა მთელი კალენდოსკობი შეადგინა. ზედმეტი იყო ლაპარაკი არა მარტო ყველა დანაშაულში გამოყენებული ერთი რომელიმე, საერთოდ დამახასიათებელი ხერხის აღმოჩენაზე, არამედ იმის დადგენაზეც, თუ, სახელდობრ, რომელი დანაშაულთაგანი იყო თუთაშხიას ჩადენილი და რომელი არა. მაშასადამე, შეუძლებელი ვახლდათ დათა თუთაშხიას ფსიქიკურ თავისებურებათა წვდომაც და უამისოდ კი აბრაგის ჩვენს ხელში ჩავარდნა მხოლოდ ბრმა შემთხვევის წყალობით თუ მოხდებოდა.

თავისი მიზნების განხორციელების დროს ამა თუ იმ ილეთის ჩატარების შესაძლებლობას მოკლებული ადამიანი წააგავს ხეიბარს, რომელიც, ვთქვათ, ცალხელაა და თავის ყველა წარუმატებლობას მხოლოდ ამით ხსნის; ცალხელა არ ვიყო, კურდღელს დავეწყო-

დი და გადავასწრებდიო! ეს ამა თუ იმ უნარს მოკლებული კაცის მსგავსი ფაია. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვიყავი რამოდენიმე წლის მანძილზე და სრულიად მოულოდნელად გამოირკვა, რომ დათა თუთაშხიასთან ერთად, ერთი დედ-მამის მიერ, ერთნაირ პირობებში აღზრდილი, მრავალ წელს ერთად ნაცხოვრები და, ალბათ, მსგავსი ღირსებების ადამიანი ჩემი ხელქვეითია — მუშნი ზარანდია.

ქანდარმის პროფესიის არსს იქნებ ეწინააღმდეგებოდეს კიდევ ის, რომ მავანი ადამიანის შესწავლისას მის მიერ მოხდენილ პირველ შთაბეჭდილებას ვიღებდი ხოლმე შემდგომი კვლევის ამოსავალ წერტილად და არა ჩემს ხელთ არსებულ ფაქტობრივ მონაცემთა განალიზებით მიღებულ დასკვნებს. პირადი ღირსებების როლს ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგში მუდამ უპირველეს მნიშვნელობას ვანიჭებდი, ამ ასპექტში არც საკუთარ ღირსებებს უგულვებელვყოფდი, ხოლო ჩემს მთავარ ღირსებად კი დღემდე ის მიმაჩნია, რომ რომელიმე ადამიანთან ერთი შეხვედრით მიღებულ შთაბეჭდილებას, შეიძლება ითქვას, არასოდეს მოვუტყუებია, ალღოს, თითქმის, არასოდეს უღალატია ჩემთვის. ანალიზისთვის არც ამჟამად მიმიშართავს. ჩამოვწერე დათა თუთაშხიას საქმეებში არსებულ ბოროტმოქმედებათა სრული სია, მივიმარჯვე ჩემს წარმოდგენაში ფიქსირებული მუშნი ზარანდიას დადებითი პიროვნება და ინტუიტიურად გადავუსვი ზაზი სიაში შეტანილ ყველა დანაშაულს, რომელთა ჩადენა ჩემმა ქვეცნობიერებამ თუთაშხიას ადგილზე მყოფ მუშნი ზარანდიას ვერ მიაწერა. როდესაც სია ხელმეორედ გადავიკითხე, — განვცვიფრდი: გამოდიოდა, რომ სიმპათიები მქონდა, გულშემატკივარი ვიყავი სისხლის სამართლის დამნაშავისა, რომელმაც ამდენი წლის მანძილზე მრავალი უსიამოვნება მიაყენა ჩვენს უწყებას და, მაშასადამე, პირადად მეც ასეთა თუ ისე, მეთოდი — მეთოლია და



ხელთ მქონდა აბრაც თუთაშხიას დანა-
შაულთა სია, რაც ამ ცდაში შემდგო-
მი კვლევის საფუძვლად უნდა მიმეჩ-
ნია. ამ ცდაში-მეთქი, ვამბობ, რადგან
იგივე მეთოდი შეიცავს მეორე ცდა-
საც: უნდა მიმემარჯვებინა ჩემს წარმო-
დგენაში ფიქსირებული მუშნი ზარან-
დიას უარყოფითი პიროვნებაც და ამ
პოზიციიდან მემოქმედა, მაგრამ ჯერ
პირველი ცდის შედეგებამდე მივიდეთ.

გავიხსენოთ: მეთოდის თავისებურე-
ბა ის არის, რომ ცნობილის თვისებებს
უცნობში ვვარაუდობთ. თუთაშხიას
დანაშაულობათა პირობითი სიაც ხომ
ამ გზით მივიდეთ. ამის შემდეგ ქ მ ე დ ე-
ბ ის ხ ა რ ის ხ ის საკითხს უნდა გავცეს
პასუხი. განმარტებისთვის ვიტყვი:
ჩემი სიჭაბუქისა და ახალგაზრდობის
პარიზულ პერიოდში ერთ აღმოსავლელ
არისტოკრატთან ვმეგობრობდი. იგი
მორგანატული ქორწინების პროდუქ-
ტი იყო. მისი დედა წარსულში პარიზის
დამის კაბარების ცნობილი მსახიობი
ყოფილა — მომღერალი და მოცეკვა-
ვე. მამა — ტახტის მემკვიდრე. ბატო-
ნიშვილს ლიტერატურასა და ხელოვნე-
ბაში ჩვეულებრივსა და არტისტულთან
ერთობ ჰქონდა. მოთხრობა თუ რომანი მისთ-
ვის ან ნაწერი იყო და ან თხზულება.
ტილო თუ ქანდაკება — ნაკეთობა ან
ქმნილება. მოცეკვავის ნომერს ან
როლს იგი განსაზღვრავდა სიტყვებით,
— შესრულება ან როკვა. მოყვანილი
ზმნებიდან პირველთ — ჩვევის, დას-
წავლის, დაზეპირების რეზულტატად
თვლიდა, ხოლო მეორეებს — კათარზი-
სად. აქედან გამომდინარე, ხელოვანთა
ამქარს ორ ჯგუფად ჰყოფდა — პლებე-
ებისა და არისტოკრატების ჯგუფებად.
დანარჩენ საზოგადოებასაც ასე აღიქ-
ვამდა. წარმოშობასა და გენეალოგიას
არც აქ ანიჭებდა რაიმე მნიშვნელობას.
ადამიანებს იგი ერთსა თუ მეორე ჯგუ-
ფში ჩარიცხავდა ხოლმე იმის მიხედ-
ვით, თუ როგორ დამოკიდებულებაში
იმყოფებიან ისინი თავის საქმესთან,
ხელოვნებასთან, სამსახურთან. მისთვის

არისტოკრატი მხოლოდ ის იყო, ვინც
ყოველდღიურობასაც კი შემოქმედებ-
თი პოზიციებიდან უდგებოდა.

რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარი ბა-
ტონიშვილის თვალსაზრისი ერთობ რა-
დიკალურია, მაგრამ მაინც მიმაჩნია,
რომ ამგვარ მიდგომაში არის ქე-
შმარიტების საკმაოდ ძლიერი მარცვა-
ლი. ათასწარი ხელქვეითი მყოლია და
მათში ყველაზე პუნქტუალურს, მუყა-
ითსა და დამჯერს, მაინც ფანტაზიის
მქონე, თავის საქმეზე შეყვარებული
და, თუნდაც, რამდენადმე თავნება ხე-
ლქვეითი მერჩივნა. ასეთთაგან საქმის
წახდენაც არ არის მოულოდნელი, მა-
გრამ მათი მოქმედება მუდამ მშვენი-
ერი და პერსპექტიულია. დიახ, პერს-
პექტიული, რადგან სწორედ ეს ადამი-
ანები ამდიდრებენ კაცობრიობის გამო-
ცდილების მარაგს, ხეყვენ პროფესიო-
ნალიზმს, ხელოვნებად, თავისუფალ
შემოქმედებად აქცევენ სამსახურებ-
რივ საქმიანობას.

გამოვიყენებ აღმოსავლელი ბატონი-
შვილის გამოთქმას და ვიტყვი, რომ და-
ვლების მიღებამდე მუშნი ზარანდია
მოხელე იყო, ხოლო იმ მომენტის შემ-
დეგ, როცა მის ხელთ რაიმე ახალი სა-
ქმე აღმოჩნდებოდა, — აღტკინებული,
ვნებათა ლეღვას აყოლილი მსახიობი.
მახვილი ინტუიცია ჰქონდა და ამიტომ
მის მიერ გამოძიებულ, მოკვლეულ თუ
სხვა რამ შესრულებულ საქმეს არა-
სოდეს რჩებოდა „კუდები“, ანუ შეუ-
სწავლელი და გამოუმზეურებელი კუ-
ნჭულები. მის მასალებს შეიდივე ელი-
ნი ბრძენიც ვეღარავფერს დაუმატებ-
და. ჯერ, დამნაშავეს დედამოხილას გა-
მოიყვანდა დღის სინათლეზე. მერე,
თუკი დასასჯელად განწირულს გამოძი-
ების მსვლელობაში ერთ რაიმე კარგ
თვისებას მაინც შენიშნავდა, სასტიკ
წინააღმდეგობაში ვარდებოდა თავის-
სავე ნამოქმედართან: მოსამართლეებს,
მსაჯულებს, ადვოკატებს უმბრატავდა,
თუ რა გზით შეიძლებოდა მინიმალური

ბაბუა ამირაჯიბი
დათა თუთაშხია

მსჯავრის გამოტანა და თავგამოდებით იცავდა საკუთარი დასკვნების საწინააღმდეგო მოსაზრებებს. კიდევ ერთი თავისებურება ჰქონდა და ესეც არტი-სტიზმის ნიშნად მიმაჩნია: სძულდა ერთისა და იმავე ტიპის საქმეებზე მუ-შაობა და თუ იძულებული გახდებო-და აეღო, — სძულდა ცნობილი მეთო-დების გამოყენება, გაკვალული გზე-ბით სიარული. ასეთი იყო მუშნი ზა-რანდიას ქმედების ხარისხი და ამას სავსებით დაემთხვა დათა თუ-თაშხიას დანაშაულებებში არსებული ქმედების ხარისხი. ეს მსგავსება, მე ვიტყვოდი, იდენტურობა, აქვე შემიძ-ლია მრავალი მაგალითით დავადასტუ-რო, მაგრამ ჩემი ჩანაწერები, ძირითა-დად, ამ ორი ადამიანის მოქმედებებს ეხება და პარალელებსაც უხვად შე-იცავს.

ამგვარად, მიღებულ იქნა პასუხი კი-თხვაზე — „როგორ“ და საძებნელი იყო ქმედების მიზეზი, ანუ პასუხი კითხვაზე — „რა ამოძრავებს“? ანალოგია: ფულს შოულობს ყველა, მაგრამ ვინ — რატომ? ზოგს საარსებო სახსრების შოვნა ამოძრავებს. მეორეთ — შენახვისა. მესამენი ფულით ფუ-ლისავე შოვნით არიან ვატაცებულნი, თანხის, კაპიტალის ვასაზრდელად იღვწიან. ასევეა სამსახურიც. მსახუ-რობენ იმიტომ, რომ სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნიათ. რევოლუციამდე ზოგს არც ფული აკლდა, არც ქონება, მაგრამ სამსახურს ხალხთან სიახლოვის, ფილანტროპული მოღვაწეობის საშუა-ლებად მიიჩნევდა და მსახურობდა. ისეთებიც იყვნენ, რომ მხოლოდ ტახ-ტისა და საშობლოს ერთგულების გამო მსახურობდნენ, ჯამაგირს არაფ-რად აგდებდნენ, მაგრამ ადამიანთა უმ-რავლესობისთვის სამსახური მაინც დაწინაურების, კარიერის გაკეთების საშუალება იყო. ასეთი მიზანი თუმც პატივმოყვარეობით, გამდიდრებისა და ძალაუფლების წყურვილით და კიდევ სხვა მდაბალი ადამიანური თვისებე-ბით არის განპირობებული, მაგრამ,

საერთოდ, კარგი კარიერის გაკეთების-თვის, დაწინაურებისთვის სამსახური დადებით ნიშნად მიმაჩნია, თუ ამისთვის ხორციელდება აკრძალული ილეთების, უსუფთაო ხერხების გამოყენების გზით.

მუშნი ზარანდიას ქმედების მიზეზის დადგენა, ბუნებრივია, მისი სამსახუ-რის პირველსავე თვეებში მოექცა ჩვენს, ანუ კავკასიის უანდარმერიის ხელმძღვანელობის ინტერესთა სფერო-ში და ერთგვარი დაბნეულობა გამოიწ-ვია. საკითხი წლების მანძილზე ვერ პოულობდა პოზიტიურ გადაწყვეტას, რადგან ზარანდიას პიროვნება ვერა და ვერ მოერგო რომელსამე ცნობილ ყა-ლიბს. ამ კაცისა ყველაფერი გაუგება-რი იყო. მაგალითად, მან ერთობ თავი-სებური დამოკიდებულება გამოამყ-ლავნა შრომის ანაზღაურებისა და და-წინაურების მიმართ. იყო შემთხვევა, როცა ერთი თანამდებობიდან მეორე, უფრო დაბალ თანამდებობაზე გადავიყ-ვანეთ იმიტომ, რომ ზარანდია იმ აღ-ვილზე იყო საჭირო. ჯამაგირი დააკლ-და, მაგრამ მას არც დაქვეითების გა-მო უთქვამს რამე და არც ხელფასის შემცირების გამო. მეორე შემთხვევაში ზარანდიას რომელიღაც საგადასახი-დო უწყების მმართველის მოადგილედ დაუპირეს გადაყვანა. არავითარი ენ-თუზიაზმი არ გამოუჩენია, მიუხედა-ვად იმისა, რომ თანამდებობაც მაღალი იყო და ჯამაგირიც სამჯერ მეტი ექნე-ბოდა, თუ არ მივიღებთ მხედველობა-ში ამგვარ თანამდებობათა სხვაგვარ შემოსავლიანობასაც. ამ და მსგავსმა მაგალითებმა დამარწმუნეს, რომ ზა-რანდიას ქმედების მიზეზი არც დაწი-ნაურების წყურვილი იყო და არც მა-ტერიალური მდგომარეობის გაუმჯო-ბესება. შეცდომა იქნებოდა, თუ მის ერთგულ ქვეშევრდომულ გრძნობებსა და დიდმპყრობელურ იდეებს მივაწერ-დი იმ მუყაითობას, კეთილსინდისიერე-ბასა და პირუთვნელობას, რასაც ზარან-დია, — ეროვნებით ქართველი და წა-რმოშობით გლეხი, — მოვალეობათა



აღსრულებისას იჩენდა. ხსენებული გრძობებისა და იდეებისაგან იგი მეტად შორს ვახლდათ. ამას ვარდა, ეს აღმდინი არც ნეტარი ჩანდა და არც იმ პრიმიტივთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც ბავშვობაშივე ჩააგონეს, რომ უნდა იყოს მორჩილი, გამგონე, იმსახუროს უანგაროდ, თავგანწირვით და სამარის კარამდე. ერთი სიტყვით, ზარანდია იყო ლაბირინთი, საიდანაც კარში გამოსასვლელს მხოლოდ შემთხვევის ძალა ან ეპათა მსვლელობა გააოწმებდა.

ღრო საუკეთესო მკურნალია და ამგვარი შემთხვევა მოიტანა კიდევ. უკეთ რომ ვთქვათ, შემთხვევამ დადასტურა ჩემი ერთობ პირობითი შეხედულებები, კერძო ჰიპოთეზა ფაქტად აქცია და ეს იყო შედეგი ერთი სამძებრო ოპერაციისა, რომელიც ზარანდიამ ლამაზად დაგვგმა, მაგრამ ლამაზადაც წააგო.

ჩემი ჩანაწერების მიზანს ამა თუ იმ შემთხვევის მოყოლა არ შეადგენს, რადგან საინტერესოც არ უნდა იყოს იგი, მაგრამ ვარკვეულ სიტუაციაში აღმდინები კარგად შეღვენდებიან და ეს ზოგადი ხასიათის დასკვნების გამოტანის საშუალებას ქმნის. ამ კერძო შემთხვევაში მოყოლა სწორედ იმისთვის მჭირდება, რომ უნდა ზარანდიას ქმედების მიზეზი დადგინდეს, ანუ გაეცეს პასუხი კითხვას: რა ამოძრავებდა ამ პიროვნებას.

ცხრაასიანი წლების დასაწყისში გერმანიაში მომუშავე ჩვენი რეზიდენტის დაშიფრული დეპეშა მივიღეთ. დეპეშაში ზუსტად იყო აღნიშნული, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ერთი ცნობილი დოცენტი, ეროვნებით ქართველი, გემ „ადელაიდათი“, ასე, ერთი თვის შემდეგ დღიდან დეპეშის მიღებისა, ბათუმს მოემგზავრებოდა. დოცენტს თან უნდა წამოეღო არალეგალური, აკრძალული ლიტერატურა, დაახლოებით ნახევარი ჩემოდნის რაოდენობით.

ბევრი არ მიფიქრია, საქმეც და რეზიდენტთან კავშირის საშუალებებიც ზარანდიას ჩაეაბარე. პროგრამა-მაქსი-

მუმი, ცხადია, ის იყო, რომ ლიტერატურა ხელში ჩაგვეგდო, მისი ჩამოტანა და მიმღები ჯგუფი უნებულგვეყო. პროგრამა-მინიმუმი, — არასგზით არ დაგვეშვა ლიტერატურის გავრცელება. რამოდენიმე დღის შემდეგ ზარანდიამ ოპერაციის გეგმა წარმოადგინა. ჩვენ იგი ვადატვირთულად მივიჩინეთ, მაგრამ ავტორი დაჟინებით ითხოვდა თავისი გეგმის უცვლელად დამტკიცებას. ბოლოს დაგვიყოლია კიდევ და საქმეს შეუდგა.

უპირველესად ყოვლისა, მან გერმანიაში გაგზავნა აგენტი, რომელმაც რეზიდენტისგან დოცენტი „ჩაიბარა“. შემდეგ აგენტმა შეიძინა ჩემოდნების ისეთივე კომპლექტი, როგორიც დოცენტს ჰქონდა. როცა დოცენტმა არალეგალური ლიტერატურა სასტუმროში მიიტანა, აგენტმა და რეზიდენტმა შეამოწმეს, თუ სახელდობრ, რომელი ჩემოდნით მოდიოდა ჩვენთვის საინტერესო ტვირთი და რაჰსიმძიმე იყო ჩემოდანი.

დადგა დღე, როცა ღია ზღვაში გამოსულ „ადელაიდაზე“ იყო დოცენტი, ჩვენი აგენტი და ამ ორი კაცის ორი აბსოლუტურად ერთნაირი ჩემოდანი.

გემი ბათუმში შუადღისას უნდა მოსულიყო. წინა ღამეს აგენტმა დოცენტის ლიტერატურა ჩემოდნის ადგილზე თავისი ჩემოდანი დატოვა. ეს ზარანდიას გეგმით იყო გათვალისწინებული, რადგან იმხანად არალეგალური ლიტერატურის შემოტანის საქმეში ერთმა ეშმაკობამ იჩინა თავი: დანიშნულების ნავსადგურიდან ოთხი-ხუთი საათის სავალზე, იმ გემის სიახლოვეს, რომლითაც ლიტერატურა მოდიოდა, უპირატესად შეღამების ხანა გამოჩნდებოდა ხოლმე აფრიანი „მებაღური“ ან სხვა რამ ხომალდი. თუ ნავს წინასწარ დათქმული პირობითი ნიშანი ჰქონდა და, ამასთან ერთად, იგი დანიშნულების ნავსადგურისკენ გემის კურსით მოემართებოდა, შემომტანი,

ნაზუა პირიჯივი
დათა თუთაშვილი

ლიტერატურიან ჩემოდანს გემის ერთ-ერთ საშველ რგოლზე ამაგრებდა და ზღვაში აგდებდა. „მებაღურს“ ჩემოდნიანი რგოლი თავის ერთოზე აპქონდა, რის შემდეგ ლიტერატურის აღმოჩენა უკვე ვეღარ ხერხდებოდა ხოლმე. ასეთ ფანდზე რამდენიმეჯერ წამოვეგეთ და ახლა დოცენტს კიდევ რომ მიემართა ამ ხრიკისთვის, „მებაღურზე“ ჩვენი ჩემოდანი აღმოჩნდებოდა და არა ლიტერატურა. უნდა აქვე ვთქვათ, რომ შემომტანს ზემოაღწერილი ხერხისთვის არ მიუპართავს და ჩემოდნების გაცვლას კი სხვა აზრიც ჰქონდა, რაც ქვემოთ გამოჩნდება.

„ადელაიდა“ ნავსაყუდელს მოადგა. დოცენტი ნაპირზე გადმოვიდა. გაღმოვიდა აგენტიც. საბაჟოს მოხელეებმა რამდენიმე მგზავრი და მათ შორის დოცენტიც, თავის ხელბარგიანად საბაჟოში შეიპატიყეს. რა თქმა უნდა, დოცენტის ნაპირზე ჩამოსვლის შემდეგ, ვისაც ჯერ არს, თვალი ეჭირა, აბა, დააპირებდა ვინმე თუ არა მისი შავი ჩემოდნის წაღებას, თუ დააპირებდა, სახელდობრ, ვინ და თუ წაიღებდა — სად მიიტანდა. ლიტერატურის დამხვდურებმა სიფრთხილე გამოიჩინეს, დოცენტს არავინ გაჰკარებია. აგენტმა ლიტერატურიანი ჩემოდანი, რომლის სანაცვლოდ დოცენტს თავისი დაუტოვა, საბაჟოში უკანა კარიდან შეიტანა. მებაჟეებმა ჯერ სხვა მგზავრების ბარჯანა შეამოწმეს და შემდეგ დოცენტს ჰკითხეს, საბაჟოდ რა გაქვთო. მთელი ამ ხნის მანძილზე ზარანდიას გულდასმით ადევნებდა თვალს თავის მსხვერპლს. დოცენტი ღელავდა და კითხვაზე მიუგო, რომ საკუთარ ბარგში დასაბაჟავი არაფერი ეგულეობდა, ხოლო აგერ, იმ შავ ჩემოდანში რა იყო, ჯვითონაც არ იცოდა, რადგან იგი მანამა კაცმა გამოატანა კაცისთვის. რომელმაც ჩემოდანს აქ, ბათუმშივე, ან თბილისში უნდა მოაკითხოსო. სანამ სხვა ჩემოდნების შემოწმება მიმდინარეობდა, დოცენტი, ასე თუ ისე, ყოჩაღად იყო, მაგრამ შავი ჩემოდნის გახს-

ნას რომ შეუდგენენ, მუხლი მოეკვითა, სკამზე უმწეოდ დაეშვა და დაფიქრებულ სახეზე ხელები აიფარა.

— ცუდად ხომ არ შეიქენით, ბატონო? — ჰკითხა ზარანდიამ და წყალი მოურბენინა.

დოცენტმა წყალი მოსვა, ლიტერატურის აღმოჩენის საბედისწერო მომენტის ლოდინს შეუდგა. ცხადია, ჩემოდანში ლიტერატურა არ აღმოჩნდა. დოცენტის განცდებზე ლაპარაკი საჭირო არ არის. ლიტერატურის წონისა ჩემოდანში გერმანული წარმოების ქლიბების კომპლექტები ეწყო. ამ საქონელს ბაჟი ეკუთვნოდა და სანამ დოცენტი მეორე ოთახში ფორმალობას ასრულებდა, ჩემოდნები კვლავ შეიცვალა.

ნახევარი საათის შემდეგ დოცენტს სასტუმროს ნომერში შეჰქონდა ლიტერატურიანი ჩემოდანი, თუმცა-კი დარწმუნებული იყო, რომ ქლიბებიანი შეჰქონდა. ასე იყო საჭირო ზარანდიას გეგმის მიხედვით. ამაში არ ყოფილა ცინიზმი და, მით უმეტეს, ის საღიზმი, რომელსაც კატა მონადირებულ თაგვის მიმართ იჩენს: გაუშვებს — დაიჭერს, გაუშვებს — კვლავ დაიჭერს... ზარანდიას სჭირდებოდა დოცენტის მტკიცე რწმენა, რომ იგი ახლა კანონის წინაშე უკვე მართალი და შეუვალია, რომ თვალთვალი და ჩხრეკა უკან დარჩა და, ამასთან ერთად, პასუხისგებისთვის საჭირო ნივთიერი მტკიცება კი თან ჰქონოდა. ჩემოდნების პირველი გაცვლის მთავარი მიზანიც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩხრეკის შემდეგ ისინი მეორედაც გაცვლილიყვნენ, დოცენტს ეს გაცვლა არ სცოდნოდა და ამით მისი ფსიქიკის ის მდგომარეობა მიღწეულიყო, რომელიც საბაჟოდან გამოსვლის შემდეგ დაეუფლა: დაბნეულობა, გაუგებრობა, მაგრამ შეუვალობის გრძობაც და ამის შედეგად სიფრთხილის მოდუნებაც. მე არ ვაპირებ მოვლენათა განვითარების ყველა იმ ვარიანტის განხილვას, რაც, ზარანდიას ქონდა ნავარაუ-



ღვეი და გათვალისწინებული, მაგრამ, სანამ ამ ოპერაციის ფინალს შევეხებოდნენ, ვიტყვი, რომ ერთი შეხედვით, ლიტერატურას, მის შემოტანას და მიმღებთ ვადარჩენის რაიმე თეორიული შესაძლებლობაც კი არ გააჩნდათ, თუ არ ვიგულისხმებთ წარღვნას ან სხვა რამე კატაკლიზმს, როცა ყველა და ყველაფერი იღუპება. ვისაც ამაში დარწმუნება სურს — გააანალიზოს. ახლა კი ფინალი, რომელიც არც თუ ბანალური იყო.

ლოცენტი დაბნავდა, შემდეგ ნომერი ჩაკეტა, ქალაქში გამოვიდა. იგი ესტუმრა ერთ ბათუმელ ქართველ მილიონერს, ჩვენთვის ცნობილს თავისი ფრონდიორობითა და დევნილი რევოლუციონერების მატერიალური დახმარებით. აქ დოცენტმა საათი, საათნახევარი დაჰყო. შემდეგ ამდენივე ხანს ქალაქში ისეირნა და სასტუმროში დაბრუნდა. მალე მასთან მივიდა ორი კაცი. მასპინძელმა სტუმრები მიიღო, კარი შეიკეტა, ხუთიოდ წუთის შემდეგ იძულებული შეიქნა კვლავ გაეღო, — დოცენტს ზარანდია ესტუმრა. მას ორი ხელქვეითი ახლდა. სალამისა და უფლებამოსილების საბუთის წარდგენის შემდეგ ზარანდიამ დოცენტს მიმართა:

— ჩვენ დაინტერესებული ვართ თქვენი თავშეყრის მიზეზით.

დოცენტმა ცოტა ხანს იფიქრა და მიუგო:

— თქვენთვის ხომ ცნობილია, რომ მე დღეს მოვედი გერმანიიდან „ადელაიდიტ“? ჩამოვიტანე ამანათი ამ ბატონებისთვის. წასადებად არიან მოსული. ეს არის და ეს.

— ადასტურებთ? — მიუბრუნდა ზარანდია დოცენტის სტუმრებს.

— დიახ, — თქვა უყოყმანოდ ერთერთმა.

შეორემ თავი დაიქნია, მაგრამ საკმაოდ უხალისოდ.

ზარანდიამ კითხვა-პასუხი ოქმში შეიტანა.

— გთხოვთ, ხელი მოაწეროთ იმაზე, რომ თქვენი პასუხები სწორად არის დიქსირებული.

დოცენტმა ჩანაწერი წაიკითხა და დაუყოვნებლივ მოაწერა ხელი. რებმა კარგა ხანს იფიქრეს, იყოყმანეს. ბოლოს, ერთმა თქვა, ამანათი ჩემია, ხელსაც მე მოვაწერო. ზარანდია აღარ შედაგებია, ორი ხელისმოწერა იკმარა.

— რომელ ჩემოდანშია ამანათი? — იკითხა ზარანდიამ.

— აგერ, იმ შავში, — მიუგო უკვე დაეჭვებულმა დოცენტმა.

— ჩვენ უნდა დავესწოთ ამანათის გადაცემა-მიღებას!

სიჩუმე ჩამოვარდა. მასპინძელი და სტუმრები ერთმანეთს ათვალეირებდნენ.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა დოცენტმა. — აქ არის ქლიბების კომპლექტები. თქვენ ეს საბაჟოშივე ნახეთ.


მან ჩემოდანი მაგიდაზე დადო და თავი აპხადა.

ალბათ, ცხადია, რომ ამ სამი კაცის სამართალში მისაცემად სრულიად საკმარისი და დასაბუთებული დოკუმენტაცია ბათუმშივე გამოზადდა და საქმეს შავი კატა ველარ გადაურბენდა. საგამომიებლო მასალა ამომწურავი იყო. გამოძიდავდა, უკეთ რომ ვთქვათ, ერთხელ კიდევ დადასტურდა აკრძალული ლიტერატურის საზღვარგარეთული წყაროს ადგილსამყოფელი, იქ მომუშავე ემიგრანტთა გვარები, დამხვდურთა და გამვრცელებელთა ურთიერთობები, გამოცხადებისა და შეხვედრების მისამართები და, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ასეთ შემთხვევებში სამძებრო დაწესებულებებს აინტერესებს ხოლმე.

დამნაშავეები თბილისში ჩამოვიყვანეთ, მეტეხის ციხეში მოვათავსეთ, როგორც გამოძიებული და მსჯავრისთვის გამზადებული დამნაშავეები.

დოცენტი შეძლებულ არისტოკრატთა წოდებიდან იყო. მისი ნათესაობა

გაბუა აპირაქიზი
დათა თუთაშვილი



დიდი გავლენით სარგებლობდა მთელს კავკასიაში. მათ შორის ჩემი პირადი ნაცნობ-მეგობრებიც იყვნენ, — გენერლები, მაღალი თანამდებობის პირები და უბრალოდ კარგი ინტელიგენტები. საქმე ისე მოტრიალდა, რომ არამცთუ რამოდენიმეჯერ მომმართეს დახმარებისთვის, არამედ კავკასიის მთავარმართებელიც დაინტერესეს დოცენტის ბედ-იღბლით. ესეც არ იყოს, თანამდებობა მაკისრებდა პირადად გავცნობოდი საქმესაც, დამნაშავეებსაც, და ზარანდიას ვუბრძანე ერთი დავითხვა, ჩემი თანდასწრებით მოეწყო. აღვნიშნავ, რომ ბრალდებულებმა ჩემი ვინაობა არ იცოდნენ.

ჯერ თანაბრალდებულებმა და შემდეგ თვით დოცენტმაც სავსებით და უცვლელად დაადასტურეს ადრინდელი ჩვენებები. დავრწმუნდი, რომ მათთვის მსჯავრის შემსუბუქებაც კი არ შემძლო, საქმის მოსპობაზე აღარას ვაზობო. კაბინეტში დავბრუნდი იმ მძიმე გულითა და უსიამოვნო წინაგრძობით, რაც ადამიანებისთვის რაიმე დახმარებაზე უარის თქმას უძღვის ხოლმე წინ. ამით ვიყავი შეწუხებულად და იმასაც მივხვდი, რომ ზარანდიამ დაკითხვა დოცენტის ბედობაზე ჩემი დამოკიდებულების გამორკვევის ნიშნის ქვეშ ჩაატარა. იგი ყოველნაირად ცდილობდა გაეგო, თუ რა მსურდა მე და, ამასთან ერთად, თავისი ეს დაინტერესება არ გამოემჟღავნებინა.

ამ დროს ზარანდიამ კარი შემოაღო და შემოსვლის უფლება მთხოვა. ათი-თხუთმეტი წუთის წინ ერთად ვიყავით, მის შემოსვლას არ ველოდი.

- სათხოვარი მაქვს, გრავ...
- ბრძანეთ, მიუშნი.
- ჩამოდი ჩემთან, თუ დრო და სურვილი გაქვთ საამისოდ... კიდევ ნახევარი საათით.

— მოვალ, — იმწამსვე დავთანხმდი. ზარანდიას კაბინეტში დოცენტის მეტი არავინ იყო.

— ბატონო დოცენტო, — ჰკითხა ზარანდიამ. — რას მოვლით რევოლუ-

ციისგან პირად ასპექტში. გვითხარით, თუ შესაძლებლად მიგაჩნიათ თქმა და თუ ბოლომდე გესმით შეკითხვის არსი.

დოცენტმა ვაიღიმა:

— ჩემი და ჩემისთანების მამულებისა და სხვა ქონების კონფისკაციას, რასაც დიდი ხანია თვითვე მოვახდენდი, პირადად, განუყოფლად რომ მეკუთვნოდეს ისინი და, ამას გარდა, ფინფარონობად რომ არ მიმაჩნდეს გლეხებისთვის მიწების ასეთი ერთპიროვნული დარიგება, მიწაზე საყოველთაო კერძო საკუთრების პირობებში. მოგელო იმას, რომ ამეყრება წოდება, რომელსაც პირადად მე ვატარებ, როგორც მამლაყინწა ბიბილოს. მოგელი სულიერ კმაყოფილებას იმის ვამო, რომ ყველა ადამიანს თანაბარი შესაძლებლობები შეექმნება საკუთარი ღირსებების სარეალიზაციოდ, საკაცობრიო გენიას ახალი, უფართოესი ასპარეზი შეექმნება სამოქმედოდ. ღირს თუ არა, ბატონო ოფიცერო, ასეთი შედეგების მიღება იმ სასჯელის ფასად, რომელსაც განაჩენით მომისჯიან?

— ეღირებოდა, თუკი მართლაც ყველაფერი ისე იქნება, როგორც ბრძანებთ, მაგრამ სად არის ამის გარანტია? თქვენ განა აბსოლუტურად გწამთ, რომ საბოლოო ჯამში რევოლუცია ადამიანს სულიერ კმაყოფილებას, შედინიერებას მოუტანს? დაფიქრებულხართ როდისმე იმაზე, რომ ყოველგვარი ახალი იდეის ქადაგება ავანტიურიზმის მნიშვნელოვან ელემენტსაც შეიცავს და, ამდენად და ამ ზომით, რევოლუციური მოღვაწეობა, ცალკე სიკეთეს და ცალკე ადამიანის ზნეობას ეწინააღმდეგება?

— დაფიქრებულვარ! დაფიქრებულვარ მაგზეც და ბევრ სხვა საკითხზეც! — დოცენტს ნერვიულობა შეეტყო. ზარანდიამ, ჩანს, მტკივნეულად გილს მიუგნო. — დაფიქრებულვარ იმაზეც, რომ რევოლუციამ პატიოსანი ინტელიგენტებისა და არისტოკრატების ინტელექტი უნდა გამოიყენოს და შემდეგ გაუსწორდეს მათ, როგორც საფ-

რანგეთის რევოლუცია გაუსწორდა მიშელ დე ლეპელტიეს და სხვათ. მე ეს რევოლუციის კანონზომიერებად მიმაჩნია, მაგრამ მაინც მის მხარეზე ვარ... „აქა ვდგევარ და სხვარივად არ ძალმიძს!“ — დოცენტი, ჩანს, დაამშვიდა და გაამხნევა თავისმა ნათქვამმა და ზარანდიას უკვე ღიმილით ჰკითხა: — იცით, ვისია ეს სიტყვები?

ზარანდიამ თავი გაიქნია. იგი დაფიქრებული იჯდა. მიეხვდი, თვით სიტყვებზე ფიქრობდა და არა იმაზე, თუ ვის ეკუთვნოდა ეს გამოთქმა.

— „აქა ვდგევარ და სხვარივად არ ძალმიძს!“ — გაიმეორა ზარანდიამ ხმადაბლა და დასძინა: — არც წამიკითხავს და არც მსმენია ასე მოკლე და, ამასთან ერთად, ამომწურავი განსაზღვრა გარკვეული, საკმაოდ იშვიათი ტიპის ადამიანთა ქმედების მიზეზისა. მშვენიერია! ვისი ნათქვამია ეგ, ბატონო დოცენტო?

— მარტინ ლუთერისა.

სიჩუმემ კარგა ხანს გასტანა.

— ბატონო დოცენტო, — მიმართა ზარანდიამ. — თქვენს რწმენას და იმას, რომ „სხვარივად არ ძალგიძთ“, დიდი გამოცდა ელის. სამწუხაროდ, ახლავე ელის... მესამე პირი ამ ოთახში არის კავკასიის უნდარმთა შეფი, გენერალი, გრაფი სეგელი.

დოცენტი მოულოდნელობამ წამით შეაცბუნა, შემდეგ მან ოდნავ და ცივად დამიკრა თავი. ზარანდია კვლავ დუმდა. ღმერთმანი, ტანმა მიგრძნო, რომ, აი, ახლავე ვავზნებოდი მოწმე ზარანდიას ისეთი ფანდისა, როგორითაც მას არაერთხელ შემოჰუტანია ჩემს განწყობაში აღრევა, ალტაცება, მწუხარება, ერთი სიტყვით, რაც ვნებავთ, გარდა სიმშვიდისა და ჩვეულებრიობისა. იგი რალაცას აპირებდა, თორემ ხელმოერედ აქ არ მომიყვანდა.

— თქვენი ნათესავები, — განაგრძო ზარანდიამ. — ყოველნაირად ცდილობენ გიხსნან თქვენც და თქვენი საზოგადოებრივი რენომეც. ჩვენი საუბრიდან გამოჩნდება, რომ ეს ორი რამ ცალ-

ცალკეა სახსნელი, მაგრამ დავიცვათ მიმდევრობა. მის ბრწყინვალეობას, სეგელის, ისეთმა ადამიანებმა თქვენს თქვენთვის დახმარების აღმოჩენის თხოვნით, რომ, ვგონებ, იგი შინაგანად მზად არის გიშველოთ რამე, თუკი ამის საშუალება გამოჩნდება. თქვენი ბედობლით მთავარმართებელიც კია დაინტერესებული. დასასრულ, არც მე ვარ განწყობილი რადიკალურად, თუ ამას მნიშვნელობა აქვს. იქმნება ვითარება, როცა მცირედი დავიდარაბის შემდეგ შეგიძლიათ კვლავ დაუბრუნდეთ თქვენს ძირითად მოღვაწეობას. სწორედ ამ მიმართებით გვაქვს ჩვენ ზოგი რამ გამოსარკვევი და დასაზუსტებელი. ზარანდია შეჩერდა. მე და დოცენტი, სიმართლეს ვიტყვი, თანაბარი გაფაციცებით მოველოდით სცენის განგრძობას.

— ცნობილია, რომ ახალი იდეის წერვისა, თუ რაიმე პოლიტიკური მოძღვრების ჩანასახის ზრდა-განვითარებისთვის საჭიროა, როგორც ეშმაკობასა და სიცრუეში გამოხატული რაციონალური დამოკიდებულება, ისე მოწამებრივი მსხვერპლი. ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რომელს აირჩევდით: ისარგებლებდით გათავისუფლების შესაძლებლობით, თუ მსჯავრს დაიდებდით? აქვე მინდა ვაგაფრთხილოთ, რომ არჩევანი არ გაქვთ. თქვენი მომავალი მაშინვე იყო გადაწყვეტილი, როდესაც შავ ჩემოდანში ლიტერატურას ღებდით. ჩვენი საუბრის დანიშნულება მხოლოდ დეტალების დაზუსტებაა.

ზარანდია ამას თავჩალუნული ლაპარაკობდა. როცა დაამთავრა, თავი ასწია და თვალები დოცენტს მიაპყრო.

— მოვიქცეოდი ისე, როგორც უმოხებესი იქნებოდა, უფრო სასარგებლო იქნებოდა იმ საქმისთვის, რომლის სამსახურმა ციხეში მომიყვანა. საქციელი პირადი ხასიათიდან, ჩემი ინდივიდუალური ღირსებებიდან იქნე-

ააააა ააირაჯიბი

დათა თუთაზიბი

ბოდა გამომდინარე. მინდა გავაფრთხილოთ, ბატონო ოფიცერო, — დასძინა დოცენტმა, — რომ ვერავითარ გარიგებაზე ვერ წამოვალ, არავითარ კომპრომისს არ დავუშვებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სახით თქვენ საქმე გაქვთ თანამგრძობთან, მოყვარულთან და არა პროფესიონალ რევოლუციონერთან. რას შემეკითხებით კიდევ?

— ჩვენ გვკვირდება უფრო კონკრეტული პასუხი. — ზარანდიამ გარიგებასა და კომპრომისზე ნათქვამი ერთი ყურიდან შეუშვა, მეორიდან გაატარა. — თქვენს წინაშე, დავუშვათ, არის ორი შესაძლებლობა, აი, ამ კონკრეტულ სიტუაციაში, დღეს და აქ: მეცნიერი ხართ და ამავე დროს პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწევით — რას აირჩევდით, თავისუფლებას თუ გადასახლებას?... ვიმეორებ, შექმნილ სიტუაციაში. დღეს და აქ!

— თუ სიმართლე გნებავთ — სულერთია! ჩემს წინაშე ამჟამად ორი ამოცანა დგას. უნდა დავამთავრო საქმაოდ ვრცელი ნაშრომი ძველ ქართულ ფილოსოფიურ მიმდინარეობებზე და, ერკთდროულად, აქტიური მუშაობა გავწიო ხალხის განათლებისა და გათვითცნობიერების დარგში. ამ ორი მიზნის განხორციელებას შევძლებ ციხეშიც, გადასახლებაშიც და უნივერსიტეტის პირობებშიც.

— ალბათ, სამწუხარო იქნება თქვენთვის, მაგრამ უნდა ვაცნობოთ, რომ მეორე მიზნის განხორციელებას, — პოლიტიკურ მოღვაწეობას ვგულისხმობ, — ვეღარ შეძლებთ.

დოცენტმა გაიცინა და იკითხა:

— რატომ, ბატონო ოფიცერო? ეს ხომ მხოლოდ ჩემი ნება-სურვილისა და ადამიანური ღირსებების საქმეა!

— არა მგონია, — მიუგო ზარანდიამ. — თუმცა, გამოსავალი მოიძებნება. მოგეხსენებათ, ერთმა სოფისტმა, რომელსაც ყოფილი შეგირდი განსწავლის საფასურის გადახდაზე უარს ეუბნებოდა, ამ თავის ნამოწაფარს უთხრა, მე შენ ორჯერ გიჩივლებ და შემოპირებულ

თანხას ამ საშუალებით მივიღებო. თქვენც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ თქვენი მიზნის განხორციელებას თუ განთავისუფლების შემდეგ ახალ დანაშაულს ჩაიდენთ.

— თუ საჭირო იქნა, იქნებ მაგ ხერხსაც მიმართოს ადამიანმა, მაგრამ არ მესმის, საითკენ მიგყავთ ეს, თითქმის, ზოგადი საუბარი.

— იქითკენ, რომ თქვენი გასამართლება ვერაგზით ვერ მოხერხდება!

— რატომ? — ეჭვით იკითხა დოცენტმა.

— იმიტომ, რომ იმთავითვე ასე იყო განზრახული.

— მაპატიეთ, — თქვა პაუზის შემდეგ დოცენტმა. — როგორ, განზრახული... ვის მიერ?

— გეგმით განზრახული. ამას ოპერაციის გეგმა ითვალისწინებდა. თქვენს საქმეში წინასწარ არის დატოვებული კარი, რომელიც პირდაპირ უნივერსიტეტში დაგაბრუნებთ. წარმოდგინეთ ასეთი სურათი: მე ვიბარებ თქვენს ვეჭილს და ვაცნობებ, რომ არსებობს ბათუმის საბაჟოში შედგენილი ოქმი თქვენი ხელბარგის ჩხრეკის და შიგ აღმოჩენილი ქლიბების დაბაჟვის თაობაზე. ოქმში არაფერი წერია აკრძალული ლიტერატურის პოვნაზე. თქვენს ხელბარგში იგი არ აღმოჩენილა. არის თუ არა ეს იმის მტკიცება, რომ თქვენ გერმანიიდან მსგავსი არაფერი ჩამოგიტანიათ?

— არის, — მიუგო დოცენტმა, — მაგრამ არსებობს ჩემს ნომერში ჩატარებული ჩხრეკის ოქმიც, ნაპოვნი ლიტერატურაც და შემდეგ, ჩვენებებიც, — სამი ადამიანის ჩვენება.

— როდესაც საქმეში საბაჟოს ოქმი ჩაერთვება, გამოძიება იძულებული იქნება დაამტკიცოს, რომ ნომერში ლიტერატურა თქვენი მითანია. ასეთი მტკიცებები გამოძიებას არ გააჩნია. სასამართლოზე ჩვენ ვერ გამოვანჩენთ ავენტს, რომელმაც თქვენი ჩემოდანი ორჯერ შეცვალა. წარმოვადგინოთ კი-

დევ, სასამართლო არ მიიღებს ოხრანის აგენტის ჩვენებას, როგორც წინამძღვარსა და საფუძველს. თავისთავად წამოიჭრება კითხვა. ვინ შეიტანა დოკუმენტის ნომერში ლიტერატურა? ამაზე გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიტერატურა თვით ჟანდარმერიის მიერ შეტანილად ჩათვლება. ეს თავისთავად, მექანიკურად მოხდება.

— ჩვენებები?

— ჩვენებებზე ყოველთვის უარს ამბობენ, როცა განთავისუფლების, პროცესით გამართლების საშუალება ჩნდება.

— იქნებ არ ვამბობთ უარს ჩვენებებზე?

— იქნებ? ჩვენ სათუოდ ვერ გავხდით სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საქმეს...

— ბატონო ოფიცერო, პირადად თქვენ, მისი ბრწყინვალეობა და მთლად თქვენი სამსახური ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ლიტერატურა ჩემი შემოტანილია...

— მისმინეთ! — ზარანდიამ გაიცინა.

— მიაქციეთ ყურადღება, როლები შევივალა. თქვენ, რატომღაც დაჟინებით ცდილობთ ყოველ მიზეზს გარეშე წარსდგეთ სასამართლოს წინაშე. ამას მე უნდა ვცდილობდე. ეგ დაჟინება ნაადრევია და ჩვენი საუბრის ამ ეტაპზე — მოულოდნელიც. ცოტა მოგვიანებით, ასე, ათი წუთის მერე თქვენი ახლანდელი პოზიცია და სასამართლოს წინაშე წარდგომა, იქნებ, საუკეთესო გამოსავლად იქცეს. ჯერჯერობით კი სათქმელს მივყავთ. ჩვენ ვერ დაეუშვებთ, რომ პროცესი შედგეს, რადგან ამ პროცესის ვერცერთნაირი შედეგი ვერ მოგვცემს ხელს. თუ მოგისჯიან, საზოგადოებაში გავრცელდება ვერსია, რომ ჩვენი პროვოკაციის მსხვერპლი ხართ. თუ გავამართლეს, გავრცელდება ვერსია, რომ ჩვენი პროვოკაციის ჩაფუშვის შედეგად გავამართლეს. არსებულ შინაპოლიტიკურ ვითარებაში სახელმწიფოსთვის მისი სამძებრო დაწესებულებების დის-

კოედიტაცია გაცილებით მეტ საშუარობას წარმოადგენს, ვიდრე თქვენი და კიდევ ათი თქვენისთანა, მხილებული, დამნაშავეის განთავისუფლების შედეგად მოსალოდნელი ზიანი. აქ ლაპარაკია, სახელდობრ, თქვენი რანგის, თქვენი პოპულარობისა და შესაძლებლობების მქონე დამნაშავეებზე.

ზარანდიამ საქალაქე გახსნა, რაღაც საბუთი ამოიღო და განაგრძო:

— მე ხელში მიჭირავს თქვენი განთავისუფლების ორდერი. იგი შევსებული და ხელმოწერილია ჩემს მიერ, საჭიროა მისი ბრწყინვალეობის ხელმოწერა და შემდეგ პროკურორის სანქცია, რომელსაც, ვფიქრობ, ადვილად მივიღებთ. თქვენი საქმის გამოძიება შეწყდება. შეწყდება ჩვენთვის ხელსაყრელ მომენტამდე და არა მოისპობა!

ყოველივე ამან ჩემზე იმდენად ღრმად შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ვერა და ვერ ვაძიულე თავი ზარანდიას ნალაპარაკეში ხარვეზების ძებნას შევდგომოდი, მისი კონცეფცია გამეანალიზებინა. დოკუმენტი თავრეტდასხმული იქცა. არ ვიცი, ზარანდიას ხრიკზე ფიქრობდა, თუ ციდან ჩამოვარდნილ თავისუფლებას განიცდიდა.

— კარგი, მაგრამ ისიც ხომ არ არის გამორიცხული, რომ ჩემი ესოდენ მოულოდნელი განთავისუფლებაც თქვენს მიერ მოწყობილი პროვოკაციის ჩავარდნით იქნება ახსნილი საზოგადოებაში, ადამიანების გონებაში. ეს ბრძოლა და, არ დავმალოვ, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ძალები, რა თქმა უნდა, შეეცდებიან სწორედ პროვოკაციის ჩავარდნის ვერსია გაავრცელონ, მით უმეტეს, რომ ეს არცთუ ძლიერ შორს არის საქმის შემთხვევითი ვითარებისგან, — თქვა დოკუმენტი.

— დიან. ეს ჯრძოლაა და თქვენს მიერ მოყვანილ აქციას მოველით კიდევ, მაგრამ სწორედ იმავე უფლებებით, რა უფლებითაც ხელისუფლების მი-

ზაზუა აზირაჯიი
დათა თუთაშვილი

მართ მტრულად განწყობილი ძალები მიმართავენ თქვენს მიერ აღნიშნული ვერსიის გავრცელებას, იმავე უფლებით, ბატონო დოცენტო, ჩვენც მივიღებთ ზომებს: გაგათავისუფლებთ თქვენ და ორ თქვენს თანადამნაშავეს, დავაპატიმრებთ ძიების პროცესში თქვენის წყალობით ამოტივტივებულ სამ-ოთხ პირს, გავაპატიმრებთ მათ და გავავრცელებთ ხმებს, რომ ისინი თქვენი გაცემულები არიან, რომ სწორედ ამის ფასად მიიღეთ თავისუფლება. ამასთან ერთად, ასეთი ვერსია, ბატონო დოცენტო, არცთუ ძლიერ შორს იქნება საქმის კუშპარიტი ვითარებისგან. მე ჩვენი საუბრის დასაწყისშივე ვთქვი, თქვენს რწმენას და იმას, რომ „სხვარაგად არ ძაღვით“ სერიოზული გამოცდა ელის-მეთქი.

აი, თურმე, რატომ მოითხოვდა ზარანდია ისე გადაჭრით და დაჟინებით, რომ ოპერაციის გეგმა უცვლელად მიგველო!

— ბატონო ოფიცერო, თქვენ ისეთი დახვეწილი არამზადა ბრძანდებით, რომ აქ, იმპერიის რომელიღაც მივარდნილ კუთხეში, თქვენი გამოყენება არსებული პოლიტიკური სისტემის გონებრივი უსუსურობის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს, — თქვა დოცენტმა.

— გმადლობთ, და გთხოვთ გაიხსენოთ, რომ ჩვენი ურთიერთობის ორი თვის მანძილზე არც ერთხელ არ მიმიმართავს თავხედობისა და შეურაცხყოფისთვის. მაგას სისუსტეში ჩამოვართმევდით, მართლაც უმძიმესი ალტერნატივის წინაშე რომ არ იდგეთ. და კიდევ ერთი რამ: თქვენს რევოლუციურ გატაკებებში ორაჯულობას მოწყურებული კალმახი იგრძნობა, მაშინ, როდესაც მე ბალახი ვარ და არ ვცდილობ ხელ ვიჭე.

— თქვენ არ გაქვთ უფლება... მე მოვითხოვ პროცესს! — შეჰყვირა დოცენტმა.

— იმისთვის, რომ დემაგოგებს მოქმედების საშუალება შეუქმნათ? ჩვენ

უკვე გაცნობეთ, პროცესი არ შედგება, — მშვიდად მიუგო ზარანდიამ, იყოჩაღდა და მერე უთხრა: — მე ^{სერიოზული} მაქვს თქვენი ფსევდონიმით ხელმოწერილი სტატიები ლეგალურ და არალეგალურ პრესაში. მართლაც, ჩინებული სტატიებია, ამაღლებული და პატიოსანი აზროვნების პროდუქტი. რევოლუცია, როგორც თქვენ ბრძანეთ, სარგებლობს თქვენი ინტელექტით. ვნახოთ, როგორ მოგვეპყრობათ შემდგომში. ვგონებ, რომ უმჯობეს შემთხვევაში, მარიონეტის ხედრი მოგვლით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ხსენებულ ლეპელეტიეთა და პარტიული უთანხმოებების შედეგად ემიგრაციაში გადახვეწილ მებრძოლთა უპატრონო სამარეებს, მაგრამ ეს მოსალოდნელია მაშინ, თუ თქვენ პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე დარჩებით. ამაში კი ეჭვი მეპარება.

— ეს ვერაგული გეგმა იმ ვარაუდით იყო შექმნილი, რომ კომპრომეტაციის გზით პოლიტიკური ბრძოლისგან ჩამოგვეშორებინეთ? — იკითხა დოცენტმა ჯიბრითა და ირონიით.

— არა, გეგმის ოფიციალური მიზანი იყო ლიტერატურის რეკვიზიცია, დამანაშავეთა დაპატიმრება და დასჯა, მაგრამ, თუ სიმართლე გნებავთ, გეგმას საფუძვლად დაედო ჩემი პირადი დამოკიდებულება თქვენი პერსონის მიმართ. ამ შემთხვევაში სამსახური პირადი მიზნით გამოვიყენე, უკეთ ვთქვათ, სამსახურებრივი ინტერესები პირად მიზნებს დავამთხვიე. სხვათაშორის, მის ბრწყინვალეხასთანაც არ დავნალავ, რომ ტახტისა და სახელმწიფოსთვის გაკეთებული ზოგი საქმიდან პირადი სარგებლობაც მაქვს ხოლმე.

— ჩემს შემთხვევაში რა სარგებლობის იმედი გქონდათ?

— მე, უპირველესად ყოვლისა, ჩემი ხალხის, ჩემი მოდგმისა და ერის შვილთაგანი ვარ. აქედან—ვალდებულებებიც და, რა თქმა უნდა, არავიოარი პარტიები. ვარ ჩემი ერის მოქმედი ერთეული, გალოკილი თითვიით მარტოკაცი. დიახ,



და მე მირჩევნია, რომ თქვენ ჩემი ხალხი აზიაროთ იმ მეცნიერულ ცოდნასა და შეხედულებებს, რაც ჩვენი შორეული წინაპრების გენიამ შექმნა, ან რომელსაც საკუთრივ თქვენი და თქვენისთანების ტალანტი, ქართული კაცის ბუნება შეიმუშავებს. ახლო მომავალში, სულერთია, დაარსდება ქართული უნივერსიტეტი, აღსდგება მეცნიერული ცოდნის გამომუშავების ძველთაველი ტრადიციები. თქვენ და თქვენისთანების ამ დაწესებულებაში მოღვაწეობა გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს ჩემს ხალხს, ვიდრე ანარქისტთა იდეების ქადაგება და, მით უმეტეს, მათი ნაძალადევად დამყნობისთვის თქვენი სიკვდილი. ამ პირადი სარგებლობის იმედი მქონდა, ბატონო დოცენტო!

ბრალდებული ერთხანს გულდასმით ათვლიერებდა ზარანდიას. მერე მხრები აიჩეჩა, ხელები გაასავსავა და თქვა: — რისთვის გპირდებით ამდენი თვალთმაქცობა? ან თუ ეგ თვალთმაქცობა არ არის, რატომ ლაპარაკობთ ასე გულახდილად მისი ბრწყინვალეების თანდასწრებით? არ გეშინიათ, რომ ჯანდარმერიიდან დაგიბოხებენ?

— „აქა ვდგევარ და სხვარივად არ ძალმიძს!“

ეს ლაპარაკი თანდათან ინტერესს კარგავდა და კამათს ემსგავსებოდა. მისი განგრობა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი დასწრება აღარ ღირდა. მხარეთა პირდაპირობა თავხედობაში გადადიოდა. არ მსიამოვნებდა დოცენტის გამოწვევი ტონი. გარდა ამისა, მივხვდი, რომ ზარანდიას მიერ დაგებული მახე საშუალებას მაძლევდა საქმის გაურთულებლად გამეთავისუფლებინა დოცენტი და მთავარმართებლისთვის მომეხსენებინა, — საქმე დამთავრებულია-მეთქი.

— მისმინეთ, ბატონო დოცენტო! — მივმართე ბრალდებულს. — მე ვაწერ ხელს ორდერზე და თქვენ ახლავე წაბრძანდებით შინ. თქვენ აქ განაცხადეთ, რომ გარიგებებზე და რაიმე კომპრომი-

სზე არ წამოხვალთ და ნურც ისე ითქვამება, რასმე ამდაგვარს ჩვენ ვთავაზობდეთ, მაგრამ თავს მოვალედ მივიჩნევ გითხრათ: არავის არ დავაპატიმრებთ, არავის კომპრომეტაციას, არ შევუდგებით, თუ თქვენს ზურგს უკან მდგომი პირები თქვენი განთავისუფლების ფაქტს ჩვენს წინააღმდეგ არ გამოიყენებენ. ალბათ, გასაგებია თუ რას ვგულისხმობ. ამასთან ერთად, გაფრთხილებთ: რა წამს მივიღებთ აგენტურულ ცნობას, რომ ჩემი ეს მოთხოვნა დარღვეულია, ჩათვალეთ, რომ ავმოქმედდებით და გამცემის რეპუტაცია სამუდამოდ ჩამოგვეციდებათ კისერზე. მე მოვრჩი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

იმისთვის, რომ მონათხრობმა დასრულებული სახე მიიღოს: დოცენტისა და მისი თანამოსაქმეების განთავისუფლება მაინც ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენეს. გავრცელდა ხმები, რომელთა მიხედვით დოცენტს გმირის, გამჭირაბი აღამიანისა და თავდადებული მებრძოლის რეპუტაცია უმტკიცდებოდა. მაშინ ჩვენ მას დაპირებულ შევეუსრულეთ: დავაპატიმრეთ გამოძიების პროცესში გამოჩენილი რამდენიმე პირი და გავასამართლეთ ისინი. ამ სასამართლო პროცესზე დოცენტის სახელმა მისთვის არასასურველი ინტონაციით დაიქურა. შემდეგ მიღებულ იქნა დამატებითი ზომებიც და საბოლოოდ მას გამცემის იარაღი ხვდა წილად.

დოცენტმა პოლიტიკური ცხედრის ზედრი არ ისურვა, საკუთარი ინიციატივით შექმნა ანარქო-სინდიკალისტთა არალეგალური ჯგუფი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთაგან და მალე კამჩატკის გადასახლებაში მოხვდა. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მან ზარანდიას რჩევით ისარგებლა: შევირდს ორჯერ უჩივლა, ანუ განმეორებით ჩაიღინა დანაშაული, განზრახ დაიღო მსჯავრი და თანამზრახველთა წინაშე პოლიტი-

ვახუა აშირეჯიბი
დათა თუთაყვი



კური რეაბილიტაცია გაინაღდა. სამ-
წუხაროა მხოლოდ, რომ სუსტი ჯანმრ-
თელობის აღმოჩნდა, გადასახლებაში
დაავადდა და გარდაიცვალა.

მკერა, რომ მას „სხვაგვარად არ და-
ლუქდა“.

ამ ეპიზოდის დასაწყისშივე ვთქვი,
ზარანდიამ ეს საქმე ლამაზად ჩაატარა
და ლამაზადაც წაავა-მეთქი. ასეთი და-
სასრულის გამო ვთქვი, თუმცა თვით
ზარანდია ამ საქმეს წაგებულად არ
თვლიდა.

ახლა კი დასკვნა, რომლის გულისთ-
ვისაც ვიყავ იძულებული ამისგანვე ამ-
ბავი მომეყვანა. როგორც ერთხელ უკ-
ვე ვთქვი, ჩემი წინასწარი მოსაზრებები
დრომ და მოვლენათა მსვლელობამ და-
ადასტურა. მუშნი ზარანდიას ქმედების
მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ იმაში
მდგომარეობდა, რომ მას „სხვარიგად
არ ძალუქდა“. ეს ცხადია, მაგრამ აქ
აუცილებელია ორიოდ სიტყვა ითქვას
ამგვარ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ თვის-
ებებზე და ადამიანში ამ მონაცემის
წარმომავლობაზეც. იმისთვის, რომ მსჯე-
ლობამ არ გამიტაცოს, სიტყვა არ გა-
მიგრძელდეს და ადვილად გასაგებს
ბურუსი არ შემოვხვიო, მოვიყვან დი-
ალოგს ჩემსა და მუშნი ზარანდიას შო-
რის, დიალოგს, რომელმაც ზემოთ დას-
მულ საკითხს სინათლე მოჰფინა.

იმხანად სენსაცია გამოიწვია ატლან-
ტის ოკეანეში დიდი სამგზავრო გემიანა
და მგზავრთა უმრავლესობის დაღუპ-
ვამ. ხომალდი სულ რაღაც ერთ საათში
ჩაიძირა. ამ ტრაგიკული მოვლენის
პროცესში მოხდა ისეთი ამბავი, რამაც
თუმც კომიკური, მაგრამ უფრო ძლიე-
რი რეზონანსი მიიღო, ვიდრე თვით
ტრაგედია. როდესაც გემი იძირებოდა
და იქაურობა პანიკით იყო მოცული,
ერთმა კომივოაჟერმა მოახერხა არა
მარტო ისტერიის მდგომარეობიდან გა-
მოყვანა და დაემშვიდებინა მანამდე
მისთვის უცნობა, ოცდაათოთხმეტ-თხუ-
თმეტი წლის მარტოხელი ქალი, არამედ
ისიც შეძლო, რომ მას მადემუაზელ
ბრინონის ნახელავი კორსეტი და კო-

რსეტთან ერთად ახალი ტიპის სორ-
ცის საკები მანქანა მიჰყიდა, ^{წარმოადგინა}
მოცდათამდე ადამიანიდან გადარჩა
თორმეტი, მათ შორის კომივოაჟერი
ნავაჭირ ფულით და ქალი, წარმოიდგი-
ნეთ, თავისი კორსეტიც და სორცის
საკები მანქანითურთ.

— ამას რა ახსნას მოუძებნიდით,
მუშნი? — ვკითხე ჩემს ხელქვეითს ერ-
თი მომქანცველი თათბირის შემდეგ.

ზარანდიამ გაიღიმა და მითხრა:

— ეგ სასაცილოც არის, თქვენო
ბრწყინვალეებო, და უკიდურესად საინ-
ტერესოც. ჩემის აზრით, მსგავსი მოვ-
ლენები ცალმხრივი, ერთი რომელიმე
მიმართულებით გამახვილებული მიდ-
რეკილების ბრალია. ასეთი ადამიანები,
ვგონებ, საკმაოდ იშვიათად ვვლინე-
ბიან ქვეყანას. არ ვიცი, რა სახელი
მოერგებოდათ მათ, მაგრამ ვიცი რო-
გორ და რა გზით მოდიან ისინი. —
ზარანდიამ აზრი მოიკრიბა და განაგრ-
ძო: — ხომ შესაძლებელია, რომ მომა-
ვალში მეცნიერებამ, მენდელეევის პე-
რიოდული სისტემის დარად, ადამიანის
ზნეობრივი თვისებების სისტემაც ჩა-
მოაყალიბოს? აღმოჩნდება, რომ არსე-
ბობს ამდენი და ამდენი უკვე ცნობილი
თვისება, ვთქვათ, სიყვარული. სიძულ-
ვილი, სიკეთე, ბოროტება; სხვანი და
სხვანი, ხოლო ცხრილის ამდენი და ამ-
დენი უკრა დროებით შეუფესებელი და-
რჩება. მერე გავა დრო და თავისი ბი-
ნადარი ალბათ ყველა უკრას გამოენახე-
ბა. — ზარანდია ჩემს რეაქციას დაე-
ლოდა.

— განაგრძეთ, მუშნი. მესმის, რის
თქმაც გასურთ.

— ვფიქრობ, რომ ნორმალურ ახალ-
შობილს იმათივე დაჰყვება ხოლმე
ადამიანის ყველა ზნეობრივი თვისების
ჩანახაზი.

— თქვენ ნორმალურ ახალშობილზე
ლაპარაკობთ, არა?

— დიახ. გამონაკლისებზე და გადახ-
რებზე მერე ვიტყვი. მაშასადამე, ნორ-
მალურ ახალშობილს აქვს ყველა ზნე-

ობრივი თვისების ჩანასახი და ამ ჩანასახის ზრდა-განვითარების, ჩამოყალიბების, დახვეწის შესაძლებლობაც.

— აქვს.

— საფიქრებელია, რომ ერთსა და იგივე ახალშობილს ყველა ზნეობრივი თვისების ჩანასახი ტოლი სიდიდისა ვერ ექნება. ალბათ, ზოგი ქარბი პოტენციისა ექნება და ზოგიც ნაკლებისა, მაგრამ თუკი მათი ზრდა-განვითარების, ჩამოყალიბების და დახვეწის პირობები, ანუ გარემო, ერთი რომელიმე ზნეობრივი თვისების მძაფრ ზრდას არ იწვევს, მოსალოდნელია, რომ პროდუქტიც მეტ-ნაკლებად ნორმალურ თვისებებიანი დადგება, ანუ ისეთი, რომელსაც ჩვენ ნორმალურ ადამიანებს ვუწოდებთ. ახლა გამონაკლისებსა და გადახრებს მივმართოთ. ხომ შეიძლება, რომ დაიბადოს ისეთი ადამიანი, რომელსაც სიხარბე, მომხვეჭელობა და სიძუნწე მძლავრი მონაცემებით დაჰყვა, ხოლო ამის საწინააღმდეგო თვისებები სუსტ, უმწეო ჩანასახად?

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

— ისიც ხომ შესაძლებელია, რომ ასეთ ადამიანს შეეჭმნას ზრდა-განვითარების გარემო, რომელიც მძლავრ მონაცემს მძაფრად განავითარებს და სუსტ მონაცემებს კი დათრგუნავს. დაასუსტებს, პრაქტიკულად მოსპობს კიდევ?

— ეგვეც შესაძლებელია.

— მაშინ, გრაფ, ასეთნაირად ჩამოყალიბებული ადამიანი რა გზას დაადგება და ამ გზაზე როგორ თვისებებ-

საც გამოამჟღავნებს, მგონი, ამაზე ლაპარაკი ზედმეტი უნდა იყოს.

— ვასაგებია.

— ჩვენ, გრაფ, საუბარი დავიწყეთ, კომივოიაჟერით და კორსეტებისა და ხორცის საკები მანქანების მოყვარული დედაკაცით. ასეთებს „სხვარიგად არ ძალუძთ“ და რატომაც არ ძალუძთ, ამაზე უკვე ვთქვით. ვიმეორებ, რა დავარქვა მათ არ ვიცი, მაგრამ საიდან და როგორ მოდიან, მგონი ვიცი და მოგახსენეთ კიდევ. ისინი არანორმალურ მონაცემებზე მძაფრად მოქმედი გარემოს თანხვედრის შვილები არიან. როდესაც კაცი ასეთია, იგი ფსკერისკენ დაქანებულ გეშუე ქალს ისტერიიდან გამოიყვანს იმისთვის, რომ კორსეტი მიჰყიდოს. თვითონ ისტერიაში ჩავარდნილი, დამშვიდდება საკები მანქანის ყიდვის პერსპექტივით გამხსნეველად და იყიდის კიდევ. ის საკები მანქანა, იქნებ, წელზე შეიბას და ისე გადაეშვას წყალში, მაგრამ ილბალი მუდამ ასეთების მხარეზეა, ისინი ყოველნაირი განსაცდელიდან საღ-საღამათები გამოდიან.

ზარანდიამ, იქნებ, არც იცოდა, რომ თვითონაც ამ რიცხვს ეკუთვნოდა. ჩემის აზრით, სწორედ ანომალიისა და სათანადო გარემოს თანხვედრის შედეგი იყო, რომ ზარანდიასაც არ ძალუძდა სხვარიგად.

ასეა თუ ისე, ჩემი მოდელის ეს თვისებაც გამოირკვა და მეთოდის მიხედვით იგივე ქმედების მიზეზი დათა თუთაშხიაშიც უნდა მეგულისხმა, მის დანაშაულობებში მეძებნა...

გაგრძელება იქნება





თ ო მ ა

კვირის ბაზარი მოგესხენებთ.

თომა ჯავახიამ მთელი ყაფანი შემოი-
არა, მაგრამ სასწორის დასადები კი
არა, ფეხზე დასადგომი ადგილიც ვერ
იშოვა. მძიმე ტომარამ მკლავი დაუბუ-
ჭა და კისრის ძარღვები დაებერა. მანქა-
ნის ყანყალისაგან სულუგუნე გალახუ-
ლიყო და რძისფერი წითხი ზურგს უს-
ველებდა. დაავიანდა თომას ჩამოსვლა.
სისხამზე გამოსულს კარგა ხანს არაფე-
რი წამოეწია, ბოლოს მორებით დატ-
ვირთულმა მანქანამ შეისვა, მაგრამ ისე
ნელა იარა იმ დალოცვილმა, რომ სა-
ნამ ბაზარს მიიღწია, მოშუადღევდა
კიდეც.

ახლგაზრდა მეჯოგეს, ცოტა არ
იყოს, ეთაკილებოდა ყველის გაყიდვა.
„რა ჩემი საქმეა, მე ხომ ვიცი, არ გა-
მომივა. სხვისი რომ იყოს, ოქროდ გა-
ასადებს. ჩემს ხელში ჩაწვება ყველა-
ფერი. ნეტავი ერთიანი მუშტარი გამო-
ჩნდებოდეს.“—ფიქრობდა თომა და და-
ხლთან მისაჩოჩებელ ადგილს ეძებდა.
თომამ დღეს პირველად წამოიღო ბა-
ზარში სულუგუნი. აქამდე მამამის და-
ჰყვებოდა, სანამ მამა ჰყავდა ყველაფე-
რი უფრო იოლი ეჩვენებოდა თომას.
ბაზარში ჩამოსულ მამა-შვილს სულუ-
გუნი დიდხანს არ უჩერდებოდათ დახ-
ლზე. მამამისი გაიქცა-გამოიქცეოდა, მო-
ხერხებულ ადგილსაც შეარჩევდა, სას-
წორსაც საკუთრივ დაითრევდა და აეწ-
ყობოდა საქმე საათივით. თომა გულგ-
რილად ათვალიერებდა ბაზრის მოსაწ-
ყენ ერთფეროვნებას და ხანდახან ყვე-
ლის გასახვევ ქალაღს თუ გაუწოდე-
ბდა მუშტარს. აგერ მესამე კვირა მი-
დის, რაც მამას ორმოცი გადაუხადა.
ახლა ოჯახის უფროსობაც თომას დააწ-
ვა კისერზე და სულუგუნით საესე ტო-

მარაც. თომას თხელი, შავი წვერ-ულ-
ვაში მოსძალებია. შავი სატინის გახუ-
ნებულ ხალათზე მიცვალეხულის შავარ-
შიაშემოვლებული სურათი მიუბნევი
და წარბშეკრული დაათრევს ტომარას.
„ოღონდ მალე გაყიდოს და მოიშოროს.
რა სიტხეა. ეს ხალხი როგორ ძლებს.
ქალაქში. ხობოხო, რა გააძღებს ამ-
დენს. რა სულუგუნი ეყოფა ამ ჯამათს.
ისე, რომ ჰკითხო, მთლად ტყვილად
უნდათ. კაპიკებზე ჰიკუნის ვერ დაიწ-
ყებს თომა, მაგრამ ვერც „ტყვილად გა-
დაყრის ამდენ საქონელს. რა იციან
მათ, რა წვალემა უნდა სულუგუნს.
საიდან სადაა ჩამოტანილი. თუ არ უნ-
დათ, ნუ იყიდიათ. აუცილებელი არაა
ყველამ სულუგუნი ჰამოს.“

— აგერ გავჩერდები, თუ არ გეწყი-
ნება. — უთხრა თომამ თეთრხალათიან
წითურ გამყიდველს და ტომარა მოიხს-
ნა.

— რაი?! — შეუბღვირა სულუგუნის
პატრონმა და სასწორი დახლის იმ თა-
ვისუფალი ადგილისკენ გააცურა, სადაც
თომას, მისი ფიქრით, ყველი უნდა დაე-
ლაგებინა.

— აგერ გავჩერდები-თქვა, თუ არ გე-
წყინება, პატარა ხანს.

— მე სად წვეიდე?

— შენ ხომ ხარ მანქანა.

— თავზე დამადგამ ტომარას და გი-
ყურო ქვეიდან ხომ?

— რატომ, შე კაცო. მიიწი პატარა
და დევეტევიტ ორივე.

— სად დევეტევიტ, ბიჭო! შენ ჰკუა-
ზე პატარა აფრაკათ ხვარ ხარ? შენი
გულიზა მევედი აქანა ამ დილას ექვს
საათზე?

— რა ვქნა ავა მე?

— რა ვიცი, რა ქნა.

— წვილო, აბა, ეს უბატრონო უკან სახლში?

— ვინ გეუბნება წვილო, ხმას დაუწია წითურმა, — აქ ვერ დაგაყენებ. სხვაგან მოძებნე ადგილი და ასე გიქნია; ორმაგ ფასად გაგიყილია.

თომამ ისევ მოიგდო ტომარა მხარზე და ახლა დახლის მეორე მხარეს გავიდა.

— თუ კაცი ხარ, დამაყენე შენთან პატარა ხანს. — შეეხვეწა იგი შუახანს-გადაცილებულ კილოფისქუდიან მამაკაცს, ნაყვავილარ სახეზე გაპარვისას ელალი წვერის კუნძულები რომ დარჩენოდა.

— სად იყავი ამდენ ხანს? — ცოტა გულმოსულად, მაგრამ ისეთი ტონით უთხრა კილოფისქუდიანმა რომ, ჩანდა, მოსულს დახლის ერთ ნაპირას დადგომაზე კატეგორიულ უარს არ ეუბნებოდა.

— ზეკარზე ცვხოვრობ. შორია ეს ოხერი. ფული დამკირდა სასწრაფოდ თუარა, ამის თრევის თავი მაქვს მე? საქონელი ქალების იმედად დავაგდე... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა თომამ და მთვარესავით ჭანმრთელ სულგუნს დახლზე აღაგებდა.

კილოფისქუდიანმა თომას ყველს რომ გადახედა, ინანა, რომ მეჯოგეს ადგილი დაუთმო. კილოფისქუდიანმა შესანიშნავად იცოდა კონკურენციის ელემენტარული სახე: მომხმარებელი ორი სახის სულგუნნიდან იაფს და უკეთესს აირჩევს. ხოლო თომას სულგუნნი ხელიდან ხელში არ მიიციებოდა.

— რას აფასებ? — ჰკითხა მეზობელმა, სანამ თომას ირგვლივ მუშტრის გადაჭუფება დაიწყებოდა.

— შენ რავე ყიდი? — კითხვა შეუბრუნა თომამ და ერბომოწოლილ სულგუნს დანა დაუსვა.

— კაცო, შენ შენი საქონელი გაქვს და შენი ფასი. რას უყურებ ჩემსას — გაბრაზდა კილოფისქუდიანი.

— სამად მინდა გავუშვა. თუ იქნება მუშტარი.

— გაგიყდი, ბიჭო, შენ?!

— რაიტო?!

— ამ ოქროსავით სულგუნს სამად რომ გაყიდი, ჩემსას ვინ იყიდის მერე ხუთათ.

— რა გქნა აბა?

— ხუთს ფეხი არ მოუცვალო, — მკაცრად გააფრთხილა კილოფისქუდიანმა და თავის გამხდარ სულგუნებს გვერდი შეუნაცვლა.

თომამ შესანიშნავად იცოდა, რომ მისთვის კილოგრამ სულგუნში სამი მანეთის აღებას ხუთი მანეთის აღება ჯობდა...

— კი მარა, მიდის მერე ხუთათ?

— მიდის აბა რას შობა.

— ბევრი არაა ხუთი, იმანო?

— ჯერ ერთი, იმანო კი არა, ლაგერენტი მქვია მე. მეორეც რაია ბევრი. მოპარული გვაქ თუ? რავეც სხვას უღირს შენც ისე უნდა გიღირდეს.

თომამ მკლავები დაიკაპიწა და ბირველსავე მუშტარს ღიმილით შეაგება:

— გემო ნახეთ, ბატონო.

მუშტარი თვალუბდასივებული, გამხდარი ქალი იყო. კისერზე ნაოჭები გარმონივით აჩნდა და გამხდარ, დამარღვეულ ხელში ნეილონის ბადურა ეჭირა. ქალმა ჯერ ყურით არ ათხოვა თომას. საითთაოდ გასინჯა იმ რიგზე ჩამწყრივებული ყველეული და ისევ თომას დაუბრუნდა.

— რას აფასებთ?

— ხუთს, ქალბატონო.

— რაას?

— ხუთ მანათს.

— კილოგრამს?

— დიახ.

— ერთ კილოგრამ ყველს ხუთს აფასებთ?

— სულგუნია, ქალბატონო, ნახეთ გემო.

— რა გემოც არ უნდა ჰქონდეს, ერთ კილოში ხუთ მანეთს რა სინდისით ითხოვთ? — აიმრიზა მუშტარი.

— რა ვიცი, ჩვენ ასე გვიღირს. თუ

რამაზ მიშველაძე
თომა

არ გნებავთ, სხვასთან იყიდეთ,— გაუბედავად ჩაილაპარაკა თომამ და ლავრენტის გადახედა. ლავრენტი ყაფანის ჰერს ათვალაღერებდა.

— სად დაკარგეთ სინდისი. — არ ვშვებოდა „ქალბატონი“, — ამხელა ფასს რომ ადებთ, აღარ გვეკითხებით ჩვენ რა გვიღირს? როდის ყოფილა სულუგუნი ხუთი მანეთი!

— რა ვიცი, ქალბატონო.

— ნუ ისაწყლებთ თავს. ძალიან კარგად იცით ყველაფერი. ნამუსი აღარ შეგრჩათ და სინდისი არც ერთს.

— რა გინდათ, ჩემგან, ქალბატონო! — ბოლმისგან ლამის იყვირა თომამ, — დამანებეთ თავი. არ ვყიდი, სულ არა!

— შენგან რა უნდა მინდოდეს. შეგასმენს კაცი რამეს, თუ რა. ყაჩაღები ხართ, უთოფო ყაჩაღები! გვატყუებთ და ტყავს გვაძრობთ!

— მე არაფერს არ გატყუებთ. ჩვენ ასე გვიღირს. ყველას ჩვენ-ჩვენი გასაჭირი გვაქვს. თვარ გემეტებათ, ნუ იყიდით, ბატონო.

— რა მშვენიერი პასუხია. — ლელავდა ქალბატონი, — ნუ იყიდითო, ნუ შეჰკამთო. იციან, ყველაფერი ძალიან კარგად იციან...

ქალბატონი მალე მიეფარა თვალს. თომა, თითქოს საქვეყნოდ შეარცხვინესო, გაოგნებული იდგა და იქეთ იყურებოდა, საითკენაც გაგულისებული მუშტარი წავიდა. მას არაფრის გაგონება აღარ სურდა. ოღონდ როგორმე დაეცალა ხელი, როგორმე გაცლოდა ამ სულისშემხუთველ რიარას.

— სულუგუნი როგორ არის? — ჰკითხა ვიღაცამ. თომა წყალგადასხმულივით შემობრუნდა. მის წინ ღაბაბიანი, წყალმანკიანი პირისახის, ვიწრობეჭება და ბრტყელთავიანი კაცი იდგა. ხშირ, ხუჭუჭა თმებს იქეთ, კეფაზე ჰრელი ტაჭიკური ქუდი ეხურა.

— რა შეგეშინდა, დაგენაცვლე, — გულგრილად უთხრა მუშტარმა და გაუშინა.

— ხუთი უნდა. რა მაქვს საშიში.

— სადოური ყველია თუ გახსოვს?

— მახსოვს რა. ჩემი საქონლისაა და ჩემს ბინაში ამოყვანილია.

— მწყემსი ხარ, მწყემსი? — დაინტერესებულის სახე მიიღო ბრტყელთავამ და შუაზე გაჭრილი სულუგუნი კიდევ ერთხელ დასუნა.

თომამ არაფერი არ უპასუხა.

— რაჯა გაყიდეთ, რა დაგაბარეს?

— ჩემთვის არაფერი არ დაუბარებიათ.

— ფასს არ ამბობ, დაგენაცვლე? მაღალა?

— არაფერს არ ვმაღავ. ხუთი უნდათქვა გითხარი.

— რამდენი? — ყალბად გაიცინა ქულოსანმა.

— ხუთი, — გაუმეორა თომამ და მეტი დამაჯერებლობისთვის თითებავარჩხული მარჯვენა დაანახვა.

— სწორი ფასი მითხარი, ამდენი არ მცალია, — ვითომ ჩქარობდა მუშტარი.

— მე არ გეხუმრები.

— ბაზარში არ ყოფილხარ, დაგენაცვლე? თვარაფერი გაგიყიდია, არაფერი გიყიდია მაინც, შენ თავს გაფიცებ? თომამ არაფერი არ უპასუხა.

— ორ მანეთს მოგცემ, ერთი კილო მინდა, — საქმეზე გადავიდა მუშტარი.

— არ მინდა, — მიუგო თომამ და განზე გაიხედა.

— ორ მანეთს მოგცემ კილოში და ორ კილოს წავიღებ. ჰა, ამიწონე და წავედი, არ მცალია ამდენი, — მოუჩქარა მოუცლელმა მუშტარმა.

— არ მინდა.

— მთლად წავიღებ ორი მანეთის ანგარიშზე. არ მცალია ამდენი და მორჩები ბარელამ.

თომა, ცოტა არ იყოს, შეყოყმანდა და ლავრენტის გადახედა.

— რა უნდა? — საქმეში ჩაერია ლავრენტი.

— თელად მიაქვს ორად.

— ხუთს კამიკი არ დააკლდება. მოვრჩით ლაპარაკს. — კატეგორიულად განუცხადა მუშტარს ლავრენტი.

— შენ ხარ პატრონი თუ მაგია?

— მე ვარ.

ლაბაბიანმა მშვენივრად აუღო ალღო საქმის ვითარებას და თომას მიუბრუნდა.

— მაგას უყურებ, მაგ დამთხვეულ? — ხმას დაუწია მან. — ორმანეთნახევარ გაძლეე კილოში მაგის ჭინაზე და ერთიანად წვეილებ, თავ ვფიცავარ.

— არ მინდა, — ანგარიშიუცემლად მიუგო თომამ.

— წახანე ვთქვი და სიტყვას არ გადავალ. ორმანათ და სამ აბაზათ წვეილებ კილოს. ნათქვამი მაქ თვარა, შვილ ვფიცავარ, ძვირი მიჯდება.

— ხუთს კაპიკი არ დააკლდება! — ისევ დაიგრგვინა ლავრენტიმ და თომას ზურგზე ხელი დაჰკრა. ამით აგრძნობინა, ცოტა ხანს კიდევ გაუძელი და მოგშორდებო.

— არ ვდროია გაყიდე. ისე, იცოცხლე, რავეც უკან გექნეს წასაღები. ვაი შენს დოყათს უბედურ. შენ მოერევი ამ ბაზარ? შენ ჭამ პურ. — ჩიფჩიფებდა გაწბილებული მუშტარი და ხალხის ტალღას აღმა მიარღვედა.

თომა დახლს ჩამოეყრდნო და მწარე ფიქრს მიეცა. თომას ასეთი ძნელი დღე ჯერ არ დასდგომია. სად წავიდეს, როგორ გაყიდოს? ერთნი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ და კაცს, რომელიც თავის ცოლ-შვილს მონარჩენ, სიმწრით ნაგროვებ სულუგუნს ყიდის, უნამუსოს ეძახიან. მეორენი გულში ხელებს უფათურებენ, ნარდად უპირებენ წართმევას, მესამენი...

— ვისია სულუგუნი? — იკითხა ჩახლეჩილმა ხმამ.

თომამ თავი ასწია და „კოზიროკიან“ კაცს მიაშტერდა. „კოზიროკიანს“ სანდომიანი სახე ჰქონდა, ხელში ტყავის ჩანთა ეჭირა და მარჯვენა ყურზე წითელი ფანქარი ჩამოედო.

— ჩემია, — უთხრა თომამ.

— წამოდი ჩემთან, — მშვიდად უთხრა „კოზიროკიანმა“ და თომასთვის ზედაც არ შეუხედავს, გზა განაგრძო.

თომამ ლავრენტის დაუბარა, სულუგუნს მიმიხედო, და ტყავის ჩანთიანს დაეღვენა.

სულუგუნის პატრონმა გზაშივე გამოიცნო, რომ ბაზრის დირექტორი იყო თუ არა, ბაზრის რომელიღაც პასუხისმგებელ პირთან ჰქონდა საქმე და ყოველშემთხვევისათვის ჯიბიდან გუშინ სასოფლო საბჭოდან წამოღებული ცნობა დააძრო. ცნობაში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ზეკარის კოლმეურნეობის ფერმის მწყემსს — თომა ჯავახიას უფლება ეძლეოდა ბაზარში საკუთრივ დანაზოგი სულუგუნი (დარძის სხვა პროდუქტები) გაეყიდა.

ისინი ნიერის სუნით აყროლებულ პატარა ოთახში შევიდნენ. წინ მიმავალმა ტყავის ჩანთა მაგიდაზე მოისროლა, კოზიროკიანი ქუდი კედელზე დაჰკიდა და სკამზე მოწყვეტით დაეშვა.

— დაჯექი, — უთხრა მან შემოსულს და სანამ თომა დაჯდომას მოიფიქრებდა, უშველებელი, კრელი ცხვირსახოცით გულმოდგინედ იწმენდა კისერსა და მკერდში ჩასულ ოფლს.

თომა ჩამოჯდა და ბაზრის მეუფეს ცნობა მაგიდაზე დაუდო. პასუხისმგებელმა ჯერ თომა აათვალიერა-ჩაათვალიერა, თითქოს რაღაცას ელოდებო, ეჭოთხანს საკუთარ ხელებს აკვირდებოდა, მერე ზანტად გააცურა ხელი ქაღალდი სკენ. ჩანდა, ბაზრის დირექტორი ქაღალდების დიდი მოყვარული არ უნდა ყოფილიყო.

— რა არის, ბიჭო, ეს? — ჰკითხა მეზაზრემ, ისე, რომ ქაღალდისთვის თვალი არ მოუცილებია.

— ცნობაა, — მშვიდად უპასუხა თომამ, რადგანაც დარწმუნებული იყო, ბაზრის უფროსმა შესანიშნავად იცოდა, რა ეჭირა ხელთ.

— როდინდელია მერე ეს ცნობა?

— ახალია, — გაიკვირვა თომამ.

— რას ქვია ახალი? ნახე აბა 1971 წლის 22 ივლისი არ აწერია ამას? შენ კითხვა ხომ იცი?

თომამ ცნობას დახედა და თითქოს პირველად ამოიკითხაო, დაბეჯითებით მიუგო:

რედაქცია მიხვალაჲ
თომა



— კი. მასე წერია.
 — მერე, რამდენია თუ იცი დღეს?
 — ოცდასამი.
 — გამარჯობა შენი.
 — რა იყო. გუშინ ვეიღე ცნობა და გუშინდელი რიცხვი აწერია. აბა ამ დილას, ექვს საათზე, ჩემი გულიზა ვინ გააღებდა საბჭოს.

— ჩემო ბიძია, — ირონიული სიმშვიდით უთხრა ბაზრის დირექტორმა და თავზე ხელი მოსვა, — დამაკვირდი ერთი თავზე. რამდენი წლით ვიქნები შენზე უფროსი, რავე ატყობ? შენ მომატყუებ ახლა მე?

— რაა მოსატყუარი?
 — რა არი მოსატყუარი და ამ ცნობით გუშინ გაყიდე ყველი და დღესაც გინდა გაყიდო.

→ გუშინ?
 — ჰო, გუშინ. რავე გვიკვირვე. გვიკვირვე თვარა არ მიცნობ და არ გიცნობ. პირველათა ხარ ვითომ ბაზარში.

— გუშინ დამინახა ვინმემ აქანა?
 — გუშინ ჩემი „სმენა“ მუშაობდა. ესეც ძალიან კარგად იცი შენ, კაი ხვითო ხარ.

— არ ვყოფილვარ, ბატონო, და ხატზე დევიფიცებ თუ გინდა.
 — დაფიცება არ უნდა ამას.
 — რა უნდა აბა!

— შენ კარგად იცი, რაც უნდა, და არ მცალია ამდენი. — ბაზრის დირექტორმა ჩანთა გახსნა და ყასიდად რაღაც ქაღალდები ამოალაგა. ვითომ დიდი საწერი და სმულაო ჰქონდა ბაზრის დირექტორს და აქ თომასთან უსარგებლო საუბარში ცდებოდა.

— რა ვქნა აბა? — შეწუხდა თომა.
 — რავე ქნა და რავარცაა წესი, წახვალ ახლა, წეიღებ შენს საქონელს, ჩამოიტან სწორ ცნობას და გაყიდი იმდენ კილოს, რამდენიც ცნობაში გეწერება.

— ახლა შენც ხო იცი, რომ ეგ შეუძლებელია. — სხვა გზა სცადა თომამ.

— მე არაფერი არ ვიცი. — ბაზრის დირექტორი წამოდგა და ფანჯარას მიადგა.

— რა ვქნა აბა? ახლა ზეკარში ამცვლედი და იქიდან ჩამომსვლემ მე?

— ბიჭო, შენ ციდან ხვარ ხარ ჩამოფრენილი? — მობრუნდა მასპინძელი. — სად მცალია ამდენი, მორჩი ახლა და გაათავე.

თომა, რასაკვირველია, რაღაცას ხვდებოდა, მაგრამ არც თუ ბოლომდე. — მე გასწავლო ყველაფერი? — განაგრძობდა ბაზრის გამგე. — არ იცი, რას რაფერ უნდა შემოუარო?

— ვიცი, მაგრამ, — შეყოყმანდა თომა.
 — მარა რაი?

— ჯერ ერთი კილოც არ გამიყიდილა.
 — კაცო, მე ჩემი მივიღო და ასე ვიქნია, ორი ტონა გაგიყიდილა, გაათავე ახლა და წადი, დროს აცდენ აქანა.

თომამ ათმანეთიანი ამოიღო. დირექტორის მაგიდაზე დადო და ცოტა ხანს ამოღდ ელოდა ხურდას. ნეტავ ხუთმანეთიანი მქონოდაო, ინანა თომამ. როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ტყავის ჩანთიანი ხურდის დამბრუნებელი არ იყო; გმადლობთო, თავისთვის ჩაილაპარაკა თომამ და კარებში გამოსულს დირექტორის ხმა წამოეწია:

— მოიცა!
 თომა შემოტრიალდა.
 — აბა, ეს წაიღე — უთხრა დირექტორმა და საბაზრო მომსახურების ორმოცდაათკაპიკიანი ქვითარი გაუწოდა.

როცა დახლს დაუბრუნდა, თომამ შენიშნა, რომ ლავერენტის მისი ყველისთვის გაზეთი გადაეფარებინა და თავის ფერგამოხდილ სულუგუნს თითქმის ხელში ატენიდა მომხმარებელს.

— რა გითხრა?! — ჰკითხა ლავერენტი ისე რომ მისკენ არც გაუხედავს.
 → არაფერი.

— სწორი ცნობა ხომ გქონდა?
 — კი.

— გულზე ეყრება სწორ საბუთს რომ მიცემ. არ უყვარს. რაც კი მოეხერხება შარს მოგდებს და მიინც დაგტყუებს რაღაცას.

— რა ღირს სულუგუნი? — ჰკითხა

თომას ახალგაზრდა ბოხნიანმა კაცმა და პასუხს არ დაუტოვებდა, — ამიწონე თუ კაცი ხარ, ორი კილო. ჩემდა თავად აწი ბაზარში წამომსვლელს ექცა შავად.

თომამ ორი წველა სულუგუნი მოიმარჯვა და ლავრენტის სასწორისკენ გაიწია.

— რას შობი ახლა? — ჰკითხა ლავრენტიმ, — ახლა სასწორზეც გამიხდი მოზიარე? კი მარა, შენ დღეს ლატარიისში ხომ არ მერგე, ბიძია?

— ავწონი ამ ერთხელ და მოვიტან სასწორს. — შეეხვეწა თომა.

— კი, კი ბევრს მოგცემენ ერთიანად და აარჩიე კაი სასწორი. — სიცილით უთხრა მოპირდაპირე დახლზე გადმომდგარმა მოხუცმა, რომელიც ტალახიან წყალში ამოვლებულ მწვანილს ჰყიდდა.

ლავრენტიმ „ამ ერთხელ ააწონინა“ სულუგუნი თომას და გირები, ყოველ შემთხვევისათვის მარჯვენა მხარეს გადააწყო.

— შენი? — მხარზე შეეხო ვილაც თომას, როცა თავის პირველ მუშტარს ფულს გამოართვა და ჭიბეში ჩაიღო.

— რა ჩემი?

— ჰქვითარი.

თომამ ჰქვითარი გაუწოდა.

ჰქვითარების მაძიებელმა, თომას ხელშივე დახედა საბაზრო მომსახურების საბუთს და სწრაფად მოისაზრა.

— მეორე?

— რა მეორე.

— მეორე ჰქვითარი რა და. ერთი ორმოცდაათკაპიკიანი უნდა გქონდეს და სამი ათკაპიკიანი.

— ჩემთვის სხვა არაფერი მოუციათ.

— არ მოგიტხოვია და რას მოგცემდნენ, რა გიყო ახლა მე?

— წავალ, გამოვართმევ.

— აწი კაი დროსია

— აბა, უსაშველოა ახლა ეს ოცდაათკაპიკიანი ჰქვითარიც?! — სიბრაზისაგან გალურჯდა თომა.

— უსაშველო არაფერი არ არის. ჯარიმას გადაიხდი და გათავდა.

— რის ჯარიმას?

— რის ჯარიმას და ჰქვითარი რომ არა გაქვს. სულუგუნს უხალათოდ რომ ჰქვითარი და ბაზრის ჰიგიენას მირღვევას ჯარიმას და სულუგუნი ტომარაში რომ გიყრია და სუფთა ქაღალდიც რომ არა გაქვს მყიდველს ნავაჭრი რომ გაუხვიო.

ასე იყო თუ ისე, კონტროლიორმა თომას „ჯარიმად“ ხუთი მანეთი აატყავა და გაეცალა.

წავიდა თუ არა ბაზრის მოხელე, თომამ კიდევ ერთხელ მოუბოდიშა ლავრენტის და სასწორზე გავარდა.

სასწორის საწყობში ცივი უარი ტყიცეს.

— აბა რა გქნა? რით ავწონო ეს ოხერი? — ეუბნებოდა თომა სასწორების გამცემს.

— სასწორით, — თითქოს გამოსავალი იპოვო საწყობის გამგემ, — სხვა რამით ბევრიც რომ მოინდომო ვერ აწონი.

— მომიხერხე რამე.

— მაქვს და უარს გეუბნები? გვეცი, რაც იყო. სასწორი ასე ადვილი საშოვნელია? დილის 7 საათზე უკვე არცერთი ცალი აღარ მაქვს.

— კი მარა, მაინც რით მიუწონო მუშტარს, შენი ჰკუთით?

— სასწორით.

— რომელი სასწორით?

— რა ვიცი მე?

თომას ნერვები დააწყდა და სწრაფად გაშორდა სხვისი ჰირისთვის არცთუ დიდად მგრძნობიარე მოსაუბრეს. თომას ცრემლები მოსწოლოდა. იგი გაფითრებული და ტუჩმოკუმული დიდი, ჭიუტი ნაბიჯით მიიბიჯებდა ბაზრის გასასვლელისაკენ.

...კისერგაზეთილი, უშნოდ წყობილი, ძონძროხა მილიციელი კიკიანი თითქმის დაცარიელებულ ბაზარში დარბოდა და გაჰყვიროდა:

— გეყოფათ ახლა! ვკეტავთ! წაით

რედაქცია მიწვევას
თომა

სახლში! ერთი საათი ისედაც გადაცი-
ლდა! წაით სახლში!

ლავერენტიმ დახლიდან თავისი ბარ-
გი-ბარხანა ააღვა და კიკიანს უხმო.

— დამიძახე ერთი ღირექტორს.

— რა იყო?

— დამიძახე, საქმე მაქვს.

— შენ ვერ მიხვალ იქით?

— კაცო, მიდი ერთწამა, რა გეზარე-
ბა.

ღირექტორს, ცოტა არ იყოს, გაუკ-
ვირდა, რომ გადასცეს სულუგუნის გამ-
ყიდველი გიხმობსო, მაგრამ მიინც გა-
მოივლო ნივრით აყროლებული კაბინე-
ტის კარი.

— უფროსო, — ჩურჩულით უთხრა
ლავერენტიმ, — ეს სულუგუნი ამ დი-

ლას მოიტანა ვილაცამ. ცოტა ხანს
უყურე სასწორზე მივალო ~~მივალო~~
დაიკარგა. თუ ძმა ხარ, მე არაფერი დამ-
ბრალდეს. მთელი დღეა მაგას ვყარაუ-
ლობ. ახლა თქვენთვის ჩამიბარებია.

ბაზრის ღირექტორმა თავი უხმოდ
დაუქნია და იქვე მდგომ კიკიანს არც
თუ დიდის ბოდიშის მოხდით სთხოვა,
ეს ტომარა ჩემს კაბინეტში წამილეო.

...რამე საშარო საქმე არ იყოსო, ფიქ-
რობდა ბაზრის ღირექტორი და ლავე-
რენტისა და მილიციელის თანდასწრე-
ბით ბაზრის დახურვისას „ნაპოენი“ სუ-
ლუგუნის თაობაზე, ყოველ შემთხვევი-
სათვის, აქტს წერდა. წერდა მოწაფუ-
რი, დიდი გადაუბმელი ასოებით.

კაცი ცუდად არის

აბელ წაქაძემ განათლების განყოფი-
ლების გამგის კაბინეტის კარი შეაღო
და გაზეთებზე დახრილი მასპინძლის
ყურადღება რომ მიექცია, ჩაახველა. გა-
მგემ ჯერ უხალისოდ ამოხედა, მერე
ფეხზე წამოდგა და სცადა კმაყოფილი
სახე მიეღო.

— მობრძანდით, მობრძანდით!

„საქმე გამოჩნდა, გაიფიქრა გამგემ,
— თბილისიდან უნდა იყოს, სულ ბავ-
შვი ჩანს, ამის ფერების თავი მქონდა
ახლა მეე?“

„რა დამნაშავესავით იშმუშნება.
მთლად დაწყობილად ვერ უნდა ჰქონ-
დეს საქმე, — გაუელვა აბელს, —
კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა
ეშინოდეს, სახუმრო საქმე სჭირს? რე-
ვიზია დავეცი თავზე.“

— ჩემზე ალბათ დაგირეკავდნენ, —
ხელი შეაგება აბელმა და ყოველშემთ-
ხვევისათვის თითები ჩვეულებრივზე
უფრო მეტად მოუჭირა, — სამინისტ-

როდან გამომავაზენეს, სკოლები უნდა
შევამოწმო.

— სასიამოვნოა, სასიამოვნო, — გა-
ეხარდა გამგეს, — ჩვენთან ამისწინა-
თაც იყვნენ, შეგვამოწმეს.

— ვიცი, ვიცი, მაგრამ ისინი მხო-
ლოდ აკადემიურ მოსწრებას ამოწმებ-
დნენ, მე ცოტა სხვა დავალება მაქვს.

— რა დავალება, რა თქმა უნდა, საი-
დუმლო არ არის? — კვლავ გაეზადრა
სახე განყოფილების გამგეს.

„ნამეტანი ახლოს მოვუშვი, ცოტა
თავი უნდა დავიკირო“ — ფიქრობს
აბელი.

— ჩვენ უცხო ენების სწავლების დო-
ნე უნდა შევამოწმოთ და. რასაკვირვე-
ლია, ზოგიერთი მასწავლებლის ცოდ-
ნაც. გავესაუბრებთ.

„ტუტუცი ჩანს. ამის გასასაუბრებელი
გავხდით? რაა ბოლოსდაბოლოს, რა მი-
ვლინებები აუტყდათ ამ ბოლო დროს.“
— ფიქრობს განათლების ფრონტის მე-

თაური და ჰორფლიანი სახიდან ღიმილს არ იშორებ:

— კარგია, დიდ ყურადღებას გვაქცევენ, გვეხმარებიან ზემოდან ამხანაგები. უფრო ხშირად უნდა ჩამობრძანდეთ, გვასწავლოთ, მიგვითითოთ, დაგვეხმაროთ.

„შენც კარგი ჩიტი ჩანხარ“. — გულში ამბობს სტუმარი და ვიწრო კაბინეტში სიხარულისაგან აფართხალებულ „ჩიტს“ დაბოხებული ხმით ეუბნება:

— ჩვენს სკოლებში უცხო ენების სწავლების მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა. სხვაგანაც ვიყავი, შევაპოწმე, შემამარწუნებელი სურათია.

სინამდვილეში განათლების სამინისტროს ინსტრუქტორი აბელ წაქაძე მივლინებაში პირველად იყო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დიდხანს დადიოდა უმუშევარი, რადგანაც სამსახურის შოვნის ისეთი საეჭვო შედეგია ხერხით მოქმედებდა, როგორც დაწესებულებაში მისვლა და გადაღლილი დირექტორისთვის ასეთი შეკითხვის მიცემა გახლავთ: „მე უნივერსიტეტი დავამთავრე, თქვენთან თავისუფალი ადგილი ხომ არ არის?“ და ბოლოს, სამი წლის ამაო ხეტიალის შემდეგ, აბელი უნივერსიტეტში დაბრუნდა. თავისი ყველაზე საყვარელი პროფესორი მოძებნა და უთხრა:

— მიჭირს, პატივცემულო, სამსახური ვერ ვიშოვებ.

პროფესორმა გულთან მიიტანა აბელის გასაჭირი, თუმცა გაუკვირდა კი, რომ ფრიადოსანი სტუდენტი აბელ წაქაძე, თურმე ამდენ ხანს უმუშევრად დადიოდა.

— შენ ხომ გავანაწილეს? — მშვიდად ჰკითხა მან.

— არა, პატივცემულო.

— ასპირანტურაში რატომ არ ჩააბარე?

— არ მინდოდა, პატივცემულო.

— სად გინდოდა მოწყობა?

— სულერთია. ყველგან უარს მეუბნებიან, ჭერჭერობით არაფერი არ არისო.

პროფესორმა საათზე დაიხედა და დაბეჯითებით უთხრა:

— მოდი ხვალ ჩემთან სამინისტროში, მოგიძებნი რამეს.

და აი, აბელ წაქაძე განათლების სამინისტროს ინსტრუქტორია.

აბელმა შესანიშნავად იცის, რომ ამ პირველ მივლინებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. აბა შენ იცი, რა საინტერესო მასალებს ჩამოგვიტანო, განსაკუთრებით ნაკლოვანებებზე გაამახვილო ყურადღება. არ დაგავიწყდეს, რომ სამინისტროს წარმომადგენელი, ოფიციალური პირი ხარ და შენი ღირსების და მდგომარეობის შესაფერად გეჭიროს თავი, — დაარიგა განყოფილების გამგემ წამოსვლისას.

ინსტრუქტორი პირდაპირ საქმეზე გადადის:

— რამდენი სკოლაა თქვენს რაიონში?

— ათი საშუალო და თოთხმეტი დაწვებითი. სახელი თქვენი, პატივცემულო?

— აბელი.

— პატივცემულო აბელ, ყველა სკოლის შემოწმებას, რა თქმა უნდა, ვერ მოასწრებთ.

— სასურველი კი იყო.

— სასურველი ნამდვილად. თქვენს მოსვლას სკოლაში, ხომ იცით, დიდი მნიშვნელობა აქვს. მდგომარეობას გამოაცოცხლებს.

აბელმა მთლად კარგად ვერ გაიგო, რას ნიშნავდა „მდგომარეობის გამოაცოცხლება“, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში, ესაიამოვნა, რომ ბოლოსდაბოლოს გამგემ ალღო აუღო შექმნილ სერიოზულ ვითარებას და დიდი რიღითა და მოკრძალებით ელაპარაკება.

ამ დილით კი, რაც მატარებლიდან ფეხი ჩამოვდა, ცოტა არ იყოს, არც მთლად სასაიამოვნო შთაბეჭდილებები დაუგროვდა აბელ წაქაძეს. ჭერ იყო და სადგურზე არავინ დახვედრია, მეო-

რეგავ მიწვევამაჲ
კაცი ცუდად არის



რეც, კითხვა-კითხვით ძლივს მიაკვლია ხის ფარღალა სასტუმროს და ორი საათი უცადა, სანამ ადმინისტრატორი მოვიდოდა. — რომელ ოთახშიც გნებავთ, შებრძანდითო, — უთხრა ადმინისტრატორმა და გასაღებების გროვა გადაუგდო.

— ეს რა თქმაა, ქალბატონო? — პასუხისმგებელი პირის ცივი, ოფიციალური ტონით ჰკითხა აბელმა.

სასტუმროს ადმინისტრატორი მრგვალ-მრგვალი ქალი იყო და მის ფერსა და გამომეტყველებას თუ დავუჭერებდით, გულის საქმე მთლად კარგად ვერ უნდა ჰქონოდა.

— ცუდი თქმაა, ბატონო? — გულწრფელად იკითხა მან. — სასტუმრო ცარიელია, რომელი ოთახიც გნებავთ. აარჩიეთ და შებრძანდით.

— თქვენ რა მოხელე ხართ, აბა ქალბატონო?

— მე ადმინისტრატორი ვარ, ბატონო. მე რომ გითხრათ იმ ოთახში შედითქვა, იქნება, თქვენ არ მოგეწონოთ და გული დაგწყდეთ. ამიტომ აარჩიეთ რომელიც გავგებარდებათ და შებრძანდით.

აბელმა მხრები აიჩეჩა და გასაღებებს ხელი დაავლო. იგი დაღლილი იყო და ადმინისტრატორთან ჩხუბის თავი აღარ ჰქონდა. „საერთოდ კი ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებო, ფიქრობდა აბელი და სასტუმროს ჩაბნელებულ დერეფანში მიაბიჯებდა.

— ეს არის თქვენი სასტუმრო? — ჰკითხა აბელმა სეიფთან დახრილ ადმინისტრატორს, როცა მთელი სასტუმრო შემოიარა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეს შენობა ადამიანთა საცხოვრებლად არა და არ გამოდგებოდა.

— დიახ! — ნიშნისმოგებით მიუგო მასპინძელმა.

— სტუმარს იმ ოთახებში ვწევნებ?
— კი, ბატონო.

— ყველა სტუმარს აქ უწევს გაჩერება?

— ჩვენთან მეტი სასტუმრო არ არის, ბატონო, — დაფიქრებით, ბეჯითად პასუხობდა მსუქანი ქალი.

— ძალიან დიდი კაცი რომ ჩამოვიდეს, იმასაც ამ მინებჩამტვრეულ კვარტილიან ოთახში ათევინებთ, და ხის დანჯღრეულ ტახტზე აწვენთ?

— უკაცრავად კი ვარ მარა, თქვენ რა საქმეზე ბრძანდებით? — დაინტერესდა მასპინძელი.

— მე ისე... არა აქვს მნიშვნელობა, — განზე გაიხედა აბელმა, რითაც ადმინისტრატორი კიდევ უფრო დააქევა.

— არ იცოდნენ თქვენი ჩამოსვლის შესახებ?

— არა.

„ალბათ შემოწმებაზე“ — გაიფიქრა ქალმა. მას ჰირივით სძულდა რაიონში შემოწმებაზე ჩამოსული ყველა პირი. შიშით კი, რასაკვირველია, ძალიან ეშინოდა.

— ვის შევატყობინო, მიბრძანეთ და დაეურეკავ. — არ მოეშვა ადმინისტრატორი.

— არა, არ არის საჭირო. მე თვითონ მივალ. ჩემოდანი მესამე ოთახში დავტოვე. იქნებ თეთრეული შეიტანოთ, მდა, გასაგებია, ყველაფერი გასაგებია...

— ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა აბელი და თვითონვე მოსწონდა თავისი სინდინჯე და ნახევარგასაიდუმლებული ჩამოსვლა. სასტუმროდან გამოსვლისას იგი შიშისაგან თვალებდაბერილ ქალს მოუტრიალდა და კბილებში გამოსცრა:

— ჩემი ჩამოსვლის შესახებ არავინ არ უნდა გაიგოს, მკაცრად გაფრთხილებთ.

— რა ბრძანებაა, ბატონო, — თავი დაუქნია სასტუმროს ადმინისტრატორს.

რმა და როცა აბელმა კიბე ჩაათავა, ტელეფონს ეცა.

არც რაიონული ცენტრი მოუვიდა აბელს თვალში. ამ დაბას სოფლის სისულეთავე დაეკარგა, ქალაქის სახე ჯერ კიდევ ვერ მიეღო და თავისი ნახევრად-ასფალტიანი ქუჩებით და მტკრისაგან გათეთრებული ხეებით, არც თუ სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა.

— სასტუმროში მოეწყვეთ? — მოესმა აბელს.

განათლების განყოფილების გამგეს მზრუნველი მასპინძლის სახე მიეღო და თავისი წაქისფერი თვალებით სტუმრის შესწავლის რთულ საქმეს განაგრძობდა.

აბელმა თავი დაუქნია.

— სასტუმრო ვერ გვაქვს მთლად მაინცდამაინც მოსაწონი.

სტუმარი უხმოდ დაეთანხმა.

— ჩემთან უნდა გადმოზრძანდეთ. ახლავე მანქანას გამოვიძახებ, — დაფაცურდა გამგე, მაგრამ გულწრფელად სურდა, აბელს შეთავაზებულ წინადადებაზე უარი ეთქვა. ჯერ ერთი, ამ გაუთავებელი სტუმრობით გული გაუწყალა მეუღლეს. მეორეც, რა საჭირო იყო ამ უცხო კაცს მისი, დაბის პირობაზე ძვირფასად მოწყობილი, ბინა დაეთვალიერებინა და მესამეც, სასტუმროს უვარგისობაზე, დაე, იმას ეგო პასუხი, ვისაც ეკუთვნოდა. განათლების განყოფილების გამგეს კი ისედაც დიდი გასაჭირი აღდა და, ბოლოსდაბოლოს, თავინ ბინას ტრაქტორად ვერ გადააქცევდა.

— გამაღობთ, არ არის საჭირო. ამ ორ ღამეს როგორმე გავათევ. — შორს დაიჭირა აბელმა გამგის თხოვნა და მასპინძელსაც კალთები აღარ დაუგლეჯია.

— დროს ნუ დავკარგავთ, — საათზე დაიხედა ინსტრუქტორმა, — თუ თქვენ არ გცალიათ, მე მარტო წავალ. ჯერ დაბის სკოლებს შევამოწმებ.

— რას ბრძანებთ, მე თვითონ გამოგყვებით, — გაიღიმა გამგემ და ეს მერამდენედ გაიფიქრა — „ტუტუცია“.

— ნასაუზმევი არ იქნებით.

— მე ცოტა გვიან ვსაუზმობ. ნუ სწუხდებით, — ხელოვნური თავაზით მიუგო აბელმა.

გამგემ კაბინეტის კარი გამოიხურა და ქუჩაში გამოსვლისას კიდევ ერთხელ სთხოვა სტუმარს, პატარა წაეხეხმო.

აბელს იმდენი რამ ჰქონდა გაგონილი, რაიონული პურ-მარლის მაგიურ ძალაზე, რომ სული კბილებით ეჭირა და მთელი თავისი ახალგაზრდული შეგნებით ცდილობდა თავისი პირველი მივლინება უღვივოდ ჩაეტარებინა. განათლების განყოფილების გამგე კი ნასაუზმევიც ღონივრად გახლდათ და არც რესტორნის ყაჩაღების საჭიჯგნი თავი ჰქონდა. მას სტუმართმოყვარეობის წმინდათაწმინდა კანონი უკარნახებდა, თორემ რა ჰქონდა ამ გუშინდელ ღლაპთან სამლიქვნელო და სამაიმუნო.

ისე კი, ყოველშემთხვევისათვის აბელს ბოდიში მოუხადა, ფოსტაში შეირბინა და ამირან დიასამიძეს დაურეკა; შენთან თბილისელი სტუმარი მომყავს, უცხო ენის გაკვეთილს უნდა დავესწოთო. ამირან დიასამიძე სამასწავლებლოში შემოვარდა და რევიზიის ელდით აწიოკებულ მასწავლებლებს მიმართა.

— უცხო ენა ვისა გაქვთ, მეორე?

ზოგმა წაუყრუა, ზოგმა ყურნალს დაავლო ხელი და გაიქცა, ზოგმა ფაზეთი გაშალა და თითქოს აქ არაფერიო, ამბებს ჩაულრმავედა. სანამ დირექტორი გადაწყვეტილებას მიიღებდა, მაგიდას თეთრკიტელიანი მოხუცი მოშორდა და მშვიდად თქვა:

— მე მაქვს, ამირან, ჩემთან შემოვიდეს.

პედაგოგიურმა კოლექტივმა ამოისუნთქა. ინგლისური ენის მასწავლებელმა ნიკო ძოწენიძემ რევიზიის პირველი დარტყმა თავის თავზე მიიღო. აწი სხვებს დრო რჩებოდათ ასახსნელი მასალის გასამეორებლად და გეგმა-კონსპექტების წესრიგში მოსაყვანად.

რეზა მონავალაძე
კაცი ცულაძე არის

ორმოცი წელი მოათავა ნიკო ძოწენიძემ სკოლაში და ასეთი დღე ჯერ არ დადგომია. გაკვეთილზე ვინ არ დასწრებია, მაგრამ ყოველთვის გულდასმით ისმენდა შენიშვნებს და არასოდეს არ უგვრძნია თავი დამცირებულად. სულ ერთი თვის წინათ ნიკოს დაბადების სა-მოცი წელი მიულოცა მთავრობამ და დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭა. ახლა კი ეს „გუშინდელი ბავშვი“ უმოწმებს გაკვეთილს და, ვინ იცის, რას იწერს თავის ბლოკნოტში გამალებით. ნიკო გულს ვერ მოერია... „შენ რა იცი, ვინ არის, რა ჰქუის და განთლების პატარონია, ნერვები დაიწყნარე. იქნებ შენგან აპირებს ისწავლოს და საერთოდ, არასოდეს ასე ახლოს არ მიგიტანია გულთან გაკვეთილზე დასწრება“ — ებროდა თავის თავს ნიკო, მაგრამ აშკარად გრძნობდა, რომ ნაწყენი იყო. „რატომ მაინცდამაინც ასე ახალგაზრდამ... რა უნდა მასწავლოს ამან ახლა მე?... და საერთოდ... რას ჰგავს ეს... ახლა უნდა დავჯდე და ამის შენიშვნები უნდა ვისმინო პედსაბუკოზე“? — ამ წუთიერმა შეშფოთებამ თავისი გააკეთა. ნიკოს აშკარად არ გამოუვიდა ისეთი გაკვეთილი, როგორც სურდა. თვითონვე უტყირდა, ასე რამ გამოძვალაო, ეტყობა დავებრდიო, ათასი რამ გაიფიქრა ნიკომ და მაინც ვერ გაიგო, რატომ ღელავდა ასე? „ანდა ხომ არ გამანებივრეს ამ ბოლო დროს ქებით და ხომ არ გადავეჩვიე შემოწმებას? ბოლოსდაბოლოს, არც ისე ურიგო ახალგაზრდა ჩანს. რა ქნას, რაკი ჩამოსულია, რაღაცა ჰკვიანური უნდა მითხრას, რაღაც უნდა მიმითთოს, მაგასაც ცხოვრება უნდა, წინ წაწევა უნდა. ჩემი ვალია მშვიდად მოვუსმინო, ახალგაზრდა კაცია, დაამახსოვრდება. მაინც რას იწერს ამდენს?“

აბელი კი გაფაციცებით ადევნებდა თვალუფრს მოხუც მასწავლებელს. სურდა, რაც შეიძლება, მეტი შეენიშნა და პედსაბუკოზე გაკვეთილის ღრმა ანალიზით ყველანი გაეოცებინა.

ამასობაში დაირეკა კიდეც აბელმა საათზე დაიხედა და კარებში მდგარი ნიკო ძოწენიძე წინ გაატარა. აბელმა გატრუნულები მიჰყეებოდნენ დერეფანში მიმავალთ. აბელმა სამასწავლებლომდე მიაცილა მოხუცი, მაღლობა გადაუხადა და სთხოვა, თუ „ფანჯარა“ გაქვთ, ცოტა ხანს ბაღში გავიდეთო.

ზარიდან ზარამდე სკოლის ეზოზე მყუდრო ადგილს ვერ ნახავდა კაცი. ისინი სკოლის უკანა ეზოში გავიდნენ და ცაცხვის ქვეშ წარწერებით ატრელებულ სკამზე ჩამოსხდნენ. მოხუცი დაღლილი იყო და უხალისოდ ათვალიერებდა სკოლის ეზოს. „ნეტავ, რა უნდა მითხრას, ნეტავ როგორ უნდა დაიწყოს“, რეკავდა ნიკო ძოწენიძის ყურებში და სურდა მალე დამთავრებულიყო ეს მისთვის უხერხული წუთები.

აბელმა უბის წიგნაკი დააძრო, გადაშალა და ისევ შეინახა.

— მდაა. გამოსაშვებ კლასებსაც ასწავლით?

მოხუცმა თავი დაუქნია.

— რამდენი წელია მასწავლებლობთ?

— ორმოცი.

— მე უნდა მაპატიოთ, ბატონო ნიკო, მაგრამ თქვენს გაკვეთილზე ყველაფერი რიგზე არ იყო და სანამ პედსაბუკოს მოვახსენებდე, უნდა გავიზიაროთ.

— ბრძანეთ.

აბელმა ისევ ამოიღო ბლოკნოტი და დაიწყო:

— ბატონო ნიკო. თქვენ სპეციალური ინგლისური განათლება გაქვთ?

— არა. — მიუგო მოხუცმა ისე, რომ მისკენ არც კი გამოუხედავს.

— მეც ასე ვიფიქრე. მერე და იცით რამდენი გეყავს სპეციალისტი, სკოლის გარეთ დაჩენილი? თქვენ რა საგნის სპეციალისტი ბრძანდებით?

— ისტორიის.

— კი მაგრამ, რატომ ისტორიას არ ასწავლით?

— ძველი ისტორიაა, — ნიკომ უხალისოდ დაიწყო, — მე ამ სკოლაში ოც-



დაათი წელი ვასწავლიდი ისტორიას. მერე ჩვენმა სოფელმა ერთმა ახალგაზრდამ — კოტე ნადირაძემ უნივერსიტეტი ისტორიის განხრით დაამთავრა და დაგვიბრუნდა. ორი ისტორიკოსი ვიყავით სკოლაში, ამდენი საათი არ იყო. მე ავდექი, ისტორიის სათები მას დავუთმე და ინგლისურის სწავლებას მოვიდე ხელი. უცხო ენის სპეციალისტი ყოველთვის გვიპირდა. ახლა ათი წელია, რაც ინგლისურს ვასწავლი.

— იცოდით ინგლისური?

— არა.

— ?

— ჩემით ვისწავლე. გაკვეთილებს ბევრზე მეტად ვსწავლობდი. მერე ამ ათ წელიწადში გავიწაფე ცოტა და, მე მგონი, სკოლის ფარგლებში რაც საჭიროა, იმდენი კი ვიცი.

— არ არის საკმარისი, ბატონო ნიკო, გამოთქმა არ გივარგათ, აქა-იქ ენობრივ შეცდომებსაც უშვებთ.

ნიკო სდუმდა.

— მაგალითად მეორე მოწაფემ woman-ის ნაცვლად women დაწერა.

— მერე?

— woman ქალს ნიშნავს, ხოლო women ქალებს. ეს თქვენ არ იცოდით? ნიკომ ისევ უპასუხოდ დატოვა შეკითხვა. ინსტრუქტორი ამ დღემიღმა ცოტა გააბრაზა, ცოტა გაამხნევა და სხაპასუხივით მიაყარა:

— სიის ამოკითხვა დაგავიწყდათ. კლასის მომზადების საერთო დონე შეკითხვებით არ შეგიმოწმებიათ, დავალება ყველას არ ჰქონდა, მიზეზი არ გიკითხავთ. პირველმა გოგონამ კითხვისას ოთხი შეცდომა დაუშვა, თქვენ მხოლოდ ორი გაუსწორეთ. გამოკითხვისთვის 15 წუთი უნდა მოგენდომებინათ. თქვენ 17 მოანდომეთ. არც ახალი მასალის ძველთან დაკავშირება იყო მინცდამინც დამაკმაყოფილებელი. გაკვეთილზე უფრო მეტი უნდა ველაპარაკათ ინგლისურად. ელემენტარულ შეკითხვებზე ინგლისურად უნდა ითხოვდეთ პასუხს. ახალი მასალის განმტკიცებაზე ზარმა მოვისწროთ. გაკვეთილის

გეგმასა და მომენტებზე დღეს ამდენი იწერება, უნდა გაცნობოდით შ. რაძის ახალ შრომას „გაკვეთილის მომზადება, ჩატარება და ანალიზი“, ეტყობა არც ნ. ხოფერიას ამასწინანდელი სტატია წაგვიკითხავთ „სკოლა და ცხოვრებაში“. აბელმა კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი ბლოკნოტს და სული მოითქვა. „მგონი ყველაფერი ვთქვი“, — ფიქრობდა იგი, — ახლა მთავარია კამათს ვაუქმლო“.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ნიკო ძოწენიძე კამათის გაშლას, ეტყობა, არ აპირებდა. იგი ნელა წამოდგა და აღზნებული რევიზორი ჰადარს შეატოვა. აბელი პირგამეხებული იჯდა და შეპყურებდა სკოლისაკენ მიმავალს. ნიკოს თეთრი თმა მზეზე ვერცხლისფრად ლაპლაპებდა. მოხუცის პატარა ბეჭები ახლა კიდევ უფრო მოხრილი და უსუსური მოეჩვენა. და აბელი მიხვდა, რომ უკარგად არ გამოუვიდა, მაგრამ თვითონვე არ იცოდა, სად დაუშვა შეცდომა. „მე ხომ ყველაფერი სიმართლე ვთქვი. მას, ამხელა სტაჟის მქონე, დარბაისელ ადამიანს, იმდენი ტაქტი არ უნდა ჰქონოდა, რომ ბოლომდე მოესმინა? რაც არ უნდა იყოს, ეს ჩემი სამსახურია. და ასე უნდა მოვქცეულიყავი. ეს ხომ აბუჩად აგდებაა. ეთქვა, ამ დალოცვილს, რაში არ ვიყავი მართალი. არ ჰქონდა სათქმელი? თუ მე ვეპატარავე თვალში? კი ბატონო, მე ჩემსას ვიტყვი. ღმერთმა ხელი მოუმართოს. არაა ლამაზი ახალგაზრდა კაცის ასე გაბიაბურება“ — ფიქრობდა გუნებაწამბდარი აბელი და ანგარიშშიუცემლად ფურცლავდა უბის წიგნაკს.

●
დილის ცხრა საათზე, თბილისში, რიონის მატარებელს კაცი ჩამოჰყვა. მგზავრობით გალახულ მის სახეს აშკარად ეტყობოდა უგუნებობის კვალი. გამოხუნებულ კიტელზე უნივერსიტეტდამ-

რეზა მინვალიძე
აკაცი ცუხუაძე არის

თავრებულის ნიშანი უბრწყინავდა. ეს ნიშანი ისე ღრმად იყო ჩამჯღარ-ჩაყან-გული ქსოვილში, რომ ეტყობოდა პატრონს იგი ზედ ერთხელ და სამუდამოდ მიემავრებინა. კიტელის შიგნიდან საყე-ლოვაცრეცილი ზოლებიანი პერანგი მოუჩანდა. თავზე კილოფის ქული ეხუ-რა და ხელში უშველებელი შავი ქოლ-გა ეჭირა. მიდიოდა მძიმე, დაღლილი ნაბიჯებით. ხანდახან შეჩერდებოდა, ბა-ქანს შეათვალიერებდა და ისევ წახი-რებოდა. მოხუცის მოხრილი ბეჭები ისე ზუსტად ერგებოდა ძველთაძველ კიტელს, რომ წელში გამართვისთანავე ეს თანშეზრდილი ტანსაცმელი, ალბათ წარმოუდგენლად არანორმალურ იერს მიიღებდა. სტუმარი კარგა ხანია დედა-ქალაქში არ ყოფილა. მან ძლივს, კითხვა-კითხვით მიაკვლია სადგურის სალა-როს და ყოველ წარწერას დიდის გულ-მოდგინებით კითხულობდა. ათასგვარ აფიშას, ლოზუნგს, გზის მაჩვენებელ ისარს და ბაქნის სხვა მშვენიერებს ისე სერიოზულად ათვალიერებდა, თითქოს ზებირად სწავლობსო. სალაროში ღრმად და საიმედოდ შეყუყუღ წითურ მოლა-რეს ჩამოსულმა უკან დასაბრუნებელი ბილეთი სთხოვა.

— არა გვაქვს. — უდარდელად მიუ-გო მოლარემ (მოლარეთათვის ამ ზედ-მიწევნით პროფესიონალური პასუხით).

მოხუცი ფრიად შეაწუხა უარმა.

— ქალბატონო, მე ერთი დღით ვარ ჩამოსული.

— მე გეკითხებით, რამდენი ხნით ჩამობრძანდით-მეთქი, ბატონო? — ირონიულად გაუღიმა მოლარემ. მოლა-რეს თავი ჰქონდა გაბეზრებული, რად-განაც მოლარედ მუშაობის ათი წლის მანძილზე, არ ჰქონია არც ერთი შემთხვევა, რომ მგზავრს მისი უარი პირ-ველადვე სარწმუნოდ მიეჩნია.

— მართალია, თქვენ არ მეკითხებით. — ჩაილაპარაკა ქოლგაიანმა, სალაროს არ მოშორებია კი.

რიგში არავინ იდგა და მოხუცს საყ-მაო დრო ჰქონდა მოლარესთან ამ საინ-

ტერესო და შინაარსიანი საუბრის გას-
ვრცელებლად.

— ქალბატონო, მე მასწავლებელი ვარ.

არც ამ განცხადებას მოუხდენია რა-იმე შთაბეჭდილება მოლარეზე. სადგუ-რის თანამშრომელს თუ ვინმესი არ ეშინოდა, ეს სწორედ მასწავლებელი იყო.

— ეს იმიტომ გითხარით, რასაკვირ-ველია... თუ არის-მეთქი, აქ სადმე ისე-თი სალარო, დამსახურებულ მასწავ-ლებლებს რომ აძლევდეს ბილეთს.

— თქვენი ხნის ადამიანი, ყველა დამსახურებულია, პატივცემული, — არ დაიბნა მოლარე.

— ჰო, რა თქმა უნდა.

— ახლა თქვენ წახვალთ და დამსახუ-რებული ინჟინერი მოვა. მერე დამსა-ხურებული ექიმი. ყველა განსაკუთრე-ბულ ყურადღებას მოითხოვს. ზოგს წი-თელი პირადობის მოწმობა აქვს და შუბლზე აგაფარებს. სად შევიწინაოთ ამ-დენი ბილეთი? კი მაგრამ ამ დაუმსა-ხურებელმა ხალხმა არ იმგზავროს, პა-ტივცემული?

მოხუცს გული ეტკინა. რასაკვირვე-ლია, ყველამ უნდა იმგზავროს მატარე-ბელი იმისიანო, წაილუღლულა თავისთ-ვის და სალაროს რაფას იდაყვი შეუ-ნაცვლა.

ორივენი სდუმდნენ. ჩამოსული, ბუ-ნებრვია, ფიქრობდა იმაზე, თუ რა ხერხით მოეგვარებინა ამაღამ გაბრუნება. მოლარე კი ბაქანზე მიმავალ ხალხს ათ-ვალღიერებდა და ნელ-ნელა თავის მო-ლარულ ფიქრებში იძირებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მოხუცი სალა-როს მოშორდა, რუსთაველის პროსპე-ქტისაკენ მიმავალ ტროლეიბუსში ჩაჯ-და და რეკონსტრუქციამნილი ყოველი სახლის დანახეაზე თეთრ, დაფანჩულ წარბებს ისე მრავალმნიშვნელოვნად აქიმავედა, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს, რას არ აფიქრებინებდა. სინამდვილეში კი მოხუცის გონება არნახული სიზუს-ტით აღადგენდა ამ ქუჩებისა და სახ-ლების ოცდაათიანი წლების დროინდელ

სურათს. მოხუცს, არ ვიცი, თავისი უგუნებობის გამო თუ რაიმე სხვა მიზეზით, არაფერი არ აოცებდა. იგი არ მიეკუთვნოდა ემოციურთა და ალტაცებულთა რიცხვს.

სამინისტროს შესასვლელთან ორი საათი ალოდინეს. მერე სრულიად უცნობ ხმას ტელეფონით დაალაპარაკეს და ფეხზე ჩამომწყდარს საშვი გამოუჩინეს. მინისტრის თანაშემწემ მიიღო.

— მობრძანდით, გისმენთ? — ისე აღერსიანად უთხრა თანაშემწემ, თითქოს მთელი დღე ამ კაცს ელოდებოდაო. თანაშემწეს ამ თანამდებობაზე მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. მას, ზედმიწევნით ფრთხილსა და წინდახედულ მოსამსახურეს, ბარე ხუთი მინისტრი გამოეცვალა და ყოველ ახალ მინისტრს ისე მხურვალედ აქებდა ყველგან, რომ კაცს ეგონებოდა, ფრთხილსა მხურვალე ანგელოზი მოეველინაო სამინისტროს.

— მე მასწავლებელი გახლავართ. დაბა მონის საშუალო სკოლის ინგლისურის მასწავლებელი, ნიკო ძოწენიძე.

— ვიცით, ვიცით. — თავი დაუქნია დამხვდურმა.

— საიდან იცით? — შეშინდა სტუმარი.

— ახლახანს ტელეფონზე არ მელაპარაკეთ?

— ჰოო, რასაკვირველია. ხმაზე ვერ გიცანით.

— რაზე შეწუხებულხართ, პატივცემულო ნიკო? — ჰკითხა მინისტრის თანაშემწემ, თმებზე ხელი გადაისვა, სკამის სახურავს გადააწვა და გრძელი, მოსაწყენი ახსნა-განმარტებისა თუ საჩივრის მოსასმენად მოეშადა.

— აბელ წაქაძე.

— რა ბრძანეთ?

— აბელ წაქაძე. თქვენი თანამშრომელი იყო ამ ერთი კვირის წინათ ჩვენთან.

— აბელი ძალიან კარგი ყმაწვილია, მერე?

— გაკვეთილზე, რასაკვირველია, დამესწრო და... — ბავშვივით იბნეოდა, სიტყვებს ვერ პოულობდა ნიკო.

— მერე რა მოხდა? დაგესწროთ.

— არაფერი ცოტა გაგულისებულნი ვამოვიდა.

— როგორ, თქვენ, ამ ხნის პედაგოგს, გაკვეთილი ჩაგივარდათ?

— არა, კი არ ჩამივარდა. რასაკვირველია, უბრალოდ, მე ვერ მოვიქციე კარგად.

— ვერ გავიგე.

— ცოტა ვაწყენინე. ისე გამოვიდა, რასაკვირველია, ბოლომდე ვერ მოვუსმინე, შევეცდი.

— მერე ჩემთან რატომ მობრძანდით, პატივცემულო ნიკო? — ოფიციალური ტონი მიიღო თანაშემწემ.

— რაიმე ისეთი არ დამიწეროს. ძალიან ვღელავ, ამასწინათ დამსახურება მომანიჭეს და არ მინდოდა ახლა საყვედური შემხვედროდა.

— ამისთვის ჩამობრძანდით მონიდან თბილისში?

ნიკომ თავი დაუქნია.

— თქვენის აზრით, მე რა შემიძლია.

მე ხომ არ ვეტყვი წაქაძეს სიმართლეს ხელი დააფარე-მეთქი. თქვენ რამდენი წაქაძისთანა გაგაზრდიათ განა სიმართლის თქმას არასწავლით მათ?

— კი ბატონო.

— ასე რომ, უნდა დაველოდოთ კოლეგიას. თუ გაკვეთილი ჩაგივარდათ, (იქ სხვებზეც იქნება ლაპარაკი), ალბათ, დამსახურებულ სასჯელს მიიღებთ.

— რას მივიღებ? — საფეთქლის ძარღვები დაუწითლდა ნიკოს.

— სასჯელს, რაც გეკუთვნით.

— მერედა ვინ იცის, რა მეკუთვნის.

რედაქცია
კაცი ცუდად არის

შენ იცი? თუ იმ ცხვირმოუხოცელმა წაქაძემ იცის?!

— რა გაყვირებთ, სად გგონიათ თავი. დამნაშავე ხართ და კიდევ ხმას იმაღლებთ?

— რაში ვარ დამნაშავე?

— რაში და გაკვეთილი რომ ჩაგივირდათ. ამხელა კაცი თბილისში რომ ჩამოხვედით და უკანონობის გაკეთებას მთხოვთ! — თანაშემწემ შესანიშნავად იცოდა, აღელვებულს აღელვებითვე უნდა შეეგებო და ხმას დაუწევს, თორემ თუ თავი დაუღვევი, მიწასთან გაგასწორებო.

— კი მაგრამ, ვინ იცის, გაკვეთილი როგორ უნდა ჩატარდეს. ვინ ასწავლა წაქაძეს, რომ სიის ამოკითხვას 2 წუთი უნდა, გამოკითხვას — 15, ახსნას — 15, გამეორებას — 5 და განმტკიცებას — 3. რატომ გააფუჭეთ ასე ახალგაზრდა კაცი? ხონის სემინარიაში ესტატე მეგრელიძე ამ სქემას რომ არ იცნობდა, ცუდი მასწავლებელი იყო ვითომ?

— ესტატე მეგრელიძე, არავინ არ იცის, როგორი მასწავლებელი იყო.

— მე ვიცი.

— სწავლების ძველ სისტემას ხომ ვერ შეეაჩერებდით. ბოლოსდაბოლოს, რისთვის მუშაობს ეს უამრავი მეთოდ-კაბინეტები და პედაგოგიკის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტი?

— მე გელაპარაკებით, ოროცი წელიწადია კლასში შევდივარ და წაქაძე მასწავლის გაკვეთილის ჩატარებას?

— რატომ, მაგალითად?

— მე ყოველდღე სხვადასხვანაირად ვანაწილებ დროს. ყოველთვის სხვადასხვანაირ გაკვეთილს ვატარებ. ერთ დღეს, შეიძლება, სულ არ გამოვიკითხო; მართო ავხსნა. მეორე დღეს პირიქით. იცის ეს წაქაძემ?

— რატომ არ იცის ვითომ? რომ არ იცოდეს, აქ არც იმუშაებდა. საერთოდ რატომ გაქვთ ხნიერებს ასეთი წარმოდგენა. „ამან რა უნდა მითხრას, ამან რა უნდა მასწავლოს“, შეიძლება ასეთი ლაპარაკი?!

— მაპატიეთ, — მოხუცს ქვედა ყბა

აუცახცახდა — აგელღდი. ჯერ ჩემი გაკვეთილი არ დაუწუნიათ, მინიმუმ ვარ-და...

— დამშვიდდით, არც ნერვები გქონიათ რიგზე, — ხმას დაუწვია თანაშემწემ, — დავლოდოთ კოლეგიას, იქნებ არც საჩხუბრად გაქვთ საქმე... წაბრძანდით რაიონში და თქვენი საქმე აკეთეთ.

მოხუცი წამოდგა. სიტყვის უთქმელად, ლასლასით წამოვიდა კარებისაკენ და ის-ის იყო კარი უნდა გამოეხურა, რომ თანაშემწის ხმამ შეაჩერა.

— რამდენი წლის სტაჟი გაქვთ?

— ოროციის.

— დროა პენსიაში გასვლაზეც იფიქროთ. დაისვენეთ, რატომ იკლავთ თავს.

ეს კი მეტისმეტი იყო. მოხუც მასწავლებელს გული შეეკუმშა. შუბლი დაეცვარა, ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა და იქვე დივანზე რომ არ ჩამოძვარა, წაიქცეოდა.

საერთოში ტევა არ იყო. ღვინის, ოფლისა და ქვარტლის სუნი არეულობით ერთმანეთში და ეს რომ არაფერი, სიცხისაგან სუნთქვა ჭირდა. ზოგს დაწოლა მოესწრო, ხის კოიკაზე გულაღმა გამოტილიყო და მზად იყო „მომხედურთათვის“ ყველაზე გესლიანი პასუხების გასაცემად. ძალას ვერავინ დაატანდა. მთელს მატარებელში ეს იყო ერთადერთი ვაგონი, სადაც ყველაფერი მოსწრებაზე იყო. მოასწრებდი დაწვებოდი კიდევ, ვერ მოასწრებდი და ფეხზე დასადგომ ადგილსაც ვერ იმოვიდი. ქალები ზურგშექცევით დგებოდნენ დაკავებულ კუბებთან და მოთმინებით ელოდებოდნენ, სანამ ილაგა-გაწყვეტილი მგზავრი მოიფიქრებდა და თავის მამაკაცურ მოვალეობას შეასრულებდა. ეტყობოდა ამ ვაგონის მგზავრებს ისე ჰქონდათ სისხლი გამშრალი, რომ რაინდულ წესს ამჯერად დალატობდნენ და თითქოს ფეხზე მდგომ მგზავრებს ვერ ვხედავთ, ფანჯარაში უაზროდ იმზირებოდნენ.

ნიკო დიდხანს ეჯავჯურა ვაგონის სარკმელს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო.



— ჩაქედლია ეს უპატრონო, — ჩაილაპარაკა და თავის ადგილს დაუბრუნდა. მოხუცს არაეინ არ წამოშველებია. ზოგს გაეხარდა კიდევ ფანჯარა რომ არ იღებოდა, გამჭოლი დაუბერავს და გაეცივლებითო.

„რა გვაკეთე ვითომ“, — ფიქრობდა ნიკო ძოწენიძე, — რაზე წამოვედი არ ვიცოდი ეს ყველაფერი მე? ამხელა კაცი პამპულად ვიქეცი. იმას რალაცა ქვეყნის დამქევი ვეგონე. შეეშინდა და ჩამოვიდაო. ღმერთმა ხომ იცის, არ შემშინებია, თითქმის ძალით გამომაგდო ამირან ღიასამიძემ, წადი, შენს საქმეს მიხედე. ემანდ დადგენილებაში სადმე არ აღმოვჩნდეთო. გავბრწყვდი და დავუჭერე. არ ვიცოდი ასე რომ იქნებოდა? რა მოხდა ასეთი? კაცმა რომ თქვას, ისინი ყველაფერში მართლები არიან. ის ბიჭიც ურიგოდ როდი მესაუბრებოდა: რაც მითხრა, სიმართლე მითხრა. მე ბავშვივით გავებუტე და გავშორდი. მერე ამ ხნის კაცი ელდისგან ფერშეცვლილი მივადექი თბილისში და პატიება ვთხოვე. რა იყო, შე კაი კაცო! ადამიანურად მიმიღე, ადამიანურად დამელაპარაკე. რა ნახე ამისთანა? ჩემი დღე და მოსწრება სკოლაში მოვათავე. თუ არ გიღირვარ არაფრად, ნუ მატყუებ მაინც და მასობრივ წესით ჩამორიგებული დამსახურებთაც ნუ მახალისებ. მე ჩემი ლელო გავიტანე. აწი აპირებ ჩემს ვადაკეთებას? დროა პენსიაზე გასვლაზე იფიქროვო. იქნებ, ეს იყო თავი და თავი ყველაფერი? იქნებ, იმისათვის გამო-

აგზავნეს ეს ბიჭი, რომ ჩემს სიბერეს და უმწიერობაში დავერწმუნებინე. აღნაშობდარ ვქირდებით, აღარ ვვარგავარ, დავინებრო ქუდი და წავიდე; კი, ეს იყო ნამდვილად. ამიტომ მითხრა ასე მრავალმნიშვნელოვნად: — პენსია გეკუთვნის, დაისვენე, რას იკლავო თავს. ნუთუ... ნუთუ ყველაფერი დამთავრდა. დამთავრებაა აბა რა არის. დაჭეკი სახლში, ნიკო ძოწენიძე, უკლასოდ, უჭურნალოდ, უზაროდ, ურვეულოდ. დაჭეკი და უცადე სიკვდილს. დაიწყება გაუთავებელი დღეები და სამარესავით მღუშარე, მოწყენილი ღამეები. არა, არა ჯერ ნუ.. სანამ ცოტა კიდევ შემძძლია. მერე დავიხურავ ქუდს და მე თვითონ წავალ. თქვენი არაფერი არ მინდა. მე თვითონ წავალ. მე თვითონ წავალ“...

...როცა მოხუცმა თვალები გადაატრიალა და ხელები მოწყვეტით ჩამოუცივდა, მის წინ მჯდომი შავმისურიაან სტუდენტი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქმე უფრო რთულად იყო, ვიდრე ამას მატარებლის გაუთავებელი პრაქუნით მოგვრილი თვლემა გულისხმობდა. — ახლა აქ დაიწყება ერთი არეულობა, სასწრაფო, ცივი ტილო, საკაცე და ეს ჩემოდანი ვინმემ ხელს არ გააყოლოსო, გაიფიქრა სტუდენტმა და თავისი ბარგი-ბარხანა ზედა საწოლზე მოისროლა. მერე კიდევ ერთხელ დახედა თვალემაგაშტერებულ მოხუცს და ვაგონის გამცილებელი გააღვიდა:

— ჩვენთან, კუბეში, კაცი ცუდად არის.

პ ა რ მ ე ნ ი

ცოლ-შვილიან კაცს — პარმენ მიქაძეს სხვა შეუყვარდა. ერთი შეხედვით, ჩვენი მოთხრობის ეს პირველი წინადადება პარმენის მიმართ ზოგიერთს თავიდანვე არასიმპათიურად განაწყობს, მაგრამ რა ჩვენი ბრალია, სინამდვილეში ასე იყო. ქალაქ ვაკისუბანში უკვე

ბევრმა იცოდა ამის შესახებ. არც თუ მთლად ცოლის ერთგული კაცებიც კი, რომლებიც, ეშმაკმა იცის, როგორ ახერხებდნენ თავიანთი სასიყვარულო ინტრიგების მეუღლეთათვის საიდუმლოდ ჩატარებას, ახლა აღშფოთებით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ წყალ-



სადენის პასუხისმგებელ მორიგეს — პარმენ მიქაძეს საყვარელი ჰყავდა. გარედან ასე მარტივად ჩანდა, პარმენის სულში კი სულ სხვა სურათს აღმოაჩენდით. თუმცა პარმენის სულში ვინ ჩაიხედავდა, როცა დღისით-მზისით მთელი ქალაქი ხედავდა, როგორ დაასვირნებდა ქუჩაში პარმენი ყუყუნას. ცოდვას ვერ დავიდებთ, პარმენის საყვარელი ეშხიანი ქალი იყო, მაგრამ ამას, ალბათ, პარმენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა როდი ჰქონდა. პარმენს ყუყუნა მთელი არსებით უყვარდა. მთელი არსებით შეყვარებამ შეიძლება საქმეში ჩაუხედავი, მაგრამ ბერის მნახველი და გადამტანი კაცის თვალში ირონიული დიმილი გამოიწვიოს, მაგრამ პარმენისთანა კაცისთვის სხვა სიყვარული არ არსებობს. პარმენი იმ საბედისწერო დღემდე (სანამ ყუყუნას შეხვდებოდა) ცოლ-შვილის ერთგული და შინაგანად უსპეტაკესი კაცი იყო. პარმენი, განსხვავებით მთელი დედამიწის ჩანსალი მამაკაცებისაგან, ქუჩაში მიმავალ ლამაზ ქალსაც კი არ მოუხედავდა. მისთვის არასოდეს არსებულა დასასვენებელი სახლის მასშტაბის სიყვარულები, პარმენისთვის გატაცებანი და „ერთხელ მღვდელიც წაწყდება“ თეორიები სრულიად ზედმეტი იყო. თხუთმეტი წლის განმავლობაში პარმენს სიზმრად რაა, სიზმარშიც არ უღალატნია თავისი გამრჯე და ერთგული ცოლისთვის. ასე ცხოვრობდა პარმენი დიდხანს. მისი ოჯახიდან მეზობლებს ცოლ-ქმრის ხმამალალი ლაპარაკიც კი არასოდეს სმენიათ და აი, ბოლოს პარმენს სხვა შეუყვარდა. პარმენის დიდხანს ამოდ ებრძოდა თავს. ოჯახის ერთგულმა მამამ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ერთ-ორჯერ ყუყუნასთან გაბუტვაც სცადა, მაგრამ მალე პირველი თვითონ მივიდა და შერიგება სთხოვა. პარმენმა ყველაფერი იცოდა. ოქროსავეთ ცოლ-შვილის დატოვება და ორნაქმარევე ყუყუნასთან წასვლა (ყუყუნასთან, რომელზეც, ღმერთო შეგცოდნე და ზოგჯერ არცთუ სასიამოვნო კორები ასმობდა) მას ბევრს დააკლებ-

და ნაცნობ-მეგობრების თვალში, მაგრამ რა ექნა პარმენს. რა გზას უჩვენებდა? ღმერთი, რჯული, პარმენს უყუყუნოდ გაძღება არ შეეძლო. პარმენი მართალი კაცი იყო და აკი ამიტომაც გახმაურდა მისი ამბავი. ბოლოსდაბოლოს პარმენსაც აევსო მოთმინების ფილა. ვისაც რა უნდა, ისა თქვასო; ხელი ჩაიქნია და მთელი ქალაქის დასანახავად ქუჩაში ხელკავით დაატარებდა იმას, ვის არსებობასაც ასე კონსპირაციულად ინახავდა დღემდე ისტორიაში ცნობილი ყველა საყვარელიანი მამაკაცი. პარმენის ცოლი — პელო, კერაფერს ამჩნევდა. პელო იმ ხასიათის ქალი გახლდათ, შვილებს რომ გადაყვებიან და ქმრისგან ყმაწვილურ სიყვარულს და თვალში ყურებას აღარც კი მოითხოვენ. პარმენი საქმიანი კაცი იყო, შრომობდა, რასაც შოთლობდა, ცოლ-შვილს ახმარდა — და პელოსთვის ეს სრულიად საკმარისი იყო. ასეთი იყო პელო. სხვები სხვანაირები არიან. დღენიადაც საოჯახო ფუსფუსში გართულ პელოს ყურამდე ჯერ არ მიედწია პარმენის სიყვარულის ამბავს და იგი ძველებურად უდრტვინველად და უშფოთველად ცხოვრობდა. პარმენი კი იტანჯებოდა. მას, ამ ბოლო დროს, სახლში შემოსვლის ხალისიც აღარ ჰქონდა. კაცმა რომ თქვას, შვილების (პარმენს ორი ბიჭი ჰყავდა) სიყვარული ოდნავაც არ განელებია, მაგრამ თითქოსდა მათთვის ვედარ იცლიდა. ყუყუნას აღერსით მთვრალი გვიან ღამით ბრუნდებოდა იგი შინ და გათენებამდე თვალგახელილი იწვა. პარმენს მომავალზე ფიქრისაც კი ეშინოდა. რა უნდა მომხდარიყო ხვალ? მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო, პარმენს ტვინს უხვრეტდა ერთი საოცარი კეშმარტება — უყუყუნოდ არ შეეძლო — ეს იყო და ეს. და ვინც ამ ფრიალ მძაფრ სიტუაციას გონების თვალთ შეხედავს, დამეთანხმება, რომ პარმენს მცირე გასაჭირი როდი ადგა. ოჯახი ენგრეოდა, წლობით ნაჯახირევი და ნაჯაფარ-ნამაგარი. პარმენი ადრეც ბევრჯერ დაპირდა საყვა-

რელს — ჩვენ ერთად, ერთ ჭერქვეშ უნდა ვიცხოვროთო, მაგრამ გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ყოველთვის აგვიანებდა. დღეს კი მას ეუფუნას ცრემლებმა საბოლოოდ მოუღბო გული.

„თავი უნდა მოვიკლა, მეტი აღარ შემიძლია, — ეუბნებოდა სატრფო და ბალანშობშირებულ მკერდზე ხელს უსვამდა, — მთელი ქალაქი ჩვენზე ლაპარაკობს. ქუჩაში თავი ვერ გამომიყვია, გავხმე, დავილიე, როცა შინ მიდიხარ, ასე მგონია, სამუდამოდ მშორდები. შენ რა გიჭირს, მე ვიკითხო. მე ხომ შენს მეტი არავინ მყავს. არ დაადგა საშველი ჩვენს საქმეს“. — ჩურჩულებდა ეუფუნა და როგორც ეს ასეთ ვითარებაში ხშირად ხდება, პარმენს ზედ ტუჩებზე აწებებდა ცრემლიან თვალებს. ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, ეუფუნას გულწრფელობაში ეჭვი შევიტანათ. ეუფუნა ერთი საწყალი ქალი იყო. ორჯერ დაენგრა ოჯახი და ცხოვრების მთელ მიზანს, უკანასკნელ იმედს ახლა მისთვის პარმენი წარმოადგენდა. ეუფუნას პარმენი ჭირნანახი და გამოცდილი ქალის ძლიერი და ერთგული სიყვარულით უყვარდა. და პარმენი გატყდა, გადადებდა აღარ შეიძლებოდა. დღესვე, ამ საღამოსვე მივა პარმენი სახლში და ცოლს ყველაფერს აუხსნის. გაუფრთხილებლად გაპარვა ღორობაა. მივა პარმენი და დალაგებულად ეტყვის, რომ მას სხვა უყვარს, რომ ძალიან სწუხს, ასე რომ მოხდა, მაგრამ პარმენის ბრალი სრულებითაც არ არის. მართალია, ძნელია, მაგრამ პელო ამ ამბავს დიდ უბედურებად ნუ მიიღებს. როგორმე უნდა გაუძლოს. პარმენს გული წყდება. პარმენი ძალიან მადლობელია პელოსი. პელო ერთგული და ჭკვიანი ცოლი იყო. პარმენმა იცის, რომ სისულელეს აკეთებს. პარმენი შეიძლება ყველაზე უბედური შეიქმნეს ამქვეყნად, მაგრამ რა ქნას. თავს ზემოთ ძალა არ არის. პარმენს უეუფუნოდ არ შეუძლია. ეუფუნამაც რა ქნას. ერთი უპატრონო ქალია... ეს და სხვა ათასი აზრი უტრიალებდა

პარმენს თავში და არც გაუგია, როგორ მიუახლოვდა სახლს. ეზოში ცოტა ხანს შეყოვნდა. კიდევ ერთხელ აწინააღმდეგა წონა ყველაფერი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გადადებდას აზრი არ ჰქონოდა. დღეს თუ ხვალ ხომ მაინც უნდა მომხდარიყო. და ღამის 11 საათზე პარმენი, მტკიცე გადაწყვეტილებით შეიარაღებული, შევიდა სახლში. წყალსადენის მორიგეს ოჯახი უნდა დაენგრია. ეს არ იყო ნაუცბათევი გაგულისება, არც თავგაბურებული ქმრის მორიგი საყოფაცხოვრებო წარმოდგენა. პარმენმა ბევრი იფიქრა, მაგრამ სხვა გზა ვერ იპოვა. იგი ცოლს უნდა გაყოლოდა. სხვანაირად აღარ შეეძლო.

— შენ ახლა თამაზი არ შეგხვედრია გზაში? — ჰკითხა პელომ კარის გაღებისთანავე და შემოსულს ფლოსტები გაუწოდა. პარმენს წესად ჰქონდა ქუჩაში ნასიარულევი ფეხსაცმლით კარის ზღურბლს არ გადმოაბიჯებდა. კიბეზევე გაიხდიდა, ფლოსტებში ფეხებს წაყოფდა და ფეხსაცმელს ხელით შემოიტანდა.

— თამაზი?
— ჩვენი, წაქაძე.
— ვინ ჩვენი?
— მისას ბიჭი, რაეა დაიბენი, შე კაცო?

რალაც სულ სხვანაირად აეწყო საქმე. წაქაძიდან ცოლის გაშვებაზე ვალასვლა ცოტა გაძნელებოდა. ამიტომ პარმენმა. გაბრაზებული სახე მიიღო და შარიანი ტონი შეინარჩუნა.

— რა დევიბენი, დაბნევა ქვია ამას? რა ვიცი მე, რამდენი თამაზი დადის ქვეყანაზე!

პელომ ხმა არ გასცა. პარმენმა გადაწყვიტა ბარემ წაქაძის მოტივს ჩავათავებ და მერე ვეტყვი ჩემს სათქმელსო.

— რა უნდოდა?

რამაზ მიხველაძე
პარმენი

— ბავშვის ნათლობაში დაგვაპტიეთ. ბიჭს ნათლავს ზეგ. ნათლებად ვუნდით ვართ ორივე.

— ორივე. — გაიმეორა პარმენმა და აშკარად ჩანდა, რომ „ორივემ“ უფრო გააღიზიანა.

— პარმენ, — საქმიანი კილოთი დაიწყო პელომ, იგი თეთრეულს აუთოვებდა და ზურგშექცევით იდგა. უთოს ყოველ მოძრაობაზე მისი სუსტი მხრები თანაბრად ირხეოდნენ. კედელზე პელოს ვეებერთელა ჩრდილი დათვურ ილეთებს აკეთებდა. — ბავშვს რაღაცა საჩუქარი უნდა ვუყიდოთ, დაგვაფასა კაცმა, უარს ხომ ვერ ვეტყვი, ხომ ვერ გამოვწყვდებით. ფული ხვარაფერი გაქვს ჯიბეში?

— არა. — ყრულ ამოილაპარაკა პარმენმა.

— კარგი. მაშინ იმ ფულს მოვაცლებ ცოტას.

„იმ ფულში“ პელო პალტოს საყიდ ფულს გულისხმობდა. რაც თავი ახსოვს პარმენს, პელო სულ პალტოს ფულს აგროვებს. ოჯახს უცებ რომ დაქირდება, პელო მაშინვე „იმ ფულს“ შოიშველიებს და ასე მგორდება აგერ წლების განმავლობაში. პარმენმა იცის რომ პელო ახალი პალტოს მყიდველი არ არის. იგი თავისი ძველი, ქალიშვილობისდროინდელი პალტოთიც იოლად გადის, მაგრამ „პალტოს ფული“ მაინც ქირდება ოჯახს, „პალტოს ფული“ გასაქირის დროს ნანატრივითაა. დღეს კი ყველაფერი დამთავრდება. რაც უნდა, ის უყოს თავის პალტოს ფულს: უნდა მიუმატოს და უნდა გამოაკლოს. პარმენს უკვე აღარ აინტერესებს ხვალიდან პარმენი ახალ ცხოვრებას იწყებს. ხვალიდან იგი ქუჩუნას ქმარია. ხვალიდან. მაგრამ ხვალამდე მისვლა არ გინდა? როგორ დაიწყოს, როგორ უთხრას, რას მიაყოლოს? თუ პირველი სიტყვა გაბედა, მერე დახუჭავს თვალებს და ილაპარაკებს, მერე აღარ გაჩერდება. ყოველ ღონეს იხმარს, რათა აუხსნას პელოს, რომ ქუჩუნა ერთი საწყალი და

უპატრონო ქალია, რომ... ახლა მადლო ბაღმერთს, ბავშვები პატარებია, არიან. ორივეს თვითონ წაიყვანს, ისინი ერთს პელოს დაუტოვებს, ან ძალიან კი გაუჭირდება, მაგრამ ორივეს პელოს დაუტოვებს და ფულს ყოველთვის მიაწვდის. პელოს საღ შეუძლია. პარმენი უყიდის ტანსაცმელს ბიჭებს, პარმენი ივლის სკოლაში მშობელთა კრებებზე. აბა რა, შვილებს უპატრონოდ კი არ დატოვებს, არც ისე უსაშველოდაა საქმე. პელო იდარდება, მაგრამ თავს არ მოიკლავს. პელო ჭკვიანი ქალია.

— პარმენ!

— რა იყო?!

— ერთი ვერ მოიცალე, პარმენ. დღესაც ჩამოვიდა წვიმა და ფქვილი კინაღამ დამისველა.

ამ სიტყვებთან ერთად, პელომ ქმარს ვახშამი გამოუტანა. პარმენი სადილად არ მოსულა და პელოს მისთვის ცხელი ჭადი ტილოში გაეხვია, რომ არ გაცივებულიყო. პარმენს ჭადი და ყველი ძალიან უყვარდა.

— არ მშოა. — თქვა პარმენმა და თეფში გვერდზე გასწია.

„რაღა მაინცდამაინც დღეს... რაღა მაინცდამაინც ცხელი ჭადი და ყველი დამახვედრა. არ უნდა ბატონო, პარმენს აღარაფერი აღარ უნდა, ისე, წვიმის ამბავი მართალია, სულ ოთხი კრამიტია გამოსაცვლეო. პარმენს მონიშნულიც კი აქვს ის კრამიტები. წავა ახლა და იმ კრამიტს ვეღარავინ ვეღარ გამოცვლის, ვერ მიაგნებს. წყალმა კი უნდა იდინოს. ახლა შემოდგომაა, დიდ წვიმებს რომ დაიწყებს, ძირს ჩამოიტანს ჭერს. ჭიშკრის გასაღები მოშლილია. პარმენმა ახალი კლიტე იყიდა, მაგრამ დღემდე ვერ გამოცვალა ვინაა რკინის ჭიშკარზე კლიტის დამყენებელი. არადა ჭიშკრის დაუკეტობაც არ გამოდის. ვიღაცა შემოეხეტება და გაცლის იქაურობას. ეზოში ოცდაათი ლარძაყინი უწყვია. შეილის ფასი ლარძაყინი. ოთახის მიშენებას აპირებდა, ბიჭები მეზრდებიან და სხვაგან არ გაუშვებო. თუმცა რა დროს ლარძაყინია“...

— დახოცეს დღეს ბავშვებმა ერთმა-
ხეთი.

— რა მოუვიდათ?

— რა მოუვიდათ, პარმენ, და ვაქამ
დაიწყო, ხომ იცო, რამხელა ენა აქვს.
შენო, პატას უთხრა, სულ ჩემი გამო-
ნაცვალუბი გაცვიო. დედას და მამას მე
უფრო ვუყვარვარო, საიდან მოიტანა?
პატამ ჯერ იტირა, მერე ჩუმად მიეპა-
რა და ყური კინალამ მოაქამა. ძლივს
მოგვიღერ ერთმანეთს. შენ უნდა უთხ-
რა რამე. მაგენი ახლა დიდები არიან.
ჩემი აღარც კი ეშინიათ. უნდა გაუჯავრ-
დე ხანდახან.

პარმენი ხმას არ იღებდა.

მართლა გრძელი ენა აქვს იმ ბიჭს.
გაკვეთილზე თურმე მისი მოსვენება
არაა. ყური უნდა აუქაჩოს კაცმა. აწი
და აწი მეტი უნდათ. მაგათი მომრეგია
პელო? მეტი არაა ჩემი მტერი. მამის
შეში თუ არ ექნათ, სულ წავლენ ხელი-
დან. რა დროა ნეტავი. რალაც სხვანაი-
რად წავიდა საქმე. რალაცას ხომ უნდა
მიაყოლოს, რალაცით ხომ უნდა დაიწ-
ყოს, რას აუთოვებს, ეს ოჯახური ამ-
დენხანს.

კარგი, ვთქვათ, ყველაფერი უთხრა.
პელომაც მშვიდად მოუსმინა, როგორც
შენ გაგებარდება, ჩემო პარმენ, ისე მო-
იქეციო. მერე? ჩემოდანში უნდა ჩაალა-
გოს ყველაფერი და წავიდეს? რა უნდა
წაილოს ასე ხელად? მარტო პირსახო-
ციოთ და კბილის ჯაგრისით ხომ არ წა-
ვა, სანატორიუმში კი არ მიდის, სამუ-
დამოდ მიდის ოჯახიდან. ჯერ ალბომს
უნდა მიადგეს და სურათები უნდა გა-
დაარჩიოს, ნახევარს პელოს დაუტო-
ვებს. მერე ტანსაცმელი. სად ჩაალაგოს
ფეხსაცმელები? ძველი, ახალი, ზაფხუ-
ლის და ზამთრის ტანსაცმელი, წიგნე-
ბი. პარმენს რამდენიმე თავისი ვანუყრე-
ლი წიგნი აქვს, სადაც წავა, თან უნდა
წაილოს. სად ჩაალაგოს ამდენი რამ? არა
და ნაწილ-ნაწილად წაღებაც არ გამო-
დის. თუ წავა, აღარ უნდა მობრუნდეს.
ბავშვები? ხვალ რომ გაიდვიძებენ? რა
უნდა უთხრას დედამისმა? რალაც სხვა-

ნაირად გამოდის. ნეტავ როგორ აკეთე-
ბენ ისინი, ვინც ცოლ-შვილს ტოვებს.
რა მიაქვთ, რას ტოვებენ, როგორაა
პარაკებიან ცოლ-შვილს წასვლის წინ?
ასე პირდაპირ, დგებიან და მიდიან?
მთლად ასეც არ იქნება საქმე, რალაც
ეშლება. რალაც არ იცის პარმენმა კარ-
გად.

— პარმენ?

— ჰო

— რალა მაინცდამაინც ამ ადგილას
გეხევა შარვალი ყოველთვის. ა, ნახე
შარშან იყიდე. ჯერ ახალივითაა. ამ ად-
გილას სინათლე ატანს. გაცრეცილია.
ამას წინათ გამოუღვევი ნაჭერი, მარა მა-
ინც გაცრეცილია.

— რა ვიცი, რატომ მეხევა.

„შევრმლები ღმერთმანი, შარვალი მი-
კირს ახლა მეე?“ — გაიფიქრა პარმენ-
მა და საშინლად მოუნდა ეს ყველაფე-
რი სიზმარი ყოფილიყო. ქალაქში ყვე-
ლაფერს მარტივად წყვეტენ. შემოგხე-
დება კაცი და გეტყვის — მავანი და მა-
ვანი ცოლს გაშორდაო. როგორ გაშორ-
და, რანაირად წავიდა... როცა წახვალ,
წასული ხარ და არაფერი, მარა რომ მი-
დინარ, იმ მომენტში რანაირი სახე
გაქვს? როგორ მიდინარ? ახლა რომ იყ-
ვიროს ერთბაშად და ჩხუბი ატეხოს?
გული მომივიდაო და აღგზნებული გაი-
ქცეს სახლიდან? სისულელეა. პარმენი
ვერ იზამს ამას. პარმენს არტისტობა არ
შეუძლია, არადა ეუფუნა? რა პასუხი
მისცეს ხვალ ეუფუნას? რა ცოდოა, რა
საყვარელია ეუფუნა.

— სარეცხის ტაშტი რომ გაივსება,
დაკეტე ონკანი, ხვალ შეიძლება წყალი
არ იქნეს. დაწოლის წინ კარების დაკე-
ტვა არ დაგავიწყდეს. ქვედა გასაღებებ-
ზეც დაკეტე, — მოესმა პარმენს საწო-
ლი ოთახიდან პელოს ხმა. დღეს უკვე
ყველაფერი დაგვიანებული იყო. მთე-
ლი დღის ნაჯაფარი პელო უკვე იწვა.

ნახევარი საათის შემდეგი პარმენმა
ონკანი დაკეტა, სარეცხის ტაშტს ფანე-
რის ნაჭერი გადააფარა, კარები ორივე
გასაღებზე ჩაკეტა და სინათლე ჩააქრო.
დღეს ყველაფერი გვიან იყო.

გაკუმან კაკოში

ბ ა ლ ა ხ ი ს ს ი მ ე ლ მ რ ა

თ ა შ ი ნ ე

მეორე დღეს პირველი ოქტომბერი იყო, ოთხშაბათი. ამ დღეს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ.

ჭერ ერთი, დილით რაილიმ თითებზე დამაბიჯა ფეხი და გამაღვიძა. მე შევეუკუროთხე, და დოლიმ — რომელსაც უკვე ეღვიძა — მოითხოვა, ბოდიში მომეხადა. მთავარია დილით იყო ზრდილობიანი, — თქვა მან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთ სივიწროვეში ცხოვრობ. მოსამართლის საათზე, ოქროს შიშიმე ვაშლივით რომ ეკიდა ტოტზე, შვილის შვიდი წუთი იყო, არ ვიცი ვის მოაფიქრდა ეს, მაგრამ საუზმეზე ფორთოხალი, კრეკერები და ცივი ძეხვი გვექონდა. მოსამართლე ბუზღუნებდა, სანამ ცხელ ყვავს არ დაღვე, კაცად ვერა გრძნობ თავსაო. ჩვენც დავეთანხმეთ, რომ ყველაზე მეტად ყავა გვავლდა.

მაშინ რაილიმ თქვა, წავალ ქალაქში ყვავასაც ვიყიდი და ახალ ამბებსაც ვავიგებო. მეც შემომთავაზა წამოდიო.

— მანქანაში თუ ვაწვება, ვერაივინ ვერ დავინახავს.

მოსამართლე წინააღმდეგი იყო: მე თუ მკითხავთ უგუნურება იქნება ესაო, მაგრამ დოლი მიმიხვდა სურვილს: ოცნებადა მქონდა გადაქცეული რაილის მანქანით სეირნობა და ახლა, როცა ასეთი შემთხვევა მომეცა, ისიც კი ვერ ჩააქრობდა ჩემს აღფრთოვანებას, რომ ვერაივინ დამინახავდა მანქანაში მჭდარს. დოლიმ თქვა:

დასასრულთ. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1. № 2.

— მე მგონი არაფერიც არ იქნება. ოღონდ ეგ ხალატი გამოიცვალე, საყვლო ისეთი გაქონილი გაქვს, ტიტა რომ დათესოს ზედ კაცმა, ამოვაო.

შინდორში არც ბალახის სიმელრა ისმოდა, არც ფრთხილად აფრენილი ხობების ფრთების შრიალი. ინდური ბალახის ასხლეტილი, ზასრი ფოთლები, თითქოს სისხლით იყო შეღებილი, როგორც ბრძოლის ველზე გაბნეული ისრები. მყიდვე ფოთლებს ხრამუნნი გაქონდა ჩვენ ჟებქვეშ, როცა სასაფლაოსკენ მიმავალი გორაკზე ავიდოდით; თვალწარმტაცი სანახაობა იშლებოდა აქედან, მღელვარე სანაბირო ტყეს ბოლო არ უჩნდა, ირგვლივ კი, მთელ ორმოცდაათ მილზე — გადახსული მინდვრები და ქარის წისკილები, შორს, ძალიან შორს სანაბართლოს შენობის წვეტიანი კოშკი და აბოლებული საყვამლე მილები ქალაქში. დედანემისა და მამანემის საფლავთან შეეჩერდი. იშვიათად მოვლილი ხოლმე აქ. სევდასა მგვრიდა ამ ქვეების სამარისებური სიცივე, რომელიც სრულებით არა ჰგავდა იმას, რაც მე მახსოვდა — დედა და მამა, სიცოცხლით სავსენი, როგორ ტირიდა დედანემი, როცა მამა თავის მაიცვრების გასაყვიდად მიემგზავრებოდა, როგორ გამოეარდა მამანემი დედიშობილა ქუჩაში. უცებ მომინდა ყვავილებით გამევესო ტერაკოტის ცარიელი ჯამები, რომლებიც დასვრილ, ქუჭკიანი წყლის ნაყოფით დასვრილ მარმარლოზე იდგა. რაილი მომეხმარა: დაკოკრილი კამელიის ტოტები დაამტვრია და როცა მე ყვავილებს ლარაკებში ვაწყობდი მითხრა:

— რა კარგია, რომ დედაშენი კეთილი ადამიანი იყო, ქალების უმეტესობა სულ ძუჭენები არიან.



ვიფიქრე, ნეტა დედამისზე ხომ არ ამბობს, საცოდავ სარა პენდერსონზე-მეთქი, რომელიც ეზოს გარშემო ასკინილას არბენინებდა და თან გამარავლების ტაბულას ამეორებინებდა.

თუმცა, მე თუ მკითხავთ, რაილიმ ყველაფერი იმანზალაურა. ყველაფერს რომ თავი გაანებმოთ, მანქანა ჰყავდა. ამბობენ, სამი ათასი დოლარი მისცაო. თანაც, ნუ დავაგიწყდებოთ, ნახშირი იყიდა. უცნაური მანქანა იყო — „ალფა-რომეო“. (ქალაქში ხუმრობდნენ, რომის ილფაო), ასაკეცი სახურავი და ასეთივე ასაკეცი უკანა საეარქელი ჰქონდა. ნიუორლეანში იყიდა, ვიღაც პოლიტიკოსისაგან, რომელსაც კატორღა მოელოდა.

სანამ მოუკარწყლავ ქუჩებში მივქროდი, მიმეძს არა გვარგაველი, რომ ვინმე შემოგვხედებოდა და რაილი პენდერსონის მანქანაში დამინახავდა, მაშინ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა. მაგრამ ამ დღილადრიან ამა ვინ გამოვიდოდა ქუჩაში! საუბზე ჯერ ისევ ქურაზე იდგა და საკვამლე მიღებიდან ბოლი ამოდიოდა. ეკლესიასთან შეეუხვით. მერე მოედანს შემოგუჯრეთ და ერთ ჰუჭუკიან შესახვევში გაეჩრეთ მანქანა. კუბერის საჯინბოსა და „მწვანე კალიის“ საფუნთუშეს შორის. რაილი მანქანიდან ჩამოხტა და დამიბარა — ცხვირი არ გამოყო გარეთ, მე ერთ საათში დავბრუნდებო. მანქანაში გავიშოტე, ვიწეი ასე და მესმოდა საჯინბოს თავლებში მოთარეშე, ქურღბაცაცა ბედურების შარიანი ევიციეი. ვიყნისავდი ახალგამომცხვარი ბურისა და სმორთდინის მანცხვრის სურნელუბას. საფუნთუშეს პატრონები — მისის და მისტერ კუნტი — დილის სამ საათზე დღებოდნენ, რათა რვა საათისათვის ყველაფერი მოესწროთ, რვაზე აღებდნენ საფუნთუშეს. საფუნთუშე მუდამ დაკრიალებული იყო. შემოსავალიც კარგი ჰქონდათ, მისის კუნტის შექმლა ყველაზე სვირფასი კაბა იყიდა ვირენას ტანსაცმლის სეაპროში. სანამ მე ნამცხვრის სუნით ვტყებოდი, საფუნთუშეს უკანა კარი გაიღო და მისტერ კუნტი გამოჩნდა — ხელში ცოცხი ეჭირა, ფევილიანი მტვერი პირდაპირ ქუჩაში გამოგავა. ეტყობა, ძალიან გაუკვირდა, რაილის მანქანაში რომ დამინახა.

— კოლინ, აქ რას აკეთებ?

— არაფერს, მისტერ კუნტი, — ვუპასუხე მე და ვაგიფიქრე, ნეტა იცის რამე ჩვენი გაჭირვების შესახებ თუ არა-მეთქი.

— მანღობა ღმერთს, უკვე ოქტომბერია, — თქვა და და თითებით ჰაერი მოსრისა, თითქოს სიჯრილის გასინჯვა ისევე შეიძლებოდა, როგორც ნაჭრისა. — ზაფხულობით ძალიან გვიჭირს: ღუმლები და ქურები ისე აცხუნებს, ლამის დაეიხოცოთ. აქ მოდი, ბიჭო, თაფლავერის ბიჭი გელოდება — ერთი შენებურად შეუტეი.

არა, მეფუნთუშე ისეთ იაკი არ იყო, რომ

შიგ შევტყუებინე და მერე შერიფი გამოქაძა.

მისი ცოლი ისეთი სიხარულით შემხტდა, გახურებულ ოთახში, თითქოს ჩემს მოსვლაზე ძალიან ქვეყნად არაფერი გაახარებდა. მისის კუნტი ყველას მოსწონდა. მსუქანი, დინჯი ქალი იყო, სპილოს ფეხები და ღონიერი ხელები ჰქონდა, კუნთოვანი სახე. ღუმელის სიმხურავისაგან მუდამ გაწითლებული, ღურჯი თვალეზი ტორტის სარკალასავით უბრწყინავდა, თმა ისეთი თეთრი ჰქონდა, თითქოს ფევილის კასრი თმით ამოუქმენდიო. გრძელი წინსაფარი კოქეზაზე სწვდებოდა. ქმარიც ისეთივე გრძელ წინსაფარს ხმარობდა: ზოგჯერ ვხედავდი, დროს რომ მოიხელთებდა, წინსაფარიანად გადასტრიადა ქუჩას და ფილის კაფეში შევიდოდა, რათა ერთი ტოლჩა ლუდი დაეღია, იმ კაფეში მუდმივ მუშტრებთან ერთად, რომლებიც ნაიდავ დახლთან იდგნენ და წრუბავდნენ. დობახნილ, დაპდრულ, ფართხუნა, ჯამბახსა ჰგავდა; თითქოს უხლებოდა ვიდეც ეს მოუქნელობა.

მისის კუნტომ თავის სამუშაო მაგიდაზე ადგილი მოასუფთავა, ერთი ფინჯანი ყავა და საკსე ტაფა ახალგამომცხვარი დარიჩინიანი ფუნთუშები დამიბდა წინ. დოლი ჰყუას კარგავდა ასეთ ფუნთუშებზე. მაგრამ მისტერ კუნტიმ თქვა, მაგას სულ სხვა რამე უნდაო.

— მე სხვა რაღაცას შევპირდი. ამა, გამოიკანით, რა? თაფლავერის ბიჭი.

ცოლმა ცოლის დიდი ნაჭერი დაავლო მაგიდაზე.

— ეგ ხომ ბავშვების საშემლია. ეს კი უკვე კაცია, თითქმის კაცი. რამდენი წლისა ხარ კოლინ?

— თექვსმეტი.

— ჩვენი ჯორჯიც თექვსმეტი წლისაა — თქვა მან.

თავის შვილზე ამბობდა, ბიჭები სკოლაში ჯორს ეძახდით; მართლაც ჯორის ჰქუა ჰქონდა. რა ისმის ჯორჯისგან-მეთქი კითხვებზე; მერვე კლასში მესამედ დარჩა, შემოდგომაზე პენსაკოლაში გაიპარა და მეზღვარად ჩაეწერა.

— პანამაში; ბოლო წერილი იქიდან მივიღეთ, — მიპასუხა მისის კუნტიმ, თან ღვეზელის ცომსა შლიდა. — კანტაკუნტად გეწერს. ერთხელ მიეწერე, ვირჩენია ხშირად გზავნო წერილები, თორემ ავიღებ და პრეზიდენტს მიეწერე, სინამდვილეში რამდენი წლისაცა ხარ-მეთქი. იმიტომ რომ მოტყუებობ ჩაეწერა. გესმის, წლები მოიმატა. გიცივით ვიყავი მაშინ — მისტერ პენდლს მიუყვარი სკოლაში და საყვედურებით ავახსენ: კლასში რომ სტოვებდით ხშირად, იმიტომ ვაიქცა-მეთქი, ვუთხარი, რცხვენოდა, თუთონ იმხელა გაიზარდა, სხვა ბავშვები კი პატარები იყვნენ. ახალა მივხე-

ბრუნენ კაპობი
ბალახის სიმღერა

ლი, რომ მისტერ ჰენდლი მართალი იყო: უსამართლობა არ იქნებოდა, სხვა ბავშვების მიმართ, მაშინ რომ გადაეყვანა შემდეგ კლასში, მთელი წელწლი ხეირიანად არც კი უმცოდნინა. იქნებ უკეთესიც იყოს, ზოგი ჩირი მარგებლობაო, ხომ გავგონია. კ. კ. აბვენე კონონს ბარათი.

პალმებისა და ზღვის ფონზე ოთხი მეზღვაური იღვა, ხელები მხრებზე გადადოთ ერთმანეთისათვის, ოთხივე იღრიკებოდა. ძირს ეწერა: „ღმერთო შეეწიე დღეს და მაშას. ჯორჯი“, ძალიან გამაღიზიანა ამ ბარათმა. ჯორჯი მთელ ქვეყანას უფლის მე კი... რა გაეწყობა, იქნებ ამ თავისი კვერა ბივის მეტი, არაფრის ღირსი არა ვარ. ბარათი დავერბუნე. მისტერ კუნტიმ თქვა:

— მე თუ მკითხავ, ძალიან კარგია, როცა ახალგაზრდა კაცი საშობლოს ემსახურება. მაგრამ ცუდი ის არის, რომ ჯორჯის ხელი სწორედ ახლა გვერდება. არ მიყვარს ზანგების დაქირავება. ქურდები ამ დატყუარებში არიან, იმათ ხელში აღარ იცი კაცმა სად რა გაქვს?

— გული ჩხელტას დამიწყებს ხოლმე, როცა კ. კ. ასეთ რამეს იტყვის. — თქვა მისი კუნტიმ და გაჯავრულმა ტუნტიმ მომუწა. — არ იცოდეს მაინც, რომ ძარღვებს მიშლის. აბა, თეთრებზე ნაკლები რითი არიან ზანგები? ზოგჯერ სჯობიან კიდეც. რამდენს მოვახვლებ, სულ ამას ჩაეჩინებ ჩვენებურებს. თუნდაც ბებერი კეთრინ კრაის ამბავი ავიღოთ. რომ გამახსენდება, ცუდად ვხდები. ცოტა უცნაურია, იქნებ მოისულელებს კიდეც, მაგრამ ამისთანა აღმაშინ იშვითათ შეზღვები. უკ, ახლა გამახსენდა, სადილი მინდოდა გამეგზავნა ციხეში. არა მგონია, შერიფი მაინცდამაინც გემრიელი საჭმელებით კვებდოდეს პატიმრებს.

...მაშ ასე, ყველაფერი შეიცვალა და ძველს ვეღარ აღვადგენთ: ქვეყანამ ვაიგო ჩვენი ამბავი... მორჩა, არასოდეს აღარ გვეღირსება გათბობა... ჩემმა წარმოსახვამ ფრთები გამალა, წარმოვიდგინე, როგორ ესტუმრა ზამთარი ჩვენს გათოშილ ხეს და აეტირდი; ვტიროდი, ვტიროდი, ლამის ნაწილ-ნაწილ დაევიშალე, როგორ წვიმისგან დამპალი ძველმანი. რაც შინი-დამ წამოვიდოდი, მას შემდეგ სულ მინდოდა გამოვეტრა ჩემი ნალექი. მისი კუნტიმ მომიბოდიშა, იქნებ, ისეთი რამე ვთქვი, რაც არ უნდა მეთქვაო, მეტე თავისი გახუხული წინსაფრთი ცრემლები შემშირო და ორივეს გავეყვინა — აბა რას ვიზამდიო, მე მთლად გავიწყებე ცრემლებში ახელილი ფეხლისაგან — და მომეშვა კიდეც გულზე.

მისტერ კუნტი მამაკაცურად მოიქცა, გული რომ არ ასჩუყებოდა წინა ოთახში გავიდა. მე მაშინვე მივხვდი ამას, მაგრამ არ შემბრცევა.

მისი კუნტიმ ყავა დაიხსა და მაგიდას მოუქდა.

— მართალი ვითხრა, კარგად ვერ გავიგე, რა მოხდა თქვენთან. — თქვა მან. გავიგე, თითქოს დოლიმ და ვირენამ და დოლიმ სახლი მიატოვეო...

მინდოდა მეთქვა, სინამდვილეში უფრო გართულბულია საქმე-მეთი, მაგრამ უცებ ეპვი შემეპარა, მართლა ასე იყო თუ არა?

— იცი რას გეტყვი, — დაფიქრებით თქვა მისი კუნტიმ, — იქნებ მოგეჩვენოს, თითქოს დოლის ვკაცვადე: სულაც არა მაგრამ, მე-თუ მკითხავთ, ახლა შინ უნდა დაბრუნდეთ ჩემო კარებზე, დოლი ვირენას შეუტრიალს. მუდამ ყველაფერს უთმობდა და ახლა, მით უმეტეს, ამ ხნის ჭლია... ახლა რაღას შესცვლით! თანაც ჩვენი ქალაქისთვის ცუდი მაგილითია: ორმა დამ წაიჩხუბა და ერთი მათგანი ხეზე ზის; ან კიდეც ჩარლი კული, ჩემს სიცოცხლეში პირველად შემეცოდნენ მაგის ვაჟები. ქალაქის თავკაცებს ღრსეულად უნდა ეტროთ თავი, თორემ ყველაფერი აირეგდებიან. მო, მართლა, ფურგონი თუ ნახე მოედანზე? არა? მაშ, წადი და ნახე. კოხობის ოჯახია. კ. კ. ამბობს ევანგელისტები არიანო. მე მხოლოდ ეს ვიცი, რომ დიდი ალიაქითი ატყდა მავათი გულისთვის და რალაცნაირად დოლიც გაირის ამ ამბავში. — მისი კუნტიმ გაჯავრებულად ჩაშპერა ქალაქის პარკი. — დოლის გადაეცი ჩემგან, შინ დაბრუნდი-თქო. გამომართვი, კოლინ, ამ პარკში დარჩინიანი ფუნთუშებია, ვიცი, რომ დოლი ჭკუასა კარავს ამხუზე.

საფუნთუშედან რომ გამოვედი, სასამართლოს საათმა რვაჯერ ჩამორეკა, — რვის ნახევარი იყო: ეს საათი ნახევარი საათით მუდამ წინ გარბოდა. ერთხელ საიდანაც გამოცდილი ოსტატე ჩამოიყვანა. იქნებ ვასწორროსო. ერთი კვირა უჩივიანა მესაათემ და მერე განაცხადა, დინამიტის მეტი ვერაფერი უშველისო: მუნიციპალიტეტმა მაინც გადასწყვიტა, გასამრჯელო მთლიანად მიეცა მესაათისთვის — ქალაქი ამჯობდა იმით, რომ ასეთი გამოუსწორებელი საათი ჰქონდა. მოედნის გარშემო მედუნეები დუნეების ვალების საშხადისში იყვნენ: ზოგს დუნეის წინ ცოცხით მტვრის ბუდი აყენებინა, ზოგს სანაგვე ყუთები გამოჰქონდა... უხეშად არღვევდნენ გრილი ქურების მყურდობას. „ნაადრევი ჩიტის“ ვიტრინაში, რომელიც ვირენას გასტრონომზე — „ყველაფერი ხუთ კაზად“ — უფიქსი იყო, ორი ზანგის ბივი ჰავის ანანასი კონსერვის ქილეს აწყობდა. მოედნის სამხრეთ მხარეს, ბამბუკის სკამებს უკან. — ამ სკამებზე წელიწადის რა დროც არ უნდა ყოფილიყო ყოველთვის ჩემი, მისანსაღებელი, მოხუცები ისხდნენ — ფურგონი დავინახე, მისი კუნტიმ რომ მითხრა, სწორედ ის. ფურგონი კი არა, ძველი, ბრეზენტგადაფარებული საბარგო მანქანა იყო, ეტყობა უნდოდათ პირველი დასაველეთელი



კოლონისტების ფერაგონისათვის მიემსგავსებიანათ. რალაც სულსულურად, ობოლივით გამოიყურებოდა ცარიელ მოედანზე. კაბინის სახურავის გასწვრივ ზეიგენის ფარფლის მსგავსი, ხელით ნაკეთები ფარი იყო დამაგრებული, კარგად დიდი იყო, ოთხი ფუტი სიმაღლე ექნებოდა და ზედ იწერა: „მეციოთ ნება პატარა ჰომერ მელოუს ლასო მოსდოს თქვენს სულს უფლისა ჩვენისთვის“. ფარის მეორე გვერდზე ამობურცული მწვანე საღებავით დეთხანათ გაღრუკილი სახე, რომელსაც წოწოლა ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა. რას ვიფიქრებდი, რომ ეს ადამიანი იყო, მაგრამ ქვეშე ეწერა, — ეს არის ბავშვი-სასწაული ჰომერ მელოუს. სანახავი მეტი აღრავფერი იყო, ფერაგონთან არავინა სჩანდა. მე ციხისაკენ წავედი. ავტორის ყუთის ჰავადი ეს ციხე და ფორდის კომანდის გვერდით იდგა. ერთხელ შევინთავ ვიყავი — ახმახმა ედომ შეგვიყვანა ათიოდე კაცი და ბიჭები. შემოვიდა მაშინ ახმახი აფთიაქში და გვითხრა, წამოდიოთ ციხეში რა ვაჩვენოთო. ეს ღირსშესანიშნოება ლამაზი, გამბზარბი ბოშა ბიჭი იყო, რომელიც საბარგო მატარებლიდან ჩამოესცა. ახმახმა ედომ ოცდახუთი ცენტი მისცა და უთხრა, შარავლი ჩახადეო. თვალებს ვერ დავუჭერთ და ერთმა კაცმა დაახეთქა:

— ბიჭო, ამისთანა ძალაყინის პატრონი, რასა ზიხარ ჩაეკტილიშ?

ამის შემდეგ, კიდევ დიდხანს შეიძლებოდა იმ გოგოების გამოცნობა, ვისაც ეს ხუმრობა ჰქონდა გაგონილი — ციხეს რომ ჩაუვლიდნენ სიცოლი აუტყდებოდათ ხოლმე.

ციხის გვერდით კედელს უცნაური ნახატი ამშვენებს. დოლის კეითზე და მითხრა, მასსოვს ბავშვი რომ ვიყავი, იმ კედელზე კამფეტების რეკლამა იყოო. თუ მართლა ასეა, მაშინ წარწერა ეტყობა სულ წაშლილა და რაც დარჩა, ცარიელი დათხანულ გობელენსა ჰგავს: ორი ფლამინგოსავით ვარდისფერი ანგელოზი დაფრინავს და, თან საყვირს უტარავს; ქვეშ უშველებელი, ხილით სავსე ყანწი ხატია. რომელიც საშობაო საჩუქრებით დატენილ წინდასა ჰგავს.

ნახატი ფერდაკარგული ფრესკა გეგონება, მერთალი ტატუირება. კედელზე მოლიცილიც მზის სხივებისაგან, დამწყვედეული ანგელოზები ისე თრთიან, გეგონება ქურდების სულები არიანო. ვიცოდი საშობო იყო დღისით-მზისით აქ ტრბალი, მაგრამ მაინც ჩაუფარე ციხეს, მერე უკან გამოვბრუნდი, დაუტყინე და ჩემად დავიძახე: „კეთორნი კეთორნი“ იმედი მქონდა, კეთორნი გაიგონებდა და ფანჯარას მოადგებოდა. კეთორის ფანჯარა მაშინვე ვიციანი: რაფაზე, რკინის გისოსის იქით ოქროსოტეუბიანი ჭილა ლაპლაპებდა. მერე გავივიე, თურმე მხოლოდ ამ ქილის გამოგზავნა ითხოვა, მეტი არაფერი. თვეუბი, ნარინჯისფერი ათინათივით, ნელა დაცურადენენ მარჯვის კოშკის გარშემო და ის დილა გამახსენდა, როცა

მე და დოლი ამ მარჯვის კოშკსა და ნორფურ ქვეებს ვეძებდით. მაშინ დასაწყისი იყო უკვე კანკალმა ამიტანა, როცა გავიფიქრებოდა როგორი იქნებოდა — კეთორინის ცივი ლანდი ფანჯრიდან ვადმოწყურებს; გულში ელოცულობდი, ფანჯარასთან არ მოვიდეს-მეთქი, მაგრამ თუნდა მოსულიყო, მაინც ვერაგის დაინახავდა — მე პირა ვიბრუნე და გავიქვიცა.

ორ საათზე მეტი ვუცადე მანქანაში რაილის. როცა დაბრუნდა, ძაღლის გუნებაზე იყო, ისე რომ ჩემი დარღის გამხელა ვეღარ გავუბედი, თურმე შინ რომ მისულა, მისი ორივე და მამა რიორდანი, რომელმაც იქ გაათია დამე, ჯერ კიდევ ლოგინში ნებივრობდნენ; სასტუმრო ოთახში ყველგან სიგარეტების ნამწველი და კოკა-კოლას ბოთლები იყარა. მობლა ყველაფერი თვითონ დაიბრალა: რაილის უთხრა, რადენიმე ბიჭი დავმატე რაილის მოსასმენად და საცეკვაოდო. მაგრამ მოდის მაგიერად დები დისაყენ; რაილიმ ლოგინიდან წამოყარა ენი და ელიზაბეთი და კარგა მაგრად მიტყნა. გამოვივრდა — როგორ, მართლა „მიტყნებ“? რაილიმ მითხრა: როგორ და, დაეწვივინე მუხლებზე და ტენისის ფეხსაცმლით მიეტივიეო. ჩემთვის ამის წარმოდგენაც კი ძნელი იყო; იმდენად არ შეეფერებოდა ეს ამბავი ელიზაბეთის მედიდურ გარეგნობას. ჩემს წარმოდგენაში სწორედ ასეთი იყო.

— ძალიან მაკარად გეცევი გოგოებს, — ვუთხარი მე რაილის და მერე შური ვიძიე, — აი, მოდ რიორდანი მართლა გაფუჭებულია.

რაილიმ იფიქრა სერიოზულად ამბობსო და მითხრა:

— იმის მიტყვნასაც ვაპირებდი. ისეთი რალა-ეები მიძახა დღით, რასაც არავის არ შევარჩენ. მარტო ამისთვის ეკუთვნოდა ცემა, მაგრამ ვერ დავივირდი, უკანა კარი გააღო და გაიქცა. იქნებ, ამით მოდმა ანეკსზე წამოგაგო-მეთქი, გავიფიქრე ჩემთვის.

თმა აშკერად დავეკარცხნა რაილის, აბურძნეული აღარ ჰქონდა, ბრილიანტინისაგან უბრწყინდა ვდა, ისამინის წყლისა და პუდრის სუნი ახლიდა.

ჩემთვის იმისი თქმა აღარ იყო საჭირო, რისთვის შეიარა სადალაქოში.

იმ დროს ჩვენი სადალაქოს პატრონი ერთი გასაკარბი კაცი იყო — ამოს ლეგრენდი. ახლა უკვე აღარ მუშაობს, შერიფისთანა ხალხი, სხვათა შორის რაილი ჰენდერსონიც და საეროთოდ ყველანი დედაბერს ეძახდნენ, მაგრამ ამით სიძულელის კი არ გამოხატავდნენ, პირიქით უყვარდამ მასთან საუბარი და ყველანი მისი კულის მსურველები იყვნენ. მიმინეითი პატარა ამოსი კლიენტის გასაკრებად ყუთზე შედგებოდა ხოლმე. მუდამ აღვზნებული იყო, მისი გაუ-

ბრუშინ კაპონი
ბალახის სიმღერა



თავებული ლაქლაქი, კასტანეტების ტკაცუნა ჰკავდა, თავის კლიენტებს — კაცი იწებოდა ეს თუ ქალი, ზანურჩევლად ყველას «ფისოს» ეძახდა.

— ჩემო ფისო, — ეტყოდა ხოლმე, — სწორედ ღროზე მოხვედით გასაკრებლად, თორემ თმის სამკარების გამოგზავნას ვაპირებდი.

ერთი საოცარი ნიჭი ჰქონდა: ვინც არ უნდა ყოფილიყო, — ბიზნესმენი თუ ათი წლის გოგონა, — ყველასთან გამონახავდა საერთო ენას, იმას ეტყოდა, რაც აინტერესებდათ. რა ფასად ვაყიდა ბენ ჯონსმა მიწის თხილის მოსავალი, ვინ და ვინ დააბატოვა მერი სიმპსონმა დაბადების დღეზე...

რაღა ვასაკვირია, რომ რაილიც მასთან მივიდა ახალი ამბების გასაგებად. შე, რასაკვირველია, მხოლოდ მთავარი არსი მითხრა ამ საუბრისა, მაგრამ ცოცხლად წარმომიღდა თვალწინ ამოსი და თითქოს მისი კოლიბრისმაგვარი ყლურტული გავიგონე:

— ასეა, ჩემო ფისო, ასე ხდება ხოლმე, როცა შინ ინახვენ ფულს. თანაც ვის დაემართა ეს — ვირენა ტელბოს. ჩვენ კი გვეგონა, ერთ ნიკელს ჩაივადებს თუ არა ხელში, მაშინვე ხანკში გარბისო: თორმეტი ათას შვიდასი დოლარი! არა მგონია, სულ ეს იყოს. ეტყობა, ვირენა და ის დოქტორი რიტვი ერთად ამირებდნენ რაღაცის წამოწყებას, ძველი კონსერვის ქარხანაც იმიტომ იყიდა. ჰოდა, წარმოიდგინეთ, ვირენამ რიტცის ათი ათასი მისცა მანქანების შესაქმნელად — რა მანქანებისა, ეგ ღმერთმა უწყის, იმას კი, როგორც გამოირკვა, ერთი ქვეყანი ბენის ღირებულები-საც არაფერი უყიდინა. მთელი ფული ჩაიჭიბა. ღვიფონ საღვად გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ახლა იმას მოქმენი სამხრეთ ამერიკაში? ბევრი ჭორაობდა მაგ ორზე, ეშმაკობენო. მე არასოდეს არ დამიჯერებია ეს, ყოველთვის ვამბობდი, ვირენა ტელბო დიდი უნაური ქალია-მეთქი: ჩემო ფისო, იმ ებრაელს რომ ქერტილი აქვს, ჩემს დღეში იმისთანა არაფერი მინახავს. რა ვიცი, დიდი ვაჭნილი ქალი კია ვირენა, მაგრამ იქნებ მართლა შეუყვარდა. ახლა მისი დის ამბავი ისეთი ალიაშოთა ატყა — რა გასაკვირია რომ დოკ კარტერი ყოველდღე ნემსებს უკეთებს. მაგრამ ჩარლი კულმა ხომ მთლად მომპაო: ერთი მითხარით, ეს რასა ჰკავს, ზის ხეზე და სიკვდილს ელოდებ!

ქალაქიდან ისე მივჭროდი, მგონი მიწას სულაც არ შევხებიათ. ტკაც-ტყუც — საქარე შეშას მწერები ეხლებოდნენ. მშრალი, გახამებული, ღურჯი ჰავი სტვენდა ჩვენს გარშემო. ცაზე დარღობის ნაფლეთიც კი არასად სჩანდა. და მაინც, შემოძლია დავიფიქრო, რომ ჩემი ძაღლები ავადარსა გრძნობდნენ. საერთოდ, ეს მოხუცებსა სწევიათ. ახალგაზრდები იშვიათად გრძობენ. შეგრძნება ისეთია, თითქოს სახრებში დანარჩენიებული ქუხილი ბუბუნებს. ისე მეტხდა ძაღლები, რომ გვგრძნობდი, არც მეტი არც ნაყ-

ლები — ქარიშხალი ამოვარდებოდა და რაილი-საც ასე ვუთხარი; არ დამიჯერა — ხომ არა გავაყვლიო, მითხრა, ცას მაინც შეხედურ! რა ნიკელსა ნაქმლეთა ვეღებოდა, რომ სახიფათო მოსახვეთთან, საიდანაც სწორი გზა მიდის სასაფლაოსკენ, რაილი უცებ შეკრთა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მუხრუქს დააკირა ფეხი. მანქანა იმდენ-ხანს ტრიალებდა, რომ შეგვეძლო მთელი ჩვენი ცხოვრება გავეხსენებინა, წვრილმანი ამბებიც კი.

მაგრამ რაილის ბრალი სულაც არ იყო: შუა გზაზე, კოვლ ძროხასავით, ძლივს მოჩიკივებდა პატარა ჰომერი მედლონ ფურგონი. უცებ დაუძლურებოდა მექანიზმის სასიკვდილო ხრჭაბილი გაისმა და ფურგონი გაჩერდა. მანქანიდან შოფერი გამოძერა — ქალი იყო.

ახალგაზრდა არ ყოფილა, მაგრამ თეძოებს მკვირცხლად მოაქანავებდა და ატმისფერ კოფტაში გამოზურთული გულიც გამომწვევად უხტოდა. ფორებიანი ნატის ქვედაკაბა ეცევა, მალალი, კოვბოური ჩექმები მუხლებამდე სწვდებოდა. დიდი შეცდომა იყო ასეთი ჩექმების ტარება, რადგან ერთი შეხედვითაც შეატყობდით, ძალიან კოხტა ფეხები უნდა ჰქონოდა, უფრო კარგად რომ შეგვეძლებოდა დანახვა, ქალი მანქანის კარს მიეყარნო, და ენის წვერით წითელი ტუჩები აილოკა.

— დღია მშვიდობისა, ყმაწვილებო, — თქვა მან, ხმა მბეჭეტავ პატრუქს მიუგავდა, რომელსაც ბოლოში ასაფეთქებელი ბურთულა ჰკივლია. — მადლობელი ვიქნები, გზას თუ მასწავლით.

— რა ჯანდაბა მოგივიდათ, — გადავიდა შეტყევაზე რაილი, — თქვენ გამო, კინალამ გადავიჩხეთ.

— ისაც მივიკრის, ეგ როგორ შეამჩნიეთ, — უპასუხა ქალმა და მეგობრულად იქნინა დიდი თავი. ველური ჭერცხის ფერი თმა საგულდაგულად ჰქონდა დავარცხნილი, და ალაგ-ალაგ ჩამოშლილი კულულები პატარა ჩაჩუმებულ ზარებსა ჰკავდა.

— ძალიან ჩქარა დავყავთ, გენაცვალე. — ეკვირდებოდა უსაუველურა მან. — მე მგონი რაღაც კანონი უნდა იყოს ამაზე. საერთოდ ყველაფრის წინააღმდეგ არის კანონი — განსაკუთრებით თქვენთან.

— მაგისთანა ჯაბახანისთვის მართლაც უნდა იყოს რაღაც კანონი, — უთხრა რაილი. — ჯართის გროვია ბორბლებზე შედგმული, არ უნდა ვაძლევდნენ მაგისი ტარების ნებას.

— მართალი ხარ, გენაცვალე, — ვაიციანა ღმირი. — მოდი ვაკვალათ. თუმცა, ჩვენ კერ ჩავეტევით შენს მანქანაში; ფურგონშიც ძლივს ვეტევით. სიგარეტს ხომ არ მომაწვევინებთ? ო, ცხონებაა პირდაპირ, გმადლობთ!

სანამ სიგარეტს უკიდებდა, შევამჩნიე, რომ დამკვანარი, უხეში ხელები ჰქონდა, ფრჩხილებზე ლაქი არ ესვა, ერთ თითზე კი სულ გავა-



ვეხოდა ფრჩხილი — ეტყობა კარში მოიქცევა.

— მიხრებს ეს გზა მისს ტელბოსთან მიგო-
ყვანსო, მისს დოლი ტელბოსთან. ამბობენ, ხე-
ზე ცხოვრობსო. იქნებ თქვენ გვაჩვენოთ, სად...

ამ დროს მის ზურგს უკან ობლების მთელი
თავშესაფარი გამოდიოდა ფურგონიდან: ქერი-
თმიანი ბავშვები კოჭლობით მოათრევდნენ რა-
ჭიტაინ ფეხებს, ცხვირიდან წინტლები ჩამოს-
დოდათ, საკმაოდ მოზრდილი გოგონები,
რომლებსაც უკვე ბიუზგალტერის ტარება შე-
ეძლოთ და მთელი კიბე ბიჭებისა, ზოგიერთე-
ბი უკვე დიდები იყვნენ, ათამდე დაეთვალე —
მათ შორის ელამი ტყუპი და ერთი ძუძუთა
ბავშვი, რომელიც პატარა გოგოს ეკირა ხელ-
ში — ხუთ წელზე მეტისა არ იქნებოდა, —
ბავშვები კი, როგორც ჯადოქრის კურდღლები,
სულ მატულობდნენ და მატულობდნენ; სანამ
მთელი გზა არ დაიკავეს.

— ყველა თქვენი? — ვკითხე მე.

მართლა შევფიქრინდი; იმიტომ რომ მეო-
რედ თხუთმეტი დავითვალე. ერთი ბიჭი თავ-
მომწონედ დადიოდა, თორმეტი წლისა იქნე-
ბოდა, პატარა, ლითონის ჩარჩოში ჩასმული
სათვალე ეკეთა, მალალი, კოვბოური ქუდი ეხ-
ურა, და მისარულუ სოკოსა ჰგავდა.

თითქმის ყველას ჰქონდა რაღაც კოვბოური
— ზოგს მალალი ჩექმები, ზოგს ყელსახვევი...
მაგრამ ყველანი ძალიან საწყლად გამოიყურე-
ბოდნენ თითქოს თავიანთი დღედაღამოწ-
რება მართლ მოხარშულ კარტოფილსა და
ხახვსა სჭამენო. ვარშემოვხევივინ მანქანას
და იღვინე ასე ჩუმიად, მოჩვენებებით,
მხოლოდ სულ პატარები ურტყამდნენ ფეხებს
ფარებს ან მანქანას ფრთებზე ასტებოდნენ.

— თითქმის გამოიცანი, ძვირფასო: ყველა ჩე-
მია — მიბასუხა ქალმა და ბაწაწინა გოგოს წა-
მოარტყა თავში, რომელიც ფეხზე აღოდებო-
და. — მართალია, ერთი-ორი სხვისიც ავიცი-
ლეთ, — მხრები შეათამაშა და ბავშვები გაიბა-
დრნენ, ეტყობა ჰუქას კარგადდნენ დღეაზე. —
ზოგს მამა მოუკვდა, ზოგს ცოცხალი ჰყავს —
ასეა თუ ისე, ჩვენ მათთან არა გვესაქმება რა.
მე მგონი, თქვენ არ იყავით გუშინ ჩვენს სა-
დგომ შერებზე. მე და აილა ვარ, პატარა
პომეო მედლოს დედა.

მინდოდა გამეგო, რომელი იყო პ ა ტ ა რ ა
პ ო მ ე რ ი. ქალმა თვალები მოჭურტა და სათვა-
ლიან ბიჭზე მანიშნა, რომელიც ძლივს იყავებ-
და თავზე უშველებელ ქულს. ბიჭი მოგვე-
სალაშა:

— დიდება უფალს! სასტვენს ხომ არ იყ-
დით? — ლოყები გამოებრა და თუნუქის სასტ-
ვენში ჩაბერა.

— ამ სასტვენით შეგიძლიათ სატანა გან-
დევნოთ, — თქვა აილამ და კულულები
შეისწორა, — სხვა რამეზედაც გამოგადგებთ.

— ოცდახუთი ცენტრი, — საქმიანი კილოთი
თქვა ბიჭმა.

შეწუხებული, მოცინებული სახე ჰქონდა და
და სახის კრამივით თეთრი ქული წამდებოდა
წარბებზე ჩამოფხატებოდა ხოლმე. ფული რომ
მქონოდა, აუცილებლად ვიყიდდი — ეტყობა,
მშვირები იყვნენ. ალბათ რაილიც მიხვდა ამს,
ყოველ შემთხვევაში ორმოცდაათი ცენტრი ამო-
იღო ვებიდან და ორი სასტვენი გამოართვა.

— დმერთმა გიშველოთ! — უთხრა პ ა ტ ა -
რ ა პ ო მ ე რ მ ა და ფული კბილით მოსინჯა.

— იმდენი ყალბი ფული გამოდის ახლა, —
მოთბოდნენ დედამისმა, — ჩვენს საქმეში თით-
ქოს არ უნდა გვეშინოდეს, ასეთი რამისა, მაგ-
რამ... — ამოიხრა მან. — ახლა კი, იქნებ
გვანწავლოთ რა გზით უნდა ვიაროთ, თორემ
ბენზინი თითქმის გამოგველია.

რაილი უთხრა, დროს ტყუილად ხარჯავითო.

— იქ უკვე აღარაივინ არის, — უთხრა მან
და მანქანა დაქოქა.

ჩვენს უკან სხვა მანქანა იდგა, ჩვენ ვუშლი-
დით გავსის და გაბრაზებული შოფერი საყ-
ვირს აუვირებდა.

— მამ, აღარ არის ხეზე? — ქალის სასო-
წარკვეთილმა ხმამ საყვირის ღრიალი დაფარა.
— აბა, სად ვეძებოთ? — შეეცადა ხელეზით
შეეჩერებინა მანქანა. — ძალიან დიდი საქმე
მქონდა... ჩვენ...

რაილიმ ადგილიდან მოსწყვიტა მანქანა. უკან
მოხიბდე და დავინახე — იღვინე გზაზე,
მტვრის კორიანტელში და ჩვენ გვიყურებ-
დნენ. გულს შემიკუმშა და რაილის ვუთხარი,
გაგვეგო მაინც რა უნდოდათ-მეთქი.

— იქნებ ისედაც ვიცი, — თქვა რაილიმ.

მართლა ბევრი რომ იცოდა, ამოს ლეგერენ-
დმა დაწერილებით ჩაუკაკლა აილას ამბა-
ვი. ქალი ჩვენთან არასოდეს ყოფილა, მაგ-
რამ ამოსი, რომელიც ზოგჯერ მბზლობელ ქა-
ლაქებში დადიოდა, დანამდვილებით ამბობდა
— ერთხელ ბოტლეს ბაზრობაზე ვნახეო. ბოტ-
ლე ცენტრია ჩვენი ოლქისა. ეტყობა ღირსეულ
მამას — ბასტერსაც ჰქონდა ვაგონილი მათი
ამბავი: ჩამოსვლა ვერ მოასწრეს, რომ შერიფ-
თან მიიჭრა და მოსთხოვა, კანონის ძალით აგე-
რძალათ პატარა ჰომერის ჭგუფისათვის საღ-
ვთო შეკრების მოწყობა. გამოძალავებთ არი-
ანო, ამბობდა, ექვსმა შტატმა იცის რომ ეს
ქალი კახაბაო. წარმოიდგინეთ თხუთმეტი ბავ-
შვი, ქმარის სახსენებელი კი არსადა სიხანს!
ამოსმაც კარგად იცოდა, რომ ვათხოვილი არა-
სოდეს ყოფილა, მაგრამ მისი აზრით მრავალ-
შვილიანი დედა პატივისცემის ღირსი იყო. შე-
რიფმა უთხრა, საზრუნავი ისედაც ბევრი მაქ-
ვსო: იქნებ ის ტუტუცები სწორედ მოიქცნენ,
სხედან ხეზე და თავისი საქმეებით არიან ვარ-

ბ რ უ შ ი ნ ე კ ა ო ბ ი
ბ ა ლ ა ხ ი ს ს ი მ ლ ო რ ა

თუღნი — მგონი, ხუთ ცენტად მეც მივატოვო ყველაფერი და იმათ შევეუერთდეთ. მაშინ ბებერმა ბასტერმა უთხრა, თუ ასეა, შერიფად არ ვაირიგებარ და შერიფის ნიშანი ჩაგვაბადო. ამა-სობაში, და აიღამ, რადგან მთავრობამ წინააღმდეგობა არ გაუწია, მოედანზე მლოცველები შეკრება, მუხის ძირში. საერთოდ, განმანათლებლები დიდი პოპულარობით სარგებლობენ ჩვენი ქალაქში: მუსიკის უკრავენ, სუფთა პაერზე იყრიბებიან და მღერაან. და აიდა თავისი ჭალებით ძალიან მოეწონა ყველას. მუდამ კრიტიკულად განწყობილი ამოსეკი მოიხიბლა და რაილის უთხრა, ბევრი დაეკრება, იქ რომ არ იყავით. ბავშვებს ძლიერი ხმები აქვთ. ახლა, პ ა ტ ა რ ა პ ო მ ე რ პ ო ნ ე ი მღეროდა კიდეც და თოკაც ყოჩაღად ატრიალებდა. ერთი სიტყვით, ყველამ შესანიშნავი დრო გაატარა გარდა ღირსიული ბასტერისა და მისი მეუღლისა. ეს ორნი გამოცხადდნენ თუ არა ხალხში, მაშინვე აყალმაყალი ასტეხეს. როცა ბავშვებმა უფლის სარტყხს თოკი გაჟიმეს — ჩვეულებრივად სარტყხის თოკი, — რომელზეც სამაგურები ეყიდა, რომ ხალხს ფული ზედ დემაგრებინა... — ბასტერი და მისი მეუღლე სულ გაცოფდნენ. ვისაც თავის დღეში ერთი ნიკელი არ ჩაგვდო ბასტერის საეკლესიო შესაწირავის ჯამში, ახლა თოკზე დოღარბ ჭალადღებდნენ. მაშინვე ტიღობა ლეინზე გაქცა, და დიპლომატიურად, მოკლედ განუშარტა ვირენას საქმის ვითარება. ბასტერმა იცოდა, რომ ვირენას თანხმობა თუ არ ეწებოდა, შერიფს ვერათერის მოუხერხებდა. ამოსმა თქვა, ვირენას წასაქვებულად ტყუილი მოიგონა და უთხრა ეიდაც კახა განმანათლებელი გამოსულა მოედანზე და დოლის ღმერთის მგმობელსა და უღმერთის უძახის, და თუ ტეღობის გვარი რამედ ვიდრით, ვალდებულები ხართ ყველა ღონე იხმართ, რომ ჭალაქიდან გააძევიონ. მაშინ და აიდას არც კი გაეგონა ჩვენი გვარი ტეღობა, მაგრამ ვირენამ მიუხედავად იმისა, რომ ავად იყო მაინც დიდი ინტერესი გამოიჩინა. შერიფს დაუბრუნა და უთხრა, იცი რას გეტყვი, ჭუნოუს, ეგ ზაწანწალები ახლავე აიბარგონ ჭალაქიდან. ეს ბრძანება იყო და ბებერმა ბასტერმა თვითონ იკისრა, თვალყური ედევნებინა ბრძანების შესრულებისათვის. შერიფს გაჰყვა მოედანზე, სადაც და აიდა და მისი ბუღობა იქაურობას ასუფთავებდნენ. ბოლოს ნამდვილი ჩხუბი გამართა, იმიტომ, რომ ბასტერმა ბრალი დასდო, თანხა უკანონოდ შეაგროვეთ და რაც სარტყხის, თოკზე ფული ჰყიდა ჩვენ უნდა ჩაგვაბაროთ. წარათვა კიდეც ის ფული, ამასთან ორი კობიც მიიღო. და აიდას, ბევრი გამოეყომაგა, მაგრამ ვერაფერმა უშველა. შერიფმა გამოუცხადა — ხეალ შეადღემდე ჭალაქი უნდა დასტოვოთ. ეს რომ მოვისმინე, რაილის ეუთხარი, თუ ასე ღორულად მოექცნენ, რატომ არ დაეხმარე-

მეთქი. თქვენს სიცოცხლეში ვერ გამოიტოვებთ, რა მიბასუხა. სერიოზული ტონით ამქვეყნის — ამისთანა კახა, — რა დღესსა და ღამესა რიათ.

●

ჩვენი ხის ქვეშ ცეცხლი ტყავუნობდა. რაილი გამხმარ ფოთლებს აგრძობდა, მწარე ბოლოსაგან თვალმოკუტული მოსამართლე სადლის ქებათან ფუსფუსებდა. მხოლოდ მე და დოლი ვიყავით უსაქმოდ.

— ემიშობ, — თქვა მან და კარტი მომითვალა, — ძალიან ვშიშობ, რომ ვირენა იმ ფულს ვეღარ დაიბრუნებს. და იცი რა, კოლინ, მე მგონი მარტო იმ ფულისთვის არც იცლავს თავს. არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალიან ვნდობოდა დოქტორ რიტეს. სულ მოდი-ლორა მერფი მაგონდება. აი, ფოსტაში რომ მუშაობდა. ის და ვირენა ძალიან მეგობრობდნენ. პირდაპირ მეხი დაცა, როცა ლორა მედღენეს დაუახლოვდა და მერე ცოლად გაჰყვა. მე სულად არ ვამტყუნებ — აბა რა უნდა ექნა, თუკი შეუყვარა. და მაინც, იქნებ მოდი-ლორასა და დოქტორ რიტეს მეტს თავის დღეში არავის მინდობია. და ორივემ... ვის არ მოუტლავს გულს ათეო რამ. — დოლი კარტას შოლიდა, დაბნეულობა ეტყობოდა სახეზე. — წყდან რადაცას, მეუბნებოდი კეთრინზე.

— თეზეებზე ვამბობდი. ციხის ფანჯარაში თეზეებიანი ქილა დავინახე.

— კეთრინი არ დავინახავს?

— არა, თეზეების მეტი არაფერი დამინახავს, მისის კანტი კეთილი ქალია, ასე თქვა, სადილი უნდა გაუზგავნო ციხეშიო.

დოლიმ მისის კანტის გამოგზავნილი ფუნთუშა ვადატუნა და ქიშმიშის გამოჩინქნა დააწყია.

— კოლინ, ვთქვით ჩვენ დაუთმეთ, ე. ი. ისე მოექცეოთ როგორც მაგათ უნდათ... მაშინ, კეთრინს გამოუშვებენ, არა? ზევით აიხედა, თითქოს გადამბურულ ფოთლებში ქუპრუტის ნას ექმსო. — ეტყობა, მე უნდა დავემორჩილო, არა?

— მისის კანტი რამა თქვა, შინ უნდა დაბრუნდეთო.

— რათათ, არ უთქვამს?

— იმიტომ რომ... რა ვიცი, ათასი რადაც მი-თხრა. იმიტომ რომ შენ ყოველთვის მორჩილ იყავი. ყოველთვის ცდილობდი, რომ შინ სიმშვიდე ყოფილიყო.

დოლის ვაღღამა, გრძელი ქვედაკაბა შვისწორა. ფოთლებში შემოპარული სხივები შის ბეჭედივით დაანდა თითებზე.

— განა როდისმე შემეძლო რამე ამერჩია? სწორედ ეგ მინდა — მე თვითონ ავიჩიო, მინდა ვიციოდე, რომ შემეძლო სულ სხვა ცხოვრება მქონოდა, ჩემი საქმეები მე თვითონ გადა-



მეწყვიტა. აი, მაშინ მართლა სიმშვიდე იქნებოდა, ჩემი ნებით დამყარებული სიმშვიდე.

ძირს ჩაიხედა და ქვევით გადაშლილ სურათს დაუწოვდა ყურება: რაილი ქებაჰყვით ტოტებს ამტრეველა, მოსამართლე ქებათან დახრილიყო, ქებას ოზმეფარი ასდროდა.

— მერე მოსამართლე, ჩარლი? იმათ რომ დაუთმო, მაშინ ამას უნდა ვუღალატო. იცი, — თითებში ჩემს თითებს გადააქდო. — ძალიან ძვირფასია ჩემთვის. — მეტისმეტად გაქიანურებულმა პაუზამ დროის დინება შეანელა. გული ამითრთოლდა. ხის ტოტები ზედ შემომეტრმანენ, თითქოს გაშლილი ქოლგა უცებ დაიხურათ.

— დილით, თქვენს არ ყოფნაში, ხელი მხოვია.

თითქოს დოლის ნათქვამი გაიგონაო, მოსამართლე წელში გასწორდა, ღიმილისაგან გაბადრული, უბრალო სახე გუთხალგაზრდავდა. ხელი დავიკინია, პასუხად დოლიმაც დაუქნია ხელი და ვყვლამ ვიგრძენით, რა მომხიბლავი იყო ამ წუთში. თითქოს ძველი სურათი გადასწმინდეს, შენ შემობრუნდი და ცოცხალი სხეულის ბზინვა დაინახე, სუფთა საღებავებუ, რომღებტი აქამდე არ შევიგმინევი. მერე რა მოხდებდა არ ვიცი, მაგრამ კუთხეში ატუზული ლანდი აღარასოდეს იქნება დოლი.

— ახლა კი, იცი რას გეტყვი, კოლინ, გული არ უნდა დაგწყვიტოს ანა. — მითხრა დოლიმ. ალბათ, იფიქრა, რომ მე აღმამფთოთა მისმა ნათქვამმა და ახლა მიჯაერებოდა.

— შენ რაღა...

— ჩემს დღეში აიბა მქონია ნება ჩემი საქმეები შე თვითონ გადამეწყვიტო. მაგრამ თუ მომიტყმა ამის საშუალება, იცის ღმერთმა, სწორად მოვიქცევი. აქედნ ვინ ნახე ქალაქში? — სიტყვა ბანზე ამივლო დოლიმ.

ერთი პირობა ვიფიქრე, ტყუილს მოვიგონებ და რამეს მოუძუებები-მეთქი, სამაგიერო მინდოდა გადამეხადა, რადგან დოლი მომავლის-ნე მიისწრაფოდა, მე კი არ შემეძლო გავყოლოდი, და ისევ ის კოლინი ვიყავი. მაგრამ როცა და აიდას ფურგონისა და ბავშვების აშბავი მოუძუევი, ვუთხარი რატომ მოუვიდათ უსიამოვნება შერიფთან, როგორ შეგვხვდნენ გზაზე და ხეზე მცხოვრებუ ქალის შესახებ დავიწყეს გამოკითხვა. მაშინ ისევ გავერთიანდით, ისე როგორც, მეჩენით გაყოფილი მდინარის ორი ტოტი შეერწყმება ხოლმე ისევ ერთმანეთს. რასაკვირველია, არ იქნებოდა ყარგი, რაილის რომ გავთო როგორც გავეცი. ისიც კი ვუთხარი, რაილიმ რომ თქვა: და აიდა დოლის შესაფერის არ არისო. ამაზე დოლის გულთანად ვაეცოდა, მაგრამ მაშინვე მოედრებულა სახე.

— რა სიმძაბლეა — პირიდან ლუქმა წაართვის ბავშვებს და თანაც ჩემი სახელი მოიშველიეს. თავს ლაფი კი დეაქსჩნ მაგათ! — მტკიცე ხელით ქუდი შეისწორა. — კოლინ, ადქი!

მე და შენ ცოტას გავიწყობინებთ, დარწმუნებული ვარ ისევ იქ იქნებიან, სადაც დატოვეთ ერთი სიტყვით, ვნახათ.

მოსამართლე არაფრის დიდებით არ გვიშვებდა, თუ მაინცდამაინც უნდა დოლის გასეირნება, მე გავყვებო. დოლის პასუხმა, ჩემი ექვენარევი ბრახი დააცხრა: თქვენ სადილს მოუარეთ, მე კოლინთან ერთად არაფრისა შეშინია, ცოტას გავეულოთ.

დოლი, ჩვეულებრივ, არა ჩქარობდა. ვერ ააჩქარებინებდი ფეხს. ასეთი ჩვეულება ჰქონდა, წვიმაშიც კი ნელი ნაბიჯით გაუყვებოდა ტყის ბილიკს, თითქოს ბალში სეირნობსო, და თვლებით სამკურნალო ბალახებს ეძებდა — ახალ ამოწვერილ ქაობის პიტნას, სუსამბარსა და შაიორას, ათასნაირ ძირებს, მის ტანსაცმელსაც ამ ძირებზე სუნი ასდროდა. დოლის პატივმოყვარეობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, როგორმე სხვაზე ადრე შეემჩნია რამე საინტერესო: მაგალითად, ყინულის ლულაზე ჩამოკანწილებული ჩიტის სკინტი, რომელსაც სამაჭრის ფორმა ჰქონდა. წამდაუწყებლად დაგვიძახებდა და ხან კატის მოყვანილობის ღრუბელს დავანახებებდა, ხან ვარსკვლავების გემს, ხანაც ყინვის სახეს. ახლა ნელი ნაბიჯით გავიარეთ ბალახით დაფარული მინდორი. დოლი ხან ბაბუაწვერას ჩაიტივინდა ჭიბეში, ხან ხობის ფრთას. ლამის იმედი გადამიწყდა, ვიფიქრე მზის ჩასვლამდე ვერ გავალი-მეთქი გზაზე.

საბედნიეროდ, შორს წასვლა აღარ დაგვეჭირებია: სასაფლაოს რომ მიუეახლოვდით, დადინახებ, რომ და აიდა და მისი ქალაბი საფლავებს შორის დაბანაკებულიყვნენ. სასაფლაო პირქვეშ საბავშვო მოედანს დამსგავსებოდა: უფროსი გოგონები ელამ ტყუებებსა კრებდნენ, პატარა პოეტი ჩი ნერწყვითა და ფოთლებით აპროლოვდა ფეხსაცმელს, სულ დიდი ბიჭი ზურგით საფლავის ქვას მიყრდნობოდა და ნაღვლიანი ხმით აქედრებდა გიტარას. და აიდა ძუძუს აწოვებდა პატარას. ბავშვი ვარდისფერი ყურებით მოყუნტულიყო დედის მკერდზე. როცა დავვინახა, ადგილდანაც არ დამრულა. დოლიმ უთხრა:

— იცი, თქვენ მამაქმეს აიხარათ! მართლაც მისტერ ტელბოს საფლავი იყო, და აიდა ძეგლისკენ შებრუნდა (ურია ფენიკ ტელბოს, 1844-1922, მამაც მეომარს, საყვარელ მეუღლეს, ნახ მამას) და ჩუმი ხმით მიმართა.

— მამატე, მეომარო.

მერე კოფტა შეიცრა და წამოდგა. ბავშვმა ღრიალი მორთო.

— იქვით, ნუ ადგებით. მე მხოლოდ... გაგეცანით. და აიდა მხრები აიჩეხა.

— ლამის სული გამომწოვა, — თქვა მან და ხელით ძუძუები მოიხრისა.

ბრუნძინ კაპობი
ბალახის სიმღერა



— ო, ისევ თქვენა ხართ!! — და გაკვირვებული მე დამაშტერდა. — თქვენი მეგობარი სად არის?

— გავიგე... — დოლი გაოგნებული შეკურბდა ბავშვებს, რომლებმაც მოირბინეს და შემოგვეხვივნენ. — თქვენ... განაგრძო მან, თან ცდილობდა არ შეემჩნია პატარა, კურდღლისოდენა, ბიჭი რომელმაც ქვედა კაბა აუწია და ფეხებზე დააშტერა — ჩემი ნახვა გლოშიათ, მე დოლი ტეზბო ვარ.

და აიღამ ბავშვი მეორე მკლავზე გადაიწვინა, დოლის წილზე შემოხვია ხელი და ისეთი გულითადი სმით უთხრა, თითქმის ძველის-ძველი მეგობრებმა ყოფილიყვნენ.

— ეიცოდით... თქვენი იმედი მქონდა, დოლი. ბავშვებო! — კვერთხივით ასწია ძუძუთა ბავშვი. — უთხარით დოლის, რომ ჩვენ ერთბეულად არ გვიხსენებია ცუდად.

ბავშვებმა თავის კანტური დაიწყეს, ავიცივდნენ, და დოლი ეტყობა ძალიან ააღელვა ასეთმა შეხვედრამ.

— ტყუილია, ვერ გავაღწევთ ქალაქიდან. ათასჯერ ვუთხარი-თქვა და აიღამ, და დაწვრილებით მოუყვა თავის გასაქირს. გულით ვინატრე, ნეტა სურათი გადაშალდებინა-მეთქი. დოლი დარბასიელი, ძველი ყაიდის ქალი, როგორც მისივე ძველისძველი ვუალი და, — და აიღა — მარწყვივით წითელი ტუჩები, სიცოცხლით სავსე ტანი.

— რითი წავიდეთ — ფული სულ არ დავიტოვეს. უნდა დამეკურინებინა ის ბინძური ბასტერი და — რა ჰქვია იმას? შერიფი: კინგკონგი ჰგონია თავისი თავი!

და აიღამ ძლივს მოითქვა სული, სახე უხერხა, ლყავები ეოლოსფერი გაუხდა.

— არა, ცუდად არის საქმე. მაშინ თქვენი სახელი არც კი გავგეგონა. კიდევ რომ გვცოდნოდა, ჩვენ არასოდეს არავისზე ცუდს არ ვამბობ. მე ხომ ვიცო, თქვენ განგებ ჩაგრავს ამ ამბავში, რომ ხელწამოსაჯრად ჰქონოდათ რამე, მაგრამ მაინც ვიფიქრე, იქნებ როგორმე მოაგვაროთ საქმე და...

— რას ამბობთ, მე სად შემძლია! — თქვა დოლიმ.

— მამ, რა გქნა? ნახევარი გალონი ბენზინილა დამრჩა, აჰ, ამდენიც არ იქნება... თხუთმეტი დახენილი პირი და ერთი დოლარი და ნიკელი! მგონი ციხეში უფრო კარგად ვიქნებოდი!

— ერთი მეგობარი მყავს, — დაიწყო ამაყად დოლიმ, — ჰქვიანი კაცია, აუცილებლად მოიფიქრებს რამეს. — ისეთი დაბეჭითებითა და კმაყოფილი სმითა თქვა ეს, რომ მე მივხვდი, თვითონაც სჭეროდა — კოლინ, გაიქეცი და მოსამართლეს უთხარი, სადილად სტუმრებს ველით-თქო.

ჭარბით მიჭრალი მინდორში, თმეცა ბალახი მწარედ მიტკლასუნებდა. წვივებზე: ერთი

სული მქონდა, მოსამართლის სახე დაწვინა, როცა ამ ამბავს მიეუტანდი და კარგად მხარობდა მოლოდინი.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა მოსამართლემ — და ადგილზე რწევას მოჰყვა — თექვსმეტი კაცი! — მერე ქებაში მოთუხთუხე წყალწყალა კერძს გადახედა და თავში შემოირტყა ხელი.

რაილის გასაგონად აევსენი — ჩემი ბრალი სულაც არ არის, დოლი შემთხვევით შეხვდა და აიღას-მეთქი. რაილის კინიტი არ დაუძრავს, ოღონდ ისე მიყურებდა, თითქოს ცოცხალს მამრობს ტყავია. ალბათ მომდგებოდა და კარგა მაგრად ვამალნძღავდა, მაგრამ ბედზე მოსამართლემ მაშინვე გავვიჩინა საქმე; თვითონ ცეცხლს შეუკეთა, რაილიმ კიდევ მოიტანა წყალი, მერე მიდევქით და რაც ხელში მოგვხვდა, ყველაფერი ქვაბში ჩაუვსახეთ: სარდინები, ძეხვი, მწვანე დაფნის ფოთოლი, ერთი კოლოფი მარილიანი ნამცხვარიც კი ჩაყვართ, მოსამართლე გვარწმუნებდა, ნახარშს ვაასქელებს.

შეცდომით ზოგი ისეთი რამეც ჩაყვართ, რაც სულაც არ იყო საჭირო, მაგალითად, ყავის ნახარში. გავმზიარულდით, ისეთი აფორიკეხულები ვიყავით, მზარეულები რომ გინახათ საოჯახო დღეობების დროს. ისე გავკადნიერდით, რომ გამარჯვება მიველოკეთ ერთმანეთს: პატების ნიშნად რაილიმ მეგობრულად წამომარტყა და როცა პირველი ბავშვები გამოჩნდნენ, მოსამართლემ ისეთი ხმაპაღალი შეძახილებით გამოხატა მასპინძლის სიხარული, რომ შეწინებულ ბავშვები ერთ ადგილზე გაქვადენდნენ და ფეხი აღარ მოიცივლეს იქიდან, სანამ დანარჩენებიც არ წამოვიწვივნენ. მაშინ კი დოლიმ, ფრთხილად, — როგორც ქალი აჩვენებს ხოლმე შინაურებს აუქციონზე ნაყიდ საგნებს, — ახლოს მოიყვანა ყველანი, ვასაცონბად. და თითქოს გამოძახებოდა, სეტყვასავით წამოვიდა სახელები: ბეტო, ლორელი, სემი, ლილი, აიდა, კლიო, კეტი, ჰომერი, პარი და უცებ მელოდია შეუწყდა, ერთმა პატარა გოგონამ არაფრით არა თქვა თავისი სახელი. საიდუმლოაო — ასევე განაცხადა. და აიღამ აღარ დააძალა — თუ საიდუმლოა, საიდუმლოდ დარჩეს.

— ჯიუტები არიან, — თქვა მან. მოსამართლე აშკარად მოხიზლა ქალის ბალახივით ხავერდოვანმა წამწამებმა და პატრუქივით მბეჭტავმა ხმამ. გაცნობისას დიდხანს არ გაუშვა ქალის ხელი და გაიბადრა, რაც, ჩემის აზრით, არ შეეფერებოდა კაცს, რომელმაც სამი საათის წინ სხვა ქალს ცოლობა სთხოვა. მე ვიფიქრე, დოლიმ თუ შენიშნა, მაშინვე გაჩუმდებამ-მეთქი, მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა დოლის ხმა.

— გაჯიუტდებიან, აბა რა იქნება, ალბათ მშინვრები არიან, — მოსამართლემ მხიარულად



შეშოკრა ტაში, ჭებასიყენ თითი გაიშვირა და კეხნითა თქვა, ახლავე მოვაგვარებ ყველაფერს. მანამდე კი, კარგი იქნება, თუ ბავშვები მდინარეში ხელეშს დაიბანონ. უნდა ვიფიქროთ, მართლაც არ აწყვენდათ ხელის დაბანა.

მგარამ ახლა ის გოგონა გაჯიუტდა, რომელმაც სახელი არ გვითხრა: გინდა თუ არა, მამამ შემიღვას ზურგზე, ჩემი ფეხით არ წავალ.

— შენც ჩემი მამა ხარ, — განუცხადა მან რაილის.

რაილის უარი არ უთქვამს, მზარზე შეისვია. ბავშვი კინალამ გაგიჟდა სიხარულისაგან. მთელი გზა ცელქობდა, ხელებს თვალეშზე აფარებდა. ერთხელ როცა თვალები დაუხუჭა და რაილი გაბარდულ ველურ ვახს მისაკდა, აღფრთოვანებული გოგოს კივილმა ჰაერი გაარღვია და ცაში აიჭრა. რაილიმ უთხრა, გეყოფა რაც გატარე, ახლა ჩამოდი.

— გეგვეწვიბი ნუ ჩამომსვამ, — შევედრა გოგო, — და ჩემს სახელს ყურში გეტყვი.

მოგვიანებით გამახსენდა და რაილის ვკითხე, რა ჰქვია-მეთქი, თურმე ტუქეს გეზულინი რქმევია, იმიტომ რომ ძალიან ლამაზი სიტყვებია.

მდინარის წყალი მუხლებამდე გეწვედებოდა. ნაპირებს მწვანე პრიალა ხაფის მოსდებოდა. ვახაფხულობით ხავსზე ქათქათა თეთრი ფრინველები და პატარა იები ამოფუქუნდებოდა — ყვავილის მტერებსა ჰგვანან, მდინარეზე მოზუხუნე ახალ ნაყარ ფუტკარს რომ ელოდებოდა. და აიღამ ნაპირზე მოშალლო ადგილი შეარჩია, აქედან უფრო კარგად შეელო თვალყური ედევნებინა მობანავე ბავშვებისათვის.

— თაღლითობა არ გაბედით! აბა, ცოცხლად!

ჩვენც დავეაუტრდით. უფროსი გოგონები ლამის გასათხოვი ქალიშვილები, დღისშობილა შედგაფუნდნენ წყალში; ბიჭები ასევე, ტრეტლები — დიდები და პატარაბი იქვე წრილებდნენ.

კიდევ კარგი, დოლი მოსამართლესთან დარჩა, ხის ძირში. ნეტა რაილიც იქ დარჩენილიყო; ისე დარცხენია, რომ იმის შემხედვარე, სხებზემაც უხრბულად ვივარქნით თავი. მართალი ვითხრათ, ახლად ვხვდები, რატომ დარცხენია მამინ, ახლა, როცა უკვე ვიცი, რა კაცი დადგა: ისე უნდოდა დარბისელი ყოფილიყო, რომ სხვის შედღამასაც, როგორც საკეთარს ისე შეივარქნობდა.

ეს სახელგანთქმული პეიზაჟები — სიყმაწვილე და ტყის მდინარე... უფრო გვიან, როცა მუხუქმების ვაყინულ დარბაზეში დავბორიკალობდი, ზმირად შევჩერებულვარ ასეთივე სურათთან, ვიდრე დიდხანს და შევეურებდი, სანამ შორეული წარსლის ის სურათი არ დამიდგებოდა თვალწინ, მგარამ ისეთი კი არა, როგორც მამინ — (სიცივისგან აბურძნული ბავშვების გუნდი შემოდგომის მდინარეში) —

არამედ ისეთი, როგორც ამ სურათზე დაეხატათ: კუნთმგარი ქაბუკები და წყალში მობიერე ქალწულები, რომლებსაც ტანზე მჭაჭაქუნული ლეიტეი უბრწყინავდათ წყლის წვეთებში მამაქონის ნაც ვეფირობდი და ახლაც სულ ამას ვფიქრობ — ნეტა, რა ბელი ეწია იმ უცნაურ ოჯახს, ჩვენი საყაროს რომელ კეთებში მიაგლო ბედისწერამ.

— ბეტ, თმა ამოვლე წყალში, — მოყმეი ლორელს, ნუ წუწავ, შენ გეუბნები ბაე, მოისვენე, ბავშვებო! ყურების უკან კარგად დაიბანეთ! ღმერთმა უწყის კიდევ როდის მოგეწევთ ბანობა.

უცბე და აიდა ვაჩუმდა და ბავშვებს თავი ანებდა.

— სწორედ ასეთი დღე იყო... თქვა მან და ხავსზე დაეშვა, საოცრად ელვარე თვალებით შეპყურებდა რაილის. — რაღაც მსგავსება არის: ისეთივე ტუჩები, აშვიერლი ყურები — სიგარეტი ხომ არა ვაქვს, ძვირფასო? — განაგრძო მან. ვერ ატყობდა, რომ რაილის ზიზღი აღუძრა. ერთი წუთით სახე ისეთი მიმზიდველი გაუხდა, როგორც ქალიშვილობის დროს. — ასეთივე დღე იყო... ოღონდ უფრო სკედლიანი ადგილი, არც ერთი ხე, პურის ყანაში სახლი, ერთადერთი სახლი ბოსტნის საფრთხობელასავით იდგა შუა ყანაში. არ გეგონოთ, ვუწუხუნებდე. დედაცა მყავდა, მამაც, ჩემი და — ჭერალდინა, არაფერი არ გვაკლდა, უამრავი ლუკები და კნუტები, პიანინო, და ყველას შესანიშნავი ხმები გვქონდა. მაინც გვიჭირდა, მძიმე სამუშაო ბერი იყო, მამაკაცი კი მხოლოდ ბერი, თანაც ავადმყოფობდა მამაჩემი. მუშა ხელს ვერ იშოვდი, დიდხანს ვერავინ ჩერდებოდა იმ გამოყრუებულ ადგილას. ერთი მოზუცი გვეყავდა, თავს ვეკლებოდით, მგარამ, ერთხელ გამოთურა და კინალამ სახლს ცეცხლი წაუკიდა. ჭერალდინა მამინ მეთექვსმეტე წელში გადადგა, ერთი წლით უფროსი იყო ჩემზე. ძალიან ლამაზი გოგო! ორიენი ლამაზები ყიყავით, პოდა, დაიენა, გინდა თუ არა, ისეთ კაცს უნდა მივთხოვედ, მამაჩემს მზარში ამოუდგვსო. ჩვენში, მაინცდამაინც, ასარჩევი ბევერი არავინ იყო. წერა-კითხვას დედა გვასწავლიდა, რაც ვისწავლეთ. — უახლოეს ქალაქს ბარე ათი მილი გვაშორებდა. იურფაი ერქვა იმ ქალაქს. — ასეთი გვარის ოჯახი ცხოვრობდა თურმე წინათ. ჩვენში ასე ამბობდნენ, ჩახვალ იურფაში — მოხვლები სამოთხეში, იმიტომ რომ ქალაქი მოთვე იდგა და ზაფხულობით მდიდარი ხალხი დადიოდა დასასვენებლად. იმ ზაფხულს, მე რომ გაეისხენე ახლა, ჭერალდინა ოტელ „ლამაზ ხელში“ მოეწყო ოფიციატად. მე ყოველ შაბათს, ვავლიოდი გზაზე, შემხედვარ მანქანას ვაყევბოდი და და-

ბრუშინე კაკობი

ბალახის სიმღმირა

მეც დასთან ვრჩები. მანამდე არც მე, არც ჩემი და სახლიდან არსად წაესულვართ. ჯერალდინას მაინცდამაინც არ უყვრდა ქალაქი. მე კიდევ ერთი სული მქონდა, სანამ შაბათი გათენდებოდა, თითქოს შაბათს ჩემი დაბადების დღეც იყო და შობაც, ქალაქში ერთი საცეკვაო მოედანი ჰქონდათ, უფასო და ფერადი ნათურებით გაჩაღებული. მე ჯერალდინას ვეზმარებოდი, რომ ჩქარა განათავისუფლებულიყო და მერე ხელიხელ ჩაეიდებულემა ვაგრძობდი ქუჩაში — საცეკვაო მოედანს რომ მივალწევდი, მაშინვე სულსმოუთქმელად, ცეკვას ვიწყებდი, კავალერების ცდა არა ვაკვირდებოდა, ერთ ქალიშვილზე ხუთი ვაჟი მოდიოდა, თანაც ჩვენ ყველაზე ლამაზები ვიყავით. ბიჭებზე მაინცდამაინც არ ვვიფიქროდი — ჩემთვის მთავარი ცეკვა იყო. ზოგჯერ ყველანი გაჩერდებოდნენ და მე შემომცვიროდნენ, — ვალსს რომ ვცეკვავდი, ციბრეტებით ვტრიალებდი. ვაჟები ისე ჩქარა იცვლებოდნენ, რომ კარგად ვერც კი ვისამზებდი სახეებს. ცეკვების შემდეგ ბიჭები უკან აჯვადებებოდნენ, ოტელადვე გვაიკლებდნენ. მერე დაგვბობდნენ ჩვენი ფანჯრის ქვეშ და ყვიროდნენ: „გამოდით! გამოდით!“ და მღეროდნენ. რა სულელები იყვნენ! ჯერალდინა კინაღამ სამშობლოს დღისთვის, ვიწვევით, არ გვეძინა და საქმიანი ეკლეთი ვიხსენებდით საღამოს ამბებს. მეოცნებე ვიყო არ ყოფილა ჩემი და. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ჩვენი თავიანთსმეგობრებიდან რომელი გამოდგებოდა შინაურ საქმიანობაში. და დენ რეინი არჩია. სხვებზე უფროსი იყო რეინი, ოცდახუთი წლისა, ერთი სიტყვით, უკვე კაცი იყო. ლამაზი არ ყოფილა, აშვერალი უფროები ჰქონდა, ჩოფურა სახე, ნიკაბი თითქმის არა ჰქონდა; მაგრამ დენ რეინი, ოჰ, ისეთი ყოჩად იყო, დარბაზული, ღონიერი — ლურსმნებით საცეკვასის თავისუფლად ასწევდა. ალოობას ჩამოვიდა ჩვენთან, უპნის ალუბაში მოგვეხმარა. მამას მაშინვე მოეწონა, დედამ, მართალია თქვა, რა ღრმს ჯერალდინას გათხოვებაო. მაგრამ დიდი წინაღობდებოდა ან გაუწევია, ქორწილში ცრემლად ვიღვრებოდი, მაშინ შეგონა, იმიტომ მეტირება, რომ მე და ჯერალდინა საცეკვაოდ ვედარ ვივლით და ვერც ერთ ლოგინში მოვიყვებებით ერთად-მერთი, სამაგიეროდ როცა დენ რეინი სახლში დატრიალდა, ყველაფერი მოვფარდა. გამრჩე კაცი გამოდგა, მიწაც დიდებულ მოსავალს აძლევდა, და იქნებ ჩვენც მივეცით რაც საუკეთესო ვაგვიანდა... მაგრამ ზოგჯერ ზამთარში, ცეცხლს რომ შემოეხსნებოდათ, არ ვიცი სიციხე მომთენთავდა ხოლმე თუ სხვა რაღაც, უცებ კაბის ამარა გავფარდებოდი ეზოში, ვეღარც სიციხეს ვგრძობდი, თითქოს მე თვითონ ვიყავი ამ სიციხის ნაწილი. თვალდახუჭული ვტრიალებდი, ვტრიალებდი, თითქოს ვალსსა ვცეკვავდი. ერთ საღამოს უცებ

რეინიმ მომხვია ხელი და დამატრიალდა — ვერც კი ვაგვიცხვია, როგორ მომეპარა, — ის, ხუმრობით მიცეკვებდა, მაგრამ ქვეყნის ქვეყნობა არ იყო ეს. მოგწონდი. მერე ვიფიქრებოდა, თავიდანვე ვიგრძნობ, მაგრამ ის არაფერს მერებნებოდა და არც მე მიკითხავს; ამით გათავადებოდა ყველაფერი, რომ ჯერალდინას მუცელი არ მოსწყვეტოდა, ვახვებულა იყო ჯერალდინას ძალიან ეშინოდა გველოსა. ერთხელ კვერცხებს აგროვებდა და გველს წააწყდა. გველი არც კი იყო, ანკარა დაინახა, და ისე შეშინდა, რომ ოთხი თვის მუცელი მოსწყდა. მერე, არ ვიცი რა დამართა — ანხელი ვახდა, ბორცვი, ერთი ბეწვი რამეზე ცოცხდებოდა. ყველაზე მეტი ვასპირი დენ რეინის დაადა. სულ ცდილობდა ჯერალდინას არ დაეახვებოდა. დამაძინებლად შინაღობში რჩებოდა — შეეხვეოდა საბანში და დაიძინებდა. ვიცი — შინ რომ დავრჩენილიყავი... ისე რომ, ცოდვას გაემეცი და იურფიში წავედი. იმავე ოტელში მოვეწვიე, ჯერალდინას მაგიერად, ცეკვების პავლიონში ყველაფერი ძველებურადვე იყო, ოღონდ მე უფრო დამეწვიე. ერთმა ქაბუქმა კინაღამ მოკლა მეორე — წაიკინკლავეს, ორივეს უნდოდა ორანჯადზე დავეპატიებინე. ძალიან კარგ დროს ვატარებდი, მაგრამ თავში სულ სხვა რამე მიტრიალებდა. სასტუმროში ყველა შეკითხვებოდა, თავი სადა გაქვსო: ხან საშაქრში მარილს ჩაყრიდი, ხან დანის მაგიერად კოვზს მიეუტანდი ვინმეს, ხორცის დასაჭრელად. ზახვული ისე ვავიდა შინ ერთხელაც არ ჩაესულვარ. როცა დრო დადა — ასეთივე დღე იდგა როგორც ახლა, შემოდგომის დღე, ლურჯი, როგორც მარადისობა, — შინაურები არც კი გამიფრთხილებია მოვდივარ-მეთუი, ასევე ჩამოვედი ურმიდან, სამი მილი კვირთქ ნაყანეში, ნაშვის ზეინებს. შორის, სანამ დენ რეინი არ ვიპოვე. როცა დამინახა, ხმა არ ამოუღია, მიწაზე დაეარდა და პატარა ბავშვივით აქვითინდა. ისე შემეცოდა, ისე ძალიან მიყვარდა, რომ სიტყვით ვერ გამომეტყვი.

სივარეტი ჩაუქრა. თითქოს მოგონების ძაფი გაუწყდა, ან კიდევ უარესი, ვადასწავიდა მეტი არაფერი თქვასო. ძღვეს ვიკავებდი თავს, რომ სტევნა არ ამეტეხა, ფეხების ბავუნი არ დამეწყო, როგორც კინოში იციან ხოლმე, როცა ლენტი გაწყდება.

რაილისაც ერთი სული ჰქონდა, გაეგო, შემდეგ რა მოხდა, მაგრამ არ იმწინედა მოუთმენლობას. ასანთი ვაჭრა და სივარეტზე მოაკიდებინა; ამ ხანში შეაქრობა ქალი, ხმა რავე დაუბრუნდა, მაგრამ სანამ სდუმდა, თითქოს კარგა ბეგრით წინ წავიდა.

— მაშინ მამამ დაიფიცა, მოვკლავო. ჯერალდინამ ააქერ მანძი მითხარა, ოღონდ მითხარი, ვინ არის და დენი თოფით მოკლავსო, მე კიდევ ვიციონოდი, ვიციონოდი, სანამ ტირილი არ ამივა-



რდებოდა, ან კიდევ ტირილს დაეწეებოდა და შერევა ვალდებულებას ატარებდა. კარგი ერთი, თავი გამანებებოდა, ვეუბნებოდა, მე თვითონ არ ვიცი, ვინ არის-მეთქი. ნახევარი დღე იმის ბიჭებს მყავდა იურფაში, რა ვიცი რომლისაა? ეს რომ ვთქვო, დედად სილა გამაწანა. მაგრამ დამიჯერეს კი, მგონი ბოლო დენიშავ დიჯერა, ისე უნდა იმ უბედურს დაეჯერებინა. მთელი ის თვეები სახლიდან ცხვარი არ გამიყვია და მამაჩემი სწორედ მაშინ მოკვდა.

გასვენებაში არც კი წამიყვანეს, ხალხისა რცხვენილი და სწორედ იმ დროს მოხდა. ყველაზე გასვენებაში წავიდნენ, მე მარტოდ-მარტო დამტოვეს. გარეთ ქარი ვაფლავებულს სპილოსაღეთ ანგრევდა ყველაფერს და სწორედ მაშინ გამომეცხადა უფლო ჩვენი. არაფერი დამისაზურებია, რომ მისა რჩეული გავმხდარიყავი, წინათ დედამეტი იმდენს მიჩიჩინებდა, სანამ დამიყოლებოდა, რომ ბიჭილიდან ერთი ლექსი მესწავლა, იმ ამბის შემდეგ კი სამ თვეში, ათასზე მეტი დღე იმეტირე. ბიჭი-ნოხე რაღაც სიმღერას ვეუბრებოდა, რომ უცებ ქარმა უნაწყრა შემოხეტილა, შუშები ჩაიმტვრა და ოთახი აზანარდა. მერე თითქოს ყველაფერი მიწყნარდა და ვიგრძენი რომ აქ ვილაკ არის, აქვე ჩემს გვერდით. ჯერ ვიფიქრე, მამაჩემის სულია-მეთქი. მაგრამ ქარი ჩადა, მშვიდადა ჩაყვდა, როგორც გაზაფხული გააღვივა ხოლმე და მე მივხვდი — ის იყო. ვიდემი, როგორც მან ჩამინერგა, წელში ვავიძარბო, და მის შესავებულად ხელები გავშალე. ოცდამეცხე წლის წინათ მოხდა ეს, სამ თებერვალს — მაშინ თექვსმეტი წლისა ვიყავი, ახლა კი ორმოცდა ორისა ვარ და ჩემი რწმენა ერთხელაც არ შერყევულა.

შობიარობა რომ დამეწყო, არავის არ დავუბახე — არც ჯერალდინა, არც დინ რეინის: ვიწყებო და ლექსებს ვჩურჩულებდი. არც ერთმა სულიერმა არ იცოდა, რომ დენი დაიბადა, სანამ ბავშვის ტირილი არ გაიგონეს. დენი ჯერალდინამ დაარქვა. მეზობლებს იმისი ბავშვი ეგონათ. ჩვენი მარხის ყოველი კუთხიდან ჩამოდიოდა ხალხი ჩვილის სანახავად, საჩუქრები ჩამოჰქონდათ ჯერალდინისათვის, კაცები დინ რეინის მხარზე უტყაპუნებდნენ ხელს, ეს რა ვაყავი შეგვიძინაო, ეუბნებოდნენ. როგორც კი გამოჟვანასილა, მაშინვე სტონილიში წავედი. ეს ქალაქი ოცდაათი მილით არის დაშორებული ჩვენგან და იურფაზე ორჯერ დაღია. სტონილიში შემდარბოეთა დიდი დაბა იყო. მე და ერთმა ქალიშვილმა სამრეცხაო ვავსენით და შემოსილილი კარგი გვექონდა — შემდარბოელები ხომ მეტ წილად უცოლშვილოები არიან. თვეში ორჯერ, შინ ჩავდიოდი, დენის სანახავად; შვიდი წელი ასე, აქეთ-იქით ვიყიადე. ეს იყო ჩემი ერთადერთი ბედნიერება და ისიც ჩამწარბული მქონდა: ბავშვის ყოველ ნახვებზე გული მეუკუშვებოდა, ისეთი ლამაზი იყო, ერთი ვერ

ავიწყრთ. ჯერალდინა ხომ კვდებოდა გმირებისა პირ, როგორც კი მე ბავშვს მივეყარებოდი. ბავშვს თუ ვაკოცებდი, ლამის საუთარი კანონიდან ამომხტარიყო. არც დინ რეინი იქცეოდა იმაზე უფროსად — ცეცხლივით ეწინიოდა ჩემი. არ ამეკიდოსო. უკანასკნელად რომ ვიყავი შინ, დინს ვუთხარი, მოდი იურფაში შევხედეთ-მეთქი. კარგა ხანია მწველი სტრევილი მქალაქა, ერთხელ კიდევ განმეცხადა ყველაფერი. გავიქვამდე მინდოდა კიდევ ერთი ბიჭი დამბადებოდა, და პირწავარდნილი დენი ყოფილიყო. ოღონდ, შევცდი, როცა ვიფიქრე ორივეს ერთი მამა ყოფილებოდათ. ის მეორე ბავშვი მინც არ იცოცხლებოდა — მეკვდარი დაიბადებოდა... ვუყურე, ვუყურე მაშინ დინ რეინის (საშინელი სუსხიანი დღე იყო, საცეკვაო პავილიონში ვიქვეთ, ჩვენს მეტი არავინ იყო იქ და მახსოვს დენის ვიხებებოდანაე კი არ ამოუღია ხელები) და უკან გავისტუმრე, არც კი მოიქვამს, რისთვის დავიბარე. მერე რადენიმე წლის განმავლობაში იმისთანა კაცს ვეჩებდი დინს მსგავსებოდა. ერთ შემდარბოელს დავუახლოვდი სტონილიში — დენივით ჭორფლიანი იყო, და იმსაკ ყვითელი თვალები ჰქონდა; კეთილი ბიჭი იყო, სემი მაშუქა, ჩემი უფროსი ბიჭი. რამდენადაც მახსოვს, ბეტის მამა ზედგამოჭრილი დენ რეინი იყო; ოღონდ, ბეტი გოგოა და დენის სულ არა ჰგავს. პო, სულ დამივიწყდა: ჩემი წილი სამრეცხაოსი გავყვდი და ტეხასში წავედი — დალასში და ამარილოში ერთხანს რესტორანებში ვიმუშავე. მაგრამ, სანამ მისტერ ჰონი არ გავიცანი, კარგად ვერ ვერკვეოდი, რატომ ინება უფალმა ჩემი ამორჩევა და საერთოდ რა იყო ჩემი მოწოდება. მისტერ ჰონიმ კემმარტი სიტყვა იცოდა. როგორც კი მოვისმინე პირველად მისი ქადაგება, მაშინვე მივედი და გავიცანი. — ოცი წუთი არც კი გვილაპარაკა და მოთხრა, თუ ვაბოვილი არა ხარ, ცოლად შეგიერთავო;

ვაბოვილი არა ვარ, მაგრამ პატარა ოჯახი მყავს-მეთქი ეუთხარი: მაშინ უკვე ზუთი ბავშვი მყავდა. წარბიც არ შეუხრია. და ერთი კვირის თავზე დავეკორწილით. — ვალენტინო, ბა დღე იყო. მისტერ ჰონი არც ახალგაზრდა იყო და დინ რეინისაც სულ არა ჰგავდა. ჩემქვამი რომ არ ეცვა მხრებამდე ვერც კი მწველებოდა. მაგრამ, მამაზეციერმა, როცა შეგავერთა, ნამდვილად იცოდა რასაც აკეთებდა: ჯერ რომი ვავიჩინა, მერე პერილი, კეტი და კლიო და პატარა ჰომერო. თითქმის ყველა იმ ფურგონში დაიბადა, თქვენ რომ ნახეთ გზაზე. მთელი ქვეყანა შემოვიარეთ. ლეთის სიტყვას ვავრცელებდით ხალხში, ვისაც წინათ არასოდეს არ გავიჩინა და თუ ვაგონილი ჰქონდათ, ისე არა, როგორც ჩემი ქმარა ქადაგებდა. ახლა

ბრუნი აკაოტი
ბალანის სიმღერა



კი, ერთი სამწუხარო ამბავი უნდა გითხრათ მისტერ ჰონდი დაეკარგე. ერთხელ დილით — მასწინ ლუნიზიანში ვიყავით, საეკვერ აბგვილი იყო, კალღუნები ცხვებობდნენ, სურსათის საყიდლად წავიდა და წარმოიდგინეთ, მერე აღარ მინახავს, თითქოს მიწამ უყო პირო, ისე გაქრა. პოლიციის ნათქვამი არაფერად არ ჩავადვდე — ისეთი კაცი არ იყო ჩემი ქმარი, რომ ოჯახს გაქცეოდა; არა, სერ, ეს ბნელი საქმეა.

— იქნება გონება დაკარგა? — ვკითხე მე, — უცებ ავიწყდებათ ყველაფერი, საკუთარი სახელიც კი.

— რას ამბობთ! კაცი, რომელმაც მთელი ბიბლია ზეპირად იცოდა, თავის სახელს დღეიწყებდა! არა! ამეთისტოს ბეჭედი ეყვება ხელზე და ნამდვილად იმისათვის მოკლა რომელიმე კადუნმა. მას შემდეგ სხვა კაცებიც მყავდა, მაგრამ აღარაფერ შემეყარებია. ლილი, აილა, ლორელი და დანარჩენი ბავშვებიც ასე ვაჩნდნენ.

ეტყობა სხვანაირად არ შემიძლია, აუცილებლად ცოცხალი არსება უნდა მიფართობლებდეს გულთან. უამისოდ თითქოს ცოცხალი არა ვარ.

როცა ბავშვებმა ჩაიცივეს — ზოგმა ნაჩქარევად უკუღმა წააოიკვა — ჩვენ წიფელთან დაეზრუნდით. უფროსმა ვაგოებმა ცეცხლთან გაიშრეს და დავარცხნეს თმები. ჩვენს არ ყოფნაში, ძუძუთა ბავშვი დოლი ჩაიბარა და ახლა, ეტყობა ველარ იმტეცხდა.

— ნეტა რომელიმე ჩვენგანს ბავშვი ჰყოლოდა, ან ჩემს დას ან კეთრინს!

და აიღამ უთხრა, მართალი ხართ, ძალიან კარგები არიან და რა დიდ სიხარულს გეანიჭებენო. ბოლოს ყველანი ცეცხლს შემოვსენდით. კერძი ისეთი ცხელი იყო, პირს ძლივს ვაყარებდით და ალბათ ამიტომ მოეწონა ძალიან ყველას. მოსამართლე იძულებული გახდა რიგრიგობით გამასპინძლებოდა სტუმრებს, რადგან სამი წამის მეტი არა გვქონდა. მოსამართლე ხან ფოკუსესს უჩვენებდა, ხან რაღაც სისულელეს მოიგონებდა და სიცილით კლაუდას ბავშვებს. ტექსეს გეზელინმა განაცხადა შემეშალა, — ჩემი მამა რაილი კი არა, მოსამართლეა და ჯილდოდ მთვარისკენ გააფრინეს. მოსამართლემ მაღლა, სულ მაღლა ასწია, აქეთ — იქით აქანავებდა თავს ზევით და უმღეროდა...

ზოგი აღმა მიდის
 ზოგი დაღმა მიდის
 ჩვენ კი სულმაღლა,
 მაღლა მივფრინავთ!
 მამ, ვაფრინდეთ
 ჰერი! ჰერი!

და აიღამ უთხრა, რა ღონიერი ყოფილხართო და მოსამართლე სიხარულისაგან გაიბადრა — კინაღამ სათოვო ხელის კუნთები გამოსინჯეო. წამადუნუნ დოლის გადახედვად, აბა თუ შემომხარისო. და არც შემეძარა, დოლი შეჭხაროდა.

მკედრის მისი გრძელ სხივებში, აკერინს მართლაც ვიღობა დაირხა. ვრილმა მწვანემ და სილურჯემ გამოეონა ჰაერში, თითქოს ჩვენს ირგვლივ ცისარტყელა გაილიაო. დოლი კანკალმა აიტანა.

— ქარიშხალი ამოვარდება. მთელი დღე ეგრობოდა. — ნიშნის მოგებით ვადავხედე რაილის.

— თანაც უკვე გვიან არის, — თქვა და აიღამ. — ბაე, ჰომერი აბა, ბიჭებო, ფურგონთან მიიბრინეთ და ნახეთ. ღმერთმა უწყის, ვინ დადის ამ გზაზე და იქნებ წაიღეს კიდევ ყველაფერი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, წასაღებიც არაფერია, საყარავი მაქნისი მერტი, — დაუმატა მან, თან საღამოს ბინდში გახვეულ ბილიცზე მიმავალ ბიჭებს გაჰყურებდა. — ...დოლი, მოიფიქრეთ...

— ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ, — უთხრა დოლიმ და მოსამართლეს მიუბრუნდა, თითქოს დახმარებასა სთხოვს.

— ცხადია, სასამართლოში თქვენ მოიგებდით საქმეს. — თქვა მან პროფესიონალის კილოთი. — ამ ერთხელ კანონი სიმართლის მხარეზე იწებოდა. მაგრამ, სანამ სასამართლო...

— სანამ სასამართლო... — სიტყვა ჩამოართვა დოლიმ და აიღას ჩასჩარა ხელში ორმოცდაშვიდი დოლარი — მთელი ჩვენი ფული — და მოსამართლის ოქროს საათიც უდ მიიყვალა.

და აიღამ ნაჩქარვს დახედა და თავი გაიქნია, სახეზე ისეთი გამოშეტყველება ჰქონდა ნამდვილად გაიფიქრა, არ უნდა გამოემართათო. — არ არის კარგი, მაგრამ რა ვქნა, მადლობელი ვარ.

სუსტმა გრუხუნმა გადაურბინა ტყეს და მერე ავისმომასწავებელ სიჩუმეში, როგორც იეროშუე გადასული ცხენოსანთა რაზმი, ისე შემოაოლინდნენ ბილიცზე ბაეი და პატარა ჰომერი.

— მოდიან! მოდიან! — ერთხმად შესძახეს ბიჭებმა. პატარა ჰომერმა, თავისი უშველებელი ჭედი უკან გადაიწია და ჰომინით წარმოშტევა:

— მთელი გზა მოვრბოდით.
 — გავვაგებინე, ბიჭო ვინ მოდის?
 პატარა ჰომერმა ჰაერი ჩაისუნთქა.
 — ის კაცები. ერთი — შერიფი და კიდევ — არ ვიცი რამდენი. მინდორში მოდიან. თოფებით.
 ისევე დავარჯუნა. გემამემა ქარმა წამოხტებრა და ჩვენი კოცონი მიმოფანტა.

— ეთილი, — მოსამართლემ მეთაურობა ითავა. — თავგზა არ უნდა დაგვენენს. მოსამართლე თითქოს დიდხანია ამ წუთს ელოდა, და უნდა გამოეტყუდ, ღირსეულადაც შეხვდა.

— ქალები და პატარები ხის სახლში ადით. რაილი, შენ მიხედე, რომ დანარჩენები სხვადა-

სხვა ადგილის დამიპალონ — ხეებზე ადით და რაც შეიძლება ბევრი ქვები აიტანეთ.

ჩვენ ბრძანება შევასრულეთ და მოსამართლე მარტო დარჩა ძირს. იღვა კრიჟინგერული საღამოს ბინდში და დამაბულ სიჩუმეს გაჟყურებდა, იმ კაპიტანს ჰგავდა, რომელიც არასოდეს არ მიატოვებს თავის გემს.

თავი VI

სიკომოროს ხეზე, რომელიც ბილიეს გადმოჰფარებოდა, ხუთნი ვისხედით. პატარა პომერის და მისი ძმა ბაიკი აქ იყვნენ. ბაიკი პირქუში ბიჭი იყო და ორივე ხელში ქვები ეჭირა. ჩვენს პრდაპირ მეორე სიკომორო იღვა, რაილი იმის ტოტზე გადაჰქადარიყო, გარშემო უფროსი ვოგოები შემოსხდომოდნენ: ჩამუქებული ბინდში მათი თეთრი სახეები მკრთალად ლიცილიცხდნენ და ფარანის ცეცხლის ენებსა ჰგავდნენ. ვიფიქრე წვიმა დაიწყო-მეთქი: სახეზე ოფლის სველი მძივი ჩამომიცურდა. ქუხილი შეწყდა, მაგრამ ჰაერი წვიმით იყო გაფლენილი და ფოთლებსა და ბოლის სუნნი უფრო მძაფრი გახდა. სიმძიმისაგან გადატვირთულმა ხის სახლმა ავბედიტად დაიჭრიალა, მე მოხერხებულ ადგილს ვიჭეკი და ყველანი ერთ არსებად მიჩვენებოდნენ — მრავალფეხა და მრავალთვალა, უშეგლებელ ობობას მივამსგავსე, რომელსაც დოლის ქუდი ზავერდის გვირგვინივით ედგა თავზე.

ჩვენს ხეზე ყველამ ამოიღო ჭიბიდან თუნუქის სასტვენები, სწორედ ისეთი, რაილიმ რომ იყიდა პატარა პომერის ახაჯან. „შესაინწინაველ აფრთხობს სატანას“, — თქვა მაშინ და აიღამ. პატარა პომერმა თავისი უშეგლებელი ქუდი მოიხადა და, ქუდის სიღრმიდან მსხვილი გრძელი თოკი ამოაძრო, ეტყობა ეს იყო ლეთის სარეცხის თოკი და ლასოს კეთება დაიწყო, მოშინჯა, ყულფი კარგად თუ სრიალებსო, მაგრად გამოყვანა. ამ დროს სათვალის პაწაწა, ლითონის ჩარჩოში ჩასმული შუშები ისე შიშისმომგვრელად უელავდა, რომ მე ცოტა არ იყოს შეშინებდა, ნელ-ნელა უკან გავირჩინე და იმდენი ვიჩინე სანამ ჩვენს შორის ერთი ტოტი არ აღმოჩნდა.

მოსამართლე ყარაულად იღვა ქვევით და გაჯავრებულმა შიშინა ხმით ამოგებახა, ნუ წრიალებოო. ეს უკანასკნელი ბრძანება იყო მტრის შემოსევაზე.

მტერი არც კი ცდილა დამალულიყო. კონდახებით წვრილიანსა სცელავდნენ; თითქოს შაქრის ლერწამსა სჭრიანო და ჭიქურ მოაბიჯებდნენ ბილიზე — ცხრა, თორმეტი, ოცი ბრტე ვეაკაცი. წინ შერიფი ჯუნიუს კენდლი მოდიოდა, გულზე ვარსკვლავი უცემივებდა მკრთალად. ფეხდაფეხ ახმახი ედი სტოვერი მოსდევდა. თან გაფაციცებით ათვალეობდა

ხეებს, სადაც ჩვენ ვიყავით დამალულნი. უცებ სურათი-გამოყანები გამახსენდა, წინა დროში რომ ბუქდავდნენ ხოლმე: „იბოვეთ ხეზე დამალული ხუთი ბიჭი და ბუ“. მაგრამ სათვის უფრო მეტი ჰქუდა იყო საჭირო, ედი სტოვერს ვინ მისცა ამდენი ჰქუა. თვალა თვალში გამოიყრა და ვერ დამინახა. მთელ იმ ხროვაში არც ერთსაც არა ჰქონია საკმაო ჰქუა, ამ მხრივ დამშვიდებულები ვიყავით. უმეტესობა არაფრის მქენისი იყო — პირუტყვები და ლოთანი. გარდა მისტერ ჰენდისა, რომელიც ამ ხროვაში შევინწინე. — ჩვენი სკოლის დირექტორი, საერთოდ წესიერი კაცი იყო, არაიენ იფიქრებდა, რომ ასეთ ხალხში გაერეოდა და ამ სამარცხენო საქმეში მიიღებდა მონაწილეობას. ამოს ლეგრენდი რომ ახლდათ, — ეს გასაგება — ცნობისმოყვარეობამ სძლია. მაგრამ აქერად ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა და არც არის გასაკვირი: გუგონება, ჯოხიოო ისე მძიმედ დაყრდნობდა ვირენა თავზე ამოსს, რომელიც თქომდე ძლივს სწვდებოდა. მისი ღირსება, დაბლგერილი მისტერ ბასტერი მეორე მხრიდან ამოსდგომოდა მხარში ვირენას. ვირენა რომ დავინახე, ისეთმა შიშმა ამიძანა, როგორც მაშინ, როცა დედაჩემის სიყვდილის შემდეგ გამოგვეცხადა ჩემს წესაყვანად. მიუხედავად იმისა, რომ კოჭლობდა, მაინც ქედმაღლურად ეჭირა თავი. მხლებლებთან ერთად ჩვენს სიკომოროსთან მოვიდა და შეჩერდა.

მოსამართლემ ერთი ნაბიჯითაც არ დაიხია უკან: შერიფის პირისპირი იღვა, თითქოს საზღვარს იცავს და მოწინააღმდეგეს იწვევს აბა, გაბედე და გადმოიღო.

ამ გადაწყვეტ მომენტში პატარა პომერის შეეხედე და დავინახე, რომ ნელნელა უშეგებდა ძირს ლასოს. თოკი, გველივით რწევარწევით მიეცოკავდა ძირს. ფართო ყულფი დაღებულ ხახსა ჰგავდა — თოკის მარჯვე აჭენვა და მისი ღირსება ბასტერის თავი ყულფში აღმოჩნდა. პატარა პომერმა ხელი აიქნია, კვანძს გაუჭირა და ბებერი ბასტერის მოკუდული ყვირილი მოახრჩო. სისხლი სახეში მოაწვა, გამწარებით იქნევდა ფეხებს, მაგრამ მისი დარდი აღარავის ჰქონდა — პატარა პომერის წარმატებამ სხეებსაც. ფრთები შეისხა და საერთო შეტევა დაიწყო:

ზევიდან ქვები წამოვიდა, ყურისწამლებად, არწივისებურად ყეფდნენ სასტვენები, კაცები ერთმანეთს უჯიკავებდნენ გამწარებით და ცდილობდნენ საღმე დამალულიყვნენ — მეტწილად დავარდნილი ამხანაგების სხეულს აფარებდნენ თავს. ვირენამ ამოს ლეგრენდს უთამა ყურში — კინაღამ ქვედა კაბის ქვეშ შეუღ-

ბრუნენ კავობი
ბალახის სიმღერა

ერა ღალაქი. სიმათლე უნდა ითქვას, მხოლოდ ვირენა იღვა ვაჟკაცურად: მუშტებს ვეიმეწვდა და მაგრად გელანძღვდა.

ამ ხმაურსა და არეულობაში უცებ გაისროლეს, ისეთი ხმა იყო, თითქმის რყინის კარი მი-აქანუნესო.

გასროლს ხმამ და გაქიანურებულმა, შიშის-მომგვრელმა, ეკომ უცებ ჩააქრო ჩვენი აღ-გზნება; სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში გავიგონეთ, რომ შობარდაპირე სიკომოროდან რალაქ შიშზე ღრქიალით გარდებოდა ძირს.

რაილი იყო. ვარდებოდა და ვარდებოდა, ნელ-ნელა, მოდუნებული, როგორც მოყვლული ფოცხვერი. მერე ტოტზე დაასკდა, ტოტი გა-იხლიჩა, ვოგონებმა შექვილეს და თვალბზე ხელი აივარეს. რაილი ერთი წუთი ტოტზე ეკიდა, როგორც ნახევრადმოწყვეტილი ფო-თოლი და მერე ეს გასისხლიანებული გროვა მიწაზე დაეხეტა. ახლოს მისვლა ვერავინ გა-ბედა.

ბოლოს მოსამართლეს აღმოხდა: „ბიჭო, ჩე-მო ბიჭუნა!“ — და გაოგნებული მუხლებზე დაეცა. უღონო ხელებზე უსვამდა ზელს. „შე-მიბრაღე, შემიბრაღე, შეილო, — ხმა ვამეცი“.

დანარჩენი კაცებიც გარსშემოხევიდნენ რაი-ლის, ყველანი დარცხვენილები და შეშინებუ-ლები იყვნენ, ზოგი რალაქ რჩევას აძლევდა მოსამართლეს, მაგრამ იმას არაფერი ესმოდა. რიგრიგობით ჩამოედრით ხეებიდან. ბავშვებ-ბის ჩურჩული „მოკვდა? — მოკვდაო?“ თან-დათან მატულობდა და ყურთან მიტანილ ნი-ტანის სუსტ შეილას ჰგავდა. უცებ კაცებმა ქედები იშვლიბეს და უკან დაიხიეს — დოლი გაატარეს. თავზარდაცემული დოლი ვერავის ამჩნევდა, ვირენაც კი ვერ დაინახა, თუმცა გვი-რდით ჩაურა.

— მე მინდა ვიკოდე, — ვირენას მზრბანებ-ლური ხმა ყურადღებას იხოვდა. — რომელ-მა უტვინომ გაისროლა?

შერიფის თანაშემწეებმა ერთმანეთს შეხედეს და ბოლოს ყველა ახმახ ედი სტოუნს მიანერ-და. ედის ლოყები აუცახცახდა, ტურები აილო-კა.

— ეშმაკმა დალახვროს, არც კი მიფიჭრია ვინმესთვის მესროლა. რაც მველებოდა ის ვა-ვაკეთე. ეს არის და ეს.

— და კიდევ ის. — მკაცრად თქვა ვირენამ. — რომ დამნაშავე თქვენა ხართ, მისტერ სტო-ვერ.

ამ სიტყვებზე დოლი უკან მოტრიალდა და ვირენას მიამტერდა, ვუალის ქვეშ ძლიეს უჩა-ნდა თვალები. ისე ვუყურებდა, თითქმის ვირე-ნას მერტი იქ არავინ იყო.

— დამნაშავე? ჩვენს მერტი არავინ არის დამ-ნაშავე.

ამსომაში და აიღამ მოსამართლე განზე გას-წია, რაილის მოამორა, თუითონ კი მარჯვედ გახადა პერანგი დაჭრილს.

— თქვენი ბედი, რომ მხარშია დაჭრილი, თქვა მან და ყველამ შევებით ამოისუნთქა, თანაც ისეთი ძალით, რომ მართლაც ჩვენი ხელი ვერის ამონასუნთქი ჰაერი ქალაქის ქუჩებში ცაში აისერიდა. — მაგრამ მაინც ძალიან არის დაშავებული. აბა, როგორმე ექიმთან უნდა წაიყვანოთ, ყმაწვილებო.

მერე თავის ქვედაკბას ნაჭერი შემოახია და რაილის მხარზე გადაუჭირა. სისხლი შეუ-ჩერა. შერიფმა და სამმა თანაშემწემ ხელები გადააჭვარეს, საყაყე გააკეთეს და ზედ დაწ-ვინეს. მაგრამ მართკო რაილი არ იყო ხელით წასაყვანი. მისი ღირსება ბასტირიც კულ დღე-ში აღმოჩნდა — ხელ-ფეხი თოჯინასავით მო-ფაშვალებული ჰქონდა, და ისე მოდუნებუ-ლიყო, ვერც კი გრბნობდა, რომ თავი ისევე ყულფში ჰქონდა გაყოფილი, შერიფის კაცებს ხელში აუყვანით და თოჯინად მიათრევდნენ. პატარა პომერი ფეხდაფეხ მისდევდა და გაქაერებული მოიხზოვდა:

— ეი, ჩემი თოჯი დამიბრუნეთ! ამოს ლე-გრენდი ვირენას ელოდებოდა, მაგრამ ვირე-ნამ უთხრა — მართო წადი, მე თუ დოლი არ წამოიყვია, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო. მერე კოტა შეიცადა, ჩვენ გადმოგვხედა და აიღას მიანერდა:

— მე მინდა ჩემს დას მართო ველაბარავო. და აიღამ ავდებულად აიწინა ხელი და თქვა:

— რე ლეაეთ, ლედი, ჩვენ ისედაც მივიდ-ვართ. — მერე დოლის ჩაეხუტა. — იცის დმერ-თმა, რომ ძალიან შეგიყვარეთ! არა, ბავშვებო? პატარა პომერი თქვა:

— წამოდი ჩვენთან, დოლი. მზიარულად ვიქ-ნებით. ჩემ კოვბოლერ ქმისარს გაჩუქებ.

ტექსებს გეზობოლო მოსამართლეს ჩამოკეიდა კისერზე და ხეყწნა დაუწყყო, შენც წამოდიო. მე, ეტყობა არავის ვუნდოდი.

— ჩემს სიცოცხლეში არ დამეფიყვდება, როგორ მებატეებოდით. — თქვა დოლიმ და ნაჩქარევად მოავლო თვალი ბავშვებს, თითქმის უნდოდა სახებები დაემახსოვრებინა. — გზა მშვიდობისა. ბედნიერად იყავით. ახლა კი, გაქმეით! — ხმას აუწია, რომ მოახლოვებუ-ლი ქუხილის ხმა დაეფარა, — გაიქეით, წვიმა-დაიწყოს!

ქუშუნა წვიმა წამოვიდა, მესუბუქი, სიფრი-ფანა, როგორც გაზის ფარდა და როცა ისინი ამ ფარდის ნაოჭებში გაჭრნენ, ვირენამ თქვა:

— როგორც ვხედავ, შენ კიდევაც აქეზებ ამ... ქალბატონს. თანაც იმის შემდეგ, რაც ჩვე-ნი გვაბი ვაამასხარავა.

— მე იმას ვერ დამბარალებ, ვინმეს ვაქეზებ-ლე, — წყნარად უთხრა დოლიმ, — ყოველ-შემთხვევაში ამ მხეცებს არა, — აქ კი ვეღარ შეიკავა თავი, — რომლებიც ბავშვებს ძარცვა-ვენ და მხოლუქ ქალებს ციხეში ავდებენ. ანკი რალად მინდა ისეთი გვარი, ვისი ბრძანებითაც



ასეთ სისამაგლეს სჩადიან. მანხარად აიგდებენ, აბა რა იქნება!

ვირენად ისე მოთმინა ეს სიტყვები, არც კი განმარტულა.

— არა, ეს შენ არა ხარ, — თქვა მან, თითქოს დიავნოზი დასვაო.

— ქარგად დამაყვარი — მე ვარ. — დოლი წელში გამართა, თითქოს დათვლიერებაზეაო. ვირენასავით შალდი იყო და ისეთივე თავდაყრბებული: ბუნდოვანება და დაუსრულებლობა სადღაც გამქრალიყო. — შენ დავიჯერე: თავი მაღლა მიჭირავს. შენ არ მეუბნებოდი, გული მერევა რომ გიყურებო. არც ისე დიდიანი გავიდა მას შემდეგ. — და განვარძო. — ისიც მოთხარი, მერცხეინება შენი და კეთილისაო. იმდენი წლის სიცოცხლე შემოაწივით და გული გვეტყინა, როცა ვივარძენით, რომ ტყუილებრაოდ გავიღეთ მსხვერპლი. იცი კი, რა ძნელია ამის შეგონება?!

ვირენამ ძლივს ამოღერდა: „ვიცი“. მისი ორივე თვალი ცხვირის კეხს მიუხალოდა, თითქოს სულში იბედებთან და იქ ქვა-ლორლით დადარულ უდაზნოსა ზედავეო. ასეთივე გამომეტყველება ჰქონდა ხოლმე, გვიან დამით, სხეინდან რომ ვუთვალთვალეზი, როცა სვედამორეული მოდი-ლორას, მისი კმრისა და ბავშვების სურათებს ათვალეერებდა. ვირენა წაბარბადა და ჩემს მხარს დაეყრდნო, თორემ დაეცემოდა.

— მე მეგონა, სამარისკარამდე ვერ მოვიშუშებდი დაყოლილ გულს. თურმე არა. სამაგიეროს კი არ ვიხიდი, ვირენა, მაგრამ უნდა გითხრა, რომ მეც მერცხეინება შენი.

დადამდა. ბაყაუზი და ზუზმა მწერები წვიმას შეხაროლენენ. წვიმის წვეთები მძიმედ ეცემოდნენ მიწაზე. ყველას სახე დაგვებინდა, თითქოს ნესტმა ჩაგვიქო ნათელი. ვირენას ფეხებმა უღალატა და მე ჩამომაწვია.

— ცუდად ვარ, — უსიკოცლო ხმითა თქვა მან, — ავად ვარ, ძალიან ავად ვარ, დოლი. დოლიმ ეტყობა რ დაუჭერა, მოვიდა ხელით მოსინჯა, თითქოს სიმართლე ხელის შეხებით გამოიცინა.

— კოლინ, — თქვა მან, — მისტერ კულ, თუ შეიძლება მომეხმარეთ, ხეზე შევსვა.

ვირენა გაჟიუტდა, ხეებზე ვერ ვილოდიანლებო, თქვა. მაგრამ მერე შეეჩვია ამ აზრს და ადვილად ავიდა.

სახლი ხეზე ტყესა ჰკავდა, რომელიც თითქოს ორთქლსა და ნისლში გახვეულ წყალზე მისცურებდა. მაგრამ აქ ყველაფერი მშრალი იყო: წვიმა რბილად ეცემოდა ფოთლების ქოლგაზე და შიგ ვერ აღწევდა. ჩვენ ნელა მივყვებოდით სიჩუმის დინებას, სანამ ვირენამ არა თქვა:

— დოლი, რაღაც მინდა გითხრა, მაგრამ უფრო გამიადვილდება თუ მარტონი ვიქნებით. მოსამართლემ გულზე გადააყვარა ხელზე.

— მის ვირენა, როგორმე უნდა აიტანოთ, ჩემი აქ ყოფნა. — დამაყრებლად თქვა ვირენამ, რამე მომხრის სიფიცე აღარ იგრძობოდა მის ხმაში. — მე დანეტერესებული ვარ რითი გათავადეა თქვენი საუბარი.

— რაღაც უკვი შეპარება. მინც რატომ? — თქვა ვირენამ თანდათან უბრუნდებოდა ქედმაღლობა.

მოსამართლემ სინთლის ნამწვი ანთო და ჩვენი ჩარლილები მაშინვე მშვევრავებივით წამოგვადგნენ თავზე.

— სინნელეში ლაპარაკი არ მიყვარს, — თქვა მან.

მოსამართლე ამაყად იჯდა. წელში გამართული, ეტყობა განგებ ეჭირა ასე თავი: მე მგონი უნდოდა ეჩვენებინა ვირენასთვის, რომ ვაჟყაცთან ჰქონდა საქმე, ვირენას თავის სიცოცხლეში ძალიან ცოტა შეხვედროდა მამაკაცები, ეისაც იმდენად სჯეროდა თავისი ვაჟყაცობისა, რომ ხაზი გავსვა ამისათვის და ამიტომ ვადაწყვიტა, ამას ვერ ვაბატოებო.

— თქვენ ალბათ დავაიწყვდათ, ჩარლი კულ? ოთხმოცდაათი წლის წინათ — იქნებ მეტიც გავიდა — სხვა ბიჭებთან ერთად ჩვენს მამულში მავყალს რომ იპარავდით. მამაჩემმა თქვენი ბიძაშვილი სეტი დაიჭირა, მე კიდევ — თქვენ, იცოცხლე, მაგრამ მოგხვდათ, მაშინ ჩემგან.

მოსამართლეს რა დაავიწყებდა! სახე წამოუქარხლდა, შორცხვად გაიღიმა და თქვა:

— თქვენ პატიოსნად არ იბრძოდით, ვირენა.

— არა, პატიოსნად ვებრძოდი. — ცივად უთხრა მან. — მაგრამ თქვენ შართალი ხართ, რადგან არც ერთს არ გვიყვარს ბნელში საუბარი, ამიტომ გულახდილად გეტყვით, ჩარლი, მინცეღამინც არ მსამოფენეს თქვენი დანახვა. თქვენი მხარდაჭერა რომ არა ჰქონოდა, ჩემი და ვერ გაართმევდა თავს ამ სისულელეს. ამიტომ ვთხოვთ მარტო დავეტოვოთ. თქვენ უკვე აღარაფერი გესაქმნებათ აქ.

— რატომაც არა! — თქვა დოლიმ. — მოსამართლე, ჩარლი კული... — უცებ მოიბუხა, თითქოს ეკვი შეეპარა თავის გულადობაში.

— დოლის უნდა თქვა, რომ მე სული ვთხოვე.

— ეს, — ძლივს ამოღერდა ვირენამ რამდენიმე წუთის დუმისის შემდეგ. — ძალიან... — განავრძო მან, თან თავის ხელთათმანთან ხელეებს მისჩერებოდა. — სანეტერესოა, ძალიან, არასოდეს არ დავიჯერებდი, რომ თქვენ, ორივეს, ასეთი მდიდარი ფანტაზია გქონდათ. ან იქნებ მე გამიტაცა ოცნებამ? იქნებ მე დამეხიზმრა, რომ სველ ხეზე ვზოივარ, წვიმიან ღამეში, ოღონდ ეგ არის, რომ საერთოდ სიზმრებს არა ვნახულობ, ან იქნებ მაგიწყვდება

ბრუნდა კავობი
ბაღდატიანი სიმღერა

ხოლმე. ისე რომ, გირჩევთ ეს სიზმარიც და-
ივიწყოთ ყველამ.

— უნდა გამოვტყდე, მის ვირენა, რომ მარ-
თლაც ოცნებასა ჰკავს. მაგრამ კაცი, რომელს-
აც ოცნება არ შეუძლია, ოფლსაც ვერ გა-
მოიდგენს და სხეულში შხამი უგრაოდება.

ვირენა ყურს არ უვლებდა. მთელი გულს-
ყური დოლისკენ ჰქონდა მიმართული, დოლის
კიდევ ვირენასკენ. თითქოს მარტონი იყენენ
— ორი აღმიანი, პირტუში ოთახის სხვადასხვა
კუთხეში, ორი მუნჯი, ვესტების უცნაური ენით,
თვალების ოდნავ შემსაჩნევი მიმართებით რომ
ლაპარაკობენ; უცებ ვირენა გაფიქრდა, თით-
ქოს დოლმა პასუხი გასცა და ამან იმოქმედაო.

— მივხვდი. შენ დავითანზე, არა?

წვიმამ იმატა — თევზებს თავისუფლად შეე-
ვლით ეცურავეთ ჰაერში, — დაბალი ტონების
მთელი გამა ჩამოაკაქუნა, მერე ბანის ყველაზე
უფრო ყრუ სიმზე დაარტყა და წამოუშინა.
წვიმის წვეთები ფოთლების საბურავში ატან-
და, მაგრამ ჩვენამდე ვერ აღწევდა, ხის სახლი
წვიმიმ გაფლანგულ მცენარეში ჩაბუდებულ
მშრალ თესლსა ჰკავდა.

მოსამართლემ ხელისგული მოაფარა სან-
თელს. დოლის პასუხს ისიც ისევე აღვლევებუ-
ლი ვლავდა, როგორც ვირენა. მეც მათსავით
მოუთმენლად ველოდი, მაგრამ, თითქოს გა-
მოთიშეს ამ სკენიდან — ისევე სხენიდან მო-
თვალთვალ ჯამუში ვიყავი. საოცარი ის არის,
რომ ჩემი სიმპათიები არც ერთს არ ეცუთ-
ნებოდა. უფრო სწორედ არც ვთქვა, სამივეს:
ჩემი ნახი გრძნობები სამივესაღმეც ისე შეერ-
წყა ერთმანეთს, როგორც წვიმის წვეთები, და
ვერაფრით ვეღარ გავადაცლებდები, ერთ მთლი-
ან აღმიახურ არსში გადაიზარდა.

დოლისაჲ ასე დავმართა. ვერაფრით ვერ
განაცალკევა ვირენა და მოსამართლე. ბოლოს
გამწარებულმა წამოიძახა:

— არა, არ შემიძლია! — თითქოს გამოტყდა,
რომ დამარცხდა, და თვითონაც არ მოელოდა
ამას, — მე ვთქვი, როცა დრო მოვა, მეცოდინ-
ება სწორედ როგორ მოვიქცე-მეთქი. ახლა
გამოიღის, რომ არ ვიცი. სხეებმა კი იციან?
აღრე ვფიქრობდი, არჩევანი რომ შემიძლოს,
მთელი სიცოცხლე ჩემს ჰუკუაზე ვიცხოვრებდი-
მეთქი...

— კი მაგრამ, ჩვენ ჩვენი ცხოვრება უკვე
გავლიეთ, — უთხრა ვირენამ. — და შენიც
არ არის აბუჩად ასადგები. განა როდესმე გავ-
ლუნდა რამე? მე ყოველთვის მშურდა შენი. დაბ-
რუნდა შენ, დოლი. საჭმეების გადაწყვეტა მე
მომანდებ: ეს არის ჩემი ცხოვრების მიზანი.

— მართალია, ჩარლზ? — ჰკითხა დოლიმ,
როგორც ბავშვი იკითხავს ხოლმე, ვარსკლავ-
ების სადა ვარდებიანო — მართლა, გავლიეთ
ჩვენი ცხოვრება?

— ჯერ ცოცხლები ვართ, — უპასუხა მოსა-
მართლემ; ეს იგივე იყო, ბავშვისთვის რომ

გეპასუხა, ვარსკლავები კოსმოსში ცვეთილი
უღავოდ სწორი, მაგრამ მაინც არაფერს
ფილბული პასუხია. და დოლიმაც უპასუხა
წმენა.

— სიცილილი არც არის საჭირო. ჩვენს სამ-
ზარეულოში გეორგია ყვავის და ყვავის, ზო-
გი მცენარე მხოლოდ ერთხელ აყვავდება და
მორჩა... ცოცხალია, მაგრამ სიცოცხლე უკვე
გალია.

— ეგ თქვენზე არ ითქმის, — უთხრა მოსა-
მართლემ და სახე დოლის სახეს მიუახლოვა,
თითქოს უნდოდა ტურჩებით იმის ტურჩებს შეხე-
ბოდა, მაგრამ შეერთა, ვერ გაბედა.

წვიმამ ფოთლებში გზა გაიქვლია და სამი-
ნელი ძალით ჩამოგვასკდა თავზე; დოლის ქუ-
დიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყალი, ვუალო
ლოყებზე მიეწება, სანილის ალი, აფარფტდა
და ჩაქრა.

— არც ჩემზე.

ელვან ცეცხლოვანი ენები განუწყვეტლივ
სერავდნენ ცას და ამ სინათლზე ვირენა ვი-
ლაც უტყბო აღმიაან მეჩვენებოდა — დარ-
დით მოკლული, გამოფიტული ქალი იყო, გაე-
ლმეხული თვალები ისევე სულში იცურებოდ-
ნენ და იქ გამოფიტულ სამყაროს ხედავდნენ.

როცა ელვამ იკლა და წვიმის გაუთავებელი
ხმაური ბერებისგან შეტრული ლომსავით გა-
რშემოგვერტა, ვირენამ ლაპარაკი განაგრძო.
სუსტი ხმა ჰქონდა, თითქოს შორიდან ისმოდა;
თითქოს თვითონაც არ ჰქონდა იმედი, რომ
გავიგონებდით.

— მშურდა შენი დოლი... შენი ვარდისფერი
ოთახი... მე მხოლოდ ვეაყენებდი ასეთი ოთა-
ხების კარებზე, არც ისე ხშირად, მაგრამ
ისიც საცმარისი იყო რომ მივხვებდარჩევდი: ახ-
ლა შენს მტერს შეგ აღარაინი შემინებია. იმი-
ტომ რომ პატარა მორისი, პატარა მორისი —
ძალიან მიყვარდა, ღმერთმა იცის, მიყვარდა.
ქალივით კი არა. მე და ის, ო, დასამალი რა
მაქვს, სულით აზლობლები ვიყავით. ერთმა-
ნეთს თვალეში შევცქეროდით და ერთსა
და იგივე ეშმაკს ვხედავდით. არ გვე-
შინოდა. ვეხაროდა, მაგრამ გამაცურა. ვიცო-
დი, რომ შეეძლო გავეცურებინე, მაგრამ იმედი
მქონდა, არ ინდომებდა... მოინდომა და ახლა
სიცილილის ვარამდე უნდა მარტო ვიყო — არა,
ეს ძალიან გრძელდა გზა. დაეყოლოდ სხლში
და არაფერი ჩემი იქ არ არის: შენი ვარდისფე-
რი ოთახი... შენი სამზარეულო... შენი და კეთ-
რინისა. ოღონდ ნუ მიმატოვებ, ნება მომეცი
შენთან ერთად ვიცხოვრო. ვგრძნობ, რომ დავ-
ბერდი და ჩემს დასთან მინდა ვიყო.

წვიმამ ვირენას შეუწყო ხმა, და გამჭირვალე
კედელივით ჩაუღდა შუაში დოლის და მოსა-
მართლეს. ამ კედელში ხედავდა მოსამართლე,
როგორ თანდათან დნებოდა დოლი და შორ-
დებოდა, ისე როგორც მე მშორდებოდა დი-
ლით. ახლა კიდევ, ხის სახლმაც, თითქოს ჩვენს



თვალწინ დაიწყო დნობა. ქარმა წამოუბერა, დასველებული კარტები და ქალაღის ნაგლეჯები ვაფარიალა, კრეკერი ნამცეცხედა იქცა წყლის სავსე ქილები შადრევანივით ისროდნენ წყლის ჭავლებს, კეთრინის შესანიშნავი, ნატრებისაგან შეკერილი საბანი სულ განადგურდა, მენჯყოფ იქცა. სახლი ზელიდან გვეცლებოდა, როგორც ის განწირული სახლები, აღიდებული მდინარე რომ მოიტაცებს ხოლმე.

მოსამართლე თითქოს სწორედ ისეთ სახლში იყო გამოკეტილი, როგორც ხაფანგში, და ჩვენ, ნაპირზე მდგარ გადარჩენილებს იქიდან ზელს გვიჩვენებდა. იმითრომ რომ დოლით თქვა:

— მაპატიეთ, მეც ჩემ დათან მინდა ვიყო.

და მოსამართლე ვეღარ მისწვდა დოლის — ვერც ზელბით და ვერც გულით — იმდენად უღაცა იყო ვერცნას უფლებები.

შუალანისთვის წვიმამ ივლო, მერე სულ გადაიღო. ტყეში ქარი ხმურობდა, ხეებს წურავდა. ვარსკვლავები რიგ-რიგობით ხვრეტდნენ ცას, როგორც დაგვიანებული სტუმრები, საცეკვაო დარბაზში რომ შემოდინ ხოლმე. წავლის დრო იყო. არავფერი არ წამოგვიღო: საბანი დასაღობად დაგტოვეთ, კოხზენი დასაქანავად, ხის სახლი და ტყე კი, ზამთარს დავტოვეთ.

თავი VII

კეთრინს ჩვეულებად ექცა — თავის პატიმრობის დროით ათარიღებდა ხოლმე სხვადასხვა შემთხვევებს: ან იმის ციხეში ჩაქეტყავდნენ მოხდა ესა თუ ის ამბავი, ან მას შემდეგ.

— ეს იმის წინ მოხდა, — დაიწყებდა ხოლმე კეთრინი, — მანამ ის ქალბატონი ციხეში გამოამწყვდევდა.

ჩვენ დანარჩენებსაც შეგვეძლო, ისტორია ასეთივე პერიოდებად დაგვეყო: მანამდე და მის შემდეგ რაც ხის სახლში ვცხოვრობდით, რადგან ის სამი შემოდგომის დღე ჩვენთვის სამახსოვრო თარიღი გახდა.

მოსამართლე მხოლოდ ერთხელ — თავისი ნივთების წამოსაღებად — შევიდა სახლში, სადაც შეილებთან და რძლებთან ერთად ცხოვრობდა. იმათ, ეტყობა ზელს აძლევდათ — ყოველშემთხვევაში წინააღმდეგობა არ გაუწევიათ — როცა მოსამართლემ მისს ზელის პანსიონში ოთახი იქირავა. პანსიონი ერთი პირქუში, ეანგისფერი, ძველი სახლი იყო, რომელიც მოგვიანებით დამკრძალავ ბუტროდ გადაეკეთეს: ბუტროს პატრონი მიხვდა, რომ შესაფერი ატმოსფეროს შექმნისათვის ძალიან ცოტა რაიმს გადაეკეთება დასწირდებოდა. არ მიყვარდა ამ სახლის წინ გავლა: მისის ზელის მდგმურები გესლიანი დედაყაყები იყვნენ, პანსიონის უკანა ეზოში რომ ბუტრით დაადებულელი ვარდის ბუჩქებია, იმის ეკლებივით იჩხვლიტებოდნენ. ვერანდა ჰქონდათ დაპყრობი-

ლი ამ ქალებს, დილიდან-საღამომდე საღამო, ჯოზე იდგნენ ძილავფრთხობილები. ერთმანეთს განი, ორჯერ დაქვრივებულ მემი კენჭდნენ ქალის ფეხშიძობის გამოცნობაში დახელოვნდა: (პევებოდნენ ხოლმე — თითქოს ერთმანეთს ცოლს ურჩია: რალა ექიმს მიეცეთ ტყუილებრალოდ ფული! წაღი, მისს ზელის სახლს ჩაუარე და მემი კენჭილდი მამინევე ქვეყანას მოსდებს, ფეხშიძიდ ხარ თუ არაო). სანამ მოსამართლე ჩასახლებოდა, მისს ბელის სახლში მხოლოდ ერთი მამაკაცი ცხოვრობდა — ამოს ლეგრენდი. სხვა მოზინადტევისსთვის ამოსი ციდან ჩამოვარდნილი საჩუქარივით იყო:

გულის კანკალით ელოდნენ იმ წუთს, როცა ნავახშმევს, ვერანდაზე გამოვიდოდა, საქანო სავარძელში ჩაჭდებოდა — მოკლე ფეხებს იატაკს ვერც კი უწვდენდა — და ენას აღარ გააჩერებდა, მღღეაარა საათივით მოკვეებოდა ტრიკტის. ერთმანეთს ვჯიბებოდნენ — წინდებსა და სვიტრებს უქსოვდნენ, ჭამის დროს საუცუთესო ნატრებს დაუწყობდნენ თელშე. მისს ზელს მზარეულები გაურობდნენ — ქალები უშლიდნენ, სულ სამზარეულოში წრიალებდნენ, ცილობდნენ საწეუბარი საქმელი მოეშხაღბინათ თავისი საყვარელი ადამიანისათვის. იქნებ მოსამართლესაც ასეთივე ყურადღებით მოპყრობდნენ, მაგრამ ვერაფერში გამოიყენეს: ქალები საყვედურობდნენ, ერთხელ არ ვაგერებდა გამოსალაპარაკებლად.

იმ დამეს, ზეზე, ერთიანად გავიწუწუთ. მე საშინლად გავცივდი, ვერცნა ჩემზე უარეს დღეში ჩავარდა, ჩვენი მომგეული დოლიც წამდღაწუმ ცხვირს აციემინებდა. კეთრინმა მოხმარებაზე უარი განაცხადა.

— შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი, დოლიგულო — ზიდე ამ ქალბატონის ღამისკურელები, სანამ არ დავარდები. ჩემი იმედი კი ნუ გეძნება. მე ჩემი ტვირთი ჩამოვიხსენი.

დამე, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, დოლი წამოხტებოდა, სირიპით ყელს ჩაგეწმენდინებდა, ცეცხლს შეუტეებდა, რომ თბილად ვყოფილიყავით. ვერცნა ახლა წინანდელივით როდი ფიქრობდა, რომ დოლი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო. ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო!

— აი, ვაზაფხულდება, და სამოგზაუროდ წავალთ, მე და შენ, — პირდებოდა დოლის, — იქნებ დიდ კანიონსაც ვეწვიოთ, მოდი-ლორავინახულო. ან არა და ფლორიდაში წავიდეთ: შენ ხომ ჯერ ოკეანე არ გინახავს.

მაგრამ დოლის მოგზაურობის სურვილი სულაც არა ჰქონია, სწორედ იქ იყო, სადაც თვითონვე უნდოდა ყოფნა.

ბრუნენ კაკობი ბალახის სიმღერა



— რა სიამოვნება უნდა მივიღო. — იმ დიდებულ ადგილების შემდეგ, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება უნდოდა მომეჩვენება.

ექიმი კარტერი ყოველდღე მოდიოდა, ერთ დღიას დღიომ სთხოვა, თუ შეიძლება სიცხე გამოიზოვო, რაღაც მახურებს და ფეხებში სისუსტესა ეგვრნობო... ექიმმა მამინვე ლოგინში ჩააწვინა, გასინჯა და უთხრა, მცოცავი პნევმონია ვაქვით. დოლის სასაცილოდ არ იყო.

— მცოცავი პნევმონია, — უთხრა მოსამართლეს, როცა ის დოლის სანახავად მოვიდა. — ეტყობა, რაღაც ახალია, ჩემს დღეში არ გამოიხინია. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ოხოფეგზებზე დავდივარ. ძალიან სასიამოვნო კია! — თქვა დოლიმ და დაიძინა.

სამი, თითქმის ოთხი დღის განმავლობაში ევლარ წაართვა თავი ძილს, ხეირიანად ევრ გამოფხინდა. კეთრინი არ შორდებოდა დოლი — დაწნულ სავარძელში თვლებდა და როგორც კი ვიგრენა ან მე შევიდოდით ოთახში, დაბალი ხმით აბუხლუნდებოდა.

ხელში მაცხოვრის სურათი ეჭირა და ერთ-თავად უნიავებდა დოლის, თითქოს ზაფხული ყოფილიყო. ექიმი კარტერის დარბევებს არაფრად აგდებდა პირდაპირ თავსა გუქრიდა.

— ასეთ რამეს ღირსაც არ მივცემდი, — იტყოდა ზოლემ და თან თითს რომელიმე ახალი წამლისავენი ვაიშვერდა.

ზოლს ექიმმა კარტერმა გამოვეცხადა: თუ ავადმყოფს საავადმყოფოში არ გადაიყვანო, — მე პასუხისმგებელი აღარ ვიქნები.

უახლოესი საავადმყოფო ბრეტონში იყო, ექვსი მილის დაშორებით. ვირენამ იქიდან სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა. მაგრამ ტყუილად გასწია ხარჯი: კეთრინი დოლის ოთახში ჩაიყვტა და განაცხადა: ვინც პირველი ჩაავლეს კარის სახელურს ხელს, თვითონ დასტორდება სასწრაფო დახმარებაო, დოლის არ ესმოდა, სად უბირებდნენ წაყვანას, არასდ არ უნდოდა წასვლა. სულ იმას თხოულობდა, ნუ გამაღვიძებთ, არ მინდა ოკეანის ნახვით.

ერთი კვირა რომ მიიწურა, ლოგინში წამოვქდა, კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ, თავის პაციენტებთან მიწერ-მოწერა განაახლა. ძალიან ბევრი შევეთა დაუბრავდა წყალმანის წამლისა და სწუხდა, რომ ევრ აქამყოფილებდა პაციენტებს. მაგრამ კეთრინი, რომელიც დარწმუნებული იყო, დოლი მე მოვარჩინებო, ამ-შვიდებდა:

— არაფერი! თვალის დახამხამებასაც ევრ მოასწრებ, რომ ფეხზე დადგები და ისევ ჩვენი წამლის ხარშვას შეუდგები.

ყოველ დღე, ზუსტად ოთხ საათზე, მოსამართლე ჩვენ კომპარის მოადგებოდა და დამისტვენდა, რათა კომპარია გამეღო და შემომქვევა. განგებ არ მოდიოდა ზადარბაზო კართან, ვირენასთან შეხვედრას ერიდებოდა. არ გეგონოთ, ვირენა წინააღმდეგი ყოფილიყოს მოსამართლე

ნუ მოვაო, პირიქით კეთილგონიერული მოქმეცა — ამ ვიზიტებისათვის საგანგებოდ მომზადებული კონიავი და სივარები მომიზარა. მოსამართლე ყოველ მოსვლავს საჩუქარს მოუტანდა ხოლმე დოლის: ან ტორტს „მწვანე კაღის“ საფუნთუშედან ან კიდევ ყვეალებს — ბრინჯაოსფერ, ბუთქუნა ქრიზანთემებს. კეთრინი მამინვე ვააქრობდა სადღაც, ყვეალები მთელ ქანებდას ისრუტავსო, ამბობდა.

კეთრინმა არ იტყოდა, მოსამართლემ დოლის ხელი თუ სთხოვა, მაგრამ გუმანიტა გრძნობდა, რაღაც მისთვის არასასურველი ხდებოდა და როცა მოსამართლე დოლის სანახავად მოვიდოდა, ერთი წუთით მარტოებს არა სტოვებდა, ფხიზლად დარაჯობდა. სტუმრებისათვის მორთმეულ კონიასა წრუპავდა და ყველაზე მეტს თვითონ ღამბარავებდა.

თუმცა მგონი არც დოლის და არც მოსამართლეს არა ჰქონიათ სურვილი საიდუმლო საუბრისა. მშვიდი ურთიერთობა ჰქონდათ, როგორც აღმაინებს, რომლებიც დარწმუნებული არიან ერთმანეთის სიყვარულში. ბევრი რამის რწმენა დაპარავოდა მოსამართლეს, მაგრამ დოლის გამო კი არა, რადგან დარწმუნებული ვარ, ღლო მისთვის იმ სანატრელ აღმაინად იქცა, ვინც მისი ცხოვრების ოცნება იყო, — ერთადერთი არსება ქვეყნად, ვისთვისაც ყველაფრის თქმა შეეძლო. ეს თვითონვე თქვა აღარე; მაგრამ როცა ყველაფრის თქმა შეგიძლია აღმაინისათვის, ეგებ აღარც არის არაფერი სათქმელი, მოსამართლე დოლის სიახლოვეს ყოფნიდაც კმაყოფილი იყო, იქდა მის საწოლთან და მეტი არც არაფერი უნდოდა. ზმირად, სიცხისაგან მოსავებულ დოლის ჩავიძნებოდა და თუ ძილში შუბლს შეიკრავდა ან წამოიტირებდა, მოსამართლე მამინვე გაავლიძებდა და ნათელი ღიმილით ესალმებოდა.

წინათ ვიგრენა რადიომიმღების ყიდვის ნებას არ გვაძლევდა. ამ იაფფასიანი მელოდებისაგან ტვინი აუღლდებდა კაცსო ამბობდა, გარდა ამისა, ხარჯიც დიდი იყო! მაგრამ ექიმმა კარტერმა დაარწმუნა, დოლის რადიო სპირლებო, ეტყობა, გამოაქართლებას დიდი დრო მოუხდებდა და რადიოთი მაინც გაერთობო. ერთი სიტყვით, ვირენამ რადიომიმღები იყდა და ევრი არ შეპარება, ძვირიც დაუღუდა. ერთი მახინჯი ყუთი იყო, მაქმანის კაპოტსა ჰავდა. უშნოდ ბრჭყვიალებდა. ეზოში გავიტანე და ვარდისფრად შეველზე. მიუხედავად ამისა, დოლის მაინც ევრ გადაიწყვიტა დაედა თავის ოთახში თუ არა. მაგრამ მეერ ისე შევჩვიო, ვერაფრით ევლარ მოაცილებდით. ისე გახურლებოდა ხოლმე რადიო, ღამის წიწილებს შეწვავდი ზედ — დოლის და კეთრინს თითქმის მთელი დღე ჰქონდათ ჩართული. ყველაზე ძალიან ფეხებურთის რეპორტაჟის მოსმენა უყვარდათ.

— ძალიან გთხოვთ, ნუ ვეუტყვით, — სთხოვ-

კურდღელი და ამხარო ექსპონატები, რომლებიც სჯობდა მიწაში ჩაემარხათ. ბოლო დროს რამდენჯერმე ვიყავი რაილსთან.

ელი სტოვერის ნასროლი ტყვია მხარში მოხვდა და ყველაზე სამაგელი სწორედ ის იყო, რომ მხარი თაბაშირში ჩაუტყვეს და ევაგებოდა. რაილი ამტკიცებდა, თაბაშირი ას ვირვანქას იწონისო. მანქანა ვეღარ დაჰყავდა, ლურსმანსაც კი ვერ აჭედებდა წესიერად, ისე რომ მოწყენილი, უსაქმურად დაეხეტებოდა.

— რაილის ნახვა თუ გინდა, ფარდულში იქნება. ალბათ მოდიც იქ არის.

— ვინა? მოდ რიორდანი?

მქონდა კიდევ გაეცირების მიზეზი. რამდენი არ მიესტუმვარ რაილსთან, ყოველთვის ფარდულსიკენ მეწყოლა, იქ გოგონები არ შეგვაწუხებნო, იტყოდა და მერე დაიკეხნიდა — ფარდულის ზღურბლს ვერც ერთი ქალი ვერ გადმოაბიჯებდა.

— უკითხავს ლექსებს, პიესებს. საოცარი გოგოა ეს მოდი. უბრალო, ადამიანური მოპყრობაც არ ახსოვს ჩემი ძმისაგან. გულში ჩახვევა არ იცის, ერთხელ თუ გამოსცადა კაცმა სიკვდილის მოახლოება, სულმთლად იცვლება — უფრო კარგად აღიქვამს მშვენიერებას. მოდი საათობით უკითხავს ხოლმე და ისიც უსმენს.

ლღვის ხეებით დარბილული ფარდული უკანა ეზოში იდგა. პლიმუთროკები დარბაისლურად დაბაჯბაჯებდნენ პარამლთან და ზაფხულში ჩამოცვენილ მხესუმშირასა ჰქენავენდნენ. ნახვარადწაშლილი წარწერა ოდესღაც კირით რომ დაწერათ ბავშვებს, ახლა მქრქალად გვაფრთხილებდა: „ფრთხილად!“ უცებ გაუბეღლათამ შემიპყრო. კარის იქიდან მოდის ხმა ისმოდა — სუსტი ხმით, წამლვრებით კითხვობდა ხოლმე ლექსებს და სკოლაში სულელებს უყვარდათ მისი გამოყავრება. ვისთვისაც არ უნდა გეტქვათ, რაილი ჰენდერსონი მოთვინიერდა, ყველა იტყოდა, ალბათ სიკომოროდან რომ ჩამოვიდა, ტვინი შეეწვრაო. ფეხბურცივით მივიღე ფანჯარასთან და ფარდულში შევიხედე: რაილის დაძაბული სახე ჰქონდა. საათის შექანიშმა შლიდა და ვერაფრით ვერ შეატყობდი, კოლოს წვილზე უფრო ამაღლებული რამეს თუ უსმენდა. მერე ყურში თითქმის შეიყო და მოიქექა, თითქმის დავაროვიდ ბრაზს აძლევს გზასო. ის იყო დავაპირე, ფანჯარაზე მივეუკაცუნებ და შევაშინებ-მეთქი, რომ რაილიმ საათის ნაწილები გვერდზე მიაწყო, მოდს ზურგიდან მიუახლოვდა, დახარა და წიგნი დაუხურა, მერე სახეგაბადრულმა, მოდის თმა ჩაბლუჯა ხელში — ისიც ისე წამოღვა, როგორც კნუტი, როცა ქეჩოში ჩაველებენ ხელს. უცებ მომჩვენა, რომ ბრწყინვალე შარავანდი დაადგათ და ამ მკვეთრმა სინათლემ თვალს მომჭრა. მაშინვე შეატყობდი — პირველად არ კოცნიდნენ ერთმანეთს.

ერთი კვირაც არ იყო გასული, რაც მე, რაილის, როგორც ასეთ საქმეებში გამოღობილ მხიანს, გაეანდ მოდი მიყვარს-მეთქი და მხოლოდ შეხედლო! დეკაციო მაინც ვიყო, ვერცხვნი ხელს ამ ფარდულს და ნაფორებად ვეცემოდო. გატებო უნდა კარი და გამოლანდო ორივე! თუმცა მოდს რას ვერჩი? რაც არ უნდა ცუდი ეთქვა რაილზე, ყოველთვის ვიცოდი, რომ მოსწონდა. მე და მოდს კი მაინცდამაინც ბებერი არადფერი გვემონდა საერთო. მეტი-მეტი, კარგი მეგობრები ვიყავით, ბოლო ორ წელიწადს მეგობრობაზეც აღარა ვგვწონია.

ნელი ნახვით გავემართე სახლისკენ, გაბლენძილმა პლიმუთროკებმა დამცინავე კრუხუნით გამაცილეს.

— რა ჩქარა დაბრუნდი! — გაუკვირდა ელიზაბეთს — არ დახვდნენ?

მე ეუბასუხე — მგონი სჯობია არ შევეშალო ხელი, ისეთი ამაღლებული რამეებით არიან ვართული-მეთქი.

მაგრამ ელიზაბეთი დაეინვას ვერა ხედებოდა. ძალიან ფაქიზი სულის ადამიანის შესახედლობა კი ჰქონდა, მაგრამ სინამდვილეში პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდა ყველაფერი.

— შესანიშნავია, არა?

— ნამდვილად!

— კოლინ! ღმერთო ჩემო, რასა შმიტავ!

— ეშმიტავ კი არა, ცოტა სურდო მაქვს და...

— წვეულებამდე როგორმე გაგივლის ალბათ. ოღონდ იცოდე მასკარადის კოსტუმში გამოწყობილ მოდი. რაილი სატანა იქნება.

— სწორად ზედამოკრილია!

— შენ კიდევ, როგორცა ეთქვით, ჩონჩხი უნდა იყო. მართალია, ერთი დღე და დარჩა, მაგრამ...

მაგრამ სულაც არ ვაპირებდი იმით წვეულებებზე წასვლას. შინ მივიდი თუ არა, დეჯექი და რაილის წერილის წერას შევედღეო, „ქვირფასო რაილი“. არა, „ქვირფასო ჰენდერსონი“ მერე ქვირფასო წავშალე; მარტო ჰენდერსონიც საქმარისია. „ჰენდერსონ, შენი ლალტი გამოაშკარავდა“. რამდენი ფურცელი დაჯვალაზე, თან ვიგონებდი, როგორ დავმეგობრდით, ამ მეგობრობის მთელი ისტორია გაიხსენე და თანდათან დავრწმუნდი, რომ აჭრალე შეტოლმა იყო: ისეთი გულითადი მეგობრობი ვერ მოლატებდა. ბოლოს და ბოლოს ბოდეა დავიწყე: რაილის ვეუბნებოდი, ჩემი მეგობრობი და მშა ხარ-მეთქი, მერე ეს ჩემი ნაცოდევილევი ცეცხლში შეუქმახე... ხუთი წუთის შემდეგ უკვე დოლის ოთახში ვიყავი და ვეკითხებოდი, მოვასწრებთ თუ არა ხვალისთვის ჩონჩხის კოსტიუმის შეკერვას-მეთქი.

დოლი ვერაფერი მკერავი იყო — ქობას ვერ შემოიკაცავდა წესიერად. კეთონიცი, თუმცა კეთონის ვგონა, ყველაფრის გაკეთება შემიძლიანი, განსაკუთრებით ისეთ საქმეში გამოიღებდა თავს, რაც ყველაზე ნაკლებად ეხერ-



ზებოდა — ასეთი იყო. ვირენას სავაჭროში გამგზავნა და შეიღი იარღი სასუკეთესო შავი სატინა დამამარა.

— შეიღი იარღიდან, რაღაც ნაჭრები ხომ მანისე მორჩება, მე და დოლის ქვედა კაბების ამოსაქობავედ გვეყოფა, — თქვა მან და მერე ნამდვილი წარმოდგენა გამართა: დიდის ამბით ზომები ამიღო — სიგრძე-სიგანე გამიზომა. ეს თავისთავად ჭკვიანური პროცედურა იყო, მაგრამ კეთრინმა არ იცოდა მაკრატელისა და მატერიისათვის როგორ მოერგო ეს ზომები.

— ამ პატარა ნაჭრიდან, — იტყოდა კეთრინი და მთელ იარღს ჩამოღიწინდა. — დიდებულ ი მოკლე შარვალი გამოვა. აქედან კი — შნიპი, შნიპი, — მშვენიერი საყელო, ძალიან მოუხდება ჩემს ძველ ჩითის კაბას!

მოკლედ ჩემთვის ერთი ნაკუწილა დარჩა, ამითი ქონდრის კაციც ვერ დაიფარავდა სამარცხენო ადგილს.

— კეთრინ, გენაცავა, ჩვენთვის ხომ არა ვცდილობთ. — გაასუნებდა დოლი.

სალამომდე წელში არ გამართულან. მოსამართლე რომ მოვიდა, ნემსში ძაფის გაყრა დაავალეს — კეთრინმა თქვა, ამას ვერ ვიტანო.

— გამბეჭდავს ხოლმე, ასე მგონია ანკესზე მატლა ვაგებ-შეთქი!

გახშობის დროს გამოაცხადა — გვეყოფა, მოგრიეთო და თავის ჭოხში წაივია რომელიც მახვიარა ლობიოში ჩაფლულიყო.

მაგრამ დოლი ატყდა, ჩქარა უნდა მოვათავო. ენად გაიკრიფა. ნემსი ხან სატინაში შეძვრებოდა, ხან ზეგით ავარდებოდა და დოლის ფრაზები, მისივე გვირისტიკით, ზიზხავებს აეუთებდა.

— რას იტყვი, დამრთავს ვირენა ნებას, რომ წვეულება გაუმართო? ახლა ხომ ბევრი მეგობრები გვეყავს! რაილი, ჩარლი, მისის კანტონსაც ვთხოვდით, მოდს, ელიზაბეტს, არა? გაზაფხულზე ბაღში — პატარა ფეიერვერციც მოვაწყეთ. აი, მაშინვე იცოდა კარგი კერვა. ნეტა მე გამოშვოლოდა მისი ნიჭი! ძველად კაცებმა, ბევრმა იცოდა კარგი კერვა. მაშის ერთი შეგობარი ჰყავდა, აღარც კი მასსავე რამდენი ჭილღო მიიღო საბნების დალიანდაგებაში.

— მამა იტყოდა ხოლმე, ყანაში მძიმე შრომის შემდეგ, ამითი ვისვენებო. კოლინი ერთი პირობა უნდა მომეცე! პირველად წინააღმდეგი ვიყავი, რომ შენ ჩვენთან გეცხოვრა. მეგონა, კარგი არ იქნებოდა, ცრუმორწმუნე დედაბრებთან რა უნდა ბავშვს-მეთქი ვამბობდი, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, ახლა ეს უკვე აღარ მაწუხებს. შენ ხალხში გამოხატე, ბევრ რამეს მიადწვევ ცხოვრებაში. სიტყვა მომეცო, რომ კეთრინს კარგად მოეხერხებო. ეცადე, არ დაკარგო. ზოგჯერ მთელი დამე არა მძინავს, ფიჭვი არ მისვენებს, რა ეშველება მარტოდმარტო რომ დარჩება-მეთქი.

აბა, — დოლიმ ჩემი კოსტუმში აიღო, როგორ მოგვრგება.

უბეში მაკერდა, უკან კიდევ ისე იყო ჩამოკონწილულელი, როგორც მოხუცი კაცის გაწელილი ტრიკოტაჟის საცვალი.

ტოტები მეზღვაურივით ფართხენა ჰქონდა. ერთი სახელო მაყამდეც ვერა მწვდებოდა, მეორე თითებს მიფარავდა.

— მაინცადაამინც კობტად ვერ გამოვიდა, — გამოიტყდა დოლი. — მაგრამ, როცა ძვლებს დაეხატავთ... ევერცხლისფერი საღებავით, ვირენამ იყიდა ერთხელ, დროშის კოჭის შესაღებად. მანამ მთავრობას შემოსწყურებოდა. სხევეში იქნება სადმე — პატარა ქილაა. ერთი, საწოლის ქვეშ ჩემი ჩუსტების მომიძებნე.

ადგომის ნება ჭერ არა ჰქონდა — კეთრინიც კი არ დაანებებდა ამას.

— ასე თუ იბუზღუნე, რაღა სიამოვნება იქნება, — მოხბრა მან და თეთონ მოძებნა ჩუსტები.

სასამართლოს საათმა თერთმეტი ჩამორკეა, ესე იგი თერთმეტის ნახევარი იყო — გვიანი დამე იყო ჩვენი ქალაქისათვის, სადაც დარბაისელი ოჯახები ცხრა საათზე უკვე კატავენ კარებს. ისე მოგვეჩვენა, თითქოს უფრო გვიან იყო, რადგან მეზობელ ოთახში ვირენამ დაბურა თავისი დავთრები და დაწვა. თერთმეტის კარადიდან ლამა გამოვიღეთ და მბეჭტავ სინათლეს, ფეხაკრეფით შევედევით სხეენის კიბეს. ზეგით ციოდა. ლამა კასრზე დავდეთ და ვცდილობდით მასთან ახლოს ვყოფილიყავით, თითქოს ლამა კი არა, თბილი ვერია ყოფილიყოს. ჩვენ ვეძებდით და ნახერხით გამოტენილი თავები, ერთ დროს რომ კანოტიტქულების ვაჭრობას უწყობდნენ ხელს, აქტი იქიდან გვითვალთვალდნენ. რამეს რომ შევახებდით ხელს, მაშინვე პატარა, მსუბუქი ფეხების ფაჩუნს გავიგონებდით. ნაფტალინის ყუთი გადვებარუნეთ და ბურთულები ხმურით დაგორდნენ იატაკზე.

— დმერთო ჩემო, — გაეცინა დოლის, — ვირენამ რომ გაიგოს, შერიფს გამოიძახებს.

ქვეყნის ფუნჯები ვიბოვეთ. საღებავი სადღესასწაულო გირლიანდების ქვეშ აღმოვაჩინეთ, მაგრამ ვერცხლისფერი კი არ გამოვდა, ოქროსფერი იყო.

— ეს უფრო ლამაზი იქნება, არა? ოქროს რა შეედრება! უი, ნახე, რა ვიბოვე. — ფეხსაცმლის კოლოფი ეჭირა ხელში, ზედ კანაფი ჰქონდა შემოხვეული. — ჩემი განძი.

ყუთი ლამაზთან მიიტანა და გახსნა. ლამაზის მბეჭტავ სინათლესთან ჭერ ცარიელი ფიჭვის ნატეხი მიიტანა, მერე კრახანის ბუდე, ფორთოხალი, რომელშიც გახშმარი მიხაკები იყო

ბრწყინ აკაოზი
ბაღსანის სიმღერა

გარკობილი და სურნელება დაკარგოდა, მერე ავანში ჩადებული კაპკის ევერცხი მაჩვენა.

— ძალიან პრინციპული ვიყავი. — ისე რომ, ეს ევერცხი კეთრინმა აწაბნა ჩემთვის — შობას მაჩუქა. — დოლის გაელიმა. მომჩვენა, რომ მისი სახე ლამაზთან მოფარავთე ფარგანა იყო, ისეთივე ნაზი და გაბედული გამომტყველება ჰქონდა. — ჩარლიმ თქვა, სიყვარული ვატაცებების უსასრულო ჯაჭვიაო. მგონი შენც უსაშენი მამინ და მიხვდი. იმიტომ რომ, თუ ერთხელ მაინც შევიყვარდა რამე—ისე სასობელი ეპირა ხელში ცისფერი კვერცხი, როგორც მაშინ მოსამართლეს ფოთოლი.

— მეორედაც შევიყვარდება სხვა რამე და ეს უკვე შენი საქუთრებაა, მაგითი შეგიძლია იცხოვრო და ისტადგმულ. ყველაფერს პატრიება შეგატლება. ეკ, — ამოიზარა დოლიმ, — სულ არ დამავიწყდა, ჯერ ხომ არ შემიღებინა. კეთრინი უნდა გავაკერო: უთხრათ, რომ სანამ გვეძინა, ქონდრის კაცებმა მოთავეს შენი კოსტუმი. ქუთას დაკარგავს, კრუნჩხავს დაწყებინებს.

სასამართლოს საათმა ისევ გავუწყა დრო. ყოველი ნოტი დროშასავით ირხეოდა გათოშლი, მინარე ქალაქში.

— ვიცი, რომ გელიტინება, — მეუბნებოდა დოლი და თან ჩემს მეკრდზე ოქროს ნეკნებს ხატავდა. — მაგრამ წყნარად იდექი, თორემ სულ ავურდავერეე ყველაფერს. — მერე ფუნჯი საღებავებში ჩააწო და სახელოებზე და შარვლის ტოტებზე დამისვა, ჩემი ხელფების ოქროს ძველები დახატა. — აუცილებლად დაისხამე ყველა ქათინაური, რასაც გეტყვიან: ქათინაურებით კი ნამდვილად ავაგებენ. — თქვა მან და ამაყად შეათვლიერა თავისი ნამუშეაური. — დემრათო ჩემო! — დოლი უცებ ორად მოიკეცა და მისი სიცილი მხიარულად იტყვიდა სხვენის კოჭებს შორის. — ხედავ რა...

მართლაც იმ კაცს ვგავდი, რომელიც იატაკის ღებვის დროს კუთხეში მოიმწყვდევს თავს. მეკრდი, ზურგი, ყველაფერი ახალშეღებილი მქონდა ოქროს საღებავით და ისე ვიყავი შემწყვდეულში კოსტუმში, როგორც მხებში, ვსაყვადურე კიდეც დოლის: ხელი გავიშვირე მისკენ.

— იტრიალე, იტრიალე, — განგებ მახელებდა დოლი, — იტრიალე და ჩქარა გაშრები. — მერე განცხრომიტ გაშალა მკლავები და ნელა, მოტქნელად დატრიალდა სხვენის იატაკზე გაწოლილ ჩრდილებზე. სადა კომონი უფროალებდა და გამხდარ ფეხებს ჩუსტებში აფრატუნებდა. უცებ, თითქოს თავის პარტნიორს შეეცახაო, წაიბორბოცა, ერთი ხელი შეუბლზე იტაცა, მეორე გულზე.

შორს ხმაურის პორიზონტზე მატარებელმა დაიშტვლა და მაშინ შეენიშნე, რომ თვალს დახეულად ახამხამებდა, სახე კრუნჩხისაგან უტაცახებდა. ხელები შემოვხვიე და

ჩემი ოქროს ნეკნები დოლის ხალხზე ბეჭდა.

ვირენას დაეფწყე ძახილი; —ვირენა! არავინა ხართ! მომეხმარეთ!—დოლიმ ჩამჩურჩულა:

— ჩუმად, ახლა, ჩუმად! ერთბაშად გაიხახახებული სახლი დამით, კატასტროფას გვაუწყებს. კეთრინი ოთახიდან ოთახში დაფრატუნობდა და წლობით აღნთებულ სინათლებებს ანთებდა. კოსტუმი ერთიანად ამეთხიზნა, აკანკალებული ვიჯექი გაიხახახებულ დერფანში, მოსამართლის გვერდით —როგორც კი ვაგო, მაშინვე მოიბრბინა, ფლანელის ღამის პერანგზე საწვიმარი ჰქონდა წამოსხმული და ვირენა რომ გამოვივლიდა, ყმაწვილი ქალივით მალავდა ტიტველ ფეხებს. ნენმა ვაბდღეიალებულმა სახლმა მეზობლებში მოიხილა, ჩურჩულით კითხვობდნენ, რა მიხბდაო. ვირენა ვერანდაზე გავიდა და უთხრა: ჩემ დას, დოლის, დამბლა დაეცაო. ეჭმი კრეტერი არავის არ უშვებდა დოლის ოთახში და ყველნი დავემორჩილეთ, კეთრინიც კი: უჯანყენელი სინათლე რომ ჩართო, დოლის ოთახთან მივიდა, კარს შუბლი მიადო და ასე დარჩა.

პოლში უამრავ კაუჭებიანი ქუდების დასაკიდი იდგა, იქვე სარკეც ეყიდა. შიხს ამოსვლისას, როცა მთელ სახლს მსუბუქმა ნიავმა დაურბინა, სარკემ დოლის ქუდის აფრიალებული ვუალი არეკლა.

და მაშინ ნამდვილად მივხვდი—დოლიმ მიკვატოვა. რამდენიმე წამის წინ უჩინარმა, გვერდით ჩამეჭროლა და მეც, ჩემს წარმოდგენაში თან გავეციე. ქალაქის მოედანი გადასურა, ეკლესიას ჩაუარა და აი, უკვე გორახზეა, ძირს ინდური ბალახი ღდის — წწორედ ეს გზა დარჩა გასაგლელი.

სწორედ ეს გზა გამოიარეთ მე და მოსამართლემ მომდევნო წელს, სექტემბერში. მთელი წელი არ გვენახა ბრთმანეთი. ერთხელ მოედანზე შემხვდა და მიხხრა — როცა მოგესურვოს, შემოიარეო. მართლაც ვაპირებდი მისვლას, მაგრამ მის ბელის სახლს რომ ჩაუტყლიდი, მხერა მეორე მხარეს გადამქონდა.

სალაქ წამიეთხავს ადამიანის სიცოცხლე — წარსული და მომავალი —სპირალიაო: ყოველი ხვეული მომდევნოს შეიცავს და მის მომავალ გზას განსაზღვრავსო. იქნებ ასეც არის. მაგრამ ჩემი სკუთარი ცხოვრება რამდენიმე მკვიდროდ შეკრულ რგოლად წარმომიდგება, რომლებიც სპირალის ხვეულებივით თავისუფლად როდი გადადიან ერთმანეთში: ერთი რგოლიდან მეორეში გადასვლა ჩემთვის ყოველთვის ნახტომია და არა გადაკურება. უმოძრაობა ნახტომსა და ნახტომს შორის — იმ წუთის მო-



ლოდინი როცა მეცოდინება ზუსტად საღ გადავხტე — მადუნებს ხოლმე. დოდის სიყვდილის შემდეგ, დიხანს ვიყავი ცაში გამოკიდული.

მხიარული ცხოვრება მომინდა.

სულ ფილის კაფეში ვტრიალებდი, ავტობატურ ბილიარტთან, სადაც მოგება ერთი ტოლჩა ლული იყო, კაფეს ხარჭზე. ჩემთვის ლუდის მორთმეცა კანონის დარღვევად ითვლებოდა, მაგრამ — ფილი ფიქრობდა, რომ როდესმე ვერანას ფული მე მერგებოდა შემყვიდროებით და სასტუმროს გახსნაში დავეხმარებოდი. თანაც ბრილიანტინ გადასმული მეზობელ ქალაქებში დავდიოდი საცეკვაოდ და გვიან ღამით გოგონების ფანჯრებს ჭიბის ფანარს ვანადებდი. ერთი ზანგი გავიციანი სოფელი, საცუთარ ჭინსა ხდიდა და ჰყიდიდა — ყუიეთელი ეშმაკი“ ერქვა სასმელს. ვისაც მანქანა ჰყავდა ყველას ველაქტებოდი.

ასე იმიტომ ვიცეოდი, რომ რაც შეიძლება ნაყოფიერად დავარჩენილიყავი ტელზოს სახლში. სახლი ჩახუთული იყო, პაერი არ იძროდა. სამზარეულოში უცხო ადამიანი ტრიალებდა — ზანგის გოგო, რომელსაც ფეხის თითები მტრედვით მოკრუნხული ჰქონდა. მთელი დღე მდებროდა, შემინებული ბავშვივით, რომელიც თავს იმხნევეს ხოლმე უცხო, პირქუშ სახლში. ვერაფერი მზარეული გამოდგა. ჩვენს გიორგილასაც ვერ მოუარა და გაახშო. მე დავეთანხმე ვიერნას, როცა ამ გოგოს აყვანა გადასწყვიტა, ვიფიქრე კეთრინი ისევ მოჰკიდებს ხელს საქმეს-მეთქი. მაგრამ, თქვენც არ გამოიკედეთ. კეთრინმა არავითარი სურვილი არ გამოთქვა ახალი გოგოსთვის რამე ესწავლებინა და თავის სახლში გადაბარგდა, ბოსტანში რომ ედგა. თან ზადიოც წაიღო და ძალიან მყუდროდ მოჰყყო.

— მე მოვიხსენი ჩემი ტვირთი და მეტად აღარც ავიკიდებ. უსაქმურობა მომინატრა — გამოგვიცხადა მან.

უსაქმურობისაგან გასტყდა. ფეხები რუშუბებით გაუხდა — იძულებული გახდა ფეხსაცმელები ჩაეჭრა. დოდის ჩვეულებები გადაიღო და უკიდურესობამდე მივიყვანა. ტუბილულის მოყვარული ვახდა; ვახშობი, აფთიაქიდან ორი კვარტი ნაყინი მოჰქონდათ ხოლმე მისთვის. ჭიბეში მუდამ კამფეტის ქალაღები უშრიანლებდა. სანამ სულ არ გასივდა, როგორღაც ახერხებდა და ეცეხებოდა დოდის კაბეში, — თითქოს აშითი მეგობართან კაქშირის ინარჩუნებდა.

კეთრინთან მისვლა დიდი სატანჯველი გახდა ჩემთვის. უხალისოდ მივდიოდი, გბრაზობდი მე რატომ უნდა გვაერთო-მეთქი. ჯერ ერთ დღეს არ მივედი, მერე სამი დღე გამოვტოვე და მერე მთელი კვირა. ბოლოს, როცა ვესტუმრე, დიხანს ჩუმაღ ვისხედით და ამ სიჩუმითა და ჩემდამი ავადებული დამოკიდებუ-

ლებით კეთრინი საყვედურს მიცხადებდა, ხანდისი მებნჩინდა და სიმართლეს ვერა ვხედავდი: კეთრინისთვის სულერთი იყო, მოვეფუძლეთ თუ არა. ბოლოს მაგრძნობინა კიდევ: უბრალოდ, აიღო და ბამბის ბურთულები გამოფურთხა. უბურთულებოდ მისი ლაპარაკი ისევე გაუგებარი გახდა ჩემთვის, როგორც წინათ სხვებისთვის.

ეს მაშინ მოხდა, როცა მე რაღაც მოვიმიზეზე და წასვლა დავაპირე. თავის გაბერილ ლენელს ხუფი მოხადა და ცეცხლში ვადაფურთხა ბამბის ბურთულები. ლოყანი ჩაუცვივდა და გაწამებული სახე ვაუხსდა. ახლა შესმინი — საყვედური კი არ გამოთუქვამს აშითი, უბრალოდ მიმბეჭდრა, განთავისუფლებ, ამის შემდეგ ვალდებული აღარა ხარ ჩემთან იაროო: აწჯობინა, თავისი მომავალი არავისთვის არ გაეზიარებინა.

ზოგჯერ რაილი მომიყვანდა ხოლმე შინ თავისი მანქანით, მაგრამ მინცლაშაინც არც მისი იმედი მქონდა და არც მისი „აღფისა“. რაც ბიზნესმენი გახდა, ორივენი სულ აქტუ-იტით დაქრდნენ. ქალაქგარეთ თთხმოცდაათი აკრი მიწა იყიდა და ახლა უამრავი ბუღლოზბერი სწმენდა ამ ადგილს — გაშენებას აპირებდა. ჩვენს ბობოლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რაილის მეორე გეგმამაც: ქალაქის ხარჭზე პარეშუმსაქსოვი ქარხნის გაშენება უნდოდა, ისე რომ ქალაქის ყველა მცხოვრები მუშაო უნდა გამხდარიყო. მოსალოდნელი შემოსავლის გარდა, ქალაქის მოსახლეობაც გაიზრდებოდა, ამბობდა რაილი. ამ პროექტის თაობაზე „კურიერმა“ აღფრთოვანებული სარედაქციო სტატია დაბეჭდა. სტატიამი ეწერა — ქალაქმა უნდა იამაყოს, რომ ასეთი ფხიანი მოქალაქე აღზარდაო, რაილიმ ულვაში მოუშვა და კანტორა დაქირავა, მდივნად თავისი და, ელიზაბეთი დასვა. მოდ როორღანი ჩვენი შტატის უნივერსიტეტის მუსიკალურ სასწავლებელში ჩაირიცხა და თითქმის ყოველ შაბათს რაილის დები მოდის სანახავად მიჰყავდა მანქანით. ივულისსმებოდა, რომ ამას გოგონების სათრით-აკეთებდა, რომლებსაც ძალიან ენატრებოდათ მეგობარი. მისს მოდ როორღანისა და მისტერ რაილ ჰენდერსონის დანიშვნის ცნობა „კურიერმა“ პირველ აპრილს — ტყუილების დღეს — გამოაქვეყნა.

ეგნისის შუა რიცხვებში, საქართველის წინ, საქორწინო ცერემონიის თანახმად ბეჭდები გაცვალეს. მე მოდის ხელისმომკიდე ვიყავი, მოსამართლე — რაილისა. დები ჰენდერსონების გარდა, მოდის მეგობრები ყველანი უნივერსიტეტიდან იყვნენ. „კურიერმა“ მათ „შუენიერი დებიუტანტებმა“ უწოდა — ჰემმარიტად რა-

ტრუშინი კაპობი
ბალახის სიღმარა

ინდული თავაზიანობა გამოიჩინა. დედოფალს ესმინებოდა და ისამინის თაივული ეჭირა. ნეფეს გამაშები ეცვა და წამდაღწუმ უღვავებზე ისგამდა ხელს. მაგიდა სავეე იყო საქორწილო საწებტრებით. მე ეჭვსი ნავერი სურნელოვანი საპონი და საფერფლე მივართვი.

ქორწილის შემდეგ მე და ვირენა ერთად წავედით შინ, მისი შავი ქოლგა ორივეს გვიჩრდილებდა.

საშინლად ცხელოდა. პაანაქება ტალღებად იღვრებოდა, როგორც ბაპტიტების ეკლესიის ზარის სახეიმო ხმები. უსხარულო და ამ შეუდლის სიციხისაგან უკაცრიელ ქუჩასავით უსიციოცხო ზაფხული წარმომდგა თელწინ. ჯერ ზაფხული, მერე ისევ შემოდგომა და ისევ ზამთარი. არა, სპირალი კი არა, ჩავეტილი წრეა, აი, როგორც ამ ქოლგის ჩრდილი. თუ როდესმე ვადაბტომა მომელის... გულმა რეჩხი მიყო და ვადავტო.

— ვირენა, წასვლა მინდა.

ქიშკართან ვიდექით.

— მესმის, მე თვითონაც მინდა, — თქვა მან და ქოლგა დახურა. — სულ ვნატრობდი დოლისთან ერთად ემოგზაურებ-მეთქი. მინდოდა ოკეანე შეჩვენებინა.

წინათ ვირენა მაღალი ჩანდა, ამავი შესახედაობის გამო. ახლა მხრებში მოხრილიყო, თავის კანტური დასჩემდა. მივიკრდა კიდეც, როგორ მეშინოდა მისი ბავშვობაში. უფრო ქალღერის ვახდა, მხდალი, სულ გაქურდვისა ეშინოდა, კარებზე უამრავი რაზა გაავეთებინა, სახურავზე კი მებთამრიდები. ადრე ჩვეულებად ჰქონდა, ყოველი თვის პირველივე დღეს ჩამოვიღოდა და თავისი ხელით კრეფდა ვადასახადებს, რაც თვითონ ეკუთვნოდა; და როცა უღალატა თავის ჩვეულებას, ხალხი აღელდა, უხერხულად იგრძნეს თავი, თითქოს მოაკლდათ ჩვეული შავი დღე. ქალები ამბობდნენ ეს იმიტომ დავმართა, რომ ოჯახი არა აქვსო; დის სიკვდილის შემდეგ აერია ყველაფერიო, კაცები დოქტორ რიტცს აბრალებდნენ: ამან გამოფიტა, რაც ქვეა და მოსაზრება ჰქონდა, სულ გამოაცალიო და თუმცა, წინათ ვირენას ეჩხუებობდნენ. ახლა დოქტორ რიტცსა ჰკიცხავდა ყველა.

სამი წლის წინ, როცა ისევ ჩემს ქალაქში დავბრუნდი, გადავწყვიტე პირველ რიგში ტელბოს ოჯახის საბუთები მომგვეარებინა და ვირენას პირადი საბუთების დათვალიერების დროს, ვასალებსა და მოდი-ლორას სურათებს

შორის ღია ბრათი ეიპოვე. პარავალიდნი იყო გამოგზავნილი, საშობაოდ, დოქტორ რიტცს წინაშე უნდა წაეკითხა ღიანი ორი თვის შემდეგ.

„ბედნიერ შობას გისურვებ — როგორც აქ ვამბობთ, ხოლმე, სამხრეთში. არ გენატრები? მორისი“. აჰას რომ ვკითხულობდი, ვავიფიქრე, ბოლო დროს ვირენა სულ აელმებდა თვალებს და რა დიდი ტანჯვა გამოსკვიოდა ამ თვალბეშში, რომლებიც შვიგით, სულში იმზირებოდნენ და გამახსენდა, რომ მაშინ ჰქიშკართან, აუტანელი სინათლისგან აცრემლებული თვალები ერთი უფოთი გაუსწორდა და შიგ იმედმა ვაი-ელაა:

— ჩვენ შეგვიძლია დიდხანს ვიმოგზაუროთ. სწორედ ამასწინათ ვიფიქრე რამეს გავყიდი-მეთქი... ჩემი ქონების ნაწილს. გემით ვავისეირნებდით — შენ ხომ ოკეანე არ გინახავს...

ღობიდან ცხრატყავის ტოტი გამოავაძრე და ფოთლების გლეჯა დავიწყე, ვირენა თვალს მადვენებდა, თითქოს იმის ოცნებას, ჩვენი ერთად გამგზავრების იმედს, ვგლეჯდი.

— ო-ო... — ხალზე მოისვა ხელი, რომელიც ლოყანე ცრემლივით უბზინავდა. — კეთილი, — თქვა მან საქმიანი კილოთი. — მამ, რას აპირებ? რა გეცემები გაქვს?

მოსამართლეს სექტემბრამდე ვერ ვესტუმრე, მაშინაც გამოსამშვიდობებლად მივედი.

ჩემოდნები ჩალაგებული ჰქონდა, ამოსღეგრენდმა გამკრება („ჩემო ფისო“ თმას ვაფუტობილი, მელოტი არ დაბრუნდე. მე ის მინდა ეთქვა, რომ იქ შეეცდებიან ტყავი ვაგაძრონ, ვაგაამპულონ“); ახალი კოსტუმი შეცვა, ახალი ფეხსაცმელი, ნაცრისფერი, ფარფლებიანი ქვედი მეხურა, „ავ თვალს არ დავნახებებით, მისტერ კოლინ ფენვიკ! — ამ სიტყვებით შემხვდა მისის კაუნტი. — ადვოკატომა გადაწყვიტეთ? გამოწყობილხართ კიდეც ადვოკატოვით. არა, შევილო, არ ვაკოცებ, ვაგვიცედები კიდეც, ასეთი მშვენიერება ჩემი ცოპით რომ დავსვარო! მოიწერე ხოლმე, გესმის?).

იმავე საღამოს მატარებელს უნდა წავეყვანე ჩრდილოეთისაკენ. დიდი ზარ-ზეიმით ვადამატარებდა მთელს ქვეყანას და იმ ქალაქში ჩამიყვანდა, სადაც ჩემს პატივსაცემად უკვე დროშები ფრიალებდნენ.

მისს ბელადს მითხრეს, მოსამართლე შინ არ არისო. მოედანზე ეიპოვე და რომ დავინახე გული მეტყინა. ღონიერი, მხარვაშლოო, ელვანტური კაცი იყო, სადილეში პატარა ვარი



გაერქო, დაჩაჩანაკებულ ბეროკაცებში ჩმჭდა-
რიყო, რომლებსაც სხვა არაფერი დარჩენიათ,
გარდა იმისა რომ სხედან, ლაყბობენ. იფურ-
თხებიან და ელიან. ზელი მომკიდა და იქი-
დან წამოყვანა. მანამ მეგობრულ დარიგებებს
მაძლევდა და თავის სტუდენტობას იგონებდა,
ეკლესიას ჩავუარეთ და სანაპირო ტყის გზას
დავადექით. ეს გზა და ეს ჰადარი... მაშინ თვა-
ლები დავხუჭე, რომ თან წამელო მათი გა-
მოსახლება — რას ვიფიქრებდი, რომ ისევ
დავბრუნდებოდი, რომ ჩემი ფიქრები მუდამ
ამ გზაზე იგლიდნენ, რომ მანამდის ვიოცნებებ-
დი ამ ჰადარზე, სანამ ეს ოცნება ისევ აქ არ
მომიყვანდა!

თითქოს ვერც კი ვამჩნევდი, საით მივდი-
დი. გაკვირვებულებმა უხმოდ გადავხედდნენ
საფლავს გორაკიდან ძირს გადაშლილ სანახა-
ობას და ხელიხელ გაყრილები ძირს დავეშვით,
ინდური ბალახით დაფარულ მინდორში, რომე-
ლიც სექტემბერს ნაირფრად მოეხატა და სიც-
ხისაგან იწვოდა. ფერების ჩანჩქერი გადმო-
ფრქვეულიყო სიცხისაგან გამომშრალ, აქლერე-
ბულ ფოთლებზე და უცებ ვინატრე, მოსამარ-
თლესაც გაევონა ის, რაც მე დოლომ მითხრა:
ეს ბალახის ჩანვია, აგროვეს ჩვენს ამბებს და
დღედაღამ ჰყვება სხვადასხვა ხმაზე აქლერე-
ბული ჩანვი.
ჩვენ ვუსმენდით.

ინგლისურიდან თარგმანა
პალენტინა ტატიშვილმა

მთარგმნელისაგან

ტრუმენ კეპოტი (დაიბადა 1924 წ.) თანამედროვე ამერიკული
ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი
პირველი ნაწარმოები 1948 წელს გამოვიდა, მას მოჰყვა მოთხრო-
ბების რამდენიმე კრებული, „ბალახის სიმღერა“ პირველად 1951
წელს დაიბეჭდა და მწერლის პოპულარობაც ამის შემდეგ კიდევ
უფრო გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ამ მოთხრობის ინსცენირება
მთელი ორი წლის განმავლობაში წარმატებით გადიოდა ბროდვეის
ერთ-ერთ თეატრში. მისი მოთხრობები ზიზღავს ადამიანს დიდი
უშუალობითა და სისადავით, სოციალური სიმახვილით.

საქართველო ერთი მკლე ქაქვირი ქვერი

ზილიკე მახარაძე

აღამიანები მიდიან ლენინთან

ღუღამიწაზე ყველაზე ადამიანური...
ეს ნათქვამია უკვდავ ლენინზე.
და ციხისუბნებში რა ამ სტრუქტურებს დიად ადა-
მიანზე შექმნილი პოემებიდან, უნებლიედ ვა-
ფართოვებთ პოეტური მეტაფორის ჩარჩოებს.

ნამდვილად, ყველა ცოცხალზე ცოცხალია
იგი, იმიტომ რომ ლენინური აზრი, ლენინური
ენერჯია, ლენინური სიმაართლე, გამრავლებულ-
ლი მილიონებისა და მილიონების სიცოცხლე-
ზე, გადაქცეული უამრავ ადამიანთა ბედის გან-
მსაზღვრელ ძალად, მრავალჯერ გამეორებული
რევოლუციური თაობათა შეგნებულ საქმიანო-
ბაში, შეუმურავი და ჩაუტკობელია.

ლენინი თვითვე ჩვენთაგანშია, ჩვენს ცხო-
ბეებში, აზრებსა და ქცევაშია.

დრომ უბასუხა ლენინურ ლოზუნგებს, ილი-
ჩის ანდერძთაგან მრავალი აქცია ყველას და
თვითველის საქმედ, ცხოვრებად, პრაქტიკულ
სახელმძღვანელოდ.

და იქცა რა მოსწრებულ გამოთქმად „ვიც-
ხოვროდ ლენინურად“, მან ხანგრძლივი დროით
მოიპოვა კონკრეტული აზრი: ახალ რევოლუ-
ციონერ მებრძოლთა მილიონების ენერჯითა
და გონებით, ბოლომდე მივიყვანოთ საქმე,
რომელსაც მოახმარა მთელი სიცოცხლე ლე-
ნინმა.

დროის მოწოდებას, მოთხოვნას — „ვიცხო-
ვროდ ლენინურად“ დღესაც ვიმეორებთ, მაგ-
რამ ვიმეორებთ არა როგორც სახეიშო ვანც-
ხადებას.

ჩვენ გვსურს, რომ ყოველმა ჩვენგანმა კი-
დეც ერთხელ შეამოწმოს თავისი ცხოვრება
ილიჩისებურად — საქმით, ყოველდღიურობის
გაწამაწილაში, სერიოზულ ადამიანურ კონფლი-
ქტებში და მტრებთან შერკინებაში.

ჩვენ გვსურს, რომ ლენინური შემკვიდრეობა
მთელი მისი მრავალფეროვნებით იქცეს ცოც-
ხალი აზრის ახალ წყაროდ, ზნეობრივი გმირო-
ბის მავალითად.

ჩვენ გვსურს, რომ მარად გვახლდეს თან
ლენინური რჩევა, რათა იგი აღრმავებდეს
ჩვენს ძალებს, კვლავ და კვლავ იყოს თასდაუ-
ღებელი ცხოვრებისეული გაკვეთილი.

რადგან „ვიცხოვროთ ლენინურად“ ნიშნავს,
უწინარეს ყოვლისა, ვისწავლოთ ლენინისაგან
ქცევის რევოლუციური ლოკია, შევითვისოთ
სიმაართლის ლენინური გაკვეთილი, რათა შემ-
დეგ საფუძვლიანად შეიარაღებულნი ჩადგეთ
რევოლუციონერ მებრძოლთა ახალი თაობის
მწყობრში.

სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ განთიადის ბინდ-
ბუნდში იმართება კრემლის კედლებთან წარ-
მოუდგენლად გრძელი რიგი. ანუ ყოველდღიუ-
რად დაუვიწყარი 1924 წლის იანვრიდან.

მილიონებმა წელი ნაბიჯებით განვლეს ეს გუ-
ლის მოწოდებით ნაკარნახევი, მღუმარე და
უჩვეულოდ მოკრძალებული რიგი, რიგი —
ლენინთან.

მოდიან ისინი, ვისაც კი წილად ზედა მონა-
წილეობა მიეღო საბჭოთა ხელისუფლებისათ-
ვის ბრძოლაში, ენახა ცოცხალი ლენინი და
მოესმინა მისთვის.

მოდიან ისინი, ვინც ძლევდა ნგრევებს, შიმ-
შილს, სიღატაკეს, რაც ინტერვენციამ და სა-
მოქალაქო ომმა დაგვიტოვა, ვინც სამირაკველს
უყრიდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას,
კოლექტივიზაციას, მის ახლანდელ ძლიერებას.

მოდიან ისინი, ვისაც წილად ზედა სასტიკი
ბრძოლა ფაშისტურ ურდოებთან, რომლებიც
ცდლობდნენ ამოეწყვიტათ და დაემონებინათ



საბჭოთა ხალხი, წაერთვით მისთვის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მოდინ ისინი, ვისი თვადანებთაც ზღაპრულად მოკლე ვადაში იქნა აღდგენილი ნაცარტურადქცეული სოფლები და ქალაქები. მოდიან სავსებით ახალგაზრდები, ვინც მამათა საქმე უნდა განაგრძოს.

თვითელი მოდის თავისი იღუპალი ფიქრით ლენინზე. მაგრამ თვითელს გულში ერთი და იგივე სახეა იმისა, ვინც თავისი აზრის ვიგანტური მუშაობით სულიერად გამდიდრა კაცობრიობა.

სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობა იღებს ისტორიულ გადაწყვეტილებებს: „სსრ კავშირის II სრულიად საკავშირო ყრილობა ადასტურებს საბჭოების XI სრულიად რუსეთის ყრილობის ქვემომოყვანილ 1924 წლის 22 იანვრის დადგენილებას:

„მოსიმიან რა აშხ. კალინინის ცნობა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების შესახებ, საბჭოების XI სრულიად რუსეთის ყრილობა ადგენს:

21 იანვარი გამოცხადებულ იქნას გლოვის დღედ“:

ყრილობამ მიიღო აგრეთვე დადგენილება № 3. ი. ლენინის საფლავის შესახებ“.

ყრილობა ამტკიცებს სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1924 წლის 25 იანვრის შემდეგ დადგენილებას:

„ოთვალისწინებს რა სურვილს, გამოთქმულს მრავალი დელეგაციის მიერ და სსრ კავშირის ცაკში გამოგზავნილ მიმართებებში, იმ მიზნით, რომ ყველა მსურველს, რომლებიც ვერ მოასწრებენ ჩამოსვლას მოსკოვში დაკრძალვის დღისათვის, მიეცეს შესაძლებლობა გამოეთხოვოს საყვარელ ბელადს, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. კუბო ვლადიმერ ილიას ძის ნეშტით დაცულ იქნას აკლამაში, ეს უქანასენელი კი გაეთლას ისე, რომ მნახველებს შეეძლოს შესვლა.

აკლამა აივოს კრემლის კედელთან, წითელ მოედანზე, ოქტომბრის რევოლუციისათვის მებრძოლ ძმათა საფლავებს შორის“.

ხელს აწერენ: სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობის თავმჯდომარე — მ. კალინინი, სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობის მდივანი — ა. ენუქიძე.

მაგზოლუქში ყოველთვის ისეთი როდი იყო, როგორც ახლანდელი ისტორიის დაუფიქარი ფურცლები მოგვითხრობენ:

1924 წლის იანვრის სუსხიან ღამეს წითელ მოედანზე ნელა მიბაიჯებდა ადაშიანი. გეგონებოდათ, ვერ ამჩნევდა ვერც მთოშავ ყინვას, ვერც სამგლოვიარო აღმებს შენობებზე; დაფინებით უცქერდა კრემლის მძლავრი კედლე-

ბისა და მაღალი კოშკების შვეტილურ ვასილის ტაძრისა და ისტორიული მუზეუმების ვეება ნაფებობებს, იფიქრებდით, ეს ადამიანი მათ პირველად ზედვასო, მაგრამ ცნობილმა მეთოთმოდვარმა ა. ვ. შუტსევმა მშვენიერად იცოდა წითელი მოედნის ისტორია...

ნახევარი საათის წინ საბჭოთა მთავრობამ მას მისცა სასწრაფო და პასუხსაგები დავალება — დაუყოვნებლივ შესდგომოდა მავზოლუქმის დარბოქტებს და მშენებლობას წითელ მოედანზე.

დრო ძლიერ შეზღუდული იყო, დასაფლავებამდე სამი დღე რჩებოდა.

დილის 4 საათზე არქიტექტორმა დაამთავრა ესკიზი.

პროექტი დილაადრიან დამტკიცა მთავრობის კომისიამ.

25 იანვრის მშენებლობაზე მოვიდნენ უნგრული კომუნისტები, მათი შესანიშნავი ხელმძღვანელის ბელა კუნის მეთაურობით. გამოიხდნენ პოლონელები, ავსტრიელები, ფინელები. ეს იყო ყველაზე სამწუხარო, ყველაზე სულისდაფლეთი სამუშაო—ყველა ქვეყნის პროლეტარები აკლდას უგებდნენ თავიანთ უცდავ ბელადს.

26 იანვრის, ღამით, მოსკოვში ყინვამ 28 გრადუსს მიაღწია. კოკონები თოქმის ვერ შევლოდა საქმეს.

სამუშაო ვადაზე რომ დაემთავრებინათ, ადამიანები ორ-ნახევარი დღე-ღამის განმავლობაში ფეხმოუცვლელად მუშაობდნენ. ღამის სამ საათზე მათ უქანასენელი ლურსმანი დაასვეს, მაინც დილის 7-8 საათამდე გაგრძელდა მუშაობა.

27 იანვრის, რიერაზე, ყველაფერი მზად იყო, შვად მოჩანდა წარწერა, „ლენინი“.

მშენებლებმა მავზოლუქში დატოვეს, როცა წითელ მოედანზე შემოდიოდა საპატიო სამხედრო ესკორტი, რომელიც უქანასენელ გზაზე მიაცილებდა დიდი ბელადის ცხედარს.

საათმა სპასკის კოშკზე დაუკრა „ინტერნაციონალი“, ლენინის უახლოესმა მეგობრებმა და თანამებრძოლებმა ასწიეს კუბო სამუდამოდ დაძინებული ბელადის ნეშტით და ნელა დაიძრნენ მავზოლუქმისაკენ.

გაისმა ქვემეხთა ყრუ ბათქი — გამოსათხოვარი ხალხები.

კუბო ბელადის ცხედრითურთ ნელა გაკურდა მავზოლუქმის შესასვლელთან გადაჯვარდინებულ სამგლოვიარო აღმებს შორის. ნელა დაუშვეს კუბო მიწისქვეშა სამგლოვიარო დარბაზის ცენტრში, სპეციალურ კვარცხლამეზე, და გადააფარეს რკმ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და კომინტერნის წითელი დროშები.

ფილიპე მახარაძე
 აღამინამი მიღიან ლენინთან



ეს საბრძოლო დროშებზე არასოდეს არავის წინაშე არ დახრილა და ყოველთვის ფრიალებდნენ მოიეროშე მუშათა კლასის წინ. და აი, მრავალ გამარჯვებათა დიდებით შემოსილი ეს დროშები სათუთად გადაეფარნენ პროლეტარიატის უდიდეს სარდალს..

პირველი მავზოლეუმი ოდნავ ჰგავდა ახლანდელს. მიწის ზედაპირს სცილდებოდა მუჭ-რუხი კუმბო, რომელიც მთავრდებოდა მცირე სამსახურებიანი პირამიდით, კრემლის კედლების გასწვრივ, მავზოლეუმის ირგვლივ, თოვლზე, და საფეხურებიან სახურავზე ეწყო ასობით გვირაგინი, რომლებსაც ჰქონდათ წარწერები ევროპისა და ამერიკის, აფრიკისა და აზიის 54 ენაზე. თენახევაში ბელადის ნეშტი ინახულა 100 ათასზე მეტმა ადამიანმა.

თებერვალში შჩუსევმა მიიღო ახალი დავალება: გადაეკეთებინა მავზოლეუმი ისე, რომ მისთვის მოემდებურა, არქიტექტურულ-მხატვრული ფორმა მიეცა, 21 თებერვალს მთავრობის კომისიამ დაამტკიცა მის მიერ წარდგენილი პროექტი.

1924 წლის გაზაფხულზე დაიწყო ხის ახალი მავზოლეუმის შენება. 1 მაისისათვის აღიშართა მუქი ყავისფერი აკლდამა. იგი ძლიერ ჰგავდა ახლანდელს, გრანიტისას. 1924 წლის 1 აგვისტოს მავზოლეუმი გაიხსნა მნახველთათვის.

1929 წელს საბჭოთა მთავრობამ დაადგინა: აგებულიყო მუდმივი, ქვის მავზოლეუმი.

1925 წლის იანვარში სსრ კავშირის ცაყის პრეზიდიუმმა განსაზღვრა პირველი კონკურსის პირობები. დააწესა 10 პრემია და დაავალა კომისიას, ა. ვ. ლენინის მეთაურობით, განეხილა პროექტები.

მაგრამ გამოცხადებულ მსოფლიო კონკურსს არ მოჰყოლია დამაკმაყოფილებელი შედეგები. ამ დროისათვის კი შესუცვისებული საფეხურიანი მავზოლეუმი ცნობილი გახდა ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში. ამიტომ მთავრობამ დაავალა შჩუსევს ზუსტად განესაზიერებინა ქვეში ლენინის აკლდამა.

1929 წლის ივლისში წითელ მოედანზე მოსულმა მშენებლებმა პირველად ააგეს არა მავზოლეუმი, არამედ მისი ზუსტი ასლი. ხის მაკეტს მისცეს მომავალი გრანიტის აკლდამის გარეგნული სახე. ეს იმითმ გააკეთეს, რომ გამოჩენილიყო. თუ როგორი იქნებოდა მისი სრული სახე, მაკეტი დაათვალიერეს მთავრობის წევრებმა და დამტკიცეს იგი. გადაწყდა, მავზოლეუმი აგებულიყო მხოლოდ სამამულო მასისაგან.

განსაკუთრებული პატივი ხვდა წილად გოლოვინს. ბუნებას უზვედ დაუჭილდობია მისი წილი. აქ, ეიტომირის ახლოს, არის მსუყე შავი ლაზარდარი დიდილოსფერი (ღია ლურჯი) ძარღვებით და მისი რუხი გამჭვირვალე „თა-

ნამომე“. აქვეა აგრეთვე წითელი და შავი გრანიტი. ეს გოლოვინის კარიერა დასრულდა ლსაკ უკრაინის გრანიტის დედაქალაქში. ლსაკ ლევენ. კარიერის საგანძურში სამდო საამქროა. აქ ამოღების სამუშაოებს აწარმოებენ: აკლიან მიწის ფენას — აშიშვლებენ ჭვას, მონოლითებს აცალკეებენ დედისაგან, ასუფთავებენ მიწისაგან, ჰყოფენ „კუბიკებად“, რომლებიც ზუთ-ათ ტონის იწონის და შემდეგ დასამუშავებლად სხვა საამქროებში გადააქვთ. ვებერთელა, გამელოტებული მონოლითი ჭვარ კიდევ თითქოს მთას ექიდება, მაგრამ უკვე სამუდამოდ გამოყოფილია მისგან ფართო, ზუსტი გეომეტრიალი ბზარით, მის რუხ სხეულში ჩაქედლილი რკინის სოლები — ასე ამზადებენ მათ ნაწილ-ნაწილ გასაპობად.

ახლა კარიერის მუშებს აქვთ ტექნიკაც, ხელსაწყოები და ავტოპილოტზე ჩართული პერფორატორებიც, რომლებიც იჭრებიან გრანიტში. ოღუვლაც კი აქ ერთად-ერთი იარაღი ქარჩი იყო.

კარიერი გახსნეს ასი წლის წინათ. ამ მხარის მთელი მიწები მაშინ მემამულის საყუთრებას შეადგენდა. ერთხელ მისმა მსახურებმა დაიჭირეს სოფელი მწყემსი და მოკლეს გუდა. შიგ აღმოჩნდა რამდენიმე გაპარალიებული შავი ფილა ბაცი ძარღვებით, მემამულემ ეს რომ გაიგო, ბრძანა გლეხის მოყვანა:

- საღ იპოვე?
- ტყის იქით, გოლოვინთან...
- სტყუი, იქ მარტო რუხი ქვა მინახავს.
- თუ მას დიდხანს ხევათ, ელვარებას დაიწყებს.

მემამულე ჩაფიქრდა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ მეტერბურგიდან მოიწვია სპეციალისტები, რომლებიც დიდხანს ავირდებოდნენ იქაურობას, თხრიდნენ, იკვლევდნენ, შემდეგ კი მეპატრონეს განუცხადეს, რომ მის სამფლობელოში გაქიმულია ლაზარდარიტის უკიდევანო ქველი. ასობით მუშა ქარჩით იღებდა ქვამშენიერებას მეფისა და გუბერნატორების სასახლეებისათვის, ქვის ეს კატორღა გრძელდებოდა 1917 წლამდე.

რევოლუციური ქარიშხლის შემდეგ, როცა ბოლო მოელო ომებს და შიმშილს, კარიერი კვლავ გამოყოფილდა. ტუმბოებით ამოქაჩეს წყალი და დაიწყეს ქვის ამოღება სახალხო საპრობებისათვის.

1924 წლის იანვარში, მთელ ქვეყანასთან ერთად, ქვისმჭრელი მუშებიც გლოვობდნენ ლენინს. მაშინ არ იცოდნენ, რა პასუხსაგები დავალების შესრულება მოუხდობდათ რამდენიმე წლის შემდეგ...

მოსკოვიდან გოლოვინში ჩამოიტანეს მავზოლეუმის მინიატურული ფირფიცის მაკეტი. ის მოაპირკეთეს სამმილიმეტრებიანი ფილებით და გაგზავნეს დასამტკიცებლად.

ერთ საღამოს კარიერის დირექტორმა იხმო საუკეთესო მუშები, ამოიღო ქაღალდი და თქვა: — მოსკოვიდან არის, მთავრობა გვევალვებს დიდ, და პასუხსაცვებ საქმეს...

გადაწყდა ხუტორი გოლოვინსკია-სლობოდკისთან შეერთებული შვიი ლაბრადორიტის სამოცათსატონიანი მონოლითი, რომელზეც უნდა გაკეთებულიყო წარწერა — ლენინი; სოფელ ლენინთან — ძირითადი მოსაპირკეთებელი მსახულა — წითელი გრანიტი; სოფელ სლინცთან — მოსაპირკეთებელი ქვა კიბების, კედლების პანელებისა და სამგლოვიარო დარბაზისათვის.

მთელი ქვეყანა ცდილობდა მიეღო მონაწილეობა ბელადის ძეგლ-აჯღამის მშენებლობაში. კარგილიდან, ონგვის ზღვის ნაპირებიდან, მსოფლიოში ერთადერთი საბადოდან, ჩამოიტანეს წითელი კვარციტი, რომლითაც უნდა გაკეთებულიყო ძვირფასი წარწერა — ლენინი. ამ ქვისგანვე გაკეთეს სამგლოვიარო დარბაზისა და პილიასტრები და მავზოლეუმის სულ ზედა ფილი. ეს უქანისკნელი დაადგეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან (რსფსრ, ამიერკავკასიის ფედერაცია, ბელორუსია, უკრაინა, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი) ჩამოტანილი სხვადასხვა ჯიშის გრანიტისაგან და მზადებულ 36 სეტეს.

წითელ მოედანზე დიდიდან საღამომდე ისმოდა ჩაქურებისა და ქვისმთლელობა იარაღების ხმაური, გუგუნებდნენ ავტომატური ჩარხები, რომლებზეც ვრანიტს და მარმარილოს აპრიადებდნენ. აკლდამა მზად იყო ვადაზე.

აზრი იმის შესახებ, რომ დაეცვათ ე. ო. ლენინის ნეშტი, დაიბადა 1924 წლის სამგლოვიარო დღეებში. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და დამკრძალავი კომისია ათასობით დემუშავდა და წერილს იღებდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარეებიდან, დაბეჭდვითი თხოვნით იმის თაობაზე, რომ ლენინის სხეული დაცული ყოფილიყო მრავალი წლის მანძილზე, რათა მშრომელებს მისცემოდათ საშუალება ენახათ ძვირფასი სახე.

ლენინის ნეშტის პირველი ბალზამირება გააკეთა ავადმეცოსმა ა. აბრაცოვმა 1924 წლის 22 იანვარს. იგი გათვალისწინებული იყო ექვსი დღისათვის — ე. ო. დაკრძალვამდე. თუმცა გაკეთებული იყო დიდი ხელოვნებით და მოქმედებდა გაცილებით მეტ ხანს. მაგრამ, გაზაფხულზე, თბილი ამინდის დადგომასთან ერთად, დაიწყო შემაშფოთებელი დღეები. საქირო იყო დაუყოვნებლივ გარკვეული გადაწყვეტილების მიღება. ხალხი მოითხოვდა ყოველგვარი საშუალებით დაეცვათ ვლადიმერ ილიას ძის ნეშტი. პარტიის დასაწყისში მოეწყო გამოჩენილი მეცნიერების რამდენიმე თათბირი.

1924 წლის 26 მარტს ე. ვოროსიშვილმა დაიწყო ლენინის სხეულის მეორე ბალზამირება. მას

ეხმარებოდნენ პროფესორები ბ. ზაბარცოვი, კარუზინი და ასისტენტები ა. ჟურავლიოვი, ა. შაბადაში და ი. ზამკოვსკი. 1934 წელს მთლიანად ვრობის ექსპერტთა კომისიამ აღნიშნა: „უნდა ჩაითვალოს, რომ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სხეულის ხანგრძლივი დროით დაცვის ამოცანა გადაწყვეტილია ბრწყინვალედ“.

მომე დღეები დადგა დიდი სამამულო ომის დროს. 1941 წლის ივლისში მავზოლეუმში დაცარიელდა. ბელადის ნეშტი გადაიტანეს ურალის იქით.

ჩვიდმეტი წლის მანძილზე აღამიანები ქმნიდნენ ისეთ პირობებს, რომლებიც შესაძლებლობას იძლეოდა დაეცვათ ტემპერატურის, ტენიანობის, სინათლის მკაცრი რეჟიმი და უცრად ჭეზა, ამინდის ცვალებადობა, ტემპერატურის მერყეობა. მაგრამ მეცნიერული გმირობა გრძელდებოდა. 1944 წლის იანვარში გაზეთი „იზვესტია“ იუწყებოდა, რომ მეცნიერებმა მიაღწიეს მიეღ რიგ გაუმჯობესებას ლენინის ნეშტის დაცვის საკითხში. იმავე წელს მთავრობის კომისიამ კონსტატაცია გაუეთა ფაქტს, რომ „ვლადიმერ ილიას ძის სხეული ოცი წლის განმავლობაში არ შეცვლილა — ვლადიმერ ილიას ძის იერი ისეთივეა, როგორც დარჩა საბჭოთა ხალხის ხსოვნება“.

ბელადის სანახავად თითქმის ყოველდღიურად, 6-8 ათასი კაცი მოდის, კვირადღეობით კი მნახველთა რიცხვი 15 ათასამდე აღწევს, მავზოლეუმის შესასვლელთან უძრავად დგას ყარული: ორი ჭარისკაცი კარბინებით. ეს ჩვენი ქვეყნის მთავარი, უპირველესი საგულავაა. მთელ დედამიწაზე ამაზე საპატიო საგულავა არ არსებობს.

1924 წლის 27 იანვარს — ლენინის დაკრძალვის დღეს ამ ვახტზე იდგნენ კრემლის სრულიად რუსეთის ცაკის საბელობის მთავრობის სკოლის საუკეთესო უბრძანებელი.

მოსკოვში ყველაფერი იცვლება. მხოლოდ ერთი რამ არის უცვლელი და მუდმივი — რიგი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მავზოლეუმთან. მას არასოდეს არ უჩანს დასასრული, როგორც იმ სიყვარულსა და რწმენას, რომელიც აი უყვებოდა ორმოც წელზე მეტად, ძალას მტებს აღამიანთა ამ მდუმარე და ამაყ დინებას.

ოდესღაც მავზოლეუმს მექას და იერუსალიმს ადარებდნენ. წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით ეს შედარება ეფექტური იყო. მაგრამ აღამიანები, რომლებიც ლენინის აჯღამის თალებს შორის მიამიჯებენ, არაფრით არ ჰკვანან ფანატრებით შეპყრობილთ. მათ სახეზე არც ის გულგრილი მოკრძალებული პატივისცემაა, რომლითაც მართლმადიდებლურ სასახლებსა და მუხეუმებში შედიან.

ფილიპე მახარაძე
აღამიანები მიდიან ლენინთან

ცხოვრებაში არის განსაკუთრებული წუთები, განსაკუთრებული საათები და დღეები, როცა ადამიანს სურს ამაღლდეს ყოველდღიურობაზე. ამაღლდეს, რათა მთელი გულით ჩაისუნთქოს ახალი, უჩვეულო, მაღალი მთის პეიზაჟი, ამაღლდეს, რათა შორს გასწიოს ახლოს, მეტისმეტად ახლოს მყოფი პორიზონტი და მზერა მიაპყროს შორეთს, ახალ სივრცეებს. ამაღლდეს, რათა წუთიერი შთაგონებით დაინახოს განვლილი წლებიც და ისინიც, რომლებიც ჯერ კიდევ უნდა გაიაროს ცხოვრებაში. ასეთ დღეებში, ასეთ საათებში იგი მიდის ლენინთან.

მიდის მასთან, რადგან შეგნებული ცხოვრების პირველი დღეებიდანვე იცის, რა გააკეთა ბელადმა მისთვის, ჩვენთვის.

მიდის მასთან იმიტომ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ცხოვრობს, მუშაობს, აზრო-

ნებს მისი ცხოვრების, მისი ნაშრომების, მისი იდეების ძალთა სამყაროში.

ისტორიას ახსოვს ბევრი სასახელო ^{ქრეცნული} და ბევრი დიდი მოაზროვნე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ყოფილა ისეთი ძვირფასი, საყვარელი, ჩვენი პირადულისათვის აუცილებელი, როგორც უკვდავი, განუმეორებელი ლენინია. მის მიმართ სიტყვა „უკვდავება“ კარგავს მეტაფორულობას. ლენინი მართლაც ნამდვილად განავრძობს სიცოცხლეს ჩვენი პლანეტის მრავალმილიონიანი შრომელი ხალხის გულსა და გონებაში.

ამიტომაც მიდიან ადამიანები ლენინთან, მიდიან წითელი მოედნის ქვაფენილებზე, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ვიეტნამის ჭუნგლებიდან და ამერიკის შეერთებული შტატების ზანგთა ვეტოებიდან.



ქართული საბჭოთა რომანის ჰუმანისტური კონსეფცია

ჰუმანიზმი მუდამ წარმოადგენდა ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს.

თითქმის ყველა ეპოქის პროგრესულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში მას უმთავრესი ადგილი უჭირავს, როგორც საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობის, მისი ხედვის, მისი როლისა და მოწოდებების შეცნობას თუ განსაზღვრას.

ჰუმანიზმი მხატვრული ლიტერატურა იქმნება არა მხოლოდ ადამიანზე, არამედ აგრეთვე ადამიანისათვის. ეს კი ნიშნავს: არა მარტო დაინახო, შეიმეცნო, გახსნა ადამიანის სული, გააშკარავო და განსაჯო მთელი მისი ინდივიდუალური ფსიქოლოგიური სამყარო, მონახო ამ ინდივიდუალობის საერთო თუ კერძო ნიშნები, არამედ აგრეთვე აჩვენო ადამიანის ადგილი ისტორიაში, მისი ისტორიული მისია, ასწავლო აქტიური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი.

საზოგადოების განვითარების, მისი კულტურული წინსვლის ისტორია იცნობს სხვადასხვა ჰუმანისტურ კონცეფციებს, შექმნილთ სხვადასხვა ფორმაციების, სოციალურ-პოლიტიკური ძვრების ეთარებაში.

მაგრამ თანამედროვე ჰუმანიზმის ჩვენი კონცეფცია, ყველა სხვა ისტორიულ თუ დღევანდელ კონცეფციასა შორის, უფრო თანმიმდევრული და განვითარების აუცილებელი კანონზომიერებებით ნაკარნახევი კონცეფციაა.

მის საფუძველს შეადგენს ადამიანის აქტიურობის, მისი დამკვიდრების, მისი სულიერი ძალის ყოველმხრივი განვითარების არა მხოლოდ შეცნობა და აღიარება, არამედ პრაქტიკული რეალიზაცია.

ჰუმანიზმის, როგორც გარკვეული მიმართულების წარმოშობა, რასაც დასავლეთ ევროპის კულტურის ისტორიაში აღორძინების ხანას უკავშირებენ, თავისი არსით უფრო ადრეული პერიოდის დიად კულტურათა შედეგია.

ჩვენ, ქართველები, სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ იმდროის დიდ ჰუმანისტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსთველს, რომლის უდიდესი იდეა კაცთმოყვარეობისა მაცოცხლებელ და მამოძრავებელ ძალად გამოჰყვა შემდგომი პერიოდების მთელ ქართულ ლიტერატურას. მან თავისი ახლებური გამოვლენა პოვა ჩვენს დღევანდელ მხატვრულ აზროვნებაშიც.

ადრინდელმა რენესანსმა თან მოიტანა პიროვნების თვითგახსნის, თვითშემეცნების, თავისთავადობის პროგრესული იდეა, ადამიანის ახალი იდეალი, პიროვნების შემოქმედელ თეოლოგიურ სისტემათა მსხვერველა, ასკეტიზმის ბოროტი ძალის დაძლევისა და უკუვადების პათოსი.

ეს იყო უდიდესი აღმოჩენაც და უძლიერესი მორალური ფაქტორიც, რადგან მასში ერთსა და იმავე დროს გამოვლინდა, როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე პიროვნების შეგნებელი ამალგებისა და პროგრესული განვითარების უკვე შეუფერხებელი, მიმზიდველ ისტორიულ მოძეგალს დამიზნებელი ტენდენციაც და სრულიად ახლებური დიანტიკურებაც ადამიანის ბედით.

ადამიანის პრობლემა ყოველთვის განსაკუთრებით მწვავედ ისმებოდა ახალი პროგრესული ფორმაციების დამკვიდრების, ახალი საზოგადოებრივი ორგანიზებულობის პროცესში; ასეთ ახალ დროს მოჰქვს ახალი ფოკუსი ადამიანის ხილვისა.

და შემთხვევითი როდი იყო, რომ ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ თავისი ჩასახვისთანავე, როდესაც იგი ჯერ კიდევ ისტორიულ პროგრესულ მისიას ასრულებდა, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახალი ადამიანის პრობლემა დასვა სწორედ როგორც ჰუმანიზმის პრობლემა, როგორც ფეოდალიზმისა და თეოლოგიის არ-

ტახებისაგან ინდივიდუალის გამოხსნის ამოცანა. ამასთან, ეს იყო ტრადიციათა შემდგომი განვითარება, რომლებიც შექმნეს დანტემ თურუსთველმა, პეტრარკამ თუ ბოკაჩომ, უფრო გვიან — სერვანტესმა თუ რაბლემ, ლეონარდო და ვინჩიმ თუ მიქელანჯელომ.

პროგრესული, აქტიური ჰუმანიზმის მთელი ისტორია — ეს არის პიროვნებისათვის, ადამიანისათვის ბრძოლა, მისთვის წამება, თავდადება, თავგანწირვა (ჩვენ საგანგებოდ უნდა გავხაზოთ სწორედ ბრძოლის, თავგანწირვის მომენტი ჰუმანიზმში, მისი შემტევი ხასიათი, რადგან უამისოდ არ არსებობს ჰუმანიზმი კაცთმოყვარებაში. მაგრამ ამაზე ცოტა უფრო ქვემოთ!).

ჰუმანიზმში განვლო თავისი განვითარების უდიდესი, მრავალსაუკუნოვანი გზა.

რაც დრო გადიოდა, იგი, ერთი მხრივ, მით უფრო მეტ კონკრეტულობას იძენდა, როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული კატეგორიის ცნება, მით უფრო დემოკრატიული ხდებოდა და, ამდენად, საყოველთაო ხასიათს იღებდა.

მეორე მხრივ კი ჰუმანიზმი იწვევდა საპირისპირო რეაქციას: რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა საზოგადოების ერთი ნაწილის ანტიჰუმანიზმი მისი თვით ყველაზე სასტიკი გამოვლენებით.

ანტიჰუმანიზმი მეფობს იქ, სადაც ვლინდება უცოდურესი ინდივიდუალიზმი, ეგოცენტრიზმი, სიხარბე და ვაუტანლობა.

ეს დაპირისპირება ჰუმანიზმისა ანტიჰუმანიზმისადმი არც მოიხსნება, სანამ არსებობს ორი სისტემა თავისი მკვეთრად განსხვავებული იდეოლოგიებით, რადგან თანამედროვე ვითარებაში ჰუმანიზმი თუ ანტიჰუმანიზმი სათანადო გაბატონებული იდეოლოგიების აუცილებელ შემადგენელ ნაწილებად, იდეოლოგიური ბრძოლის მეტად ძლიერ იარაღად იქცევენ.

რევოლუციური ჰუმანიზმი, რომელსაც ჩვენ ვერცხვავთ და ვახორციელებთ, ჩვენი იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილია და თვით მისი, ამ იდეოლოგიის არსიდან გამომდინარეობს.

ანტიჰუმანიზმი კი მსოფლიოს რეაქციული ძალების იარაღია ყოველივე პროგრესულის, რევოლუციურის, ადამიანურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საყურადღებო ის არის, რომ ასეთ ვითარებაში ჰუმანიზმი იქცა უდიდესი მასშტაბისა და ძალის მსოფლიო მოძრაობადაც და მან ბევრა ახალი თვისებაც შეიძინა.

ჰუმანიზმი ახლა აღარ ვლინდება, როგორც მხოლოდ გარკვეული მხატვრული კონცეფცია; იგი უმნიშვნელოვანეს მორგანიზებულ ძალადაც გადაიქცა, აზროვნებისა და ყოფის მრავალსხვა დარგშიც შეიჭრა.

მაგრამ, ძირითადად, ჰუმანიზმი მაინც მხატვრული აზროვნების სფეროში დარჩა; აქ მას

გააშვარებებისა და ზემოქმედების გაცილებით მეტი ძალა აქვს, რადგან უშუალოდ ვლინდება ადამიანის სულისა და მდგომარეობის, ჩატარების შემდეგების პროცესში.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ჰუმანიზმის სხვადასხვა კონცეფციები მხატვრულ აზროვნებაში. იგი მართლაც მრავალმხრივად ვლინდება თანამედროვე საზღვარგარეთის მწერლობაში. თანამედროვე საზღვარგარეთის რომანისტიკას ამის მრავალი მაგალითი მოგვთავაზებს (ფოლკენრის „სოფელი“, „ქალაქი“, „სახლი“, აბდისის „ენტაბი“, კამიუს „შავი ქირა“, მორავის „მძულვარება“, ზაკსის „გენიოსი და ქალღმერთი“, თ. მანის „იოსებო და ძმანი მისნი“ და ა. შ.).

ეს არის წუხილი ადამიანის ბედზე, უსახლვრო სინანული თუ შეუცოდება პიროვნებისა, დაუნდობელი მზილება ადამიანის ირგვლივ აუტანელი ვარემოციისა, ადამიანური სულგრძელობის გამოვლენება.

ეს კრიტიკული პათოსი და შემოფთება, დაუოკებელი წუხილი და სულიერი წამება, კეთილშობილების მადლი მორალის ქადაგება თვალსაჩინო ადგილს უმკვიდრებს თანამედროვეობის როგორც ამ, ისე სხვა გამოჩენილ მხატვრებს ჰუმანიზმის ისტორიაში.

ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი ამ შემოქმედის ჰუმანიზტურ კონცეფციას აკლია ის, ურომლისოდაც ჰუმანიზმი ბევრ რამეს ჰკარგავს თავისი არსისა და ისტორიული მისიის თვალსაზრისით.

საკითხი ისმის პირდაპირ: გიყვარდეს თუ გებრალბობდეს ადამიანი?

საკითხის ამგვარ დასმას დაე ნურავინ მიიწინებს სქოლასტიკად. სოციალური და სიბრალული, თუმცა არა საპირისპირო, მაგრამ მაინც სხვადასხვა ზნეობრივი კატეგორიებია.

გიყვარდეს — ეს ნიშნავს ზრუნავდეს; გებრალბობდეს — ეს ნიშნავს თანაუგრძნობდეს!

ჰუმანიზტიკისთვის ორივე მნიშვნელოვანია. მაგრამ პირველის ძირითადი პათოსი აქტიურობის გამოვლენაა, მეორე კი უფრო მეტად პასიურ განწყობას გამოხატავს და ემყარება. თანამედროვე ბუერჟუაზიული დესაკლეთის პროგრესულ ადამიანთა ჰუმანიზმი, ძირითადად, სწორედ ამ მეორე განწყობის შემტეველია.

ვიმეორებთ, თავისთავად ამგვარ კონცეფციას ძალიან ღივი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის, მაგრამ მისი ძალა გაცილებით ღივი იქნებოდა, რომ მასში მეტობდეს აქტიური საწყისი.

ჰუმანიზმს თავისი კონკრეტული სახე, თავისი კონკრეტული ვაგება აქვს.

ამდენად, იგი კონკრეტული ეპოქის საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული ტენდენციად, თუმცა, ფართოა მისი არსი და მ-

ღალია მისი სული, მაგრამ იგი მაინც განსაზღვრულია თავისი ფარგლებით.
რასაკვირველია, მასში ვერ მოთავსდება მის სულს დაპირისპირებული ვერც ერთი ტენდენცია.

კარგად არის ცნობილი სარტრის ის კონცეფცია, რომ ეგზისტენციალიზმი — ეს, უპირველესად, თითქოს ჰუმანიზმი (მას სპეციალური ნაშრომიც კი აქვს დაწერილი ასეთი სათაურით: „ეგზისტენციალიზმი — ეს არის ჰუმანიზმი“).

მაგრამ ობიექტურად ჰუმანიზმი არ შეიძლება ემყარებოდეს სუბიექტური იდეალიზმის პრინციპებს, დაეჭვებას ადამიანის ძალასა და დანიშნულებაში. იგი არც ადამიანის სავალალო მდგომარეობის შეცნობაა მხოლოდ. ადამიანთა ტანჯვა-წამების გაგება, რასაც თითქოს ასე ესწრაფვის ეგზისტენციალიზმი მხატვრულ პრაქტიკაში, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათი მდგომარეობის შემსუბუქებისათვის ბრძოლას.

ჩვენთვის ჰუმანიზმი არის: შეცნობილი კეთილსიმართლე, კეთილქმედობა, შეგნებულ პრაგმატული აქტიულობა, პერსპექტივის სიცხადე, ცხოვრებაში დამკვიდრებისა და განმტკიცების პათოსი.

ეს ნიშნათვისებურება ჰუმანიზმისა განსაკუთრებით საცნაური ხდება ჩვენს საუკუნეში, როდესაც კაცობრიობას:

კოლოსალური მსხვერპლის გაღება მოუხდა უკვე მატერიალურ, ძალად ქცეული ფაშისტური ანტიჰუმანისტური იდეების/გაცამტკიცებრისათვის;

განსაკუთრებული ადამიანური სიმამაცე მოაწოდოდა ანდომებს კოლონიური ბორკილებიდან ხალხთა გამოსხნას;

უდიდესი ძალის დაძაბვა ჰქონდა ანტიჰუმანისტურ-ექსპანსიონისტური ძალების მოსაოკად.

აქ ელინდება ჰუმანიზმის უდიდესი ისტორიული მისია არა როგორც დღევანდელი ცხოვრების წამყვანი ტენდენციისა, არამედ აგრეთვე კაცობრიობის მომავალზე ზრუნვის რეალური მორგანიზებელი ძალისა.

ჰუმანიზმი მარტო დღის ამოცანებით არ ფარგლავს.

ჰუმანიზმი, როგორც მეგვიდრეობითად განვითარებული მიმდინარეობა, ყოველთვის ორ განზომილებაში უნდა აღვიქვათ: მისთვის თანბარმნიშვნელოვანია ადამიანის როგორც დღევანდელი, ისევე ზღვარსაღმეთი ბედი; იგი გამოხატულია, როგორც პიროვნების ფსიქოლოგიური ზრდა-განვითარების, მისი სულიერი გამოღვივების უწყვეტი ტენდენცია.

და აი, როდესაც ვლადიმერ კობაქოვი რომანის, ამ შემთხვევაში, თანამედროვე ქართულ

ლი რომანის, ჰუმანისტურ კონცეფციაზე ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჰუმანიზმის სწორედ ამავე გზარი გაგება, მისი აქტიური, მეტაფიზიკური სიათი; დამამკვიდრებელი პათოსი, პერსპექტივის ხილვა.

სოციალისტური ჰუმანიზმის ცნებით გამოხატულია როგორც სიყვარული და ზრუნვა ადამიანისადმი, ასევე ადამიანის აქტიური დამოკიდებულება ყოფისადმი. ეს კი ნიშნავს ბრძოლას ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც მტრობს, რყენის, შლის ადამიანს, რაც წინ ეღობება, აყენებს, თრგუნავს ადამიანურობას.

ჰუმანიზმი ჰუმანიზმი არის არა განყენებული მოძღვრება, არამედ ქმნადობის უდიდესი პროცესი.

ყველა ის მთავარი პრობლემა, რომელმაც გამოხატა პოეტიკური საბუთო რომანში — იქნება ეს ახალი სინამდვილის დამკვიდრების პათოსი თუ ძველის უღმრთებელი ძალით მსხვერვა; ახალი ადამიანის სულიერი ფორმირების პროცესი თუ ეროვნული კულტურის, ენის, ყოფის პრობლემები; კლასობრივი ბრძოლის სიმწვევე თუ სხვა ახალი სოციალური კონფლიქტების გამოვლენა; ზედმეტი ადამიანის ტრაგედია თუ საზოგადოებრივი განვითარების მწვევე კონფლიქტური ხასიათი; ადამიანის დამოკიდებულება მის უშუალო გარემომცველ სამყაროსთან თუ საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობა; კოლექტივიზმის გრძობის გააქტიურება თუ მხედური ინდივიდუალიზმის ფსიქოლოგიური კრამტი; ახალი მორალური-ეთიკური ნორმების ჩამოყალიბების თუ ამ ნორმებისადმი დაპირისპირების პრობლემები; თავგანწირვა-პურთიკის რომანტიზმი თუ ეროვნული და ინტერნაციონალურის ურთიერთმიმართება — ყველა ეს პრობლემა — როგორც წესი, დასმული და მხატვრულად გადაჭრილია სწორედ სოციალისტური ჰუმანიზმის კონცეფციით.

რასაკვირველია, ჰუმანისტური ტენდენცია ქართულ რომანში არ ვლინდება, და არც შეიძლება გამოვლინდეს, ერთი პლანით. ბუნებრივად, აქ მოქმედებს მრავალი სხვადასხვა ასპექტურ-ნიუანსობრივი გამოვლენის პრინციპი. და ყველა მათგანს არსებობის მეტაყვებად თანაბარი უფლება აქვს.

მაგრამ რომანის განვითარების ცალკე პერიოდებში თუ ცალკეულ რომანისტთა შემოქმედებაში მაინც შეიმჩნევა რომელიღაც ტენდენციის მეტობა.

როგორც ცნობილია, 20-იანი წლების ქართულ რომანში მთავარი ადგილი უჭირავს ძველის უარყოფა-უქუვლების პათოსი, წარსულის

გიორგი მერაბილიძე
ქართული საბჭოთა რომანის
ჰუმანისტური კონცეფცია

უნიადავოდ დარჩენილ ადამიანთა — ამ ზედ-მეტკაცთა — ტრაგედიის კანონზომიერების გახსნას, საზოგადოებრივი ცხოვრების იმ რკინისებურ ლოგიკის შეცნობას, რომლისთვისაც განსაკუთრებით სოციალური გარდატეხის მომენტებში მიუღებელი და უცნობია სოციალური კომპრომისები.

ამიტომაც ესოდენ მძაფრად არის დახატული ნიადაგწარმოებული ხევისთავეების („ჩაყვან ხიზნები“) თუ ნათავადარ ვილძაძეების („სანავარდლო“), ისტორიის მიერ გარდაცული სივრცისა და მათების („დიონისოს ღიმილი“), კვაპანტირაძეების („კვაპი კვაპანტირაძე“) თუ მენშევიკური ემიგრაციის („ეპოპეა“) მორღვეული, უმიზნო, უპირსპექტივო, განწირული ცხოვრება.

ამ დროს ქართული რომანი მნიშვნელოვანწილად კვლავ კრიტიკული რეალიზმის პრინციპებზე შენდება. მაგრამ მისში ობიექტურად გამოხატულია თვით შემოქმედის დამამკვიდრებელი პოზიცია, როგორც არსებული ახალი სინამდვილის უკუფენა. ამდენად ჩამოყალიბების იწყება ახალი, სოციალისტური ჰუმანიზმის მხატვრული პრინციპები, რომლებიც მთელი თავისი არსით ვლინდება უკვე 30-იანი წლები-სა და შემდგომი პერიოდების რომანში.

30-ანი წლების ქართული რომანი ამ თვალსაზრისით მეტად რთული მოვლენაა, როგორც ჰუმანიზმის ახლებური ტრაქტოვება, მისი ქეშმარიტი არსის გაგება, ნოვატორული გაზრება; როგორც ჰუმანიზმის გამოვლენის სხვადასხვაგვარ ასპექტთა მონაცვლეობა.

უპირველეს ყოვლისა, ამ დროს რომანში ხდება რეალისტურ და რომანტიკულ საწყისთა შეთანწყობა, როგორც თანამედროვე ხელოვნებაში ჰუმანიზმის გამოვლენის ერთ-ერთი უმთავრესი და აუცილებელი პირობა.

საერთოდ, რევოლუციური რომანტიზმი ჩვენი დროის პროგრესული ჰუმანიზმის უდიდესი შენაძენია, რადგან ლიტერატურასა და ხელოვნებაში იგი იძლევა მოვლენათა მიმზიდველ პერსპექტივაში აღქმის, იდეალის, როგორც რეალური შესაძლებლობის გახსნის საშუალებას.

იგი თავისებური ფრთხობა ხელოვნებისა, რომ ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებზე ამაღლდეს და რეალურად დააკვიდროს სასურველი.

სწორედ რევოლუციურმა რომანტიზმმა მისცა შემოქმედების განსაკუთრებული ძალა 30-ანი წლების ისეთ შესანიშნავ რეალისტურ ტილოებს, როგორიცაა კ. გამსახურდიას „მთა-რის მოტაცება“ და „დიდოსტატის მარჯვენა“, მ. ჯავახიშვილის „არსენა მარადელი“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ციკარია“, ლ. ქიანკელიაშვილის „გვალი ბიგვა“, დ. შენგელაიას „ბათა ქეჩია“, ს. კლდიაშვილის „ფერფლი“, ა. ქუთათელის „პირისპირ“, ი. ლისაშვილის „კეცხოველი“ და სხვ.

ამ დროს უფრო მკვეთრი და მრავალმხრივი ხდება ქართული საბჭოთა რომანის ჰუმანიტური კონცეფცია. იგი იძენს ახალ შინაარსს, შინაინს ბედის ისტორიული კანონზომიერებების შეცნობის, ახალი ადამიანის პერსპექტივის ხილვის წყალობით; ეროვნული და სოციალური პრობლემების ახლებური დასმითა და გადაწყვეტით.

ჰუმანიზმი აქ ვლინდება, როგორც ეპოქის გარკვეული რევოლუციურ-პროგრესული ტენდენცია: არა ადამიანის სიყვარული საერთოდ, არამედ კონკრეტული ეპოქის მოწინავე ადამიანის, კონკრეტული რევოლუციური იდეის პიროვნების, განვითარებადი სინამდვილის ნიშანთავისებურებათა მატარებელი ინდივიდუალისა და, რაც მეტად დამახასიათებელია, მთელი მასების პროგრესულ განწყობილებათა მხარდაჭერა და აღქმა, მათი ქმედობის პათოსი.

ზოგიერთებს, შესაძლოა, სადავოდ ეჩვენოს 30-ანი წლების ქართული რომანის ისეთი კოლორიტული მხატვრული სახეების ჰუმანიზმი, როგორებიც არიან არზაყან ზვამბაძე, მექი ვაშაყიძე, ტარასი ხაზარაძე, გვალი ბიგვა და ამ პლანის სხვა გმირები — ეს პირდაპირი, გადაჭრით მოქმედი ადამიანები, რომელთა სულში ზის მოყვასისადმი უდიდესი სიყვარული და მტრისადმი უკომპრომისო სისასტიკე.

მაგრამ ანტიკონსტრუქციონისტური კლასობრივი განწყობილებათა საზოგადოებაში ქეშმარიტ ჰუმანიზმს სხვა არსი არ შეიძლება მოეპოვებოდეს. უსაგნო ჰუმანიზმი ფიქტია!

კლასობრივ ბრძოლაში არ არსებობს ორი ქეშმარიტი სიმაართე. ობიექტური სიმაართე ყოველთვის ერთია. იგი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის გულისთქმაა.

ქეშმარიტი ჰუმანიზმი მუდამ ამ სიმაართესთანაა. მისთვის უცხოა ქრისტეს მორალი და უნებისყოფი გულაჩუყება, პასიური სენტიმენტალიზმი.

ჰუმანიზმს, როგორც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენას, არ შეუძლია განზე გაუდგეს ამ საზოგადოების კონფლიქტებს.

ეს არც მოხერხდება, რადგან რევოლუციური ჰუმანიზმი პროგრესული მოვლენაა და იგი ყოველთვის იწინება პროგრესის ძალეებთან, როგორც რეაქციასთან ბრძოლაში მათი გამარჯვების იარაღი.

ჰუმანიზმის მთავარი არსი ხომ ადამიანის დამორღვევლი, შემზორველი, ესე იგი, რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაა!

როცა კ. გამსახურდიამ ხატავს 20-30-ანი წლების რთულ კონფლიქტებს, მხატვრული ალლო მას შეამეცნებინებს ეპოქის განვითარების ტენდენციასა და კანონებს. ამიტომ ხელავს იგი მთავარ ძალას არზაყანსა და მის თაობა-



ში. სწორედ არხაყანი გამოხატავს განვითარების ტენდენციას, დიდ ისტორიულ სიმართლეს. გავიხსენოთ, რაოდენ დიდაა იდეური დატვირთვა, რასაც მწერალი მას აქისრებს: არხაყანი უპირისპირდება:

თარაშის უღონობასა და უნადაგობას;
ტარბების კულაქურ სულს;
ტამის შემბოჭველ ტრადიციებს;
შარვაშიძეების ძველ ყელას;
ქორამაშვს და მის პატრიარქალურ ვარემოცვას;
გვანჯ აფაქიძის ყაჩაღურ მორალს;
უპირისპირდება და ამარტყებს, როგორც თავისი ხალხის ქემშარიტო შვილი.

რაც შეეხება თარაშ ემხვარის სახეს, აქ დასმულია, რასაკვირველია, ჰუმანიტური, მაგრამ ძალიან ფართო პლანის და მეტად შორეული ისტორიული ეროვნული პრობლემა ემიგრაციისა, სამშობლოდან გადახვეწისა; მშობლიურ მიწას, ეროვნულ სხეულს მოწყვეტილი ადამიანის გარდუვალი ტრაგედიის პრობლემა.

ასევე, „კოლხეთის ცისკარს“ გამსჭვალავს უდიდესი ჰუმანიტური მორალი. მის ცენტრში მოქცეულია სწორედ ნამდვილ ადამიანად ქცევის, აღმობიანების ამბავი, სამყაროში განმტკიცების ჰუმანიტური იდეა, დაკავშირებულ პრობლემების აქტივიზაციის პროცესთან.

პრობლემის აქტივიზაციის პრობლემას ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფთ, როგორც ლიტერატურაში ახალი, ე. წ. აქტიური ჰუმანიზმის¹ დამახასიათებელ თავისებურებას.

ჰუმანიზმის ახლებური გაგება დაედო საფუძვლად მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელს“, როდესაც რომანიტიკა სცადა უსისხლო გმირის „რაინდული ცულუტობის“ ტრადიციულ კონცეფციას რამდენიმე არსებით მხატვრულ და ისტორიულ მოტივირებული კორექტივი შეეტანა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველივე ეს, 20-ანი წლების ლიტერატურის საერთო ტენდენციასთან ერთად, იყო საბჭოთა რომანის სწორედ ჰუმანიზაციის პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება.

ჰუმანიზმის ახალი ტრაქტოვკა გამოყენებულა საქართველოს ისტორიული წარსულის ასახვისას (კ. გამსახურდიას, შ. დადიანის, გ. აბაშიძის, ა. ბელიაშვილის, ლ. გოთუას, ს. ქილიას, ბ. ჩხეიძის, ე. მღერაძის, თ. გოგიაშვილის და სხვა რომანები).

აქ ფრიად საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე: თანამედროვე პროგრესული ჰუმანიზმის კონცეფცია იმგვარად არის გამოყენებული ისტორიის განზოგადებითი მხატვრული შემეცნების ერთ-ერთ კრიტიკულად, რომ კონკრეტული ისტორიული მონაკვეთის ობიექტური ქემშარიტების ფუნქციას იძენს. შორეული

თუ შედარებით მასობელი წარსულის ადამიანთა კეთილი საქმიანობა მათში გახსენებული როგორც ერის მთლიანი ინტერესების დაქვემდებარების, ასევე ინდივიდუუმის პროვინული თავისთავადობის კომპლექსი.

ჰუმანიზმი: ნოვატორული კონცეფცია ახალი ძალით იჩენს თავს დიდი სამამულო ომის თებზე შექმნილ ქართულ რომანში (ლ. ქიაჩელი „მთის კაცი“, დ. შიგელაიას „წითელი ყაყაჩო“, ა. ბელიაშვილის „უღელტეხილი“, ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მშენ“, თ. იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, დ. კვიციანიძის „მშვიდობით, უსიერო ტყეებო!“, ა. კალანდაძის სამი რომანი და ა. შ.) მასში განსაკუთრებული ძალით ამკარავდება ანტიჰუმანიზმის უღობიერი სისასტიკე, მისი განსაკუთრებული არასამართლიანობა, კაცთმოძულეობა და ისტორიული ზვედრი. ომში მოქმედ ჩვენს თოფიანი კაცი დანახულია, როგორც ადამიანის, ცივილიზაციის, მომავლის ქომავი და მცველი პიროვნება. ომის თებებზე შექმნილი ქართული რომანის კონცეფციური არსი მთელი სიცხადით ნათელყოფს სწორედ აქტიური ჰუმანიზმის აუცილებლობას, მის თანმიმდევრულ, სამართლიან ხასიათს.

ჰუმანიზმმა ახალი გამოვლენა პოვა ომის შემდგომსა და განსაკუთრებით უკანასკნელი პერიოდის ქართულ რომანში. ამ დროს უფრო მკაფიოდ გამოვლინდა მისი მრავალფეროვნება. სხვადასხვა ხილვითი ასპექტი; გაცელებით ფართომოცევი გახდა თვით თანამედროვე ჰუმანიზმის ცნება.

საბჭოთა რომანში ჰუმანიზმის გამოვლინებია უკვე ტრადიციადქცეული ზემოაღნიშნული კონცეფციის შემდგომი გაღრმავების ტენდენცია გამოვლინდა კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობაში“, კ. ლორთქიფანიძის „ნატურის-თვალში“, ს. კლდიაშვილის „მყუდრო სავანეში“, რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივში“, გ. აბაშიძის „ყორნალში“, მ. მრგელიშვილის „საბედისწერო მოსახვეწეში“, ა. ბელიაშვილის „მეფის ხალიბურში“, ლ. ავალიანის „ახალ ჰორიზონტში“, თ. ჩხეიძის „წებირსა“ და სხვა რომანებში, თ. გოგოლაძის, თ. დონეაშვილის, ი. ლისაშვილის, ლ. მრელაშვილის, ვ. გოგიჩაიშვილის და სხვ. უკანასკნელ რომანებში, სადაც თანამედროვეობის პრობლემები დასმულია, როგორც, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე საზოგადოებრივი ადამიანის მდგომარეობა, მისი მოწოდება, მისი აქტიური ქმედობის ამოცანა.

ამ პრობლემისვე დასმასა და მის მხატვრულ რეალიზაციას შეიცავს ნ. დუმბაძის „მე ვხე-

გიორგი მირკვილიაძე

ქართული საბჭოთა რომანის ჰუმანიტური კონცეფცია

დაე მზეს“ და „მზიანი ღამე“, თ. იოსელიანის
„ვარსკვლავთციქნა“, ა. სულაყურის „ოქროს
თევზი“, ნ. წულუკისკირის, გ. ფანჯიკიძის ე. ყი-
დიანის, თ. ჭილაძის, ი. ურჯუშელაშვილის,
რ. ჭეიშვილის, გ. გეგეშიძის და სხვ. რომანები.
ამ ჩვენ ვხედავთ ახალ თემებსაც და ახლებურ
თვალთახედვასაც ამ თემების გააზრებაში,
ახალ ნიუანსებს თანამედროვე ჰუმანიზმის ინ-
ტერპრეტაციაში.

აღნიშნული რომანების კრიტიკული პათოსი
თუ რომანტიკული ზეაწეულობა ნაკარნახევია
სწორედ თანამედროვე ადამიანის მაღალი ღირ-
სებებისა და მორალისათვის ბრძოლის აუცი-
ლებლობით.

ამ თვალსაზრისით, უკანასკნელი პერიოდის
რომანში ჰუმანიზმი გვევლინება, როგორც
უდიდესი ძალის მორალური ფაქტორი, ადამი-
ანის სრული განწმენდის აუცილებლობა. თუმ-
ცა ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთ ნაწარმოებში
შეიმჩნევა ე. წ. „მოუშუშებელი იარების“ კონ-
ცეფცია.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ეს აუცილ-
ბელი ჰუმანიზმობა, რომ ჰუმანიზტურია არა
იმდენად თავისთავადი სიმართლე, თუ ვთქვით
არ უნდა იყოს იგი, არამედ მისი დახახვის
კუთხე და ფოკუსი.

რასაკვირველია, მხილებითი პათოსის გარე-
შე არ არსებობს ნამდვილი ლიტერატურა. მაგ-
რამ ლიტერატურის უპირველესი ამოცანაა ადა-
მიანის ამაღლება, მისი შემდგომი გაცეთილ-
შობილება. ამით ვლინდება მისი ჰუმანური
არსი.

ამიტომ მხილების პათოსს ყოველთვის თან
უნდა ახლდეს მკვიდრების აუცილებლობა,
მხატვრის უდიდესი გულისწუხილიც და შემ-
ფოთებაც ადამიანის ბედისათვის, ოპტიმიზმიც
და ალტაცებაც ადამიანის ყოვლისმძლეველი ძა-
ლის გამო.

ასეთია რევოლუციური ჰუმანიზმის კონცეფ-
ცია, ხოლო ჩვენი დროის მხატვრულ აზრში
გადამწყვეტი სიტყვა სწორედ რევოლუციურ,
აქტიურ ჰუმანიზმს ეკუთვნის.



ჩვენს რეაგირებაში

პორტრეტი „პრესნა პარაბლუსი“

ცნობილია, რომ პორტრეტი — აღამიანის გარეგნულ აღწერას — დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონაჟის ხატვის, მისი ხასიათის გახსნისა და გამოკვეთისათვის.

როდესაც ვმირთა პორტრეტიზაციაზე ვლაპარაკობთ, აშკარად შეინიშნება მისი ორი, რადიკალურად განსხვავებული მხარე. ესაა **სტატიკური** პორტრეტი და **დინამიკური** პორტრეტი. პერსონაჟის გამოხატვის ეს დაყოფა თვით მწერალთა ხერხში, ამ საგნისადმი მათმა ინდივიდუალურმა მიდგომამ განაპირობა. ზოგი მწერალი პირველს იყენებს — პერსონაჟის გამოჩენისთანავე მზამზარეულად გვაწვდის მის გარეგნულ აღწერას (მაგალითად: გოგოლი, ტურგენევი). უმეტესწილად კი მეორეს — დინამიკურ პორტრეტს მიმართავენ, ე. ი. პერსონაჟს მოძრაობაში, მოქმედებაში, მოვლენების განვითარების შესაბამისად გვიხატავენ მთელი ნაწარმოების მანძილზე (მაგალითად: ჰიუგო, ტოლსტოი, ილია, გორკი, შოლოხოვი და სხვ).

ჩვენი აზრით, უფრო მართებული პრინციპი პერსონაჟის პორტრეტული ხატვისა ეს უკანასკნელი უნდა იყოს. პორტრეტი პერსონაჟის ხასიათის გახსნისა და გამოკვეთის ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, (პერსონაჟის ხასიათის გახსნა და გამოკვეთა კი მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი მიზანდასახულებაა). იგი ხელს უწყობს პერსონაჟის ხასიათის გახსნას, მისი თვისებების გამოვლინებას სხვადასხვა ასპექტში, სულიერი მღელვარების, ემოციის გამოხატვას. ყოველივე ეს კი ნაწარმოების სიუჟეტურ ქარვაში ვლინდება. ამიტომ პერსონაჟის პორტრეტის ხატვა პერსონაჟის გამოკვეთასთან ერთად უნდა დასრულდეს.

ნაკლებმნიშვნელოვნად მიგვაჩნია სტატიკური პორტრეტის გამოყენება სიტყვაჯამულ

მწერლობაში. შესაძლოა, მზამზარეული პორტრეტული გარკვეულ ემოციას იწვევდეს, სახეს თვალნათლივ და ხელშესახებად გვიხატავდეს, მაგრამ სტატიკურობის გამო, ნაწარმოების კითხვისას ოდნავ მივიწყებებს ეძლევა და მას უკვე სხვა ელემენტები ჩრდილავენ. ალბათ არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ისე ძლიერ შთამბეჭდავი ლუარსაბ თათქარიძის პორტრეტი, ილია რომ იქვე შეჩერებულყო, რაც პირველად დაგვიხატა. ამიტომ იყო, რომ დიდმა მწერალმა ლუარსაბის პორტრეტს ბევრი რამ შესძინა ნაწარმოების სიუჟეტის გაშლისას. პორტრეტის დავიწყების, მისი შთაბეჭდილების განელების საშიშროებას გრძობდა ალბათ თვით გოგოლიც, როდესაც მის მიერ ნაწარმოების დასაწყისში მოცემულ პორტრეტს გზადაგზა რამდენიმე შტრიხს მიუმატებდა.

პერსონაჟის გამოსახვისათვის პორტრეტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი რუსი მწერალი ა. პ. ჩეხოვი.

ერთხელ იგი ძალიან გაანაწყენეს იმის გამო, რომ ერთ-ერთმა პროვინციულმა თეატრმა მისი ძია ვანია წარმოადგინა დაცემულ მემამულედ — ჭუჭყიანი, დახეული ჩექმებით.

— მაშ, როგორი უნდა ყოფილიყო იგი? — ჰკითხეს-მას.

— მე ზომ პიესაში ყველაფერი დაწვრილვით მიწერია — თქვა მან.

ეს „დაწვრილობითი“ აღწერა კი გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთგან რემარკაში იყო მითითებული, ძია ვანიას აბრეშუმის ყელსახვევი ეცეთაო. ჩეხოვს ეს სავეტებით საქმარისად მიანდა თავისი გმირის ჩაცმულობის წარმოსახვაზე!

1 ა. პ. ჩეხოვი ლიტერატურის შესახებ, 1955 წ. გვ. 293. (რუს. ენაზე).



„მწერალი თავის გმირს უნდა უყურებდეს როგორც ცოცხალ ადამიანებს, — წერდა მხატვრული სიტყვის დიდოსტატი მაქსიმ გორკი, — ცოცხალი კი მაშინ გამოუვა ისინი, როდესაც თითოეულ მათგანს მოუნახავს, აღნიშნავს, ხაზს გაუსვამს მეტყველების, ექსტის, ფიგურის, სახის, ღიმილის, თვალების ციმციმის და სხვ. დამახასიათებელ, ორიგინალურ თავისებურებას. ყოველივე ამას რომ აღნიშნავს, ლიტერატორი მკითხველს ეხმარება, რათა უკეთ დაინახოს და გაიგოს ლიტერატორის მიერ დახატული სურათი, სავსებით ერთნაირი ადამიანები არ არსებობენ; თითოეულ მათგანს აქვს რაღაც თავისი შინაგანიც და გარეგნულიც.“²

„პერსონაჟის ცოცხლად ხილვა წარმოდგენაში — ხშირად გულისხმობს მისთვის სხვადასხვა ფიზიკური ნიშნების თანდათანობით მიმატებას, რათა რეალურად და ფიზიკურად ხელშესახები გახდეს იგი.“³ მართლაც და, ამის გარეშე ძნელია მწერალმა შეძლოს პერსონაჟის ცოცხლად წარმოსახვა. სწორედ ამაზე მიუთითებდა მაქსიმ გორკი: „ისე უნდა წეროთ, რომ სახე ხელშესახები იყოს ფიზიკურად“.

მაგრამ სახის ხელშესახებად წარმოსახვა აღვილი როლია. ამ სიძნელეზე ამბობდა მ. გორკი: „საერთოდ უკიდურესად ძნელია ზუსტი სიტყვების მონახვა და იმგვარად დალაგება, ... რომ სიტყვებმა მოგვცეს ცოცხალი სურათი, მოკლედ მოხაზოს ფიგურის ძირითადი სახე, მკითხველის ხსოვნაში უმალევე განამტკიცოს გამოხატული პიროვნების მოძრაობა, სიტყვები აღნიშნავენ და ტონი. ერთი საქმეა დამომათა და საგანთა „შეღებვა“ სიტყვებით, მეორე — გამოხატო ისინი ისე „პლასტიკურად“, ცოცხლად, რომ გამოხატულის ხელით შეხება მოგინდეს, როგორც ხშირად მოვინდება ხელი შევახო ტოლსტოის „ომისა და შვილობის“ გმირებს“⁴. ყოველივე ამისათვის კი საჭიროა მაღალი ოსტატობა, რადგან „სიტყვიერების ხელოვნება, ხასიათებისა და ატიპების“ შექმნის ხელოვნება მოითხოვს წარმოსახვას, ვარაუდებს, „გამოგონებას“. ლიტერატორმა თუ თავისი ნაცნობი ერთი მედუნე, ჩინოვნიკი, მუშა აღწერა, მოგვეცეს სწორედ ერთი კაცის ცოტად თუ ბევრად კარგ ფორტოგრაფიულ სურათს. მაგრამ ეს იქნება სოციალურ-აღმზრდელი მნიშვნელობის მოკლებული. მხოლოდ ფორტოგრაფიული სურათი

და ფიქტის არაფრით არ გააუარსოვებს და გააღრმავებს ადამიანის ცოდნას ცხოველურად. მაგრამ თუ მწერალი შეძლებს ფორტოგრაფიულ დაათი, ასი მედუნესაგან, ჩინოვნიკისაგან, მუშისაგან გამოარჩიოს უფრო დამახასიათებელი კლასობრივი ნიშნები, ჩვევები, გამოვლება, ექსტრი, რწმენა, საუბრის კილო და ა. შ. გამოარჩიოს და შერწყმას ისინი ერთი მედუნის, ჩინოვნიკის, მუშის სახეში, ამ ხერხით მწერალი შექმნის „ტიპს“. — ეს ხელოვნება იქნება“⁵.

იქნება იმიტად გაუსწრო თავის ეპოქას შოთა არუსთაველმა, რომ მან პოემამდე კი მოგვცა პერსონაჟთა უაღრესად რეალისტური პორტრეტები. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მხატვრულ პროზას ვაცილებით მეტი საშუალება აქვს პერსონაჟის პორტრეტული ხატვისა, ვიდრე პოემას და შოთა არუსთაველი, მხატვრული სიტყვის ეს ვადაოქარი, ამითაც იწვევს ჩვენს გაცუებას: მან უდიდესი ხელოვნება გამოიჩინა პერსონაჟის პორტრეტული აღწერისა და ყველაფერი ეს გაღმოსცა დინამიკაში“.

პორტრეტი, როგორც ადამიანის რეალურად წარმოსახვის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება, ლიტერატურის ისეთ ქანრებშიც იჩენს თავს, როგორცაა ავთოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებები. ავთოგრაფიულ ძეგლებში უწვეულო, იშვიათი იყო გმირის ფიზიკური მხარის წარმოსახვა, რადგან სარწმუნოებისათვის თავდადებულთა დამახასიათებლის „მთელი ყურადღება ვადატანილია მთ სულიერ ღირსებებზე“⁶.

ავთოგრაფიული ხასიათის ძეგლებში პერსონაჟთა გარეგნული წარმოსახვა მოცემულია განყენებულად, ზოგადად, სადაც არაა გამოყოფილი გმირის ინდივიდუალური თვისებები, მისთვის დამახასიათებელი გროტესკული შტრიხები. მიუხედავად ამისა, „ეს განყენებული“ პორტრეტები როდია ესთეტიკური ზეგავლენის ძალას მოკლებული. ამ „ზოგადი“ ეპითეტებით იქმნება თავისებური სახე, რომლის მხატვრული, ზემოქმედებითი ძალა საკმაოდ ძლიერია“⁷.

გარდა ამისა, გვხვდება ავთოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებები, სადაც გმირის პორტრეტი ხელშესახები სიმკვეთრითაა წარმოსახული. ქართული ლიტერატურის სინამდვილეში

⁵ იქვე, გვ. 206.

⁶ შოთა არუსთაველზე, როგორც პორტრეტული ხატვის დიდ ოსტატზე, საინტერესო დაკვირება ჩაატარა ბეჯინ ბარდაველიძემ. იხ. მისი წიგნი „პერსონაჟის ხატვის პრინციპები ქართულ რეალისტურ პროზაში“, 1967 წ. გვ. 39—47.

⁷ რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, 1966, გვ. 45.

⁸ იქვე, გვ. 47.

² მ. გორკი, თხზულებანი, ტ. XII, 1968 წ. გვ. 401—402.

³ ნ. ჩხეიძე, ლიტერატურული წერილები, 1969 წ. გვ. 156.

⁴ მ. გორკი, თხზულებანი, ტ. XII, 1968 წ. გვ. 228.



ასეთ ნიშნულს გიორგი მერჩულის «ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა» წარმოადგენს. ამ ნაწარმოებში გრიგოლის გარეგნული აღნაგობა მთელი სისრულითაა წარმოსახული და პერსონაჟს ცოცხლად, შთაბეჭდვად წარმოგვიდგენს.

საერთოდ პორტრეტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყველა კლასიკოსი მწერალი. მისი (პორტრეტის) მხატვრული ფუნქცია ნაწარმოებში მრავალმხრივია. მხატვრული სიტყვის დიდოსტატი გი დე მოპასანი ლუაზოს პორტრეტის ხატვისას «ფუნთუშაში» არა მარტო გმირის გარეგნულად წარმოსახვას ისახავდა მიზნად, არამედ ამ პორტრეტში იყო გახსნილი ვაჭრის შინაგანი ბუნება, სულიერი სიცარიელე, მხდალი ადამიანის სახე. სხვაწარად შექმნილი იყო წარმოგვედგინა მისი შინაგანი სამყარო ასეთი პორტრეტული ხილვის შემდეგ: «დაბალის ტანისა იყო, გოდორა, ღიპანი. ზევიდან ამ ღიბს გადმოსცქეროდა წამოჭარბებული სახე, ჰალარაშერთულ წვერიანა». მართლაც, მთელი ნოველის მანძილზე ლუაზოს გარეგნული სახე სრული შესატყვისობით წარმოსახავს მის სულიერ სიძაბუნეს.

მრავალმხრივი დანიშნულება აქვს თვით ფუნთუშას პორტრეტს. ვინც ნოველის სიუჟეტურ ქარვას გაიხსენებს, მოაგონდება, რომ ნოველის ძირითადი ფაბულა სწორედ ფუნთუშას სილამაზეზეა აგებული. ფუნთუშას მომხიბვლელი სილამაზე ერთის ნახვითვე აღგონრავდა მისი დაუფლებს სურვილს. ამ ნებაში შეიპყრო გერმანელი ოფიცერი, რომელიც ძალიან კარგად გრძნობდა, რომ დაპყრობილ ქვეყანაში იმყოფებოდა და მის ნება-სურვილს გერმანი ალუღგებოდა წინ. ოფიცერმა გადაწყვიტა, ვიდრე ფუნთუშა თავისი ნებთ არ დათანხმდებოდა, გზის განგრძობის უფლება არ მიეცა მგზავრებისათვის. ამ ფსიქოლოგიურმა კიდილმა სამ დღეს გასტანა, ვიდრე ოფიცერმა თავისი სურვილი არ აისრულა. გერმანელს ოფიცერსა და ფურგონის მგზავრებს შორის შექმნილი მძაფრი კოლიზია სწორედ ფუნთუშას ფიზიკურმა სილამაზემ გამოიწვია. მაგრამ ამ პორტრეტით გამოხატულია ფუნთუშას სულიერი კეთილშობილებაც, რომელსაც შეუძლია საყოფარო სხეულს გაკაიღოს იმისათვის, რომ თანამგზავრებს ზიფათი ააცილოს. ეს კეთილშობილება კი შეუქმნილი იყო გარეგნულ პორტრეტშიც არ გამჟღავნებულყო.

ღინამიკური პორტრეტის ხატვის პრინციპს ფართოდ იყენებს თანამედროვე ქართული საბუთო მწერლობა. პორტრეტის ხატვის ეს პრინციპია დაცული ოქო ქიარელის, შალვა დადიანის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და სხვათა შემოქ-

მედებამი. მაგრამ ჩვენი აზრით, პირველადილი მინც მიხეილ ჯავახიშვილს უნდა ევაკუთვნოთ. პერსონაჟის ხატვის სხვა მრავალხერხს შორის ერთ-ერთი ძირითადი სწორედ პორტრეტული ხელოვნების გამოყენებაა მისთვის ნიშანდობლივი. და თუ მისი სახეები და ტიპები ასე ცოცხლად, რელიფურად და ხელშესახებადაა წარმოსახული, ამაში ადგილი სწორედ პორტრეტს — პერსონაჟის გარეგნულ აღწერას უჭირავს. ამას ვულისხმობდა მიხეილ ჯავახიშვილი, როდესაც წერდა: «...მწერალმა თადამირველად ტიპები უნდა ჩამოსახს, ესე იგი ყველა გმირს საყოფარო ხასიათი უნდა ემჩნეოდეს და არც ერთი მათგანი მეორეს და მესამეს არ უნდა ჰგავდეს». ეს რეალისტური პრინციპია და მას ერთგულად იცავს მწერალი, უამისოდ არც ერთი სახე, ხასიათი, ტიპი არ შეიქმნება.

მიხეილ ჯავახიშვილი პერსონაჟის პორტრეტის ხატვისას ქართული მხატვრული ლიტე-

9. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ წლებში გამოსულ ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებაში თითქმის იგნორირებულია არა მარტო ღინამიკური, არამედ საერთოდ პორტრეტი. ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, გაინარჩევებს იგი თუ არა, მაგრამ მისი უფლებულყოფა გაუმართლებლად მიგვაჩნია. პორტრეტუბაცია ერთ-ერთი ბრწყინვალე სამკაულია მხატვრული ქმნილებისა და არა მგონია, მისი ჩამოცილებით ხელოვნებამ პირვანდელი ბრწყინვალეობა შეინარჩუნოს. ცხადია, პერსონაჟი თავის თავს, თავის ხასიათს ქვეყასა და მოქმედებაში უნდა ავლენდეს (ეს ასეცაა ყველა სრულყოფილ ნაწარმოებში), მაგრამ პორტრეტი ხომ ამ ქვეყისა და ხასიათის, ადამიანის სულიერი სამყაროს გარეგნული გამოხატულებაა და იგი უფრო თელსაჩინოს, ხელშესახებს ხდის პერსონაჟს. მას (პორტრეტს) შოთა რუსთაველი პოემამიც კი მიმართავს, სადაც ყველაზე მეტად ეპატიება პოეტს მისთვის გვერდის ავლა. იქნებ მკითხველის ინტელექტის ვაზრდით ხსნიან ამას ახალგაზრდა მწერლები? ცხადია, დღევანდელი მკითხველის კულტურის დონე ვაცილებით მაღლა დგას, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ეს მაღალი ინტელექტი თვით ძველი ტრადიციითაა გაპირობებული და ბოლოს, იქნებ სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი (პორტრეტუბაციის იგნორირება) იმისა, რომ ახალგაზრდა მწერლების პერსონაჟები დიდხანს ვერ იმკვიდრებენ ადვალს ჩვენს მგხსიერებაში?

10 მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი, 1964 წ. ტ. VI გვ. 454.

იმეზა ჩხარბიშვილი
პორტრეტი „არანა მარაბდელში“



რატურის იმ ტრადიციას შინაღვეს, რომელსაც შოთა რუსთაველმა დაუღო სათავე, ენე იგი მ. ჭავჭავაძის პერსონაჟთა გამოსახატავად, ხასიათის გასახსნელად და გამოსაძერწად გამოყენებული აქვს დინამიური პორტრეტი. მიხვილ ჭავჭავაძის უღარესად რეალისტი მხატვარია. მის მიხვილ თვალს არ გამოეპარება არც ერთი შტრიხი, არც ერთი ძნელად შესამჩნევი ნიუანსი, რომელიც მის პერსონაჟს ახასიათებს და მხოლოდ და მხოლოდ მისთვისაა ნიშანდობლივი. ეს შტრიხი თუ ნიუანსი შემდეგ მთელი ნაწარმოების მანძილზე ვასდევს პერსონაჟს და ერთი წუთითაც არ ვგაძლევს მისი დავიწყების საშუალებას. მაგრამ მისი (ნიუანსის) აღნიშვნა მწერლის თვითმიზანი ან შემთხვევითი როდია, არამედ ამ ნიუანსშია გამოხატული პერსონაჟის როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვისება. ეს თვისება კი გამოვლენილია მის (პერსონაჟის) ქცევასა და მოქმედებაში. ვფიქრობ, ეს ხდის მ. ჭავჭავაძის პერსონაჟთა უმრავლესობას მხატვრულსა და შემეცნებითს. აგრეთვე ესაა სწორედ ის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი, რითაც მწერლის მრავალი პერსონაჟი ცოცხლად, რეალისტურად და გამოკვეთილ ტიპად გვევლინება.

სწორედ ამის შესახებ წერდა მ. ჭავჭავაძი წერალი „როგორ იწერებოდა“ არსენა მარბაძელი:

„ტიპების უმრავლესობა სინამდვილიდან ამოვიღე. არსენას პროტოტიპად ჩემი ბიძაშვილი ბაგრატი ზურნაძე მყავდა, ლეთისავარა პაპაძეში ანდრო ზურნაძე, დალი ჰასანი ბავშვობაში მიზანავს, მაგდანაც ერთ ჩემს მახლობელ მგამსავსე. ზაალი ბორჩხალაძე თავად იყენებდა მელიქიშვილია. მისი მხარეული იმერელი სანდრო — სევასტი ლაცაბაძე. როსტომს, სულხანსა და ზოგს წინამდგომს მომქმედ პირსაც თავთავიანთი პროტოტიპი გავუჩინე და არც შევმდგარავარ. რადგან ცოცხალი ნატურა მუდამ ჯობია მძალადევად მოგონილს“.

აქ სავესებით თვალნათლივია გამჟღავნებული პერსონაჟთა გამოხატვის მწერლისეული მხატვრული კონცეფცია.

საინტერესოა აგრეთვე ერთი მაგალითის მოყვანა იმისათვის, რომ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას მიხვილ ჭავჭავაძის მიერ მხატვრული ტიპის შექმნის პრინციპებზე.

„ქალის ტერითს“ დღემდე ცნობილ ტექსტში მეუროვე ამგვარადაა დახატული: „ხნიერი მეუროვე ფორმაში გამოწყობილიყო და კიბეზე ამოდიოდა“. აეტორს აშკარად უმარბენია, რომ მეუროვის პორტრეტი მკრთალად იყო დახატული, ვერ ახდენდა საცამო, ემოციურ შთაბეჭდილებას. ამიტომ მის მიერ გაკეთებულ ახალ რედაქციაში, რომელსაც 1966

წელს მივაცელით (იგი 1937 წელს დაეარტულა მწერლის ცხოვრების ტრაგიკულად დასრულების გამო.) მეუროვის სახე უტრანსფერად და სრულყოფილად წარმოგვიდგინა. „ხნიერი, გრძელწვერა მეუროვე ფორმაში გამოწყობილიყო და კიბეზე ვიგება ჩქემების ბრახუნით ამოდიოდა.“ ჩვენს მიერ ხაზგასმულმა სიტყვებმა მეუროვე მთელი ძალით გამოკვეთა, უფრო რეალური და უფრო ცხოვრებისეული გახადა. იგი აშკარად ჰგავს ნიკო ფიროსმანაშვილის ფუნჯით დახატულ „მეუროვეს“. ეს მსგავსება კი უფთოდ პორტრეტის ხატვის რეალისტიური მეთოდითაა განპირობებული. მაგრამ ერთთან სტატიკურ ფორმაში დახატული, მეორესთან დინამიკურია. პირველთან სტატიკურობა ხელოვნების სპეციფიკურობამ განსაზღვრა, მეორესთან დინამიკურობა კი თვით ხელოვანის ხატვის მანერამ განაპირობა (ამ უკანასკნელსაც შევძლო მეუროვის პორტრეტი სტატიკურად გადმოვცა. ეს მის სურვილზე იყო დამოკიდებული).

ამგვარი შესაბამისი ნიშნებით გვამახსოვრდება არსენა, ზაალი, კუჭატელი, სევასტი, კარპია, დალი-ჰასანი და მრავალი სხე.

როგორც ცნობილია, „არსენა მარბაძელში“ სამოკამდე პერსონაჟია გამოყვანილი. ეს დიდი და გამოცდილი მწერლისათვის არც თუ ისე ბევრია რაოდენობრივად, ვინაიდან მათ მხატვრულ ნიჭს სრულად ძალუბთ პერსონაჟთა იმგვარად გამოხატვა რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს ჩვენზე ემოციური ზეგავლენის გამოწვევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს თავისი ადგილი აქვს ნაწარმოების მხატვრულ კოსოვილში და ამდენად იმ პერსონაჟთა რგოლს წარმოადგენს, რომლის გარეშე ნაწარმოებში დისონანსი შეიქმნებოდა. ცნობილია, რომ ბალზაკისა და ტოლსტოის მხატვრულ ტალანტს სრულყოფილად შეეძლო თვითეული, უმნიშვნელო პერსონაჟისათვისაც კი მხატვრულ-კომპოზიციური ფუნქცია დაეკისრებინა ნაწარმოებში.

ამგვარი ოსტატობით წარმოგვიდგება მიხვილ ჭავჭავაძი. მის არც ერთ ნაწარმოებში არაა შემთხვევითი პერსონაჟი, ყოველი მათგანი კომპოზიციური ღელტალი, რომელსაც ესთეტიკურ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამის გამო ცდილობს მწერალი თითოეულ მათგანს ისეთი პორტრეტული შტრიხი მოუწახოს, რომელიც თვალნათლივ წარმოგვიდგენს მის არა მარტო ფიზიონომიას, არამედ სულიერ თვისებებსაც.

ამის თვალნათლივ დადასტურება იქნება „არსენა მარბაძელის“ მრავალრიცხოვან პერსონაჟთა პორტრეტული ანალიზი. მაგრამ ვინაიდან თვითეული მათგანის გაანალიზება მეტრისმეტად ბევრ დროს წაგვართმევს, ჩვენ



მხოლოდ რამდენიმე მათგანს შეეხებოდა, რომელთა ფონზე გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება. მ. ჯაფარიშვილის პორტრეტული ხატვის იმ პრინციპზე და იმ დანიშნულებაზე, რომელსაც მწერალი საერთოდ მიმართავს მის მიღიარ შემოქმედებაში.

არსენა ოქლაშვილი ნაწარმოების ის მთავარი ღერძია, რომლის ირგვლივ ტრიალებს რომანში განვითარებული ყველა ძირითადი მოვლენა. იგი მძლავრი ფიგურაა, რითაც შეძლო საყოველთაო აღიარების მოპოვება არა მარტო გლეხებში, არამედ არისტოკრატიულ წრეებშიც (გაიხსენეთ საუბარი არსენას შესახებ აღექსანდრე ჭავჭავაძის ბინაში). მისი სახე იმთავითვე ძლიერ ფიგურად წარმოგვიდგება ნაწარმოებში. „ასევე იქონია არსენა უკვე ფეხდაფეხ მიდიოდა ზაღისაკენ — ტანგაშლით, ლაღად და თამამად მიიბიჯებდა. სავესე კისერი ოდნავ მოიდრეკა და საერთო სალაშში ისევ ძველებური თავადური კილო ჩააქსოვა: — ბატონებს ვახლავარ, — და გაჭიმული შედგა“. აქ ცხადად ჩანს ის ძირითადი ნიშნები, რამაც თავისი გავრცობა პოვა მოვლენათა განვითარებაში. აქ არსენა რადიკალურად განსხვავდება იმ დაბეჩავებული გლეხისაგან, ვისთვისაც ბატონყმობის მძიმე უღელს კისერი მოუდრეკია, წელში მოუხრია და სითამამე წაურთმევია; არსენას სახის პორტრეტი არა მარტო იმ მომართაში ჩანს, ბატონს რომ უახლოვდება, არამედ მისი სახის გამომეტყველება, სითამამე და ჩვეული გულგრილობა იმ სალაშშიც ადვილად შეიმჩნევა, ბატონებს რომ მიმართავს. არსენას სახის ამ მინიშნების შემდეგ სასესებით ლოგჯერად შევიშვებთ და აღვიქვამთ მის ძლიერ ფიგურას, მაგრამ ყველაფერი ეს მოქმედულია არა განყენებულად, მხატვრული კსოვილისაგან იზოლირებულად, არამედ გამოვლენილია მისსავე მოქმედებაში. ეს მოქმედება კი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მხატვრულ ნაწარმოებში მოცემული კონფლიქტის განვითარებისათვის. ესაა ჭიდაობის სცენა არსენა ოქლაშვილსა და გიორგი კუპატნელს შორის. ამ ჭიდაობის წინ მწერალი მრავალმნიშვნელოვანად გვიხატავს არსენას შედარებით სრულ პორტრეტს.

„უცებ ფორზე არსენას მკერდი — განიერი, თეთრი და ამოხნევილი ბალიში გამოვარდა და ძელივით დაერჭო, გულამოჭირალი საჭიდაო ჩოხა უკან ქამარში ჰქონდა აკრფილი. ფეხზე რუმბის რბილი ქალამენები ეცვა. მუხლებამდე აკრული შავი ტულაღები ისედაც სქელ წვივებს უფრო მეტად უსქილდება... ხშირი ხუჭუჭა თამაში მუქი ოქრო უღვივლივებდა. სახეზე და მკერდზე ბრწყინვალე მზის შუქი აწვა და იგი ოდნავ წინ წამოწულ კენიხით დაჩრდილულ თვალებს, გრძელი წამწამით მოვლენულს, დიდრონსა და თითქმის შავ თვალებს,

უფრო მეტად ამუქებდა, წელი ცეცხლით წამკამებდა. და ეს ცეცხლი ისეთი მტკიცე, უფრო რეკელი და იღუმალი იყო, ვითარცა ორეწველი წვილი მახვილი. სუფთა ყბები და განიერი ნიკაბი ასე ჰქონდა გაპარსული, თითქმის წვერი სულაც არ ჰქონოდა, ხოლო მუქი თავლისფერი და აბრეშუმის ფუნჯებივით ზეაყრილი უღვაშები იმდენად ხშირი ჰქონდა, რომ ოცდახუთი წლის არსენას ოცდაათი წლის იერს აძლევდა“. ესაა არსენას შედარებით სრული და ძირითადი პორტრეტი. აქ მკვეთრად და დახატული არა მარტო მისი ფიზიკური სიძლიერე, არამედ ის მშვენიერებაც (სხვა ადგილას ავტორი მას სილამაზით ქალსაც კი აღიარებს), რითაც მომზიბლავი ხდება იგი. მწერალი მთელი ნაწარმოების მანძილზე არსებობდა ამ პორტრეტული ნიშნების გამოხატვის ეყარება არსენას სახის გამოვლენისას. ჭიდაობა ნარგინების ფორზე, არსენა ორბელიანების ფალავანს, განთქმულ მოქიდავეს კუპატნელს ერთკინება. იცის არსენამ, კუპატნელი ძლიერი მოქიდავეა, თანაც საშინლად გულმობრთია, წაქცივას ვერ იწყებს და სამაგიეროს მუდამ მზაკვრულად უხდის მოწინააღმდეგეს. ამასთან ბატონმა პირობა მისცა არსენას, თუ კუპატნელს წააქცივ, ნებისმიერ სურვილს აგისრულებო. ასეთ სიტუაციაში არსენა მიიქცა არ კარგავს სიმშვიდეს, დინჯია და აუფორიაქებელი ყველაფერი ეს პორტრეტითაა გამოხატული. „ლიმილით მიდის, ამაყად მიაქვს ქორჩოა თავი და ორბელიან ჩამუქებულ თვალებს ისარივით უყრის კუპატნელს მღვრიე თვალბეში“. ამ ლიმილში ცხადად წარმოგვიდგება არსენას მშვენიერი პირობა: „გრძელი წამწამით მოვლებული დიდრონი და თითქმის შავი თვალბეში“, „სუფთა ყბები და განიერი ნიკაბი“, „მუქი თავლისფერი და აბრეშუმის ფუნჯებივით ზეაყრილი უღვაშები“.

მაგრამ ახლა ვნახოთ იგი გაბრაზებისას: ჭიდაობაში დამარცხებულ კუპატნელს არსენა ხელგაშლით მიუახლოვდა და შერაგება სთხოვა. ასეთი იყო ქართული ჭიდაობის წესი. მას არსენა ზედმიწევნით იცავს. მაგრამ, კუპატნელის ანხელი ხასიათი არავითარ წესს არ დაგიდევს და არსენას სიტყვიერად შეურაცხყოფს. არსენა გაცეცხლდა, რაც პორტრეტით გამოხატა მწერალმა: „ზაღის ფალავანმა (არსენამ, რ. ჩ.) ჯერ მუხლი შეიკრა, ტუჩები შეიკეცა, წარბი მძლავრად აახმაშა და ორბის თვალბეში იმოდენა რისხვა და ელვა დაიგროვა, რომ ყველას მისი დაქუხებისა შეეშინდა“, მაგრამ არსენამ თავი შეიკავა, მრისხანება დაიჭრო. ესეც პორტრეტში გამოხატა მწერალმა: „მარბდელმა ერთბაშად გამოიდრა: „პირისახე

რეპანს ჩხარბიშვილი
პორტრეტი „არსენა მარბდელში“

გაიშალა, თვალებში ისევ ციავი ჩაისხა, ეთოლად გაიღიმა, მარჯვენა უღვაში აიგრინა...“
სიუჟეტის განვითარებაში არა ერთ-თხელ წარმოვიდგება არსენას სახის პორტრეტი. იგი ახალი ნიშნებითაა მოცემული და სრულად ავსებს არსენას გარეგნობას. ესაა არსენას „ფართო და სუფთა თვალები, დაჭიმული და სწორი შუბლი, თბილი და ოდნავ კეხიანი ცხვირი, მაღლაყრდნული კოკორა უღვაშები და მსხვილი თეთრი კბილები, რომელიც მაშინ გაივლებდა ხოლმე ორი მძივივით, როცა მას მოსაუბრის ნათქვამი მოეწონებოდა“.

საინტერესოა არსენას სახის ხატვისას მისი ფიზიკური თვისების აღნიშვნა და მასზე მწერლის ყურადღების გამახვილება. ესაა ფეხის ხშირი მონაცვლეობა, რაც არსენას სულიერი მღელვარების გამოხატვის ერთ-ერთი ნიშანია. რუსეთიდან ახლად დაბრუნებული ფიადლეფოს კეჩნაძე თავადებს, სადაც არსენაც იმყოფება, რუსეთის ამბავს უყვება. საუბარში აღნიშნავს, რუსებს არაყი და როზგი უყვართო (კომენტარების დართვა ზედმეტად მიმაჩნია). „როზგი უყვართ? — თავისთვის წაიხურჩულა არსენამ და ფეხი მონაცვლა“. არსენას ვეჟაკური სულისთვის წარმოუდგენელია როზგის დაკრა — აღმანიის ყველაზე დამამცირებელი რამ. ამიტომ შეაშფოთა იგი როზგის ხსენებამ. ეს შეშფოთება ფეხის მონაცვლეობითაა გამოხატული. არსენა კიდევ ერთხელ გამოხატავს ამ შეშფოთებას ფეხის მონაცვლეობით იქვე, იმავე სიტუაციაში, როცა ერთხელ კიდევ ახსენებენ (გრიგოლ ორბელიანი) როზგს. „არსენამ თავი ჩაიქნია და ხელახლა მონაცვლა ფეხი“. იგი ვერ იტანს როზგის ხსენებას და კრთება. მართლაც, სულ მალე, როდესაც სალდათები მარაბდელებს გაროზგავენ და არსენასაც იგივე ელოდება, ეს უკანასკნელი მტკიცედ გადაწყვეტს — შეუთრგებელი ბრძოლა გამოუცხადოს თვითმპყრობელობის უსიტყვო მონა-მორჩილ ბატონს, რომელმაც ქართველ გლეხებს ჩაგვრა არ აქმარა და ახლა როზგებიც დაუშინა.

არსენას სულიერი მღელვარების, მწუხარების, სიხარულის, ვაცხარების გამოხატვლი ნიშანია აგრეთვე ცალი წარბის ცახცახი. ეს ფიზიკური თვისება თანდაყოლილია და მწერლის მახვილ თვალს არც ერთ შემთხვევაში არ გამოეპარება, როდესაც არსენას პორტრეტულ ნიშნებზე ღაპარაკობს. ეს ნიშნები თუ თვისებები ორგანულად უწყობენ ხელს პერსონაჟის შინაგანი ხასიათის გახსნას მრავალმხრივ ასპექტში. მაგრამ პორტრეტული ნიშნის გამოსახვა მწერლისათვის შემთხვევითი როდია. მას აღრევე გაემყნობს მწერალი და შემდეგ პერსონაჟის ხასიათის განვითარების შესაბამისად გადმოგვეყვას. „მარაბდელ ბიჭს

ერთი წარბი მუდამ აწეული აქვს და მთავრად მძლავრად უტოკავს...“ გაკვირებული მწერალმა და იქვე, პერსონაჟთა მოქმედებებში დაგვარწმუნა ამ სიტყვების სწავლით. ში. ჰიდაობის დაწყების წინ მივლი ფორი განაბული იყო და მღელვარებით აღვინებდა თვალს ორი გოლიათის — არსენა ომელსველისა და გიორგი კუჭატენლის შერკინებას. არსენა ღელავს. დამარცხების შემთხვევაში დიდი ბატონი — ხალ ბართაშვილი არსენას არ აუსრულებს ნებისმიერ სურვილს. არსენას სურვილი კი ძალზე დიდია — ბატონს ცოლად მოახლე გოგო მარინე უნდა სთხოვოს. ამიტომ მან მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს. გამარჯვება კი ძნელია ისეთ ფალაქთან, როგორც გიორგი კუჭატენელი. ამასთან, ამ უკანასკნელს მარინე მოსწონებია და არსენა ამანაც აღაშფოთა. არსენა დამატულია და ღელავს. მღელვარებას კი ცალი წარბის ცახცახით გამოხატავს, რომელიც შეუნიშნავი არ რჩება მწერალს და მკითხველის ყურადღებასაც მასზე ამახვილებს: „ეს წარბი ესლაც ისე უხტის თითქმის ისიც ლეკურს (არსენა ცვეთს პაროცესში დახატული, რ. ჩ.) უელიდეს“.

აი, მეორე მომენტი.

არსენა აღშფოთებულია; ბატონმა ცივი უარი განაცხადა დაპირებული სიტყვის შესრულებაზე. მისთვის მიუწვდომელია პირადი ბედნიერება, მარინეს რუსებში ცელიან, ფიქრიაას ჰყიდიან, სოფელს ეგზეკუცია ემუქრება. არსენა მწარე ფიქრებს შეუპყრია და სიბრაზეს ცალი წარბის ცახცახით გამოხატავს. „სიათ მიდიხარ-მითქი, არსენ? — ერთხელ კიდევ ჰკითხა მაგდანამ და უწინშა, რომ არსენას მარჯვენა წარბი უხტოდა“.

ლოპიანას ღუქანში კუჭატენელი და რუსი სალდათები შემოვიდნენ. მათ დაპატრონებული მოჰყავთ არსენას ახლობლები: დედა, მამა, ფიქრია, ერეკლე და სხვები. არსენამ მათი დახსნა გადაწყვიტა. მაგრამ კუჭატენელთან ბრძოლა გაუჭირდება. სადაც ღონე არა სჭრის, ხერხია საჭირო. ამის გამო იგი მღელვარებას მოუცავს, „კუთხეში იდგა და გამაღვლით იგრებადა უღვაშებს. წარბი აჩქარებით უხტოდა“. არსენას მებრ ჩაფიქრებულმა ხერხმა გასჭრა — სიძინამ კუჭატენელი ღუქნიდან გაიტყუა. სალდათები მარტონი დარჩნენ. არსენას უდიდესი სიხარული დაეუფლა — ახლა უკვე შესაძლებელი იყო პატიმრების დახსნა. და ეს დიდი სიხარული ისევ წარბის ცახცახითაა გამოხატული... „მარაბდელს თვალები ნაკვერცხალივით უჩრიალებდა და ცალი წარბი გამაღვლით უხტოდა“.

არსენას პორტრეტული აღწერის ლოგიკური დასასრულია ის სურათი, როდესაც მკვდარი არსენა ეუბოში წევს. „პირისახე დასდნობოდა. სანთლის ფერი დასდებოდა, თვალებში

ღრმად ჩასცივივნოდა, ტუჩები ღრმად ჩაპყე-
ცოდ და ნიადაგ მოუსვენარი წარბიც სამუ-
ცაოდ დასტრომოდლა.

ეს არის მწერლის მიერ პორტრეტის ხატვის
რეალისტური მანერა. იგი ლოგიკურად იძლევა
პორტრეტის განვითარებას და ლოგიკურადვე
ასრულებს. ეს კი ერთ-ერთი ძირითადი ფაქ-
ტორია პერსონაჟის გამოსაკვეთად.

მწერლის მხატვრული ოსტატობის თავისე-
ბურებითაა გაპირობებული არსენას სახის
პორტრეტული წარმოსახვა ნაწარმოების ეპა-
ლოგში. ეს წარმოსახვა არსენას შვილის პორ-
ტრეტითაა წარმოდგენილი. „იგივე (არსენასა-
ვით, რ. ჩ.) ახოვანი, განიერი, მუქი ოქროს-
თმიანი, შავთვალა და ქალივით ლამაზი. ზემო
ტუჩზე გინგლი ეყარა და ცალი წარბი ოდნავ
უცხვაცხვებდა. ვალაქული იდგა ვორდა მარაბ-
დელის ვაჟი და ღომილით დასტეკორდა თავის
მამლაშვილს (ფიქრის მცირეწლოვან შვილს,
რ. ჩ.), რომელიც დაეინებოთ ენობლებოდა
მას. მერმე დასწვდა, მხარზე აიტაცა და სამ-
ჯერ შემოუბრინა დედაბაბს — სწორედ ისე,
როგორც ერთ ღრმს ნარგვიზების ფორზე მარ-
აბდელმა პატარა ტატე (ნიკო ბარათაშვილი,
რ. ჩ.) ზაალის დიდ კარავს შემთარბნინა“.
როგორც ვხედავთ, არსენას პორტრეტი თვალ-
ნათლივით დახატული. აღნიშნულია იგივე თეი-
სებები: ვალაქული დღომა, ცალი წარბის ცხ-
ცახი და სხვ. ამ პორტრეტს მრავალბრძივი
ღანიშნულება აქვს. ვარდა იმისა, რომ მას
მტკიცე კომპოზიციური ფუნქცია ექისრება ნა-
წარმოებში, იგი ერთხელ კიდევ გეისხენებს და
თვალწინ გვიყენებს არსენას ფიზიკურ სიდი-
აფს, მის ახოვნებას, რითაც დაუეიწყარს ხდის
სახალხო გმირის სახეს. მაგრამ უმთავრესი ის
არის, რომ მასშია გაცხადებული მწერლის
იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი: არსენა ოძე-
ლაშვილის სიკვდილით არ დამთავრებულა მი-
სი დაწყებული ბრძოლა ბატონყმობის წინააღ-
მდეგ, არსენები კვლავ ცოცხლობენ, ღონეს
იკრებენ, ირახმებიან და ერთხელ კიდევ აღ-
სდგებიან თავიანთი უფლებების დასაცავად,
თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მო-
საპოვებლად. ესაა მწერლის ესთეტიკური იდე-
ალი. არსენას პორტრეტის გაეოცებება იმ
ბრძოლის ვაგრძელების ნიშნავს, რომელსაც
ამდენი ძალა და ენერჯია შეაღია მარაბდელი
გლეხის შვილმა. მისი დამარცხება იმეამად
გარდუვალი იყო ისტორიული პირობების გა-
მო, მაგრამ იგივე მარცხი ისტორიული კანონ-
ზომებების შემდგომი განვითარების საფუძ-
ველია. გორდა მარაბდელის ვაჟი მამის ტიპი-
ური განსახიერებაა და, მარტოოდენ პორტრე-
ტული ნიშნებითაც რომ ვიმსყლოთ, მამასა-
ვით უღრეტი, უშიშარი და მტკიცე მებრძოლი
გახდება თავისუფლების მოსაპოვებლად.

მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრულ ტალანტს

საოცარი სიზუსტით შექმნილი შინაარსისა და
ფორმის ერთმანეთთან შესატყვისენა. მისი
ყოველი ნიშანარი სათანადო ფორმითაა ჩას-
მული და ყოველი ფორმა ზედმიწევნულად
მოხატავს მასში ჩასმულ შინაარსს. შინაარსისა
და ფორმის ამგვარი ურთიერთშერწყმის შე-
სანიშნავი ნიმუშია მწერლის პერსონაჟებიც:
ყოველი პერსონაჟის პორტრეტი შინაგანი
სამყაროს გამომხატველია, ხოლო შინაგანი
სამყარო გარეგნობასაც შესაფერისად გეხა-
ტავს.

ამ სიტყვების ერთ-ერთი დადასტურებაა ზა-
ალი. იგი მეტად თავისებურადაა დახატული.
მისი სახის პორტრეტი მხოლოდ ჭკადრა, თხე-
ლი უღვაშით და ჭრალა თვალებითაა მოცე-
მული, მაგრამ ამ ნიშნებშიც ზედმიწევნით
სრულადაა გახსნილი ხასიათი. ამას მწერალი
იმ ოსტატობითა და მანერით ახერხებს, რო-
მელსაც ხშირად მიმართავენ პერსონაჟის გა-
მოკვეთისას. ესაა პერსონაჟის დამოკიდებულე-
ბის გამოხატვა ამა თუ იმ მოვლენისადმი და
ყველაფერი ეს გადმოცემულია პორტრეტული
ნიშნებით. მაგალითად: კუპატენუმა რამდენი-
მე ფალავანი წაუქცია მარაბდის ბატონს
და მრავალრიცხოვანი სტუმრებისა და, განსა-
კუთრებით, ორბელიანების წინაშე თავი მოქ-
რა. ახლა კი არსენამ შეძლო კუპატენელს და-
მარცხება და მარაბდის ბატონს სირცხვილი
მოჰხადა. ზაალი გახარებულია, მას არსენამ
ზურგზეაკიდებული კუპატენელი მიუბრძენინა
და ეკითხება:

„ — ბატონო, მიბრძანე, თავი საით ეუყო
ამ აუვიას? ზაალი „ქენიების გვერდით იდგა,
თხელ უღვაშებს აწვალებდა და ამაყად ილი-
მებოდა“.

ან კიდევ:
„მედნიერი ზაყაყივით გაბლენძილი ზაალი
არსენას აღარც კი ამჩნევდა, ბუბერი ვაცივით
დააბოტებდა, ორივე უღვაშს იგრებდა და
თითქოს მოსალოტავ ძღვენს ელოდებოდა“.

ფეიქრობთ, ზედმიწევნით ეარგადაა დაქე-
რილი ზაალის პორტრეტის ის შტრიხები; სა-
დაც ყოველმხრივია გახსნილი მისი ხასიათი.
აქ თვალნათლივ წარმოგვიდგება გაბლენძილი
ზაყაყი, ბუბერი ვაცი და ამ შედარების საფუძ-
ველზე შეუძლებელია დაგვაიწყუდეს ზაალის
ფიზიონომია. მისი სულიერი სამყარო—ყოველ-
გვარი კეთილშობილებისა და დიდბუნებოვნე-
ბისაგან განმარტული.

ნაწარმოებში განვითარებული მოვლენების
საფუძველზე და იმ ქვეყანასა და ხასიათში, რო-
მელსაც ვივორც კუპატენელი ავლენს, საესე-
ხით სწორად და თვალნათლივ შეუძლია მკით-
ხელს მისი პორტრეტი წარმოიდგინოს, იგი

რეზა ჩხარბიშვილი
პრობრძაძე „არსენა მარაბდელში“

„მეტისმეტად შურიანი, დაუნდობელი, ანჩილი, ავი ადამიანია“. ცხადია, კაცს, რომელსაც ანჩილი ხასიათი აქვს და ავი ადამიანია, არ შეიძლება სათნო, კეთილი გამომეტყველების სახე ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ეს აქსიომაა როდია, სასკებით შესაძლებელია გამოხატვის დაეშვათ — ღიმილში უდიდესი ბორბლება იმალებოდეს და პირიქით, ერთი შეხედვით პირქუში კაცი საოცრად მგრძობიარე და ბავშვითი გულჩვილი აღმოჩნდეს. მსგავსი მაგალითი ბევრი იცის კლასიკურმა ლიტერატურამ. ამისათვის კვაზიმოდოსა და ფეხუსის გახსენებაც კმარა ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან“. ჩვენ ახლაც თავაწინ გვიდგას კვაზიმოდოს შემთავად მახინჯი ფიზიონომია, მაგრამ როგორ გვიზიდავს და რაოდენ თანაგრძნობას იწვევს ჩვენში მისი უკეთილშობილესი სული და, პირიქით, უდიდეს ზიზღს იწვევს ფეხუსის ლამაზი აღნაგობა მისი ფლიდი ბუნებისა და გარკვეული ხასიათის გამო. ამიტომაც არ გავწყვიტავ ვულს მისი დაღუპვა. ხოლო კვაზიმოდოს ტრავიკული ცხოვრება ღრმა ტკივილს განვცადებინებთ. მაგრამ როცა ტრიბუნობა ვლამარაკობთ, პირველ ყოვლისა, ავი ადამიანს ავი გამომეტყველებით წარმოვიდგენთ. ასეა დაბატული გიორგი კუპატნელი. იგი ნაწარმოების ის მთავარი გმირია, რომელიც ორგანულად ერწყმის სიუჟეტურ განვითარებას და მთელი რომანის მანძილზე მას ერთხელაც ვერ ენახა ან გაიცინებულს, ან გაღიმებულს. მუდამ იღრინება, კუმტი და პირქუშია.

სწორედ ამ თვისების შესატყვისად წარმოგვიხატა მწერალმა გიორგი კუპატნელი. მაგრამ მისი პორტრეტული წარმოსახვა მუდამ მოქმედებაში, გარკვეულ სიტუაციაშია მოცემული, რითაც ერთი ორად მშაფრდება მისი პირქუში გამომეტყველება. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდია ქილაობა გიორგი კუპატნელსა და არსენა ოძელაშვილს შორის: „მეორე მხრიდან ბუმბერაზი კუპატნელი მოხსტა და გამეხეზული წამოვიდა... წამოვიდა გავეშებული კუპატნელი. იმოდენა დღვის სიმკვირცხემ ყველა გააოცა არსენაზე ოდნავ დაბალია, სამაგიეროდ უფრო სრული, ჩატკვიებული და უკისროა მისი ქორული წამოსვლა, რიხიანი შემოტევა, ფაზი და ბუქი მოპირდაპირეს აფრთხობდა სრულიად აღუნებდა და სჯაბნიდა... შურდულივით მოდის კუპატნელი, ოდნავ წელში წილუნული, ამღვრული თვალები გაგვიბუღულ ბუღას თვალებს მიუგავს და ზურვის უკან ვაშლი მკლავებს არწივის ფრთებ-სავით მოჟანებს“.

როგორც ვხედავთ, აქ სრულად არაა მოცემული კუპატნელის სახის პორტრეტი, მაგრამ მთელი მისი მოქმედება იმგვარი შედარებები-

თაა გამოხატული, რომ კუპატნელის გოლიათური ფიგურა ხელშესახებად წარმოგვიდგება. მსგავს მთელელებზე ამბობდა გოტფრედ ჰაინე: „უნდა წეროთ, რომ სახე ხელშესახებშია ფიზიკურად“.

როგორც აღვნიშნეთ, მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელია პორტრეტის მოქმედებაში წარმოსახვა, მაგრამ ეს მოქმედება ისეთ სიტუაციაშია მოცემული, რომ იგი განმსაზღვრელი ხდება ნაწარმოებში განვითარებული მთავარი ამბისა. ამასთან, ასეთ სიტუაციაში დახატული პორტრეტი ორგანულად და უშუალოდ უწყობს ხელს გმირის ხასიათის გახსნას, რასაც უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება პერსონაჟის გამოკვეთისათვის.

ამგვარ სიტუაციაშია დახატული გიორგი კუპატნელი და სწორედ ამიტომაც, რომ მას არამარტო აღიქვამთ მხატვრულად, არამედ შევიმეცნებთ კიდევც.

ესაა მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული კონცეფცია, რასაც მთელი სისასიეთი ემსახურება მისი მრავალფეროვანი შემოქმედება.

მეფის რუსეთის ჩინოვნიკ-მოხელეთა ტიპური წარმომადგენელია მაიორი არლოვი. იგი მთელი ძალითაა შემოტორილი ჩვენში, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწყევს არც ეროვნულ თავმოყვარეობას, არც ქართულ ხასიათს, ტემპერამენტს, ზნე-ჩვეულებას. მას ზურგს შეფის რუსეთი უმაგრებს და მაიორიც ისე გრძნობს თავს, თითქმის ქართლის ის კუთხე, სადაც „წესრიგის დასამყარებლად“ მოვლენილი, მისი სურვილების, ქვენა ზრახვების განსახორციელებლად არსებობდეს. მას მეტად თავისებურად ესმის „წესრიგის დამყარება“ და ჩადის იმას, რასაც მისი შეზღუდული გონება უკარნახებს. ძლიერი და თავდასულია სუსტთან, მაგრამ საოცრად მხალაია ძლიერთან (გაიხსენეთ მისი შეხვედრა ნაწარმოების ბოლო ნაწილში არსენასთან, როცა ეს უკანასკნელი სიცოცხლეს გამოასალმებს მას). ზოგჯერ მელასავით ეშმაკია, სადაც მისი ძალა არ გასჭრის, მოხერხებულად იხვეს უკან და სამაგიეროს გადახდის სხვა დროისათვის გადადებს (გაიხსენეთ მისი შეჯახება არსენასთან, როდესაც ამ უკანასკნელმა შეწინავე ღროშა არ დაანება). მთელი მისი მოქმედება ნაწარმოებში იმგვარადაა წარმოსახული, რომ მისი პორტრეტის დახატვა არც არის საჭირო. მაგრამ წარმოსახული პორტრეტი ერთიორად ამლიერებს ჩვენს წარმოდგენას ამ პერსონაჟზე და მთელი მისი მზაკვრული მოქმედება საესებით დამაყრებლად გამოიყურება.

ნაწარმოების დასაწყისშივეა მოცემული არლოვის პორტრეტი, რომელიც საკმაოდ მუქი ფერებითაა დახატული და მაშინვე გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე: ამგვარი გა-



მომეტყველების ადამიანი ყოველად შეუძლებელია დადებითი თვისებისა იყოს, უფრო მეტიც, იგი უსათუოდ დაცლილი უნდა იყოს ყოველგვარი პუმიანური გრძობებისაგან.

არლოვის მახინჯი სულის გამოვლინება მისი მახინჯი ფიზიონომია: „თავიბირი გაბერილ გოგრას მიუვადდა და იმ აყირო თავზე წითელი თმა და წვერ-ულვაში გაცვეთილი ქილობივით ეყარა, ხოლო თხილისოდნა აბზეცილი და წითელ-ლურჯი ცხვირი ისე ობლად გამოიყურებოდა გაპენტილ წვერ-ულვაშიდან, თითქო ჩალოში მაელო-ვაშლი ჩაეგდით“. ამ პორტრეტით წარმოგვისახა მწერალმა არლოვის გარეგნობა დასაწყისში და შემდეგ მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს მისი ფიზიკური გარეგნობის დამახასიათებელ და ყველაზე არსებით ნიშნებს, რითაც თანდათან იკვეთება მხატვრული სახე, ესაა პერსონაჟის „მაეალო ცხვირის“ ხშირი ხსენება, ასევე „წყლისფერი პაწაწინა თვალები“, „ლოქო-თვლები“, „ლობით თვალები“, — „წითელი წვერის წიწკანა“ და სხვ. მაგრამ აქაც მტიციედაა დაიულო პორტრეტის ხატვის მიხეილ ჯავახიშვილისეული პრინციპი: მწერალი პერსონაჟის პორტრეტს მუდამ შესაბამის სიტუაციაში ხატავს, ე. ი. იგი (პორტრეტი) მუდამ გარკვეული თვალსაზრისითაა მოცემული. მაგალითად, არლოვის ლოქო-თვლები ათასჯერ უფრო მკვეთრად წარმოგვიდგება, როცა ამ თვლებს ზაალის ქაიშვილის დაროს „შავსა და დიდრონ თვალებს“ შევადარებთ. ამით ხაზგასმულია არა მარტო არლოვის ლოქო-თვლები, არამედ უფრო ლამაზად აღვიქვამთ დაროს „შავსა და დიდრონ თვალებსაც“.

აი, კიდეე ერთხელ როგორ სიტუაციაშია მოცემული არლოვის პორტრეტი: არლოვმა აიუქსანდრე ჭავჭავაძის ბინიდან ქალაქში შემოსული არსენა დანიხა. მას კიდეე ერთხელ მიეცა საშუალება არსენას შეპყრობისა. ლოპიანას დუქანსა და ბაღს, სადაც არსენა ეგულებოდა, ასიოდე სალდათი შემოარტყა, მაგრამ გვიანდა იყო, არსენა იქ უკვე აღარ დაუხვდა და არლოვი პირში ჩაღაგამოვლებული

ლი დარნა. ამ მარცხმა მეტისმეტად გააძწავა იგი. მის დაწინაურების იმდეს საფრთხე დაემუქრა და ამის გამო „ლოქო-თვლებზე მღვრიე ლიბრი ჰქონდა გადაკრული და აღმუქილ სახეზე ეანგისფერი ედო“. ამ სურათში კიდეე ერთხელაა განხილი არლოვის ხასიათი, რითაც პერსონაჟის სახე უფრო გამოკვეთილი ხდება.

არა ერთხელ აღნიშნულია მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრულ სახეთა და ტიპათა უსაზღვრო რაოდენობა და მისი შემეცნებითი მნიშვნელობა. მწერლის მხატვრული ოსტატობა გამოვლინებულია არა მარტო ნაწარმოების მთავარ მოქმედ პირობა ხასიათის განხილვა და გამოკვეთაში, არამედ იგი (მწერალი) ასევე ძლიერი და უდიდესი ოსტატია მეორეხარისხიანი და ეპიზოდურ პერსონაჟთა გამოქვეყნებაშიც. ესაა ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, რითაც ასე შესამჩნევად განსხვავდება მიხეილ ჯავახიშვილი თანამედროვე ქართველი მწერლებისაგან. მისი ყველა პერსონაჟი, რა მნიშვნელობა და ფუნქცია არ უნდა ეცისროს ნაწარმოებში, უაღრესად მკვეთრი ფერებითაა დახატული და ყველა ისინი ქმნიან კოლორიტულ სახეებს. ეს კი პირველ რიგში მიღწეულია პორტრეტის ხატვის ხერხით.

უაღრესად კოლორიტული ტიპებია დვისთავარი, სევასტი, გიგოლა, ფიქრია, რუსი კარპინა უკრაინელი ოსტაპი, ოსი მეშთა, თათარი დალიპსანი და მრავალი სხვა. ძნელია ზემოჩამოთვლილი პერსონაჟებიდან რომელიმე მათგანის გამოყოფა. მწერალი ყველას თანაბარი მხატვრული სიძლიერით ხატავს, თითქოს საკრუთლით აქანდაკებდეს თითოეულ მათგანს.

ყოველივე აქედან ცხადი ხდება, რომ პორტრეტის მხატვრული დანიშნულება მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში არა მარტო პერსონაჟის გარეგნული წარმოსახვაა, არამედ მასში გამოხატული გმირის სულიერი სამუარო, იდეური მისწრაფება, რაც თავის მხრივ მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურ კონცეფციას ამუღავნებს.



ლავით კობიძე

ვახუშტი კოჭავიჭვილის თაგმანები

ვახუშტი კოჭავიჭვილი ცნობილი მთარგმნელია; მას სხვადასხვა ენიდან (სპარსული, გერმანული) ცნობილ პოეტთა შემოქმედების ნიმუშები აქვს გადმოთარგმნილი. ამჟამად სპარსულ თარგმანებს შევეხებით.

ხელთა გვაქვს სამი წიგნი: ა) **ომარ ხაიამის „რობაიათი“**, „ნაქაღულის“ მიერ 1963 წელს გამოცემული, სადაც 150 რობაის თარგმანია შესული, ბ) **აბდ-ორ-რაზმან ჯამი**, „ლიტერატურა და ხელოვნების“ მიერ 1966 წელს გამოცემული და გ) **ჰაფეზი**, რომელიც „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა 1970 წელს. წიგნში ჰაფეზის პოეზიის 34 თარგმანია წარმოდგენილი.

ჩვენ ვხედავთ, რომ კოტეტიშვილი ყოველ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ თარგმანების ახალ წიგნს გვთავაზობს. აღნიშნული თარგმანებით მან მკითხველთა წრეების სათანადო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ვერობისა და ამერიკის ხალხებმა ომარ ხაიამის (1040-1123) პოეზია უმთავრესად ე. ფიცერალდის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანებით (1859) გაიცნეს; ვასული საუკუნის ბოლომდე აღნიშნული თარგმანი ოცდახუთჯერ გამოიცა; მსოფლიოს არც ერთ კუთხეში ხაიამის პოეზიისადმი ინტერესი დღემდე არ შენელებულა; მთარგმნელები ცდილობენ უფრო ახლოს მივიდნენ ორიგინალთან, ზუსტად გადმოსცენ თვითიველი რობაის შინაარსი, დაიცვან მისი მხატვრული სახეები და ფორმა.

ომარ ხაიამის რობაიებში უქველად ჩანს თავისუფლად მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ისლამის წესებს არ ემორჩილება, უარყოფს სამოთხესა და ჯოჯობეთს, სწამს, რომ ეს ქვეყანა უნდო და გაუტანელია; პოეტი ღვინის სმისა და გართობისაკენ მოვეწოდება.

ომარ ხაიამის პოეტობას იმთავითვე ვევი დაჰყვავ. ძველი ლიტერატურის მიმოხილველნი (აუფი, დოეფთშაჰი და სხვები) არ იხსნიებენ

მას. XII-XIII საუკუნეთა ისტორიკოსები მუჰამედ შაჰარურთი და იბნ ალ-კიფთი ომარ ხაიამს ახასიათებენ, როგორც თავისი დროის უდიდეს სწავლულს, რომლის თანაბარი ასტრონომიასა და ფილოსოფიაში არავინ ყოფილა, მაგრამ არც ერთი მათგანი ხაიამის პოეტობაზე არაფერს ამბობს.

ძველ სპარსულ წყაროთაგან აღსანიშნავია არუზი სამარყანდელის თხზულება „ოთხი მოხსენება“ (XII საუკუნის შუა წლები), სადაც ხაიამის შესახებ საყურადღებო ცნობებია მოთავსებული. ა. სამარყანდელი აღნიშნავს, ხაიამის ასტრონომობას, მათემატიკოსობას, ფილოსოფოსობას, მაგრამ არაფერს ამბობს მისი პოეტობის შესახებ და მისი პოეზიიდან სანიმუშოდ არც ერთ რობაის არ გვთავაზობს. ა. სამარყანდელი ხაიამს პირადად იცნობდა, პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისი საფლავიც მოუხანულებია.

შემდეგი დროის კვლევამ (ვ. ჟუკოვსკი, ფ. როზენი, ა. ჭრისტენსენი) გვიჩვენა, რომ ხაიამის სახელით ცნობილი რობაიების კრებულში საკმარაოდ აღინიშნა მისი შესულა როგორც ხაიამზე ადრინდელი, ისე შემდეგი დროის პოეტთა რობაიები.

ხაიამის პოეტობის სასარგებლოდ ვერ ლაპარაკობს ვერც ის საყურადღებო ლიტერატურული ფაქტი, რომ მას, როგორც სიტყვის ოსტატს, არც ერთი ადრინდელი ხანის პოეტი არ იხსენიებს იმ შემთხვევაში, როცა ისინი დიდი პატივით იხსენიებენ რუდაქის, ფირდოუსის, ნიზამისა და სხვებს.

ხელნაწერების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ, რაც უფრო ძველია ხელნაწერი, მით უფრო ნაკლებ რობაიებს შეიცავს იგი რიცხობრივად. ასე, მაგალითად, ბოლღიანურ ხელნაწერში (1461 წლისა, ოქსფორდის უნივერსიტეტი) 405 რობაია წარმოდგენილი, ვენისაში (XVI საუკ.)



— 482 ხოლო ბრიტანეთის მუზეუმისაში (XVII საუკ.) — 540 და ა. შ. ეს გარემოება გარკვეულ გეგს იწვევს რომაეების ერთი ავტორისადმი მიუყვანებლად. ამას ემატება ზემოთ აღნიშნული ფაქტი, რომ კრებულში შეტანილი რომაეების ნაწილი სხვა პოეტების ნაწერებიდან აღებული აღმოჩნდა.

ამ ბოლო დროს კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორ არტურ არბერის მიერ აღმოჩენილი იქნა ხაიამის რომაეების ორი ზღაპერი; ერთი 1207 წლისა, რომელშიც 252 რომაია მოთავსებული, ხოლო მეორე — 1259-60 წლისა. რომელიც 172 რომაის შეიცავს. ეს რომაეები ამჟამად გამოცემულია.

ა. არბერის აღმოჩენით თითქოს ყველაფერი დამთავრდა, თითქოს ხაიამის შემოქმედებისა და რომაეების ტექსტის კვლევა-ძიების მყარი საფუძველი შეიქმნა, მაგრამ ირანელი დიდი მეცნიერები (ს. ნაფისი, მ. მონი და სხვები) დამკვიდრებულ ტექსტის სიძველეში და ფილოლოგიური ანალიზით დაადასტურეს, რომ აღნიშნული ზღაპრები უფრო გვიანდელ ხანას (XV-XVI საუკუნეები) ეკუთვნის. ეს აზრი სხვებმაც გაიზიარეს. კვლავ საძიებელია საკითხი: იყო თუ არა ომარ ხაიამი პოეტი და რა ეკუთვნის მას მისი სახელით ცნობილი რომაეების კრებულიდან.

ამ როულ ვითარებას ხელი არ შეუშლია მთარგმნელობისათვის; ისინი სხვადასხვა ენაზე თარგმნიან რომაეებს. ხაიამი დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ვ. კოტეტიშვილს თარგმანებში წარმოდგენილი მეორე კლასიკოსი გახლავთ **აბდ-ორ-რაჰ-მან ჯამი** (1414-1492). მისი მდიდარი პოეზიის ნიმუშები ევროპამ XIX საუკუნის შუა წლებში გაიცნო. ამ მხრივ დიდი როლი ე. როზენცვაიგის გერმანულმა თარგმანებმა შეასრულა (1840). ჯამი სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის უკანასკნელი დიდი პრემიადგენელია; იგი შეიღო პოემის, ერთი პროზაული და თხუთხუთების (ბეჰარესთანის) და ლექსთა ჯამი საკმაოდ მოზრდილი კრებულის ავტორია.

მესამე პოეტი, რომელსაც ავრეთვე ვ. კოტეტიშვილი თარგმნის **შამს ელ-დინ მოჰამედ ჰაფიზ შირაზელი** (XIV საუკ.) გახლავთ. ჰაფიზის პოეზია განუწყვეტელი მომხიბლავი სიმღერაა ვარდ-ყვავილებსა, ღვინოსა და სიყვარულზე; მკითხველს იგი მუდამ აჯაღოვებდა და დღესაც აჯაღოვებს.

საქმე ის არის, რომ მის ძირითად თემას — სიყვარულს ჰაფიზი სხვადასხვა ხმებით უგალობს, უხვი ფერებით ხატავს მისი ტრფობის საგანს; განცდებისა და გრძნობების გადმოსაცემად პოეტს მრავალგვარი ვარიაციის მიზართვის. მისი ლექსი საესეა მელოდოზობითა და მუსიკალობით; ყოველგვარ ამან დიდად შეუწყობდა ჰაფიზის პოეზიისადმი ხალხის სიყვარულის გაღვივებას.

ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის ყველაფერს პოეზიაში ნაკლებად აისახა ცხოვრების სინამდვილე. არა. ჰაფიზი თავისი დროის შეიღო; მის შემოქმედებაშიც ჩანს ის სოციალ-ეკონომიური ვითარება, ის წინააღმდეგობანი, რაც ეპოქას ახასიათებდა.

ევროპელები დიდი ხანია იცნობენ ჰაფიზის შემოქმედებას; საუკუნეზე მეტია, რაც გერმანულ და ინგლისურ ენებზე ჰაფიზის ლექსთა კრებულის რამდენიმე ტომად გამოცემული სრული თარგმანები არსებობს. ჰაფიზს „უახალთა მეფეს“ ეძახიან. მან დიდი როლი შეასრულა აღნიშნული სალექსო ფორმის განვითარებაში.

ცნობილია, რომ ჩვენი მთარგმნელობითი მუშაობის დიდი ტრადიციები არსებობს. ქართულად სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ძეგლი გადმოთარგმნილი. „როსტომიანი“ („შაჰ-ნამე“), „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“, „ლეილ-მაჯნუნია“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „ბარამჯურიანი“ და სხვ. ქართულმა ხალხმა თარგმანების გზით გაიცნო.

სპარსულიდან თარგმნილი თუ გადმოკეთებული თხზულებებით ქართული ლიტერატურა ერთი უმდიდრესთაგანია მსოფლიოში. ეს თარგმანები, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორთა მიერაა შესრულებული, მთარგმნელობითი მეთოდების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ეს განსხვავება ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ ზოგიერთი ნათარგმნი თხზულება, როგორცაა, მაგალითად, „როსტომიანი“, „ბარამჯურიანი“ და სხვ. რომლებშიც, ძირითადად, ქართული სული და პოეტური აზროვნება ჩაქსოვილი, ძნელად შეიძლება თარგმანებად ჩავთვალოთ.

მიუხედავად იმისა, რომ სპარსულიდან მთარგმნელობით მუშაობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, ლირიკული პოეზიის ნიმუშები ძველად არ ყოფილა გადმოთარგმნილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა პოეტთა შემოქმედების ნიმუშებიც თან შემოყვლილია „ყარამანიანის“, „სირინოზიანის“ და სხვა თხზულებათა ქართულ თარგმანებს, რომელთა დედნების ავტორებს საკუთარი ლექსების გვერდით თბრთაში სხვათა ლექსებიც ჩაურთავთ.

ლირიკული პოეზია, როგორც აღინიშნა, ძველად არ ითარგმნებოდა. ჩვენი წინაპრები უფრო საგმირო-სამიჯნურო და დიდაქტიკური ხასიათის თხზულებებით ყოფილან დაიმტერებულნი და მათ თარგმნიდნენ. პოეტური ნიმუშების ლექსად გადმოლება, როგორც ჩანს, ეძნელებოდათ; ამიტომ ლექსად დაწერილ

დავით კობიაძე
ბატუმის კობახიშვილის თარგმანები



თხზულებებს დიდ უმრავლეს შემთხვევაში პროზად თარგმნიდნენ და შემდეგ მას სხვები ლექსადუნენ. აქედანაა წარმომდგარი ჩვენში ნათარგმნი თხზულებების ლექსითი და პროზითი ერღაქციების არსებობა. საინტერესოა ისიც, რომ პროზაული თხზულებების თარგმნის დროსაც დედანში ჩართული ლექსების გადმოღება ზოგჯერ ერიდებოდნენ, თუ მათი გადმოთარგმნა ამბის მსვლელობისათვის, ან თხზულების საერთო სახის წარმოდგენისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

დაკვირება გვიჩვენებს, რომ თარგმანის შეუსრულებლობის შემთხვევაში ლექსები ქართულ ტრანსკრიფციით გადმოჰქონდათ და ხელნაწერში სათანადო ადგილს თავისუფალს ტოვებდნენ იმისათვის, რომ შემდეგში შესრულებული თარგმანი იქვე მიეწერათ.

„სირინოზიანის“ ხელნაწერებში ჩვენ გვხვდება ლექსების ჩასაწერად დატოვებული თავისუფალი ადგილები. ზოგ ხელნაწერში არა გადამწერის, არამედ სხვისი ხელით ჩაწერილი ლექსებიც გვხვდება. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ შესაძლებელია პროზაულად შესრულებულ თარგმანში ჩართული ლექსები სხვადასხვა პირის მიერ იყოს გაწყობილი.

ზოგი მთარგმნელი ცდილობდა ტექსტი სიტყვისიტყვიტად გადმოეცა. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული კულტურის დიდი მომავის ვახტანგ VI-ის მიერ გადმოთარგმნილი „ქილილა და დამანა“. ერთვან იგი აღნიშნული თხზულების პირველი მთარგმნელის დავით მეფისა და მისი ნაშრომის შესახებ საყვედურის კილოთი ამბობს: ბატონ დავითს, ბატონის თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის არაგვისის ეთარგმნა, მაგრამ არც ლექსი გადმოეღო და ზოგი სიტყვაც დაეკლო.

მაშასადამე, ვახტანგის აზრით, ლექსად გადმოღება და გადმოთარგმნა აუცილებელია; ამასთან, შეუწყნარებელია თარგმანში სიტყვის დაკლება. თვითონ ვახტანგი „ქილილა და დამანას“ თარგმნისას დიდ საქნელებებს წააწყდა და აღნიშნავს იმას, რასაც სპარსული ტექსტის მთარგმნელები დღესაც ვანიცდიან.

ვახტანგი ამბობს: ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამაღდ მოვა, და მე იმავე ამბის ვალექსვა მოვიდნო, და ვეგება ლექსი არ მოგეწონოს, გასინჯეთ, რომ სხვისი კაცისაგან ნათქვამს ამავეს მეორე ისე ვეღარ იტყვის (ანდერძი).

ეს სიტყვები მხოლოდ იმ სწავლულს შეეძლო ეთქვა, ვისაც სპარსული ტექსტის თარგმანზე მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება ჰქონდა და ღრმად სწვდებოდა ქართული და სპარსული ენის ბუნებას. ლექსი სპარსული ქართულად არ ითარგმნება, ამაღდ მოვაო, დიდი მეცნიერი, პოეტი და მწერალი ვახტანგ VI ამ სიტყვებში, ჩემი აზრით, გულისხმობდა სპარსული ენის იმ თავისებურებას,

რომ სალექსო სტრიქონი ზოგჯერ შეიძლება ერთი სიტყვიტად ითარგმნოს, მაგრამ ზოგჯერაც სტრიქონის გადმოსაცემად ერთი სტრიქონი საკმარისი არ არის. პირველ შემთხვევაში მთარგმნელი იძულებულია შეავსოს „ცარიელი ადგილი“, მეორეში კი — გამოაყლოს „ზედმეტი სიტყვები“, ან ლექს ზედმეტი სტრიქონი მიუმტოს, მაშასადამე, ზედმეტი სიტყვებით დაფაროს „ცარიელი ადგილი“. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ასეთი მოვლენები იშვიათი არ არის.

სათარგმნო მასალას ძველი მთარგმნელები უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ეპყრობოდნენ; ისინი იშვიათად თუ დაუშვებდნენ სიტყვების მიმატებას ან გამოკლებას (მოიგონეთ ვახტანგის საყვედური დავით მეფისადმი: თარგმანისათვის ზოგი სიტყვაც დაეკლო). ასეთ ვითარებაში ისინი, რა თქმა უნდა, ამჟობინებდნენ ლექსი პროზად გადმოეღოთ და ასევე იქცეოდნენ კიდევ.

ჩვენს დროში სპარსული პოეზიის პირველი თარგმანები პროფესორ იუსტიტად აბულაქეს ეკუთვნის. მან გადმოთარგმნა ომარ ხაიამის რომაეები. ისინი დაბეჭდილია ქურნალ „კავკასიონში“ (1924, № 1-2). ამაზე აღრეც ყოფილა ცალკეული ცდები სპარსულიდან გადმოთარგმნისა, ჩვენს ქურნალ-გაზეთებში, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება აღრეც შესრულებული თარგმანები, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი თხზულება ქართულად ამ დროისათვის გადმოთარგმნილი არა ყოფილა.

იუსტიტე აბულაქის შემდეგ ნაყოფიერ მთარგმნელები მუშაობას ამბავო ჰელიტე ეწეოდა. მან თარგმნა ნუზამის „საიდუმლოებათა საგანძური“ (დაბეჭდავია), „ლეილ-მაჟნუნიანი“ (დაბეჭდავია) და „ზოსროეშირინიანი“ (დაბეჭდილია); საადის „ბუთსანი“ და „გლოესანი“ (ორივე დაბეჭდილია), ხაიამის სახელით ცნობილი ყველა რომაი და მთელი რიგი სხვა ლირიკოსების (ჭელალ ედ-დინ რუმის, ჰაფეზის და სხვათა) შემოქმედების ნიმუშები (დაბეჭდილია).

ა. ჰელიტე წლების განმავლობაში ირანში ცხოვრობდა, სპარსული ენა იქ შეისწავლა; ირანელი მწერლების თარგმნას საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოჰკიდა ხელი. იგი გარდაიცვალა 1940 წელს, დაკრძალულია ვაყის სასულაოზე, მწერალთა პანთეონში.

ა. ჰელიტის შემდეგ მთარგმნელები გამრავლდა. ამას ხელი შეუწყო თბილისის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაარსებამ. აღნიშნული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან ზოგი კარგი მთარგმნელობითი ნიმუთ არის დაჯილდოებული. ისინი თარგმნიან როგორც სპარსული კლასიკური, ისე თანამედროვე პოეზიისა და პროზის ნიმუშებს; ნათარგმნი თხზულებების ცალკე წიგნებად გამოცემაც ვახშირდა.



ამ მთარგმნელთაგან მკითხველთა ფართო მასების ყურადღებას, როგორც აღინიშნა, დოც. ვ. კოტეტიშვილის მიერ შესრულებული მთარგმანები იპყრობს. მას გერმანული, ტაჯიკურ-სპარსული და ქართული პრესა გამოეხმაურა. რით იპყრობს მკითხველს ვ. კოტეტიშვილი, რით არის გამოწვეული მისი მთარგმანების ასეთი წარმატება?

უპირველეს ყოვლისა, ამ მთარგმანებში ჩანს ბრწყინვალე პოეტური ნიჭი, ქართული ენის შესანიშნავი ცოდნა და ლექსის მაღალი კლასტურა. ყოველივე ამას თან ერთვის საინტერესო ცდები სპარსული მდიდარი პოეტური აზროვნების წარმატებით დაუფლებსა, მთარგმნელი ყოველთვის ცდილობს და დიდ უმრავლეს შემთხვევაში ახერხებს კიდევ მართალი გულით სწორად გადმოსცეს "სათარგმნ მასალაში ჩაქსოვილი აზრი და განცდა, ქართულ ენაზე ამიტყველოს ის დიდი და წარმატაუი პოეზია, რაც საუკუნეთა განმავლობაში ხიბლავდა და დღესაც ხიბლავს მთელ კაცობრიობას.

ომარ ხაიამის სახელით ცნობილი რომაეების დიდი ნაწილი პოეტური ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენს; მათში გამოყენებულია ყოველგვარი ტექნიკა, რაც კი შეიძლება პოეტს გამოეხადოს. ავტორი ოთხ სტრაქოწში ახერხებს სხვადასხვა აზრის დასრულებული სახით გადმოცემას, იქნება ეს ფილოსოფიური, პედონისტური თუ სატრედალო-სამოყვართო მოტივების შემცველი სიმბრძნე.

რობაი ფორმის თვალსაზრისით ორი სახისაა: ა) როცა ლექსში პირველი, მეორე და მესამე სტრაქოწია გარითმული, მესამე კი ურითმოდაა დატოვებული (სქემა: aaba) და ბ) როცა ოთხივე სტრაქოწია გარითმული (სქემა: aaaa) ორბასითვის ამავე დროს აუცილებელია გარკვეული, მისთვის განკუთვნილი სალექსო საზომის დაცვა.

ვ. კოტეტიშვილი იცავს რობაის ორიგინალის ფორმებს, პოეტურ სახეებსა და რითმითა განლაგებას, მას სწორად გადმოაქვს ტექსტის აზრი და საერთო განწყობილება. სახელდახლოდ ავიღოთ ერთ-ერთი რობაის სპარსული ტექსტი (გუიანდ ქე დუზახი ბოვად მაროშე მასთ) და სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ იგი. თარგმანი ასეთ სახეს მიიღებს:

ამბობენ, რომ ჯოჯოხეთი შეხედება ლოთებს (სამყოფად), ტყუილი სიტყვა და შეუძლებელია გული მას ვანდოთ (დაეუკავშიროთ), თუ შეეკარებულსა და ლოთს (მთგრალს) ჯოჯოხეთი მოელის, ხეალ დანიხავე სამოთხეს, ვითა ხელის გულს (ცარხელს).

ახლა მთარგმნელს მოვუხსინოთ: ამბობენ, რომ ჯოჯოხეთში იქნებაო კრული

ყველა ლოთი და მიჯნური, ვინც შელახა
ეს რომ მართლა ასე იყოს ხომ სამოთხე
ხვალევე
ისე დაცარიელებდა, როგორც ხელის
გული (გვ. 11).

მკითხველი შენიშნავდა, რომ დედანში პირველად ლოთზეა ნათქვამი, მას ჯოჯოხეთი მოელოსო, ავტორმა დასკვნაში ლოთს შეეკარებული (მიჯნური) მოუმატა და ამით, ვფიქრობთ, აზრის მსვლელობაში ბზარი გააჩინა. ვ. კოტეტიშვილს უგარძნია ეს ერთგვარი უხერხულობა და შესანიშნავად გაუსწორებია იგი. თარგმანში პირველადვე ლაპარაკი იმის შესახებ, რომ "ყველა ლოთი და მიჯნური ჯოჯოხეთში იქნებაო კრული", და, ცხადია, დასკვნაში მისი (მიჯნურის) წარმოდგენა მოულოდნელი აღარ არის. თარგმანში, ისევე როგორც ორიგინალში, სამი სტრაქოწია გარითმული, მესამე — თავისუფალია.

ამა თუ იმ თხზულების ან ლექსის ღრმა შესწავლისათვის ზოგჯერ აუცილებელია მისი თარგმნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არც ერთ მკითხველს არ შეუძლია ისე ღრმად მიწვედეს პოეტის (მწერლის) აზრსა და განცდებს, როგორც მთარგმნელს. მთარგმნელი მწერლის სულში იხედება, იგი იმავეს განიცდის, რასაც პოეტი განიცდიდა. ის ვრძობდა და განწყობილება ეუფლება, რაც თხზულების ავტორის გააჩნდა ნაწარმოების შექმნის პროცესში. მთარგმნელი ყველაფერს ხედავს და ეს გარემოება ვ. კოტეტიშვილს შესაძლებლობას აძლევს თარგმანში "შეასწოროს", "გამართოს", ორიგინალის "არაზუსტი" აღვივები.

იმის ცხადსაყოფად, თუ კოტეტიშვილის მიერ როგორ არის რობაი ქართულად აქლერებული ერთ მაგალითს წარმოვადგინოთ:

ბავით დეწველი დოქის ბაგეს, ბაგე
გადავიბადავე,
დღეგრძელობას ვეძიებდი, ქამთა სარბოლით
დავიდავე;
დოქმა მითხრა საიდუმლოდ: მომაგებე ბაგეს
ბაგე
ქვეყნად განა კიდევ მოხვალ, დალიეო, რას
ქადაგებ!

მკითხველისათვის, ვფიქრობთ, განმარტებათა გარეშეც ნათელია ამ ლექსის სილამაზე, ალიტერაციების უმეტესეული განლაგება და, რაც მთავარია, აზრის მკაფიოდ გადმოცემა. შესაძლებელია, თარგმანი მუსიკალური ელერადობის თვალსაზრისით ზოგჯერ ორიგინალს კიდევ აღემატებოდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს დასაშვებია, თუ ყოველივე ამას ხელოვნურობის ბე-

დავით კობიძე
კახუშთი კობიტაშვილის თარგმანები



ქედი არ აზის და იგი ხელს არ უშლის დედნის აზრის გამოხატვას. ვფიქრობთ, ვ. კოტეტიშვილის თარგმანებში ამ მხრივ გარკვეული კონონზომიერებაა დაცული. დღე, თარგმანებშიც გამოჩნდეს ქართული ლექსის შესაძლებლობანი, მისი სიღიაღე.

ვ. კოტეტიშვილისათვის, სულერთია, რომელი პოეტის თხზულებასაც არ უნდა თარგმნიდეს იგი, მთავარი, უპირველეს ყოვლისა, ლექსის კულტურაა და ორიგინალის აზრის გარკვევით, ნათლად გადმოცემა. ამიტომაც მის მიერ შესარულებულ თარგმანებში არ დიქტებება ბუნდოვანი და ვაუგუბარი ადგილები, სულერთია, ეხება იგი მხატვრული თუ ფილოსოფიური აზრის გადმოცემას.

ვ. კოტეტიშვილმა შესანიშნავად დაძლია აგრეთვე ჯამის პოეზიაც და მოგვცა მისი ლირიკისა და პოემების (დოსები და ზოლები, სალამანი და აბსალი) ნიმუშებს ბრწყინვალე თარგმანები. დაძლია-მეთქი რომ ვამბობთ, იმას ვგულისხმობთ, რომ ჯამი სპარსულ ლიტერატურულ კრიტიკაში ურთულეს პოეტადაა აღიარებული. მისი შემოქმედების სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ პოეტი, ერთი მხრივ, კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების გამგრძელებლია, მეორე მხრივ, მის შემოქმედებაში იგრძნობა თანადროულობის ძლიერი მაყიხეცემა და სუფიზმის იდეების ქროლვა. ყოველივე ეს ისეა ერთმანეთზე გადახლართული, რომ მკითხველს ზოგჯერ ეჩნება გზის გაკვლევა და პოეტის მიერ გამოთქმული აზრების ამოცნობა.

მთარგმნელის მიერ ეს სირთულე დაძლეულია. დაძლეულია ჯამის ლექსთწყობის ფორმებიც. აქ შედარებით ვრცლად შეეჩერდებით იმ ფორმის ქართულში გადმოცემის სინელებთა შესახებ, რასაც ყაზალს (არაბულად ღაზალ) ეძახიან. ყაზალი უპირატესად ლირიკული ლექსია. მისი პირველი ორი სტრიქონი ერთმანეთს ერთიმება, შემდეგი რითმა სტრიქონის გამოტოვებით მოდის. მთელი ლექსი ერთ რითმაზეა აკონსტრუირებული. მისი სქემა ასეთია: *abacada* და ა. შ. ავტორი მოიხსენიება უკანასკნელ ბეითში, თუმცა მისი მოხსენიება სავალდებულო არ არის.

აღნიშნული სალექსო ფორმა ჩვენში არსებობდა; იგი გვხვდება XVIII-XIX საუკუნეთა პოეზიაში; ქართული „დღებეითები“ ხომ ყაზალის ფორმის ლექსებია. ყაზალი ა. ქაქავაძესაც უწერია. აღნიშნულმა სალექსო ფორმამ ქართულ პოეზიაში ძირი ვერ გაიდგა, იგი ქართულმა ბუნებამ ვერ შეითვისა. ჩვენნი ეპოქის დიდმა პოეტმა გ. ტაბიძემ აღნიშნა „გაქრა ძველი დღებეითი“ (ლექსიდან „აედარი“), და ეს სინამდვილეს შეეფერება.

საინტერესოა ის არის, რომ ყაზალი, როგორც სალექსო ფორმა, ბუნებრივია სპარსული პოეზიისათვის. კლასიკურ ხანაში იგი წამყვან ფორმად ითვლება, წამყვან ფორმად გამოდის

ის თემურბანთა და სეფიანთა ეპოქაშიც, თუ ქალის საუკუნის პოეტებიდანაც ბევრი ისეც. ყაზალის ფორმას მიუბრუნდა.

უეჭველია, ქართველი და ირანელი ხალხების ფსიქოლოგიის სხვადასხვაობა იწვევს ამ ხალხებში სხვადასხვაგვარი ლიტერატურული გემოვნების არსებობას, აქედან სხვადასხვა ლიტერატურული ფორმებისა და მიმდინარეობათა ჩამოყალიბებას. ყოველივე ეს შორეულ წარსულშია შემუშავებული და სხვადასხვა ისტორიულ პირობებში განმტკიცებული. ხალხებს შორის ფსიქოლოგიური სხვადასხვაობა მარადიული არ არის, იგი წარმავალია; მაგრამ ამას ხანგრძლივი დრო უნდა.

ჩვენს დროში, როცა სპარსული ლირიკის უდიდესი წარმომადგენლის (ყაზალთა მეფის) პაფეზის გადმოთარგმნის საკითხი დადგა, მთარგმნელებს წინაშე, ბუნებრივია, დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ სპარსული ყაზალისათვის რომელი სალექსო ფორმა მიესადაგებინათ.

ა. უელიძემ ამოიხილა პაფეზი ძირითადად ათმარცვლიანი ჯვარდინი რითმების შემცველი ლექსით ეთარგმნა; ყაზალის ფორმას იგი ვერ დაუახლოვდა და არც საამისო ცდა მოუცია. იმასაც დავსძენთ, რომ ა. უელიძეს ყველაზე უფრო, ვისიც არ უნდა ყოფილიყო ის, რომაი თარგმნა ემარჯებოდა.

ა. უელიძის შედგენილი მთარგმნელები მოერიდნენ პაფეზის ყაზალის ფორმით თარგმნას; ამ მიმართულებით ჩატარებულმა ცდებმა კარგი ნაყოფი ვერ გამოიღო და მთარგმნელებს ისევ ათმარცვლიან ლექსს მიუბრუნდნენ.

ვ. კოტეტიშვილმა ჩინებულად გადაჭრა ყაზალის, როგორც სალექსო ფორმის, ქართულად გადმოღების და აქედან ჯამისა და პაფეზის დიდი პოეზიის ქართულად ამტკიცებების საკითხი. აქ მოვიყვანოთ ჯამის ერთ-ერთი ყაზალის თარგმანი და ვნახოთ, რა ღირსებები გააჩნია მას.

წუხელ უეცრად გამახსენდი და სისხლად
დამდინდა ცრემლების ღვარი,
სანთელმა ჩემი წვა რომ იხილა, მე
დამტიროდა მოთქმით და ზარით.
განა რად სტარის საღვინე სურა, სისხლივით
ცრემლი რად მოიწურა?!
ის ბაგეები თუ მოისურვა, ფერით ვარდების
და ღვინის დარი.
ოღეს ცის კიდე მტრედის ფრთებს ისხამს,
იარსკვლევათა წვიმა შეენიშნე სისხამს
და მივხვდი ზეცის საწუხარს, ის ხომ ჩემს
დარდს სტიროდა ვარსკვლევათა ცვარით.
განა ცა წვიმდა ლეილას ბალთან, გულქვა
საწუთრო გულჩვილი გახდა,
მუდამ მაწუნის დარდი რომ ახლად, მიტომ
სდიოდა ცრემლები მწარო.
შირინს კართან რომ ჩაუღიოდა, იმ დარში
განა რძე მოდიოდა.



იქ მარტოოდენ ცრემლი დიოდა — ფარპაღს ტირილა მთავა და ბარბი. წუხელის ჯამი, ნაღველით სავსე, განშორებისგან ნატანჯი ასე, ისე მოსთქვამდა, რომ თვითონ მასვე მიაქანებდა ცრემლების ღვარი.

ჩვენ გამოვარკვევთ, რომ თარგმანი საესეებით სწორად გადმოსცემს ორიგინალის აზრს, ფორმის თვალსაზრისითაც იგი ემთხვევა ორიგინალის ფორმას. მისი სარიტომო სიტყვებია: ღვაბი, ზარი, ღარი, ცვარი, მწარი, ბარი, ღვარი. თარგმანიც ღვინის მსგავსად ერთი რითმითაა შეკრული. მას კარგი მუსიკალური ელერადობა ახასიათებს. ე. კოტეტიშვილი აქ და სხვა შემთხვევებშიც სასიხარუოდ იყენებს იმ ხერხს, რასაც ადრე საადი და შემდეგ ჰაფეზი მიმართავდნენ — შიდარიტმებით გაეწყობ თავისუფლად, ურიტმოდ დატოვებული სტრიქონი და ამით იგი უფრო მკიდროდ შეეკავშირებინათ მეოლი ლექსისათვის; აღნიშნული პოეტები ამას წარმატებით ახერხებდნენ. ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ საადისა და ჰაფეზის ყაზალებში ყველა თავისუფალი სტრიქონი შიდარიტმებით იყოს დამშვენებული; მათ ყაზალებში მხოლოდ ზოგი ყაზალა შიდარიტმითაა.

ზემოთ წარმოვადგინოთ თარგმანს სწორედ შიდარიტმები ამოვინ და მის მუსიკალობას ერთიორად აძლიერებენ. გავიშორით ტექსტის ის ნაწილი, სადაც ჩვენ შიდარიტმებთან ვაკეპს საქმე:

განა რად სტირის საღვინე სურა,
სისხლივით ცრემლი რად მოიწურა?!
ის ბავებნი თუ მოისურვა...

ოდეს ცის კიდე მტრედის ფრთებს ისხამს,
ვარსკვლავთა წვიმა შეენიშნე სისხამს
და მიგზედი ზეცის საწუხარს, ის ხომ..

განა ცა წვიმდა ლეილას ბალთან,
ვულქვა საწუთრო გულწვილი ვახდი,
მულამ მაჯნუნის დარდი რომ ახლდა...

შირიის კართან რომ ჩაუღიოდა,
იმ ღარში განა რაქ მოდიოდა,
იქ მარტოოდენ ცრემლი დიოდა...

წუხელის ჯამი, ნაღველით სავსე,
განშორებისგან ნატანჯი ასე,
ისე მოსთქვამდა, რომ თვითონ მასვე...

იმასაც აღვნიშნავთ, რომ მთარგმნელს უფრო მეტი რითმა აქვს დაძებნილი, ვიდრე მას თავისუფალი სტრიქონის ასავლერებლად ესაჭიროებოდა, ასე, მაგალითად, მეორე ბეითში თავისუფალი უნდა ყოფილიყო პირველი სტრიქონი:

განა რად სტირის საღვინე სურა,
სისხლივით ცრემლი რად მოიწურა?!
ისე მოსთქვამდა, რომ თვითონ მასვე...

მეგრამ რითმებმა იგი ააქლერეს, ლექსი აქციეს. ეს უკვე საესეებით საკმარისი იყო, მთავარმგნელი ამით არ დაკმაყოფილდა, იგი გადავიდა მომდევნო ძირითად სტრიქონზე და მის პირველ ნახევარს რითმად „თავისუფალ სტრიქონზე“ (ის ბავებნი თუ მოისურვა). მთელი ლექსი ასეთი ტექნიკით არის გადმოღებული, რითაც მთარგმნელმა ე. წ. „თავისუფალი სტრიქონები“ ლექსის ნაგებობას უფრო მეტ-ტყიბა და შეუკავშირა.

შეიხველება თვითონ განსაკუთრებით ფიქრი, ძალა და ენერჯია დახარჯული ე. კოტეტიშვილის მიერ სპარსული ყაზალების ამ სახით გადმოთარგმნაზე. აღნიშნული პოეტური ფორმის მიღწევას მთარგმნელი, შესაძლებელია ყოველთვის ვერ ახერხებდეს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ იგი ღვინის ფორმას არასოდეს ღალატობს.

ამავე გზებითა და მეთოდებით შეუღდა იგი ჰაფეზის ქართულად ამეტყუებულობას და, როგორც აღვნიშნეთ, ცალკე წიგნად გამოცემა ლირიკის თარგმანების ნიმუშებით. მაგალითისათვის ერთი ყაზალის თარგმანს წარმოვადგენთ:

მას შეეწირე ჩემი მწველი ჩანგი,
გულით ქვაა, ნახი სახით — მანგი.
მითმინება, სიმტკიცე და გონი
წარმტაცა და გულს დამადო თანგი.
სულში მიღუღს სიყვარულის სევდა
და ამომდის ცეცხლოვანი ძანგი.
არ გაქრება სიყვარული ჩემი,
გინდ მიხრავდეს ძვლებს ქამთა სვლას
ქანგი.
თვალი მომჭრა მისი მკერდის შუქმა,
გულს მომეღო უხილაგი ქანგი.
თუ შეშველის, ეგ გიშველის, ჰაფეზ,
მაგის ბაგის, მაგის ბაგის ბანგი.

აი, ეს არის ერთ-ერთი ნიმუში იმისა, თუ რა სასიხარუოდ წვდება მთარგმნელი ჰაფეზის პოეზიას, მის განცდებსა და გრძნობებს და ყაზალის სალექსო ფორმის ზუსტი დაცეით რა შეინანიშნავად გადმოაქვს იგი ქართულად.

თარგმანში, როგორც ხედავთ, თავისუფალი სტრიქონებისათვის შიდარიტმები არაა დაძებნილი, ეს არცაა საეულდებლო, მით უმეტეს, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ჰაფეზის ყველა ყაზალს იგი არ ახასიათებს. აღნიშნულ ლექსში სევდიანი განწყობილება გადმოცემულია პოეტის სარტოოს თანაგრძნობას მოკლებულია, მაგრამ მტკიცედ სჭერა, რომ არ გაქრება მისი სიყვარული თუნდ ძვლებს ქამთა სვლის ქანგი უხრავდეს. მას იმედოდ სატრფოს „ბაგის ბანგი“ შიანია. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მთარგმნელს განწყობილების გადმოსაცემად სათანადო სალექსო სახომი შეურჩევია; ესაა ათმარცვლოვანი ლექსი, რომლის სტრიქონები მარცვალთა განლაგების თვალსაზრისით სხვადასხვა ეარიანტებს გვამძღვებს.

ახლა მოვიყვანოთ თარგმანის ისეთი ნიმუში, სადაც შიდარიტმებია გამოყენებული:

გაზაფხულია, ვარდების ცეცხლმა
შემოაწილა შემოკარენი,
ჰე, მეგობრებო, ლინის მივეძალოთ,
ნუ ვსხვედვართ, როგორც მგლოვიარენი!

გარეთ ამინდი დვას საოცარი,
მოლხენისა და თრობის დროც არი;

დავით კობიძე

ვახუშტი კობახიძის ძეგლის მუზეუმი



თანამედროვედ გვიღირს, ღმერთო.
მზეთუნახავნი სახემთვარენი.

ცთომილთა ბრუნვის უწყვეტი ჰანგი
გვაბრუნებს, როგორც ღვინო და ბანგი
და მიჯირს უქმად რად გვიღვრის ჩანგი,
რატომ არ მოვთქვამთ გულმდღღარენი.

ჰაფეზ, ის დროა, ჯამები ვანთოთ,
სალხუნად ველი ვირიზოთ ფართო,
ვის დავარწმუნებ, ბუღლბურღნი ვართო,
თუ ვარღობისას ვართ მღღმარენი.

ამ ლექსში ძირითადი რითმებია: მგლოვია-
რენი, სახემთვარენი, გულმდღღარენი, მღღმარ-
ენი. შიდა რითმებად კი შემდეგი სიტყვებია
შერჩეული: საოცარი, დროც არი, ჰანგი, ბან-
გი, ჩანგი, ვანთოთ, ვართო, ფართო.

მკითხველი, ვფიქრობთ, შეინიშნავდა იმ გა-
რემობას, რომ შიდა რითმები როგორც ამ ლექს-
ში, ისე სხვაგანაც, ძირითად რითმებს აბე-
ვემდებარება; ეს გარემობა კი მოკლე
ლექსის საერთო მუსიკალობასა და ელერადობას
ამრავალფეროვანებს. ლექსი ლხინისა და დროს-
ტარებისადგენ მოგვიწოდებს, ამისათვის სათანა-
ოდ საზომი (გაერცხლებული სახის ათმარ-
ცვლოვანი ლექსი) და რიტმი შეარჩეული.

აქვე აღინიშნავთ იმასაც, რომ მთარგმნელი
ზოგჯერ სპარსული ლექსისუნარიანთვის დამა-
ხასიათებელ რელიეფსაც ინარჩუნებს. მაგალი-
თისათვის გამოვყავადგება ხაიამის ერთ-ერთი რო-
ბაის თარგმანი:

ღვინო არის საზრუნავი, მერიქიფევი,
ჩვენი, დავგავფეყე ღვინით ავი, მერიქიფევი, ჩვენი,
ორიოდღე დღით მოვსეკვარავთ ამა
ქვეყნის სტუმრად
და ვისა აქვს დარდი ს თავი, მერიქიფევი,
ჩვენი.

(გვ. 42).

ამ რობაში რითმებია: საზრუნავი, ავი, თავი.
რითმებს კი მოსდევს ერთი და იგივე ფორმისა
და მნიშვნელობის სიტყვები „მერიქიფევი, ჩვენი“,
რაც რეღვის წარმოადგენს. საინტერესოა
ის, რომ ვ. კოტეტიშვილი ხანდახან რობაის თავი-
დასრულს სტრიქონსაც რითმავს, რასაც ხაიამი
იმიჯით შემთხვევაში თუ მიზანთავდა. მაგალი-
თად, წარმოადგინოთ რობაის თავისი თავისუფალ
სტრიქონად ჩაითვლება სტრიქონი „ორიოდღე
დღით მოვსეკვარავთ ამა ქვეყნის სტუმრად“,
მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ იგი გართმულია.
მისი რითმებია: მოვსეკვარავთ, სტუმრად.

უნდა აღინიშნოს, რომ ვ. კოტეტიშვილი პო-
ეტის ამა თუ იმ განწყობების გადმოსაცემად
სათანალო საზომისა და ფორმის მიყენების
თავსახარისით დიდ უმრავლეს შემთხვევაში
ზიგნის აღწევს.

ქემშარბტი პოეზია მოითხოვს, რომ სალექს-
ო საზომი, ფორმა და ელერადობა უდავოდდეს
განწყობილებას; ლექსის ენაც რომ არ გვეცმო-
დეს, შესაძლებელი უნდა იყოს იმის გამოცნობა,
თუ რა ხასიათის განცადა მასში ჩაქსოვილი,
იგი მწუხარებას თუ სიხარულს გამოხატავს.

იბანულ ლირიკოსთა შორის ამ მხრივ საშავა-
ლოთ შედგებენ სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის
მამამთავარს — რუდაქის გაანჩინა, რომლის
ლექსებში არც ერთი ყალბი ტონი, არც ერთი
ნაძალადევი სტრიქონი არ დიამჩნება. ამ თვა-
ლსაზრისით რუდაქის გვერდით თამამად შეიძ-
ლება დაიყურებოთ ჰაფეზი, რომლის გალობას
ყურის უღღებდა მთელი აღმოსავლეთი, შემდეგ
— ვეროპა და ბოლოს მთელი კაცობრიობა.

დიდი თანამედროვე ირანელი პოეტი, უწყნი-
ყი შეიჯი (წარმოშობით ქართველი), რომელიც
პირველად დაარღვია არუზის სისტემა და ახა-
ლი სპარსული ლექსი შექმნა, ამბობდა: მონო-
ტონური საზომი, რიტმი და რითმა ბორკავს
ავტორს და მას აზრისა და გრძნობის გამოთქ-
მის საშუალებას არ აძლევს. პოეტი თავის ეპო-
ქის შვილი უნდა იყოს, იგი ყვალში უნდა მიპ-
ყვებოდეს ცხოვრებას, რომელიც ვითარდება
და იცვლება. პოეტი არ უნდა გამოეყოლოს მის
პირადი გრძნობებისა და განწყობილებების
ჩარჩებში, იგი უნდა ემსახურებოდეს მალად
საკაცობრიო იდეალებს, საზოგადოებას, ხალხს;
ამისათვის ახალი შინაარსი და ფორმა საჭიროა.
ლექსი, ნიშას აზრით, არ უნდა იყოს შემორჩე-
ული ერთი საზომითა და ფორმით, მისი ფორმა
და საზომი შინაარსს უნდა ექვემდებარებოდეს.
სიტყვა ლექსში აზრს გამოხატავს, ხოლო სტრი-
ქონში სიტყვათა ელერადობა ლექსის შინაარსს
უნდა შეესაბამებოდეს. არუზის მეტრიკა კი არ
უნდა ბატონობდეს პოეტზე, არამედ პოეტი
მეტრიკაზე, მისი აზრებისა და გრძნობების შე-
საბამისად. ნიშას ლექსებმა და პოემებმა, რომ-
ლებივე აქ აღნიშნულ პრინციპების მიხედვი-
თაა შეთხზული, გავლენა მოახდინა თანამედ-
როვე ირანელი პოეტების საგრძნობ ნაწილზე.

ნიშა შეეპოქა ცალსიკურ პოეზიაში დამ-
კვიდრებულ მონოტონურ საზომს, რიტმსა და
რითმს. მისი აზრით, სტრიქონში სიტყვათა
ელერადობა ლექსის საერთო შინაარსს უნდა
შეესაბამებოდეს. ეს უკანასკნელი დებულება
იყურბის ამჟამად ჩვენი ყურადღებას.


უნდა აღინიშნოს, რომ მონოტონური ფორმა-
სა და რითმის შეფერხის ხანაშიც, ე. ი. კლასი-
კურ პოეზიაში, დაიძებნება, ბევრი პოეტი, რომ-
გორიცაა, მაგალითად, რუდაქი, მანუჩქორი, ხა-
ყანი, ჰაფეზი და სხვ., რომელთა ლექსები დი-
დი ემოციური ტონალობით ხასიათდება. ისინი
შესანიშნავად ახერხებდნენ ლექსის შინაარსის
გადმოსაცემად სათანადო ლექსიკა და ელერად-
ობა შეერჩიათ. სწორედ აქ უნდა გამოინდეს
შემოქმედის ნიჭი და ძალა. ვინც სწორად შე-
არჩევს სიტყვის მარაგს, რიტმს, სალექსო სა-
ზომს ამა თუ იმ განცდებისა და გრძნობების
გადმოსაცემად, ის ხდება მოწონებული და და-
დასტურებული.

აჯაკის „ცო ფორუზ, ხმელეთ ზურმუხტო“ ან
„სულიკო“ რომ რეამარცლოვანი ლექსი არ
იყოს, გულის სიღრმედა ამაზეთქილი, საგანგა-
ბოდ შერჩეული სიტყვებით აიწმული, ვფიქ-
რობთ, ასე დიდი მოაქულარობით ვერ ისარგებ-
ლებდნენ.

სიტყვების შერჩევისა და სათანადო სალექსო
ფორმების შინაარსთან მისადაგების თავსახარ-
ისით დიდ აჯაკის მხარს უსწორებს ჩვენი სა-
უკუნის შესანიშნავი პოეტი გალაკტიოს ტაბი-
ძე: მოიკაინო მისი „მერი“, „მოთწმინდის
მთვარე“ და სხვა ცნობილი ლექსები, რომლებ-
შიც შეუძლებელი ხდება რომელიმე სიტყვის
გადაადგილება, ან მისი შეცვლა.

დასასრულ ვერთი მაგალითიც, ჩვენი აზრით,
რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაო-
სანი“ მეზობეების ფორმით რომ ყოფილიყო
დაწერილი, ვერ მიიქცევა დიდ ყურადღებას,
იგი დაიშლავდა ქართველი ხალხის იმ დიდ
სიყვარულს, რაც მას საუკუნეთა განმავლობაში
წინ მოუძღვოდა.

ნათქვამით ისიც მინდა აღვნიშნო, რომ თანა-
მედროვე ქართველ პოეტთა შორის ბევრია
ისეთი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს
ნამდვილი შემოქმედების სწორად იმ მთავარ
მომენტს, ლექსის უქდავეების მომენტს, რაც



იმამში მდგომარეობს, რომ მისი ფორმა და ლექსიკის ელერადობა შინაარსს უნდა ეხამებოდეს. ისეთი ლექსები, რომლებშიც ეს არაა დაცული, შეიძლება წაიკითხოთ უკუღმა, ან სხვადასხვა ლექსის სტროფები შევედრეთოთ ერთმანეთს და ისე წაიკითხოთ. ასეთი ხასიათის ოპერაციები ამ ლექსებში არაერთი ტიპილი არ გამოიწვევს, რადგან მათში აზრი და შინაარსი ერთი არ არის წამყვანი, არამედ სტრუქტურული ლექსის განლაგება; ავტორები ვერ ახერხებენ, ან საამისო ნიჭი არ შესწევთ, რომ ლექსში სიტყვების ჰარმონია, მათი ელერადობა, შინაარსთან და ფორმასთან იყოს შედუღებული; ლექსი ერთ მთლიან ნაგებობას, ერთ მთლიან სავალბელს უნდა წარმოადგენდეს და არა შემოდგომის ქართულ დაფანტულ ფოთლებივით უშინაარსო სტრუქტურების გროვას.

მკითხველი შენიშნავს, რომ ნიშან რჩევა-დარბილებსა თუ დებულებებს ნაწილობრივ გადაეუხებენ.

ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისით, სპარსულ პოეზიაში, როგორც ითქვა, მთელი რიგი პოეტები და მათ შორის ჰაფეზიც გამოირჩევა. მისი მთარგმნელი, ჩემი აზრით, იმაზედაც უნდა ფიქრობდეს, თუ რა ფორმითა და ლექსიკით გადმოსცეს ესა თუ ის ლექსი, რომ მკითხველში რამდენადმე მაინც პოეტის გრძნობები და განწყობილება გამოიწვიოს.

3. კოტეტიშვილს ირანელი პოეტების თარგმნისას აქვს საყურადღებო ცდები და, როგორც აღვნიშნეთ, იგი უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვებით მთარგმნება. ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ მთარგმნელმა ამ მიმართულებით მუშაობა შეანელოს და მიღწევებით დაკმაყოფილდეს.

3. კოტეტიშვილის თარგმანების ნაწილობრივი და არასრული მიმოხილვის შედეგად შესაძლებლობა გვეძლევა ზოგიერთი შენიშვნა გავაკეთოთ.

1. მთარგმნელის ყურადღებას მიეპყრეთ იმას, რომ იგი ზნობად ერთსა და იმავე რითმებს აყენებს. ასე, მაგალითად, ომარ ხაიამის თარგმანში სარითმო სიტყვებად გამოყენებულია ჟამი, წამი, ჯამი:

რა საოცრად მიქარავენოს ჩვენი ყოფნის ჟამი,
და რაოდენ საამოა ლხინის ერთი წამი
მერქიფეფ, ნუ ვაღონებს ხვალინდელი
წარღენა,
ლაზე ვადის, აბა, ჩქარა, მომაწოდე ჯამი
(გვ. 23).

იგივე რითმებია გამოყენებული 29-ე გვერდზე მოთავსებულ რომაის თარგმანშიც:

ნუ გინდა სამოც წელზე მეტი სიცოცხლის
ჟამი,
ფხიზელი ბიქსაც ნუ გადადგამ ნურც ერთი
წამით,
და სანამ შენი თავის ქალა დოქად ქეცულა,
არ მოიშორო მხრიდან დოქი, ხელიდან —
ჯამი

იგივე რითმებია 41-ე, 44-ე, 51-ე გვერდებზე მოთავსებულ რომაიებშიც. აღნიშნული სიტყვების რითმებად გამოყენებას, როგორც მთარგმნელმა თავი ვერ დააღწია ჯამისა და ჰაფეზის ლირიკის თარგმანებშიც.

ჯამის თარგმანში ვკითხულობთ:
ჰე, მერქიფეფე, მომაწოდე ის დღი ჯამი,
ჩემს არსებას რომ განაშორებს თუნდ ერთი
წამით! (გვ. 28).

კიდევ:
თავდავიწყების მეხლა ჟამი,
რად გინდა ღვინით აღსავსე ჯამი (გვ. 28).

ჰაფეზის თარგმანებშიც ხშირია იმავე სიტყვების რითმებად გამოყენების შემთხვევები:

იხსენებოდეს ის ბედნიერი წამი,
ოღეს მიჯნურებს ეღვათ სიამის ჟამი, (გვ. 17).

თენდება, ჩქარა, მერქიფეფე, აღავსე ჯამი,
არ დაყოვნდება ჟამთა სიბოლა არც ერთი
წამით.

...
შენ მაგ სასმისით დაგვიყენე არყოფნის ჟამი,
...
ღვინით ამიგეტ თავის ქალა ისე, ვით ჯამი
...
ამ გზას დაადექ, არ დაფიქრდე არც ერთი
წამით. (გვ. 19).

მივუთითებთ, რომ 48-ე, 50-ე, 57, 58-ე გვერდებზე და სხვაგანაც იგივე რითმები მეორედება.

რამდენჯერმეა ავტრთვე გამოყენებული რითმები: ბუენი, მშვენი, ჩვენი. ხაიამის რომაიებიზ თარგმანში ვკითხულობთ:

მითხრეს როდესაც გაიხსნება სამოთხის ბუენი,
დავგრჩება ღვინო, ფერები ლლი და მშვენი,
ბოლოს თუ მაინც იმაჲ საქმეს უნდა ვეწიოთ,
ველარ გავიგე, რალა არი ცოდვები ჩვენი!

ახლა მოვიყვანოთ ადგილები ჰაფეზის ლირიკიდან:
გზა გასავლელი, განიხენა ბუენი,
მაგრამ სად არის სინას მთა ჩვენი (გვ. 14).

მარადისობის განგველო ბუენი,
ჰაფეზ, დარჩება სახელი ჩვენი (გვ. 18).

სახიფათოა სავანე ჩვენი
და ჟერ არცა ჩანს მიხანთა ბუენი (გვ. 35).

წარმოდგენილი მაგალითები იმაზე მეტყველებს, რომ მთარგმნელი ამა თუ იმ სტრუქტურის გამართვაზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე

დავით კოხიძე
პაბუშტი კობახიშვილის თარგმანები

ერთი და იმავე რითმების ხშირი გამოყენებისა-
გან თავის დაღწევაზე, რითმების გამოარება, რა
თქმა უნდა, დასაგმობი არ არის, ამას ზოგჯერ
დიდი პოეტებიც მიმართავენ, მაგრამ როცა რი-
თმები ხშირადაა განმეორებული ერთ პატარა
კრებულში, ზოგჯერ ერთსა და იმავე ლექსშიც,
ვერ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას და პოეტის
სარიტორ სიტყვების დაძვინის სიღარიბეზე მიუ-
თითებს. ასეთ ვითარებაში ახალი რითმები უნ-
და მოინახოს. ახალი რითმების მიგნებას კი
პოეტები მეცნიერულ აღმოჩენას უთანაბრებენ.
ახალ რითმას ახალი აღმადრწნა მოაქვს; იგი პო-
ეტური შემოქმედების გულის ძარღვია და მისი
მაცოცხლებელი. ამავე დროს ისიც უნდა აღი-
ნიშნოს, რომ ძველი რითმებიც დიდ როლს ას-
რულებს ლექსში, ოღონდ გააჩნია, როგორ არის
ისინი გამოყენებული. თუ ვგებთ წოდებული
„გაკვეთილი რითმა“ პოეტურად კარგად დამუ-
შავებულ სტრიქონს მიუძღვის, იგი მაშინ განახ-
ლებული თვალთ იხედება, თავისებური ტონი
შეაქვს ლექსის საერთო მუსიკალბაში. ჩვენი
შენიშვნა ძველი რითმების გამოყენებას კი არ
ეხება, არამედ ერთი და იგივე რითმის მრავ-
ალჯერ ხმარებას, რაც მოსაწონი არ არის.

2. მთარგმნელი ზოგჯერ ისეთ სიტყვას მოიხ-
მობს, რაც თავის დანიშნულებას არ ამართლებს.
მაგალითად, ხაიამის ერთ-ერთი რომანის თარგ-
მანში მას გამოყენებული აქვს სიტყვა კო დ ი.

მე სიკვდილამდე შინდა შეესვა იმდენი კო დ ი,
რომ ღვინის სურნელს ვერ იჭერდეს საფლავის
ლოდი.

ცხადია, გამოთქმაში „შინდა შეესვა იმდენი
კოდი“ იგულისხმება ბევრი ღვინის შესმა, მაგ-
რამ უხერხულობას ის იწვევს, რომ კო დ ი
ღვინის სარწყავი არ გახლავთ, საქართველოს
არც ერთ კუთხეში არ ყოფილა კოდი გამოყენე-
ბული ღვინის მოსათავსებლად; იგი, ძირითადად,
მარცვლეულის სარწყავია და არა ღვინის.

აქვე იმსახვად დავძინებ, რომ სპარსულ ტექსტ-
ში ღვინის სასმისი ნახსენები არ არის, იქ არც
„საფლავის ლოდი“ იკითხება. ორივე სიტყვა
(კოდი და ლოდი), ტექსტში მთარგმნელს შემო-
უტანია და რითმებად გამოუყენებია.

აქვე აღვნიშნავთ ერთი სპარსული სიტყვის
გამოყენების შესახებაც. ჰაფეზის ერთ-ერთი
ყაზალის თარგმანში, რომელიც ჩვენ ზემოთ
მოვიყვანეთ, გვხვდება სიტყვა თ ა ნ გ ი.

მოთმინება, სიმტკიცე და გონი
წარმტაცა და გულს დამადო თ ა ნ გ ი (გვ. 37).

თანგი აქ მკითხველისათვის შეიძლება ბრუნ-
ბარი აღმოჩნდეს. აღნიშნული სიტყვა სახასა
და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში განმარტე-
ბული არ არის. მთარგმნელს მიეჩვენება, რომ
მოუცია. „განმარტებით ლექსიკონში“ კი გვხვ-
დება ამ სიტყვის ახსნა. მისი მნიშვნელობა: ა)
დურგლის (ჭახრაკეიანი) ხელსაწყო, რომელ-
შიაც წებოთი შეკავშირებულ ფიკრებს ღებენ,
ვიღერ შემტკიცდებოდეს. ბ) საწნახელის გასა-
მაგრებელი ძირის ხე.

სიტყვა თ ა ნ გ ა სპარსულია. მთარგმნელს აქ
იგი, ჩვენი აზრით, დარბის, მწუხარების, მოწ-
ყენილობის მნიშვნელობით უხმარია (დელთანგ).
მას უქვევლად შეეძლო ამ სიტყვის თავიდან
აცილება, თუმცა იგი, როგორც ჩანს, აღრევე
ყოფილა ჩვენში დამკვიდრებული „შეზღუდ-
ვის“, „მოჭერის“, მნიშვნელობით, რასაც ღურ-
გლის ხელსაწყო წებოთი შეკავშირებული ფიკ-
რების მიმართ ასრულებს.

ჭართულში გვხვება აგრეთვე სიტყვა თ ა ნ გ ე ა,
მოძრაობის უნარის დაკარგვის, მოთენთვის
მნიშვნელობით. თუ მთარგმნელმა თანგი დურ-
გლის უახსრეკიანი ხელსაწყოს მნიშვნელობით
გამოიყენა, მაშინ პოეტური სახე ბუნდოვანება-
ში გადადის.

3. სასურველია, თუ მთარგმნელი მეტს იმუ-
შავებს ირანული პოეტების ლექსებში წარმოდ-
გენილი მხატვრული სახეების სისტემის, მრავ-
ალფეროვნების, ალიტერაციების, სიტყვათა
თამაშისა და საერთოდ ტბილზმოვანების გად-
მოცემისათვის.

ნათქვამი იმას არ ნიშნავს, თითქოს ვ. კოტე-
ტიშვილი თარგმანს ამ მხრივ ნაკლებ ყურადღე-
ბას აქცევს, მაგრამ იმდენად რთულია ნაკლებ-
პოეზიის წარმომადგენლების თარგმნა, მათი
მხატვრული აზროვნების ყოველმხრივ დაუფ-
ლება, მათი ფიქრებისა და განცდების მშობ-
ლიურ ენაზე ამტყვევება, რომ იგი დიდ შრო-
მას ითხოვს და მიღწევებით არ უნდა დავამაყო-
ფილდეთ, რადგან, ჩანს, ამ მიმართულებით
ჯერ კიდევ ბევრია გასაუკეთებელი.

ჩვენ განვიხილეთ ვ. კოტეტიშვილის თარგმა-
ნები იმ მიზნით, რომ ერთგვარი დახმარება გაგ-
ვეწია მისთვის. სასურველია, მთარგმნელი ჩაუ-
ფიქრდეს ჩვენს შენიშვნებს, ვინ იცის, ზოგი-
ერთი მათგანი იქნებ გამოსადეგიც აღმოჩნდეს.

საერთოდ, ვ. კოტეტიშვილის მიერ შესრულე-
ბული თარგმანები მოწონებას იმსახურებს; გა-
დაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ
იგი ჩვენს დროში სპარსული პოეზიის თარგმ-
ნის თვალსაზრისით ახალ საფეხურს წარმოად-
გენს.





ღვით ჯანელიძე

მონაწილეობა თუ არა ქართველი ნაღირ შუაის მკვლევარი

ცნობილია, რომ 1736-1747 წლებში ირანის ტახტზე ნადირ-შაჰი იჯდა (ევროპელ ისტორიკოსთა განმარტებით სიტყვა „ნადირ“ არაბულად „მომაჯადოებელს“ ნიშნავს). ეს მბრძანებელი წარმოშობით ხვარასნელი იყო და აფშართა ტომს ეკუთვნოდა; არსებობს მეცნიერებაში საკმაოდ გაზიარებული ვერსია, რომ იგი მოსახლეობის დაბალი ფენებიდან იყო გამოსული. როცა ჯერ კიდევ შაჰად არ იყო ნაკურთხი და „თამაზ ყული ხანად“ (ე. ი. „შაჰთამაზის მორჩილი ხანი“) იწოდებოდა, სათავეში ჩაუდგა პატრიოტულ მოძრაობას და ირანიდან გარეკა როგორც ავღანი, ისე ოსმალთა და მკურთხელები. 1736 წ. 28 თებერვალს მულანის ველზე (სამხრეთი აზერბაიჯანი) შაჰად გამოაცხადეს და ამის შემდეგ „ნადირ-შაჰის“ ზედსახელი განაგებდა ირანის ტახტს. მან დაიპყრო შუა აზია და ინდოეთი, საიდანაც ზღაპრული სიმდიდრე წამოიღო. მეფობის ბოლო წლებში უდიდესი სისასტიკით აქრობდა სახალხო აჯანყებებს — თემურ ლენგის წაბაძვით, აჯანყებულებს ზოცავდა და მათი თავის ქალებისაგან პირამიდებს აშენებდა. ფრანგი ისტორიკოსები შენიშნავენ, რომ ხელი, რომელმაც ირანს სასიცოცხლო სული დაუბრუნა, ახლა მოსპობას უქადა და იმავე ქვეყანას. ერთმა მხატვარმა კარგად გამოხატა უკმაყოფილო ხალხის განწყობილება, როცა ხვარასნის მთავარ ქალაქ მუშედში ნადირ-შაჰის მივზოლუემთან მიიპარა და ფარულად ცარკით მიაწერა: ნადირ-შაჰო, მთელი სამყარო სავსეა შენი დიდებით, მაგრამ ნამდვილი შენი ადგილი ცარიელიაო (ტირანი შაჰის „ნამდვილი ბინაში“ ეს მამაცი მხატვარი სამარეს გულსხმობდა).

როგორც გამორკვეულია, ნადირ-შაჰის მონა-

რქია სახალხო აჯანყებებმა ააფეთქა. საინტერესოა თვითონ ამ ბრძანებლის დაღუპვის ვითარება, იგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

ამ შეთქმულების შესახებ ევროპულ ისტორიოგრაფიაში არა ერთი და ორი ვერსია არსებობს (პიკოს, ჰანეის, პეისონელის, ჯონ კუკის, მისიონერი ბაზინის, ურდენის, ფრეიერსოვევის) კარმელიტების ქრონიკის, ლანგლეს, მინორსკის და სხვ.).

ზოგიერთი ვერსიის ავტორი ამტკიცებს, ნადირ-შაჰის საწინააღმდეგო შეთქმულებაში ქართველები მონაწილეობდნენ. ამ ვერსიებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ინგლისელი ჰანეის და ფრანგი მკვლევარის პიკოს ვალმოციემბი. იტყობა, უკანასკნელი, როგორც ერთ-ერთ წყაროს ეყარება პირველს, რაც იმას მოწმობს, რომ სპარსეთში ნამყოფი მოგზაურის და მწერლის — ჰანეის ვერსიას გარკვეული პოპულარობა მოუხვეჭია ევროპულ მეცნიერებაში. ამავე დროს პიკოს ვერსია გაცილებით სრულია, ეს იმაზე მიუთითებს, რომ მას ნადირ-შაჰის მკვლელობის საკითხის გასაშუქებლად, სხვა წყაროებიც ჰქონდა ხელთ. ამ დაშატებით წყაროთა შორის, როგორც ჩანს, საპატიო ადგილი ეკავა პეისონელის ცნობას, რაშიც ქვემოთ დაკრწმუნდება.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ვერსიების უმეტესობა არ ეთანხმება ჰანეის, ბაზინის და პიკოს შეხედულებას სპარსული წარმოშობის ოფიცერთა ვალეტის ნადირ-შაჰისეული პოლიტიკის შესახებ; ამავე დროს ევროპულ ვერსიებში ნადირ-შაჰის მკვლელობის სულ სხვადასხვა თარიღებია მოტანილი.

ახლა განვიხილოთ ძირითადი ვერსიები და ვნახოთ, რას ვალმოციემუნდ იხირო ნადირ-შაჰის

მკვლევრობაში ქართული ელემენტების მონაწილეობაზე.

მოუხსნიოთ შარლ პიკოს ვადმოცემას: „ნადირ-შაჰმა ქ. მეშედში საშინელი ამბები დაატრიალა: შემაძრწუნებელი სცენების დროს ალიყული ხანმა! აჯანყების დროსა ადრიალა და შეუერთდა ტამარას-ხანს, რომელიც ინდოეთში შაჰის საფლობელოებს განაგებდა. აქ უკვე ნადირ-შაჰის ძალაუფლების სიმტკიცე შეირყა. მან კარგად იცოდა, რამდენად დიდი სამხედრო ნიჭის პატრონი იყო ტამარას ხანი. ამავე დროს, ნადირ-შაჰს აშინებდა ალიყული ხანის პოპულარობაც. ამიტომ, როცა მას პერატელ აჯანყებულთა დიარგუნვა დაავალა, აუკრძალა შეერთებოდა ტამარას-ხანს, რა საბაბითაც არ უნდა შემოეთავაზებინა ამ უკანასკნელს სამხედრო თანამშრომლობა. კაცს რომ უნდობლობას აშკარად უცხადებდ, ამით ჩააგონებ შენდამი ლალატს. საკვირველია, რომ ნადირ-შაჰმა ამ აქსიომის უკონდინარობა გამოავლინა, მაგრამ იგი დააბრმავა სიშმაგემ. ორი ზემოხსენებული ხანის ქარები თუ არ აღემატებოდა, უტოლდებოდა მაინც ნადირ-შაჰის იმ შასს, რომელიც მათ უპირისპირდებოდა. მხედველობაში ისიც არის მისაღებო, რომ ნადირ-შაჰის მეომრები ამ დროს იყვნენ პირველი შემთხვევისთანავე ელაღატათ მისთვის და მტრის მხარეზე გადასულიყვნენ. ასეთ ვითარებაში ნადირ-შაჰმა მხაკერობა მოიშველია. მან მისწერა ტამარას-ხანს დეტუსალებინა თავისი ძმისწული, ხელო უკანასკნელს შეუთვალა — შენი ბიძა ტამარას-ხანი შეიპყარო. მაგრამ ორივე ამ ბელადმა ერთმანეთს გააცნო მიღებული წერილები. მათ დასციენს ნადირ-შაჰის გულუბრუნებლობას და კიდევ უფრო განამტკიცეს საბრძოლო ერთობა. ნადირ-შაჰმა ალაშს შეჭოცა, რომ მუსრის გაავლებდა ყველა სპარსელს თავის ქარში და ამით შეამციკრებდა პირადი მტრების რიცხვს. გადაშყვეტი დარტყმის წინ ნადირ-შაჰმა მოინახულა კელატის ფორტი. უახლოეს მომავალში აქ უნდა საცხოვრებლად აღმკვიდრებულყო. ლომს საიმედო ბუნავი სწორედ აქ ეგულებოდა. როგორც კი მთავარ ბანაკში დაბრუნდა, თავი მოუყარა უზბეკ, თურქმენ და თათრული წარმოშობის სხვა მეომრებს, რომლებიც მის არმიამი რამდენიმე განსაკუთრებულ კორპუსს ქმნიდნენ. ამბობენ, ნადირ-შაჰი მათ შეუთანხმდა მოეწყოთ სპარსელების საყოველთაო ხოცვა-კლტვა. დათქვეს, რომ სიგნალი იქნებოდა შუალამისას თოფის გასროლა. ერთ ქართველ მონას მოუხნდა ამ თავყრილობაზე დასწრება და მოისმინა ყველაფერი, რაც იქ ითქვა.

1 პიკოს რწმენით, ეს პიროვნება თეიმურაზ II ძმისწული იყო.

2 პიკოს მტკიცებით, ამ კაცში იგულისხმება თეიმურაზ-ხანი, ანუ იგივე თეიმურაზ მეორე.

ჩი-ბაშს. უკანასკნელმა, თავის მხრივ მომხდარი ამბავი ბენობა უშალღესი ჩინის ყველა სპარს, რომელიც კი მაშინ მის ახლო-მახლო ტერიტორიაზე ბოდა. ვაშუშებმა ცნობა მოიტანეს, საყუთარი თვალთ ვნახეთ, როგორ ლესავდნენ ხმლები ირანის არმიის თათარი მეომრებიო. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ დაედასტურებინა ქართველი მონის ინფორმაცია და გავღვივებინა შურისგების წყურვილი შიშითა და ექვეებით შეპყრობილთა გულებში. ნადირ-შაჰის მოკვლა ითავა აფშართა გვარდიის პოლკოვნიკმა სალუკ-ბეგმა. ეს უკანასკნელი უნდალო მამაკობით იყო სახელგანთქმული. მან თანამონაწილეებად შეარჩია ოთხი საუკეთესო მეომარი და ნადირ-შაჰის დაწოლის ვაშს, როცა საბედისწეროდ უნდა გვარილა თოფს, სპარსელი სამხედრო თავაკების შემუსვრის დაწყების იწინაღ, შეიჭრა ირანის მბრძანებლის კარავში. ტირანის მონახვა ძნელი აღმოჩნდა, რადგანაც ნადირ-შაჰის კარავი ცალკაღე ოთახებად იყო დატიხრული. ბოლოს, ნადირ-შაჰი თითონ შემოეფეთა შეთქმულთა ბელადს, ხანჯლის გაბედული დარტყმით სალუკ-ბეგმა იგი წააქცია. ამბობენ, ტირანმა წამოდგომა შეძლო და შეთქმულთა ორი მეომარი საიქიოს გაიყოლაო. ნადირ-შაჰი იმდენად მამაცი იყო, რომ ეს თქმულება სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს. ლეგენდა ვადმოგვეცმ: დაქრილმა და ყოველის მხრიდან გაერმოკულმა ნადირ-შაჰმა შეწყაილება ითხოვა, მაგრამ სალუკ-ბეგმა უპასუხა — შენ არასოდეს არავიან შეგოწყალებია და ახლა ნურც სხვებისაგან გამოელი დანდობასო. ნადირ-შაჰს თავი მოტრანს და ყველას საჩვენებლად გარეთ გამოტრანს. ეს ამბავი 1747 წლის 23 მაისს მოხდა.³

ასეთია შარლ პიკოს. ვერსია. მას ძირითად მტრებში ემთხვევა ჯონას ჰანეაის ვადმოცემა. განსხვავება ის არის, რომ ჰანეაი ასახელებს ნადირ-შაჰის და თათრული წარმოშობის მეომრების საბედისწერო თავყრილობის ადგილს: ეს იყო სულტან-მეიდანის მეშედის ჩრდილო-დასავლეთით ერთი დღის სავალზე. მეორე სხვაობა ისაა, რომ ჰანეაის ვადმოცემით, სპარსელი სამხედრო თავაკების ამოყლტვის სიგნალი იქნებოდა ცაში რაკეტის გასროლა ღამის 12 საათზე და კიდევ ის, რომ სალუკ-ბეგა — ნადირ-შაჰის მხრიდან გვარდიის უღრთო საბედისწერო სიგნალად რამდენიმე საათით ადრე შეიჭრა მბრძანებლის პარამხანაში; შემოხვდა საჭურისი, მოკვლა იგი. შემდეგ შემოხვდა ბეგერი ბანოვა-ნი და მასაც ბოლო მოუღო. ნადირ-შაჰის კარავში რომ შეიჭრნენ, ირანის მბრძანებელს ხელში

³ შარლ პიკო, სპარსეთის პოლიტიკურ ვადატრიალებათა ისტორია (ფრანგულ ენაზე) ტ. II, პარიზი, 1810 წ. გვ. 281-239.



უკვე ხმალი მოემარჯვებინა და გარეთ გავარდნას აპირებდა და ზანამ ვერ მოჰკლეს, სანამ კარებებს თოკები არ დაჭურეს და თავს არ ჩამოამტეს მთავარი კარები.⁴

ინტერესს იწვევს მისიონერი პატრის ბაზინის ვერსიაც. იგი ნადირ-შაჰის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორად ასახელებს მუჰამედ-ყული ხანს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პიკოსა და ჰანეაის ცნობას ქართველი მონის ნადირ-შაჰის თავყრილობიდან გაპარვისა და საიდუმლოების გატანის შესახებ, ჩვენი აზრით, არაპირდაპირ განამტკიცებს ბაზინის ვერსია იმის თაობაზე, რომ მუჰამედ ყული ხანს ნადირ-შაჰისათვის ქაშუშები ჰყავდა შეჩენილი. ბაზინი იყო ამ მბრძანებლის პირველი მყურნალი და 1741-1747 წლებში ყველგან ახლდა მას. რაც თვალთ ვერ წახა, შეავსო მოკლედა შაჰის თანამებრძოლთა და ჭარისკაცთა მონათხრობით, ტირანის დაღუპვის შემდეგ რომ მოისმინა.

ბაზინის სიტყვით, ნადირ-შაჰს დიდი ხნის წინათ ჰქონდა ეჭვი იმ შეთქმულების შესახებ, რომელსაც მას უწყობდნენ. ამ ეჭვის ერთ-ერთი დადასტურება იყო ის, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მეშვიდიდან 6 დღის სავალზე, ტოქტაბანში, ნადირ-შაჰმა მოინახულა თავისი თემქს-მეტი ვაფიშვილი. ყველანი თავის წინაშე დამწყრივა და სამს, ყველაზე უფროსს, თავისი გვირგვინი შესთავაზა. მათ უარით უპასუხეს — ჯერ ქვეყნის მართვა არ შეგვიძლიაო. ეს სცენა მათ იყო. ნადირ-შაჰს სურდა გამოეცადა ვაფიშვილების ამბიციაც. და, თუ შეატყობდა, რომ ისინი გვირგვინისაკენ ისწრაფოდნენ, თავები დაეკრა მათთვის. ბაზინის ვერსია დანარჩენებისაგან სამი მთავარი ნიშნით განსხვავდება:

ბაზინის სიტყვით, 1) ნადირ-შაჰი ისე მოჰყვლეს, რომ ხელიც არ გაუნძრებია, 2) ბაზინთან არაფერია ნათქვამი შაჰის მუხანათობაზე, რომელიც გულსხმობდა მთავარი კონკურენტების (ტაშარას-ხანი, პრემიერ მინისტრი და ძმისწული ალი-ყული ხანი) ერთმანეთზე გადაკიდებას და 3) საშინელი წინათგარძნობით შეპყრობილი ნადირ-შაჰი სიკვდილის დღეს პარამხანაში შეკახმული ცხენით მისულა.⁵ ყველა დანარჩენ შტრიხში ბაზინის ვერსია ემთხვევა ჰანეაის და პიკოს გადმოცემებს. არ არის სწორი ფრანგი მკვლევარის, ცნობილი ორიენტალისტისა და მთარგმნელის ლანგლეს აზრი, თითქოს ბაზინი უარყოფდეს ნადირ-შაჰის საშინელ ჩანაფიქრს სპარსელი სამხედრო თავაკებებისა და სპარსული ჭარის

ნაწილების წინააღმდეგ.⁶ ეს ჩანაფიქრი ბაზინთანაც არის დადასტურებული.

განეკროებით დგას ფრანგი მოგზაურისა და სწავლულის ფერიერ დე სოვებეის ვერსია. ეს ავტორი წერს: „ნადირ-შაჰი გამოზრუნდა ირანისაკენ და ალექსანდრე მაკედონელის მავალითის მიხედვით თავისი ჯარი აიძულა მდინარე ინდში ჩაეყარა მთელი ნადავლი — დაღლა-დაქანცულობისა და გამარჯვებითა ეს საფასური. ამ სისასტიკემ მას ჩამოაშორა ჯარისკაცების გული. ნადავლის დაკარგვამ მათში ჩაქალა მხნეობა და არ სურდათ ისეთი საბრძოლო დიდება, რომელსაც მათთვის არავითარი სიმდიდრე არ მოჰქონდა. იმ ოფიცრებმა, რომლებიც ღამით ნადირ-შაჰის კარებებს გუშავობდნენ, მოაწყვეს შეთქმულება მის წინააღმდეგ და თავი მოკვეთეს, როცა შაჰი ქართული მხეთუნახავის მკლავებში ნებივრობდა.“⁷ ამ ვერსიაში დაუჭერბელი არაფერია, თუმცა მთელი რიგი სხვა ევროპული წყაროები მიუთითებს, რომ მკვლელობის დამეს ნადირ-შაჰი დროს ატარებდა არა ქართულ მხეთუნახავთან, არამედ მის მიერ დამხობილ მონღოლი იმპერატორის ქალიშვილთან. ორივე ვარიანტი თანაბრად შესაძლებელია და ახლა არ ღირს გამოვეყიდოთ რომელიმე მათგანის უპირატესობის მტკიცებას...

ლანგლეს, ჟურდენის და „კარმელიტების ქრონიკის“ ვერსიები სხვებთან შედარებით ახალს და საინტერესოს არაფერს შეიცავენ. ამიტომ ჩვენ მათ გამოვტოვებთ და გადავალთ პირდაპირ შარლ კლოდ დე ბეისონელისა და ჯონ კუეის ვერსიებზე, რომლებიც არაფერს ამბობენ შეთქმულებაში ქართველების უშუალო მონაწილეობაზე და უპირისპირდებათ ჰანეაის და პიკოს გადმოცემებს. ამას გარდა, ისინი ბევრი საინტერესო დეტალით ამდიდრებენ ნადირ-შაჰის დაღუპვის ისტორიას.

ბეისონელის ცნობით, „შაჰი-უხურბატორი მოკლა თავრიზის ხანმა მუჰამედმა, მასთან დაკავშირებული იყო ნადირ-შაჰის ძმისწული ალი-ყული ხანი — ტახტის ახალი პრეტენდენტი... უკანასკნელი გამოეგება ჯარს, რომელსაც ბიჰამისის ცხედარი მიჰქონდა. ალი-ყული ხანმა მოიხადა ჩვეულებით განსაზღვრული ვილი ცხე-

⁶ Voyages de la Perse dans l' Inde et du Bengal en Perse. Le Premier traduit du persan, le Second de l' Anglais, Avec une notice sur les Revolutions de la Perse par I langlès, t. II, 1798, გვ. 123-126.

⁷ F. Sauveboeuf memoires historiques et geographiques... t. I, 1790, გვ. 287.

⁴ Jonas Hanway the revolutions of Persia. London, v. II. 1754, გვ. 433-435.

⁵ Lettres Edifiantes et curieuses... ტ. IV, 1780, გვ. 278, 310-315.



დრის წინაშე. შემდეგ თავზე დიადემა დაიდგა და ირანის ხელშეწყობით გამოცხადდა. მას ადილ-შაჰი («სამართლიანი შაჰი», დ. ყ.) ეწოდა. იგი იყო ნადირის ძმის — იბრაჰიმ მირზას შვილი. ახალმა შაჰმა სამი წლით გადასახადებისაგან გაათავისუფლა ხალხი. ირანის სამეფო კარის ჩვეულებრივად, ქვეყნის დიდკაცებს მდიდრული საჩუქრები გაუგზავნა. მათ შორის საუცხოო ხალაები (ხალათი ოსმალეთსა და ირანში ძალაუფლებით აღჭურვის ცერემონიის ერთ-ერთი ატრიბუტი იყო დ. ყ.), მუჰამედ ხანი თავიზის გუბერნატორად დაამტკიცა და მის საუფლისწულო მამულს ქალაქი ხოი შეუერთა. იმ უფლებით, რომ ამ ქალაქის შემოსავალი უყენითი უყენისამდე მისი და მისი შთამომავლობის საკუთრება ყოფილიყო. გადმოგვცემს, რომ მეშენის მებრძოლებში სამარტემ არ მიიღო ნადირ-შაჰის ნეშტი — ვაიხიბრა. ამ ცრუ რწმენას ხალხში ბევრი მომხრე ჰყავდა... გამეფების ცერემონიას რომ შორჩა, ადილ-შაჰმა მეშენის ხანის კოჯა მეჰმედ-ზიზას თანხლებით გუჩი ქ. კალატისკენ აიღო. კალატი უღრანი ტყით დაბურულ მთაზე გამოკვეთილი კოშკი იყო. თავის დროზე იგი შეარჩია ნადირ-შაჰმა თავისი განძის გადასაწაღად. გაამაგრა გალავანი, გამოჭრა ოთხსართულიანი გამოქვაბულები. პირველ სართულზე გზის შაჩენებელი ისეთი ისრები გაეკეთა, რომელთა საიღუმლოება ვერაფერ ამოხსნა. ამბობენ, მაგის ხელოვნებას ნადირ-შაჰი დიდ ყურადღებას აქცევდაო, მაგის მიმდევრობა კი აღმოსავლეთის ხალხებში ძალიან გავრცელებულია. თუმცა იქაც — იმდენადვე უსუსური, რამდენადაც სხვაგან. გამოქვაბული კოშკის მეორე, მესამე და მეოთხე სართულები ნადირ-შაჰმა ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით ააგოსო. სწორედ აქ მოუყარა თავი მთელ იმ სიმდიდრეს, რომელიც მონღოლთა იმპერიის დამხობის დროს მოიხვეჭა და იმ ქონებასაც, რომელიც ირანის მოსახლეობას ჩამოართვეს.

ჯონ კუკი წერს, რომ ოსმალეთთან საომარი კამპანია ნადირ-შაჰმა ყარსის ტრიუმფალური ბრძოლით დაასრულა. «1746 წელს ქართველებმა სპარსელები გააძევეს თავიანის სამშოლოდან, როცა ნადირ-შაჰი მათ წინააღმდეგ დაიძრა, ქერამშიში აჯანყებამ იფეთა. 1746 წ. იენისის თემდე იქ შეჩრა საქმეებს. შემდეგ ლაშქარი ხვარასნისკენ აწავა და, სანამ იმ პროვინციის შუაგულში შეიჭრებოდა, კაცთა თავის ქალები-საგან ორი დიდი პირამიდა აღმართა. კაბიტანი როსტეო ჯონ კუკს არწმუნებდა, რომ მტკერის პირას აგებული პირამიდა სითამამო იყო იმასთან შედარებით, რომელიც ქერამთან ცალ ატყორცნის სპარსელებმა. «ხვარასნში გუბერნა-

ტორად იქდა პოპულარული პიროვნება ნადირ-შაჰის მისწული ალი-ყული ხანი. უცხოელები ბიძამ მისი მოკვლა მოინდომა. საამისოდ თავისთან დაიბარა. ალი-ყული ხანს შეატყობინეს, რისთვის იბარებდა ბიძამისი, ამიტომ მან უპარი შეუთვალა მასთან გამოცხადებაზე. მაშინ შაჰმა ხვარასანს მიავლინა მინისტრი მაიორ-ხანი, რო, მელსაც ალი-ყული ხანის მოკვლა დაეკავა, არც მაიორ-ხანი უყვარდა ნადირ-შაჰს. — მისი ნიჭიც შერს აღუძრავდა და არ ასვენებდა, მაგრამ ეს მინისტრი იმდენად საყვარელი პიროვნება იყო ყველასათვის, რომ ვერ გაბედა მისთვის ხელი ეხლო ირანის არმიის მთავარ ბანაკში და დასაღებავად ხვარასანში გუშავდა მხე. სანამ მაიორ-ხანი ქერამს დატოვებდა და ხვარასანს მარავზას ტაყით მიუთვალდა, ნადირ-შაჰმა ალი-ყული ხანს შეუთვალა — შენთან მოსვლისთანავე მოკალი ეს ჩემი მინისტრიო. მაგრამ ამგაირში მოტყუებდა. ჩავიდა თუ არა მაიორ-ხანი, ხვარასანს, ალი-ყული ხანმა მის უჩვენა ნადირ-შაჰის ბრძანება. სტუმარიც არ დარჩა ვალში და მის მიერ ჩატანილი ბრძანებაც უჩვენა არ ვიცით, იცოდა თუ არა მაიორ-ხანმა შაჰის იღუმალი განზრახვა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ სანამ ხვარასანს გაემგზავრებოდა და არმის გაეცლებოდა, მან უზბეკთა გვარდიამო საიმედო შეგობრები ვაიხინა. ალი-ყული ხანმა ხვარასანიდან ნადირ-შაჰთან შიკრიკი აფრინა და შეუთვალა — ყველაფერი ისე გაეკეთლება, როგორც თქვენგან მებრძანაო. ამავე დროს იმ შიკრიკს ფარულად დაავალა — საიღუმლოდ მოლაპარაკებოდა ნადირ-შაჰის არმიის მყოფ უზბეკთა გვარდიას. როცა ტირანმა მებრძანებელმა მიადღწია პართიის საზღვრებს და გილანიდან სამასი მილის მოშორებით კარგები დასცა, 1747 წლის 2 იელისს, ღამის პირველ საათზე, მის პარაზნაში უზბეკთა შევიდა გვარდიის ხუთი მთავარი ოფიცერი. შაჰის კარგის ადგილსამყოფელს გასცა ლამპის ლაპალამი. როცა მოუახლოდნენ, ერთ-ერთმა გვარდიელმა კარგის თოკი გადაჭრა. შემფოთებელი ნადირ-შაჰი ლოგინიდან წამოვარდა, ხელი დასცა ხანჯალს და ერთის დარტყმით თავი გაავადებინა. იმ გვარდიელს, რომელმაც პირველი შეიჭრა მის კარავში. იმ ებედურის მიმყოლსაც მარჯვენა ბეჭში ისეთი ძალით ჩასცა ხანჯალი, რომ მეორე მხარეზე გავიდა. სანამ ხანჯალს ამ ბედურული მეომრის სხეულს ამოაცილდა, მესამე თავდასხმელმა ნადირ-შაჰს კისერში დაჭრა ხანჯალი და მიწაზე დასცა («Struck him a blow on the neck, which brought him to the ground»). ძირის დანარცხებულმა ნადირ-შაჰმა დაიყვირა «შემიწყალეთო», მაგრამ ვინ მოესმინა — უმალ თავი მოჰკვეთეს. მოკლული გვარდიელები დამარხეს. შაჰის თავი გარეთ გაიტანეს, სხეული კარავში დატოვეს და იქაურობას უჩუმ-

* Peyssonnel Essai sur les troubles de Perse et de Georgie... 1754, გვ. 88-91.



რად გავცალწენ. მეორე დღეს ვახირ-ნახირები დიდხანს უდგოდნენ შაჰს საიდღიენციო დარბაზში. ბოლოს, მათ მიღებას რომ არაფერი ეშველა, ვაბედეს კარავში შესვლა და იქ ნახეს შაჰის უთაფო ცხედარი. სპარსელები უზბეკებს ჭირდადენენ, ხოლო უზბეკები—სპარსელებს—ვერ მოგვილიათ შაჰისათვისო. გაიმართა შეტაკება. ბევრი მეომარი მოიკლა. მაგრამ როცა ნადირ-შაჰის თავი აღინახეს, იარაღი დაშალა და ხარუს. შემდეგ დაბოკეს მოკლული შაჰის ბრმა შვილი და შეიღიშვილი. არ დასჯერდნენ პარს-ხანაში მყოფი შაჰის ცოლებს ამოწყვეტას. ნადირ-შაჰთან დაახლოებულ ყველა ქალს—მოხუცსა და ახალგაზრდას, როგორც პრინცესებს, ისე მონა-მხვევალთ მტკლები გამოფატრეს იმის შიშით, რომ მოკლული შაჰის შთამომავალი ერთ მშვენიერ დღეს ირანს მბრძანებლად არ მოკლენოდა⁹.

ეს ამბავი კუქს მოუთხროს ორმა სპარსელმა თარქიმანმა, რომლებიც რუსეთის ვლჩ გოლიკინს ჩაშუშებდა ჰყავდა შეჩენილი ნადირ-შაჰის შთავარ ბანაქში. კუქის ინფორმატორი აგრეთვე იყო ის ორი ვაჭარი, რომელთაც ნადირ-შაჰის მკვლელობამდე ორმოცი დღით ადრე მარჯვენა თვალეში დათხარეს შაჰისავე ბრძანებით.

კუქის გადმოცემით, ნადირ-შაჰი ერთობ ტანადი და მავარი აგებულების ყოფილა. ხმაც უჩვეულად მაღალი ჰქონია, ტომსონი კუქს არწმუნებდა — 50 ნაბიჯზე მესმოდა მისი ლაპარაკი. თავისი ხმით ბრძოლის ველზე ნადირ-შაჰი შიშის ზარს სცემდა მტრის ჯარს და ისინიც რეტლანხმულები, ვინ იცის საით გარბოდნენ. ნადირ-შაჰი, კუქის გადმოცემით, ფლობდა ადამიანის შეცნობის საოცარ ხელოვნებას. ნასწავლი არ იყო, მაგრამ ბუნებისაგან ფართო გონება ჰქონდა მომადლებული. ჩამოყალიბდა ვეგემები, რომლებმაც შემდეგში ორი მშლავი იმპერია შეაბარბაცა. უყვარდა მოგზაურნი, პატვის სცემდა მათ და ასახუტებდა, რატომ უნდა სძლეობოდა მას ირანი, რომელიც მისცა ყველაფერი საითყვენად მისი ამბიციო ილტვოდა — სიმდიდრე და ხელისუფლება?

ნადირ-შაჰმა გაწყვიტა ნობილიტეტი, ე. ი. წარჩინებული და განათლებული პირები და მათ ადგილს უფიცილი დაამკვიდრა. ნუთუ არ იცოდა, — კითხულობს ჯონ კუქი, — რომ მისი სიკვდილის შემდეგ ის ხეპრები სახელმწიფოს დააქცევდნენ¹⁰?

ასეთია ჩვენს ხელში არსებული ევროპული ევრსიები ნადირ-შაჰის დაღუპვის გარემოებათა ირგვლივ.

სანამ მათ შესაბამე საბოლოო სიტყვას ვიტყო-

დეთ, უნდა შევეხოთ ნადირ-შაჰის მოკვლევისათვის საინტერესო ამბავს.

ჩვენს მიერ ცნობილ ავტორთაგან იგი პირდაპირ წერს, მესამე კი ყრუდ შენიშნავს, ნადირ-შაჰის მოკვეთილი თავი შეთქმულებს დაეკარგათო. მკვლელობას უშუალოდ მოჰყვა ბრძოლა სპარსელებსა და ავღანელებს შორის; გაიმარჯვეს სპარსელებმა. სპარსთა არმიის მთავარი ოფიცრები შეუერთდნენ შეჰამედ-ხანს, ხელი დაეკრეს ნადირ-შაჰის მოკვეთილ თავს და ჯიუდგნენ გზას, რათა ეს ნაღველი დიდი ზომით მიერთმით ალი-ყული ხანისათვის, რომელიც ხეარასანში იმყოფებოდა და თან სამოციკათასობის არმია ჰყავდა. გზად სპარსელებზე იერიში მიიტანა ავღანეთის მრავალრიცხოვანმა რაზმმა. მართალია, ავღანელები დამარცხეს, მაგრამ გაიმარჯვებულებმა დაეკარგეს ნადირ-შაჰის მოკვეთილი თავი — იგი ძლეულმა მხარემ გაიტაცა. შეჰამედ-ხანი დასჯერდა უთაფო ცხედარი¹¹.

პიკო იზიარებს ნადირ-შაჰის თავის დაკარგვის ფერსიას, მხოლოდ განსხვავებულად გადმოგვცემს ვითარებას, რომლის დროსაც ეს დაკარგვა მოხდა: სპარსელებს ბრძოლაში კი არ დაეკარგვიოთ ეს თავი, არამედ ოფიცრმა, რომელსაც ალი-ყული ხანი (შომავალი ადილ-შაჰის) ბანაქში მისი ჩატანა მიანდევს, გზაში დაკარგა ძვირფასი ნაღველი. პიკო აქ არ ნერღება და, პიესონელისაგან განსხვავებით, გეყვება ნადირ-შაჰის მოკვეთილ თავთან დაკავშირებული ისტორიის შემდგომ, საყოლოდ სენსაციურ ეპიზოდს: სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილმა ოფიცრმა, რომელსაც ნადირ-შაჰის თავი დაეკარგა, იერიში მიიტანა შემხვედურ უცნობ მხედარზე, მოკვეთა თავი მას და ალი-ყული ხანს წაუღო. უცნაურია, როგორ დაეკარგა იმ ოფიცრმა გვირგვინოსანი მოკვეთილი თავი, მაგრამ ეს დაეკარგვა ფაქტია და წყაროებიდან ისიც უდავოდ ირკვევა, თუ როგორ აინახლავდა ოფიცრმა მცირემა ეს საშინელი დანაქარგით, შენიშნავს პიკო.

ახლა შევეხოთ საყიფოს, რომელზედაც ჩერდებიან პიკო და მანავი: ნადირ-შაჰის მკვლელობაში ქართველების მონაწილეობას. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს რომ ქართველი მონის ამბავში, რომელსაც ევროპელი ავტორები აგვიწერენ, დუჯერებელი არაფერია, ვინაიდან ქართველებმა ბლომად იყვნენ ირანის შაჰთა კარზე და მთავარ სამხედრო ბანაქში როგორც ნადირ-შაჰის, ისე მისი მემკვიდრეების დროს. უფრო რთულია შეთქმულებაში თვიმურახ მეორის

¹¹ Peyssonnel. Op. cit. გვ. 88-91.

⁹ J. Cook. Voyages and travels... 1778, ტ. II, გვ. 497-506.

¹⁰ I. Cook. Op. cit. ტ. II, 499-506.

დავით ჯანელიძე
მონაწილეობდნენ თუ არა მართლაც
ნადირ შაჰის მკვლელობაში

მონაწილეობის პრობლემა (როგორც ვნახეთ, თეიმურაზის მონაწილეობას ამტკიცებს პიკო). სირთულეს ის იწვევს, რომ თეიმურაზ მეორე ნადირ-შაჰის მკვლელობის დროს, არც სპარსეთში იმყოფებოდა და არც ინდოეთში. ბუტკოვის აზრით, იგი 1745 წელს გაემგზავრა ირანს, რათა ნადირ-შაჰისათვის ეთხოვა საქართველოზე შეწერილი ხარკის შემსუბუქება. პეისონელის გადმოცემა (რომელსაც, როგორც ჩანს, არ იცნობდა ბუტკოვი) უარყოფს რუსი ისტორიკოსის ცნობას. პეისონელის მიხედვით, თეიმურაზ მეორე კი არ წასულა ირანს, რომ უსომო გადასახადების ჩამოწერა, თუ შემსუბუქება ეთხოვა, არამედ ელჩები წარგზავნა და იმ ელჩებმა მიადწიეს საწადელს—ნადირ-შაჰმა მოუხსნა შეწერილი ხარკი აღმოსავლეთ საქართველოს და თეიმურაზიც, რომელიც გადასახადების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად სასახლიდან იყო გაქცეული, თბილისს დაბრუნდა, სადაც მშვილად ედგა ზელისფლებას სათავეში ნადირ-შაჰის ტრაგიკულ აღსასრულამდე.¹²

დაგვრჩენია ვიგარაუდოთ, რომ თეიმურაზ მეორეს მიწერ-მოწერა ჰქონდა შეთქმულების ორგანიზატორებთან ნადირ-შაჰის მოკვლის თაობაზე¹³. ასეთი კვლევის პერსპექტივას ჩვენს წინაშე ხსნის ევროპული ვერსიები, მაგრამ ეს კვლევა

მომავლის საქმეა. ერთი რამ უეჭველია: ქართველი მეფეები, დანეტერესებული იყვნენ ნადირ-შაჰის დაცემით. ამას საფუძვლად უდევს როგორც ეროვნული გათავისუფლების, ისე სპარსული ფისკალური პოლიტიკის სიმძიმისაგან თავდახსნის მოტივები. საყურადღებოა ევროპული ცნობა, რომ ადილ-შაჰმა, რომელიც თეიმურაზის სიმე იყო, ქართული დიდებულების რჩევით, გადასახადები მოხსნა საქართველოს და ამით ადგილობრივი ოპოზიცია გაიჩინა.

მეორე ევროპული ვერსიით, იგივე ადილ-შაჰი, რომელიც გრძნობდა მოახლოებულ განსაუდელს, აპირებდა საქართველოში გადახიზვნას და სავანძური წინასწარ გაგზავნა იქ. ეს ცნობები გვაიძულებს წამოვაყენოთ ჰიპოთეზა: საიდუმლო წერილობითი ურთიერთობა ხომ არ ჰქონდათ ქართველ მეფეებს ადილ-შაჰთან, როცა იგი ნადირ-შაჰის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდა და მხოლოდ ალი-ყული ხანად იწოდებოდა?

ქართველი მეფეები რომ დანეტერესებული უნდა ყოფილიყვნენ აფშარი ტირანის დაცემით, ამას გვიკარანახებს მთელი შემდგომი ვითარება, მაგრამ ახლა ამ ვითარების მიმოხილვისაგან თავს შევიკავებთ.

¹² Peyssonnel. Op. cit. გვ. 82-83.

¹³ ზოგიერთი სპარსული წყაროს მიხედვით, შეთქმულთა რიცხვი სამასამდე აღწევდა. ირანისტებს ეს ციფრი გაზვიადებულად მიაჩნიათ. დასაანაია, რომ შეთქმულებაში ქართველი მონის გარევის ვერსია, რომელიც პანვილიდან მოდის და რომელსაც მხარს უჭერდა მარი ბროსე, ირანისტების განხილვის საგნად, რამდენადაც ვიცით, არ ქცეულა. იბადება კითხვა: იმ ქართ-

ვლ მონაში ხომ არ იტულისხმება ზურაბ-ხან სააკაძე, რომელიც ნადირ-შაჰის მეთიარი (მერიქიფე და ზელსახოცის მიმართვეი) იყო და საქართველოშიც ხშირად იგზავნებოდა პასუხსაგებ დაეალებათა შესასრულებლად? ზურაბ-ხანი ხომ ცოცხალი გადაურჩა შაჰის მკვლელობის შემდეგ მომხდარ ამბებს და დაინიშნა ეთენადლოულებ (პირველ ვაზირად). ევროპელები მას უმამაცეს გმირად სთვლიან.



აქავენი პაქოკია, პოპოვი აკიანი

ნიკო ნიკოლაძის უცხოი სტრიქონები

საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში ინახება ფრიად საინტერესო დოკუმენტი, რომელსაც ვარკვეული მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრივ, ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობის, ხოლო, მეორეს მხრივ, რევოლუციამდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხის უკეთ გაგებისათვის. მხედველობაში გვაქვს ხელნაწერი ცნობილი ქართველი მეცნიერის პროფ. ს. დანელიას მიერ 1912 წელს რუსულად დაწერილი სტატიისა „გრუზინская (наша) социал-демократия и национализм“ (მოცულობით ერთ თაბახამდე), რომელსაც ნ. ნიკოლაძის ხელთ მინაწერი მრავალი საინტერესო შენიშვნა ახლავს.

როგორ შეიქმნა ეს დოკუმენტი და როგორ მოხდა იგი შემოსუნებულ მუზეუმში?

ამ კითხვის პასუხს ეპოულობთ ს. დანელიას მიერ მუზეუმის დირექტორის სახელზე დაწერილ განმარტებით ბარათში, რომელიც ხსენებულ დოკუმენტთან ერთად ინახება; ეს ბარათი დაწერილია 1951 წ. 6 ოქტომბერს, მასში ნათქვამია:

„ნიკო ნიკოლაძეს მე შევხვდი პირველად ფოთში 1912 წელს, ფოთის გიმნაზიის მიერ 1812 წლის ომის შემდეგ ასი წლის შესრულების გამო მოწყობილ დღესასწაულზე... მალე ამის შემდეგ მე გადავეცი ნიკო ნიკოლაძეს (კონსტანტინე გამყრელიძის საშუალებით, რომელიც მაშინ ფოთის საქალაქო სამმართველოში მსახურობდა, ამჟამად კი სოფელ ობნაში ცხოვრობს, ქუთაისის მახლობლად) ჩემი ხელნაწერი „Наша социал-демократия и национализм“. ნიკო ნიკოლაძეს წაუკითხავს ეს ხელნაწერი და მის ფურცლებზე მიუწერია თავისი აზრები ხელნაწერში განხილულ საკითხებზე. ნიკო ნიკოლაძის მიერ იქ გამოთქმული აზრები მრავალმხრივ არის საინტერესო. ისინი გვაძ-

ლევნ საშუალებას ვაეცნოთ ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივ, ისტორიულ და ფილოსოფიურ შეხედულებებს 1912 წლის და მისი მახლობელ წლების პერიოდში. ასე ვრცლად ამგვარი საკითხები ნიკო ნიკოლაძეს არ აქვს ამ წლებში განხილული არც ერთ ჩვენთვის ცნობილ ნაწერში. ზოგი აზრი სრულიად ახალია. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რასაც ნიკო ნიკოლაძე ამ ფილოსოფიურ საკითხების შესახებ წერს... ამ მინაწერების საშუალებით შეიძლება გაირკვეს ნიკო ნიკოლაძის იდეოლოგიური ევოლუცია.

ძალიან საყურადღებოა აგრეთვე ნიკო ნიკოლაძის აზრები ეროვნულ საკითხზე, 1905 წლის რევოლუციაზე, საქართველოს ეკონომიურ ვითარებაზე, წოდებათა ურთიერთობაზე, ქართული ინტელიგენციის ბუნებაზე, პარტიების ურთიერთ ბრძოლასა და ბევრს კიდევ სხვა ასეთ საკითხზე, რომელსაც იგი მოკლედ, მაგრამ ამავე დროს ძალიან ღრმა ცოდნით ეხება.

ნიკო ნიკოლაძეს ეჭირა ჩემი ხელნაწერი რამდენიმე დღე და ისევ დამიბრუნა უკან კონსტანტინე გამყრელიძის ხელით. როგორც უკანასკნელმა გადმომცა, ხელნაწერის კითხვას აუღელვებია ჩვენი მსოფლიო საზოგადო მოღვაწე, რიკვალი მის მინაწერებსაც ეტყობა.

არ მინდა, რომ ნიკო ნიკოლაძის ნააზრევი და იკარგოს უკვალოდ და ამის გამო ვახლებთ ხსენებულ ხელნაწერს.“

ასეთია ამ საინტერესო დოკუმენტის ისტორია. ს. დანელია საკვებით მართალია, როცა ნ. ნიკოლაძის მინაწერებს ასე მალალ შეფასებას აძლევს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი სტატიის შინაარსიც არაა მოკლებული მეცნიერულ ინტერესს და ავტორის იმდროინდელი მსოფლმხედველობის გასაგებად ძვირფას მასალას შეიცავს.

იმისათვის, რომ შეთხველმა დახლებით მაინც წარმოიდგინოს ნ. ნიკოლაძის შემოხსენებული მინაწერებისა და, აგრეთვე, ს. დანელიას სტატიის შინაარსი, მოვიტანო რამდენიმე დამახასიათებელ ამონაწერს, ოღონდ შეიხველს ვთხოვთ ხსენებულ ავტორთა აზრების სწორად გაგებისათვის წინასწარ გაითვალისწინოს შემდეგი ორი გარემოება: ყერ ერთი, არც ნ. ნიკოლაძე და არც ს. დანელია ტერმინს „ნაციონალიზმი“ არ ხმარობს თანამედროვე გაგებით, — ეს ტერმინი მათ, არსებითად, ესმით მხოლოდ სახელწოდებად ვრწმნაბა; მოტრეკ. ს. დანელიას სტატიაში გაკრიტიკებულია მხოლოდ ნ. ჟორდანიას პოზიცია ეროვნულ საკითხში, ამიტომ ყველგან, სადაც ლაპარაკია სოც. დემოკრატიაზე (მის სტატიაშიც და ნ. ნიკოლაძის მინაწერებშიც) მხოლოდ და მხოლოდ ქართული შეწყვეტის თეორია და პრაქტიკა იგულისხმება და სხვა არაფერი.

უმთავრესი ამოცანა, რომლის შესრულებას ს. დანელიას სტატია ემსახურება, ესაა იმ დებულებების დასაბუთება, რომ ქართველ ხალხს განაჩნია მაღალი ეროვნული თვითშეგნება, რაც საკვებით დამატკიცა 1905 წლის რევოლუციისათვის მისმა აქტიურმა მონაწილემ.

„ამ ცოტა ხნის წინათ, — ამბობს ს. დანელია, — ხელში ჩამივარდა ჩვენი პუბლიცისტის ნ. ე. პატარა სტატია სათაურით „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“. სტატიის ავტორი ცდილობს ორი თეზის დასაბუთოს: 1. ქართველ ხალხს, სხვა ხალხებისაგან (მაგ. პოლონელების, სომხებისა და სხვა) განსხვავებით სრულებით არა აქვს ეროვნული გრძნობა. 2. ეროვნული გრძნობის უქონლობა ქართველებში ისტორიული პირობებით აიხსნება...“

პირველი დებულება წინააღმდეგობის შემცველია და შეიხველის გაკვირებას იწვევს. იგი შეკვთრად განსხვავდება ერის ცნების ჩვეულებრივი გაგებისაგან. რაკი ერი არსებობს, რაკი არსებობს ეროვნული ერთიანობა, ასეთი ერთობის საფუძველი რაღაც უნდა იყოს. ეს „რაღაც“ მხოლოდ ეროვნული ერთიანობის შეგნება შეიძლება იყოს...

ვე შევნიშნა, რომ ისეთ ერს, როგორც ქართველი ერი, რომელიც ათასი წლების მანძილზე იარაღდა თავისი ინდივიდუალური ფიზიონომიის შენარჩუნებისათვის, არ შეიძლება დავაპრალოთ, ეროვნული გრძნობა არა აქვსო“.

ამ უკანასკნელი აბზაციის ვასწვრივ ნ. ნიკოლაძეს ფერადი ფანქრით მიუწვრივ: „ესადაი. ეს კიდევ სუსტიდაა ნათქვამი: „შე შევნიშნა, — თითქოს აქ რამე საეჭუო იყოს“.

ნ. ნიკოლაძის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ს. დანელიას მიერ ნ. ჟორდანიას მისამართის გამთქმული კრიტიკული შენიშვნები, რომლებშიც ის აზრია ვატარებელი, რომ 1905 წლის რევოლუცია პოლიტიკური რევოლუცია იყო და ქართველი ხალხი იმ დროს იზარ-

ძობდა არა მარტო სოციალური, არამედ რევოლუციური თვისუფლებებისათვის. ს. დანელია ამბობს:

„1905 წლის სახალხო მოძრაობა, თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც, იყო პოლიტიკური მოძრაობა. იგი მიმართული იყო ბუროკრატული სახელმწიფო მექანიზმის წინააღმდეგ, — სახელმწიფოსი, რომელიც იყო რა თავისი არსით ცენტრალიზებული, ახშობდა და დღესაც ახშობს განაპირა მხარეების თავისუფლებას, არ აძლევდა მათ თვითგამორკვევის უფლებას. 1905 წლის სახალხო მოძრაობის მიზანი სწორედ პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება იყო, იგი მისწრაფოდა ხალხის პოლიტიკური ყოფის გაუმჯობესებისაკენ...“

ბოლოს და ბოლოს თვით განსახილველი სტატიის ავტორიც იძულებულია აღიაროს, რომ ქართველმა ხალხმა 1905 წ. გამოიჩინა თავისი ნაციონალიზმი, მაგრამ ეს არ ყოფილა ნაციონალიზმი ამ სიტყვის პოლიტიკური მნიშვნელობით; ხალხს თვითმმართველობა არ მოეთხოვია, ის მხოლოდ ზოგიერთ უფლებას მოითხოვდა ეროვნული კულტურის უზრუნველსაყოფად. და მხოლოდ ამით განისაზღვრებოდა მისი ნაციონალიზმი, რომელიც პოლიტიკის სფეროში არ გადადიოდა (გვ. 6), ასე ფიქრობს ჩვენი ავტორი, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მას დავეთანხმო... ეროვნული კულტურის თავისუფალი განვითარება წარმოუდგენელია, თუ ერს პოლიტიკური უფლებები არ გააჩნია. ეროვნული კულტურის წარმატებები მხოლოდ ეროვნული თვითმმართველობის პირობებშია შესაძლებელი. და თუ ქართველი ხალხი 1905 წელში მოითხოვდა (და დღესაც მოითხოვს) თავისი ეროვნული კულტურის თავისუფალ განვითარებას, იგი ამასთან ერთად თვითმმართველობის პოლიტიკურ უფლებებსაც მოითხოვდა, და მამასადამე, დაამტკიცა, რომ მისთვის ნაციონალიზმი უცხო არაა. კულტურისა და პოლიტიკის ასეთი ურთიერთდაპირისპირება გაუგებარიც კია მარქსის მიმდევრების მხრივ, რადგან მარქსის დამახსოვრება, სხვათა შორის, იმაშიც მდგომარეობს, რომ მან ამ ორი მოვლენის ურთიერთ კავშირი დაგვანახვა“.

აქ მოტანილ ციტატებს ახლავს ნ. ნიკოლაძის მოწონების გამომხატველი შემახილბე: „ამსოლტურტი კეშმარიტებაა“, „გვაშა“ და სხვ., რომლებიც ასეთი მსჯელობით მთავრდება: „ნაციონალიზმი იგივეა, რაკ თავდაცვის ინსტიტტი, ის დამახასიათებელია ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის, ისევე როგორც სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, შიშილი, ძილი და სხვ.“.

ამ საკითხს ნ. ნიკოლაძე კვლავ რამდენჯერმე უბრუნდება და ნაციონალიზმის შინაარსს შემდგენიარად განმარტავს: „ნაციონალიზმის

აღმოვჩერა შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია წაეშალოთ ფერი თმისა, თვალებისა, კანისა და ა. შ. ან: „საუკეთესო ნაციონალისტებს არ შეუძლიათ ნამდვილი ბედნიერება არ შეუქმნან ყველა თანამემამულეს, მაშასადამე პროლეტარიატსაც; გერმანიაშიც, ინგლისშიც, თვით მარქსის დროსაც კი, საუკეთესო ნაციონალისტები ცდილობდნენ თავიდან სამშობლოში ცხოვრების სოციალური პირობების გაუმჯობესებას. განა 1793 წელს საფრანგეთში „პატრიოტებმა“ არ დაურიგეს გლეხებს მიწები?“.

ს. დანელია უსაყვედურებს ნ. ყორღანის, რომ მის ვეროპის ისტორიის გამოცდილება მექანიკურად გადმოაქვს საქართველოში, ხოლო ჩვენი ცხოვრების სპეციფიკურ პირობებს სათანადოდ ვერ ითვალისწინებს. ვეროპაში, — ამბობს იგი — „ნაციონალიზმი, რა თქმა უნდა, კონსერვატიზმს ნიშნავდა, რადგან ნაციონალიზმი იქ ბურჟუაზიის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებისათვის იყო დაკავშირებული; ის დაკავშირებული იყო და დღესაც დაკავშირებულია პროლეტარიატის დამონებასთან, მილიტარიზმთან და სხვა ამგვარ მოვლენებთან, რომლებსაც წარმოშობს თანამედროვე ჩაგვრა ამა ქვეყნის ძლიერთაგან სუსტებისა. მაგრამ ნაციონალიზმი კონსერვატიზმია მხოლოდ იქ, ვეროპაში, და არა ჩვენთვის, აზიაში მცხოვრებთათვის; არა იმათთვის, ვისაც ყოველ მხრივ ვარს არტყია ველური და თავშეუფლებელი თვითნებობა. ჩვენთვის ნაციონალიზმი უყუთესი მომავლისათვის ბრძოლის ორგანიზების ერთადერთი პრინციპია. ჩვენ ინტელიგენციას კი ამის ვაგება არ სურს.“

ამასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე შენიშნავს: „ნაციონალიზმი ვეროპაშიც კი არ ყოფილა კონსერვატიკური, რადგან სწორედ მან განახორციელა იქ უდიდესი რევალური რეფორმები სოციალური თვალსაზრისით.“

ნ. ნიკოლაძე საეხებით ეთანხმება ს. დანელიას იმ აზრს, რომ ნ. ყორღანის სათანადოდ არ ითვალისწინებს საქართველოს კონკრეტულ ვითარებას, რომელიც ვეროპის ვითარებისაგან განსხვავდებოდა. ნ. ნიკოლაძეს მოსწონს, კერძოდ, ს. დანელიას შემდეგი მსჯელობა: „როცა ნ. ყორღანის თხზულებებს კითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს იგი ლაპარაკობს არა ჩვენზე, კართველებზე, არამედ რომელიღაც არარსებულ, ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებზე მცხოვრებ ხალხზე. ისტორიული პერსპექტივების უქონლობა, იგნორირება ჩვენი ცხოვრების რევალური პირობებისა და ფაქტებისა, რომლებიც განასხვავებენ ჩვენს ცხოვრებას დასავლეთ-ევროპული ხალხების ცხოვრებისაგან... აი ის ნაკო, რომელსაც თქვენ უთუოდ შეამჩნევთ ზემოთ ხსენებულ

ავტორის (ნ. ყორღანის) თხზულებათა კრიტიკებით წაკითხვის დროს.“

სტატიის ავტორის აქ მოტანილი ბისათვის ნ. ნიკოლაძეს მიუწერია: „სწორია“. ფრიალ საყურადღებოა ს. დანელიას აზრი ევროპულ განმანათლებლობაზე და მასთან არისტოკრატის დამოკიდებულებაზე, რასაც ნ. ნიკოლაძე საეხებით იზიარებს და იწონებს. აი, როგორ მსჯელობს ამ საკითხზე ს. დანელია:

„განმანათლებლობის რევოლუციურ იდეებს, შესაძლებელია, არსად იმდენი მხრედაც მომხრე არ ჰყოლია, რამდენიც არისტოკრატთა შორის ჰყვება. განმანათლებელთა თეორიები მათ საინტერესო ვასართობდ ეჩვენებოდათ, — უბრალოდ და ძალიან საგანმანათლებლოდ. ყოველ არისტოკრატულ სალონს თავისი ეოლტერი ჰქავდა. ყოველ არისტოკრატს განსაკუთრებით დახვეწილი განათლების ნიშნად მიაჩნდა საუბარი განათლების აუცილებლობაზე, გონების ძალაზე, რელიგიური ცრურწმენების შეწყვეტაზე და ა. შ. მათ არ ესმოდათ, რა არის განმანათლებლობა; ისინი ვერ ზედადნენ, რა მოჰყვებოდა განმანათლებლობას; მათ უნარი არ შესწევდათ, განმანათლებლობის იდეები საკუთარი საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის შეეფარდებოდათ. იდეებით მათი გატაცება იყო წმინდა გონებრივი, არაგულითადი, — გარედან მონატანი და ზერეულე. არისტოკრატის განმანათლებელთა იდეების სიახლე იზიდავდა. მაგრამ როგორც კი დაიქუხა დიდმა რევოლუციამ და არისტოკრატის ძალა წაართვა იგივე არისტოკრატები პირველნი ალაპარაკდნენ, განათლება მავნებელია, მეცნიერება ამაოება, რელიგია კი აუცილებლად საჭიროაო. იმავე დამიანება, რომელიც გუშინ ათეიზმით თავს იწონებდნენ და სალონებში, როგორც ჩანს, დიდი ინტერესით აზნდნდნენ სხვადასხვა ჭიმიურ ცდებს და ლაყობდნენ მატერიის მულმივობაზე, — ახლა ფარისევლური დეტისმოსაობით იწყეს ეკლესიაში სიარული და ვაძბეს ლაპარაკი სულის უყვადებაზე, რითაც თავინათი ზერელობა დაადასტურეს.“

ანალოგიურ პროცესს ვამჩნევთ ჩვენს ინტელიგენციაში.“

სტატიის ამ ადგილისთვის ნ. ნიკოლაძეს მიუწერია: „ნა კარგი და სწორი დაკვირვებაა, ეს პირდაპირ მშვენიერია!“

როგორც ვხედავთ, ნიკო ნიკოლაძე ს. დანელიას არა ერთ დებულებას ეთანხმება და იწონებს, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც,

მამანდი ზამპარია, პროკოში რაბინი
ნიკო ნიკოლაძის უცნობი სტრიქონები

როცა დიდი მოაზროვნე არ ეთანხმება ახალგაზრდს ავტორის მიერ გამოთქმულ აზრებს და დაურიღებლად აკრიტიკებს მათ. მოვიტანოთ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი.

ს. დანელია თავისებურად, ზერელედ მსჯელობს 1905 წლის პერიოდში მუშათა მოძრაობის წარმატების მიზეზებზე. მისი აზრით, ხალხს სოციალ-დემოკრატიის პროგრამის არსი ბოლომდე არ ესმოდა, მაგრამ რაკი სოციალ-დემოკრატებმა გადმოისროლეს საბრძოლო ლოზუნგი: „ძირს თითმუპრობლომა!“. თითქოს ეს საკმარისი იყო, რომ ხალხი მათი ღრმის ქვეშ დამდგარიყო; სოციალ-ფედერალისტებს რომ გადმოესროლათ ასეთი ლოზუნგი, ხალხი მათაც გაჰყვებოდათ.

ნ. ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით ამბობს:

„ეს სწორი არ არის. ასეთი ლოზუნგი ფედერალისტებმაც გადმოისროლეს, მაგრამ ისინი თვითონ, თავიანთი წარსულით ვერ იმსახურებდნენ ხალხის ნდობას პირადად (რადგან მათ შორის ბევრი იყო თვადი, ფეოდალი, მემამულე, რომლებიც ოცნებოდნენ „წარსულის დაბრუნებაზე“ პრივილეგიების ჩათვლით) და თავიანთი პროგრამის არეულ-დარეულობის გამოც. სოციალ-დემოკრატებს მეტი ვნება, ენერჯია და თავგანწირვა გააჩნდათ, თანაც მათი წინამძღოლები უფრო ნიჭიერები იყვნენ, ფედერალისტები კი უფრო დოქტრინიორები, იდეოლოგები, კაბინეტის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც ხალხის ეშინოდათ. ცინიკურად რომ ვთქვათ, ს. დ. იერიშზე მიდიოდნენ მშვიდრა ენერჯიით, მიდიოდნენ იმისათვის, რომ მოეპოვებინათ საკმელ-სასმელი და ცხოვრება. ფედერალისტები კი ისე „მსჭელობდნენ“, როგორც ცხოვრების სიკეთით უკვე მაყრებულნი“.

უალრესად საინტერესოა ნ. ნიკოლაძის შეხედულებები თეოლოგიური, მეტაფიზიკური და მეცნიერული აზროვნების არსის აგრეთვე მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. გვეცნობს ახლოს ამ შეხედულებებს.

ს. დანელიას სტატიაში წამოყენებულია დებულება, ქართველი ინტელიგენცია ევროპის ინტელიგენციასთან შედარებით ძალზე ჩამორჩენილი და მეცნიერული აზროვნების უნარს მოკლებულია. ამ აზრის დასაბუთებას ს. დანელია ცდილობს თეორიულ-ფილოსოფიური მსჯელობით, რომლის წინააღმდეგ შემდეგშია:

„ქრ კიდევ ჯ. ვიკომ, შემდგომში კი სენ-სიმონმა და კონტმა დაადგინეს უტყუარი კანონი, რომ კაცობრიობის აზროვნებას კულტურის პირველ სტადიებზე მეტაფიზიკური ზღა-სიათი აქვს, და რომ კაცობრიობა მხოლოდ შემდგომში შეითვისებს მეცნიერული აზროვნების უნარს. თუ ამ კანონს განვაზოგადებთ,

შეიძლება ითქვას, რაც უფრო უკულტურობა ნაკლებვანათლებულია ადამიანი, მით უფრო მეტი მიდრეკილება აქვს მას მეტაფიზიკურ აზროვნებისადმი, ხოლო მეცნიერული აზროვნების უნარს მოკლებულია...“

მაგრამ რა არის მეტაფიზიკური აზროვნება? მეტაფიზიკის იმაზე უკეთესი განსაზღვრა შეუძლებელია, რომელიც ჩერნიშევსკიმ „გოგოლის პერიოდის ნარკვევებში“ მოკვცა. მეტაფიზიკური აზროვნება ესაა ზანტი აზროვნება, რომელსაც აზრი ლოგიკურ ბოლომდე არ დამყავს და ადვილად კმაყოფილება მოჩვენებითი კუშმარტებით... თუ ადამიანი ცდილობს ლოგიკის მივლით ძალით შეუფარდოს თავისი აზრები სინამდვილეს, მისი აზროვნება მეცნიერული იქნება. ხოლო თუ იგი ნახევარ გზაზე ჩერდება, მისი აზროვნება მეტაფიზიკური ხასიათის იქნება. ამრიგად, მეტაფიზიკური აზროვნება, წინააღმდეგ მეცნიერულისა, თვითმოტყუების განსაკუთრებული თვისებაა, ეს ისაა, როცა არ გასურს ან ვერ ახერხებ შენი აზრები სინამდვილეს შეუთანხმო... მეტაფიზიკური აზროვნება კაცობრიობის შემეცნების ის სახეა, რომელიც უბეშ და უფიქრ შუასაუკუნეების იყო განსაკუთრებით გავრცელებული... ეს იმგვარი ცოდნაა, რომლის წინააღმდეგ იბრძოდნენ და იბრძვიან ახალი დროის უკეთესი მოაზროვნენი, დაწყებული თანამედროვე მეცნიერული მსოფლგაგების შემქმნელი რენე დეკარტით, რომელმაც ომი გამოუცხადა აზრის ყოველგვარ ბუნდოვნებას და გაურკვევლობას, დამთავრებული თუნდაც ჰეგელითა და ფიეირბახით“.

ნ. ნიკოლაძე არ ეთანხმება ს. დანელიას ზემოლანიშნულ მსჯელობას და მასში სერიოზული შესწორებები შეაქვს. ს. დანელიას კატეგორიულ მტკიცებას, ქართველი ინტელიგენციის მეტიმეტად ჩამორჩენილობის შესახებ, ნ. ნიკოლაძე გადაჭარბებად მიიჩნევს. მისი აზრით, ეს მართალია მხოლოდ ზოგიერთი ინტელიგენტის მიმართ და არა ინტელიგენციის საშუალო ერთეულის მიმართ, რომელიც, რაცუნდა იყოს, ხალხიდან გამოვიდა“. ცოტა ქვემოთ ნ. ნიკოლაძე კიდევ უფრო აზუსტებს თავის აზრს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩამორჩენილი ოჯახებიდან გამოსული ჩვენი ინტელიგენცია „მეტწილად გონებრივ მშრომელია პირველი თაობა“.

რაც შეეხება ს. დანელიას თეორიულ-ფილოსოფიურ არგუმენტებს, მას ნ. ნიკოლაძე შემდეგ უალრესად საინტერესო მსჯელობას უპირისპირებს:

„მეტაფიზიკური აზროვნების ასეთი ახსნა ჩერნიშევსკის (ე. ი. ფიეირბახის) მიერ თვითონ არის მეტაფიზიკური ახსნა. მეტაფიზიკური აზროვნება ისაა, რომელიც დამყარებულია არა ცხოვრების შესწავლაზე, არა ცდაზე, არა-

მედ აზროვნებაზე, სილოგიზმებზე ვარაუდებ-
ზე; არა იმაზე, რაც ამ ქვეყნად ნაღვილად არ-
სებობს და კეთდება, არამედ იმაზე, რაც ჩვენ
კარგი, სამართლიანი ან გონიერი გვეჩვენება.
ზანტი, ბოლომდე მიუყვანელი, მოჩვენებით
ქვეშაირტებაზე დაყრდნობილი შეიძლება იყოს
აზროვნების ორი სხვა წესიც, ე. ი. თეოლო-
გიური და მეცნიერული აზროვნებაც.

უხეშ შეუსაბუნებებში გავრცელებული იყო
არა მეტათეოზიკური, არამედ თეოლოგიური
აზროვნება, ე. ი. ისეთი აზროვნება, რომელიც
შეფარდებულია არა იმასთან, რაც ჩვენ გონი-
ერად და სამართლიანად გვეჩვენება, არამედ
იმასთან, რაც ღმერთისა და წმინდა მამებისა-
განაა დადგენილი, რაც ღვთის განცხებას, საღვ-
თო წერილს ემყარება.

ქველი და ფეიერბახი — აი მეტათეოზიკური
აზროვნების დასასრული. მეცნიერული აზროვ-
ნება ეს ბუნებრივ მეცნიერული მეთოდია.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე აზროვნე-
ბის განვითარების, მისი მთავარი საფეხურე-
ბის შესანიშნავ დახასიათებას იძლევა. განსა-
კუთრებით საყურადღებო ისაა, რომ გამოჩე-
ნილ სამოციანელს და ჩერნიშევსკის ერთგულ
მოწაფეს მოხუცებულობის უკან თავისი სახე-
ლოვანი მასწავლებლის თელსაზრისიცი აღარ
აკმაყოფილებს და ჩერნიშევსკ-ფეიერბახის
ფილოსოფიურ შეხედულებებზე გაიკლებით
წინ მიდის.

სტატიის დასასრულს ს. დანელია მისი
დროის ქართველ ინტელიგენციას ძალიან მუქი
ფერებით ზატავს და მას გასული საუკუნის
რუსეთის ორმოციანი წლების იმ ინტელიგენ-
ციას აღარებს, რომელთა წარმომადგენლები,
ე. წ. „ზედმეტი“ ადამიანები, ასე რელიეფურად
დაგვიხატა ტურგენევი. „ტურგენევის რომა-
ნების კითხვისას, — ამბობს ს. დანელია, —
ყველა ამ რუდინების, მიხალოვიჩების, „ჰამ-
ლეტების“ რუსულ ბუნებაში მე ვხედავ ჩვენს
ქართველ ინტელიგენტს“. ამის შემდეგ სტატიის
ავტორს მოჰყავს „ჰამლეტის“ სიტყვები, რომ-
ლებშიც უარყოფილია ევროპის მეცნიერების

მრეშველობა რუსეთისათვის და დასკვნის
„არა, „ჰამლეტი“ ცდებოდა. დასავლეთ-ევრო-
პული მეცნიერება უნდა მიდგომოდა რუსეთის
ცხოვრებას, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო
რუსეთის სინამდვილის შესწავლა, მასზე დაკ-
ვირება. განა საიდან იღებს თუნდაც მილიუ-
კოვი თავის გასაღებს თანამედროვე ცხოვრე-
ბის გაუმჯობესებისათვის, თუ არა იმავე დასა-
ვლეთ ევროპიდან? ოღონდ განსხვავება მილიუ-
კოვსა და „ჰამლეტს“ შორის ისაა, რომ „ჰამ-
ლეტმა“ თავისი აზროვნების ინერტულობის
გამო ვერ შესძლო საჭირო ცვლილებები შეე-
ტანა ევროპული მეცნიერების საერთო პრინ-
ციპებში, მილიუკოვმა კი ეს გააკეთა. ამიტო-
მაა, რომ პირველი უსახელოდ იღუპება, მეორე
კი გარკვეული ძალა ხდება... „ჰამლეტი“ მილი-
უკოვად გადაიქცა, უნიდავო ინტელიგენტმა,
„ზედმეტმა“ ადამიანმა, ნიადაგი იპოვა და სა-
ჭირო ადამიანი გახდა.

ასეთივე ევოლუციის გავლა მოუწევს ჩვენს
ინტელიგენციასაც“.

ამ ამონაწერადან ძნელი მისახვედრი არაა,
თუ როგორ ჰქონდა ახალგაზრდა ს. დანელიას
წარმოდგენილი საქართველოს და მისი ინ-
ტელიგენციის მომავალი განვითარების გზა.
თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ნ. ნიკოლა-
ძე, რომელმაც თავისი მოღვაწეობის მეორე
პერიოდში ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს სე-
რიოზული ზარკი გადაუხადა, საგნებით მოი-
წონებდა და გაიზიარებდა ს. დანელიას აზრს,
მაგრამ არა, ხდება პირიქით: სახელოვანი სა-
მოციანელი თუმცა რბილად, მაგრამ მაინც
სრულიად გარკვევით უარყოფს სტატიის ავ-
ტორის ზემოხსენებულ დასკვნას და ხელნაწე-
რის გვერდზე ასეთ საინტერესო აზრს მია-
წერს:

„და მაინც მილიუკოვი ის არაა, რაც რუსეთს
სჭირდება“.

ეს დასკვნა უტყუარი საბუთია იმისა, რომ
მისი ავტორის სულში სამოციანი წლების
ნაპერწყალი არასოდეს არ გამქრალა.



ჩვენს თვარაძე

ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა

„მოღის მერცხეზე გაუსწორებელი“

დღე გაფითრდა იაგუნდის,
დგას ღრუბლების ჟგუფები.
რავინდ დიდი გული გქონდეს,
მანც დაიღუპები.

„ქუთაისში სიწყნარა, მოწყენილობა. მომარბერტელი ერთფეროვანი ცხოვრება თითქოს შემოდგომის ნისლიანი დღეების გაგრძელებაა — და უკულმა—შემოდგომის ნისლიანი დღეები საშინლად ჰგავს ამ ერთფეროვან ცხოვრებას“ (ოლია ოკუჯავასადმი — მომავალი მემულისადმი — მიწერილი ბარათიდან. ცხრასათიანი წლები).

ამნაირა გარეგანი ცხოვრების სურათი — სრული კონტრასტი შინაგან სამყაროში მოპოვებული სიმაღლის განცდისა. უამიდან ეამზე ეს უფერული, ფუჭი ცხოვრება თავს შეახსენებს ხოლმე, უაზრო კონფლიქტს მოუწყობს, უხიკად გაეხუმრება და ტანჯვითა და კათარზისით გასპეტაკებულ სულს უფორიაქებს.

იმადე ოლია ოკუჯავასადმი მიწერილი ბარათიდან:

„ყველეგი ძალიან ბევრი მომიტანეს, განსაკუთრებით როცა თეატრიდან გამოვედი. საშინლად ცუდ გუნებაზე ვიყავი. შემდეგ ისეთი რამ მოხდა, რომელიც მთელ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება... მე და ლადო მაჭავარიანი ერთ რესტორანში შევედით სივარდით... როცა რესტორნიდან გამოვედი, ვაეწიეთ პირდაპირ ჩემი ბინისაკენ, მაგრამ კარები დაეკეტათ და ნახევარი საათის განმავლობაში ვიდევით, კარები არავინ არ გაგვიღო. რაღა გზა იყო, ჩვენ ისევე ქალაქში დაებრუნდით შუალამისას, რომ ბინა

გვემოვა სადმე სასტუმროში. სასტუმროებში თავისუფალი და იაფი ოთახი ვერსად ვერ ვიშოვეთ და ვიყავით გაჩერებული ერთ ადგილას და ვფიქრობდით, თუ რა უნდა გვექნა. უცებ გამოიარა სათავადანაპრო გიმნაზიის ხუთმა მოწაფემ ორი ახალგაზრდა ქალით. ერთმა მათგანმა ისე მძლავრად გამკრა მხარი, რომ ხელი ეხლაც მტკიცე; გამკრა მხარი და მიდიდა თავისთვის, თითქო აქ არაფერიო, არც ბოღის მოხდა, არც არაფერი. მე ეს ძალიან მეწყინა და შივეყოლე: ცოტა ხეირიანად ვაიარეთქი. გიმნაზიელი მობრუნდა, გაჩერდა და ისე დამიწყო კჭერა, თითქო დამციროდა კიდეც. მთელი კომპანია შეჩერდა. მე მოთმინებიდან გამომიყვანა გიმნაზიელის უზრდელმა ქცევამ და რახი დაეარტყი. ყველას ხელის გამოღება უნდოდა, მაგრამ ჩემი ჯოხი ყველასთვის მწარე გამოდგა. ამის შემდეგ ყველამ იკადრა პირის ბრუნება, მარა დაედევნა ლადო და მთელი გეგუთის ქუჩა სულ ცემა-ტყეპით გაარონია. პირდაპირ ზღაპრული სიმარჯვე გამოიჩინა, მარა მე დაედევნე და შევანერე. შემდეგ მათი თანამგავრი ქალბები ჩაერთნ და მშვილობა ჩამოაგდეს — მაგრამ ჩვენ იმ ღამეს არ გვიძინებია. ვავედით ქალაქ გარედ და ამასობაში კიდეც გათენდა. ლადო რედაქციისკენ წავიდა, მე ზევით, გორაზე. ოთახში მე მიმინავდა ორი საათის განმავლობაში და, როცა გამომეღებია, ოპ, შენ წარმოიდგენ ჩემს მდგომარეობას. რანაირი გამოღეობა იქნებოდა. საშინელი უმწყობა, მარტობა, სინანული. საჩქაროდ დავეშვი გორიდან

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2.



შევეთ და, აი, ეწერ წერილს, როგორ მოგწონს ეს საქმე? ჯობია, შენგან ნაიუქარი ჯობით კაცს ვეცმდი, რა მეშველება, ნუთუ ყოველთვის ასე იქნება? ღმერთმანი, არ ვიცი, რა მემართება!».

გალაკტიონ ტაბიძის ბარათების, დღიურების, ჩანაწერების კითხვისას უნებურად ყურადღებას მივაქციენებთ ერთი უცნაური გარეობა: რამდენადაც უზადო, დახვეწილი და ელვარება სტრილი მისი ლექსებისა, იმდენად უფერული და უღიამოა პროზაული სტრუქტურები. არაერთხელ უცდა მოთხრობის შექმნა, მის არქივში მრავლად იპოვება დაწვებული და ორი-სამი გვერდის მერე თავმინებებული მოთხრობები. სხვათა მიერ მონაყოლი ნაირ-ნაირი ამბების, ანეკდოტების, ყურმოკრული დილოგების აურაცხელი ჩანაწერიც აქვდა. არც კი გჯერათ, არც ვინდათ ირწმუნოთ, რომ გალაკტიონ ტაბიძის კალამს ეკუთვნის ეს უნიათო, უნუგეშოდ მოსაწყენი ქმნილებები — პროზა ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით. სულ რამდენიმე დღიური და ჩანაწერია დიდი შემოქმედის ნიჰით აღბეჭდილი. დანარჩენისგან ღმერთმა დაგივაროთ.

ამ მხრივაც უჩვეულო იყო მისი ხედვრი. დიდი პოეტების დღიურები, ჩანაწერები, ლიტერატურული წერილები (პროზაული ნაწარმოებები სულაც რომ არ მოეპოვებოდეთ) მათს ლექსებზე არანაკლებ საინტერესო საკითხავია ხოლმე ჩვეულებრივ. არა, ამ კაცს რალაც განსაკუთრებული, ახირებული უნდა დამართოდა უქვეყნად, ყოველმხრივ ხაზი უნდა გასმოდა მის უმწიკობას ცხოვრებაში, უღბლობას, რვა-ღვრი ორიენტაციის გრძობის სრულ ატროფიას. მისი პორტრეტის არ იყოს: ვისაც გალაკტიონ ტაბიძე მის სიციხეებშივე არ უნახავს, ფოტოსურათების თუ ნახატების მიხედვით სასიკეთოს ვერაფერს იაზრებს; მისთა ქმნილებათა თარგმანების თუ მისი მთარგმნელების არ იყოს: ვისაც ორიგინალი არ წაუკითხავს, ამ თარგმანების მიხედვით აგრეთვე ვერაფერს იაზრებს სასიკეთოს; მისი ზოგიერთი „ჩრეულის“ და მის შესახებ დაბეჭდილი ზოგიერთი მოგონების არ იყოს, მისთვის გამართული შეხვედრების თუ ლიტერატურული საღამოების, მისი პირადი ურთიერთობების, მის მიერ წამოწყებული საქმეების არ იყოს...

საკულისხმო ისაა, თითონაც ხედებოდა ყოველსავე ამას, იცოდა, რა დღეშიც იყო და წუხდა, შუთთავდა, წვალობდა. რამდენიმე სტრიქონი კიდევ მოვიტანოთ ოლია ოქუჯავასადმი მიწერილი სხვა ბარათიდან:

... და ერთ რამეში, სასტიკ სინამდვილეში თანდათან გრწმუნდები: მე თურმე მთელ დღე-ღამეის ზურგზე არ შემოდია არავისთან ვულწრფელი საუბარი და წერილის მიწერა. ეს ჩემი გულის ღრმა ტრავმის შეადგენს, ოლია. მინდა ვთქვა და დაწერო ის, რასაც ვფიქრობ, და

გამოდის სრულიად სხვა. ვამბობ და ვწერ... რაც არავის არ ესიაომენება, ეწყინება. რამდენადაც ნაწარმოები ასეთი მაგალითი, რომ ჩემთვის ლი გამარჯვება კაცს დაცინავთ მიუღია. ვერ ვაჩვენებ... აი, თუნდაც ეს წერილი... ვერასვებით ვერ გვივთ; რა მინდა ვთქვა და რასა ვწერ... ღმერთმანი, ასე არის... იმნაირათ ეწერ, იმნაირათ გიგბაენი წერილებს, მინდა, რომ შენზე ცუდი შთაბეჭდილება არ მოახდინოს და უცუტად... შენ ყოველთვის პასუხათ საომარ წერილებს გამოგზავნი...»

ორიენტაციის ამჯერადი დაკარგვა, ამნაირი უმწიკობა უმაღ საჩინო ხდებოდა, როგორც კი „ქვეყნისგან გერაც მოეცვლეველ“ იმ თავის ჯადოსნურ სამყაროს გამოსცილდებოდა ხოლმე — ოცნებისა და პოეზიის საუფლოს. და მერე — „გვირს ეცივ, თუ გინდა, სამველი არ არის, არ არის, არ არის!“

და მინც ხდებოდა რალაც სასწაული: ეს უსაშველო ყოფაც, ეს გამოუვალი ცხოვრებაც, ყოველივე ამის შეგრძნებით აღბრული ტრაგიზმიც ლექსებში გონების წამლებ მშვენიერებად იქცეოდა.

პარადოქსი ისაა, განსაკუთრებული თითქო-არაფერი იყო ამ ლექსებში — მსგავსი რამის ყოველდღიური, ჩვეულებრივი ერთი გადმოცემისას ზოგჯერ საკმაოდ ბანალური, ტრივიალური სუბსტრატია რჩება სახეზე, ისეთი რამ, სხვა პოეტის ხელში ბანალურსავე ქმნილებას რომ წარმოშობს უქვეყნად.

ოღონდ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის პარადოქსი. იმიტომ რომ კუშმარიტი პოეტური ნაწარმოებების ჩვეულებრივი ერთი გადმოცემისას ფაქტიურად არავითარი სუბსტრატი აღარ გვჩვენება ხელთ, მით უფრო, როცა ლირიკასთან გვაქვს საქმე.

ყოველდღიური, ჩვეული გაგების თანახმად, ის, რასაც მხატვრული ნაწარმოების შინაარსს ვუწოდებთ, მონათხრობ, გადმოცემულ ამბავს ნიშნავს. მაგრამ ლირიკაში ამბის (სულ ერთია, გარე თუ შიდასინამდვილეში მომხდარი ამბის) თქმა რომ კმაროდეს, ყოველი კაცი პოეტად იქცეოდა ვინც კი არ დაიხარებდა ცოტათოდინ წაფარჯისა სალექსო ტექნიკის დასაფლვებად. საქმეც ისაა სწორედ, რომ ამბის გალექსვასა და პოეზიას შორის ჯერ კიდევ დიდზე დიდი მანძილია. მაშ რა არის ლირიკული ქმნილების შინაარსი — მასში გადმოცემული აზრი, განცდა, განწყობილება, ხილვა? ამითი გალექსვაც ჯერ კიდევ არ არის ლირიკა. იქნებ ავტორის დამოკიდებულება მონათხრობი ამბისადმი, ლექსში გადმოცემული აზრის, განცდის, განწყობილებისა თუ ხილვისადმი? ან იქნებ ყოველივე ამის კრითიკობა? მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ეს ყო-

რეპეზ მთარაძე
 ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა

ვიღვე ჩვეულებრივი ენით ვაღმოვცეთ და ნაწარმოებლად ხელთ ბევრი მაინც არაფერი შეგვრჩეს — მისი არსება, მისი ნამდვილი შინაარსი უღმერთოდ დაგვეკარგოს. უწინარეს ყოვლისა სწორედ ეს განასხვავებს ლირიკას პროზისგან და არა ლექსური ფორმა.

ვიღვე მსჯელობას განვავტობდეთ, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ამ ლაპარაკია უმაღლესი პოეზიაზე, კემშარტი ლირიკაზე. თორემ უმაღლეს რამდენიმე გენებათ, იმდენ მაგალითს გაიხსენებთ, როცა ამბავთა, განცდათა და მისთანათა ლექსად მომთხრობელს მაინც პოეტად უწოდებენ ხოლმე. შორის რომ არ წაიღეთ, გალექსობთ ტაბიძის 1908-1914 წლების ქმნილებათა აბსოლუტური უმრავლესობას სხვა არაფერია, თუ არ ამბის, აზრის, განცდის, განწყობილების ლექსად თქმა. ამიტომაც ეს ჯერ კიდევ არ იყო უმაღლესი პოეზია, იმ დონის ლირიკა, რომლის ბადალსაც, თუ ვინღ მსოფლიო მასშტაბით, ასეთლნი კი არა, ერთელნი ქმნიან მხოლოდ.

ხოლო ამ დონის ლირიკის უარსებობის ნიშანი, მისი ნამდვილი შინაარსი არის წამიერში მარადიულის, სასრულში უსასრულოს, მედინში წარუღმინებელის წვედომა, იმგვარ მიმართებათა მოხეტობება, რომელნიც კონკრეტულის პერეტისას უზოგადესს დაგვალანდინებენ. სწორედ ამიტომ არის, რომ „შაირთა (პოეზია) პირველადე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ ვასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგა“. ყოველივე ამის ვაღმოვცემა ჩვეულებრივი, პროზაული ენითაც არის შესაძლო, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელია უფრცესი აღწერები, ხოლო პოეტურ ნაწარმოებში ეს წამიერად ხდება. აი, რა არის იმის მიზეზი, რომ ლირიკული ქმნილებების „შინაარსის“ პროზაულად გარდაქმნისას ფაქტიურად აღარაფერი გვრჩება ხელთ. პატარა ლირიკული ლექსის შინაარსის აღქვებურად რამის ვაღმოსაყვამდ მთელი ტომი შეიძლება დაიწეროს და მაინც ვერ ითქვას ყოველივე (აქედან კი დასკვნა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგა“).

მაგრამ, თუკი პოეტური ნაწარმოების შინაარსი ზემოთ მითითებული რამ არის, მაშინ ყოველი ამგვარი ნაწარმოები ერთი და იმავე შინაარსის შემცველი უნდა იყოს. განსხვავება სადღაა?

განსხვავება იმდენია, რამდენ „ფერადაც“ არის გაშლილი სამყარო (სივრცესა თუ სიღრმეში) — „გვაქვს უთვალავი ფერთა“, ვერხვის ფოთლიდან ვიდრე ვეტრავალაქტიკებამდე, ამ ფოთლის ჭერტიდან ვიდრე ბრძენის საკადრისი აზრის გაღვებამდე. ყოველი ცალკეული, თუნდაც უმნიშვნელო „ფერი“ — საგანი, მოვლენა, შემთხვევა, განცდა, აზრი, მიმართება შეიძლება ექცეს დასაბამად უსასრულოს, მარადიულის, საფუძველთა საფუძვლის დაღანდვას.

ამავე დროს, ეს სხვა არაფერია, თუ არა სხვა ყაროს, არსებობის დიდი ჰარმონიის, ყოველთვის ერთობის გზება, წვედომა თუ ფაქტიურად ამგვარი რამის უნარი ყოველ კაცს აქვს. ყველა ციელს ვერ შეხვდებით, მისგან მთლიანად რომ იყოს განმარტული. ოღონდ უნარიც არის და უნარიც. ზოგიერთი ისე ვაღვეს სიცოცხლეს, ვერც კი იაზრებს, რაგვარ სიმაღლეს მიახლებია თუნდაც წამით; სხვანი კონტრეტურად ისწრაფვიან ამ სიმაღლისკენ, ერთხელ უნარი — ცნობიერად. ხოლო რჩეულთაგან ურჩეულენსი იმასაც ახერხებენ, სწვდნენ და გამოთქვან კიდევ ამგვარი რამ. ვალაქტიონ ტაბიძე სწორედ ერთი ურჩეულესი იყო.

მას არ სჭირდებოდა სიმბოლოთა ძიება წვედომილის მისანიშნებლად, რადგან სიტყვა თავადვე აღმოჩნდა ის წვედომილი; მას არ სჭირდებოდა ტრანსცენდენტური სამყაროს მისტიკური ძიება, რადგან უამისოდაც მიაყვლია ჰარმონიის (ისევე როგორც ნესტანისკენ მიმსწრაფმა ტარიელმა — ბეატრიქსედე მიმსწრაფი დაღტესა და ლეილისკენ მიმსწრაფი მექენისგან განსხვავებით).

ოღონდ აზრი ჯერაც არ ამაღლებულიყო აქამდე. გონება უფრო ნელა ვითარდებოდა, იმის შესაბამისად, როგორც იყო გარეგანი, მისი მომცველი რეალობა. არსებული ცხოვრებაც და მისთვის ხელმისაწვდომი მთელი ევროპული კულტურაც დაბეჭივით ჩავაგონებდნენ, რომ ჰარმონია ამქვეყნად არ იპოვება, რომ ეს სოფელი ქაოსის საუფლო ბოროტებაა, ხოლო იმავე ევროპული კულტურის უფრო მაღალ მონაბოვრებს და ქართული მწერლობის უარსებობის ფორმულეს ჯერტყრობით არ იცნობდა, ყოველ შემთხვევაში — შეცნობილი არ ჰქონდა ისინი. ცნობიერად ის უწყოდა მხოლოდ, რომ სამყაროს ქაოსში არსებობდა ერთადერთი სფერო — პოეზიის, შემოქმედების სფერო, სადაც ჰარმონია და სიკეთე სუფევდა, სადაც მშენიერებდა იქეთოდა ყოველივე. ამიტომ ჰქონდა „მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება — პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

მაგრამ პოეზია საკუთარ თავს ხომ ვერ დაემყარებოდა. ამ მხრივ პოეზიის შესაძლებლობანი რამდენიმე დეკლარაციის მერე უნდა ამოწურულიყვნენ და ამით დამთავრებულყო ყველაფერი. ვითარება გამოუვალი ჩანდა.

ისევე როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ამქვრდაც სწორედ გამოუვალი ვითარება იქცა. ხსნის დასაწყისად. აქვე ზემოთ ითქვა, რომ მედინში წარუღმინებელის, სასრულში უსასრულოს დაღანდვა თუ წვედომა წამიერად ხდება. ეს წამიერი ვალეგებანიც კი უღიდეს სულეერ ენერჯიას სპირიტებენ, ზოგჯერ მძიმე შედეგებსაც იწვევენ. ეს იგივეა, წერილ მავთულში მაღალი ძაბვის ღენი რომ გაკრთეს თუნდაც წამიერად. ამიტომ იყო ეს კაცი ესოდენ უმწეო და მოუხმა.

რობელი ყოველდღიურ ცხოვრებაში: იმდენად ხშირი იყო მისი კონტაქტი მაღალ სფეროებთან, გადაწვას ბევრი არაფერი უკლდა. და ამის შემდეგ ცხადია, რეალური ორიენტაციისთვის ძალია აღარ ჰყოფნიდა. ყოველდღიურობა და ის ერთმეორეს ბევრს ვერაფერს უგებდნენ და იყო გაუთავებელი კონფლიქტი; უმაღლეს რეალობას წვდომილი კაცი სხვათათვის ჩვეულ რეალობას ვერ ეწყობოდა.

ასეთ დროს (ხოლო იმ შემთავონებულ წამებს თუ არ ჩავთვლით, მისთვის სულ ასეთი დრო იდგა) ოცნება იყო მისი მხსნელი. მაგრამ ოცნება რის ვაშო, რისთვის? ლიტერატურული შევიწროების წლებში ჩვეულ ოცნება მის სულს ერთგვითარ საზღვრის ვეღარ აძლევდა — ეს იყო მეტწილად მწიგნობრული გავლენებით აღძრული ოცნება რაღაც სხვა სამყაროსთვის, რომლის არარსებობაც ახლა უკვე დადგენილი ჰქონდა მის მსოფლმხედველობას (ეს ზემოთაც ითქვა).

და, აი, ცნობიერების სიღრმეში რაღაც გავრთა, ჭრატჯრობით უსახო, ვერკვეველი, ამოუცნობი. რაღაც უნდა გაეხსენებინა და ვერ იხსენებდა. ერთადერთს იმას გრწმობდა, ერთობ, ერთობ შორეული იყო ის რაღაცა.

ეს იყო ინტენსიური ქვეცნობიერი ძიების შედეგი. პოეზია საკუთარ თავს ვერ დაემყარებოდა და მისთვის საფუძვლის მქებნელი სული ქვეცნობიერად იმას მიესწრაფა, რაც სამყაროს წაცნობ სფეროთავან ყველაზე მეტად შეესატყვისებოდა შემოქმედების საფულოში მიკვლეულ ჰარმონიას: ბავშვობა! — გახშიანდა ძახილი სულის სიღრმეში. ბავშვობა — სიკეთით, სინათლით აღსავსე ნეტარი მხარე, სადაც ერთიანია ყოველივე, გამოუყოფელი, დაუხლეჩელი, სადაც არ ზომიშებს პირაშემულ უფკრულთა სიციარიელე და ყოფნის უსაშველო ქაოსი.

ნიშანდობლივი რამ არის: განსწავლის, ძიებების, ლიტერატურული შევიწროების წლებში (1908-1914) ბავშვობა ერთხელაც არ გახსენებია. ისხენებდა იმ ტყვილებს, იტანჯებოდა იმ მარტოობით, რაც ბავშვობის დასრულებას მოჰყვა, ოლონდ სხვა ჰარმონიის დამკვიდრების მოსწრაფეს ბავშვობისდროინდელ ჰარმონიასთან დაბრუნების სურვილი არ აღძვრია. მაგრამ ახლა, როდესაც ირწმუნა, რომ ჰარმონია, სიკეთე არსად ყოფილა შემოქმედების სფეროს გარდა, ხოლო ეს სფერო ცალად დაურჩა სულის სიღრმეში გამოიდებული, მის სულს, მის ოცნებას „ეთი უბინაოს ყოფნა ბინაში“, ისე მოსწყურდა თავმისადრეკის პოეზია, აღამიანური სითბო და მარტოვი ბედნიერება — ქეშარიტი ჰარმონიის საფუძველთა საფუძველი.

ქალაქში, მტვერში წაიქვა ბავშვი, ნუკრის თვალებით, თმით — მიმოწვებით, და მწუხარების მალენიავში მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.

შეშლილი სახით კიოდა ქუჩა, შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა! მზეზე ჰყვავიდა სოფლად აღურჩა და გაისმოდა დების სიმღერა.

ეს ლექსი 1915 წელსვე შეიქმნა. მისი სათაურის — „ი. ა.“ — ინიციალები იმას ნიშნავს, ავტორის ველაც კონკრეტული პიროვნება ჰყოლია მხედველობაში. მაგრამ ფაქტურად ეს თვითონვე იყო — ცხოვრების მტვერში წაქცეული და მეოცნებე აყვავებული ალუჩისთვის. ოლონდ ის ალურჩა სოფლად ჰყვავიდა, რადგან მისი ბავშვობა სწორედ სოფელთან იყო დავაქშირებული. იქ დების სიმღერაც გაისმოდა — ყოველი სოფლისთვის ნიშანდობლივი დეტალი (ამ დეტალს მოგვიანებით, ომისა და რევოლუციის ქარცეცხლიანი წლების შემდეგაც კიდევ ერთხელ გაიხსენებს უბრწყინვალესი ლექსით „მშვიდობიანი სიმღერა დების“), იქ ნელი ნიავე შლიდა ველებს, მღვლო და კორღი ბიბინებდა („მამული“), საღამო ხვეერდის ყდაში წებოდა („სროლის ხმა მთაში“), ოდის გვერდით მუხა შრიალებდა („ზღაბრებიდან“), მინდვრები, ქალები, ტყეები ჩანდა ზღაპარივით („ბავშვობის დღეები“)..

ბავშვობის მხარისკენ სწრაფვას, ბავშვობის მოგონებებს იმდენი ლექსი უკავშირდება, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია (თავდაც აოცებს თითქოს მოგონებათა ამგვარი მოჭარბება: „შემოსილნო გამკვირვალე ბლონდებით, ყრმობის ქარნო, ნეტა რად მაგონდებით?“). ოლონდ ჩვენ ორი სტროფი კიდევ მოვიშველიოთ, ძალზე მნიშვნელოვანი რამის მაუწყებელი სტროფები:

არ დაბრუნდება ამ მხარის ცეცხლი წარსულთა დღეთა ხსენარის მხარის. ენბა უმისნოდ მიდის სიციცილებ და დაბრუნება მინც მისხარის. მხოლოდ ხანდახან ქარი შეარყევს ოდნე გაღებულს კარებს ბაღისას. შრიალი გააქვთ ძველებურ არყებს, სხვა ცხოვრებისთვის თითქოს მალვიებებს.

ბავშვობის მოგონებები ორგანულად შეერწყა სოფლისკენ სწრაფვას, ხოლო ეს ორივე უდიდეს სტიმულად ექცა ბუნებასთან დაბრუნების მოთხოვნილებას. შორს, შორს ქალაქის ჯოჯოხეთური შფოთისგან, ბოროტების საღვურისგან, მომწამვლელი ზმანებებისგან, თავგზარეული ხალხისგან!

ბუნებისადმი ლტოლვის მოტივები მის ლირიკაში ადრეც არაერთხელ გამოვლენილა. მაგრამ ადრე ეს უმთავრესად იყო თეორიული ლტოლვა, ერთგვარი ლიტერატურული პოზა, ძირითა-

რეკავს თხარამდ
ლეგმინდა ბალატიონის ცხობრებისა



დად რომანტიკოსთა სკოლიდან მომდინარე ნაყოფი, რომლის ინერციას ისე მისცა თავი, მაინც-დამაინც კარგად არც ჰქონდა გარკვეული — საკუთარი ძაბილს მიპყვებოდა თუ სხვისას. ახლა ვითარება შეიცვალა; მთელი მისი არსება მართლაც იქით მიისწრაფოდა, სადაც „ხელები არ თრთის ხელთათმანებით, სულა არ ტირის შავი ნიღბით“, სადაც ტრამპაის ზარი ვერ მიატანდა, სადაც თითქოს „სხვა ცხოვრებისთვის“ უნდა გაღვიძებულიყო სული („მიწასთან დაბრუნება“ — ამგვარი ლოზუნგი თითქმის ათიოდე წლის შემდეგ ხელახლა გაისმა ჩვენს პოეზიაში. ეს უკვე ცისფერყანწულთა ლოზუნგი იყო)...

სული მართლაც უნდა გაღვიძებულიყო სხვა ცხოვრებისთვის. რადგან არსებობის ის სფერო, სადაც ჰარმონია, სიეთე, მშვენიერება ჰქონდა მიკვლეული (პოეზია, შემოქმედება), ასე ცალად გამოკიდული დიდხანს ვერ გაძლებდა: წინააღმდეგ შემთხვევაში ან გამოფიტულ სქემად ექცეოდა ცოცხალი რეალობის დამკარგველი (ისევე როგორც მრავალსიმბოლისტს გადაექცა მკვდარ სქემად). ჩნ კიდევ უკანვე გააბრუნებდა, მისტიური სამყაროს ძიებას დააწყებინებდა ხელახლა. მას კი სულერი ევოლუციის ეს საფეხური აღრევე ჰქონდა განვლილი და ძაღული. და, გარდა ამისა, მთელი თავისი არსებით გაცილებით კაცური კაცო იყო, ვიდრე მისი თაობის ან მასზე უფროსი თუ უმცროსი მრავალი და მრავალი უცხოელი პოეტი: საკუთარ სინდისთან დამლობნანს თამაშს ვერ დაიწყებდა. ილუზიას სინამდვილედ ვერ დასახავდა. ხოლო იმგვარი ჰარმონია, თავისთავის გარდა სიეთის ნატამალს ვერსად რომ ვერ პოევებს და მხოლოდ საკუთარი სრულყოფით იყოკეტებს სარკის წინ ასეეტილი ქაღალტი, ბოლოს და ბოლოს ილუზიაა და იქნებ ილუზიაზე უარესიც.

და, აი, კვლავ იქ არის, იმ ზღაპრულ მხარეში, სადაც ყანები ბიზინებს, ენახები იფურჩქნება, ცაცხვები, ტირიფები, კომიტები შრიალებს, ბუხრბრადან ბოლი ადის, რიონის ვალაში სევილიანნი სიონი ჰქრიან, ხოლო შორს თოვლიანი მწვერვალები, მისი მდენელი, მხმობელი მწვერვალები უერთდებიან ფერთა დანისლულ ლივლივს; სადაც ყოველივე ერთია, დაუნაწევრებელი, ესოდენ ძვირფასი, შეუღვეელი და თურმე დაუეიწყარი...

სალამო ხანად ჩალანდრის ცხენი
მე შავონებდა გორებს შორებელს,
ფშანში ლანდივით დატყერდენ ხენი
ბინდის მეგობარს მთუმორებელს.
ეამ მოგონება გადუხალისა
მას, ვისაც სწამდა ღამის ფერები,
ეს იყო პარი ჩვენი ჭალისა
და შემოდგომის ჩალისღერები.

ფაქტურად ესაც თვითონ არის — ბინდის გაწეშორებული მეგობარი, ვისაც ღამის ფერები

სწამდა აქამდე და ახლა მოგონებები ვაღიწროვებდა, ვინც დაუბრუნდა ოდინდელს და კვლავ განზავდა ამ გორებში, ფშანებში, ხეებში, ჭალებში, ზეცაში — ამ გონების დამკარგვინებელ ჰარმონიაში. მაგრამ განზავდა კი? მაშინ რატომ არის ესოდენ ნაღვლიანი ბოლო ორი სტრიქონი, რამ აღძრა ეს გამოუთქმელი სევდა? ეტყობა, იმან, რომ, ბავშვობისგან განსხვავებით, მთლიანად ვეღარ განზავდა ამ საოცრებაში, მის ორგანულ, მოუკვეთელ ნაწილად ვეღარ იქცა. რაღაც შეცვლილა, გადასხვაფერებულა. იგივეა ეს ნეტარი მხარე და თან არც არის იგივე. ამიტომაც, რომ „არ დაბრუნდებია ამ მხარეს ცეცხლი წარსულთა დღეთა სხვანაირ მხარის“, რომ „აღორ არის ის ჭალები, ის მდინარე, ის სახავე...“

ოღონდ იქაურობა გადასხვაფერდა თუ თვითონ შეიცვალა?

თვითონ შეიცვალა, რაღა თქმა უნდა. ის მზე-რა აღორ არის, ყოველივეს გადაქდობილი, ყოველივესთან ორგანულად შერწყმული მზერა პატარა უზავველი პივისა. შორს მაინცდამაინც არსად წასულა ის ბივი, აქვე იყო — ოც-ოცდაათ კილომეტრზე, ქუთაისში. თუნდაც თბილისში, არც საუკუნეებს გაუვლია მას შემდეგ — ათითხუთმეტი წელიწადი რა ისეთი უსამველო ხანია. მაგრამ მისმა სულმა ცა და ხელი, ქვეყანულ-ხესკენელი მოლახა კიდით-კიდევ, ისეთი უფსკრულების წილდ იმარტვილა, ამ დანისლულ კომიტებს და სასაცილოდ ვადახრილ ტირიფებს რომ არც მოეზანებათ; იქ გატარებული ყოველი წამი საუკუნეების ეტოვებოდა. ახლა დაბრუნდა, თათქოს იგივე ბივისა, ოცდაათი-ოცდახუთი წლის ჰაბუკად ქცეული, და თან არც არის იგივე. ვეღარც იქცევა იგივედ. ვეღარასოდეს ვეღარ იქცევა.

მაგრამ აღორ ის არის უკვე — „სული უსახლო, ჯოჯობითაი არ-ხედნიერი“, ის მარტოსული მეოცნებე, პოეზიის ბროლის კოშკის გარდა თავმისადრეკი რომ არსად ეგულდებოდა. ცივი იყო კოშკი იგი, რადგან არცინ მკვიდრობდა ბროლის კედლებში; მისი ჰარმონია, მისი სიეთე, მისი მშვენიერება უსივრცო სივრცეში იყო ცალად გამოკიდული. ცივი იყო, გაუხარებელი და მგლოვიარე — იქ მარადიული წამიერისთვის იგლოვდა, უსასრულო სასრულში განსახებას მიესწრაფოდა, წარუდინებელი მედინის მსუბუქ ზვირთებს ნატრობდა. ამიტომ თურმე არც იყო სრული ჰარმონია, სრული სიეთე, სრული მშვენიერება. ვერც იქცეოდა ასეთ რაიმედ, ვიდრე სიღრმეში, სიმაღლეში გამოკიდული სივრცედ განფენილშიც არ პოევებდა თავისთავს. მანამდე ვერაფრით განერიდებოდა პირამეტული უფსკრულის სიკარიელეს და ქაოსის გამყინველ მზერას...

და მაშინ იაზრა ჰაბუკმა: ბავშვობის შემუსრული, დარღვეული ჰარმონია მისთვის ვერასოდეს



დეს გამთლიანდებოდა, „წარსულთა დღეთა სხეანარ მხარის“ ცეცხლი ვეღარ დაეგზნებოდა მის გულში; მაგრამ იმავე მხარეში უკვე თვითონვე შესდგომოდა ახალ, კიდევ უფრო მომჭადოებელი პარმონის დამკვიდრებას, ბავშვობისას ისე ნებვიერობდა იმ მორბევი, არაფერი გაეგებოდა — სად იყო, ვინ იყო, რა ეწოდა, რას მიეღებოდა, დინება თავის ნებაზე დააცურებდა. ახლა თავადვე ქმნიდა ახალ პარმონის ლამის გონწართმეული იმ კეშმარტების დაღანდვით, რომ მის მიერ სიღრმეში, სიმაღლეში მიცვლული სისრულე ერთადერთი არ ყოფილა არსებობის გამოუცნობ ქაოსში, რომ უთვალავ ვერად განვინიო საწყარო ამგვარივე სისრულის მატარებელი ყოფილა და რომ ეს ორი სისრულე უერთმანეთოდ ვერ იარსებებდა — შათი შერწყმა იყო სწორედ უმაღლესი პარმონია, ის, რაც სწავლავდა უფსკრულთა სიკარიელესა და ქაოსს. ამ პარმონიას თავადვე ქმნიდა. გონების წამლებად მშვენიერი იყო მარადიულის განმაცხადებელი წამიერი და ხარობდა მედინის ზეირთებზე მორმინე წარუდინებელი...

ეს ზომ მისი სამშობლო იყო! იმ კალების, იმ კოპიტების, იმ შარაგზების ნეტარი მხარე, სიკეთით, სინათლით აღსავსე მხარე, სადაც უძიისოდ დგას მის დაბადებამდეც, მის აქ დაბრუნებამდეც ზორციელდებოდა სასრულისა და უსასრულოს, მედინისა და წარუდინებელის შერწყმა. სათნობის, სიყვარულის, კაციაობის მეოხებით ზორციელდებოდა, სიკეთითა და სინათლით მოსილი ხალხის მიერ, ურემს რომ მოაჭრიალებდნენ და ცხენს მოათავსებდნენ შარაზე.

— როგორ ვეკითხოთ, იროდი ბატონო?
 — გახლავართ გვარიანად, ჩემო ბატონო.
 — კაი დავემართოთ...
 — როდის იყო ეს, სად იყო?
 — და არ შწორდება ღვთისმშობლის ცქერა, სახეს ქართული პატიოსნებით“.

მიხერა-მომხერა — დახვეწილი, ქვეყა — ქისკასი, გარჯა — ზრდილი, თავის დაჭერა — ღირსებით სახეს, ხმა — რბილი და მოალერსე, სახე — სათნობა, თვალბედი — სიკეთის სხივი და შეფარული ნალველი.

ეს ის მეურმე იყო, აღიონზე ნიკორა და წაბლა რომ შეუბა და ქუთაისისკენ ვამგზავრა რვა წლის ბიჭი, ქირის ხსენებაზე რომ ავარდა და დავარდა. ის დები იყვნენ, რაღაც უტბილესს რომ მღეროდნენ ოდესღაც. ის თავსაფრთხი ქალი, სივრცეს რომ გასმახოდა სევდანარევი ზმით. ის მასპინძელი, ოდის დაჩუქტრთმებულ აივანზე სტუმარს რომ მიელოდა გაფაცუცებული. ის პატარა გოგო, ერთხელ სამკვდროსასიციოცხლოდ რომ წყვილდა: „გალოკტიანი ვა... გამოშტრილი. გამოშ... ტრილი — გალო-

კტიანი! გა-მო-შტრი-ლი! (ე. ი. გამოშტრეული) გალოკტიანი — ასე იძახდა მეორე ექვწყვეთული გაღასული ჩემგან მიმერტული ჩემი ბანშუქმისეა ქალი თეირი — ბავშვობისას სოფლად). დღეს, 20 ნოემბერს 1957 წელს, ჩემთან მოვიდა მისი ქმარი და მისი დიდი შვილი, რომელიც თურმე ლექსებსაც სწერს. მოიტანა მშვენიერი ლექსები“.

ეს მისი სამშობლო იყო — მისი ბავშვობისაგან, მისი მარტილობისგან, მაღალთა შინა წვედომილი პარმონისგან, არსებობის სისავსისა და კაცობრიული სიკეთისგან, ბუნებისა და პოეზისგან განუყოფელი. რადგან ეს ბუნებაც, ეს პოეზიაც და მისი სამშობლოც ერთადვე იღებდნენ სათავეს, საწყისი ერთი ჰქონდათ.

„და არ შწორდება ღვთისმშობლის ცქერა, სახეს ქართული პატიოსნებით“.
 სამშობლო — იმ უმაღლესი პარმონიისა და სიკეთის თავისთავში მატარებელი, მისი განზოცრცილებისთვის არსებული და, ამოვე დროს, გაქეული, შეუტრავსოფილი, ღირსებაწართმეული, თავგზაარეული და საკუთარი თავის ცნობადაკარგული.

ეს წინათ იყო, მდინარეს თითქმე ვერცხლის ვფინა მიწინავე ჩადრი და კიდევზე მდუმარედ იღდა შეუცნობელი შრილი ჰადრის. შრიალი ვერხვის, შრიალი ყანის, უდარებელი სამშობლო მხარე! რა უწყალთა რონინი ხანის აუსრულებელ იმედთა ვარე!

ეს წინათ იყო. წინათ სიკეთისა და პარმონის მეტს ვერაფერს ამჩნევდა — ყოველივე ერთიანი იყო და ნეტარი. ახლა გუმანით გრმონობს, რა საზარელი ბზარი არსებულა იმ ერთიანობაში. ის სათნო ხალხი, მოსიყვარულე ხალხი, თვალეში ერთად რომ უტრთავდა სიკეთის სხივი და შეფარული ნალველი — სიკეთისთვის შობილი და ნადვილისთვის განწირული თურმე რამდენ საღარდელს ფარავდა იმ მეურმის ღულფსა ხმა, იმ თავსაფრთხი ქალის ძახილი, სტუმრის მიმლოდინე მასპინძლის ხალისობა! „რა უწყალთა რონინი ხანის აუსრულებელ იმედთა ვარე!“ დიდებული თანხავია მზეზე მოელვარე ზღვაყანები, თვალს აბარებს შარაგზაზე მოთოხარეც ცხენის დანახვა. მაგრამ რას განიცდის ის გლეხკაცი, სამარველში სერელს რომ მიყვება-მოყვება ალესილი თოხით, რა ფიჭვი აწვალებს იმ ცხენოსანს?..

ვერჯერობით მხოლოდ გუმანით გრმონობს ამ ბზარის არსებობას, მსგავსი საკითხების გამოღვევება და ბირამდე ჩაყოლა არაა მისი ხე-

რეზანე თხზვამე
 ლეგენდა გალუბტიონის ცნობრებისა



ლობა. იგი ქურუშია და არა მკურნალი. სნეულისთვის ლოცვა და ოცნება ძალუმს მხოლოდ, დოსტაქრის დანას ხელს ვერ მოჰკიდებს. მას შეუძლია ძირებამდე სხვა რასმე სწვდეს — „სხვისთვის უხილავ-ფარულ“ შინაგან საწყისებს, შინაგან რაობას თუ მეობას ერისას, ამ საწყისთა უეჭველ კავშირს დიდ სამყაროულ პარმონიასთან. სწვდეს და შეგრძნებავი ფორმა მოუძენოს, გამოავლინოს. პარმონიაში არსებული ბზარის შეგრძნება ტრაგიკულს ბადებს და არა ბრძოლის ეჩინს...

ოლონდ მან ერთი რამ კიდევ იცოდა სრული უეჭველობით: სამშობლო მისი რიონის ველი და ქუთაისი კი არ იყო უბირველეს ყოვლისა. ეს იყო „ლიხს იქით და აქეთ“ გაშლილი ვრცელი მხარე, მთლიანი ქვეყანა, „არღესმე დიდი საქართველო“. კუთხური პატრიოტიზმის მაცოდუნებელი სიტყვა მას არასოდეს გაჰკარებია. ამ მხრივაც არ ჰგავდა ზოგიერთ ბოეტს. სამშობლო მისთვის მუდამ იყო ერთობა — სივრცე-შიც, ტერიტორიულადაც და ისტორიის სიღრმეშიც.



არ არსებობს სიწმინდე, რომლის ლაფში ამოცხრავს ვერ მოახერხოს ცინიზმმა თუ ვულგარო-კულმა სკეპტიციზმმა, არ არსებობს ჭეშმარიტება, ქირბილითა და ქილიკით რომ ვერ გააშა-სხარაონ ურწმუნო ადამიანებმა. ცხადია, მათი წარმატება ერთობ მოჩვენებითი, ხანმოკლე რამ არის — ვრცელ დისტანციაზე სიწმინდე მუდამ სკობნის ლეარძს, ჭეშმარიტება — სიცრუეს, სიკეთე — ბოროტებას (აგე რამ არ ხდებოდეს, კაცთა მოდგმა დღემდე გადაშენდებოდა). მაგრამ მოკლე-მოკლე დისტანციებზე მოჩვენებითი გამარჯვებები სიავსა უბირ ხალხს ეფექტურად ეჩვენება ხოლმე. მრავალს არ ჰყავდნის მოთმინება და ნებელობა საიმისოდ, რათა სიწმინდის, სიკეთის, ჭეშმარიტების მყარსა და მოუშლელ შედეგებს დაელოდოს. ნულარაფერს ვიტყვით იმგვარი ვეჯაცობისთვის, როცა კაცმა იცის — ამ შედეგებს სიცოცხლეში ვერც მოვესწრებით, და მაინც არ ღალატობს სიკეთის გზას.

ამასთან, თავდაპირველი სახე, რომლითაც სიკეთე და სიწმინდე ვლინება ხოლმე ქვეყნიერებას, ხშირად იმდენად უსუსური ჩანს ერთი შეხედვით, ვერც გამძტყუნებთ მისთვის უნდობარი თვლით მომზირალ პრაქტიკულ ადამიანებს, რომელთაც, ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ვერც ისხლი არ დასწმუნდიათ“, გონება არ მომწიფებით და სული არ გავაჭი-ზებით სათანადოდ. რას წარმოიდგენდა. 1915-1916 წლების ქუთაისში რომელიმე ლოყებაღა-ქლაყებულო, თვალგებრილა, სატყვეარიანი აზნაური თუ თავადი, დუქნიდან ახალგაზრდული

და ბულვარზე ზეიდად ჩაელილი, ანკეცხვამდე აწყვეილი კობტა ოფიცერი, ან სოფელში: მთაწარი და ქალაქს დამკვიდრებული ჭონმო-კიდებული გლეხი, ან კანცელარიის მოხელე, ან პატრიდებელი ვეჭილი, ან სხვა რომელიმე მოქალაქე, რომ ოდესმე მის შვილშვილს თუ შვილთაშვილს არც სიმწიფის ატესტატს აღირსებდნენ და არც უშაღლესი სასწავლებლის კარს გაუღებდნენ, თუკი გამოცდაზე ვერ შეძლებდა დაეწერა (ან გადაეწერა), ვთქვათ, ამგვარი თემა: „ორი პერიოდი ვალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“.

ყოველ მათგანს გაზეთის თუ ქურნალის გადაფურცვლისას ბევრჯერ მოხვედრია თვალში ლექსის ბოლოს მიბეჭდილი „გ. ტაბიძე“. ლექსი, ვთქვათ, ასეც შეიძლება დაწყებულიყო: „ატმის რტოო, შვილშვილო რტოო, ატმის რტოო, სიმშვიდეა შორი...“

— კი ერთი, თუ ღმერთი გწამს! — ჩაილაპარაკებდა მოქალაქე და გადაფურცლავდა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ბოლომდეც ჩაეკითხა. იქნებ თავის თვლით ნანახიც ჰყავდა ამის დამწერი, იქნებ იცნობდა კიდევ. ოლონდ ატმის რტოის ბედი, ისიც დაღალული რტოისა, ისევე აინტერესებდა, როგორც ლექსის ავტორისავე ბედი და იღბალი. დიას, ვერასგზით წარმოიდგენდა, რომ მის შვილშვილს თუ შვილთაშვილს ნება-უნებურად დააინტერესებდნენ ატმის დაღალული რტოის, სუსტი ყვავილის და ყოველივე ამის ახირებულად შემთხვევის ბედითაც, და შესაძლოა პრაქტიკულად სწორედ ამას განესაზღვრა მისი ნავრამის მომავალი — ბედი თუ უბედობა. ეს რომ წარმოედგინა, ეს რომ სცოდნოდა?...

ვერც ამას წარმოიდგენდა, რალა თქმა უნდა, რომ ამ ლექსებით განცხადდებოდა ჭეშმარიტად სასწაულებრივი რამ — მისი და მისივე თანამემამულეების უშინაგანესი არსების წვდობა. ესა და ეს ხარო, ეუბნებოდნენ, ოლონდ ვინ იყო გამგონი! ლექსის მორტყვიალე ხალხი საქართველოში როდის გამოღეულა, საიმდროოდ რომ გამოიღეულყო. ქუთაისშიც მრავლად იყვნენ, თბილისშიც. სხვაგანაც. ქურნალ-გაზეთებშიც კითხულობდნენ, წიგნებსაც ეტანებოდნენ, ლიტერატურულ დილა-საღამოებსაც ხალხით ესწრებოდნენ. იხილებოდნენ „მე და დამითო“, „მერიო“, „გუროის თემითი“... მაგრამ ამის იქით წასვლა ჩვეურობით ერთეულს ან ათეულს თუ შეეძლოთ. ამასთან, პოეზიის სარბიელზე ნამეტანი რომ ჩიხლართებოდა საქმე, უსაშველო ნიუანსთა წვდომის ყამი რომ მოატანდა, სულ მკირდენილა ერკვეოდნენ ვითარებაში. ასეთ დროს საერთოდ პოპულარული და ნაფერები პოეტი ვალაკტიონ ტაბიძე არაერთ გაუგებრობას ეწირებოდა ხელახლა.

მართო „ციხვერი ყანწები“ ირგვლივ ატეხილი ვაიუშველებელი რამდენის მეტყველია. ამ



ქურნალის პირველი ნომერი 1916 წელს გამოვიდა. შიგ „ლურჯა ცხენები“ და „მოთაწმინდის მთვარეც“ იყო დაბეჭდილი. ვი ამ დაბეჭდვას! როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ეს ქურნალი ქართველ სიმბოლისტთა ორგანო იყო. ცისფერყანწველები ლექსების ამბარ არ წარდგომიან საზოგადოებას, მინიმალური გამოაქვეყნეს. მერე რა მანიფესტი აღიღეთ, ხალხო, ჩვენი ლოთი ძმები — ბოლღერი და ვერლენი, მაღარმე და არტურ რემბო.

ჩვენი ლოთი ძმები ადიდეთო? უმაღ ყალყუე დადგა საზოგადოება. რა ეპითეტები არ დაიხარჯა ცისფერყანწველთა ვასათობაზედა, რა საშინელებები არ ითქვა. ეს რაღაც სპეციფიკურად ქართული რეაქცია იყო მომხდარ ამბავზე. იმდენად სპეციფიკური, იმდენად ხმაშიღალი, რომ მისი ეჭო დღემდე ხშირანებს ჩვენში, იმ ინტერესით დღემდისაც მოატანა (ამასობაში როგორღაც გამოგვრჩა ერთი საგულსისხმო ფაქტი: არაქართველ ლიტერატურისმცოდნეთა ნაწილი ახლა მეორე უკიდურესობაში ვადაიჭრა — ბოლღერს, ვერლენს, მაღარმეს ლამის პრაფეტურული პოეზიის წინამორბედებადაც სახავს). ვგონებ ვოლტერს არ დაუმსახურებია მეცხრამეტე საუკუნის დამღვების ღვთისმოსავ ქართველთა შორის ისეთი რიხეა, როგორც ბოლღერსა და ვერლენს, აგრეთვე მათს ქუთაისეც „ძმებზე“ დაატეხეს.

მერედა ვინ იყვნენ ეს ქუთაისელი სიმბოლისტები? ოცი-ოცდახუთი წლის ჰაბუკები, ჯერ სრულიად უმწიფარნი, დაუდლებელნი, დახნეულნი. მათი იდეური არენა დამდგომის — გრიგოლ კავკასიელის გარდა არც ერთ მათგანს წარმოღვენდა არ ჰქონდა, რა მოძღვრების ქადაგებას შესდგომოდა, რა იყო სინამდვილეში სიმბოლიზმი. სიმბოლიზმის მეამბოხე სული ხიზლავდათ, რუტინის წინააღმდეგ ამხედრება, ტრადიციების დაგმობა, სიტყვით ჯაღმართობა, სიკვდილისა და სიგნის მოტივებთან წარმოიყვება, ორეულები, ნიღბები, თეატრალიზა... ფაქტიურად ხომ არც ერთი სიმბოლისტური ლექსი არ გამოსულა მათი ხელიდან (იმავე წინამდგომის ქმნილებათა ვარდა). კი, როგორ არა, ზმანების ხსენებაც მრავალადა, სიზმარიც, სივარეც, გარეგანც, სიკვდილიც, ნიღბებიც, ოფელიებიც და არღეკინებებიც. ამ მხრივ მიველი სიმბოლისტური აქსესუარის სახეზეა, ასევე არის პარიზისა თუ პეტერბურგის სალონებიდან საგულდაგულოდ იმპორტირებული ქუთაისში. მაგრამ მსოფლმხედველობა და მეთოდი პარიზშივე (ნაწილობრივ პეტერბურგშიც) დარჩენილა, აქამდე ვეღარ ჩამოუღწევია. რომც ჩამოუღწეოდა, იღივერაფერი სახალაო დაუხვდებოდა. რა ეტრანსცენდენტურებოდათ ამ ენერგითა და ხალისით აღსავსე, დაუდეგარსა და ალაღ ჰაბუკებს, რომელთა ყოველდღიური ცხოვრებაც მათს პოეზიაში წარმოღვენდელ დეკლარაციათა ლიმილს მომკვრტლი კონტრასტი იყო?

მაგრამ არ ჩანდა განკითხავი. მწარე-მწარე სიტყვა მრავლად ითქვა, კუვადამჯღარი ხსენებისთვის კი ვერაინ მოიცალა იმხანად. სწორი აფიონტაში ვალაკტიონ ტაბიძის სახელიც გერაია — „მე და ლამეს“ ავტორს ამ ვალაკტიულ ხალხთან რა ესაქმება, მათს ქურნალში ლექსების დაბეჭდვა როგორ გაბედლაო. არადა ის ქურნალი საიმდროოდ გამოშავალ ყველა ბუნების ორგანიზმ სინტერესო გახლდათ, საიმდროოდ მოქმედ პოეტთა ყველაზე ნიჭიერ ჯგუფს აერთიანებდა და გულდასაწყვეტიც უნდა ყოფილიყო, ვალაკტიონ ტაბიძეს რომ ამ მიეღო მონაწილეობა მათს დებიუტში.

წინანდობლივია, რომ ამის მეტად ვალაკტიონ ტაბიძე აღარც იმ ქურნალს გაჰკარებია და, საერთოდ, ცისფერყანწველებთანაც საკმაოდ გაუფუქდა ურთიერთობა, ბოლომდე ძალიან ნელთობილად იყო მათთან. ვინ იცის, რა ენები არ ასეარსავალდუნენ, რანაირად არ დავესლეს ერთი მხარეც და მეორეც, ოღონდ კი წაიკიდება მოეხეხებინათ, სერიო ენახათ. ამაში ის სატევიარინი ოზონურიც მარჯვე იყო, ის უღვაშებაწყვიბული ვლუხიც, ვევილიც, ჩინოზივიცი და მიხეულეც. არც პოეზიის მოტრფილენი დააკლებდნენ ხელს, სხვა ღროს ლიტერატურულ საღამოზე თვალაუფუნებულნი. საჭირაო მასალას ნუ შემოვლევდა ღმერთი, თორემ...

„შე არ გამკვირვებია ვე ჰორი (ოლია ოყუკავას სწერს სხვა შემთხვევას გამო, სხვა ამბავთან დაკავშირებით). ეს ხომ პირველი არ არის... არც უკანასკნელი მე მხოლოდ ის მაწუხებს, რომ შენამდინაც მოაღწია ამ ქუჩაში შეთითხნილამა ამბავში. არ ვიცი, რათაა ასე: ბავშვობიდან ჩემს ირგვლივ ჰორები ტრიალებენ, ბავშვობიდანვე რაღაც უჩვეულო ხმებს აერცელებდნენ ჩემზე... ოპ, რომ იცოდე, როგორ მწყურია სიკვდილი. ღმერთი გუფიციები, ვისმეს თავს შეეკლავ, თუ ასე ვაგრძელება“.

ესეც ერთი გამოუცნობი და ზარდამცემი მოდუსია არსებობისა: დაგალანდენინებს თუ არა თავის ნამდვილ სახეს, ვაზიარებს თუ არა თავისი პარმონის თვალმუდგამ სიმალეს, უშალტბიერ სახიზობასაც მოგაწყობს იქვე — ამღელვავიავალაბით წვდომილი სიმალლიდან ლაფში გიცრავს თავს, უსულგულო, ურწმენო, უიდეალო ხალხს ვადაცყრის, მოზიხითიუ სეკტიკოსებს, ყველაფრის გამჭირდელსა და მომშხამველ მგესლავებს. ასე მოუხდა ვალაკტიონ ტაბიძეს ხელმეორედ შეეცნო გარემომცველი სინამდვილის ძრწოლისმომგვრელი სივერავე და ამაოება. ნება-უნებურად ანგარიშო უნდა გაეწია იმ ქეშმარტებისთვის, რომ საწყაროში, მის მიერ შეცნობლი სფეროთა ვარდა, არსებულა კიდევ ერთი, იქნებ ყველაზე ძნელად შესაცნო-

რამაზ თხარამი
 ლეგენდა ბალახტიონის ცხოვრებისა

ბი, — სოციალურ ურთიერთობათა სფერო; და რომ ვერანაირი ჰარმონია ვერ იქცეოდა თავის- თავში დასრულებულ რაიმედ, ვიდრე ამ სფეროში ქაოსი იყო გამოფხვნილი.

ოღონდ ამ ზღვარს არ გასცილებია იმხანად. ამ ქაოსისთვის ბოლოს მოღების აღმთქმელ მოძღვრებათ ძალზე ზერელედ იცნობდა (ისევე როგორც მისი სემინარიელი ამხანაგების უმრავლესობა) — წერილ-წერილი ბროშურებით და ყურმოკრული საუბრებით (მეტის გავების არც საშუალება ჰქონდა, არც დრო და არც ზალისი). ხოლო უამისოდ შეუძლებელი იყო ვითარებაში რიგიანად ვარკვევა; ასე რომ ჰარმონია გვერდ-მორღვეული დაურჩა — მისი ერთი სფერო ქაოსისა და ბოროტების ჩაჭოხეთური საუფლო იყო და ამ საუფლოსთან ყოველი კონტაქტისას უმოწყალოდ იმუსრებოდნენ სიმაღლეში მოპოვებული ღირებულებანი.

ეს საუფლო უშთაერესად ქალაქურ ყოფასთან იყო დაკავშირებული, აქ უფრო ინტენსიურად ავლენდა თავისთავს, აქ უფრო ძალუმაღ იგონებოდა მისი გამყინველი, დამაპნოზებელი მზერა. ხოლო იგი, როგორც ითქვა, შედარებით ნაზი ბუნების კაცი იყო და არა პირამაზებებული გოეთე, ბეთპოეენი ან ვეა-ფშაველა. „სადმე ყრუ ადვილს დავესახლები სხვა საუკუნის მგზავნი გვიანი, სადაც იქნება ცოფი ნაკლები და უფრო ნაკლებ ადამიანი“, — ეს ოცნება იყო მხოლოდ, განუზორციელებელი ოცნება. მისი ტომანიერი ჩარგალივით მივარდნილ ადვილას არ მღებარებოდა და, ასეც რომ ყოფილიყო, დიდხანს მაინც ვერ გაძლებდა იქ, მკირე ხნის შემდეგ ძვირფას არხიბას ამგვარ რასმე მოსწყურდა: „მოშინდა თქვენი სპეტაკი ბინა, აქ სოფელია, წვიმა, რუტინა“. ამ რუტინას შესაძლოა

უფრო მეტადაც გაეგვიებინა, ვიდრე იმ ქალაქს, რომელსაც ასეთ სამღვრავს ეუბნებოდნენ, ტასტიურო, დამაავადეს შენმა სასტუმროსა და შენმა გზებმა, ცა, მარტოობა, სულთ თავადის და ერთადერთის მრავალთან შეგმა“.

ასე რომ „მეზარა, მოვშორდი შფოთიან ტფილისს, არც მსურს მასსოვდეს მისი სახელი“ — არ გამოდიოდა. ქუთაისიც, თბილისიც მისთვის იყო „მალალი ვილიოტინა და ეშფოტი“, მაგრამ მაინც ჰიპანოზური ძალის მქონე. აქ მისი ნება ვერას გაბდებოდა, რამდენჯერაც უნდა გაქცეოდა ამ ჯვარცმის ადვილს, იმდენჯერვე უკან მოაბრუნებდა რალაც აუხსნელი ძალა. გარდა ამისა, აქვე იყო კონცენტრირებული ის კულტურა (მწირობა, ხელოვნება, აზრთა ვაცვლა-გამოცვლა, პრესა...), ურომლისოდაც მას უკვე აღარ გაეძლებოდა. ამიტომ მთელი არსებით ეძლეოდა ქალაქის რიტმს, მისი უარყოფელი და მაინც მისითვე მოსულდგმულე. კი არ იბრძოდა, ოცნებობდა მხოლოდ და ფაქტის კონსტატაციით კმაყოფილდებოდა: „და თუ ქრისტემ გალილეა აირჩია, მე ტფულისი ავირჩიე ბებერი“.

აქ იღებს სათავეს მისი შემოქმედების ურბანისტული თემები და მოტივები. ეს ზღვა მასალაა, უღარგანად საინტერესო და მომხიბველი. მაგრამ ჩვენს მიზანს მისი შემოქმედების ამომწურავად შესწავლა ხომ არ შეადგენს. ჩვენ ის გადავწყვიტეთ მხოლოდ, რომ მისი პოეზიის მეოხებითაც ვაკვედენებინა თვალთ მისი ბიოგრაფიისთვის, სულეირი ევოლუციისთვის. აქ ისლად უნდა დავსძინოთ, რომ ქართულ პოეზიაში პირველად სწორედ მან დანერგა თანადროული დიდი ქალაქის ეგზოტიკა და, თუ ვნებათ, რომანტიკაც.

„სალამი ნგრევისს!“

გადალექა სისხლიანი
ღობე-მესერი —
ძველ რუსეთის ნაცვლად ბრწყინავს
რესეფესერი.

ბიოგრაფი გვამცნობს: 1916 წელს გალაკტიონ ტაბიძე და ოლია ოკუჩავა დაქორწინდნენ. ამავე წლის აგვისტოში გალაკტიონი მოსკოვს გაემგზავრა, ნოემბერში ქუთაისს დაბრუნდა და აქვე შეხვდა თებერვლის რევოლუციას. 1917 წლის მიწურულს კვლავ მოსკოვში ჩავიდა, მომდევნო წელს პეტროგრადშიც იყო რამდენიმე დღით. 1918 წლის ივლისში ჩამობრუნდა და თბილისში დაქვიდრდა.

ერთი საგულისხმო დეტალი: მოსკოვს მეორედ ჩასვლისას მას დაუმთავრებია სცენის-მოყვარეთა ლიგის მიერ დაარსებული ხუთთვიანი სარეჟისორო კურსები; აქ თურმე ის-

წავლებოდა რეჟისურა, სცენის მოწყობა და არქიტექტურა, გრიმის თეორია და პრაქტიკა, თეატრის ისტორია, მეტყველების ისტორია და დიქცია, სახალხო თეატრების ორგანიზაცია.

ხომ ვთქვით ზემოთ — ამ კაცს რალაც განსაკუთრებული, ახირებული უნდა დამართოდა უმეველად. გალაკტიონი და სარეჟისორო კურსები — უკეთესს სწორედ ვერაფერს წარმოადგენს აღამიანი!

მაინც ნუ გამოვედენებით ამ შემთხვევითს დეტალს. ხსენებული ორი წლის მანძილზე ისეთი ამბები დატრიალდა, მსოფლიო შეიძრა მათ-



გან. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა ამბებიც იგულისხმება.

ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ვალაკტიონ ტაბიძე აღდგომის დღის შემდეგ რევოლუციას — „დროშები ჩქარა“ რომანოვების იმპერიის დამხობისთანავე დაიწერა და გამოქვეყნდა კიდევ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. საეკრეველი უფრო ის იქნებოდა, სხვაგვარი რეაქცია რომ ჰქონოდა ამ ამბავთან დაკავშირებით. ოდესმე არსებულთაგან ერთი უსაზიზღრესი იმპერიის დამონებელი ხალხები სწორედ რევოლუციას უკავშირებდნენ თავიანთი განთავისუფლების იმედებს და, ზემოთქმულის არ იყოს, პირწავერდინილი იდიოტი თუ იქნებოდა არსებული წესწყობილების შენარჩუნების მომხრე. ეს განსაკუთრებით საგრძნობად უნდა ყოფილიყო საქართველოსთანა დაკავშირებული რევოლუციური ტრადიციების ქვეყანაში.

ამ ამბიდან 30 წლის შემდეგ შესრულებული ჩანაწერი საშუალებას გვაძლევს ცოტათი უფრო ახლოდან შევხედოთ ზოგიერთ რასმე: „1947, 19 ენენისთვე (თორმეტის თექვსმეტი წუთია).

როგორც ქორი გინახავს, თებერვლის რევოლუცია ისე მოულოდნელად დაიხარა ქუთაისს. მე მაშინ მხატვარ თედორე ჩუღციკისთან ვცხოვრობდი. მატერიალურად გამოუსვლელ მღვთმარებობაში ვიყავით ორივენი. მაგრამ ერთად ვიტანდით ჭირსა და ღმირს... ვცხოვრობდით ჯიბოს! სახლში. ჯიბოს ჯიბემ პაოლოსაც უღალატა და არც „კორპორაციას“ გააჩნდა რამე, ჩვენ რას დავეხმარებოდა. სახლთან სრულიად არავითარი კავშირი არა მქონდა, რომ მქონოდა კიდევ, მერე რა? არც სახლში არ გააჩნდათ რამე... არსაიდან რაიმეს იმედ, არავითარი სახსარი საარსებო. არსად არ ვმუშაობდი, რედაქციებშიც „ჰიდოსს“ იყო სარქველ... არაფერი არ ჰქონდათ არც მათ და მე რას დამეხმარებოდნენ... ერთის სიტყვით — სრული უიმედობა ყოველი მხრივ...”

ეს არ იყო ოდენ მატერიალური სიდუხჭირით აღძრული უიმედობა. საამდროოდ მას არავითარი პერსპექტივა არ ესახებოდა მის წინაშე უღმობლად აღძრულ ერთგულ და სოციალურ პრობლემათა გადასაჭრელად. ამიტომ იყო მისთვის რევოლუცია ქორის დაცხრომისათვის მოულოდნელი რამ, თორემ ვითარებაში უკეთ ვარკვეული ადამიანი უმეკლედ აღრევე იზარებდა რევოლუციის მოახლოებას.

და, აი, „განახლების ზარმა დარეკა, ტახტი დეცა და იმედად ქაოსზე დგება თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება“ მშვენიერი სტრიქონებია როგორც პოეტური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით! ამ სტრიქონთა შე-

მცველი ლექსი („ათრობდა ხალხთა მწყობრება“) დაწერილია 1917 წლის 25 მარტს ნახლების ზარის დარეკისთანავე. დიდია ცინცხალი შთაბეჭდილებით აღძრული აღდგომის დღეებზე, მაგრამ ავტორისთვის ჯერჯერობით სრულიად უცნობია ის, თუ რა მოჰყვება ამ გრანდიოზულ ამბავს, როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, ტახტის დამხობას „თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება“ რომ უნდა მოჰყოლოდა, ეს ყველას სწამდა (მონარქისტების გარდა, ცხადია), მაგრამ კონკრეტულად რა სახეს მიიღებდა რესპუბლიკა, ვლადიკონ ტაბიძეს, მსგავსად მრავალი და მრავალი ინტელიგენტისა, ძალზე ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი. ისეც ნაკლებად ჰქონდა გაენიბიერებული თვლიდაპირველად, თუ რა როლი უნდა შეესრულებინა პოეტს არსებულ ვითარებაში. ნიშანდობლივია, რომ „ათრობდა ხალხთა მწყობრება“ სონეტის ფორმით არის დაწერილი. ხოლო სონეტი მაინცდამაინც ზედგამოჭრილი ფორმაა რევოლუციის ბოლოქარი დღეებმართვისთვის, ეს არ ითქმის ალბათ.

სრული უმეკლედობით მან ერთი რამ შეიძინა: რევოლუცია ნიშნავდა ესოდენ საძულველი იმპერიის, საძულველი წესწყობილების, საძულველი ცხოვრების, ყოველივე დრომოქმულისა და დამყაყბულის ნგრევას, ნგრევას და ნგრევას. ასეთ დროს ორი აზრი არ შეიძლებოდა არსებულებით, თუ ვის მხარეს იქნებოდა იგი:

სალამი ნგრევას, ვისში გვიანი აღდგომის დღეები იყოს ნეტავი, დღე წამოიჭრა ოქროსთმანი, დღე ახალგაზრდა და გამხედავი.

ამ პათოსით განიშლავდა რევოლუციის მომდევნო ხანაში. ოდენ ეს ნგრევა და გადალექვა დამყაყბულები ყოფილა მისთვის არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა წარსულის განუყოფელ უარყოფას, ტრადიციათა დასამარებას, ანარქისტულ თუ ფუტურისტულ ამბოხებას და ჭაოსისავე სწრაფებს. სწორედ პირიქით იყო საქმე. სწორედ ქაოსი უნდა დანგრეულიყო და გადალექილიყო რევოლუციის ქარიშხლით: „...იმედდ ქაოსზე დგება თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება“, „ქაოსიდან გზებზე გავედით“ და მისთანანი. სწორედ რევოლუციის უნდა ეხსნა „გვიანდელი მსოფლიო ქნარი“ (არა მხოლოდ პოეზიის, საერთოდ, კულტურულ ფასეულობათა სიმბოლო), ადამიანი უნდა აეშლდებინა და წარსულის ქვეშეშეშეშე აზრი საცნაურქვეშა მისთვის. მშვენიერის ნამდვილი აღფასება ახლა უნდა დაწყებულიყო.

ამგვარი შეხედულება გამოეკეთა თანდათან-

1 პაოლო იაშვილის მამა (ცნობა ი. ლორთქიფანიძის ხსენებული წიგნიდან არის აღებული).

რეპეზ მხარაძე
 ლეგენდა ბალახტორნის ცხოვრებისა

ნობით, ამგვარად ესახებოდა რევოლუციის უდიდესი მისია. და ამ შეხედულებას, მისი აზრით, საესეებით შეესატყვისებოდა ყოველივე, რითაც აქამდე ესულდგმულა თვითონ, რაც შეეჭმნა ან რის შეეჭმნაც ჰქონდა განზრახულ. მთელი მისი არსება მშვენიერებას, სიკეთეს, პარმონიას მიესწრაფებოდა, მაგრამ აქამდე ცხოვრების გამოცუნობი ჭაოსი აფერხებდა ამ სწრაფვას. ახლა გაჩნდა იმედი ჭაოსის დაძლევისა. სხვა რაღა უნდა ენატრა მერე მზრივ, ახალ ეპოქასაც სხვა რა უნდა მოეთხოვა მისგან, თუ არ მშვენიერების, სიკეთის, პარმონიის დასამკვიდრებლად მოდგაწვობა? სადაოდ ის შეიძლებოდა ჭკუეულიყო მხოლოდ, თუ რას დაერქმოდა, ვთქვათ, მშვენიერება. მისთვის ეს იყო ფსიქიკის სიღრმეში წვდომილ რეალობათა გამოვლინება და აწ უკვე გარესამყაროში დაწყებული გრანდიოზული ბრძოლაც, მახინჯი ყოფის, ბორბლების, სიცარიელის, ჭაოსის დამანგრეველი ბრძოლა. ამ ბრძოლამ მის პოეზიაში სათივე მისცა მანამდე თითქმის სრულიად უცნობ ნაყას — მანამდე უცნობ თემებს, მოტივებს, იდეებს, განწყობილებებს.

ოღონდ, ჭერ ერთი, ახალი ეპოქის დაწყება არაერთი შემთხვევაში არ ნიშნავდა ყოველგვარი საკიბრობოტო საკითხის ერთხმად მოგვარებას და, მეორეც, ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში კიდევ კარგაზანს გამოვლინდებოდა არაერთი ტყვილი, ეჭვი, ზოგჯერ უიმედობის თუ განწირულების განცდა, რითაც ადევსო სული სიჭაბუკეში. და ამგვარ მოვლენებთან დაკავშირებული თემები, მოტივები, აზრები, განწყობილებები ამ პოეზიის ისეთივე ორგანული ნაწილი იქნებოდა, როგორც ახლის გრძობა იყო. პიროვნება ერთი ხელის დაკვირთ ვერ გარდაიქმნებოდა, სხვა-კაცად ვერ იქცეოდა, ვიდრე საკუთარი ძალისხმევით, შინაგანადვე არ სძლედა წარსულის მძიმე ფსიქიკურ მემკვიდრეობას. და ეს შინაგანი ჭიდილი, თუნდაც წინააღმდეგობათა კვეთებით აღორული ტრაგიზმი, ნიშნავდა მის პიროვნულ საქმედ კი არ უნდა მიეჩნიათ, სხვებისთვისაც საგულისხმო უნდა ყოფილიყო.

ამგვარად ფიქრობდა და საესეებით მართებულიყო იყო მისი შეხედულება, მისი „ხაზი პოეზიაში“, როგორც თვითონ წერს არაერთხელ. წერს და ხშირადვე წუხს — ჩემი ხაზი არ ესმით, სწორად ვერ მიგებნო.


რადგან ყველანი აგრე როდი ფიქრობდნენ. იყვნენ ცალკეული ადამიანები, ზოგჯერ საკმაოდ უფლებამოსილნიც, რომელთათვისაც რევოლუცია ყოველივე ძველის ხელახლებით უარყოფას ნიშნავდა. ეს ადამიანები ჩქარობდნენ, ერთი დავრით აპირებდნენ გარდასულთან ანგარიშის გასწორებას. ამასთან, ხშირად არც ყოღნა ჰყოფნიდათ, არც გამოცდილება და

არც დრო ხაზისოდ, რათა, ჭერ, ერთი ხაზი ლომდე სწორად გარკვეულიყვნენ კულტურის, ურთულეს საკითხებში და, მეორეც, უმარტო პიროვნებებთან დამოკიდებულება ცოტათი უფრო ფაქიზად განესაზღვრათ. მათთვის დოსტოვესკო წერილობრივყოფილად მიაზროვნე, უმწეო და უარსებოდა მწერალი იყო, ილია ჭავჭავაძე — შესახვევებელი, გადაგვარებული მემამულე, თამარ მეფე — იოლად გასამახრებელი ისტორიული პიროვნება... ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია და არც არის საჭირო.

ამგვარ ხალხს თავიანთი წერილებმა მიმდევრებიც ჰყავდა, იდეურად ჩამოუყალიბებელი, რევოლუციის დიდი საქმისთვის ფაქტიურად მოუზმადებელი, მეტად — უცხო პირები. ამათ არამითუ კულტურის, ლიტერატურის, სელოვნების არსება არ ესმოდათ, საერთოდ ძალზე ცოტა რამ გაეგებოდათ ამ ქვეყნის, კერძოდ — ადამიანის ფსიქიკისა. ან მეტრია ან მოყვარე — აი, ერთადერთი საზომი, რომლითაც უყურებდნენ ყოველ კაცს. ამასთან, მეტრობის თუ მისაყრობის განმსაზღვრელი იყო მათი პირადი შეხედულება მხოლოდ და მხოლოდ. დიდ იდეებს, გრანდიოზულ გარდაქმნათა ეპოქის მიტმანსინლი რევოლუციის სახელით განუკითხავად მოქმედებდნენ და არაიშვიოთად ზიანსაც აყენებდნენ საქმეს. როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, პარტიამ მათთვისაც მოიცალა და მკაცრად გააფრთხილა, რომ კლასიკოსებისადმი აგდებული დამოკიდებულება, შემოქმედ ადამიანთა მიმართ უხეში აღმინსტრაციული მეთოდების გამოყენება, საერთოდ, კულტურის სფეროში თვითნებობა სოციალისტურ მშენებლობასთან შეუთავსებელი რამ არის. მაგრამ რევოლუციის პირველ წლებში, დუდილისა და ნაწილობრივ გაირკვეულია ხანაში, ხსენებულმა ადამიანებმა და მათმა წერილებმა მიმდევრებმა ზოგი რამის გაფუჭება მიინც მოასწარეს.

ერთი ამნაირი გაფუჭებული საქმე იყო ზოგიერთი პიროვნების დამოკიდებულება გალაკტიონ ტაბიძისადმი. იმ პოეტს, ვისი „ხაზიც“ საესეებით ვამართლა დრომ, ეპოქამ, ვისი უდიდესი დამსახურებაც აღიარა ხალხმა, პარტიამ, მთავრობამ, ვისაც სახალხო პოეტის სახელი მიენიჭა და ლენინის ორდენი ებოძა, ზოგ-ზოგნი აღრე ათვალწუნებით, ეჭვით უყურებდნენ და სიტყვებს უმწარებდნენ.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ გალაკტიონ ტაბიძე დიდი მგრძნობელობის, ფაქიზი სულის კაცი იყო, ამასთან, საკმაოდ ნერვიული (მისი სულიერი ბიოგრაფიის მქონე სხვაგვარი ვერც იქნებოდა), ყოველდღიურ ცხოვრებაში უმწეო და მოუმზობრებელი, ხშირად — ბავშვურად მიამიტი და დაბნეული. მისი ოცნება, მისი სული რევოლუციის ბობოქარ რიტმს, ქარიშხლის სიმძაფრეს მიელტვოდა, ეს უწყველია. მაგრამ რე-



ვოლუტების პირველი წლების მოუწყობელი და დაულაგებელი ყოფა მინცდამინც ზედგამოჭრილი არ იყო მისნაირი არსებისათვის. რეალური ორჟენტაცია არც მანამდე ენებებოდა, უცდომლად ვერ არკვევდა—როგორი ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო არსებულ სიტუაციაში, ვინ იყო მისი მტერი და ვინ — მოყვანი. ამგვარ ადამიანებს ცხოვრებაში მჭიდროვდნენ სკირდებთ, „პატრონი“, ვინც თავს გადასდებს მათთვის და დროულად, ტაქტიურ, დაკვირვებით განარჩევდა ყოველდღიურობის გაუგებრობათგან თუ სიმკაცრეთაგან ვალაკტიონ ტაბიძის არაღივს ჰყავდა ამგვარად მზრუნველი. მისი მეუღლე, რევოლუციური ტრადიციების ოჯახიდან გამოსული ქალი, საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო დანთქმული, საკუთარი თავის მოსაგულადაც ვერ იცლიდა თავგადასდებული შრომობდა, ხან რაოწმში იყო, ხან მოსკოვში, ხანაც შუა აზიის რესპუბლიკებში აჩაღებდა ჩადრის ვადაგდების კამპანიას...

და იყო ეს დიდი ბავშვი მეტწილად მარტოდმარტო, ერთიბუნო ბინაში გამოკეტილი, მოთვლელი, ხშირად — გასაკიდებელი, მართლაც შავ დღეში ჩაეარდნილა, არაერთხელ მშვიერი, ულუქმანურო, გამოუვალ სიღატაკეში ჩაეარდნილა.

მერე, მისი ბედის ამბავი რომ ვიცით, ხომ უნდა ვთქვათ მას უნდა გადაჰყოფინდნენ ზემოსენებული ყაიდის ადამიანები! საქმარისი იყო მათთან ერთი შეხება და ეს ბავშვი აფორიაქდებოდა, აირთოდა, აქეთ-იქით მიაწყდებოდა თავგზადმბუნული, ხანდახან სასოწარკვეთილებაზე მისულიც. ზოგჯერ უბრალო გუფებრობაც იტყვოდა წონასწორობის დეკარგვის მიზეზად, ზოგ რამეს თვითონაც აზვიადებდა ვითარებაში გაუტყვეველი. მაგრამ ხშირად ნამდვილი მიზეზიც ჰქონდა ასაფორიაქებლად.

წერილი მეუღლისადმი (ოციანი წლები):
 „ამ მე მივიღე დაზღვეული წერილი, რემინგტონზე ნაბეჭდი. წერილი... საესეა ბრძანათ ჩემთვის შეურაცხყოფელი სიტყვებით. უსინდისო და სხვა... ხომ არ იცი, ვინ არის ეს სუბიექტი?... მას შეეცდომით წარმოუდგენია, რომ სიტყვა „ანტირონიზმი“ საქები სიტყვაა. ეს არაფერია, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ იგი საზიზღრად იგინება... ვანა შეიძლება ასეთი ურთივო და უწესო სიტყვების თქმა? ამ დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვებით იგი თავისდაუნებურად იძლევა ერთნაირ თვითდახასიათებას... ოლია, თუ შენ იცნობ მას, ვადაცი, რომ ვინება არ შეიძლება, რომ ზრდილობის გარეშე წარმოუდგენელია წერილობითი ურთიერთობა-კი. ასეთი წერილები შეგაქთლებს ადამიანს...“

ყოველი ამგვარი ფაქტი კარგანით ურღვევდა სულიერ წონასწორობას. ამას კი შედეგად მოსდევდა ყოველდღიურობისადმი

უნდობლად ცქერა, დაეკვება, ხან ზომას გადასული სიფრთხილედ, ხანაც მოულოდნელი განრისხება.

„მე მინდა ვუთხრა ჩემს უსინდისო მტერს, წყნარად! არავითარი უფლება არ გაქვთ, დიას, არ გაქვთ მხამაღლა მეღაპარაკოთ! მე ყოველთვის მზად ვარ სიკვდილისათვის.“

ეს ჩანაწერი 1922 წელს იანის დათარიღებული. სწორედ ამ წელს „ვალაკტიონ ტაბიძის ქურნალს“ სცემდა, შემოქმედით მგზნებარე მოწოდებებით ბრძოლისკენ მოუწოდებდა თავადიც თხზავდა ისეთ ლექსებს, როგორცია „ძველი ხელედი წყდება კალასოს“, „ეს გრიგალია სიხლის“, „მისმა ისევე მომიტანა ლაქვარი ზღვები“, „ბინდი ღამისა ვაჭარა“, „რევოლუციონერის ხსოვნა“. ამავე წლით არის დათარიღებული „ცხოვრება ჩემი უანაკარეს ღვინის ფერია“.

ამგვარ ამბებს განსაკუთრებით გულდასმით უნდა ჩაუყვირდეთ. ეს კაცი თავის პირად გაბიწვებას, ხშირად ტრაგიზმად და ნამდვილ უბედურებად განცდილსაც, არასდროს თავს არ ახვევდა მკითხველებს, საზოგადოებას. პოეზიის საგანი მისთვის მალალ სულიერ სფეროებში განცდილი ტრაგიზმი შეიძლებოდა ყოფილიყო და არა ყოველდღიურობით აღძრული სატყვიარი. ზოლო რაჯი საამბუროოდ სულიერი გეოლუციის მწვერვალებზე იმყოფებოდა, უყოყმანოდ მიიჩნევდა, რომ მისი ცხოვრება „უანაკარეს ღვინის ფერია“, რომ სრული უფლება ჰქონდა ზალხისთვის მოწოდებებით მიემართა და ცეცხლოვანი ღოზუნგებით გადმოესროლა („დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი“).

რალა თქმა უნდა, კულტურის, ლიტერატურის ისტორიისთვის ამ უკანასკნელ მომენტს აქვს არსებითი მნიშვნელობა; დღევანდელი მკითხველისთვის წინა პლანზე დგას მგზნებარე რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსების ავტორი და არა ყოველდღიური ცხოვრებით განაწამები, დაბნეული და დაეკვებული ადამიანი. მაგრამ ყოველდღიურობის ეს შედარებით წერილობანი აზბედობანი უნდაწაწყოლოდ ვერ გაქრებოდნენ, თანდათანობით მისი სულიერი ცხოვრებისთვისაც უნდა დაეჩინათ ცნობიერი თუ ქვეცნობიერი კვალი. ასე რომ, მოუხედავად მისი პრინციპისა — ყოველდღიურობის ტრაგიზმი პოეზიის საგნად არ ექცია, საბოლოოდ ეს ტრაგიზმი მხატვრულ ქმნილებებშიც უნდა გამოვლენილიყო ამა თუ იმ სახით. გარდა ამისა, ეს შედარებით წერილობანი აზბედობანი და მათგან აღძრული ტყვიანობა დამანგრეველი ძალით მოქმედებდნენ მის ლაბილურ ბუნებაზე და მომავალ ცხოვრებისეულ გაუგებრობებს უღე-

რეპავზ თხარაბი

ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა

ბდნენ სათავეს. ასე მომზადდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში 1959 წლის 17 მარტის ტრაგედია.

„საუბარი ისეთი, რომელიც ჩემს შესახებ ისმის მეორე ოთახიდან, რომელშიდაც ღვინით ილეშებიან ვიღაც უცნობები, და რომელსაც კვირს უტარავენ ჩემი მეზობლები, ყოველ წრეს გადასული მუქარაა, სხვა არაფერი.“

ახალგაზრდა ქალი... აღიზიანებს მათ, ამხედრებს მათ ჩემს წინააღმდეგ, და ისმის ასეთი სიტყვები:

— რატომ არ გალახავთ, რატომ ცხვირპირს არ დაამტკრებთ, რატომ ფანჯრიდან არ გადაისროლით!..

ეს არის ჩემდამი ისეთი ზიზღის გამოხატულება...

ესაა ვაგრძელება ძველი ისტორიის. ყველანი ერთი მიზნისკენ მიეშურებიან — დამტოვებინონ ოთახი შეერთებული პროვოკაციული გამოსვლით“.

სხვა ჩანაწერებიც გვაუწყებენ, რომ ოციაში წლების მიწურულს თუ ოცდაათიანის დამდეგს კარის მეზობელს გადაუწყვეტია საკუთარი ბინის გაფართოება გალაკტიონ ტაბიძის პატარა ოთახის ხარჯზე. ჩვენს ინტერესთა სფეროში ვერავითარ შემთხვევაში ვერ შემოვა მსგავსი კომუნალური საკითხების გამოძიება. უმთავრესი სხვა რამ არის: დღესდღეობით ალბათ ვეღარავინ დავეიმოწმებს — მართლა ასე იყო საქმე, თუ ავადმყოფურობის სამანებად მისული ექვით წარმოსახა ყოველივე ამგვარად, მართლა გალაკტიონის მისამართით ითქმოდა თუ არა მეზობელი ოთახიდან გამოპირილი მუქარა, მართლა უპირებდნენ თუ არა ბინის წართმევას ან ვინდაც პროვოკაციების მეშვეობით დატოვებინებას. ბოლოს და ბოლოს გალაკტიონ ტაბიძეც საკმაოზე მეტად ცნობილი კაცი იყო და ოლია ოქუჯავაც — დიდად გავლენიან პირთა ღვიძლი დაი. ეს ალბათ 'ეკოლინებოდათ კარის მეზობლებს, რაგინდ დამთხვეულ და რეკვენ ხალხადაც უნდა წარმოვიდგინოთ ისინი. ექვსმეტრიანი ოთახისთვის ვითომ ეღირებოდა ამოდენა ვაიუ-შველებელის ატეხვა? ძნელი სათქმელია.

ამგვარი ექვი და უნდობლობა გარემომცველი ყოველდღიურობის მიმართ ხშირად კურიოზულ ფორმებსაც იღებდა.

საკმაოდ ვრცელი ჩანაწერი მოგვიტოვებოდა:

გალაკტიონი აბანოშია, ის-ისაა უნდა შევიდეს მისთვის გამოყოფილ ნომერში, რომ ასპარეზზე ჩნდება ვიღაც პირი, როგორც მეფე...
ვა, გვარად სულუხია, და ეცილება — ურიგოდ აპირებს შესვლას. ამტყდარ დავაში აბანოს აღმინისტრაციაც ჩაერევა. სულუხიას ამბიციურობა უსაზღვროა: ქედმაღლურად მოითხოვს შეამოწმონ მისი მოღვაწის ვინაობა და წინასწარ ემტყრება კიდევ. აცხცახებული გალაკტიონი ამ არამეთხეს გულმოდგინედ ამოუშვებურებს თავის საბუთებს. ჩანაწერის მეთხველნი იოლად ვხვდებით: როცა შეიტყო, ვისთანაც ჰქონდა საქმე, სულუხია დამფრთხა-ლა, ოღონდ ისტიბარი ვითომ არ გაუტეხია და მინც მუქარა-მუქარით სასწრაფოდ მიტოვებ-ზია ბროლის ველი. მაგრამ ამას ჩვენ ვხვდებით, თორემ ჩანაწერის ავტორმა, რალა თქმა უნდა, ვერ იაზრა, რომ მისი შემწინებული თვითონვე შეშინებულიყო. ჩანაწერის ავტორი დიდ საგონებელშია ჩაერადნილი, ფანტასტიური ვარაუდები უჩნდება: რას ნიშნავდა სულუხიას მუქარა, რას აპირებს, საიდან დაესხმის თავს? იქნებ ის აჯობებს, თვითონ დაასწროს იქით შეტევა, მისი ვინაობა გამოიძიოს და გავლენიანი ხალხი ჩაროს საქმეში (თუმცა ყველაფრიდან ჩანს, რომ ის გავლენიანი ხალხი არც მანამდე და არც შემდეგ თხოვნით არასოდეს შეუწყუხებია, მაგრამ ამ შემთხვევამ სულ დააკარგვინა თავგზა).

ანდა ამგვარი ამბავი: მოდის უცნობი პირი. ტაბიძე აქ ცხოვრობს? — კითხულობს. — რა გნებავთ? — სახლმმართველობიდან გაწომგზავნეს, წყალსადენია შესაკეთებელი, ერთი წუთით გამომყევით, თუ შეიძლება. — მერე დეტექტური რომანის გულმოდგინებით არის აღწერილი ორი აღამიანის იღუმალი მსვლელობა ღერეფანსა თუ ეზოში. უფრო სწორად — ის მსვლელობა დღიურის დამწერისთვის იყო იღუმალი, თორემ ხელისანი ალბათ არჩენიდა მიდიოდა თავისთვის და ის ვრამ არაყზე ოცნებობდა ვზადაგზა. მერე, როგორც ყველა ხელისანის წესია, ისიც სადაც გაქრა და აღარ გამოჩენილა. ხოლო ავტორმა ამ ამბავს მინაწერი დაურთო: „საეჭვო პიროვნებაა, უნდა შევემოწმო“.

და, აი, პირად ცხოვრებაში ამნირად განაწამები კაცი უეჭველად უნდა გადაწყდომოდა ცოტათი ზემოთ მოხსენიებული ყადის ადა-

მიანებს და შინაგანად ათრთოლებულს თავი უნდა ეტეხა იმის გამოსაცნობად, თუ რას მოასწავებდა მათი უნდობელი მზერა, უნდობელი დამოკიდებულება და საუბარი.

ხოლო მას იმედი ჰქონდა, თანდათანობით ეძლია წარსულის მძიმე სულიერი მემკვიდრეობა, რიგინად გარკვეულიყო მომხდარ გრანდიოზულ მოვლენათა არსებაში, ეს მოვლენები ესოდენ დიდი ტანჯვის ფასად წვდომილი პარმონის ორგანულ ნაწილად ექცია და მშვენიერებად გარდაქმნილი დაებრუნებინა ხალხისთვის, სწორედ იმ ხალხისთვის, რომელმაც უკვე ზეპირად იცოდა „მთაწმინდის მთვარე“, „ნე და ლამე“ თუ „მერი“...

გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა საუკეთესო წიგნი რომ გამოვიდა 1927 წელს, ვასილ ბარნოვი წერდა: „ლექსთა კრებული მომძიმო ტანის. პეროვანი ციავი ნახთა გრძნობათა. განცდათ წაღოტი პირადიბრად ყვავილით საესე. მგრძნობიარე ქართველი სული შექთა მგენელი. ქართული ტემბილი. სულ უბრალოდ, მეამიტად იწყებს სიმღერას, ლაყვარლ ცაში სანაევარდოდ ჰშლის ფრთებს თანისთან. სიტყვის სიუხვე. ყველა კუთხის ლამაზი თქმა ერთ თავიგულად. სინამდვილეც ხომ აერთებს აწ ქართველთ მოღვმას. ცეკვით მოხტის, მოიმღერის ლექსთა მდინარე. ხან ღიმილი, ბევრჯერ დარდი ხმაუწყობილი. მღერის ქართველი ღზინშიც, გლოვამიც. ზარით ტირილი გოდებაა ლექსად რხეული. მთელი ლაშქარი საარაკო სახეებისა. უღვევლი სხვადასხვაობა. მიწნივებით ლექსებში მათ სიცოცხლის ძალა: გიღიმიან, გვხვევიან, აღერსს ვეტყვიან, ცელქობენ შენ წინ, ხანდახან კიდევ გედრიჯებიან. ახალი არე ჩვენებებით საესებით საესე. თუ წაშლილან სინამდვილის ზმანებათა, ოცნებათ მზღვრები? სინამდვილეს ეთერიული ხორცი შეუსხავს, ოცნების სახეს შეუმოსავს ნივთიერება“.

ეს კრებული გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ოცამდე წელიწადს მოიცავდა, 1908-1927 წლებს. დაბეჭდილი 636 ლექსიდან მრავალი იყო ლიტერატურული შეგირდობის დროინდელი. მაგრამ ოთხასზე მეტი ლექსი სრულყოფილი შემოქმედის კალამს ეკუთვნოდა. ეს ლექსები სამუდამოდ დარჩება ქართული პოეზიის საგანძურში.

ხოლო მომდევნო ოთხი წლის მანძილზე, 1928-1931 წლებში, გალაკტიონ ტაბიძემ და-

წერა 415 ლექსი (ავადმყოფი გამოცემის მეტროში), რომელთა სტრიქონების საერთო როდენობა ლამის აღემატება ყოველივე ვერსიის მანამდე შეექმნა ოცი წლის განმავლობაში. ამ ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა გავრთიანებული იყო ციკლებად „ეპოქას“, „პაციფიზმი“, „რევოლუციონური საქართველო“, რომლებსაც თვითონ პოემებს უწოდებდა ზოგჯერ. პოემებმა ვერ იპოვეს, ფაქტიურად ციკლებიც აღარ დარჩა. არის ცალკეული ლექსები, ცალკეული 415 ლექსი, რომელთაგან რამდენიმე ათეული თუ მიიჩნევა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებებში მოთავსების ღირსად, ისიც დიდი დათმობით. სამასზე ბევრად მეტი ლექსისგან ღმერთმა თქვენც დაგიფაროთ და ყველა თქვენი კეთილის მსურველიც. არა მგონია ამ სამასზე მეტი ლექსის თავიდან ბოლომდე გულდასმით წაკითხვა შეძლებოდათ თვით იმ პირებს, ვინც „ეპოქას“, „პაციფიზმს“, „რევოლუციონური საქართველოს“ საბჭოური პოეზიის დიდ შენაქენად მიიჩნევა. წინააღმდეგ შემთხვევაში მართლაც ბარაქადა მათს მოთმინებას თუ ელაგონებებს.

იცოდა კი ამ ხალხმა, რა არის საბჭოური პოეზია, საბჭოური მწერლობა? შურისთანა მდებალი გრძნობა ბევრი ვერ ჩამოითვლება, მაგრამ ზოგჯერ ლამის შეგშურდეს კაცს, როცა გაიხსენებ, რანაირი მზრუნველობით იყენენ იმავე წლებში გარემოსილი მაქსიმ გორკი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექსეი ტოლსტოი და სხვანი მრავალნი რუსეთში, მიკოლა ბაქანი უკრაინაში, ავეტიქ ისაკიანი — სომხეთში. ვის მოუვიდა აზრად, გალაკტიონ ტაბიძე რამდენიმე ათასი უმაქნისი სტრიქონის დასაწერად წაექებებინა.

ცხოვრებამ თვითონვე მოისრულა ამნაირი აღამიანები, მათთვის შეუფერებელ საქმეს ჩაბოაშორა, ყველას თავთავისი ადგილი მიუჩინა. მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდა, იმდენი მაინც მოასწრეს, გალაკტიონ ტაბიძეს ერთიანად აუფორიაქეს ისედაც დაძაბული ფსიქიკა. ამ რამდენიმე ადგილი ამ წლების დღიურებიდან თუ ჩანაწერებიდან.

„მარტოობის საიდუმლოება. მიაკოვსკი ძალიან მარტო დარჩა, მეტისმეტად მარტო“ (ცალკე ფურცელზე, მეტი არაფერი წერია).

რევაზ თხზარამი
ლიბინდაზ გალაკტიონის ცხოვრებისა

ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით, ჩემი სხეული დაიღალა სიცოცხლით...

მე მიხარია, რომ ჩემივე საკუთარი ნებით მე შემიძლია შევაჩერო ეს მოუსვენარი გულის ცემა, ეს აღუვებელი და მხურვალე სისხლი, ეს მტანჯველი ტკივილები ნერვების...

„დღესაც ავალა ვარ. მუშაობა არ შემიძლია, საერთოდ, მდგომარეობა კატასტროფულია. არსაიდან ჯერჯერობით იმედი არა მაქვს, რომ საიდანმე გაჩნდება სულ ცოტა მაინც ფული...“

ჩემი ცხოვრება ხომ ყოველთვის სავსეა მოულოდნელობით: ხან უეცარი სიმღიღრე, ხან აუტანელი სიღარიბე, საერთოდ კი მოუწყობლობა. „აი ამბავი, ფული ჩემო, შენ რომ გამფრთხვებ.“ მართლაც, აი ამბავი! სად უნდა წავიდე, არ ვიცი.

არც ერთი მეგობარი, არც ერთი ოჯახი ტფილისში.

ასე ვფიქრობდი, როდესაც დავიხურე ქუდი და ოთახიდან გავედი. აჰ, მახლობლად, სამკითხველოა, რომელიც ცხრა საათზე იხურება. ეხლა სამი საათია. მასწავლამე მთელი ექვსი საათი მე შემიძლია გავატარო სამკითხველოში.

მშვირი, მე ვზივარ სამკითხველოში ექვსი საათის განმავლობაში. ვკითხულობ ვაზეთებს, ეურნალებს. დამაფიწყდა შიშშილი. დამაფიწყდა, რომ ავალ ვარ. ავალ! მერე როგორ ავალ!

და გახლა ცხრა საათი. დახურეს სამკითხველო, ძალაუნებურად, უნდა გამოხვიდე.

და ჩეტიალი.

ჩეტიალი ავადმყოფისა და უფული კაცის ღამით“.

გალაკტიონ ტაბიძე არ იყო ტრიბუნის ტიპი. აფუგუნებული აუდიტორიის, მოზობოქრე მასების წინაშე წარდგომა და მათი დამუხტვა მისი ხელობა არ გახლდათ. მისი დიდი შინაგანი პათოსი, სულში დაგზნებული ხანძარი იმნაირი ბუნების იყო, მხოლოდ ლექსებად გამოვლენას საჭიროებდა და არა ფიზიკურ დემონსტრირებას. ზემოხსენებული ყაიდის ადამიანებისა და თვით მის მიერვე მოწყობილი ექსპერიმენტები, რომელიც მიზნად ისახავდა გალაკტიონ ტაბიძისგან ჭარბული მთავრობის დაეყენებინათ, სრული კრახით დამთავრდა.

მისი მოწოდება იყო წლობით შეზღუდული მოვლენებს, ფაქტებს, გულდასმით გაეზრებინა, შინაგან რეალობად ექციათ თავისწინებინა და ისეთ მიმართებებს სწავლოდა, უმრავლესობისთვის მიუწვდომელი რომ აღმოჩნდებოდა ხოლმე. ექსპრომტების წერა მისი საქმე არ იყო, საცოდავი საკითხავია ეს ექსპრომტები.

ამ წლებში არ აცლიდნენ. ზემოხსენებული ყაიდის ხალხი ჩქარობდა და სხვებსაც აჩქარებდა. ამას დაერთო მწერალთა რიგების გამრავლება. გამოჩნდნენ უწყვერულვაშო ყმაწვილები, წერა-კითხვა ძლივს რომ იცოდნენ, და ეპოქის ბაირახტართა როლის მიჩემება მოიწყვილეს (ერთი მათგანი იმ ჯგუფის ხელმძღვანელად გაამწესეს, რომელსაც არმიის ნაწილებში უნდა ემუშავა და რომელშიც გალაკტიონ ტაბიძე იყო ჩარიცხული).

ისინი ჩამოიშორა მწერლობამ, კულტურამ, ცხოვრებამ, კუთვნილ სოროებში მიუჩინა ადგილი. დღეს რამდენსამე კაცს თუ ახსოვს მათი სახელები. ისტორია მათ არ მოიხსენიებს.

ზემოთ ითქვა, რომ 1921-1927 წლების შემოქმედებაში ოცდაათზე ცოტათი მეტი ლექსია რევოლუციურ თემატიკასთან დაკავშირებული. მაგრამ ეს ლექსები ისეთი ზარისხისაა, სჭვა რომ არაფერი შეექმნა, გამოჩენილი საბჭოთა პოეტის სახელს დამკვიდრებდა მაინც (მით უმეტეს, აქ გაუთვალისწინებელია 1917-1920 წლების ბრწყინვალე რევოლუციური ლექსები). მეტი რით უნდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ახალი ეპოქისადმი?

საოცარი და თითქოს სრულიად მოულოდნელი ის არის, ამ ნაზი ბუნების კაცს, უდიდესი სიმტკიცე და შინაგანი გეგაცაობა აღმოაჩნდა. ყოველდღიურობით დაძაბულს, განერვიულებულს, თავისი წარმოდგენით — დევნილს, რომელსაც სასოწარკვეთილების წუთებში ყოველივე საძულველად ეჩვენებოდა და თავის მოკვლას ეპირებოდა, თავისი იდეისთვის. მაინც არასოდეს უღალატნია, თავისი „ნაზი“ არ შეუცვლია („რას ვუმღეროდი მე? ამათ? ამ საზიზღარ ხალხს? არასდროს! არასდროს! ჩემი იდეა სულ სხვა ხალხის გარშემო ტრიალებდა და ტრიალებს“). საკუთარ განწყობილებას მხოლოდ დღიურებს ანდობდა. სხვებს არ ახვევდა თავს; სხვებს ბრძოლისკენ, ძველის ნგრევის, ახლის შენებისკენ მოუწოდებდა, მომავლის ნა-

თელ სურათებს უხატავდა. კვლავ ძველებური
ბრწყინვალეებით ესიტყვებოდა. სწორედ ამ-
ნაირია რამდენიმე ლექსი, რომლებიც კარგად
უნდა გამოირჩეს 1928-1931 წლებში დახვავე-
ბული რამდენიმე ათასი ფუჭი სტრიქონიდან
და სათანადო ადგილი მიეჩინოს გალაკტიონ
ტაბიძის ქეშმარიტ პოეზიაში.

ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა,
თავმიდებული აჭარის კალთებს.
რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა,
თქვენს მშვიდობიან ასცდეს ზომალდებს.
სხვას თუ არ უნდა ამის გაგება,
შენი გაიგებს ნაძვი და ფიჭვი, —

რომ ქვა არა ვარ და ქანდაკება,
არამედ კაცი რწმენით და იჭვით.
რომ მომავალშიც ავიტან მრავალს
უამინდობას, წყურვილს, სიცივეს,
ოღონდ ვხედავდეთ ჩვენ წინ მიმავალს —
ერთი იმედის შუქს მოციმციმეს.
დაბრკოლებათა ათასგვარ საკანს,
შეურაცხყოფის სუსხსაც ავიტან,
ოღონდ ვხედავდე სიციცხლის საგანს
ჩემი სამშობლოს სანახავიდან.
მარტოობასაც ავიტან მწარეს,
უმეგობრობას ავიტან მძიმეს,
ჩემი სამშობლოს სანახავიდან
ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს.

დასასრული იქნება



ჩვენ იხტარვიუ

„ცისკრის“ კორესპონდენტი სახელოსნოში ეწვია ახალგაზრდა მოქანდაკეს ჯუნა მიქატაძეს და სთხოვა მას, პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე. მკითხველს ვთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.

კორ. პატივცემულო ჯუნა, კარგი იქნება, თუ ჯერ რამდენიმე ანკეტური ხასიათის კითხვაზე მიპასუხებთ.

ჯ. მიქატაძე: მაგალითად?

კორ. აი, თუნდაც ასეთი კითხვები: რამდენი წლისა ბრძანდებით, როდის დაამთავრეთ აკადემია, აკადემიაში თქვენი ასაკის მოქანდაკეებს, მწერლებს მსგავსად, ახალგაზრდებს ეძახიან, თუ რაიმე სხვა ტერმინი აქვთ მოფიქრებული?

ჯ. მიქატაძე: აკადემია 1956 წელს დავასრულე, ქანდაკების ფაკულტეტი. თქვენი შეკითხვის მომენტში 39 წლის, რვა თვისა და სამი დღისა ვარ. აკადემიაში მე და ჩემს თანატოლებს ახალგაზრდებს გვეძახიან. ეს სწორიცაა და არცაა სწორი. თუ მოქანდაკეს უწერია, მიქელანჯელოს ხნისა მოიყაროს, მაშინ 40 წლისა, იგი ძალზე ახალგაზრდად შეგიძლიათ ჩათვალოთ, თუ არა და! მაგრამ მე არ მინდა უარესი ვიფიქრო ჩემზე და ჩემს მეგობრებზე. ასე რომ, თანახმა ვართ, ბატონო, ვიყოთ ახალგაზრდები!

კორ. რა ერქვა თქვენს სადიპლომომ ნამუშევარს?

ჯ. მიქატაძე: „სიჭაბუკე“.

კორ. ვის თვლით თქვენს მასწავლებლად საქართველოში?

ჯ. მიქატაძე: ნიკოლოზ კანდელაკს.

კორ. ვის თვლით თქვენს მასწავლებლად საერთოდ?

ჯ. მიქატაძე: ძველ ქართულ ხელოვნებას. ფარადეი ამბობდა თურმე, მე მალლა იმიტომ ავედი მეცნიერებაში, რომ გიგანტების მხრებს ვეყრდნობო. ჩვენ, რა დასამალია და, არა გვეოლია ასეთი გიგანტები მრგვალ ქანდაკებაში, და ამ ხელოვნებაში იმდენად ვართ მალლა ასულნი, რამდენადაც ჩვენი წინაპრების მხრები ამის საშუალებას იძლევა. და მაინც: ჩვენ არამც და არამც ციდან არ ჩამოვფრენილვართ — ჩვენი წინაპარი გვყავს, ჩვენი მასწავლებლები და პიონერები.

კორ. რა არის ის, რითაც ქართული ქანდაკება განსხვავდება, ვთქვათ, რუსულისაგან, და საერთოდ, განსხვავდება კი?

ჯ. მიქატაძე: უსათუოდ! მოსკოვის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული ქართველი მოქანდაკე — ქართველი მოქანდაკე! ამას, უმთავრესად, განა-

პირობებს არა შემოქმედებითი მუშაობის პრინციპები, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ხასიათი, რომელიც აქვს ხელოვანს, და რომელიც, უნდა მას ეს თუ არა, უსათუოდ იჩენს თავს მის ნამუშევარში. ამ მხრივ ქანდაკება, გარდა იმისა, რომ თავისი ბუნებით მუსიკასთან ერთად ყველაზე ინტერნაციონალური ხელოვნებაა, ამავე დროს ყველაზე ეროვნული ხელოვნებაც გახლავთ.

კორ. ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს ათ საუკეთესო მოქანდაკედ?

ჯ. მიქატაძე: ასურული ბარელიეფის ავტორი; ნეფერტიტის ავტორი; ფიდიასი; პრაქსიტელე, ლისიპე, აპოლონის ტორსის ავტორი; დონატელო; ბენვენუტო ჩელინი; მაიაოლი.

კორ. დამისახელეთ ათი საუკეთესო ქართველი მოქანდაკე (თქვენი თაობისა).

ჯ. მიქატაძე: ?

კორ. ვინ მიგაჩნიათ თქვენი თაობის მხატვრებში უკეთესებად?

ჯ. მიქატაძე: ?

კორ. მუსიკა თუ გიყვართ?

ჯ. მიქატაძე: მუსიკის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიმანია.

კორ. ეს კითხვა, ეტყობა, მეტისმეტად იოლი იყო, რადგან მიბასუხებთ. ახლა, პატივცემულო ჯუნა, იქნებ ისიც მითხრათ, ვისი სიმღერები მოგწონთ ყველაზე მეტად (თქვენი ოჯახის წევრთა სიმღერის გარდა).

ჯ. მიქატაძე: ყველასი, ვინც კარგად მღერის. კარგად კი, საბედნიეროდ, ბევრი ვინმე მღერის ამქვეყნად.

კორ. ნიშნავს თუ არა „სიკაბუტე“ იმას, რომ სპორტის მოყვარული ხართ? თუ ხართ, მაშინ სპორტის რომელი სახეობა უფრო მოგწონთ? თქვენი საყვარელი სპორტსმენები!

ჯ. მიქატაძე: ფეხბურთი. ბარჭაია. მესხი.

კორ. გარდა რუსთაველისა, კიდევ რის გაკეთებას აპირებთ უახლოეს ხანში?

ჯ. მიქატაძე: ვერ გეტყვით. არც გეტყვით. ცრუმორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ ტაბუს ძალისა მეცა მჯერა: საკმარისია გავამხილო მხატვრული იდეა, რომელიც ამჟამად მაწუხებს, რომ იგი იდეად დარჩეს და ვერასოდეს შეისხას ხორცი, ამ შემთხვევაში — ქვა.

კორ. რომელი ქანდაკება მოგწონთ ყველაზე უფრო საქართველოში?

ჯ. მიქატაძე: რახან ერთხელ უკვე გავბედე ვყოფილიყავი მშიშარა და უბასუხოდ დამეტოვებინა რამდენიმე კითხვა, არც ახლა გიპასუხებთ. მაგრამ თუ მაინც დამაძალებთ, ყველა გამოტოვებულ პასუხს ბოლოში მოგუყრი თავს.

კორ. დაძალებით უსათუოდ დაგაძალებთ. ახლა კი ერთ ისეთ კითხვას დავისვამთ, რომელიც იოლი კითხვების რკალიდანაა: რომელი ქანდაკება მოგწონთ ყველაზე მეტად მსოფლიოში?

ჯ. მიქატაძე: პართენონის ფრიზი!

კორ. შეილი რამდენი გყავთ?

ჯ. მიქატაძე: ერთი.

კორ. ვაჟი?

ჯ. მიქატაძე: გოგონა.

კორ. ვინდათ თქვენი გოგონა მხატვარი გამოვიდეს?

ჯ. მიქატაძე: მინდა, მაგრამ მეცოდება.

კორ. ელგუჯა ამაშუკელმა და მერაბ ბერძენიშვილმა უკანასკნელ ხანებში დიდებულად იმუშავეს. პირადად თქვენ რომელი ნამუშევრები უფრო მოგწონთ მათს შემოქმედებაში?



ჭ. მიქატაძე: მერაბ ბერძენიშვილის „მუზა“. ელგუჯა ამაშუკელისა ლხეთის დედა“. იგი, ჩემი ფიქრით, საუკეთესოა ამაშუკელის ქანდაკებებში.

კორ. რომელ ქვეყნებში ყოფილხართ?

ჭ. მიქატაძე: პოლონეთში, ბულგარეთში, იტალიაში.

კორ. რომელი შედეგის ნახვას ისურვებდით პირველად?

ჭ. მიქატაძე: ვისურვებდი მენახა რაიმე, ფიდასის ხელიდან გამოსული.

კორ. იცნობთ თუ არა თქვენი თანატოლი მწერლების შემოქმედებას? ვინ უფრო მოგწონთ?

ჭ. მიქატაძე: მრცხვენია ამის გამხელა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცუდად იცნობ.

კორ. რომელი ძეგლი ქართული ხუროთმოძღვრებისა მოგწონთ უფრო?

ჭ. მიქატაძე: სვეტიცხოველი.

კორ. რომელი ქართველი გმირის პლასტიკურ ხორცშესხმას ისურვებდით მომავალში?

ჭ. მიქატაძე: დავით აღმაშენებლის!

კორ. თქვენი საყვარელი კინომსახიობი? თეატრალური მსახიობი?

ჭ. მიქატაძე: მათი რიცხვი ისე დიდია, ჩამოთვლა ალბათ სასაცილო სახეს მიიღებს.

კორ. გიყვართ თუ არა ტელევიზია?

ჭ. მიქატაძე: მიყვარს — ბილეთების რიგში არ მიხდება დგომა.

კორ. რომელი ძეგლია თბილისში ყველაზე ცუდი? ყველაზე კარგი?

ჭ. მიქატაძე: მაპატიეთ, მაგრამ ალბათ ჯობს, ეს შეკითხვები იმათ მივამატოთ, ბოლოსთვის რომ შემოვიჩინებთ.

კორ. თბილისის რომელი ადგილი გეხარბებათ მომავალში თქვენი ქანდაკების დასადგმელად?

ჭ. მიქატაძე: გეტყოდით, მაგრამ არ მინდა, ჩემს პოტენციურ კონკურენტებს იდეები მივაწოდო. ხუმრობა იქეთ იყოს და, პირადად მე ამგვარი არქიტექტურული წინასწარქვრეტის უნარს მოკლებული ვარ. მე ვფიქრობ, ვთქვათ, „მზექაბუჯზე“, მის „ბინაზე“ ზრუნვა კი სხვებს ევალება.

კორ. რახან „მზექაბუჯი“ ახსენეთ, ბარემ ისიც მითხარით: ბევრი ფული აიღეთ „მზექაბუჯში“?

ჭ. მიქატაძე: ძალიან ცოტა.

კორ. ხართ თუ არა ნაყოფიერი, და თუ არა, რატომ?

ჭ. მიქატაძე: თუ ნაყოფიერება ნამუშევართა რაოდენობით განისაზღვრება, მაშინ არ მეთქმის ნაყოფიერი მოქანდაკე. არადა, ბევრს ვმუშაობ და ვწვალობ.

კორ. რომელი გმირი უფრო მოგწონთ რუსთაველისა?

ჭ. მიქატაძე: ცხადია, ავთანდილი.

კორ. ხეში თუ გიმუშავიათ?

ჭ. მიქატაძე: მიმუშავია.

კორ. რას იტყვით ქართული ქანდაკების მომავალზე?

ჭ. მიქატაძე: ფიგურალურად რომ ვთქვათ, იმ დიდი პორტრეტის დასახატავად, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ, „რამდენიმე სუანსი“ არ კმარა. ჩვენ კი მხოლოდ „ორიოდ სუანსი“ გვაქვს ჩატარებული. დიახ! ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გასავლელი რალაც ეტაპები, რათა დიდი ტრადიციების ქვეყნებსა და ხალხებს მხარი ვაუწყსუროთ და ნაბიჯი აუწყსოთ. ცხადია, მე მხოლოდ ქანდაკების წარსულს ვგულისხმობ ჩვენში, და არამც და არამც ხელოვნების რომელიმე სხვა დარგს. ეს რწმენა, ეს აზრი კიდევ უფრო განმომტყიცა იტალიაში მოგზაურობამ და ჩვენს ცნობიერებაში ბალღობიდანვე ჩაქედილი შედეგების ახლოდან ხილ-



ვამ. ჩვენს ფრესკებს არაფერი აქვთ საბოლოო ისეთი ტიტანის ნახელავითა
 ნაც კი, როგორც არის, მაგალითად; ჩიმაბუე. ჩვენი ბედუქუღმართობა ჩვენს
 დანაშაული არ არის, რომ ეს ბედუქუღმართობა არა, იქნებ არც ქანდაკება
 გვქონოდა სხვაზე ნაკლები, და ის ეტაპებიც, წელან რომ ვახსენე, —
 ის გამოტოვებული ეტაპებიც სხვებზე გვიან არ გაგვევლო იქნებ! ასეა თუ ისე,
 ჩემი პასუხი საბოლოოდ მაინც ოპტიმისტურია: ქართული მრგვალი ქანდაკების
 წარსული სხვების წარსულზე უდიდამოა, სამაგიეროდ მომავალი მისი — სხვე-
 ბის მომავალზე უკეთესი იქნება.

კორ. რაკილა წარსულზე ჩამორდა საუბარი, იქნებ მითხრათ ორიოდ სიტყვით, რა დამოკიდებულება გაქვთ ტრადიციასთან?

ქ. მიქატაძე: ორიოდ ათეული წლის წინათ, მახსოვს, ფორმალიზმს თუ ათასგვარ სხვა „იზმს“ ეძებდნენ პორტრეტებში, პეიზაჟებში, რომელთაც დღეს არავინ გამოფენს არა მათი ფორმალიზმის, არამედ მათი პრიმიტიულობისა და უსახურობის გამო. ვფიქრობ, ეს უნდა გაკვეთილად გამოდგეს, თუ არ გვინდა წარსულის შეცდომა გავიმეოროთ და ფორმალიზმი თუ ათასგვარი სხვა „იზმი“ ვეჭვობთ პორტრეტებში, რომელთაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ალბათ, არავინ გამოფენს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი ზედმეტად პრიმიტიული და უსახური მოჩვენება ჩვენს მომავალ თაობას. წარსულისა და დღევანდელის, დღევანდელისა და მომავლის გემოვნებასა და შეხედულებებზე ფიქრი, ბუნებრივია, ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხსაც აღძრავს. პირადად მე ჩვენი მამების შემოქმედების დიდი პატივისმცემელი და დამფასებელი ვარ, მამებისა ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე სიმბოლური გაგებით (ჩემი მამა ცნობილი ქართველი მოქანდაკეა). სხვა საქმეა, რომ თემების არჩევანი მათთვის შეზღუდული იყო. სამაგიეროდ, იგივე თემა — ტრაფარეტი გამოდგებოდა ალბათ კრიტიკულად, თუ ვინ როგორი მოქანდაკე იყო. და მაინც, მათთვის, როგორც მხატვრებისათვის, ეს თემატური თუ სხვა ხასიათის შეზღუდვები ტრაგედია გახლდათ. დღეს ჩვენთვის იოლია მათი განსჯა, არც აუფის თქმაა ძნელი. ძნელი ისაა, ბოლომდე გვეყოს ანალიზის უნარი, ერთის მხრივ, და ჯენტლმენობა, მეორე მხრივ, რომ, უსირცხვილო გუთნისდედების მსგავსად, ჩვენი მამაპაპის საფლავები არ შეეწუხოთ.

კორ. პირადი მხატვრული პრობლემებიდან თუ დილემაებიდან ხომ ვერ გამოყოფდით რომელიმეს?

ქ. მიქატაძე: მხატვრის ცხოვრებაში დილემას რა გამოლევს. არ ვიცი, რა გიპასუხოთ, იქნებ სწორად ვერ გავიგე კითხვა. უკანასკნელ ხანს, მაგალითად, საოცრად მაღიზიანებს ფიგურის ხელები. მირჩვენია, საერთოდ არ ჰქონდეს კიდურები ქანდაკებას.

კორ. თავის დროზე ჩვენი დიდებული ლადო გუდიაშვილი ყურს „ებრძოდა“. თქვენ ხელი „გავიმეტებიათ“. ასე ყველა „ანატომიური ერთეულის“ უარყოფამდე შეიძლება მივიდეს კაცია.

ქ. მიქატაძე: არ არის მთლად ასე. პირადად ჩემთვის დარჩება სახე. ადამიანის სახე კი ის უცნაური ხატია, რომელიც მუდამ იქნება მოქანდაკის შთავონების საგანი. უფრო მშვენიერი არაფერი შეუქმნია ბუნებას. ფიზიონომიკასა და ფრენოლოგიას რომ ცრუმეცნიერებებად აცხადებდნენ, ეტყობა, მოქანდაკეებისთვის არ უკითხავთ რჩევა, თორემ შეიძლება სულაც საპირისპირო გადაწყვეტილება მიეღოთ. ვიმეორებ, ადამიანის სახეზე მშვენიერი არაფერი შეუქმნია ბუნებას. და ამ მშვენიერების განახლებული ხატის შექმნა ევალეა ხელოვანს. წმინდა აბსტრაქციონისტულ ნამუშევრებშიც — ამ ეგრეთწოდებულ „უცხვირო“, „უთვალო“ და „უხელო“ ქანდაკებებშიც ადამიანს სწორედ ადა-

გამოწვევის
საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საინჟინერო-ტექნიკური
სკოლის
სტამბა

მიანზე მინიშნება მოსწონს უმთავრესად. ამგვარი ასოციაციების გამოწვევის უნარის გარეშე ისინი სულაც არ იქნებოდნენ საინტერესონი. ცხადია, სხვათა სელის „უხელობა“ აქ ანგარიშში ჩასათვლელი არ არის.

კორ. ალბათ, გაგვიგრძელდა საუბარი. ამიტომ მეტს აღარ შეგაწყენთ თავს, ოღონდ უპასუხოდ დატოვებულ კითხვებს კი გაგახსენებთ. მაშ ასე: ვინ არის, თქვენი აზრით, ათი ყველაზე კარგი მოქანდაკე თქვენი თაობისა?

ჭ. მიქატაძე: ელგუჯა ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, გოგი ოჩიაური, ალექო რატიანი, კარლო გრიგოლია, არჩილ თოფურიძე, გულდა კალაძე, ლევან მხეიძე, ავთანდილ მჭედლიშვილი, ვახტანგ ონიანი.

კორ. ვინ მიგაჩნიათ უკეთესებად თქვენი თაობის მხატვრებში?

ჭ. მიქატაძე: ელგუჯა ბერძენიშვილი, ჯიპსონ ხუნდაძე, გურამ ქუთათელაძე, დიმიტრი ერისთავი, გოგი თოთიბაძე, ჯემალ ლოლუა, კოკი მახარაძე, თენგიზ მირზაშვილი, ზურაბ ნიყარაძე, ლევან ცუცქერიძე, დიმიტრი ხახუტაშვილი.

კორ. რომელი ქანდაკება მოგწონთ ყველაზე უფრო საქართველოში?

ჭ. მიქატაძე: გახსოვთ ხომ, რაზე ატყდა ტროას ომი! „მას, ვინც ყველაზე მშვენიერიყო“, ეწერა ვაშლს. მე რომ ასეთი ქანდაკება დავასახელო, გინდამც ასეთი წარწერა გამეკეთებინოს ზედ: „მას, ვინც ყველაზე ნიჭიერია“. დიდო ომი ალბათ არ ატყდება ამჯერად, მაგრამ მაინც ნუ მიზამთ ამას, ნუ გამამკლავ-ნებინებთ საიდუმლოს.

კორ. იყოს ნება თქვენი. დიდი მადლობა!

ჭ. მიქატაძე: მოკითხვა გადაეცით „ცისკრელებს“.

კორ. ვმადლობთ!



სსრკ

პსკიდან

აბგენტიონა

პიესა მაქსიმ გორკიძე

კარლოს ლუის დოდემ, არგენტინელმა მწერალმა, გახმაურებული რომანის — „ხალხის“ ავტორმა, დაწერა პიესა მაქსიმ გორკიძე.

დრამატული ნაწარმოები სამი ნაწილისაგან შედგება და გორკის ავტობიოგრაფიას გადმოგვცემს; თითოეული ნაწილი ერთმანეთთან კომენტატორის ტექსტითაა დაკავშირებული და მწერლის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს მოიცავს.

ვღრ

1971 წლის ნაციონალური პრემიები

პრემიები მიენიჭა 1971 წელს გამოქვეყნებულ საუკეთესო ნაწარმოებებს. „ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის“ პირველი პრემია მწერალმა ქალმა ანა ზეგერსმა და მწერალმა ალექსანდრ აბუშმა მიიღეს. პრემია „იდუოლოგიისა და ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის“ წილად ზვდა კინოსტუდია „დეფას“ შემოქმედებით კოლექტივს.

II ხარისხის პრემიებით დაჯილდოვდნენ მწერალი გიუნტერ ჰიორლიხი, მსახიობი მანფრედ კრუგი, მწერალი და რეჟისორი გიუნტერ რუკერი, ამ უკანასკნელს პრემია ლიტერატურული შემოქმედებისათვის, კერძოდ, რადიოპიესისათვის მიენიჭა.

პრემიები გადაეცათ აგრეთვე გამოცემლობა „აუფბაუს“ თანამშრომლებს, პოეტ ჰელმუტ პრეისლერს და კულტურის მთელ რიგ მოღვაწეებს.

გვრ

რომანი იმედგაცრუებულ თამაზაზე

დიდი ხნის დუმილის შემდეგ ლიტერატურულ სარბიელს კვლავ მოეკვინა ცნობილი დასავლეთ გერმანელი მწერალი — ჰანს ვერნერ რიხტერი. ამას წინათ მწერალმა გამოსცა მოთხრობების კრებული, ცოტა ხნის შემდეგ კი გამოცემლობა „გოფმანუნდ კამპმა“ გამოუშვა მისი რომანი — „ვარდი წითელი, ვარდი თეთრი“.

რომანის მთავარი გმირი, კარლი, მწერლის ავტობიოგრაფიული შტრიხებით აღჭურვილი პიროვნება, ცხოვრებაში თავის

ადგილს ეძებს. მოქმედება ჩვენი საუკუნის ოციანი წლების მიწურულში ვითარდება, მაშინ, როცა ქვეყანას, სადაც უმუშევრობა და ქაოსი სუფევდა, მიხაკისფერი პირობები დაემუქრა.

კარლი მშობლიური ქალაქიდან ბერლინს მიემგზავრება, ქუჩის მომღერლად იქცევა და ხალხის ცხოვრებას ეცნობა, მონაწილეობს დემონსტრაციებში და დისკუსიებში, სხვებზე უკეთ გრძნობს, რომ აუცილებელია ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომ ადამიანთა ყოველგვარი მერყეობა ფაშისმს გამარჯვებამდე მიიყვანს.

კარლს, რთულ და აწეწილ ცხოვრებას რომ ეწევა, რომანში, ბიძამისი, თვითმკაყოფილი და ცხოვრებისაგან განზოგადებული ადამიანი — აუგუსტუსი უპირისპირდება. წიგნის დასასრულს, როცა ხალხი ახალ რაიხსკანცლერ შიტლერს ჩირაღდნებთან და ტაშით მიესალმება, კარლს ბიძამისი ელანდებდა.

„მე მას ათასობით სხვადასხვა ადამიანი მაგონებდა, შეიძლება იგი აქ სულაც არ ყოფილა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, იგი ამბების უცდილო მონაწილე გახლდათ“.

„კარლისა და მისი მეგობ-
რების მარცხი აუგუსტისა
და მისნაირთა გამარჯვება
იყო. რისტერის რომანი —
მოტყუებული თაობის რო-
მანია, ოციანი წლების თა-
ობისა, ახალგაზრდებისა,
რომელთა იმედები თუ
რწმენა „ახალმა დროებამ“
დაამსხვრია, — წერს ყო-
ველკვირეული „დი ცაი-
ტის“ რეცენზენტი, —
ეს წიგნი მწერლის ყველა-
ზე მნიშვნელოვან ნაწარ-
მოებთაგანია“.

იტალია

ბანდისი მწერალი

უნვეულო სასამართლო
პროცესი მიმდინარეობდა
იტალიაში ბანდისის —

ლუჩანი ლუთორიგის საავ-
ტორო უფლებებისა და ჰო-
ნორარის ვაცემის თაობაზე.
ამ ბანდიტმა რამდენიმე
წლის წინათ ცინიზმითა და
სიმკაცრით ყოველსმომს-
წრე და მნახველი მილანე-
ლებიც კი განაცვიფრა. იგი
მარტოდმარტო ტყედა ბან-
კებს და რამდენიმე კაცის
მკვლელობაშიც დაადანა-
შაულეს. ლუთორიგმა ციხე-
ში ორი წიგნი დაწერა —
„უკანონო დაცვა“ და
„მკვლელი არ ჯანყდება“.
წიგნები ლონგანეზის გა-
მომცემლობამ გამოაქვეყ-
ნა.

ბანდისის პიროვნებამ
ერთ დროს კინორეჟისორი
კარლო ლიძინიც დაინტე-

რესა და მასზე ფილმიც კი
შექმნა — „განთავისუფლებული“
წამოდექ და მოჭკადი...
დღში რეჟისორმა ლუთორი-
გის ცხოვრების პიროვნე-
ბისა და დანაშაულის ფსი-
ქოლოგიური ანალიზი მოგ-
ვცა.

ამჟამად, ბანდისა და
მწერალს წიგნების გასაღე-
ბის შემდეგ აურაცხელი
თანხა — 75 მილიონი ლი-
რა ერგება, მაგრამ ჰონო-
რარს მილანის სასამართ-
ლომ ბაჟი დაადო; იგი კო-
მპენსაციის სახით ერთ-ერთ
ფრანგ პოლიციელს გადაე-
ცემა, რომელიც სამუდა-
მო ხეიბრად დარჩა პარი-
ზის მახლობლად ლუთორი-
გთან შეტაკებისას.

ქურნალი გააფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და ბუბლიცისტის განყოფილება მასალებს შიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ/მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-98-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 17/1-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/II-72 წ. ქაღალდის ზომა
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-სავ.
თაბახი 14,5 შეკვეთა 134. უე 01755. ტირაჟი 32900.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ბ. 64/48



3360 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236